ნინო ლაჯიმაშვილი

ჩოცდა ჭრელოსანი ლოგვები

დაბრუნდებიან

ქარჩხაძის
გამომცემლობა

ნატო დავითაშვილი • როცა ფრთოსანი ლომეები დაბრუნდებიან

ნატო დავითაშვილი

როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან

საბავშვო პროზის კონკურსის
ოქროს ბუმბულის
2008 წლის გამარჯვებული

www.oqrosbumbuli.ge

რედაქტორი:
ლეილა ბერიაშვილი

ყდის ილუსტრაცია და დიზაინი:
ნინო გურაბანიძე

ტექნიკური უზრუნველყოფა:
ნინო აფრიამაშვილი

ISBN 978-99940-34-05-5

© 2009 ქარჩხაძის გამომცემლობა
ყველა უფლება დაცულია

თავი პირველი

გამოსვლა

ახალგამომცხვარი პურის ქერქივით დახეთქილ მიწას ცხელი ოხშივარი ასდიოდა. ნაპრალებს მოშიებული მართვეებივით პირი საწყლად დაეფჩინათ და ნანატრ საკვებს — წვიმას მოუთმენლად ელოდებოდნენ. დრო გადიოდა. ნაპრალები სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა, მაგრამ საშველი მაინც არ ჩანდა. გვალვას შეგუებულ ძეძვსაც კარგა ხანია ფერი შესცვლოდა, სიმწვანის კვალიც აღარ ემჩნეოდა, გახუნებულ ნაცრისფერ ეკალბარდად ქცეულიყო. წესით, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე უნდა მდგარიყო, რადგან ყოველ სულიერს კარგა ხანია ეს მიდამოები მიეტოვებინა, მაგრამ მომაკვდავი ბუნების დუმილს ძაღლის წკმუტუნი არღვევდა. ცხოველი თვალსაწიერზე ერთადერთი ხის — ანჩარის გარშემო მოუსვენრად დარბოდა, ახლოს კი არ ეკარებოდა. ხის ვარჯი ისრის წვერს ჰგავდა, ძირში სქელი იყო და თანდათან ვიწროვდებოდა, ტანი კი რკინასავით მაგარი მუქი ყავისფერი ქერქით ჰქონდა დაფარული. კენწეროდან მიწისკენ ანჯამებზე ჩამოკიდებული კარის მსგავსი რვა ფოთოლი ეშვებოდა, ყოველი მათგანი წაღმა მხრიდან კაუჭიანი ქაცვებითა და წვეტიანი ეკლებით იყო დაფარული. ხის ძირში ღია ფერის ბლანტი სითხე ესხა. ძაღლი სწორედ მას გაურბოდა. ცხოველს სასიამოვნო სურნელი იზიდავდა, თავისდაუნებურად უახლოვდებოდა, მაგრამ დაყნოსავდა თუ არა, ელდანაკრავივით უკან გადახტებოდა ხოლმე. ძაღლს მოყვითალო ბეწვი ჰქონდა, ალაგ-ალაგ თეთრი ლაქებით; ფართო, შეწეული მკერდი, მოგრძო აცქვეტილი ყურები, საკმაოდ გრძელი თავი და ძლიერი თათები. დიდი ტანისა არ იყო. საშუალო სიმაღლის კაცს მუხლამდე თუ მისწვდებოდა. ზურგზე აბურძგნული ბეწვის ზოლი დაჰყვებოდა, რომელიც კუდისკენ თან-

დათან ვიწროვდებოდა. ცხოველს მოუსვენრობა ეტყობოდა, სიცხისგან ენაგადმოგდებული ხეს ქოშინით გარს უვლიდა, როცა დაიღლებოდა, დაჯდებოდა და თვალმოუშორებლად შესცქეროდა, თითქოს ვიღაცას ელოდებაო.

მზე დასავლეთისკენ უნდა გადაწვერილიყო, რომ ანჩარის ერთი ფოთოლი შეირხა. ძაღლმა ყურები ცქვიტა, წამოდგა და მარჯვენა წინა თათი ასწია. სულ მალე ფოთოლი კარივით გაიღო და იქიდან ახალგაზრდა ჭაბუკი გამოჩნდა. როცა თავი უსაფრთხოდ დაიგულა, ძირს ჩამოხტა. ფოთოლი მაშინვე ძველ მდგომარეობას დაუბრუნდა. ვაჟი ჯაჭვის პერანგითა და მუზარადით აღკაზმული არ იყო, მაგრამ წელზე შემორტყმული ხმალი, რამდენიმე ცული და მშვილდ-ისარი სწორედ მის მეომრობაზე მიუთითებდა. ჩინებული აღნაგობისა იყო — მაღალი, ფართობეჭიანი; სახის ნაკვთები ვაჟკაცური ჰქონდა, მაგრამ არა ტლანქი — ოვალური სახე, თხელი, სწორი ცხვირი და ოდნავ ვიწრო თვალები მის ახალგაზრდობაზე უფრო მეტყველებდა, ვიდრე სინაზეზე. ტალღოვანი, მხრებამდე დაყრილი თმა და თვალები ერთნაირი მუქი ნაბლისფერი ჰქონდა. მხარზე მომცრო ზომის აბგა ეკიდა. „სადა ვარ, ეს სად მომიყვანა იმ საიდუმლო კარმა?" — გაიფიქრა მან, როცა გადახრიოკებულ და ლამის უდაბნოდ ქცეულ არემარეს შეავლო თვალი.

— ამას აქ რაღა უნდა! — გაიკვირვა ძაღლის დანახვა, — მე მელოდა, თუ ამ ხის ჩრდილში ითქვამს სულს?

ძაღლი უცნობს, როგორც ძველ პატრონს ისე შეეგება და ხელი აულოკა.

— როგორ ცხელა! — ამოიხვნეშა ვაჟმა, საკინძე შეიხსნა და მათარიდან რამდენიმე ყლუპი მოსვა. — მერე წყალი პეშვში ჩაიგუბა და ენაგადმოგდებულ ცხოველს მიუბრუნდა. ძაღლი მადლიერი მზერით მიუახლოვდა და ხარბად დაიწყო სვლეპა.

— კარგი, ცუგა! — დაუყვავა ვაჟმა და მოფერება დაუპირა, მაგრამ ძაღლი ერთიანად აიბურძგლა, უკან გადახტა და შეუღრინა.

— კარგი, კარგი! გასაგებია, მოფერება არ გყვარებია... ნეტა რა გქვია, ან ვის დაეკარგე? წადი, შენი პატრონი მოძებნე, მე არ გამოგადგები. საჭმელი მე არა მაქვს და სახლ-კარი. საით წავიდე, ისიც არ ვიცი. — ვაჟი თავისთავს უფრო ელაპარაკებოდა, ვიდრე ძაღლს,

თან შუბლი ხელით მოეჩრდილა და მიდამოს ზვერავდა. მერე თვალი დახუჭა და ყურადღება მოიკრიბა. შეეცადა თუნდაც ერთი კაცის გონებას მისწვდენოდა, მაგრამ ამაოდ. მიხვდა, სხვისი ფიქრების წაკითხვის ნიჭი დაკარგვოდა. თავში ერთმა საშინელმა აზრმაც გაუელვა, იქნებ სულაც მარტო მე ვარ ამ უცხო მხარეში და ამიტომაც ველარავის ვგრძნობო, მაგრამ მალევე უკუაგდო ეს აბეზარი ფიქრი. ძაღლმა სამხრეთისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შემდეგ მოტრიალდა და ვაჟს მიაჩერდა.

— კარგი! — დაეთანხმა ჭაბუკი, — რადგან ასე გინდა, სამხრეთით წავიდეთ. ხის ვარჯს, ყოველი შემთხვევისთვის, ნიშანი დაადო. ის მიმართულება აჩვენა, საითაც აპირებდა წასვლას.

მგზავრებს მზე უმოწყალოდ აჭერდა. კარგა ხნის სიარულის შემდეგ, ძაღლმა არაქათგამოცლილი ვიწრო მოგრძოფოთლებიან ხეებთან მიიყვანა და ერთ ადგილას თხრა დაიწყო. „წყალს ეძებს ნამდვილად," — გაიფიქრა ვაჟმა და თავადაც შეეშველა. ქვიშა ადვილად ემორჩილებოდა. სულ მალე ხელზე სინოტივე შეიგრძნო. ცოტა ხანში ორმოში მტკაველის სიღრმეზე წყალი ჩადგა. ჭაბუკმა წყალს დაწმენდა დააცადა, პეშვით ფრთხილად ამოიღო და მოსვა. დალევა შეიძლებოდა, მართალია, ისეთი გემრიელი და ანკარა არ იყო, როგორც მთის წყარო, მაგრამ ამ ხრიოკ ადგილას უფრო ძვირფასი და დასაფასებელი ეჩვენა. წყურვილი რომ მოიკლა, მათარაც აავსო. ძაღლი სიგრილეში გაწოლილიყო და თვლემდა. ჭაბუკი ხეზე აძვრა, ეგებ მაღლიდან შევნიშნო რამეო. მართლაც, სამხრეთ-დასავლეთით, ძალიან შორს, უწყვეტად ცისკენ მიმავალ შავ ზოლს მოჰკრა თვალი. „ნამდვილად კვამლი უნდა იყოს", — გაიფიქრა და უცებ მოეჩვენა, კვამლი რაღაცას ამცნობდა. როცა დააკვირდა, მისდა გასაოცრად მიხვდა, კვამლი ატყობინებდა, რომ ტუალანუს წვიმა სტუმრებოდა, ტბები წყლით აევსო, მინდვრები ბალახით დაეფარა და ყველაფერი მზად იყო ბაზრობის გასამართავად. ეს ამბავი დიდად ესიამოვნა — ნამდვილად მარტო არ იყო.

ხიდან ჩამოძვრა და კვამლის მიმართულება ჩაინიშნა. ძაღლმა ერთი ახედა და თვალები ისევ მილულა. მზე ჩასასვლელად ემზადებოდა. წასვლას აზრი არ ჰქონდა. უცხო მხარეში, თანაც სიბნელეში გზა აუცილებლად აერეოდა. ამიტომ დილამდე მოცდა გადაწყვიტა,

ხის ქვეშ მიწვა და მაშინვე ჩაეძინა.

ძაღლის ყეფამ გააღვიძა. სწრაფად წამოხტა და ვადაზე ხელი იკრა.

— ფრთხილად, აქ ბესანჯია! — მოესმა ხმა.

ჭაბუკი ყეფას მიჰყვა და ხეების სიახლოვეს რქადაგრეხილ კამეჩშებმული ოთხთვალა დაინახა, რომელზეც რამდენიმე ადამიანი იჯდა

— ჩუმად! — დაუყვირა ძაღლს. ისიც მაშინვე დაემორჩილა, ოთხთვალას მოშორდა და ახალი პატრონის გვერდით დადგა.

მგზავრები ოთხთვალიდან ფრთხილად გადმოვიდნენ. — ორი ქალი, ათიოდე წლის ბიჭი და სამი კაცი — ორნი, შუბებით შეიარაღებულნი, ახალგაზრდები იყვნენ, მესამე კი — ჭაღარა მოხუცი. ყველას პრიალა სპილენძისფერი კანი ჰქონდა. მოხუცს გრძელი, ღია ფერის სამოსი ეცვა, დანარჩენს კი — ჭრელი. გულზე და ხელებზე ათასნაირი მძივები და რგოლები ჰქონდათ ასხმული. ემჩნეოდათ პატრონზე მეტად ძაღლს უფრთხოდნენ. ვაჟს გაუკვირდა კიდეც, ამდენი კაცი, თანაც შეიარაღებული, ერთმა ძაღლმა როგორ შეაშინაო.

— მეომარო! — მიმართა მოხუცმა, — ბაზრობაზე მივდივართ, ღამის გათევას აქ ვაპირებთ. მიგვიღებ შენს კოცონთან და დაგვალევინებ შენი ჭიდან წყალს?

მოხუცის თხოვნაზე ჭაბუკს გულში გაეცინა. ამ ქვეყნის სტუმარს აქაურები მასპინძლობას სთხოვდნენ. რა ეპასუხა, რომ ვერ მოიფიქრა, თავი დაუქნია და მიპატიჟების ნიშნად ხელი გულთან მიიდო.

მზის ჩასვლის შემდეგ სულისშემძვრელი სიცხე სასიამოვნო სიგრილემ შეცვალა. კაცებმა ძეძვით ცეცხლი დაანთეს და ზედ თანწამოღებული ტარუტოს ხის რამდენიმე ნაჭერი დაალაგეს. კოცონის გარშემო სასიამოვნო სურნელი დადგა. ქალებმა საგზალი ამოიღეს და სავახშმოდ უცნობიც მიიპატიჟეს. ჭაბუკს ძაღლიც გვერდით მიუჯდა და მგზავრებმა მასაც დაუდეს წინ ლეღვის ფოთლებში გახვეული საჭმელი.

— ესენი ტამრიტელები არიან. ბაზრობაზე ტარუტო და ძვლისგან გაკეთებული სამკაულები მიაქვთ. — სიჩუმე დაარღვია მოხუცმა, — ძალიან გამიმართლა, გზაში რომ შემხვდნენ და შემიკედლეს. ნამდვილად კარგი ფეხით წამოვედი. აქ კი შენ და შენი ბესანჯი დაგვხვდით.

— ეს ჩვენ გაგვიმართლა, რომ შეგხვდით. კვამლის წამკითხველ ჯუფრასთან ერთად მგზავრობა დიდი პატივია ჩვენთვის, — გაეპასუხა მოხუცს ახალგაზრდა ტამრიტელი.

— მეც გავიგე ბაზრობის ამბავი და სწორედ იქით მივეშურები. — თქვა ვაუმა.

ტამრიტელები უცნობთან საუბარს გაურბოდნენ. შეხვედრიდან ერთი სიტყვაც კი არ ეთქვათ მისთვის. მხოლოდ მოხუცი ლაპარაკობდა. სწრაფად ივახშმეს და სწრაფადვე აიშალნენ, ოთხთვალასთან ახლოს ადგილი მოიმზადეს და დასაძინებლად მიწვნენ.

— პირველად ვხედავ, შეშის ორიოდე ნაჭერს ამდენი ხანი ცეცხლი ეკიდოს, — გულწრფელად გაიკვირვა ჭაბუკმა.

— გეტყობა აქაური არა ხარ, თორემ ტარუტოს ხე გეცოდინებოდა. ის ხომ ნამდვილი განძია — ყველაზე დიდი და ძვირფასი ხეა. მისი ფოთლების ქვეშ მთელი სოფლის გაშენება შეიძლება, უხუცესი ხეების ვარჯს კი ათი კაცი ძლივს შემოსწვდება. ისეთი მაგარი მერქანი აქვს, ძალიან მჭრელი ცულითაც დიდი წვალებით თუ მოჭრი. ცეცხლიც ძლივს ეკიდება, — ისიც პატარა ტოტებს, თანაც მის სუნს აბეზარი მწერებიც გაურბიან. ადრე ათასწლოვან ტარუტოსაც ბევრს შეხვდებოდა კაცი, მაგრამ ახლა ძალიან ცოტაღა დარჩა. ეჰ! — ამოიხვნეშა მოხუცმა და ხელი უნუგეშოდ ჩაიქნია.

— თუ ასეთი მაგარია, რაღამ გადააშენა?

— ბუნება განვარისხეთ. ჩვენ მისი არ გვესმის, ის კი ჩვენს საქციელს ვერ იგებს. ხომ ხედავ, რასა ჰგავს მიწა. ადრე აქ ათასგვარი ცხოველებით სავსე მინდვრები იყო. ახლა კი ფერდებჩაცვენილ ლომს თუ გადააწყდები სადმე, მუდმივი შიმშილისაგან გაავებულსა და კაცისმჭამელად ქცეულს. წვიმამ ზურგი გვაქცია, ჩვენს შემხედვარე ტარუტოებს კი ალბათ გული ულპებათ. უკანასკნელი ბესანჯის შესახებ პაპაჩემსაც პაპამისისგან ჰქონდა მოსმენილი. აქ რომ დაგინახე, თვალებს არ დავუჯერე, არ მეგონა, სიბერეში სასწაულს თუ მოვესწრებოდი. ოჰ, რამდენს ვლაპარაკობ, სიტყვა არ გათქმევინე... საიდან მოდიხარ...

ჭაბუკი მიხვდა, ჯუფრას მისი ვინაობის გაგება სურდა, მაგრამ პირდაპირ არ ეკითხებოდა.

— მე ლილე ვარ, ირიელი, როშკაშიდან.

— როშკაში?.. — მოხუცი ჩაფიქრდა. — ქვეყნიერების ოთხივე კუთხე მოვლილი მაქვს, იმაზე მეტი მაქვს ნანახი და გაგონილი, ერთ კაცს რაც უნდა ენახა და მოესმინა. როშკაში კი არ გამიგია.

— ეს იმიტომ რომ, როშკაში არც ერთ შენს ნაცნობ მხარეში არ არის.

— აბა, სად არის? ამიხსენი რა? — ბავშვივით სთხოვა ჯუფრამ.

— სადაც არის, შესანიშნავ ადგილასაა. მაგრამ ახლა აქ ვართ და თუ აქაურ ამბებს გამაგებინებ, დიდ დახმარებას გამიწევ. მე კი როშკაშის ამბებს, გპირდები, სხვა დროს მოგიყვები.

— მითხარი, რა გაინტერესებს და გიამბობ.

— შენზე თქვეს, კვამლის წამკითხველიაო, ეს რას ნიშნავს?

— კვამლის წამკითხველი, ნიღბების ოსტატი და გამყოლი, სამი ყველაზე ძველი და საპატიო ხელობაა. მე შემიძლია კოცონი დავანთო და მისი კვამლით ამბავი გავაგებინო სხვა კვამლის წამკითხველს.

— მანძილს მნიშვნელობა არა აქვს?

— რა თქმა უნდა, აქვს: კვამლი უნდა ჩანდეს. — ჩაიცინა ბერიკაცმა.

— ანუ ძალიან შორსაც...

— ძალიან შორსაც. მოიცა, მოიცა... შენ აქ არავის იცნობ, ხომ მართალია?! — ჰკითხა ჯუფრამ.

— პირველი აქაური სულიერი ეს ძაღლი შემხვდა ერთ უცნაურ ხესთან, მხოლოდ რვა ფოთოლი რომ აქვს.

— ბაზრობის ამბავი საიდანღა გაიგე? გული მეუბნება, შენც წამკითხველი უნდა იყო.

— გული სწორს გეუბნება, მოხუცო. ჩემდა გასაკვირად, კვამლის წაკითხვა შევძელი.

— ბესანჯს ანჩართან შეხვდი?

— აჰა, ანჩარი ჰქვია იმ ხეს, ფოთლები კარებს რომ მიუგავს?

— ანჩარი ჰქვია. კიდევ კარგი, არ მიუახლოვდი. ის წყეული მათრობელა წვენით მსხვერპლს ჯერ გონებას დააკარგვინებს, მერე საცეცებით შეკრავს, შეკრულს კი რომელიმე ფოთოლი ტანზე საბანივით შემოეხვევა და ზევით ასწევს. იქ რა ხდება, კაციშვილმა არ იცის. ფოთოლი კი ათი დღის შემდეგ, უკვე ცარიელი, ძირს ეშვება. საბრალო მსხვერპლის კვალი უკვე აღარსადაა.

— ხომ არ აჭარბებ? მე არა დამიშავა რა. ერთი ეს მითხარი, შენ ასე თავისუფლად მესაუბრები, შენს თანამგზავრებს კი ხმაც არ გაუღიათ.

— ადამიანს, რომელსაც ბესანჯი პატრონად ამოირჩევს, ყველა დიდი პატივისცემითა და რიდით ექცევა. ჩვენ, კვამლის წამკითხველებს, ნიღბების ოსტატებსა და გამყოლებს თავისუფალი საუბრის უფლება გვაქვს. სხვებს, თუ თავად არ გამოელაპარაკე, — არა. შენ რომ მათთვის ერთი სიტყვაც გეთქვა, იცოცხლე, ვერ გააჩერებდი.

— ასეთი რა ძაღლია ბესანჯი? — ლილემ მის გვერდით მოკალათებულ ცხოველს გადახედა.

— ბესანჯს, სხვაგვარად, ქვეყნის გადასარჩენად ციდან გამოგზავნილ გმირთა მსახურ ძაღლს ვეძახით. მისი მოშინაურება შეუძლებელია. პატრონს თავად ირჩევს და ერთგულადაც ემსახურება მანამ, სანამ პატრონის ყველა საქციელს სამართლიანად თვლის. საკმარისია პატრონმა რაიმე უსამართლობა ჩაიდინოს, მაშინვე მიატოვებს. ყოფილა შემთხვევა, როცა ბესანჯს დიდი შეცდომის გამო პატრონისათვის ყელიც გამოუღადრავს. მისი პატრონობა საპატიოა, მაგრამ ძალიან საშიშიცაა, რადგან არნახული ძალისაა და მეტისმეტად გულადი. ხომ ასეთი პატარა ტანისაა, ლომსაც არ ეპუება. ჩემს თაობას არ უნახავს, მაგრამ ყვებიან, ადგილიდან ისეთ სიმაღლეზე და ისეთი სისწრაფით ხტება, რომ ლომი შეშინებული უკან იხევსო. მას შემდეგ, რაც ქვეყანა აირია და კეთილშობილი გმირები გაქრნენ, ისინიც გაუჩინარდნენ. ამიტომაც გამიკვირდა ბესანჯის დანახვა. ასე რომ, მთელი ბაზრობა შენზე ილაპარაკებს.

— შენ რატომლა მიდიხარ ბაზრობაზე. რამის გაყიდვას აპირებ, თუ ყიდვას?

— ჰა, ჰა! გამაცინე! რა მაბადია, რომ გავყიდო, გავცვალო ან ვიყიდო? ჩემგან ვაჭარი მაშინ დადგება, როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან...

— ფრთოსანი ლომები? — კარგად ვერ გაიგო მოხუცის ნათქვამი ლილემ.

— აქაური გამონათქვამია, — ანუ არასოდეს.

— ახლა გავიგე. ჩვენც გვაქვს ერთი ასეთი გამონათქვამი: როცა ვირი ხეზე ავაო...

— ჰა... ჰა... — გადაიხარხარა ჯუფრამ. — მაგრამ თქვენი ვირები უფრო მალე ავლენ ხეზე, ვიდრე ჩვენი ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან.

— ეს ვითომ რატომ? — გაიკვირვა ლილემ.

— იმიტომ, რომ არცა გვყოლია და არც გაფრენილან.

— კარგი. მაშ ამხელა გზას რიღასთვის გადიხარ?

— ახალი ამბების გასაგებად და ცოდნის შესაძენად. იქნებ შენი ამბავიც იქ გავიგო... მოსაყოლი კი ბევრი უნდა გქონდეს. ძნელი მისახვედრი არ არის, ისეთი გმირობა გაქვს ჩადენილი, რომ ბესანჯმა ამდენი წლების შემდეგ შენ ამოგირჩია. მაგრამ შენს წარსულზე მეტად შენი აწმყო და მომავალი მაინტერესებს. ჩემთვის მთავარია, აქ რადა ხარ, ჩვენს მხარეში რამ მოგიყვანა. — ბოლო სიტყვები დამარცვლით წარმოთქვა მოხუცმა კვამლის წამკითხველმა.

ლილეს ძალიანაც რომ ნდომოდა, მოხუცს პასუხს ვერ გასცემდა, რადგან თავადაც არ იცოდა, რისთვის იყო მოვლენილი თავისი სამშობლოდან ამ უცხო მხარეში, რომლის შესახებ ბავშვობაში მოსმენილ ზღაპრებშიც კი არაფერი გაეგონა.

თავი მეორე

ტუალანუს ბაზრობა

ტუალანუს ბაზრობას ქვეყნიერების თვალსა და ყურს უწოდებდნენ. წელიწადში ოთხჯერ ყველა კუთხის ათასნაირი დოვლათი, სურსათ-სანოვაგე თუ ჭორ-მართალი აქ იყრიდა თავს. იგი აბარდაგანის მთავარი ქალაქის სალიტულას მფარველობის ქვეშ იყო. ერთ დროს პატარა სოფელი, მოზრდილ გალავანშემოვლებულ ქალაქად იქცა და მფარველს ხშირად ტოლს არ უდებდა. ტუალანუს მთავარი განძი მის გარშემო მდებარე მიწისძვრებით დაბადებული სამი ტბა იყო, რომელიც წყლით ამარაგებდა მოსახლეობას და წვიმების სეზონებს შორისაც იშვიათად შრებოდა. ეს ტბები რომ არა, ტუალანუ დანგრეულ და მივარდნილ სოფლად დარჩებოდა.

ბაზრობების დროს, ტუალანუს მთელი აბარდაგანის ვაჭრები და მყიდველები სტუმრობდნენ. ბაზრობის დღეებში ქალაქის კარი მტერ-მოყვრისთვის ღია იყო. ამიტომ ქალაქს, ხშირად, ისინიც სტუმრობდნენ, რომლებიც სალიტულას არ ემორჩილებოდნენ, უფრო მეტიც, მტრობდნენ. ტუალანუს გამო ბევრჯერ ატეხილა ომი, მაგრამ სალიტულას მტრისთვის არც ერთხელ არ დაუთმია იგი.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ტუალანუს ლილე და მისი თანამგზავრები, ბაზრობისკენ მიმავალი მით უფრო მეტი ხალხი ხვდებოდათ. ზოგნი, თავზე კალათებშემოდებულები, ფეხით მიდიოდნენ, ზოგიერთებს კამეჩებშებმული ოთხთვალები დაეტვირთათ, რამდენიმე ნილბოსან-ცხენოსანსაც მოჰკრეს თვალი. ლილემ უცნაურ ცხენებზე ამხედრებული ხალხიც ნახა. ისინი ჩვეულებრივ ცხენებზე მოზრდილები იყვნენ, უკანა ფეხები შავ-თეთრი ზოლებით ჰქონდათ დაფარული. ზოგიერთს ზურგზე ათასგვარი ნივთებით აჩონჩხილი ტახტრევანი ედგა. „ეს ცხოველი იტურის ტყეებიდან ჩამოყვანილი

ოკაპია, მშვიდია, დინჯად დადის და დიდი ტვირთის ზიდვაც შეუძლია. გრძელი მოგზაურობის დროს მოძრავი ქოხის მაგივრობასაც წევსო", — აუხსნეს ლილეს.

— შევაჭრების გარეშე არც იყიდო და არც გაყიდო, — გააფრთხილა ჯუფრამ ლილე. — უპატივცემულობაში ჩაგითვლიან, ბესანჯის პატრონობაც კი არ გიშველის.

ლილემ ქისიდან რამდენიმე ძვირფასი თვალი ამოიღო და მოხუცს მათი გაყიდვა სთხოვა, ვაჭრობა არ მეხერხებაო. ჯუფრამ კარგად შეათვალიერა თვლები და ლილეს პირობა მისცა, თუ გამიმართლებს, ოც კაურადაც გაგიყიდიო.

გვალვების გამო, ბაზრობა დიდი ხანია არ გამართულიყო, ამიტომ, ამჯერად, ზღვა ხალხს მოეყარა თავი. ქალაქის მთავარმა მოედანმა ყველა ვერ დაიტია. მართალია, მთლად უსაფრთხო არ იყო, მაგრამ მოვაჭრეებმა კოშკურებიანი გალავნის გარეთაც, ლამის ტბებამდე, გაშალეს კარვები. კარვების წინ ფერად-ფერად ფარდაგებზე კი რა არ იყო გამოფენილი: ჭრელა-ჭრელა ნაჭრები და ხალიჩები, სელისაგან დაწნული სხვადასხვა ფორმის ოქროსფრად მოელვარე კალათები და თასები, ლიანებისაგან მოწნული სკამები და საწოლები, ხონჩებზე დალაგებული ხილი და სურნელოვანი ბალახეულობა...

ლილეს თანამგზავრი ტამრიტელებიც ქალაქის გალავნის გარეთ დარჩნენ, ჯუფრა კი ლილეს ქალაქში შეუძღვა. ლილე ამჩნევდა, როგორ აყოლებდნენ მზერას. მის დანახვაზე ყველაზე გამოცდილი ვაჭრებიც კი აღარ აქებდნენ თავიანთ საქონელს და უცნობ იდუმალ მეომარს გაკვირვებულები შესცქეროდენ. პატრონს ძაღლი გვერდიდან არ შორდებოდა და თავაწეული ამაყად მიჰყვებოდა.

მთელი ქალაქი ერთ დიდ ბაზრობად ქცეულიყო. ქალაქის მცხოვრებლებს თავიანთი ნათალი ქვისგან ნაშენი და ლამაზი მოზაიკებით მორთული სახლების პირველი სართულებიც ვაჭრებისთვის დაეთმოთ, ყოველ მეორე ბინაში კი, ზედა სართულებზე, სასტუმროები მოეწყოთ.

ქალაქის მთავარი მოედანი ყველაზე ძვირფასი საქონლისთვის იყო განკუთვნილი. აქ ნიღბებისა და სამკაულების ოსტატებსაც გამოეფინათ თავიანთი ნახელავი.

ჯუფრამ ძვირფასი თვლები ბუნიოსელ ოქრომჭედლებს მიუტანა.

ლილე, მოხუცს ვაჭრობაში ხელი არ შევუშალოო, იქვე ერთ-ერთი ნიღბების ოსტატის ფარდულში შევიდა. ძაღლი შიგნით არ შეჰყვა და შესასვლელთან გაწვა. გამყიდველი ლილეზე ოდნავ უფროსი იქნებოდა, მასაც მუქი სპილენძისფერი სახის კანი ჰქონდა, წელზევით შიშველ დაკუნთულ სხეულზე რამდენიმე თვალშისაცემი ნაიარევი ემჩნეოდა. იატაკზე ფეხმორთხმით იჯდა და საჭრეთლით ხიდან ახალ ნიღაბს კვეთდა.

ლილე შესვლისთანავე მიესალმა ოსტატს და კედლებზე დაკიდებული ნიღბების თვალიერება დაიწყო. ნიღბები მრავალგვარი იყო: ადამიანთა სახეების, ცხოველებისა და ფრინველების, ზღაპრული არსებების, ერთი ფერისა და მოხატული; ზოგი მოღუშული, ზოგიც მხიარული. ზოგს თვალები ჰქონდა, ზოგს — ცარიელი ფოსოები. რამდენიმე ისე ცოცხლად გამოიყურებოდა, იფიქრებდი, ეს-ესაა დაილაპარაკებსო. ლილე ყურადღებით აკვირდებოდა თითოეულს, ზოგიერთთან უფრო დიდხანს ჩერდებოდა. გრძნობდა, ყოველ მათგანს რაღაცა ამბის მოყოლა შეეძლო. ერთთან — მგლის თავის ნიღაბთან — ყველაზე დიდხანს დაყოვნდა, ნიღაბი ლილეს ხან უბღვერდა და აფრთხილებდა, გამეცალე, თორემ კარგ დღეს არ დაგაყრიო, ხან, თითქოს, მორცხვად გაუღიმებდა და დიდი ნაღვლიანი თვალებით შველას თხოვდა. ამ დროს ნიღაბი მგელს კი არა, მშვენიერ ზურმუხტისფერთვალება გოგონას ემსგავსებოდა. ლილემ ისიც კი იფიქრა, ეს ნიღაბი ნამდვილად დიდ საიდუმლოს ინახავსო.

— შველით გიშველი, მხოლოდ ნუ იბღვირები, მაინც ვერ შემაშინებ, — გამოსცრა კბილებში ლილემ. თითქოს პასუხად, ნიღაბი გადმოქანდა და მის ფერხთით დავარდა. ოსტატი ნიღაბს მივარდა და ძველ ადგილას დააბრუნა.

ლილემ ოსტატს ხელი შეუქო და დანანებით აღნიშნა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერაფერს შევიძენო.

ფარდულში ვიღაც შემოვიდა. გამყიდველს მიუახლოვდა და რაღაც ჩაუჩურჩულა. ლილემ დაინახა ოსტატს თვალები როგორ გაუფართოვდა. მერე უცნობმა ლილეს ფარულად შეხედა და იქაურობა სწრაფად დატოვა. ოსტატიც გაჰყვა და მალევე უკან შემობრუნდა.

— გარეთ რომ ბესანჯია, შენ გელოდება? — ჰკითხა ლილეს.

— მე მელოდება.

— მე უსუმბა ვარ, ნიღბების ოსტატი. აქ სულ ჩემი და მამაჩემის — ტისოს ნახელავია. რომელიც გინდა, ამოირჩიე საჩუქრად, უცნობო მეომარო.

— მე კი ლილე ვარ, ირეელი, როშკაშიდან... — ლილეს ნიღბების ოსტატის უშუალობა ესიამოვნა და ხელი სიხარულით გაუწოდა. — საჩუქრისთვის მადლობას მოგახსენებ, მაგრამ... — ლილემ უარის თქმა დააპირა, თუმცა მაშინვე გადაიფიქრა, ოსტატს არ ეწყინოსო.

— რა მაგრამ? — ჩაეძია უსუმბა.

— ნიღაბს კედელზე ჩამოკიდება უხდება, მე კი კედელი აქ არა მაქვს, ხოლო სახლში ჯერ არ ვაპირებ დაბრუნებას... — იპოვა გამოსავალი ლილემ.

— მართალი ხარ! შენ ამოირჩიე, რომელიც მოგეწონება, სახლში დაბრუნებამდე კი მე შეგინახავ. — კვერი დაუკრა უსუმბამ და ისევ საჭრეთელს მიუჯდა.

ოსტატის შეთავაზება ლილეს ძალიან ესიამოვნა. ახლა ჯერი არჩევანზე დადგა და ის-ის იყო ნიღბები ისევ უნდა შეეთვალიერებინა, რომ ფარდულში მასზე ერთი თავით მაღალი, კოჭებამდე შავ ტანსაცმელში ჩაცმული, ადამიანის ტანიანი და მგლის თავიანი უცნობი შემოვიდა. წელზე სქელი ქამარი ეკეთა, რომელზეც მოკაუჭებული იარაღი ეკიდა. ფეხდაფეხ ბესანჯიც შემოჰყვა და ლილეს გვერდით დაუდგა. უსუმბამ თითქოს ვერც შეამჩნია შემოსული, ნიღბის გამოთლა გააგრძელა. მგლისთავიანს ნიღბებისთვის არც კი შეუხედავს, ლილეს დაუდგა წინ და აათვალ-ჩაათვალიერა. მისი უტიფრობით გაბრაზებულმა ლილემ თავი ძლივს შეიკავა, საკადრისი პასუხი რომ არ გაეცა. მხოლოდ, ყოველი შემთხვევისთვის, ხელი ხმლის ვადაზე ჩამოდო. ახლა კი იკადრა უსუმბამ ფეხზე წამოდგომა და ახალშემოსულს ვაჭრისთვის დამახასიათებელი თავაზიანობით ჰკითხა:

— რას ინებებთ? სულ უცხო ნიღბები მაქვს, სხვაგან ვერსად შეხვდებით, თქვენთვის გინდათ თუ საჩუქრად?

— საჩუქრად ჩემი ახალგაზრდა დედოფლისთვის... — მგლისთავიანმა ისე უპასუხა უსუმბას, ლილესთვის თვალი არ მოუცილებია.

— აბა, ეს ნიღაბი ნახეთ, სულ ილიმის. მისი შემხედვარე, თქვენი ქალბატონი, სულ კარგ ხასიათზე იქნება.

შემოსულმა უსუმბას ნიღაბი გამოართვა და ფული გადაუხადა. ლილეს გაახსენდა, ბესანჯის პატრონს პირველ სიტყვას ყველა ვერ ეტყვის. ამიტომ, მგლისთავიანი ლაპარაკში რომ გამოეწვია, ნაყიდი ნიღაბი შეუქო, მართლაც კარგი შენაძენიაო.

— შენს შენაძენთან ეს ნიღაბი რა მოსატანია, — ჩახრინწული ხმით უპასუხა მან და ბესანჯს მრავალმნიშვნელოვნად დახედა.

— ამ ძაღლში ფული არ გადამიხდია! — გაბრაზებით უთხრა ლილემ.

— ეს არც მიფიქრია. კარგად ვიცი, ამ ძაღლს ფულით ვერ შეიძენ. მე დიდი რანავალონას შთამომავლის, ბიგოს დედოფალ იორუბას — ამ სახელის წარმოთქმისას კედელზე ჩამოკიდებულ ზუსტად იმ მგლის ნიღაბს შეხედა, რომელთანაც ლილე ყველაზე დიდხანს შეჩერდა, — ჯარების უფროსი და მთავარი მცველი ვარ — ალი. ჩემი კარავი, მოედნის მეორე მხარეს, ხალიჩებით მოვაჭრის ფარდულის გვერდითაა, ამ საღამოს შემოიარე, ჩვენი ოსტატების ნახელავიც დაათვალიერე.

ლილემ მისი მიპატიჟება თავაზიანად მიიღო.

— მგლისთავიანს უფრთხილდი, მისი ნდობა არ შეიძლება, — გააფრთხილა ლილე უსუმბამ, როგორც კი შემოსულმა ფარდული დატოვა. — რა ქენი, ამოირჩიე საჩუქარი?

— როგორ არა, — ამ ნაღვლიანი პატარა ბიჭის სახეს ვირჩევ, — ლილემ ბავშვის ნიღაბზე მიუთითა.

— ნაღვლიანი რად არის, ვერ ხედავ როგორ იცინის?

— სახე კი უცინის, მაგრამ თვალები ნაღვლიანი აქვს.

— თვალები სულ არა აქვს ამ ნიღაბს.

— რომ ჰქონოდა, ნაღვლიანი ექნებოდა — თავდაჯერებულად უპასუხა ლილემ.

— ამის ამოცნობა მხოლოდ ნიღბების ოსტატს თუ შეუძლია. ეს ნიღაბი მამაჩემმა ტისომ გააკეთა. ბიჭის მშობლები გრძნეულებმა მოიტაცეს. სულ პატარა ჩვენს სოფელს მათხოვრად მოადგა. მამაჩემს შეეცოდა და ჩვენთან დატოვა, ძმებად გვზრდიდა. საოცრად ნაღვლიანი თვალები ჰქონდა, მაშინაც კი, როცა გულიანად იცინოდა.

— რატომ თქვი, ჰქონდაო, ცოცხალი აღარ არის?

— იმედი მაქვს ცოცხალია. როგორც კი წამოიზარდა, დაგვემშვიდობა და მშობლების საძებნელად წავიდა. ნიღბების კეთება მა-

მამ მასაც ასწავლა. დარწმუნებული ვარ, ერთმანეთს აუცილებლად შევხვდებით.

— ახლა წავალ, ვატყობ, ჩემ გამო, აქ მყიდველი ნაკლებად შემოდის.

— შენ ამაზე არ იდარდო. სამაგიეროდ, ნახავ, გახვალ თუ არა, რამდენი მომაწყდება. — არხეინად მიუგო უსუმბამ.

ლილე ნიღბების ოსტატს გამოემშვიდობა, ფარდული დატოვა და ბუნიოსელი ოქრომჭედლებისკენ გაეშურა, სადაც ჯუფრა ეგულებოდა. კვამლის წამკითხველი, მართლაც, იქ დახვდა, ოქრომჭედლებს შორის ფარდაგზე იჯდა და რაღაცაზე გაცხარებით ლაპარაკობდა. ლილე შეამჩნიეს თუ არა, მყისვე გაყუჩდნენ. ფარდულის კედლებსა და დახლებზე გამოფენილი ნაკეთობები — მტკავლის სიგრძის დახუნძლული საყურეები, ათასნაირი ქსოვით დაწნული ჯაჭვებით აკინძული მძივები, დაბალი და მაღალი დიადემები, ფიალები და სადგამები, ძვირფასი თვლებით მოჭედილი დაგრეხილი სამაჯურები, სხვადასხვა ზომის ზარდახშები მზის შუქზე ბრწყინავდა და ელვარებდა. აქ ბევრი ისეთი ნივთიც იდო, რომელიც ლილეს არასდროს ენახა. საქონელი ისე ახლოს ეწყო ერთმანეთთან, რომ მათ შორის გასავლელად ორი კაცი გვერდს ძლივს უვლიდა ერთმანეთს.

— შემოგვიერთდი!.. — ხელი დაუქნია ჯუფრამ.

ლილე მოხუცს გვერდით მიუჯდა.

მასპინძლებმა ლილეს მოწითალო ფერის კარკადეს ყვავილებისგან დამზადებული ცხელნაყენიანი ჭიქა წინ დაუდგეს.

— დალიე, სანამ არ გაციებულა! — ურჩია ჯუფრამ.

ნაყენს სასიამოვნო სუნი ჰქონდა და თან მოტკბო-მომჟავო გემო დაჰკრავდა. ამ სიცხეში კიდევ ცხელიო, გაუკვირდა ლილეს, მაგრამ სასმელი მასპინძლებივით სვენებ-სვენებით მაინც ბოლომდე დალია. სანამ სვამდა, ისე დასცხა, ეგონა, სული შეეხუთებოდა, შუბლზეც ოფლმა დაასხა, მაგრამ ძალიან მალე, სიცხისგან მოთენთილმა, ძალების მოზღვავება და სიგრილე იგრძნო.

— დღეს ბედი არ მწყალობს, ვაჭრობაში ხეირი ვერ ვნახე, — დაიჩივლა ჯუფრამ. — შენი თვლები ოცდაათ კაურად ძლივს გავყიდე. აი, შენი ფული, — და ჯუფრამ ლილეს წინ პატარა ქისა დაუდო, თან ოქრომჭედლებს რომ არ შეემჩნიათ, ცალი თვალი ჩაუჭუტა.

— რას ამბობ, ჯუფრა? — შეეპასუხა ყველაზე ასაკოვანი ოქრომ-ჭედელი, — შესანიშნავ ფასად გაყიდე თვლები, ამაზე მეტს არავინ გადაგიხდიდა, ჭკუით მაჯობე...

— წელს შერისხულები რაღაც არ ჩანან, ერთი-ორი ნადირის-თავიანები თუ შემხვდა. არ მომწონს მათი ასეთი გაყუჩება. თქვენ ხომ არაფერი გსმენიათ მათ შესახებ? — საუბრის თემა შეცვალა ჯუფრამ.

— მე გამომეცნაურა ერთი მგლისთავიანი — დედოფალ იორუბას პირადი მცველი, ალი. ამ საღამოს თავის კარავში შევლა მთხოვა.

— ნება შენია, უცნობო მეომარო, მე შენს ადგილას მათ მიპატი-ჟებას არ მივიღებდი, — მორიდებით ურჩია იმ ოქრომჭედელმა, რომელმაც ჯუფრასგან ლილეს თვლები იყიდა.

უეცრად ჯუფრა აწრიალდა და ლილეს წამოდგომაში დახმარება სთხოვა. მასპინძლებს ბოდიში მოუხადა, დამავიწყდა, ტამრიტელები გველოდებიანო. ლილე მიხვდა, ჯუფრას მათთან საუბრის გაგრძე-ლება აღარ უნდოდა.

ლილეს მიამიტობას ვერავინ დააბრალებდა, მაგრამ ჯუფრას პირველი დანახვისთანავე მიენდო. მისი ყოველი სიტყვის სისწორეში ეჭვი არ ეპარებოდა. ამიტომაც, არც კი დაფიქრებულა და ბავშვივით უკან გაჰყვა მოხუც კვამლის წამკითხველს.

ჯუფრამ ლილე გალავნის სიახლოვეს, თეთრი ქვით ნაშენ ორ-სართულიან სახლთან მიიყვანა. სახლის წინ ალისფერი ყვავილებით გადაპენტილი ორი დიდი ბროწეულის ხე იდგა. მათ ნახვას არაფერი ჯობდა.

კარი მოხუცმა კაცმა გაუღო. ლილეს თვალში მოხვდა მოხუცის უსიცოცხლო გუგები: იგი უსინათლო იყო. გრძელსახელოებიანი თოვლივით თეთრი პერანგი კოჭებამდე დასთრევდა. გარუჯული სპილენძისფერი კანი სარკესავით ულაპლაპებდა.

— ჯუფრა, შენ? — შესძახა გახარებულმა მასპინძელმა. — ხელი ხელ-ში ჩაავლო და შინ შეიყვანა. ლილე და ბესანჯიც შეჰყვნენ. — მარტო არა ხარ? სტუმრებიც მომიყვანე? რამ გაგახსენა მოხუცი ბაკუბა?

— თავს ნუ ისაწყლებ! ყველაფერი ვიცი. ზუსტად გუშინ დაბ-რუნდაო, მითხრეს. თუ ვინმე სთხოვს, ხვალვე ისევ გზას გაუდგებაო. — შეუტია ჯუფრამ.

— შენ რა გამოგეპარება. ყოველთვის ყველაფერი იცი. გეყოფა

ჩემზე ლაპარაკი. ის მითხარი, ვინ მომიყვანე. ჩვენებური არ უნდა იყოს არც ის და არც მისი ძაღლი.

„ნუთუ შემეშალა და უსინათლო არ არის?“ — გაიფიქრა ლილემ და მის უმეტყველო თვალებს კიდევ ერთხელ დააკვირდა.

მასპინძელმა სტუმრები ხის საზურგიან ბალიშებდაყრილ დაბალ სკამებთან მიიყვანა, ხელით ანიშნა, დამსხდარიყვნენ და თავადაც ერთ-ერთზე ფეხმორთხმით მოიკალათა.

— ხომ კარგად ზიხარ? — ჰკითხა ჯუფრამ.

— შესანიშნავად. რატომ მეკითხები?

— როცა სტუმარს გაგაცნობ, არ მინდა საუკეთესო გამყოლი სკამიდან გადმოვარდე!

— მე და, რამე გამიკვირდეს? — ჩაიხითხითა მასპინძელმა. — შავი ბინდის მაგივრად, მზისგან დამწვარი შენი სახის დანახვის მეტი, ახლა ამ სკამიდან ვერაფერი გადმომაგდებს.

თითქოს ამ სიტყვებს ელოდაო, ბესანჯი ბაკუბას მიუახლოვდა და გრძელი დრუნჩი ხელზე შეახო. მოხუცმა თავზე ხელი ფრთხილად გადაუსვა და ნელ-ნელა ზურგზე ჩაჰყვა. როცა კუდამდე მივიდა, ბესანჯი მოხუცს მოშორდა და ისევ ლილეს გვერდით დაჯდა.

— ბე... ბე... ბესანჯი? — ძლივს ამოილუღლუღა მოხუცმა გამცილებელმა.

— სკამიდან არ გადმოვარდი, მაგრამ ენა ხომ დაგება! — ნიშნის მოგებით უთხრა ჯუფრამ.

— არ დამიმალო, შენ რა მოგივიდა, როცა პირველად დაინახე!

— ენა არ დამბმია!

— გრცხვენოდეს, ბავშვობიდან მეჯიბრები, თვალხილული მაინც ვიყო!

— ჰო, კარგი, ჩვენი კინკლაობა ლილეს ნამდვილი არ ეგონოს.

— ესე იგი ლილე!

— ლილე ირეული — როშკაშიდან. — დაუზუსტა ჯუფრამ.

— მე კი ბაკუბა ვარ, ძვირფასო სტუმარო, აბარდაგანის უხუცესი გამყოლი, და ყველაზე ოხუნჯი კვამლის წამკითხველის უფროსი ძმა. — მასპინძელმა ბოლო სიტყვები გამოკვეთა.

— სწორედ უფროსი რომ ხარ და ჩემზე მეტის მცოდნე, იმიტომაც მოგიყვანე. უცხოელია და თანაც ძალიან ახალგაზრდა. ჩვენი ამბე-

ბის, ადათ-წესების, აქაური ავისა და კარგის არაფერი გაეგება. სულ ორი დღეა ჩამოვიდა. საღამოს კი დედოფალ იორუბას მცველი, ალი, თავის კარავში ელის...

— დაპატიჟებდა, აბა, რას იზამდა. დარწმუნებული ვარ, ახლა ზის და ათასგვარ ხრიკებს იგონებს ის ავსული.

— გასაგებია თქვენი შეშფოთება. მართალია, უცხოელი ვარ და თანაც ახალგაზრდა, მაგრამ ისეთი გულუბრყვილო არ გეგონოთ, ერთი შეხვედრით ჩემი კეთილგანწყობა რომ დაიმსახურონ და კეთილი და ბოროტი ვერ განვასხვავო ერთმანეთისგან.

— ამაში ეჭვი არც მეპარება... — მიუგო ბაკუბამ, — დარწმუნებული ვარ კეთილშობილი მეომარი ხარ, არც ძალა და ჭკუა გაკლია. მაგრამ ის იარაღი არა გაქვს, რომელსაც ვერ გამოჭედავ და ვერც გამოთლი.

— მის მოპოვებას კი დიდი დრო და გამოცდილება სჭირდება, — ჩამოართვა სიტყვა ლილემ. — სანამ ჩემს განსწავლას დაიწყებდეთ, იქნებ რამდენიმე კითხვაზე მიპასუხოთ.

— გისმენთ! — მიუგო ბაკუბამ. — ისე, კარგი იქნებოდა ჩვენი მესამე ძმა ტისოც აქ ყოფილიყო...

— ტისო? — ნილბების ოსტატი, უსუმბას მამა? — გაიოცა ლილემ.

— ჰო, სწორედ ის. შენ რა, იცნობ? — წამოიძახა ბაკუბამ.

— არა, მე უსუმბა გავიცანი. ნილაბი მაჩუქა. ტისო იქ არ ყოფილა.

— მართლა, ხომ არაფერი გსმენია მის შესახებ? უსუმბამ მითხრა, სამი თვის წინ წავიდა შავი ებენის ხის მერქნის მოსაძებნად, ჯერაც არ დაბრუნებულაო. — მიუბრუნდა ძმას ბაკუბა.

— მეც მაგის დარდი მკლავს. მაკვირვებს პირდაპირ. ვეღარ გაიგო, შავმერქნიანი ებენი დიდი ხანია რომ გადაშენდა?!

— აბა, ახლა გისმენთ, გვკითხე, რაც გინდა. — მიმართა უსინათლო გამყოლმა ლილეს.

— ჯერ ის მითხარი, ბაკუბა, გამყოლი როგორ შეგიძლია იყო... თუ ვერაფერს ხედავ, გზას როგორღა იკვლევ?

— ძალიან მგრძნობიარე ყნოსვა და სმენა მაქვს, მიწისქვეშა წყლების დინების ხმასაც კი ვიგებ. ბავშვობიდან დავყვებოდი თვალხილულ გამყოლებს. ერთხელ გავლილი გზა არასდროს მავიწყდება. ერთი მუჭა ქვიშაც რომ მომიტანო, მივხვდები, რომელი უდაბნოდანაა. იტურის ტყეების ერთი ფოთოლიც რომ ჩამივარდეს ხელში,

გეტყვი — რომელი სოფლის მახლობლად ხარობს. მე ყველაფერს სუნით ვიმახსოვრებ. შენც და შენი ბესანჯიც ახლა უკვე სამუდამოდ ჩემს მეხსიერებაში ხართ აღბეჭდილნი და არავისში შემეშლებით. ჩემნაირ გამცილებლებს მხედველობა არ სჭირდებათ. ჩვენში ბუნება სწრაფად იცვლება და თვალმა შეიძლება მოგვატყუოს. აი, მიწისქვეშა მდინარეები კი არც კალაპოტს იცვლიან და არც შრებიან. ამიტომ ყველაზე მეტად ის გამცილებელია სანდო, რომელიც ჩემსავით დაბადებიდან უსინათლოა.

— ტუალანუს გარეთ და შიგნითაც იარაღიანი მცველები შევამჩნიე, ვისგან იცავენ ქალაქს?

— სწორედ ისეთი მგლისთავიანებისგან, შენ რომ უსუმბას ფარდულში შეგხვდა. აგრეთვე გრძნეულებისგან, რომელთაც მონუსხეს და გაავერანეს ჩვენი მიწები. — მიუგო ჯუფრამ.

— თუ თქვენი მტრები არიან, ქალაქში რატომღა უშვებთ? — გაიკვირვა ლილემ.

— ახლა დროებითი მშვიდობაა, თანაც ბაზრობა საუკეთესო ადგილია მტრის ზრახვების შესაცნობად. თუ დიდი სიმდიდრით არიან ჩამოსულები და ოქროსაც ბლომად ყიდიან, ესე იგი ჯარისკაცებისთვის ჯამაგირის დარიგებას აპირებენ და ომი გარდაუვალი იქნება. შიშმა და სიძულვილმა ვაჭრობას ხელი რად უნდა შეუშალოს.

ლილემ შესანიშნავად იცოდა, ყველა მხარეს, ყველა ხალხს და თვით პატარა სოფელსაც უცხო თვალისთვის შეიძლება უცნაური და აუხსნელი თავისი ადათ-წესები ჰქონოდა. ამ მოხუცებთან შეხვედრას ბესანჯის პატრონობაზე მეტად აფასებდა და ბედის საჩუქრად თვლიდა. კიდევ ბევრი რამის გაგებას მოელოდა მათგან. ახლა კარგად ხვდებოდა, ტუალანუს ბაზრობას ქვეყნიერების ყური და თვალი რატომ უწოდა ჯუფრამ. საღამომდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. ეს ორი მოხუცი კი შესძლებდა მის ისე განსწავლას, დედოფალ იორუბას მცველთან სათანადო ცოდნით შეიარაღებული რომ მისულიყო.

— ჯერჯერობით მეტი კითხვა არა მაქვს. ახლა ჯერი თქვენზეა. — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უთხრა ლილემ ძმებს.

— რას გაჩუმებულხარ, ჯუფრა, აღარ ავიყვანოთ ზევით? — ჰკითხა ბაკუბამ ძმას.

— ავიყვანოთ. ის არის!

„ნეტავ მათი აზრით ვინა ვარ? რას ელიან ჩემგან?“ – გაუელვა თავში ლილეს.

ბაკუბა წამოდგა და თვალხილულის ნაბიჯებით მეორე სართულისკენ მიმავალ კიბეს აუყვა. ჯუფრა და ლილეც მიჰყვნენ. მეორე სართულზე წიგნებითა და გრაგნილებით გამოტენილი თაროები იდგა, გაჩახჩახებული ოთახის შუაში – დაბალი მაგიდა, მის გვერდით კი – ბალიშებდაყრილი განიერი ტახტი.

ბაკუბას სახლის მეორე სართული ჯუფრას ბიბლიოთეკას ეკავა. სხვა კვამლის წამკითხველების მსგავსად, არც ის ცხოვრობდა ერთ ადგილას. სულ მოგზაურობაში იყო. საკუთარი სახლიც არ ჰქონდა. მთელი ცხოვრება მხოლოდ წიგნებს აგროვებდა და ძმის სახლში ინახავდა.

– ვერ დავიჯერებ, რომ მითხრა, ყველა წაკითხული მაქვსო. – წამოიძახა ამდენი წიგნის დანახვაზე ლილემ.

– ჰა, ჰა... – გადაიხარხარა ბაკუბამ, – სამწუხაროდ ასოებს სუნი არა აქვთ. ეს ჯუფრას ბიბლიოთეკაა.

ჯუფრამ ერთ-ერთი თაროდან ყდაგაცრეცილი წიგნი გადმოიღო. გადაათვალიერა და არჩევანის სისწორეში რომ დარწმუნდა, წიგნი ლილეს გადასცა.

– ჩვენი ისტორია ყველაზე ზუსტად ამ წიგნშია დაწერილი. მასზე უკეთესად ვერავინ მოგიყვება.

ლილემ წიგნი ჩამოართვა. მარტო ნახევარი მტკავლის სისქისა იქნებოდა. ყდაზე ეწერა „აბარდაგანის ისტორია“.

– საღამომდე რომ ვერ წავიკითხავ? – დანანებით ჩაილაპარაკა ლილემ.

– აბა, რა ვქნათ? – მხრები აიჩეჩა ჯუფრამ.

– იქნებ თქვენ მომიყვეთ?!

– შეიძლება, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თავად წაგეკითხა.

– რატომ?.. მე სრულიად გენდობით.

– ვერ დაგეთანხმები. შეუძლებელია. საკუთარ ისტორიას მიუკერძოებლად ვერ მოყვები. თხრობისას შეიძლება ემოციებმა შეგვიშალოს ხელი და რაღაც უფრო დავამძიმოთ, რაღაც შევამსუბუქოთ. – აუხსნა უარის მიზეზი ბაკუბამ.

– მაგაზე არ იდარდოთ. ემოციებს თუ შეგამჩნევთ, თვითონ

გაგაჩერებთ. — დაამშვიდა ლილემ.

— მაშინ ისევ ქვევით ჩავიდეთ. იქ უფრო გრილა. ისე, იცოდე, ეს ბიბლიოთეკა შენს განკარგულებაში იქნება. ბაკუბა შინ რომც არ იყოს, აქ ისე მოდი, როგორც საკუთარ სახლში. დარწმუნებული ვარ, მრავალი კითხვის პასუხს და გამოცანის გასაღებს ამ წიგნებსა და გრაგნილებში იპოვი.

— რომელი დაიწყებთ? — ჰკითხა ქვევით ჩასულ ძმებს ლილემ.

— ჯუფრას ჩემზე უკეთ უჭრის ენა. ის მოგიყვება.

— ეს ყველაფერი ძალიან დიდი ხნის წინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა — აბარდაგანი, ჩრდილოეთით და სამხრეთით, აღმოსავლეთითა და დასავლეთით ერთიანი იყო და ერთი მმართველი ჰყავდა, ხოლო სალიტულა, მთელი აბარდაგანის გული — უმშვენიერესი, უძლიერესი და უმთავრესი სატახტო ქალაქი, ყველას მფარველი და იმედი იყო.

— სალიტულა ახლაც არსებობს, მაგრამ წარსულის დიდების ანარეკლილაა. მის გარშემო, ორი დღის სავალზე, რაც კი ნაყოფიერი მიწები, ტყეები, ველები და მდინარეები იყო, გრძნეულებმა ხრიოკ მიწებად აქციეს. — ჩაურთო ბაკუბამ.

— მოკლედ, — გააგრძელა მოყოლა ჯუფრამ, — აბარდაგანი ოდითგანვე სხვადასხვა წესით მცხოვრები ხალხით იყო დასახლებული; დასავლეთით იტურის ტყის ხალხი ცხოვრობდა; ჩრდილოეთით — მინათმოქმედი ტამრიტელები; აღმოსავლეთით, ტბებისა და ვრცელი საძოვრების მხარეში — ლოტები — მესაქონლეობით განთქმული ხალხი.

ქვეყნის შუაგული ცხელი და მოუსავლიანი უდაბნოც კი დასახლებული იყო. უმძიმესი ცხოვრების მიუხედავად, უდაბნოელებს გული არც იტურის ტყეებისკენ მიუწევდათ და არც სხვა მოსავლიანი ადგილებისკენ.

აბარდაგანს ყოველთვის ერთი მმართველი ჰყავდა — სამართლიანი და თავის ხალხზე მზრუნველი. ერთადერთი, რაც ქვეყნის სიმშვიდეს დაარღვევდა ხოლმე, ტამრიტელებისა და იტურელების კინკლაობა იყო. ტამრიტელებს სახნავ-სათესად უფრო მეტი და მეტი მიწები სჭირდებოდათ, იტურელები კი ტყეებს არ ანებებდნენ. ამიტომაც ვერ რიგდებოდნენ, მაგრამ საქმე სერიოზულ ომამდე არასდროს მიდიოდა. ყველა დარწმუნებული იყო, აბარდაგანში სამუდამო

მშვიდობამ დაისადგურა და მთელი აბარდაგანი მსაჯულის წიგნის მიხედვით ცხოვრობსო, მაგრამ...

— მსაჯულის წიგნი, რას ნიშნავს? — გააწყვეტინა თხრობა ლილემ.

— ჰოო, ეს ის წიგნია, რომლის მიხედვითაც უნდა ვიცხოვროთ. მის ფურცლებზე ის წერია, რისიც გვჯერა და გვწამს. ამ რწმენამ გრძნეულთა ბოროტი შელოცვებისაგან გადაგვარჩინა. ქალაქ სალიტულას შესასვლელს დღესაც აწერია ამ წიგნის უმთავრესი კანონი — „ბოროტება ამახინჯებს ადამიანს, მშვენიერ ქვეყანას მხოლოდ მშვენიერი ადამიანები იმსახურებენ".

დარწმუნებული ვარ, რაც ჩვენს თავს ხდება, ჩვენი შეცდომების ბრალია. მსაჯულის წიგნი კი გვასწავლის — როგორ ვიცხოვროთ შეცდომების გარეშე. უბრალოდ, კითხვებზე პასუხები ისეა შენიღბული, მკითხველს გაგება უჭირს. უგუნურმა შეიძლება მცდარი დასკვნებიც გამოიტანოს. მსაჯულის წიგნი დღესაც გვკარნახობს, როგორ ვიპოვოთ სწორი გზა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მისი წაკითხვა ყველა მოკვდავს არ შეუძლია, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ასე იყო უწინაც და ასეა დღესაც... — უეცრად ჯუფრა გაჩუმდა და ჩაფიქრდა.

ოთახში სიჩუმემ დაისადგურა. ლილეს უნდოდა თხრობის გაგრძელება ეთხოვა, მაგრამ გრძნობდა, მოხუცის ფიქრები ძალიან შორს წასულიყო, კვამლის წამკითხველი გარშემო ველარავის ხედავდა.

— ჯუფრა, ჩაგეძინა? — შეუძახა ბაკუბამ ძმას.

— არა, არა! — გამოერკვია ჯუფრა. — აბარდაგანი ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობდა მანამ, სანამ ქვეყნის მმართველი ატა II-ის ვაჟები წამოიზრდებოდნენ. ატას ორი შვილი ჰყავდა, უფროსი სულა თავაშვებული ცხოვრების მოტრფიალე იყო, ნადირობისა და გართობის მეტი არაფერი აინტერესებდა. თუკი ვინმე მის სურვილს არ აასრულებდა, დაუნდობელ მხეცად იქცეოდა. ერთხელ შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ცოლად გრძნეულთა გვარის შთამომავალი ჩამოიყვანა. ან სად მიაგნო მათ ადგილსამყოფელს?! იმ ქალმა სულ აურია ისედაც არეული ჭკუა-გონება. ბევრჯერ დაუქადნია თურმე, როცა აბარდაგანის მმართველი გავხდები, მსაჯულის წიგნს დავხევ და ყველას თავისუფლებას ვაჩუქებო. ასეც მოიქცეოდა, მისთვის ხომ ადათი, წესი და კანონი არ არსებობდა. მიმდევრებიც გამოუჩნდნენ —

ქაოსის მომღერლები დაარქვა. სულა ცალკე ტამრიტელებს შეუჩნდა, მხარი მე დამიჭირეთ და იტურის ტყეებს ერთიანად გავჩეხავო, ცალკე იტურელებს დაჰპირდა, ტამრიტელებს უდაბნოში გადავასახლებო. მოკლედ, არია ქვეყანა. ჯარიც კი აღარ იყო ერთსულოვანი, ნაწილი სულას მიემხრო და დაიწყო ომი — ძმა ძმას არ ინდობდა. საბოლოოდ, სულა დამარცხდა და ქაოსოს მომღერლებთან ერთად ჩრდილოეთის მთების გადაღმა ცოლის ნათესავებთან, გრძნეულთა ქალაქ ომდურმანში გადაიხვეწა. ძალიან დიდი ხანი მათ შესახებ არაფერი ისმოდა, მაგრამ სულას შთამომავლებს რა მოასვენებდათ? მას შემდეგ ომი და შფოთი არ მოკლებია აბარდაგანს. მტერმა დაჰყო და დააქუცმაცა. მსაჯულის წიგნის რწმენისა და ერთგულების გარეშე კი გრძნეულებმა ადვილად მონუსხეს მთელი მხარეები. მართალია მიწებჩამოჭრილ და ქვეშევრდომებდაკარგულ აბარდაგანს მტერი მოყვარეზე მეტი ჰყავს, — ერთგული შვილების მეოხებით მაინც ფეხზე დგას. მაგრამ, რაც დრო გადის, ძალას უფრო და უფრო კარგავს. გრძნეულები ბუნებასაც არ ინდობენ. თავად ნახე, რა დღეში ჩააგდეს ჩვენი მიწები, ალაგ-ალაგ დარჩენილ ტარუტოს უძვირფასეს ხეებსაც კი ფესვებიანად თხრიან და ომდურმანში მიაქვთ.

სულას გაქცევის შემდეგ, როგორც გითხარი, ერთი პერიოდი, აბარდაგანი თანდათან დამშვიდდა, სალიტულა ულამაზესი შენობებით დამშვენდა, შადრევნებითა და ბაღებით მოირთო. მის მშვენებაზე არაკები დადიოდა. განსაკუთრებით დედოფალ რანავალონას მმართველობის დროს გალამაზდა სატახტო ქალაქი. სწორედ მან დააწერინა კარიბჭის თავზე სიტყვები მსაჯულის წიგნიდან. მისი დედოფლობის დროს ლაჟვარდ ცაზე შეფენილ ატმის ყვავილს დაემსგავსა სალიტულა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ქალაქი. დედოფალმა ქალაქში საცხოვრებლად მარტო ისინი დატოვა, ვისაც ღირსეულად, ანუ ლამაზებად თვლიდა — აქაოდა, მსაჯულის წიგნში წერია — მხოლოდ ბოროტება ამახინჯებს ადამიანსო. მთელი ქვეყანა ერთი ქალაქის კეთილდღეობისთვის შრომობდა. რანავალონამ სალიტულა აბარდაგანს გულიდან ააგლიჯა. ქვეყანა და ქალაქი ერთმანეთს დაშორდა და მტრადაც კი იქცა.

დედოფალმა ქალაქში ხამი ტანსაცმლის ტარება აკრძალა, ყველას აბრეშუმსა და ფარჩა-ატლასში გამოწყობილებს უნდა ევლოთ.

დედოფალ რანავალონაზე გაბრაზებული ბევრი სოფელი ქაოსის მომღერლებს მიემხრო. დედოფალი ვერ ხვდებოდა, რომ ერთი ქალაქის გაბრწყინებით მთელი ქვეყანა თავზე ენგრეოდა. ამპარტავნობასა და მედიდურობაში ჩაძირული მცხოვრებლები დანარჩენ ქვეყანას ზიზღით უყურებდნენ და მის ტკივილსა და დარდს ყურთ არ იღებდნენ.

ერთხელ ქალაქის კარიბჭეს ლუფის ძაფისაგან მოქსოვილი ხამი პერანგით შემოსილი მოხუცი მიადგა და ქალაქში შესვლის ნება ითხოვა. მცველებმა საბრალოს ძაღლები მიუქსიეს. დავრდომილი მოხუცი გალავანს გარეთ მცხოვრებმა ერთმა საცოდავმა ოჯახმა შეიკედლა და ძლივს მოასულიერა. დიასახლისი ღამეებს უთევდა საბრალოს, შვილებს საჭმელს აკლებდა და მას უწილადებდა. ერთი კვირის თავზე მოხუცის ნაცვლად ოჯახს ულამაზეს ტანსაცმელში გამოწყობილი მშვენიერი ჭაბუკი წარუდგა. უცნობს ბესანჯიც ახლდა თან. მან მადლობა გადაუხადა სახლის პატრონს და წერილი გადასცა, რომელიც სამი დღის შემდეგ უნდა გაეხსნათ. თავად ისევ ქალაქისკენ გასწია.

ამჯერად მცველებს ვინაობაც კი არ უკითხავთ, ისე შეუშვეს ქალაქში. არც დედოფალთან შესახვედრად დასჭირვებია დიდი ლოდინი.

დედოფალმა უცხო სტუმარი მიმოზებისა და იასამნების ბაღში მიიღო. იქაურობას გედივით ყელმოღერებულ ასულთა ნაზი ჰანგები ატკბობდა.

— როგორ მოგეწონა ჩემი ქალაქი, — შესვლისთანავე ჰკითხა უცნობს დედოფალმა.

— მშვენიერია! — მიუგო მან. — ქალაქში რომ შემოვდიოდი, შენმა მცველებმა ერთ საწყალ, უდანაშაულო გლახაკს ძაღლები მიუსიეს...

— აღარ გააგრძელო ჩემთან ამ უსაძაგლესი სიტყვების წარმოთქმა! — მკაცრად გააწყვეტინა რანავალონამ.

— კი მაგრამ, რა ვთქვი ასეთი? — გაუკვირდა უცნობს.

— ნუთუ ვერ ხვდები, რა დიდი დანაშაული მიუძღვის ამ მოხუცს აბარდაგანის წინაშე?

უარის ნიშნად სტუმარმა თავი გააქნია.

— მისი სული ბოროტებამ ისე შეჭამა, რომ გლახაკად და დაჩამიჩებულ ბებრად აქცია. ჩემს ბრწყინვალე ქალაქს კი მხოლოდ მშვენიერი ადამიანები იმსახურებენ. ასეც წერია მსაჯულის წიგნში.

უეცრად ჭაბუკმა ხელი ხელს შემოჰკრა და სწორედ იმ საწყალ

მოხუცად გადაიქცა, რომელზედაც ცოტა ხნის წინ ყვებოდა. დედოფალს ელდა ეცა. მსახურებს მისი შეპყრობა უბრძანა, მაგრამ უცნობმა სტუმარმა ყველა ადგილზე გააქვავა.

— დედოფალო! — უთხრა მკაცრად რანავალონას. — ხვალ დილით დაინახავთ თქვენს ჭეშმარიტ მშვენიერებას. ძველ დიდებას კი მაშინ დაიბრუნებთ, როცა თქვენი შთამომავალი ისევ სალიტულას ტახტის ღირსი გახდება. დიდი მსაჯულის სახელით, დღეიდან შერისხულები იქნებით!.. — თქვა მან და გაუჩინარდა.

მეორე დღიდან, ქალაქის ყველა გაამპარტავნებული მცხოვრებლის სახე მისი სულის ანარეკლი გახდა. დედოფალ რანავალონას უმშვენიერესმა სახემ მგლის იერი მიიღო. სასოწარკვეთილი დედოფალი დიდი მსაჯულის წიგნს მივარდა, მაგრამ წიგნმა ახლოსაც არ გაიკარა, მაშინ დედოფალმა ქალაქის დატოვება ბრძანა და თავის ქვეშევრდომებს მიტოვებულ და ნანგრევებად ქცეულ ქალაქ ბიგოსკენ გაუძღვა. არავინ უწყის, თავად მიიღო რანავალონამ ეს გადაწყვეტილება, თუ მსაჯულის წიგნმა უბრძანა. ხოლო, როცა უკანასკნელმა მცხოვრებმა ქალაქი დატოვა, ქვეყნის ყოველ კუთხეკუნჭულში გაისმა სალიტულას ნგრევის საშინელი ხმა.

სამი დღის შემდეგ ოჯახმა, რომელმაც უცნობი შეიკედლა, წერილი გახსნა. მასში ეწერა, რომ ახალი დედაქალაქი უნდა აეშენებინათ იმ წითელ კლდოვან შემაღლებაზე, რომელიც ქალაქის ნგრევის შემდეგ წარმოიშვა. ხოლო აბარდაგანის მართვა უცნობის მასპინძელ ოჯახსა და მათ შთამომავლებს გადაეცემოდა მანამდე, სანამ ისინი არ დაბრუნდებოდნენ, ვისაც არ ელიან. დღესაც აბარდაგანს იმ ოჯახის შთამომავლები მართავენ. რომ გითხრა, ააყვავეს-მეთქი, მოვიტყუები. ქვეყნის საქმე ნელ-ნელა უკან მიდის. მაგრამ ეს არც მთლად მათი ბრალია. ძნელია იმეფო, როცა მეფობისთვის არ ხარ დაბადებული. იმ დღიდან აბარდაგანი ელოდება მათ დაბრუნებას, ვისაც არ ელიან. ეს სიტყვები წინასწარმეტყველებაზე მეტად გამოცანასა ჰგავს და ამ გამოცანის ამოხსნას უკვე მერამდენე თაობა ამაოდ ვცდილობთ.

— რთული ქარაგმა გქონიათ ამოსახსნელი! — დაეთანხმა ლილე ჯუფრას.

— ხანდახან მგონია, ამ ქარაგმის პასუხს მაშინ შევიტყობთ, როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან... — მწარედ ამოიხვნეშა ჯუფ-

რამ და ბაკუბას გასაგონად დაურთო: — თუ რამე გამომრჩა, შენ დაამატეო.

— ყველაფერი შესანიშნავად მოყევი, მაგრამ ერთი ჩვენი ჩვევის შესახებ დაგავიწყდა გეთქვა.

— მაინც რა გამომრჩა ასეთი? — მხრები აიჩეჩა ჯუფრამ.

— აბარდაგანელები ხანდახან ვსადილობთ ხოლმე.

რამდენიმე წუთში მასპინძელმა მსახურს სუფრა გააშლევინა.

— ეს რა მოგვართვი? — ჰკითხა ჯუფრამ ძმას.

— კომშში ჩახრაკული გარეული ციკნის ხორცი. ჩემი მზარეული საუცხოოდ ამზადებს.

სადილი მართლაც ჩინებული გამოდგა.

თავი მესამე

ომდურმანი – გრძნეულთა და ქაოსის მომღერალთა ქალაქი

სამეფო ტახტის თავზე ცხენზე ამხედრებული სულა I-ის უზარმაზარი სურათი ეკიდა. მარცხენა ხელით სიძულვილით სავსე თვალები მოეჩრდილა და, ძმისგან დამარცხებული და გაძევებული, უკან სალიტულასკენ იმზირებოდა. ეს სურათი სულამ თავისი შვილისთვის, სულა II-თვის დაახატვინა და აბარდაგანის სიძულვილთან ერთად სახსოვრად დაუტოვა. წლების განმავლობაში ნახატი იცრიცებოდა, ფერები სიხასხასეს ჰკარგავდა, მხოლოდ სალიტულას დანგრევისა და მისი გაცამტვერების სურვილი იკრებდა ძალას და გრძნეულთა, ახლა უკვე ქაოსის მომღერალთა ქალაქის – ომდურმანის მმართველთა ავადმყოფურ მიზნად იქცა. სულა I-მა ისიც კი დაიბარა, ყველა ჩემმა შთამომავალმა პირველ ვაჟს სულა დაარქვას. მხოლოდ მაშინ დამშვიდდება ჩემი სული, როცა მთელი აბარდაგანის მმართველი ჩემი შთამომავალი, სახელად სულა იქნებაო. თუ მართლა ასე იყო, მისი სული დიდ შფოთვაში უნდა ყოფილიყო, რადგან მრავალი წლისა და მრავალი ომის შემდეგ სულა I-ის შთამომავალი სულა, შვილის დაბადების მოლოდინში დარბაზში ბოლთას რომ სცემდა და დროდადრო გაძევებული წინაპრის სურათს ახედავდა, მხოლოდ ომდურმანის მმართველი იყო.

– ვაჟია, ვაჟი! – მოესმა სულას დედის ხმა. დარბაზში მაღალი, თმაგათეთრებული ქალი ჩქარი ნაბიჯით შევიდა და შვილს მოეხვია.

ქალს ატლასის შავი კაბა ეცვა, გრძელფოჩებიანი წითელი სარტყელი წელზე რამდენჯერმე ჰქონდა შემოვლებული, შუბლზე კი გრძნეულთა ნიშანი – ორი რგოლი ეხატა.

– კიდევ ერთი სულა! – ამაყად წარმოთქვა ქაოსის მომღერალთა

მმართველმა და დიდი წინაპრის სურათს ამაყად ახედა.

— გმადლობ, შვილო!

— მადლობას რატომ მიხდი, დედა! — გაიკვირვა სულამ.

— ბავშვს რომ სულა დაარქვი. — მიუგო ქალმა.

— აბა, რა უნდა დამერქმია?

— ხმები მომივიდა, შენი ცოლი ბავშვისთვის სხვა სახელის დარქმევას აპირებსო! — კბილებში გამოსცრა დედა-დედოფალმა.

— ასაიმ კარგად იცის, ჩემს პირველ ვაჟს სულას რომ ვარქმევ. უარის თქმას ვერც გაბედავს. უბრალოდ, მთხოვა, ჩვენს შვილს მე მეორე სახელს დავუძახებო.

— უბრალოდ გთხოვა?! არამც და არამც!

— დედა ხარ და მისი გაგება არ უნდა გაგიჭირდეს. აგერ რამდენი წელია, ყველა ჩემს წინაპარს სულა ერქვა, ყველა აბარდაგანთან ბრძოლაში დამარცხდა და ბრძოლის ველზე დაიღუპა. ასაის ჰგონია, მეორე სახელი ჩვენს შვილს ასეთ ბედს ააცილებს.

— და შენ ამის ნება მიეცი?

— ჯერ არა.

— დამიჯერე, არც მისცე. ისიც ეყოფა ჩემს შვილიშვილს, დედა გრძნეული რომ არა ჰყავს.

— რა მოხდა მერე? სულა I-საც ხომ არ ჰყავდა გრძნეული დედა.

— არადა, კარგი იქნებოდა რომ ჰყოლოდა, იმდენ შეცდომას არ დაუშვებდა და ახლა აბარდაგანის მმართველი შენ იქნებოდი.

— არ ვიცი, იმან რა შეცდომები დაუშვა, მაგრამ აბარდაგანის მმართველი რომ ნამდვილად ვიქნები, ამაში დარწმუნებული ვარ! ახლა წავალ, ჩემს პირმშოს ვინახულებ — პატარა სულას! — ბავშვის სახელი სულამ განსაკუთრებული სიამაყით წარმოთქვა, დედას დაეთხოვა და დარბაზიდან გავიდა.

— რაც გითხარი, არ დაგავიწყდეს! — მიაძახა შვილს დედა-დედოფალმა.

დედა-დედოფალი ერთხანს ჩაფიქრებული, გაუნძრევლად იდგა. მერე სულა I-ის სურათს შეუბღვირა და დარბაზიდან გავიდა.

* * *

ნახევრადბნელ საკანში კედლებზე გაბმულ ობობების ქსელთა მახეში გამომწყვდეული მწერების ყრუ ბზუილის მეტი არაფერი ისმოდა. ტისომ მბჟუტავი ჭრაქით ერთი ასეთი მსხვერპლი იპოვა და გაათავისუფლა, თან უკმაყოფილოდ ჩაიბუტბუტა: რა სულელი ყოფილხარ, საკუთარი ფრთებით აქ რამ შემოგიყვანა. ცოტა ადგილია, სადაც შეგიძლია ლაღად იფრინო? ნეტა მე მქონდეს ფრთები, ამ წყეულებს თავი რომ დავაღწიო. ტისომ განთავისუფლებულ პეპელას თვალი გააყოლა. მწერი ამაოდ ეძებდა სარკმელს, დაღლილ-დაქანცულმა პატარა შვერილზე რამდენჯერმე შეისვენა.

— გატყობ ისევ ქსელში გაეხვევი, შე საცოდავო! — ჩაიბურტყუნა ტუსაღმა, პეპელა მუჭში მოიქცია და სარკმლიდან ფრთხილად გაუშვა.

— ეჰ, პეპელავ, პეპელავ, — ამოიხვნეშა ტისომ, — ლაპარაკი რომ შეგძლებოდა, ხომ მეტყოდი, ახლა ვინ უფრო საცოდავია, მე თუ შენ.

საკლიტურში გასაღების მორგების ხმა გაისმა. ტისო სარკმელს მოშორდა და ქვის ტახტზე ჩამოჯდა. კარი გაიღო და საკანში ორი შეიარაღებული მცველი შემოვიდა.

— წამოდი, დედა-დედოფალი გიხმობს! — უხეშად უბრძანა ერთმა.

მცველებმა ტუსაღს ხელზე ბორკილი დაადეს, შუაში ჩაიყენეს და ომდურმანის საპყრობილიდან საიდუმლო გვირაბით დედა-დედოფალს მიუყვანეს. როგორც კი გრძნეულმა ქალმა ხელბორკილებს მოჰკრა თვალი, განრისხებულებმა მცველებს შეუყვირა: — რამდენჯერ უნდა გითხრათ, ამ კაცის ხელებს გაუფრთხილდით-მეთქი. ხელბორკილი ახსენით ახლავე!

მცველებმა ტისოს ხელები სასწრაფოდ გაუთავისუფლეს.

— დაგვტოვეთ! — ბრძანა დედოფალმა.

— მარტო როგორ დაგტოვოთ, დიდო ქალბატონო? — შებედა ერთმა.

— აბარდაგანის ყველაზე ცნობილი ნიღბების ოსტატი მსაჯულის წიგნის სწავლებას არასოდეს გადაუხვევს და ქალს არაფერს დაუშავებს. ასე არ არის, ოსტატო?

ტისოს სიმწრის ოფლმა დაასხა, მაგრამ ღიმილით დაეთანხმა. მესამე თვეა დატყვევებული იყო. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ უმტყუნა ნერვებმა. სიმშვიდეს ინარჩუნებდა ოსტატი. სწამდა,

სანამ მსაჯულის წიგნის ერთგული ვიქნები, გრძნეული ქალი ჩემს გულსა და გონებას ვერაფერს დააკლებსო. უიარაღო ქალზე, თუნდაც მტერზე, ხელის აღმართვით მსაჯულის წიგნს უღალატებდა. მოღალატეს კი გრძნეულთაგან რწმენის კედელი ვეღარ დაიცავდა.

— გატყობ, ისე ძალიან დაგჭირვებია ჩემი თავი, რომ სიცოცხლეც არად გიღირს. დაცვის გარეშეც კი დარჩი ჩემთან. გრძნეულებს თავი ბრძენებად მოგაქვთ, უმეცრები კი ბრძანდებით. როგორ იფიქრე, შენი ყოფნა-არყოფნა ჩემს სიმშვიდეზე უფრო მნიშვნელოვანია?

— გაჩუმდი, ბებერო, როგორ ელაპარაკები დედა-დედოფალს? — შეუყვირა ქალმა.

— შენ ჩემი დედოფალი არა ხარ, არც ყოფილხარ და არც არასდროს იქნები! — მშვიდადვე მიუგო ტისომ და ნებართვის გარეშე სკამზეც ჩამოჯდა.

— კარგი, ტისო! ჩხუბი რაში გვარგია. სჯობს ერთმანეთს დახმარება გავუწიოთ. ალბათ ათასი ნიღაბი გაქვს გაკეთებული, რა გახდა კიდევ ერთი, სულა I-ის, ნიღბის გამოჭრა. რას გთხოვ ისეთს, შეუძლებელი რომ იყოს? მე მხოლოდ სიცოცხლე მინდა შეგინარჩუნო, თორემ ოსტატის მოძებნას რა უნდა, რომელიც ჩვენს ბრძანებას სიხარულით შეასრულებს. არ დაგავიწყდეს, ერთადერთი არა ხარ. აი, შენი შვილი უსუმბა, სულას უკვე ერთი თვეა აქ ჰყავს.

ამის გაგონებაზე ტისოს გული შეეკუმშა. მოხუცი ოსტატი თავის სიცოცხლეს არ ჩიოდა. მთელი ცოდნა შვილისთვის ჰქონდა გადაცემული და სველი თვალების საიდუმლო მასთან ერთად არ დაიმარხებოდა. უსუმბა უნდა გადავარჩინოო, — გაიფიქრა ტისომ, — რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გადავარჩინო.

— ვიცი, მთავარს არ ამბობ. — მიუბრუნდა დედოფალს, მხოლოდ ჩემი სიცოცხლის გადარჩენისთვის არ ზრუნავ. რომ დაგთანხმდეთ და სულა I-ის ჩვეულებრივი ნიღაბი გავაკეთო, ისეთი, როგორიც ტუალანუს ბაზრობაზე ათასობით იყიდება, კმაყოფილი დარჩებით?

— არა მგონია არაჩვეულებრივი ოსტატის ჩვეულებრივმა ნიღაბმა ჩემი შვილი გაახაროს.

— აბა, სველთვალებიანი ნიღაბი რაში სჭირდება?

— ესე იგი მართალს ამბობს ხალხი, მართლა შეგიძლია სველთვალებიანი ნიღბის გაკეთება?

— ნიღბის ოსტატმა სიმართლე უნდა იცოდეს, სრულყოფილი ნაკეთობა რომ გამოუვიდეს. თქვენ კი არაფერს მეუბნებით.

— მართალი ხარ. ჩემი შვილი ახალგაზრდაა და გამოუცდელი. ძალიან ვწუხვარ, რომ სათანადო პატივს არ გცემს. აგიხსნი ყველაფერს. დარწმუნებული ვარ, როცა სიმართლეს შეიტყობ, ჩემს შვილს თხოვნაზე უარს არ ეტყვი. რა გგონია, ომდურმანელ დედებს გვიხარია, შვილებს რომ ბრძოლის ველზე ვტოვებთ? ვინც გვიბრუნდება — დამარცხებული და თავსლაფდასხმულია. რა ვქნათ, აქაური კაცების გულში სიძულვილისა და ბრძოლის ჟინის ჩაქრობა ვერ შევძელით. როგორც ამბობენ, სიბერეში სულა I ძალიან ნანობდა აბარდაგანის წინააღმდეგ რომ აჯანყდა. ძველ წერილებში ამოვიკითხე, პირველად სწორედ შენმა წინაპარმა ამოიცნო სველთვალებიანი ნიღბის შექმნის საიდუმლო და თავადაც გამოჭრა. იმის გაკეთებულ ნიღაბს ვინც სახეზე მოირგებდა, იმ ადამიანის ფიქრების, ცოდნის, ტკივილისა და სიხარულის თანაზიარი ხდებოდა, ვისი ნიღაბიც იყო დამზადებული. სველთვალებიანი ნიღბის მეშვეობით ნებისმიერი ადამიანის ორეულად გახდომა შეიძლება. ვიფიქრე, ჩემი შვილი თუ სულა I-ის ფიქრებს შეიცნობს, იქნებ მის გულში სინანულის გრძნობამ დაისადგუროს და აბარდაგანთან დაუსრულებელ ბრძოლაზე ხელი აიღოს-მეთქი. დამიჯერე, ნიღბის გაკეთებით აბარდაგანს დიდ სიკეთეს მოუტანდ.

— შენ თქვი, რომ უსუმბა აქ გყავთ. ჯერ მაჩვენეთ და მერე ვილაპარაკოთ! — წამოუყენა პირობა მოხუცმა ოსტატმა.

— ვიცოდი, რომ მის ნახვას მომთხოვდი. სამწუხაროდ, ჯერ ვერაფრით დაგეხმარები. ჩემს სიმართლეში რომ დარწმუნდე, მის ნახელავს გაჩვენებ.

— მისი ნახელავის ყიდვა ტუალანუს ბაზრობაზეც შეგეძლოთ.

— ისეთ ნაკეთობას გიჩვენებ, რომლის შესრულებას მხოლოდ აქ თუ შეძლებდა.

— ვერ დავიჯერებ. ჩემი შვილი თქვენი კარის ოსტატი არასდროს გახდებოდა.

დედა-დედოფალმა მაგიდიდან თეთრ ტილოში გახვეული ნივთი აიღო და ტისოს მიაწოდა. მოხუცმა ხელის კანკალით გახსნა ფუთა და სახტად დარჩა. მის წინ დედა-დედოფლის ნიღაბი იყო. ხელობა კი ნამდვილად უსუმბასი იქნებოდა, რადგან ხეზე ასეთი ჭრა მხოლოდ

მათი საგვარეულო საიდუმლოება იყო.

— იცანი? ახლა ხომ გჯერა, რომ უსუმბა აქ არის?

— ვიცანი! ვაი, რომ ვიცანი. მაგრამ იმასაც ვხვდები, დიდი სიხარულით რომ არ უმუშავია. ალაგ-ალაგ ხელიც კი აჰკანკალებია.

— ტისო, თუ გინდა შვილი ცოცხალი ნახო, გააკეთე სულა I-ის სველთვალებიანი ნიღაბი.

მოხუცმა ნიღბის ოსტატმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და დედა-დედოფლის ნიღბის თვალებს კიდევ ერთხელ დააკვირდა. სველი თვალების შესაქმნელად საჭირო ბროლი სწორად იყო შერჩეული, დამუშავებაც უბადლოდ იყო შესრულებული, ცოცხლისაგან ვერ განასხვავებდა კაცი. გუგას აშკარად ეტყობოდა ადამიანის ცოცხალი თვალისთვის დამახასიათებელი სისველე.

თითქოს ყველაფერი ზედმიწევნით იყო გაკეთებული, მაგრამ ოსტატის გულს მაინც ეჭვი ღრღნიდა. ნიღბის შემოწმების ერთადერთი საშუალებაღა რჩებოდა. მანაც ნიღაბი სახეზე აიფარა, მაგრამ ტისოს გონებას დედა-დედოფლის ერთი განცდა ან ფიქრიც კი არ შეხებია. ახლა კი მიხვდა ოსტატი. ნიღაბი ყალბი იყო: ამ ნიღბით ქვეყანას ისევ საკუთარი თვალით უყურებდი. უსუმბას გუგისთვის მაგიური შავი ებენის მერქნის მაგივრად გიშრის ქვა გამოეყენებინა. ჩემი შვილი ჩემზე ჭკვიანი გამოდგა, გაუელვა გულში მოხუცს, — მას დრო გაჰყავს.

— შესანიშნავი ნახელავია, — თქვა ტისომ, როცა ნიღაბი მოიხსნა. — ამას ჩემი შვილის მეტი ვერავინ გააკეთებდა. მაგრამ ეს სველთვალებიანი ნიღაბი მაინც არ არის. არც არის გასაკვირი. თვალებს დასველება სჭირდება.

— ანუ, გინდა თქვა, რომ შენმა შვილმა მოგვატყუა?

— მე ხომ არ ვიცი, რა გითხრათ ჩემმა შვილმა.

— უსუმბამ თქვა, ნიღაბი გაკეთებულია, მაგრამ მისი დასრულება არ შემიძლიაო. ამის უფლებას თავად ნიღაბი არ მაძლევსო. — დამარცვლით თქვა დედა-დედოფალმა.

— მართალი უთქვამს.

— არ მესმის, ამიხსენი.

— მკვახე ლუფისგან ძაფს ვერ დაართავ, მწვანე ყურძნისგან კი ღვინოს ვერ დაწურავ. ახლა გესმის? უსუმბა ჯერ ახალგაზრდაა.

— მესმის! — თავის ქიცინით მიუგო დედა-დედოფალმა.

— თუ ჩემს შვილს დღესვე გაათავისუფლებთ, სულა I-ის სველთვალებიან ნიღაბს დაგიმზადებთ, მხოლოდ ერთი პირობით.

— გისმენ... რა პირობაა ასეთი! — იმედის ნაპერწკალმა მსწრაფლ აანთო დედა-დედოფალი.

— სანამ სულა I-ის ნიღაბს გავაკეთებ, შენს ნიღაბს ვაქცევ სველთვალებიანად, რომ არ მომატყუოთ და ჩემი შვილი მართლა გაათავისუფლოთ. — მიუგო ტისომ.

— თანახმა ვარ! — მაშინვე დაეთანხმა დედა-დედოფალი.

— ეს ნიღაბი ჩემთან იქნება! — ტისომ ნიღაბი ისევ ტილოში გაახვია.

— შენთან იყოს, შენთან... ახლა თქვი, სველთვალებიანი ნიღბის გამოსაკვეთად რა გჭირდება!

— ტარუტოს ნაჭერი, კარგი საჭრეთელი, პატარა ჩაქუჩი, მთის ცისფერი წმინდა ბროლი, სულა I-ის სურათი, მისი ნაწერები და მასზე დაწერილი ყველაფერი, რაც კი რამ გაგაჩნიათ. და რაც მთავარია... ორი თასი, ერთი ადამიანის ცრემლით სავსე, მეორე კი — ადამიანის დამწვარი თმის ფერფლით. როცა ყველაფერ ამას მომიტანთ, მიიღებთ სულა I-ის სველთვალებიან ნიღაბს.

დედა-დედოფალმა მცველებს უხმო და უბრძანა: ტისო მშრალ და თბილ ოთახში გადაეყვანათ, პატივისცემით მოპყრობოდნენ, მოვლა-პატრონობა არ დაეკლოთ და ნიღბის გასაკეთებლად ყველა საჭირო იარაღით მოემარაგებინათ.

— სიტყვა სიტყვაა! არ დაგავიწყდეს, ტისო! — უთხრა დედა-დედოფალმა გასვლისას ოსტატს.

— როგორც ტუალანუს გარიგებას წყალი არ გაუვა, ისე ჩემს სიტყვას, შეგიძლია მშვიდად იყო. მხოლოდ არ დაგავიწყდეს, ამ გარიგებაში შენც რომ მონაწილეობ. — მიუგო ტისომ და მცველებს გაჰყვა.

— გრძნეულებს უმეცრები გვიწოდე, თავად კი სატყუარა გამოუცდელ ლიფსიტასავით უმალ გადაყლაპე. — კარის მიხურვისთანავე ჩაიქირქილა დედა-დედოფალმა. — ესეც ასე! — შემოჰკრა ტაში გრძნეულმა ქალმა. — დროა ახალი ამბავი ჩემს შვილს ვუამბო!

მმართველი შვილის სანახავად არისო, მოახსენეს დედა-დედო-

ფალს. ასაის მოსასვენებელში შესვლას კი გაურბოდა, მაგრამ ახლა ეამა კიდეც რძლის თანდასწრებით რომ გაახარებდა შვილს.

სულა ცოლის გვერდით იჯდა და ბავშვი ხელში ეჭირა. პატარას ტკბილად ეძინა. დედა-დედოფალი ოთახში ხმაურიანად შევიდა.

— სასიხარულო ამბავი მოგიტანე, შვილო! — შესვლისთანავე მიახარა სულას.

სულა პატარაობიდანვე მიჩვეული იყო, დედის შემოსვლისას მაშინვე ფეხზე წამოიჭრებოდა ხოლმე და ამ ჩვევას მმართველად გახდომის შემდეგაც ვერ ღალატობდა. მაგრამ ახლა, მძინარე ბავშვიანად ხომ არ წამოხტებოდა, ამიტომ არც კი განძრეულა. დედა-დედოფალს მაშინვე თვალში მოხვდა სულას ასეთი საქციელი, მაგრამ ნირი არ შეიცვალა, შვილს მიუახლოვდა და კიდევ ერთხელ ხმამაღლა გაუმეორა:

— სასიხარულო ამბავი მოგიტანე, შვილო!

ხმაურზე პატარამ ტუჩი აიპრუწა და დაისლუკუნა.

— ბავშვი გაგიღვიძეთ? — შეწუხდა დედა-დედოფალი.

— არაფერია, გალი-გალას ჭამის დრო მოუვიდა, მაინც უნდა გამეღვიძებინა, — მიუგო ასაიმ, სულას ბავშვი ჩამოართვა და საჭმელად გვერდზე გაიყვანა.

ბავშვის სახელის გაგონებაზე დედა-დედოფალი სახტად დარჩა. მის შვილიშვილს — სულას დედამ გალი-გალა დაუძახა. გალი-გალა გრძნეულთა უძველესი სახელი იყო და კეთილ გულს ნიშნავდა. დიდი ხანი იყო, რაც ამ სახელს ბავშვებს აღარ არქმევდნენ.

— დიდი მადლობელი ვარ შენი, ასაი, და განსაკუთრებით კი შენი, სულა, ბავშვისთვის ჩემს პატივსაცემად გრძნეულთა სახელი რომ დაგირქმევიათ. არ ვიცოდი. ძალიან გამახარეთ, ძალიან!.. — დედა-დედოფალმა ამ სიტყვებს გულში დაგროვილი მთელი ღვარძლი ამოაყოლა.

— რას ამბობ, დედა! — ახლა კი ფეხზე წამოხტა სულა და ცოლს ცალი წარბი აუწია. — ჩემს პირმშოს სულა ჰქვია, ასაიმ გალი-გალა მოფერებით დაუძახა მხოლოდ.

— სულა, ვერ ხედავ, ამ სახელმა როგორ გაახარა დედა-დედოფალი, მოდი, მეორე სახელად მართლაც გალი-გალა დავარქვათ პატარას? — განსაკუთრებული მოწიწებით სთხოვა ასაიმ ქმარს. სულამ

ცოლს ყური არ ათხოვა და დედას ჰკითხა:

— რა გასახარი ამბავი მოიტანე, აღარ იტყვი?

— ტისო თანახმაა, შვილო, სულა I-ის სველთვალებიანი ნიღაბი გააკეთოს!

— მაშ, ჩვენმა გეგმამ გაამართლა, ტისო მახეში გაება! — სულამ კმაყოფილების ნიშნად დოინჯი შემოიყარა და მიტრიალ-მოტრიალდა, ცოლს მოერიდა, თორემ დედას პატარა ბავშვივით გულში ჩაეკვრებოდა.

— მხოლოდ ამისთვის ორი თასის ავსება მოგვიწევს, ერთის — ცრემლით, მეორის — დამწვარი თმის ფერფლით.

— ამაზე ადვილი რა არის? ახლავე გავცემ განკარგულებას, მთელ ომდურმანს ფეხზე დავაყენებ. ორს კი არა, ათასს მივართმევ.

* * *

დედა-დედოფლის გვერდით ასაის სული ეხუთებოდა. მისგან მომავალი მედიდურობა და სიძულვილი მშვიდ ცხოვრებას უმწარებდა. ახლაც, როცა მარტო დარჩა, თითქოს ყელში წაჭერილი თოკი მოეშვა და შვებით ამოისუნთქა.

„რა ვიღონო?" — გამწარებული ფიქრობდა ახალგაზრდა ქალი, — „დედა-დედოფალი ქმარსაც დამიღუპავს და შვილსაც". სულას ძალიან უყვარდა თავისი ახალგაზრდა დედოფალი. ანებივრებდა კიდეც, მაგრამ ომდურმანის საქმეებს ახლოს არ აკარებდა. მხოლოდ დედა-დედოფალს შეეძლო სულას დამოძღვრა. ასაი ძალიან ფრთხილად იქცეოდა, დედა-დედოფალი რომ არ გაეღიზიანებინა. ვერც ქმარს უწევდა წინააღმდეგობას. ამჯერადაც მშვიდად მოისმინა, როცა სულამ მოახსენა — ომდურმანში ტარუტოს მერქნისგან უძლიერეს ჯარისკაცებს თლიან, რომლებსაც ვერც ხმალი დააკლებს რამეს და ვერც ისარი, ვერც ცეცხლი შთანთქავს და არც წყალში ჩაიძირებიან. ყველას კი დედა-დედოფალი და სხვა გრძნეულები სულა I-ის სველთვალებიანი ნიღბით გააცოცხლებდნენ, სულა I-ის მსგავსად, აბარდაგნის სიძულვილით აღსავსე გულებით. მაშინ კი დააქცევდნენ და მიწასთან გაასწორებდნენ აუღებელ სალიტულას, ვინც ცოცხალი

გადარჩებოდა, მონუსხავდნენ და მონებად აქცევდნენ. დედოფლის მოტანილ ამბავს ასაი ვერ იჯერებდა, დარწმუნებული იყო, ტისო ცოცხალი თავით არ დათანხმებოდა სულა I-ის სველთვალებიანი ნიღბის გაკეთებას. ორი თასის ამბავიც უცნაურად ეჩვენა.

ასაიმ ბავშვი გულში მაგრად ჩაიკრა, პატარა შეიშმუშნა, ტუჩები ააცმაცუნა და ტირილი დააპირა.

— არა, დედი, არ იტირო! — დაამშვიდა ასაიმ, — სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, გრძნეულთა ბოროტების ბუნაგს მოგაშორებ და შენს გულს სიძულვილს არ მივაკარებ. ამ ფიქრებში იყო, რომ კარი ფრთხილად გაიღო და ოთახში მისი ძმა, ცებაი, შემოვიდა.

— გაიგე, ახალი ამბავი, ტისო დათანხმდა! — მიახარა დას.

— ცებაი, შენ რაღა მოგივიდა, სულ მაგათნაირი გახდი. რა გიხარია, კიდევ ერთი დიდი ომი არ აგვცდება. — უსაყვედურა ასაიმ.

— მე მაგაზე არ მიფიქრია. ტისოს თანხმობა კი იმიტომ გამიხარდა, რომ აღარ მოკლავენ. ხომ არ გავიწყდება, მისი გაზრდილი ვარ. მართალია, მონუსხული ვარ და ქაოსის მომღერალთა საწინააღმდეგოდ ვერაფერს ჩავიდენ, ყველაფერში მათ ვემორჩილები, მაგრამ ვერანაირი მოჯადოება ვერ დამავიწყებს იმ სიკეთეს, რაც ტისომ ჩემთვის გააკეთა. შვილივით მზრდიდა, უსუმბასაგან არაფრით მარჩევდა. ოჯახის უდიდესი განძი — ნიღბების გაკეთებაც კი უშურველად მასწავლა. მაგრამ შემომიჩნდნენ ეს წყეულები, — ცებაიმ გაბრაზებით კარებისკენ გაიხედა, თითქოს მის მილმა მთელი გრძნეულეთი ეგულებოდა. — როცა მივხვდი, ტისოს სველი თვალების საიდუმლოც უნდა გაენდო ჩემთვის, მივატოვე იქაურობა. კიდევ კარგი, იციან, მოხუცი ჭკვიანია და მონუსხული რომ ვარ, მაშინვე მიხვდება. ამიტომაც ტისოს დაკარგულ შვილად ვეღარ წარუდგენენ ჩემს თავს.

ასაი, დარწმუნებული იყო, ძმა ალალად ნაღვლობდა ტისოს ბედზე, მაგრამ მას სულ არ ადარდებდა, ომი იქნებოდა თუ არა, მონუსხავდა თუ არა მთელ ქვეყნიერებას დედა-დედოფალი. ვერც ადანაშაულებდა ცებაის — სხვა მონუსხულებთან შედარებით, მადლიერების გრძნობა მაინც შერჩენოდა. ასაის ებრალებოდა ძმა, არ იცოდა, როგორ ეშველა მისთვის, მრავალი წლის წინ დაკარგული შემთხვევით იპოვა, მართალია, უკვე მონუსხული, მაგრამ ბედის მაინც მადლობელი იყო. არც ის სწყინდა, ძმა მის ერთადერთ შვილს რომ არ კითხუ-

ლობდა. მონუსხულ ცებაის მხოლოდ ძველი სიყვარულის გახსენება შეეძლო, ახლის შეგრძნება კი არ ძალუძდა.

— ჩემს პატარას დახედე, ცებაი, — სთხოვა ასაიმ ძმას.

ცებაი ბავშვთან მივიდა და კარგად დააკვირდა, როცა მის შუბლზე მკრთალ რგოლებს მოჰკრა თვალი, ელდანაკრავივით უკან გადახტა.

— რა მოგივიდა? — შეცბუნდა ასაი.

— მის შუბლს დააკვირდი, ისიც გრძნეულია! — ნიღბების მჭრელის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია ბავშვის შუბლზე მკრთალად აღბეჭდილი სამი რგოლი.

— რას ამბობ, ცებაი! რაღაც გეჩვენება, გალა ჩვეულებრივი ბავშვია. — ასაის გულზე მოხვდა ცებაის სიტყვები.

— რა ვიცი, დაიკო, მე ჩემი ვთქვი. დრო გიჩვენებს, პატარა სულა გრძნეულია თუ...

— სულა კი არა, გალი-გალა... — შეუსწორა ასაიმ.

— კარგი, გალი-გალა გრძნეულია თუ ჩვეულებრივი ბავშვი, ამას მალე უჩემოდაც მიხვდები. ახლა წავალ. სულ ცოტა ხნით გამომიშვეს შენთან. კარგად იყავი, ჩემო დაიკო. ერთად მოსტაცეს ჩვენი თავი მშობლებს, მე ადამიანებთან ვიზრდებოდი და იქ მომნუსხეს, შენ — ქაოსის მომღერლებთან, მაგრამ მოუნუსხავი დარჩი, თანაც დედოფლად დაგისვეს, ასე რომ, ნუ გეშინია, გალი-გალა თუ მართლა გრძნეულია, სულაც არ არის აუცილებელი მის ნაფეხურებზე ბალახი არ ამოდიოდეს, მის შემხედვარე ხეებს ფოთლები დასცვივდეს, ადამიანები კი პირუტყვ-მონებად გადაიქცნენ. თავს გაუფრთხილდი. არავის ენდო აქ, მეც კი. სამწუხაროდ, ვერაფერში დაგეხმარები.

ცებაიმ დას თავზე აკოცა, ბავშვის საფენებს კი მხოლოდ ოდნავ შეეხო, ესეც იმიტომ, რომ დისთვის ესიამოვნებინა, და ოთახიდან გავიდა.

ცებაის გასვლისთანავე ასაიმ ბავშვი სარკმელთან მიიყვანა და შუბლზე კარგად დააკვირდა, როცა ვერაფერი დაინახა, გული დაუმშვიდდა. გალი-გალას მზის სხივები სახეზე ეცემოდა, პატარამ თვალები მოჭუტა, კაშკაშა სინათლე არ სიამოვნებდა.

— მზე კარგია, შვილო, ის სინათლის მომტანია! — ესიყვარულებოდა ასაი შვილს და სარკმლიდან ბავშვის მოცილებას არ აპირებდა. მაგრამ უეცრად იგრძნო, ფეხები არ ემორჩილებოდნენ და მისდა უნე-

ბურად ბავშვი საწოლისკენ წაიყვანა. როცა გალი-გალა ფუმფულა ბალიშზე დააწვინა და მის გავარდისფერებულ სახეს დახედა, შუბლზე სამი რგოლი აშკარად დაინახა. რგოლები ძალიან სწრაფადვე გაუჩინარდა. ასაიმ შეჰკივლა. კივილზე მცველები შემოცვივდნენ.

— ხომ მშვიდობაა, დედოფალო?! — ჰკითხა ერთმა.

დაბნეულმა და შეცბუნებულმა ასაიმ მხოლოდ თავის დაკვრაღა მოახერხა.

— ნამდვილად? — დედოფლის პასუხს მცველი ვერ ენდო და გაუმეორა კითხვა.

— მშვიდობაა, ფეხი გადამიბრუნდა მხოლოდ... — ასაიმ ძლივს მოიკრიბა ძალა, მცველისთვის მშვიდად რომ უპასუხა.

მცველებმა ერთი მიათვალ-მოათვალიერეს ოთახი და გარეთ გავიდნენ.

ახლა კი დარწმუნდა ასაი ძმის სიტყვების სისწორეში — მისი შვილი გრძნეული იყო, თანაც ისეთი დიდი ძალის, რომ შუბლზე სამი რგოლი ერთად ეხატა და სულ თოთომ დედა აიძულა სარკმელს მოშორებოდა.

— შენი აქ დატოვება არ შეიძლება! — გადაწყვეტით თქვა ასაიმ, — დედა-დედოფალმა რომ გაიგოს, ვინა ხარ, შენს თავს ნამდვილად წამართმევს. და ვინ იცის, სულ პატარას რა საშინელებებს არ ჩაგადენინებენ. რაც ადრე გავიპარებით აქედან, მით უკეთესი იქნება შენთვის, ჩემთვის და მთელი აბარდაგანისთვისაც.

თავი მეოთხე

ბიგო – შერისხულთა ქალაქი

ქარავანი დინჯად მიუყვებოდა გამოუცდელი თვალისთვის თითქმის შეუმჩნეველ გზას, რომელიც უსწორმასწორო შავი ბაზალტის ციცაბოკლდეებიან ვეებერთელა ქვაბულს შუაზე კვეთდა და ნელ-ნელა ზევით ადიოდა. გამოცდილი ოკაპები ოსტატურად იკვლევდნენ გზას მიწიდან ამოზრდილ მონაცრისფრო-მოშავო ბასრ წახნაგებიან დასვრეტილ ქვებს შორის. შერისხულებმა ლილესაც შესთავაზეს ცხენის მაგივრად ოკაპს შეგიკაზმავთო, მაგრამ ლილემ იუარა, ცხენზე ჯდომას ვარ ჩვეულიო. ოკაპის მოგრძო თხელი სახე და პარტყუნა ყურები ლილეს ბოჩოლას უფრო აგონებდა, ვიდრე ცხენს. ლაქებიანი ცხენი როგორ არ ენახა, ბევრჯერ გაეჭენებინა კიდეც, მაგრამ ოკაპის ლაქები სულ სხვა იყო. ცხოველის მოშავო-მოყავისფრო ბეწვი ფეხებზე თეთრად იყო დაზოლილი, მუხლებიდან ჩლიქებამდე კი თეთრად უქათქათებდა.

ოკაპი დინჯია, მშვიდი და ჩლიქმაგარი, – აუხსნეს შერისხულებმა, ბასრმა ქვამ შემთხვევით ფეხიც რომ გაუჭრას, ცხენივით ყალყზე არ დადგება და მხედარს ძირს არ დააგდებს. აი, ცხენი სულ სხვაა. მტრისას, თუ გადმოგაგდო და ბაზალტის ქვებზე დაგახეთქაო. ამ დარიგების მიუხედავად, ლილემ ისევ ცხენი არჩია. ძვირფასი თვლების გაყიდვით აღებული ფულით შესანიშნავი ბედაური იყიდა და მასზე ამხედრებული გაჰყვა შერისხულებს ბიგოსაკენ.

– ადრე ამ ქვაბულის ადგილას ვრცელი აბიბინებული მინდვრები იყო გადაშლილი, – ფრთოსანი ლომების საუფლოს ეძახდნენ, ლოტების საძოვრებს ესაზღვრებოდა. ლეგენდები ამბობენ, რომ ეს სწორედ ის ადგილია, სადაც მზის შვილობილი ფრთოსანი ლომები სახლობდნენ – ადამიანივით გონიერი არსებები. – მთელი გზა ალი

ხან რას ყვებოდა, ხან — რას. ლილეს ალი არც ისეთი პირქუში ეჩვენა, როგორც ტუალანუში, უსუმბას ფარდულში, სადაც გაიცნო. თუმცა, ხანდახან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლილე დედოფლის შესახებ ჰკითხავდა რამეს, ალი ხასიათითაც მგელს ემსგავსებოდა და უმიზეზოდ იღრინებოდა.

— ახლაც არსებობენ ფრთოსანი ლომები? — ჰკითხა ლილემ.

— ხომ გითხარი, მათ შესახებ მხოლოდ ლეგენდებს ყვებიანმეთქი. აბარდაგანში ხუმრობით ამბობენ კიდეც, არაფერი გეტკინოს ფრთოსანი ლომების დაბრუნებამდეო. მოკლედ, ცხოვრობდნენ თუ არა ფრთოსანი ლომები, არავინ უწყის, მაგრამ აქაურობა რომ ძირფესვიანად შეიცვალა, ამას წყალი არ გაუვა. უეცრად მიწა ძირს წავიდა, თითქოს ვიღაცამ გადაყლაპა, ეს უდაბური ქვაბული გაჩნდა და ქალაქი ბიგო მთლიანად მოწყვიტა გარე სამყაროს. ამიტომაც ქალაქი ნელ-ნელა დაიცალა. ამბობენ, გრძნეულთა ხელი ერია ფრთოსანი ლომების განადგურებაშიო. კაცმა არ იცის, ნამდვილია თუ მეზღაპრეები იფხანენ ენას. ჩვენ რომ ბიგოში მივედით, ქალაქი იქაურებს უკვე დიდი ხნის მიტოვებული ჰქონდათ.

თავდაპირველად ლილეს ძალიან გაუჭირდა ცხოველისთავიანი ადამიანების ცქერა, მაგრამ ნელ-ნელა მიეჩვია და მათი ერთმანეთისგან გარჩევაც შეძლო. ძირითადად მგლისთავიანები იყვნენ, თუმცა რამდენიმე ძაღლისა და ღორისთავიანიც ერიათ, ერთს კი ცბიერი ტურის იერი ჰქონდა და ლაპარაკის დროსაც ტურასავით ნკავნკავებდა. ლილესთან საუბარს, ალის გარდა, ყველა გაურბოდა.

— შენზე მითხრეს, ჯუფრას სტუმრობდაო, მიკვირს, როგორ არ დაგიშალა ბიგოში ჩვენთან ერთად წამოსვლა. — უთხრა ლილეს ალიმ.

— რატომ უნდა დაეშალა? — გაიკვირვა ლილემ.

— დავიჯერო, ჩვენზე არაფერი გიამბო?

— როგორ არა, მითხრა, ძველი დიდების დაბრუნებისთვის იბრძვიანო. დიდების დაბრუნების მსურველი ხალხი კი, დარწმუნებული ვარ, ბესანჯის პატრონს არაფერს დაუშავებთ, თანაც თქვენი დედოფალი იორუბას ნახვა თავადაც მინდოდა.

— შენ რა, იცნობ მას?

— მისი ნიღაბი ვნახე. თქვენცა გყავთ ნიღბის ოსტატები?

— რატომაც არა. ოღონდ ცხოველისთავიანები! — უეცრად გეს-

ლიანად თქვა ალიმ. ლილე ამჯერადაც ვერ მიხვდა, ასე უეცრად რამ შეუცვალა ხასიათი მის მეგზურს.

— მთავარია, ხელი და გული რომ გაქვთ ჩვენნაირი. — ალის ღვარძ-ლიან პასუხს ლილემ არხეინი ტონით უპასუხა.

ალი თავადაც ვერ მიხვდა, რამ გააცოფა, ერთი სული ჰქონდა სტუმარს ყელში სწვდომოდა. ბესანჯისა მოერიდა, შეეშინდა, თავის შეკავებას ველარ შევძლებო, საქმე მოიმიზეზა და ლილეს ჩამორჩა.

მეორე კვირის ბოლოს, როგორც იქნა, გალიეს ქვაბული და ის კლდოვანი შემაღლებაც, რომელიც გარშემო ერტყათ. ქარავანთან ერთად ცხენიდან ჩამოქვეითებულმა ლილემ ბაზალტის კლდეებში ზიგზაგად გაჭრილი ვიწრო გზა გაიარა და, როცა მეორე მხარეს გადაიხედა, მის წინ ზღაპრული სილამაზე გადაიშალა. მოშავო-მოი-ისფრო ბაზალტისა და ტუფის კლდეების ძირში თვალისმომჭრელად ლივლივებდა ვეებერთელა ტბა. სიოს სულ პატარა წამოქროლება-ზეც კი აბრეშუმივით ლაპლაპა ზურმუხტისფერი ზედაპირი მსუ-ბუქი ზვირთებით ისერებოდა. ტალღებზე არეკლილი მზის სხივები შავტერასოვან კლდეებზე ათასფერ ათინათებად თამაშობდა. ტბის შუაგულში პატარა კუნძულის თავზე ღრუბლებს შეეკრათ პირი და მათ ჩრდილქვეშ ტბის ფერი ზურმუხტისფერი სილურჯიდან მოყ-ვითალო სიმწვანეში გადადიოდა.

ლილე გაოცებული გადაჰყურებდა ბუნების ამ მშვენიერებას.

— მოგწონს? — ჰკითხა ალიმ.

— დიდებულია! — კვერი დაუკრა ლილემ.

— ეს ნეფრიტის ტბაა. წყლის უჩვეულო ფერის გამო ჰქვია ეს სახელი. გინახავს სადმე ასეთი მწვანე ტბა? ახლა სძინავს და ამი-ტომაცაა წყნარი და მშვიდი, როგორც შენა თქვი — დიდებული.

ტბას პირდაპირ ნაპირზე ვიწრო ბილიკი მიუყვებოდა, რომელიც დროდადრო წყლით იფარებოდა. ამ ბილიკზე გავლა ძალიან სახი-ფათო იყო. თუმცა, შერისხულებმა ბიგომდე, პირველად სწორედ ამ გზით მიაღწიეს. ახლა მას ძალიან იშვიათად თუ იყენებდნენ და გარე სამყაროს მხოლოდ ტბის გადაცურვით უკავშირდებოდნენ.

მექარავნეთა კვამლის წამკითხველმა კოცონი დაანთო, მალე მეორე მხარესაც აიჭრა შავი ზოლი. ლილემ ადვილად წაიკითხა, რა ამბავს ამცნობდნენ მექარავნეები ბიგოელებს. იქიდანაც მოვიდა

პასუხი, ხვალ, როცა ტბა დაიძინებს, თქვენს გადასაყვანად ნავებით წამოვალთო. ნავების მოლოდინში, ქარავანი კლდეებში გამოჭრილ გამოქვაბულებში განაწილდა.

— გინდა განახო, როგორია ტბა, როცა ღვიძავს? — შესთავაზა ალიმ ლილეს.

ლილემ თავი დაუქნია. ალიმ იმ გამოქვაბულში აიყვანა, რომლის შესასვლელი პირდაპირ ტბას გადასცქეროდა. მზის ჩასვლასთან ერთად ტბა უფრო და უფრო მუქდებოდა, როცა ბოლო სხივებიც უნდა აკრეფილიყო, ერთიანად გაშავდა, თითქოს მის ადგილას უძირო ღრმული გაჩნდა. ამ სიშავეში ერთადერთი პატარა კუნძული და მის თავზე შეყრილი ღრუბლები დარჩა განათებული. ღრუბლებმა ნელ-ნელა ტრიალი დაიწყეს და ტბის თავზე გაიშალნენ.

— იღვიძებს! — თქვა ალიმ.

ლილე დაბლა ვერაფერს ხედავდა, ქარის წუილსა და წყლის ტყლაშუნზე ხვდებოდა, ტბის თავზე ქარიშხალი რომ ბობოქრობდა. გამთენიისას, როცა კოკისპირულმა წვიმამაც დასცხო და ცაზე დაკლაკნილმა ელვამ ტბა გაანათა, ვეებერთელა ტალღებს მოჰკრა თვალი, რომლებიც შავ კლდეებს უმოწყალოდ ეხეთქებოდნენ. ერთბაშად ამოვარდილი ქარიშხალი ერთბაშადვე ჩადგა. ღრუბლები ისევ ერთად შეიკრა და კუნძულის თავზე დაეკიდა. ტბაზე მზის პირველი სხივების მქრქალი ათინათებით შეფერილი სიფრიფანა ნისლიც გაიფანტა. წყალი დაწყნარდა და ატლასივით ალაპლაპდა.

ნავებიც მოცურდნენ. მათ უკან მაჯის სიმსხო თოკებზე მიმაგრებული ბორანიც მოჰყვა. მექარავნეებმა საქონელი ბორანზე გადატვირთეს, ნაწილი კი ნავებში ჩაალაგეს. კუნძულს სულ ახლოს ჩაუარეს, მაგრამ ლილემ მისი კლდოვანი ნაპირების მიღმა ვერაფერი დაინახა.

— ნეტა რა ხდება ამ კუნძულზე? — ჰკითხა ლილემ ალის.

— კაცმა არ იცის. იქ ვინ გაბედავს მისვლას. ამბობენ, ეს კუნძული მას შემდეგ წარმოიქმნა, რაც ლომების საუფლოს მიწამ უყო პირიო. დაღუპული ლომების გაავებული სულები აქ დასახლებულან — დღისით სძინავთ და ცოცხალი ლომებივით სანადიროდ ღამით გამოდიან. მსხვერპლის ძებნაში ქარიშხალივით გამძვინვარებულები დაჰქრიან. ვინ იცის, სიმშვიდე რომ დავურღვიოთ, ისე გამწარდნენ —

დღე და ღამე აღარ გაარჩიონ ერთმანეთისაგან. ამიტომაც, ვუფრთხით. ტბა ერთადერთი გზაა გარე სამყაროსკენ და ძველი დიდების დაბრუნება ამ გზის გარეშე შეუძლებელია.

ლილეს გული უგრძნობდა, კუნძული უფრო დიდ საიდუმლოსაც ინახავდა, მაგრამ ხვდებოდა, ახლა ამ საიდუმლოს ამოხსნის დრო არ იყო. წინ ბიგო და მისი მგლისთავიანი დედოფალი იორუბა ელოდა. ალბათ უსუმბას ფარდულში მისი ნიღაბი რომ არ ენახა, ალის მიპატიჟებას — იქნებ ჩვენი ქალაქიც გენახაო, არც კი დაჰყვებოდა. თუ იმ ნიღაბში დედოფლის სულის სულ პატარა ნაწილი მაინც იყო ჩაქსოვილი, სწორედ ეს ნაწილი ლილესგან შველას ითხოვდა.

* * *

დედა-დედოფლის ელჩები დედოფალ იორუბას მთავარ ვეზირთან — ვეფხვისთავიან ნასართან შეხვედრას დილიდან ამაოდ ცდილობდნენ. სასახლისწინა ბაღში ბოლთას სცემდნენ. არ უნდოდათ ომდურმანში პასუხის გარეშე დაბრუნებულიყვნენ.

— კარგი ეშმაკი ვინმეა ეს ნასარი. როცა ელაპარაკები, სულ თავს გიქნევს. გგონია, გეთანხმება. შენც ყველაფერს უყვები. საქმე საქმეზე რომ მიდგება, მხრებს აიჩეჩავს, დედოფალი როგორც დამავალებს, ისე მოვიქცევიო. თითქოს იორუბა წყვეტდეს ბიგოში რამეს. ყველამ იცის, ის და მისი შვილი ალი რომ მართავენ მთელ ბიგოს, — შესჩიოდნენ ერთიმეორეს.

— მართალი ხარ! ყველაფერი მის ხელშია, ამდენი ხანია აქა ვართ და დედოფალს ერთხელაც ვერ შევხვდით. დარწმუნებული ვარ, იორუბამ არც კი იცის, აქ რომ ვართ. კვამლის წამკითხველმა ამბავი მოიტანა, დღეს ალი ჩამოდისო და, ალბათ, ჯერ მას უნდა მოელაპარაკოს, სანამ საბოლოოდ პასუხს გაგვცემს. ერთი აქედან გამაღწევინა. ამ ნადირისთავიანების ყურება უკვე აღარ შემიძლია.

— საცაა მზე ჩავა, თუ ალი დღეს უნდა დაბრუნდეს, აშკარაა, იგვიანებს. აქ ტყუილად ვართ, ნასარი ჩვენი მიმღები არ არის, ისევ ტბისკენ წავიდეთ, იქნებ ალის მაინც გამოველაპარაკოთ.

ელჩებს ტბისა და ქალაქში შემოჭრილი ყურის გამყოფი კარიბჭე

უკვე ჩაკეტილი დახვდათ. ბარგიც თითქმის გადმოცლილი იყო ბორნიდან. ალის გვერდით ახალგაზრდა ვაჟს მოჰკრეს თვალი, რომელსაც ულალი-ყავისფერი ძაღლი ახლდა.

— კარიბჭე კარგად ჩარაზეთ! მთავარი ურდული ბოლომდე არ არის დაშვებული, სადაცაა ტბა გაიღვიძებს, გაინძერით, ცოტა სწრაფად! — ბრძანებებს იძლეოდა ალი.

— ნეტა ვინ მოიყვანა? მოტაცებულს არ უნდა ჰგავდეს, თავისუფლად დადის აქეთ-იქით. — გაუკვირდა ლილეს დანახვა ერთ-ერთ ელჩს.

— შენ გირჩევნია ძაღლს შეხედო, გვერდიდან რომ არ შორდება!

— ჰო, შევხედე. მერე... მოიცა, ერთი ახლოს მივიდეთ, რაღაც ჩვეულებრივს არა ჰგავს.

— ჯობია დაველოდოთ. ვერ ხედავ, ტბა იღვიძებს? მაინც აქ არ უნდა ამოიარონ? — ურჩია მეორემ.

— ბესანჯი! — ერთად წამოიყვირეს ელჩებმა, როცა ლილემ ძაღლთან ერთად გვერდზე ჩაუარა.

გორაკზე გაშენებული ბიგო ნეფრიტის ტბას ზემოდან გადაჰყურებდა. ქალაქი ფართო ტერასებზე შავი ტუფისგან იყო გაშენებული. ქუჩაში ხალხი კანტიკუნტად დადიოდა, ისინიც ერთიანად შავებში იყვნენ ჩაცმულნი. ლილემ ერთ-ორ ადამიანის სახიანსაც მოჰკრა თვალი. ყელზე რგოლი ჰქონდათ შებმული, რომელზედაც ოთხი თითის სიგანის ტყავის ნაჭერი ეკიდათ და ყველას ერთი და იგივე სიტყვა — „მონა“ — ეწერა.

ლილემ ტბას გახედა, მის თავზე ღრუბლებს უკვე შეეკრა პირი.

— ქარიშხალი ახლოვდება, ქალაქი რატომ არ ემზადება, ფანჯრები ღია აქვთ და დარაბებსაც არ კეტავენ? — ჰკითხა ლილემ ალის.

— ქარიშხალი მხოლოდ ტბის თავზე ბობოქრობს. ტალღებისგან კი ჯებირი გვიცავს. მცხუნვარე მზის შემდეგ ღამის პატარა სიო და შხაპუნა წვიმა სასიამოვნოც კი არის. ამას თავად ნახავ, როცა დაგაბინავებ. ხვალ კი შენს სტუმრობას დედოფალ იორუბას მოვახსენებ, თუ ისურვებს, მიგიღებს კიდეც.

ალიმ ლილე ბიგოს ყველაზე კოხტა სახლთან ჩაატარა. სხვებისგან განსხვავებით, იგი ქვაში გამოკვეთილი ორნამენტებით იყო დამშვენებული.

— ეს დედოფალ იორუბას სასახლეა, — აუხსნა ალიმ. — შენ კი

აგერ იქ, ჩემთან დაგაბინავებ, — მიუთითა ზედა ტერასაზე მდგომ ორსართულიან სახლზე.

ლილეს ოთახი, როგორც მთელი ბინა, ძალზე უბრალოდ იყო მოწყობილი, მხოლოდ აუცილებელი ნივთები და ავეჯი იდგა. საჭმელიც უბრალოზე უბრალო დაახვედრეს — ხმელი პური, ხორცის ნაჭერი და წყალი. ლილემ მასპინძლობისთვის მადლობა მოახსენა ალის, ბესანჯისთვის ქვეშაგის მოტანა სთხოვა.

ოთახში დაგუდული ჰაერი იდგა და ძალიან ცხელოდა. ლილემ სარკმელი ფართოდ გააღო, გარედან სასიამოვნო სიგრილე შემოვი-და. როცა ნოტიო ქარმა ქვის კედლები შეაგრილა, ლილეს რული მოეკიდა და ძილს მისცა თავი. პატრონისგან განსხვავებით ბესანჯს თვალი არ მოუხუჭავს. მოუსვენრად გრძნობდა თავს. ლილეს საწოლის გვერდით მისთვის დაგებულ ქვეშაგებს არც კი გაჰკარებია. კარის წინ დაწვა, თითქოს ვიღაცის შემოსვლას ელოდებოდა იქიდან.

თავი მეხუთე

ნასარი

ომდურმანელი ელჩების ჩამოსვლის შემდეგ ნასარმა მოსვენება დაკარგა. დედა-დედოფალი გადამწყვეტ პასუხს ითხოვდა. თავად, ერთგულების ნიშნად, შერისხულთა მთავარ ვეზირს მთელი თავისი გეგმები და ზრახვები გაანდო, არაფერი დაუმალა, გულის სულ მიმალულ ბნელ კუნჭულებშიც ჩაახედა. წვრილად მოუყვა — როგორ აპირებდა აბარდაგანის დამარცხებას. უთვლიდა: ტარუტოს ხისგან გამოთლილ ჯარისკაცებს თვლა აღარა აქვსო. ეს არმია რომ გავაცოცხლო, ჩვენს მეომრებს ვერც ხმალი აკუწავს, ვერც ისარი განგმირავს, არც ცეცხლში დაიწვებიან და არც წყალში ჩაიძირებიანო. ნასარი დარწმუნებული იყო, დედოფალი არ ტყუოდა, გრძნეული ქალისთვის, თანაც ორი რგოლის მქონე ჯადოქრისთვის, ხის ჯარისკაცების მეომრებად გადაქცევა დიდი სირთულეს არ წარმოადგენდა. გრძნეულმა ქალმა ნასარს არც ის დაუმალა, როგორ უღრღნიდა შიში გულს — ვაითუ, გაცეცხლებული არმია ვერ მოვნუსხო და უმართავი გახდესო. ორი რგოლის პატრონი კი ვარ, მაგრამ უსულო საგნების მონუსხვა მხოლოდ უმაღლესი რანგის გრძნეულებს — სამი რგოლის მქონე ჯადოქრებს შეუძლიათო. ასეთი კი დედა-დედოფალს მთელ ომდურმანში არავინ ეგულებოდა. არმიის დასამორჩილებლად ერთადერთი საშუალება იყო ჯარისკაცების სველთვალებიანი ნიღბით გაცოცხლება, თანაც ეს ნიღაბი იმ კაცისა უნდა ყოფილიყო, რომელსაც ყველაზე მეტად სძულდა აბარდაგანი, ასეთი კი სულა I იყო.

დედოფალი უთვლიდა: ნიღბების ოსტატი ტისო მოვიტაცეთ, დღეს თუ ხვალ ვაიძულებთ სველთვალებიანი ნიღბების გაკეთებასო, მაგრამ დროის ტყუილი დაკარგვა არ მინდა, ამბავი მომივიდა, სველთვალებიანი ნიღბის საიდუმლო ბიგოელმა ოსტატმაც ამოხსნაო.

დედოფალი ძალების გაერთიანებას სთავაზობდა: ერთიანი ძალით გალაშქრებას აბარდაგანის წინააღმდეგ – ომდურმანი ტარუტოს ხის ჯარისკაცების ჯარს გამოიყვანდა, ბიგოს კი ეს ჯარისკაცები სველთვალებიანი ნიღბებით უნდა უზრუნველეყო. იცოდე, – აფრთხილებდა დედა-დედოფალი, – მხოლოდ ერთიანი ძალით თუ მივაღწევთ ჩვენს უდიდეს მიზანს – აბარდაგანის დამარცხებასო. ტახტს თუ ერთად დავიბრუნებთ, ძველ დიდებას – ადამიანის სახეს დაიბრუნებთო. დედოფალმა თავისი სიტყვების სისწორის ნიშნად ტარუტოს ხისგან გამოკვეთილი გაცოცხლებული ქონდრისკაცი გამოუგზავნა. კაცუნა ადამიანივით მოძრაობდა, მაგრამ ბრძანებებს არ ემორჩილებოდა.

ნასარი ბევრ რამეში ეთანხმებოდა დედა-დედოფალს, აბარდაგანი უნდა დამარცხებულიყო, მაგრამ ერთში ცდებოდა გრძნეული ქალი. ნასარისთვის ადამიანის სახის დაბრუნება სულაც არ ნიშნავდა ძველი დიდების დაბრუნებას. ვეზირს სრულიად არ აწუხებდა მხრებზე ვეფხვის თავი რომ ედგა. პირიქით, მოსწონდა და ამაყობდა კიდევაც. პატარა უტვინო გოგო ხომ არ იყო, დედოფალ იორუბასავით გარეგნობაზე რომ ედარდა. ერთადერთი დიდება, რომლის მოსაპოვებლად არაფერს დაზოგავდა, მთელი აბარდაგანის მეფობა იყო.

ბიგო ომდურმანს ჯარებით ვერასდროს აჯობებდა. მით უმეტეს, ბოლო ხანებში ქაოსის მომღერლები სულ უფრო და უფრო იკრებდნენ ძალებს. „კიდევ კარგად ვართ ამ დედოფლის ხელში" – გაიფიქრა ქვისგან გამოკვეთილ სამუშაო მაგიდასთან მჯდომმა ნასარმა და გაბრაზებით მუშტი დაარტყა. კარზე კაკუნი გაისმა.

– შემოდი! – დაიღრიალა უფროსმა ვეზირმა. ოთახში ალი შემოვიდა.

– კარგია, დროზე რომ ჩამოხვედი და შენებურად არ გაგიტკბა ბაზრობაზე ყიალი! – მისალმების მაგივრად შეუღრინა ნასარმა შვილს. – ჩამოზიდე მთელი ტუალანუ, თუ დატოვე რამე?

– ყველაფერი ჩამოვიტანე, რაც დამავალე. შეგიძლია თავად დაათვალიერო.

– ვნახავ, აუცილებლად ვნახავ. იმ ქალბატონისთვის რაც ჩამოიტანე, ისიც ჩემთან არის, ხომ?

– არა! უკვე დედოფალს მივართვი. – ალი ტყუოდა, იორუბასთვის ჩამოტანილი საჩუქრები თავის სახლში დატოვა, არ უნდოდა მამამისს

და ვეზირის მსახურებს დედოფლის ნივთებში ხელი ეფათურებინათ.

— შენი იმედი როგორ უნდა მქონდეს, უბრალო დავალებას არ მისრულებ?! რამდენჯერ გითხარი, სანამ იორუბას რამეს მიართმევ, ჯერ მე მაჩვენე-მეთქი.

— მამა, დედოფლის საჩუქრებზე უფრო საინტერესო სტუმარი ჩამოგიყვანე. რომ გაიგებ, ვინ არის?..

— რაო? სტუმარი ჩამომითრიე? — სიბრაზისგან სკამიდან წამოიჭრა ნასარი. — რამდენჯერ უნდა გითხრა...

— ლილე ირელი ჩამოვიყვანე თავისი ბესანჯით! — ახლა უკვე შვილმა გააწყვეტინა სიტყვა მამას.

— ვინ?.. — ერთ ადგილას გაშეშდა გავეშებული ვეზირი.

— ლილე ირელი, როშკაშიდან, თავისი ძაღლით — ბესანჯით! — ნიშნის მოგებით უპასუხა მამის უხეშობას მობეზრებულმა დედოფლის პირადმა მცველმა.

შვილის პასუხით ნასარი იმდენად დაიბნა, ფეხი მოეკვეთა და მოწყვეტით სკამზე დაეშვა.

— ხომ არ ცდები, შვილო? — ერთბაშად მოლბა ნასარი.

— არა, მამა! მთელი ტუალანუს ბაზრობა უცნობ მეომარსა და მის ბესანჯზე ლაპარაკობდა. კი ამბობენ, როშკაშელიაო, მაგრამ არავინ იცის, სად არის ეგ როშკაში.

— შენ როგორ გაიცანი, ანდა როგორ მიიღო შენი მოპატიჟება?

— ფარდულში გავიცანი, იორუბასთვის ნიღბის საყიდლად რომ შევედი. ჩვენს კარავში მოვიპატიჟე. მეც გამიკვირდა, უარი რომ არ მითხრა. მეგონა, თანხმობის მიუხედავად, მაინც პატივს არ დაგვდებდა, მაგრამ დათქმულ დროს მოგვაკითხა. ეგ კი არა, ერთხელ ვახსენე თუ არა ბიგო, მაშინვე თავად თქვა, კარგი იქნება თუ თქვენს ქალაქს ვნახავ და თქვენს დედოფალთანაც მიმიყვანო. დიდხანს არ მიფიქრია, მაშინვე მოვიპატიჟე. მამა, ვინ იცის, იქნებ ეგ არის სწორედ ჩვენი მხსნელი, იქნებ მან უნდა დაგვიბრუნოს ძველი დიდება?

— ვინ იცის, ვინ იცის. ახლა წადი, დაისვენე. ხვალ მომიყვანე, როგორ თქვი, რა ჰქვია — ლილე? — ნასარს ფიქრები აღარ აძლევდა მოსვენებას, ერთი სული ჰქონდა, როდის დასტოვებდა შვილი, რომ მოეფიქრებინა, როგორ გამოეყენებინა ლილე თავისი გეგმების განსახორციელებლად.

— მამა, ლილეს სიტყვა მივეცი, ბიგოში არაფერს დაგიშავებთ-მეთქი. — გააფრთხილა ალიმ წასვლის წინ ნასარი.

* * *

დედა-დედოფლის ელჩებს ნასარის მცველები დილაადრიან დაადგნენ თავს. ნავები თქვენს წასაყვანად უკვე მზად არისო. ელჩებმა ვეზირთან შეხვედრა მოითხოვეს, დამშვიდობების გარეშე ბიგო როგორ დავტოვოთო. ამის პასუხად მცველებმა ნასარის წერილი გადასცეს, რომელშიც ვეზირი წუხდა, რომ, საქმეთა გამო, ძვირფას სტუმრებს ვერ გავაცილებ. უახლოეს ხანში, როგორც კი საქმის ვითარებაში გავერკვევი, თავად ვაახლებ დედა-დედოფალს ელჩებსო.

თავი მეექვსე

დედოფალი იორუბა

დედოფლის საძინებელი, ოვალური ფორმის მოზრდილი ოთახი, ისეთივე განსაკუთრებული და გამორჩეული იყო ბიგოში, როგორც მისი სასახლე სხვა შენობებისაგან. გადედოფლების შემდეგ, იორუბამ თავისი სურვილით დატოვა სამეფო სასახლე და თავისივე გემოვნებით აშენებულ სახლში დასახლდა.

ბიგოში ყველაფერი შავი ბაზალტით შენდებოდა, ქუჩაში ფილებიც ბაზალტისა იგებოდა, დიდების დაკარგვის გლოვის ნიშნად ქალაქი თავის მცხოვრებლებთან ერთად, დღისით თუ ღამით, შავებში იყო გახვეული და სხვა ფერს არ ცნობდა. იორუბას მცდელობა, სასახლე შავი ბაზალტისგან არ აეშენებინათ, მართალია მარცხით დამთავრდა, მაგრამ ნასარი დაიყოლია და აივნები მოაჩუქურთმებინა, ოთახებში იატაკზე ტუალანუდან ჩამოტანილი რამდენიმე ხალიჩა დაფინა, კედლები კი ფერადი ნიღბებით მორთო.

საძინებელში სამთაღიან ფანჯარაზე დაკიდებული შავი ფერის ფარდები კი საკუთარი ხელით, ფერადი ძაფებითა და მძივებით, მომღერალი ჩიტებითა და ყვავილებით მოჩითა. ბალიშის პირზე კი იმდენი თეთრი ფრთაფარფატა პეპელა მიაქარგა, რომ სიშავე ალაგ-ალაგ თუ მოჩანდა. ახლაც, მოჩითულფარდებიან საძინებელში პეპლებიან ბალიშზე მისვენებული დედოფალი იორუბა, ძილ-ბურანში იყო. თვალის გახელა არ უნდოდა. სიზმარი ისეთი ტკბილი იყო, ისეთი სასიამოვნო, რომ გამოფხიზლებას არ ჩქარობდა. ორივე ხელი შემოეხვია ბალიშზე და პატარა ბავშვივით ჩაეკრა. მას შემდეგ, რაც სრულწლოვანი გახდა და დედოფლად აკურთხეს, ამ სიზმარს სულ უფრო ხშირად ხედავდა. ამჯერად, შუა სიზმრის დროს გამოეღვიძა, სწორედ მაშინ, როცა თავის მშობლებთან ერთად, სულ პატარა გო-

გონა, სასახლის ეზოში თამაშობდა, ხან ერთს ჩაეკვრებოდა გულში და ხან მეორეს. კი გამოიღვიძა, მაგრამ ადგომის თავი არ ჰქონდა. სცადა ისევ ძილისთვის მიეცა თავი, მაგრამ ამაოდ.

— დღეს მაინც არ წამართვას თქვენი თავი იმ საძაგელმა ნასარმა! — წამოიკვნესა დედოფალმა. მართალია, ვეზირი ბევრს უმტკიცებდა, შენი მშობლები ნადირობისას ჩამონგრეულმა კლდემ ჩაიტანაო, მაგრამ იორუბას მისი ერთი სიტყვისაც არ სჯეროდა.

იორუბას ბავშვობიდან ეშინოდა ნასარისა. ვეზირი მუდამ დაუნდობელი იყო დაობლებული გოგონას მიმართ. გადედოფლებამაც არ უშველა, გულქვა ნასარი ისევე მკაცრად ექცეოდა, როგორც პატარაობისას. კიდევ კარგი, ალი ექომაგებოდა და შეძლებისდაგვარად, მამის უჩუმრად, ანებივრებდა კიდეც: საჩუქრები მოჰქონდა და, რაც მთავარი იყო, ნასარის მსახურებს იორუბას სასახლეში თავისუფლად აღარ ათარეშებდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა დედოფლის პირადი მცველი ბიგოს არმიის მხედართმთავარიც გახდა. ჯარი ერთგულად ემსახურებოდა ალის და მის ყოველ ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდა.

იორუბამ ზარი დარეკა. ოთახში ორი მსახური ქალი შემოვიდა, ორივეს ზაზუნას თავები ჰქონდათ, თვალები ეშმაკურად აქეთ-იქით გაურბოდათ.

— დილა მშვიდობისა, დედოფალო! — მიესალმნენ მოწიწებით.

— ხომ ტკბილად ეძინა ჩვენს დედოფალს? — ჩაეკითხა ერთი.

— მართლაც ტკბილად მეძინა, ისეთი კარგი სიზმარი ვნახე... მართლა, ალი ჩამოვიდა?

— ჩამოვიდა, ქალბატონო! — მიუგო დედოფალს მეორემ.

— კარგია! — ტაში შემოკრა იორუბამ, — სასწრაფოდ მიხმეთ!

— უკვე აქ არის და თქვენს ადგომას ელოდება.

ალი დედოფალს მის საყვარელ ოთახში ელოდებოდა. ჩემი ფერადი ოთახი, — ასე ეძახდა იორუბა მას. სწორედ აქ ეკიდა კედელზე ლაჟვარდოვანი ფერებით მოჩითული ხალიჩა, ქვის მოუქნელ სკამებზე კი აბრეშუმივით რბილი ჩალისგან მოქსოვილი გადასაფარებლები ეფინა. მაგიდასთან ერთი განსხვავებული სკამი იდგა — სადედოფლო სკამი — ებენის ხისგან გამოთლილი, ოქროსფერი ჩალით მოწნული საზურგითა და დასაჯდომით, წვრილ-წვრილი ორნამენტ-

ებით მორთული — უმთავრესად ნიჟარებითა და ძვლისაგან გამოყვანილი ყვავილებისა და ჩიტების გამოსახულებებით იყო მორთული. ეს სკამი იორუბას დედოფლად კურთხევის დღეს ალიმ საჩუქრად მიართვა, რისთვისაც მამის აუწერელი რისხვა დაიმსახურა. მრგვალ, ცალფეხა გრანიტის მაგიდაზე, იორუბას ხელით მოქარგულ ტილოს საფენზე, ვარდისფერი ხისგან გამოკვეთილი ერთმანეთში ჩაწნული ზღაპრული ფრინველების ფიგურა იდგა.

— დედოფალო! — იორუბას შემოსვლისთანავე ფეხზე წამოიჭრა ალი.

იორუბას ალის დანახვა ისევე გაუხარდა, როგორც ბავშვობაში, როცა ალის ოთახში გამოკეტილი გოგონასთვის, მამის უჩუმრად, ნეფრიტის ტბის სანაპიროდან ფერად-ფერადი ნიჟარები და კენჭები მოჰქონდა.

— ხომ მშვიდობაა ქვეყნად? — ჰკითხა მცველს დედოფალმა.

— ომს ჯერ პირი არ უჩანს. ტუალანუს ბაზრობაზეც ძველებურად ყველა კუთხიდან იყვნენ. არავის ემჩნეოდა ომისთვის მზადება. — მიუგო ალიმ იორუბას.

— ჩვენც არაფერს ვაპირებთ, ხომ? — შეფარვით ჰკითხა იორუბამ.

— არა, დედოფალო! შეგიძლია მშვიდად იყო! — დააიმედა ალიმ დედოფალი.

— ძალიან კარგი. ახლა ის მითხარი, ჩამომიტანე, რაც დაგავალე?

— ყველაფერი, უკლებლივ.

— მშვენიერია! შემიძლია, ვნახო?

— რა თქმა უნდა, შენს მსახურებს მივაბარე.

— ახლავე უნდა ვნახო!.. — წამოიჭრა თავის საყვარელი სკამიდან იორუბა.

— დედოფალო, ერთსა გთხოვ, სანამ წახვიდოდე, ამიხსენი, რისთვის ჩამომატანინე ამდენი უსარგებლო... — ალის ბოლო სიტყვა დედოფლის დავალებისთვის შეუფერებლად მოეჩვენა და მსწრაფლ შეცვალა... — უცნაური ნივთი, თანაც ამდენი?

— ამას მალე მიხვდები, სულ რამდენიმე დღეში. — მიუგო დედოფალმა.

— კიდევ ერთი, დედოფალო. ტუალანუდან სტუმარი ჩამოვიყვანე, შენი ნახვა უნდა.

— სტუმარი? — ნასარზე არანაკლებ გაუკვირდა იორუბასაც, — ვინ

არის, შერისხული, გრძნეული თუ ქაოსის მომღერალი?

— არც ერთი, არც მეორე და არც მესამე. უფრო მეტადაც გაგაკვირვებ — არც აბარდაგანელია. უცხო ქვეყნიდან მოგვევლინა თავის ბესანჯთან ერთად. ამბობს ლილე ეროელი ვარო, როშკაშიდან.

— როგორ, ბესანჯის პატრონია? რა საინტერესოა?! ნეტა, ჩემი ნახვა რად მოუნდა?

— შენი ნილაბი ნახა ტუალანუს ბაზრობაზე ნილბების ფარდულში, დედოფალო.

— დედოფალო, დედოფალო!.. ალი, ვეღარა გცნობ, რაც დედოფლად მაკურთხეს, მგონი ჩემი სახელი დაგავიწყდა, გინდა გაგახსენო, იორუბა მქვია? მართლა, მამაშენმა რა თქვა, როცა სტუმრის ჩამოსვლა გაიგო? — იორუბას ლილეს სახელი დაავიწყდა.

— ჯერ გაბრაზდა, მაგრამ რომ გაიგო, ბესანჯის პატრონი იყო, დამშვიდდა და მასთან შეხვედრაც კი მოინდომა.

— აჩვენე, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მე ვნახავ, კარგი? — სთხოვა იორუბამ ალის.

— კარგი. ამ დილითვე მოგიყვან.

ალი დაეთხოვა იორუბას და ლილეს მოსაყვანად გასწია. დედოფალს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული ტუალანუდან ჩამოტანილი ნივთების დათვალიერება, რომ მსახურებმა ლილე ეროელის მოსვლა ამცნეს.

ბიგო ლილეს ქვესკნელის კუნაპეტ ქალაქს აგონებდა თავისი მრუმე ფერებით, შერისხულთა ნადირთა სახეებით. მიუხედავად ამისა, ყველაზე მეტად ქალაქში გამეფებული სამარისებური სიჩუმე ეხამუშებოდა. თითქოს ბიგოში ბავშვებიც კი არ ცხოვრობდნენ, რომ მათ ურიამულს იქაურობა აეკლო. ლილემ ქუჩაში ორ მოსაუბრესაც კი ვერსად მოჰკრა თვალი. მშვენიერი დილა იდგა, ლაჟვარდოვან უძირო ცაზეც მზე კაშკაშებდა, ბიგო კი მაინც ბნელსა და სულისშემძვრელ მდუმარებაში იყო ჩაძირული. „მარტო დედოფალს კი არა, მთელ ქალაქს უნდა შველა“, — გაიფიქრა ლილემ და სცადა გონებაში აღედგინა უსუმბას ფარდულში ნანახი იორუბას ნიღბის გამოსახულებაც და ქალიშვილის გამომეტყველებაც, რომელიც ნიღბის მიღმა დაინახა — მოგრძო სახე, სწორი თხელი ცხვირი, ნუშის ფორმის მწვანე, მეტყველი თვალები, ხორბლისფერი, პრიალა სახის კანი და

კუნაპეტივით შავი, წითელი ზონრით შეკრული ტალღოვანი, უფრო სწორად, ხვეული თმა, – სწორედ ასეთი იორუბა უხმობდა საშველად. სწორედ მის გადასარჩენად შეაბიჯა ლილე ირეელმა შერისხულთა დედოფლის სასახლეში.

– დედოფალი გელოდება! – მოახსენა ლილეს ალიმ და იორუბას ფერად ოთახში შეუძღვა.

დედოფალი ღია ფანჯარასთან იდგა, იქვე, მის საყვარელ სკამზე, ხელსაქმე – საქარგავი და ფერადი ძაფები ელაგა. მასაც, სხვა ბიგოელი ქალების მსგავსად, გრძელი, წელში გამოყვანილი შავი კაბა ეცვა, მხოლოდ წელზე, მათგან განსხვავებით, ოქროსფერი ჩალისგან დაწნული, ჩალისავე ფოჩებიანი ქამარი ეკეთა, რომელიც შავ ფონზე ისე ანათებდა, რომ ლილეს ოთახში შესვლისთანავე თვალი მოსტაცა.

– ხომ მართლაც მშვენიერი ქამარია, თავად მოქსოვე... – იორუბამ მაშინვე დაიჭირა სტუმრის მზერა.

ლილეს წინ ქალიშვილი რომ მდგარიყო, რომელიც მგლისთავიანი ნიღბის მიღმა დაინახა, აუცილებლად ეტყოდა, ამ ქამრის მშვენიერება რა მოსატანია თქვენს სილამაზესთანო, მაგრამ დარბაზში გრაციოზული ტანითა და მგლის თავით შერისხულთა დედოფალი იორუბა იდგა.

– მართლაც მშვენიერია, ძალიან გამიხარდება, თუ ჩემი საჩუქარიც ასევე დაგამშვენებთ. – მიუგო სტუმარმა.

ლილემ ტუალანუში ნაყიდი, ალის შერჩეული წითელი ხის მოჩუქურთმებული პატარა ზარდახშა ხელის გულზე დაიდო, მიუახლოვდა იორუბას და საჩუქარი გაუწოდა. იორუბამ ზარდახშა ჩამოართვა, დედოფალმა დახედა და ხელი ნაზად გადაუსვა.

– ნამდვილად აქაური არ უნდა იყო, ლილე ირეელო, რადგან ბიგოს დედოფალს ზარდახშას ჩუქნი.

– მაპატიე, თუ უღირსი საჩუქარი გაკადრე, არავინ გამაფრთხილა... – მოიბოდიშა ლილემ და თვალი უჩუმრად ალისკენ გააპარა.

– არა, უკადრისი არაფერია, უბრალოდ, ბიგოელებს სამკაულები არ გვაქვს, მათ ტარებასაც მიჩვეულები არა ვართ და ზარდახშა რაში უნდა გამოვიყენოთ? – იორუბამ საჩუქრის მაგიდაზე დადება გადაწყვიტა.

– მოიცა, დედოფალო, ჩემი საჩუქარი ზარდახშაში დევს.

იორუბამ ზარდახშა გახსნა და იქიდან ოქროს წმინდა ჯაჭვზე ჩამოკიდებული ზურმუხტის გულსაკიდი ამოიღო. სამკაულის სილამაზითა და ელვარებით მოჯადოებულმა იორუბამ საჩუქარს თვალი ვერ მოსწყვიტა.

— ეს ზურმუხტის თვალი აქაური არ არის, თან ჩამოვიტანე. ვინც მე მაჩუქა, მათ რომ სცოდნოდათ, ვისი გულსაკიდი გახდებოდა, ნამდვილად იამაყებდნენ. თანაც ზუსტად თქვენი თვალების ფერია. — როცა ამას ეუბნებოდა ლილე იორუბას, არ ტყუოდა. ზურმუხტის ელვარება მგლის დრუნჩზე კი არა, ულამაზესი ქალიშვილის სახეზე ირეკლებოდა. იმ წუთში ლილე მართლაც ადამიანის სახით ხედავდა ახალგაზრდა დედოფალს.

ლილეს სიტყვები გულში მწარედ მოხვდა იორუბას, მაგრამ არ შეიმჩნია. ალის ხელით ანიშნა, დამტოვეო, ისიც მაშინვე დაემორჩილა, ლილე კი ქვებით, ალაგ-ალაგ სქელფოთლიანი ჯუჯა ხეებითა და გვიმრებით გაფორმებულ ბაღში გაიყვანა. ლილეს ბესანჯიც თან გაჰყვა, ძაღლმა, თითქოს ხიფათს არსაიდან ელისო, გრილი ადგილი მოძებნა და არხეინად გაწვა. იორუბა ქვის გრძელ სკამზე ჩამოჯდა და ლილესაც გვერდით ჩამოჯდომა უბრძანა.

იორუბას ცნობისმოყვარეობა კლავდა: რატომ თქვა ლილემ, შენს მწვანე თვალებსო, მაგრამ სულ სხვა შეკითხვა მისცა, მისთვის უფრო მნიშვნელოვანი და უფრო საჭირო.

— კეთილშობილო მეომარო, დარწმუნებული ვარ, შერისხულთა ამბავი გეცოდინება...

თანხმობის ნიშნად ლილემ თავი დაუქნია იორუბას.

— ადამიანურ სახეს შერისხულები მხოლოდ ძველი დიდების დაბრუნებასთან ერთად დავიბრუნებთ. არ ვიცი, მოვესწრები თუ არა ამ ბედნიერ დღეს, მაგრამ ის რომ ვიცოდე, ჩვენი შთამომავლობა მაინც შეძლებს ამას, უბედნიერეს ადამიანად ჩავთვლიდი თავს. ასე მგონია, ჩვენი კანონებისა და ცხოვრების წესის გადამკიდე, დიდებისაკენ მიმავალ გზას ძალიან ავცდით. უფრო მეტიც, თუ რამე არ შევცვალეთ, ბიგო მკვდარ ქალაქად გადაიქცევა. დედოფალი მქვია, თორემ ბიგოს ჩემი მთავარი ვეზირი და მისი ხალხი მართავს. ალი რომ არა, აქამდე, ჩემი მშობლების მსგავსად, ნასარი მეც თავიდან მომიშორებდა. იქნებ შენ, ბესანჯის პატრონო, მირჩიო, რა ვქნა, როგორ

დავუბრუნო დიდება ჩემს ხალხს?

— დედოფალო, შერისხულებად თაობები ცხოვრობთ და თაობებს ვერ მოგიფიქრებიათ, როგორ დაიბრუნოთ ძველი დიდება, მე სულ ახლახან მოვხვდი თქვენს მხარეში და რა რჩევა მოგცე? მერე რა, ბესინჯმა პატრონად რომ ამომირჩია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა კითხვაზე პასუხი ვიცი. მე ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელსაც, როგორც ყველა ჩვენგანს, ერთი მისია გვაკისრია: ვთესოთ სიკეთე და სიმართლის სადარაჯოზე ვიდგეთ.

— რა კარგად თქვი: ვთესოთ სიკეთე და სიმართლის სადარაჯოზე ვიდგეთ. აქ, ამ შავი ბაზალტის მგლოვიარე ქალაქში, სიკეთე ჯერ არავის დაუთესავს და, თუ სასწაული მოხდა და როგორმე დაითესა, ვერასდროს აღმოცენდება.

— გეთანხმები. მართლა მგლოვიარედ გამოიყურება მთელი ქალაქი. მაგრამ რა გიშლით ხელს, გლოვა შეწყვიტოთ და ცოტა მეტი ხალისი და მხიარულება, თუნდაც მეტი სინათლე და ნათელი ფერები შემოუშვათ თქვენს ქალაქში? დედოფალო, ეცადე, შენს ქვეშევრდომებს სიყვარული ასწავლო.

— შევძლებ კი ბიგოელების გაყინული გულების გათბობას?

— იორუბა, დამიჯერე, შენში იმდენი სიკეთე და სიყვარულია, რომ მოინდომო, ყველაფერს შეძლებ. ნასარიც კი უძლური აღმოჩნდება შენთან და მთელი ქალაქი გამოგყვება. ახლა კი, უფრო რომ დარწმუნდე საკუთარ თავში, სარკეში ჩაიხედე! — ლილეს ძალიან უნდოდა იორუბას თავისი ნამდვილი სახე დაენახა.

— დამცინი?! ბიგოელებმა სარკეები აბარდაგანში დავტოვეთ, აქ არა გვჭირდება... — დედოფალი ფეხზე წამოიჭრა, მისმა მშვენიერმა ნაკვთებმა ლილეს თვალში ისევ მგლის იერი მიიღო. იროელმა ინანა კიდეც, სარკეში ჩახედვა რომ სთხოვა დედოფალს, მაგრამ ახლა უკან დახევა გვიან იყო.

— დამშვიდდი, დედოფალო! მერწმუნე, დაცინვა არ მქონია გულში. ტუალანუში კედელზე ჩამოკიდებული შენი ნიღაბი ვნახე. დიდი ოსტატის შესრულებული იყო ნამდვილად, რადგან მგლის სახის მიღმა დიდი და კეთილი გული შევიგრძენი, შენმა კეთილშობილებამ კი შენი ნამდვილი სახე დამანახვა. ტყუილად არ ვთქვი, ზურმუხტისფერი თვალები გაქვს-მეთქი, იქ ვნახე, ტუალანუს ბაზრობაზე.

— იორუბას სახე კვლავ ნელ-ნელა ეცვლებოდა, როცა ისევ ისეთი სინატიფე და სილამაზე დაიბრუნა, როგორიც რამდენიმე წუთის წინ ჰქონდა, ლილემ დედოფალს მხრებზე ხელი მოჰკიდა, მსუბუქად თავ-ისკენ მიიზიდა და უთხრა:

— თვალებში ჩამხედე იორუბა!

დედოფალმა თავი შიშით ასწია და ლილეს თვალებში ჩახედა.

— ეს მე ვარ, ლილე? — ჰკითხა გაოგნებულმა იორუბამ.

— შენ ხარ! აბა, სხვა ვინ მიყურებს თვალებში?!

და იორუბამ უეცრად იგრძნო, როგორ მიადო ბესანჯმა ხელზე ჯერ დრუნჩი, მერე კი აულოკა კიდევაც.

თავი მეშვიდე

ნადირობა ვეფხვებზე

ნასარი ყურებს არ უჯერებდა, როცა მსახური უყვებოდა, თუ რა სისწრაფით ცლიდა იორუბა თავის ახალ სასახლეს და სამეფო სასახლეში გადასასვლელად ემზადებოდა. თუ დღემდე დედოფალი ხუთიოდე მსახურითაც კმაყოფილდებოდა, სამეფო სასახლეში სამსახურისთვის თითოეული სახლიდან თითო თავისტოლა ქალიშვილი იხმო. ასე როგორ შეცვალა ლილე ირელთან საუბარმა დედოფალი? — პასუხი ამ კითხვისათვის ყველაფრის მცოდნე მთავარ ვეზირს ვერაფრით გაეცა. ვერც შეეწინააღმდეგებოდა იორუბას, აქამდე სულ იმას საყვედურობდა, დედოფალს არ ეკადრება ასეთ პატარა სასახლეში ცხოვრება, ხუთი მსახური ნახევარზე მეტ ბიგოელ ოჯახს ჰყავსო. ნასარი დიდ სიკეთეს არ მოელოდა, მაგრამ დედოფლის უეცარმა გადაწყვეტილებამ, იმედის ნაპერწკალი მაინც გაუღვივა გულში.

მესამე დღე სრულდებოდა, რაც ლილე ბიგოში იყო. მესამე დღე იყო მთელი ქალაქი უცხო სტუმარსა და მის ძაღლზე ჩურჩულებდა, ასე თავისუფლად რომ დასეირნობდნენ ჯერ ბიგოს ქუჩებში, მერე კი ესეც არ იკმარეს და ქალაქის შემოგარენსაც გასცდნენ, სადაც მხოლოდ მონების თიხით ნაშენი უბადრუკი ქოხები იდგა. ნასარმა გადაწყვიტა ლილესთან შეხვედრა გადაედო, სანამ ყველაფერს ზუსტად არ მოიფიქრებდა. ვეზირი გეგმებს გეგმებზე აწყობდა, მაგრამ, ჯერჯერობით, დამაგვირგვინებელი აგური ვერ ეპოვა. როცა ფიქრობდა, მისხალ-მისხალ მაქვს გათვლილი თითოეული ნაბიჯიო, სწორედ მაშინ ხუხულასავით ენგრეოდა ძლივს შეკოწიწებული გეგმა. დიდი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა ლილეს მოსყიდვა. ბესანჯის პატრონის მართვა რთულ ამოცანად ესახებოდა, თუმცა ძაღლის

გარეშე ის საშიშად არ მიაჩნდა, ბესანჯი უნდა მოვიშორო, მისი ადგილი აქ არაა! – დაასკვნა ბოლოს, თანაც ისე უნდა მოეხერხებინა, რომ ბრალი არავის დაედო მისთვის.

ბიგოს ყველაზე დიდ ღირსებად, ვეზირს ოქროს უმდიდრესი საბადოები მიაჩნდა, რომელიც ქალაქის ხაზინასთან ერთად, მის საკუთრებას წარმოადგენდა. ნასარმა ლილეს გაცნობა სწორედ ოქროს საბადოების დათვალიერებისას გადაწყვიტა. იქიდან ვეფხვებზე სანადიროდ დავპატიჟებო, ფიქრობდა.

ვეფხვისთავიანი ნასარი განსაკუთრებით ვეფხვებს ემტერებოდა.

* * *

ბიგო მოზრდილ გორაკზე იყო გაშენებული. აღმოსავლეთი ფერდობი ნეფრიტის ტბას გადაჰყურებდა. ქალაქის ამ ნაწილში მხოლოდ შერისხულები ცხოვრობდნენ. დასავლეთი ფერდობი, სადაც აბარდაგანის სხვადასხვა კუთხიდან მოტაცებული მონების ქოხები იყო ერთმანეთის მიყოლებით ჩალაგებული, პატარ-პატარა მდინარეებით დასერილი ვრცელი ტაფობის თავზე იყო ჩამოკიდებული. ქალაქის ამ ნაწილიდან ტაფობამდე რამდენიმე დაკლაკნილი ბილიკი ეშვებოდა. ყველაზე განიერი ბილიკი ქვით იყო მოკირწყლული, მარჯვნივ უხვევდა და კლდოვანი ფერდობით ოქროს საბადოებთან მიდიოდა.

ალის მცირერიცხოვანი ამალა ლილეს ოქროს საბადოებისკენ მიუძღოდა. გზა პატარა მდინარეს მიადგა და მკვეთრად მოუხვია. სიმაღლეზე ასვლასთან ერთად, თვალსა და ხელს შუა მეჩხერდებოდა აქამდე გზის გასწვრივ უხვად ჩამწკრივებული ეკლოვანი აკაციებისა და ნაზი მიმოზების მწკრივი. თანდათან ყველაფერი უდაბურდებოდა, და სულ მალე წიბოვანი ნაპრალებითა და ღრანტეებით დასერილი კლდოვანი ფერდობი ერთ დიდ გახურებულ ტაფად გადაიქცა. ლილეს წელზე შემორტყმული ხმალი ისე გაუცხელდა, თითქოს გრდემლიდან ეს-ესაა გადმოიღესო. იროელს ისე სცხელოდა, ეგონა, თონეში ეკიდა და ნელ ცეცხლზე ნება-ნება იწვებოდა. კლდის პრიალა ზედაპირიდან არეკლილი სხივებისთვის თვალის გასწორება უჭირდა. თვალდა-

ხუჭული დროდადრო ცხენს ნებაზე უშვებდა და ისე მიუყვებოდა გზას. როცა ბოლო აღმართიც აიარეს, ქვის უზარმაზარი კარიერის შესასვლელი გამოჩნდა. ირგვლივ ერთი გოჯი რბილი მიწაც კი არ იყო. იქვე ახლოს რამდენიმე მომცრო შენობა იდგა. ალი შენობებში არ შესულა, ახლა ისე ცხელა, მაინც არავინ იქნებაო, — უთხრა ლილეს და თავისი რაზმით გვირაბში შევიდა. გვირაბი განიერი იყო, რამდენიმე ცხენოსანს გვერდიგვერდ თავისუფლად შეეძლო გავლა, მერე კი იტოტებოდა. ყოველი ბილიკი ჩირაღდნებით იყო განათებული, მათ სინათლეზე კი ყვითლად დაძარღვული მუქი იისფერი კედლებიდან აშკარად მოჩანდა ოქროს სხვადასხვა ზომის მარცვლები, ალაგ-ალაგ კი, თითქოს ოქროს ფქვილი მიაყარესო, გამოჩრილი ლოდები ისე ბრწყინავდნენ. გვირაბში შესვლისთანავე ლილეს ყრუ კაკუნი მოესმა, რომელიც სიღრმეში თანდათან ძლიერდებოდა.

მალე დიდ დარბაზში შევიდნენ. იქ კი გაცხოველებული მუშაობა იყო გაჩაღებული. ყოველი მხრიდან ოქროს მომპოვებლებს ურიკებით ლოდები გამოჰქონდათ და გროვებად ყრიდნენ. რამდენიმე ჯანიანი მუშა ურიკებით დაყრილს ლოდებს ამსხვრევდა, გრძელ მაგიდებთან მდგომნი კი მომცრო ჩაქუჩებით აქუცმაცებდნენ, ოქროს მარცვლებს მაგიდაზე დადგმულ ჯამებში ყრიდნენ, ქვებს კი ცალკე აგროვებდნენ. ირგვლივ ყურისწამღები ხმაური იყო.

ყურებდაცქვეტილ ბესანჯს თვალები აქეთ-იქით გაურბოდა. შერისხულთა გარემოცვას, მიწის ქვეშ ოროსა და ჩაქუჩის ყოველ დარტყმას, პატრონისთვის საშიშროებად აღიქვამდა.

ერთ-ერთი გვირაბიდან ახოვანი, ვეფხვისთავიანი შერისხული გამოვიდა და პირდაპირ ლილესკენ გამოემართა. ბესანჯი ღრენით შეხვდა და, სანამ ლილემ თავზე ხელი არ გადაუსვა და დაწყნარდიო, არ უთხრა, ვერ მოისვენა. პატრონის ბრძანებას კი დაემორჩილა, მაგრამ ლილესა და ვეფხვისთავიანს შორის ჩადგა.

— დედოფალ იორუბას მთავარი ვეზირი — ნასარი! — წარუდგინა იგი ალიმ ლილეს.

— სამწუხაროდ, ჩამოსვლისთანავე ვერ შეგხვდი, ბიგოს მთავარი ვეზირი ძალიან ბევრი საქმითაა დაკავებული. რა ვქნა, ვიღაცამ ქალაქის კეთილდღეობაზე ხომ უნდა იზრუნოს? ოქროს მაღაროებსაც მუდმივი ყურადღება სჭირდება. — ხრინწიანი ხმით ეუბნებოდა ნა-

სარი ლილეს, თან მაგიდებთან მიჰყავდა, სადაც თვითნაბადი ოქროს ნაირნაირი ზომისა და ფორმის მარცვლები გროვებად ეყარა.

ლილე მიუხვდა ნასარს. ვეზირი მოუცლელობის გამო კი არ იხდიდა ბოდიშს, სტუმარს ბიგოში თავის დიდ მნიშვნელობაზე მიანიშნებდა. ოქროს მაღაროში მოყვანაც შემთხვევითი არ იყო. ნასარს ბიგოს ძლიერების და დიდი სიმდიდრის ჩვენება უნდოდა. მხოლოდ ერთი რამ ვერ გაეგო ლილეს: რად უნდა ჰგონებოდა ვეზირს, ბესანჯის პატრონი ოქროს დახარბდებოდა. ალისაც უკვირდა, რად ინება ნასარმა ლილესთან მაღაროში შეხვედრა, მაგრამ ზედმეტ ლაპარაკს მოერიდა და აღარაფერი ჰკითხა. ვერც ლილე და ვერც ალი ვერ ხვდებოდნენ, რომ ირიელთან საუბრის შემდეგ იორუბას სამეფო სასახლეში დაბრუნებამ, გადააწყვეტინა მთავარ ვეზირს ლილესთვის ოქროს საბადოები ეჩვენებინა.

— ამ მაღაროებში იმდენი ოქროა, ერთ ქალაქს კი არა, მთელ ქვეყანას ააშენებს. ეს განძი კი ღირსეულთა შორის ღირსეულს უნდა ეკუთვნოდეს! — ჩაქუჩების კაკუნში თითქმის ყურში ჩაჰყვიროდა ნასარი ლილეს. მერე მაგიდიდან ოქროს მოზრდილი ზოდი აიღო და ლილეს გაუწოდა.

ახლა უკვე აშკარა იყო, ნასარი ლილეს დიდ სიმდიდრეს სთავაზობდა, მაგრამ რის სანაცვლოდ, ამაზე ჯერ არაფერს ამბობდა.

ლაპარაკის დროს, ლილეს ბესანჯზე ნათქვამი ჯუფრას სიტყვები გაახსენდა: ძაღლმა თუ ჩათვალა, პატრონი უღირსად იქცევა, მარტო მიტოვებას არ აკმარებს, შეიძლება ყელიც გამოღადროსო.

„ფრთხილად უნდა ვიყო", — გაიფიქრა ლილემ, რომელსაც ნასარზე მეტად ბესანჯი ჰყავდა მხედველობაში. ახლა კი მიხვდა ნასარის ვერაგულ გეგმას. ვეზირი მის მოშორებას ბესანჯის მეშვეობით ცდილობდა — ნასარის შეთავაზებული ოქროს აღებას ბესანჯი პატრონს არ აპატიებდა.

ლილე არ ცდებოდა, ვეზირი ზუსტად ამას ელოდა: ძაღლი ყელში სწვდომოდა პატრონს. მაგრამ ვეფხვისთავიანს ლილეს სიკვდილი კი არა, ბესანჯის მოშორება ეწადა: გაავებულ ძაღლს მაშინვე სულს გააფრთხობინებდა, და ლილესაც მოიმადლიერებდა.

— დიდო ვეზირო, ვხედავ, მართლაც მოუცლელი ბრძანდებით, მაგრამ ნადირობაზე თქვენი ხილვის იმედი მაინც მაქვს.

ლილემაც თითქმის ყვირილითვე უპასუხა ნასარს, ისე რომ, მისკენ გამოწვდილი ხელისთვის არც კი დაუხედავს. ოდნავი თავის დაკვრით დაემშვიდობა და ჩქარი ნაბიჯით გასასვლელისკენ გაემართა. ნასარს ხელი ჰაერში დარჩა.

„დღეს თუ არა, ხვალ მაინც ჩემს ხაფანგში აღმოჩნდებით, თუ ერთად არა, ცალ-ცალკე მაინც“, — გააყოლა ლილეს მზერა ნასარმა, გულში კი დაიქადნა — „მთავარი ვეზირი არ ვიყო, თუ ჩემი ასეთი დამცირება გაპატიო!“ — მერე კი ოქროსზოდიანი ხელით შუბლიდან სიმწრის ოფლი მოიწმინდა.

ლილეს დადევნებულმა ალიმ მამას გამოხედა და შეუბღვირა.

— მოიცა, ლილე! — საღამომდე დაბლა ჩასვლა შეუძლებელია, გავარვარებული კლდე არ ჩაგვიშვებს, შეიძლება დავბრმავდეთ კიდევ. — გააფრთხილა ალიმ ლილე. — მოვიცადოთ და ხვალ მზის ამოსვლისთანავე დავეშვათ.

გათენებამდე დრო უზომოდ გაიწელა.

— არც ღამით ისვენებენ? — იკითხა განუწყვეტელი კაკუნით შეწუხებულმა ლილემ.

— ღამით უვარგისი მადანი გააქვთ გარეთ და ხრამში ყრიან. — აუხსნა ალიმ, ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ კი დაუმატა, — დედოფალს შენ ურჩიე სამეფო სასახლეში გადასვლა?

— არა, ამის შესახებ არც კი ვიცოდი. — მხები აიჩეჩა ლილემ.

— ლილე, წამოსვლის წინ სიტყვა მოგეცი, შერისხულთა ქალაქში არც შენ და არც შენს ბესანჯს არაფერს დაგიშავებდით, მაგრამ...

— რა მაგრამ, თუ ჩემსა და ნასარის შეხვედრაზე გინდა მითხრა რამე, ტყუილად არ გაისარჯო. დარწმუნებული ვარ, მამაშენის ფანდის შესახებ შენ არაფერი იცოდი. — მშვიდად მიუგო ლილემ.

— ნდობისთვის მადლობელი ვარ. ისე იცოდე, აბარდაგანელები შერისხულებს არასდროს გვენდობიან და მართლებიც არიან.

— ხომ არ დაგავიწყდა, მე აბარდაგანელი არა ვარ, როშკაშიდან ვარ. ჩემი გამზრდელები, ადამიანებისაგან, თქვენსავით განსხვავდებიან, მაგრამ ყველაზე მეტი სითბო და სიკეთე მათგან მახსოვს.

— მართლა? — ლილეს ამ სიტყვებმა ისე გააოცა ალი, რომ ლაპარაკის წამოწყების მთავარი მიზეზი — იორუბაც კი გადაავიწყდა. — იქნებ შენს გამზრდელებსაც ჩვეულებრივ ადამიანებად თვლიდი, და არა

ისეთებად, როგორებიც იყვნენ, ამიტომაც არ გიჭირდა მათი ატანა. — ნიშნის მოგებით ჰკითხა ალიმ.

— რას ამბობ, მე მათ ისეთებად ვხედავდი, როგორებიც იყვნენ. ვატყობ, იორუბამ ყველაფერი გიამბო.

— ბესანჯი რომ არ გახლდეს თან, ვიფიქრებდი, გრძნეული ხარ და იორუბა მოაჯადოვა-მეთქი. ამ ძაღლის პატრონობამ გადაგარჩინა, თორემ ახლა ცოცხალი არ იქნებოდი.

— აი, მესმის გულახდილობა!.. — გულიანად გაეცინა ლილეს. — ამ თვისებით მამაშენს ძალიანაც არ უნდა ჰგავდე.

— ცდები, მე მამაჩემის ნამდვილი შვილი ვარ. მასავით მრისხანე და დაუნდობელი. მონების ნახევარიც, ალბათ, ჩემი მოტაცებულია. ვერ ნახე, ტუალანუში, მშვიდობიანობის დროსაც, ჩემს დანახვაზე დედები შვილებს როგორ მალავდნენ. თუმცა, მშვენივრად იცოდნენ, ბაზრობაზე იარაღის აღმართვის უფლება არავისა აქვს და ეს კანონი დღემდე არავის დაურღვევია. ნამდვილ მგლად რომ არ ვიქეცი, იორუბას უნდა ვუმადლოდე, მასზე ზრუნვამ, სხვა შერისხულებივით, ნასარის ხელში ულმობელ ბრმა იარაღად ქცევას გადამარჩინა. ბიგოში დედოფალსაც და ვეზირსაც, ყველაზე მეტად სურთ ძველი დიდების დაბრუნება, არც ერთი დაიხევს უკან, მაგრამ სხვადასხვა გზით აპირებენ ამას. ამიტომაც მტრად გადაეკიდნენ ერთმანეთს. მამაჩემის უკან მთელი ბიგო დგას, იორუბა კი მარტოა და, ნასარისაგან მე რომ არ ვიცავდე, აქამდე ცოცხალი არ იქნებოდა.

— შენ რატომღა იცავ იორუბას, მის მიერ არჩეული გზა მოგწონს თუ... — ლილემ წინადადება შეგნებულად არ დაამთავრა.

ლილეს კითხვაზე ალიმ მხოლოდ ჩაიცინა და მორიდებით ჰკითხა:

— ძალიან ლამაზია იორუბა?

— ულამაზესი!

„ჩემთვის ასეთიც ლამაზია“, — გაიფიქრა ალიმ, ხმამაღლა კი თქვა: მე არასდროს დაგინახივარ ადამიანის სახით?

— შენ არა! — უკვე ძილ-ბურანში ჩაილაპარაკა ლილემ.

* * *

ალი და ლილე მზის ამოსვლისთანავე დაეშვნენ ძირს. ჩასვლას მნიშვნელოვნად ნაკლები დრო მოანდომეს. ნაშუადღევს უკვე დაბლა იყვნენ და საგულდაგულოდ მოვლილი ჭვავის ნათესებიც უკან მოიტოვეს. საღამოზე პატარა დაჭაობებულ ტბას მიადგნენ, იქვე ახლოს მონადირეებს კარავი გაეშალათ. კარავში ლილემ შერისხულთა გარდა რამდენიმე კაცი დალანდა. ისინი უცხო სტუმარს თავს აშკარად არიდებდნენ.

იმავე დღეს, მოგვიანებით, მონადირეებს ნასარიც შემოუერთდა. სწორედ მისმა ხალხმა მოიტანა ამბავი, ჭაობების გაღმიდან ვეფხვი შესჩვევია საქონელს და კვირა არ გავა, ჯოგიდან ერთი მოზრდილი ხარი არ გაიტაცოსო. შერისხულებმა ნადირის ბუნაგის საძებნელად მზვერავები გაუშვეს. ამბავმაც არ დაახანა.

სულ მალე მონადირეები უკვე იმ გზას გაუყვნენ, რომლითაც ცხოველი მორიგი ნადავლით მიიმალა. ბილიკი ტყით დაფარულ ღრმა ხევში ჩადიოდა. ხევი ძალიან ციცაბოკალთიანი ბორცვის ფერდობზე ეშვებოდა და მარცხნიდან მეორე ხევი ეკვროდა. თუ მონადირეები ვეფხვს ორივე ხევიდან შეუტევდნენ, ცხოველი ხაფანგში მოემწყვდეოდა.

შერისხულთა მონადირეები გრძელი შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი, ხოლო მონები ხისგან გამოთლილი კომბლის იმედზე იყვნენ. სტუმარსაც ურჩიეს შუბის დაჭერა, მაგრამ ლილემ იუარა, ჩემს ხმალს ვერ ვუღალატებო.

— ვეფხვზე სანადიროდ შიშველი ხელებით მოდიან? — ისე ჰკითხა ლილემ ალის უიარაღო მსახურებზე, რომ ნასარსაც გაეგო. პასუხიც სწორედ მან გასცა: ბიგოში იარაღის ტარების უფლება მხოლოდ შერისხულებს აქვთო.

გზის გასაყარზე რაზმი სამად განაწილდა, ნასარის რაზმი — ვეზირი და ხუთი შერისხული — მარჯვენა ხევს უნდა ჩაჰყოლოდა, ალი, ლილე და ბესანჯი ორ შერისხულთან და ერთ მონასთან ერთად, მარცხენა ხევში დაეშვებოდნენ, სამი შერისხული კი ციცაბო ფერდობს ზემოდან დაჰყვებოდა, რათა ვეფხვის გამოჩენისთანავე ნიშანი მიეცათ დანარჩენთათვის.

ბილიკი ხშირი ბუჩქნარის უსიერ სივრცეში იკარგებოდა. ნადირობისთვის ძალიან მოუხერხებელი ადგილი იყო. ლილეს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ისინი კი არ მიდიოდნენ სანადიროდ, არამედ მათზე იყო გამოცხადებული ნადირობა. განსაკუთრებით მსახურის ბედი ადარდებდა, რომელსაც სახეზე ისეთი შიში აღბეჭდოდა, გული რომ გახეთქოდა და იქვე მომკვდარიყო, ლილეს ნამდვილად არ გაუკვირდებოდა. ბესანჯსაც მოუსვენრობა ეტყობოდა, გზადაგზა სულ ჰაერს ყნოსავდა. ლილე გარემოსა და ძაღლს ერთნაირი ყურადღებით აკვირდებოდა. მართალია, ფრთოსანთა ჟღურტული და ფრთების დგაფუნის ყრუ ხმა სიმშვიდეზე მიუთითებდა, უსაფრთხოდ თავს მაინც ვერავინ გრძნობდა.

— ლილე, შენ აქაურ ადგილებში ჯერ არ გინადირია, ენდე ჩემს რჩევას, ხმალთან ერთად ეგ ორლესული ცულიც გამოიყენე, წელზე რომ ჩამოგიკიდია. — გადაუჩურჩულა ალიმ ლილეს.

ხევი თანდათან ვიწროვდებოდა და ბუჩქნარიც მეჩხერდებოდა.

ლილეს ტოტების ტკაცუნისა და ფოთლების შარიშური მოესმა. ბესანჯმა უმალ ყურები ცქვიტა და პატრონს წინ დაუდგა. ლილემ უსიტყვოდ გადახედა ალის. მან ლილეს მზერა დაიჭირა. ლილეს მსგავსად, მანაც იგრძნო ცხოველის სიახლოვე და თანხმობის ნიშნად მეგზურს თავი დაუქნია. ახლა მახვილი სმენა მხედველობაზე მნიშვნელოვანი იყო. უეცრად, მეორე ხევის მხრიდან, ყურისწამღები ხმაური მოისმა. ფოთლების შრიალს კი არა, ტოტების მტვრევას ვერ გაიგებდა კაცი. მალე ხმაური გამძვინვარებული ცხოველების ღრიალმა შეცვალა, ღრიალს კი ტოტების ლაწანის ხმა მოჰყვა. აშკარა იყო, რამდენიმე ცხოველი ერთად ღრიალებდა.

— მოემზადეთ! — ამის თქმა ძლივს მოასწრო ალიმ, რომ ბუჩქებში ორმა მოზრდილმა ვეფხვმა გაიელვა. შერისხულებმა შუბები ასწიეს. ლილემ მარჯვენაში ცული მოიმარჯვა, მარცხენაში, რომელსაც მარჯვენაზე ნაკლებ მოხერხებულად არ ხმარობდა, ხმალი. ნადირი სამალავიდან გამოვიდა და მონადირეებისკენ დაიძრა. შუბმომარჯვებულმა მონადირეებმა სწრაფი ნაბიჯით უკან დაიხიეს.

ალიმ კი ჯერ არაადამიანურად დაიღრიალა, მერე გაცოფებული ხმით ლილეს დაუყვირა:

— უკან წადი, ამათ მე შევაკავებ! — ალიმ იცნო მათკენ მომავალი

ცხოველები — გაქცეული მონების დასაჭერად დაგეშილი ნასარის ვეფხვები. ისინი სხვებისგან ღია ყვითელი ბეწვითა და წვრილი ყავისფერი ზოლებით გამოირჩეოდნენ. ერთმა შიშისაგან ადგილზე გაშეშებული მსახურისკენ აიღო გეზი, მეორემ ლილეს გაუყარა თვალი თვალში და გამარჯვებულის მედიდური ნაბიჯით მისკენ დაიძრა.

— გაიქეცით. დაგეშილები არიან!.. — ხელი ჰკრა ალიმ ლილეს.

პატრონის შეურაცხყოფაზე ბესანჯი მზად იყო ალის ყელში სწვდომოდა, მაგრამ ცხოველი გუმანით ხვდებოდა, ლილეს სხვა უფრო დიდი საფრთხე ელოდებოდა. ერთი ვეფხვი, რომელიც მსახურისკენ მიემართებოდა, დაწინაურდა, უეცრად შედგა, მოირკალა და ბრდღვინვა ამოუშვა. ლილე მიხვდა, ვეფხვი ნახტომისთვის ემზადებოდა, მაგრამ ბესანჯმა დაასწრო, გავეშებულ ცხოველს წინ დაუდგა და გაშმაგებული ყეფა დაიწყო, თან ადგილიდან მასზე ორი თავით მაღლაც ხტებოდა. მოულოდნელმა შეტევამ ცხოველები დააბნია. მონამაც დრო იხელთა, ნელ-ნელა უკან დაიხია. ალი ლილეს ამოუდგა მხარში. ახლა მეორე ვეფხვი დაიძრა მონის მიმართულებით. ლილეც იმ ვეფხვისკენ გაიქცა. ბესანჯმა პატრონის გვერდით გადაინაცვლა.

— მსახური არ დააგლეჯინო! — შეჰყვირა ლილემ ალის და მისკენ მოტრიალებულ ნადირს ეკვეთა.

ალის მონის დაცვაზე აქამდე წამითაც არ უფიქრია. კარგად იცოდა, დაგეშილი ვეფხვი ერთ მსხვერპლზე მეტს არ მოიტაცებდა, არც დაგლეჯდა. ამიტომ, მხოლოდ იმ ვეფხვის მოკვლას აპირებდა, ლილეს თუ დაესხმოდა თავს. შუბს არ ისროდა, რადგან ამ დროს მეორე ცხოველი ლილეს მივარდებოდა, თვითონ კი უძლური აღმოჩნდებოდა. მეორე ვეფხვმა ალის არც შეხედა და გაქცეულ მონას გაეკიდა. უიარაღო მსხვერპლი მიხვდა, რომ მტაცებელი მოსდევდა, უეცრად მოუბრუნდა ნადირს და ყვირილითა და ხის კომბლის ქნევით მისკენ გაექანა. ლილემ ისე შეჰყვირა, მსახურს მიხედეო, რომ ალიზე ამან მაგიურად იმოქმედა, ნადირს გაეკიდა და შუბი ესროლა. შუბმა ვეფხვს უკვე ნახტომში მიუსწრო და ფერდში ჩაერჭო, მაგრამ მსხვერპლამდე მაინც მიაღწია. მონა გაშმაგებით იქნევდა კომბალს. ვეფხვმა კომბლის წართმევა შეძლო და ის-ის იყო უნდა დაეტორა, რომ ზურგზე ალი შეახტა, მარცხენა ხელი კისერზე შემოავლო და მარჯვენათი მოკაუჭებული იარაღი ყელში გამოუსვა. ვეფხვი წელში

გაიზნიქა, ამოტრიალდა და დავარდა, ალი ქვეშ მოიყოლა. რამდენიმე ნაბიჯზე ცულით თავგახეთქილი მეორე ვეფხვი ლილეზე იყო დამხობილი. ცხოველის სიმძიმისგან ალის თვალთ უბნელდებოდა. ერთი ხელის გაწვდენაზე დატორილ ბესანჯს მოჰკრა თვალი, ლილეს ხელიც დალანდა, მის თვალწინ ლილეს გასისხლიანებული ხმალი ალაგ-ალაგ ლაპლაპებდა და... კრიალა ზედაპირზე ალიმ უცნობი ვაჟის სახე დალანდა. უცნობის თვალების მეტს ალი აღარაფერს ხედავდა. მთელი ძალა მოიკრიბა და ვეფხვისგან თავი გაითავისუფლა. სიმძიმე რომ მოიშორა და შვებით ამოისუნთქა, მაშინღა მიხვდა, ლილეს ხმალი მის სახეს რომ ირეკლავდა. იგი თავის სახეს უყურებდა, — ადამიანურ სახეს, მგლისთავიანი შერისხულისას კი არა, — ირეელის ხმლიდან მას დიდებადაბრუნებული ვაჟკაცი უმზერდა.

— ცოცხალი ხარ? — მოესმა ლილეს ხმა.

— ლილე! — შვებით ამოისუნთქა ალიმ.

შიშისგან თავზარდაცემული მონაც გონზე მოვიდა. ჯერ ალის მიეხმარა ვეფხვის სხეულიდან განთავისუფლებულიყო, მერე ლილეზე დამხობილ ვეფხვს უცვალა გვერდი. გულაღმა დაგდებულ დარეტიანებულ ლილეს მზე თვალს სჭრიდა, მაგრამ წამიერად მაინც შეავლო თვალი ალის ნამდვილ სახეს. ლილე ყველაზე მეტად იყო დაგლეჯილი. ტანსაცმელზე ვეფხვის კლანჭები ზოლებად ეტყობოდა. ბესანჯსაც უხვად ჰქონდა ჭრილობები, მაგრამ ფეხზე წამოდგომას მაინც ცდილობდა.

— სიარულს შეძლებ? — ჰკითხა ალიმ ლილეს.

— ჯერ წამოდგომაში მომეშველე და მერე ვნახავ.

ჭრილობებზე მეტად ლილეს ვეფხვის სიმძიმისაგან დაბეჟილი სხეული აწუხებდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, მეტი ძალა იგრძნო, თუმცა დამოუკიდებლად სიარული მაინც უჭირდა. ალის ერთი სული ჰქონდა, ლილესთვის თავისი ნამდვილი სახის დანახვაზე ეკითხა რამე და კიდევ ერთხელ დაეხედა ხმლისთვის, მაგრამ მონის თანდასწრებით ამას მოერიდა.

* * *

დაჭრილი ლილე ალის სახლში მოათავსეს. თავად იორუბამ მობანა ჭრილობები და ათასგვარი მალამო დაადო. დედოფალი ბესანჯმაც კი მიუშვა და დაგლეჯილ სხეულზე წამლები წაასმევინა, აღარც ალის უღრენდა.

— ასე მშვიდად როგორ ხარ ჩემს სახლში, ლილე, მამაჩემმა ხომ ორჯერ დაგიგო მახე და სასიკვდილოდაც გაგიმეტა. სამწუხაროდ, ორივეჯერ ხაფანგამდეც სწორედ მე მიგიყვანე. — უთხრა ერთ საღამოს ალიმ ლილეს, როცა იორუბამ სახვევები შეუცვალა სტუმარს.

— შენ და დედოფალს სრულიად გენდობით, — არხეინად უპასუხა სტუმარმა. — მე ხომ თქვენი ნამდვილი სახე მაქვს ნანახი.

— ჩემი ნამდვილი სახე ნადირობისას თავადაც დავინახე. — გამოტყდა ალი. — აქამდე არ ვამბობდი...

— ახლა ხომ გჯერა ჩემი! — ტაში შემოჰკრა იორუბამ.

— მე ადრეც მჯეროდა! — ნაწყენი ხმით უპასუხა ალიმ.

— ბიგოელებმაც რომ დაინახონ ჩვენი ნამდვილი სახე, იქნებ ნასარს აღარ გაუმაგრონ ზურგი და დიდების დაბრუნებაზეც სხვაგვარად იფიქრონ? — გულუბრყვილო ბავშვივით ჰკითხა იორუბამ ლილეს.

— ჯერ ერთმანეთის ნამდვილი სახე არ დაგვინახავს, შენ კი მთელ ბიგოზე ფიქრობ. — გულდაწყვეტით თქვა ალიმ.

— შენც ჩემი თვალები გამოგადგა სარკედ? — ჰკითხა ლილემ ალის.

— არა, შენს ხმალზე მოვკარი თვალი ჩემს ანარეკლს.

— მართლა? აბა, რაღას უცდით. ორივემ ერთად ჩაიხედეთ. — ლილემ საწოლთან მიყუდებული ხმალი ქარქაშიდან ამოიღო და ალის გაუწოდა.

ალიმ ხმალი ჩამოართვა, იორუბას გვერდში ამოუდგა და თვალების სიმაღლეზე დაიჭირა.

— აი, როგორი ყოფილხარ? — წამოიძახა იორუბამ. დედოფლის სილამაზით მონუსხულმა ალიმ კი სიტყვაც ვერ დაძრა.

სამწუხაროდ, ეს სანახაობა მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა.

თავი მერვე

უცნაური სამზადისი

ნასარს ასეთი მარცხი არასდროს განეცადა. დღემდე ყოველი მისი ჩანაფიქრი წარმატებით სრულდებოდა. მეფე-დედოფალიც ისე მოიშორა თავიდან, მისი დადანაშაულება ვერავინ შეძლო, ყველაფერი ნადირობისას მომხდარ უბედურ შემთხვევას მიეწერა. რას ფიქრობდა იორუბა, ნასარს სრულიად არ აღელვებდა — ბიგოს დედოფალი კი არა, თავად მართავდა. მთელი მისი ვეზირობის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეცდა, როცა ახალგაზრდა დედოფალი, თავისი მშობლებივით, ბავშვობაშივე არ მოიშორა, მაგრამ მაშინ სულ სხვა გეგმები ჰქონდა: ალის რომ იორუბა შეერთო, სამეფო ტახტს საბოლოოდ ხელში ჩაიგდებდა. შვილზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებდა. მაგრამ იორუბას გადამკიდე ალი მრისხანე და შეუბრალებელი შერისხულიდან სწორედ ისეთად იქცა, რომლის გამეფებას მამა ვერასდროს შეეგუებოდა. იორუბას დაწყებული საქმე ახლა ლილემ დაუგვირგვინა და საბოლოოდ დაუღუპა შვილი, საწყალ კაცთმოყვარე არსებად აქცია. ვეზირი ნადირობისას მონის გადასარჩენად თავის გაწირვას ვერ აპატიებდა შვილს. არადა, იყო დრო, ალის გამოჩენაზე მონები და მსახურები კი არა, შერისხულებიც სახლებს აფარებდნენ თავს.

მთავარი ვეზირი არც მანამდეც სწყალობდა ახალგაზრდა დედოფალს, ნადირობის შემდეგ კი აბარდაგანზე მეტად შეიძულა და ყველაზე დიდ მტრად გაუხდა. მზად იყო მკვლელები მიეგზავნა, მაგრამ დედოფალმა სამეფო სასახლეში იმდენი მსახური და მცველი ჩაასახლა, დაუკითხავად ბუზიც კი ველარ შეფრინდებოდა.

წლების მანძილზე გამოკეტილი სასახლე იორუბას დაბრუნების შემდეგ გამოცოცხლდა. მეორე კვირა სრულდებოდა, რაც დედო-

ფალმა თანატოლი გოგონები თავისთან იხმო, ქვეშევრდომები ბიგოელებისთვის უცხო და უცნაური ხელსაქმით დააკავა — წვრილი ბურთებისა და ნიჟარებისგან ფერად-ფერად მძივებსა და სამაჯურებს აწყობდნენ; ოქროსფერი მბზვინვარე სელისგან პატარა ქამრებს წნავდნენ, პრიალა ძაფებით ცხვირსახოცებს ქარგავდნენ — ყვავილებითა და პეპლებით მოჩითულს ან ფრთოსანი ლომის ორნამენტებით დამშვენებულს. გოგონებს, თავდაპირველად, ძალიან გაუჭირდათ, ნემსებმა თითები დაუჩხვლიტათ, ფერადი მძივები და ძაფები თვალებს უჭრელებდათ, მაგრამ პირველი აწყობილი მძივისა და მოქარგული ცხვირსახოცის შემდეგ, ნახელავით აღფრთოვანებულებმა, უფრო დიდი ხალისითა და მონდომებით გააგრძელეს მუშაობა. ორიოდე დღის შემდეგ, მათთან ერთად მომუშავე დედოფალმა ღიღინი წამოიწყო. გოგონებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს და შიშით გააგრძელეს ხელსაქმე. ბიგოში სიმღერა, დაკვრა და თამაში ბავშვებისთვისაც კი უდიდეს დანაშაულად ითვლებოდა, დედოფალი კი ისე უდარდელად ღიღინებდა, თითქოს შერისხულთა ქალაქის ტახტზე კი არ იჯდა, დიდებადაბრუნებული მთელ აბარდაგანს მართავდა. ცალკე დედოფლის რიდმა, ცალკე სიმღერით მიღებულმა სიამოვნებამ გოგონებს შიში თანდათან დააძლევინა. სულ მალე ერთი-ორი თამამი გოგონა დედოფალს აჰყვა კიდეც. ამ ღიღინ-ღიღინში, ხელსაქმესთან ერთად, სიმღერაც ისწავლეს. ბოლოს კი ისე გაყოჩაღდნენ, პატარ-პატარა მელოდიებს თავადაც იგონებდნენ. მთელი კვირის გაცხოველებულები მუშაობის შემდეგ, გოგონებმა ფრთოსანლომებიანი ცხვირსახოცები და ქამრები თეთრ ტოპრაკებში ჩაალაგეს, მძივები და ყვავილებით მოჩითული ცხვირსახოცები კი — ვარდისფერებში. ეს სამუშაო რომ დაამთავრეს, დედოფალმა მათ ყველაზე დიდი დარბაზი მოართვევინა. გოგონებმა შავი კედლები ჰაეროვანი ფერადი ფარდებით დაფარეს და ცისარტყელაგადაჭიმულ ცას დაამსგავსეს. იორუბამ დარბაზის შუაში გამხმარი ტოტები თავდაყირა ჩამოაკიდებინა. გოგონები ყველაფერს დიდი სიამოვნებით აკეთებდნენ, სასახლეში ცხოვრება ისე მოეწონათ, სახლში დაბრუნებაზე აღარც ფიქრობდნენ.

ორკვირიანი სამზადისის შემდეგ, მთელი ბიგოს გასაკვირად და ნასარის კიდევ ერთხელ, საგონებელში ჩასაგდებად, დედოფალმა

ახალი ბრძანება გასცა: ყველა ბიგოელი ბავშვი, შერისხული თუ არა-შერისხული, სასახლეში უნდა მიეყვანათ.

თუ შერისხულებს გაკვირვებით მიჰყავდათ შვილები, მსახურები თვალცრემლიანები აცილებდნენ პატარებს, რადგან ბატონებისგან კარგს არაფერს ელოდნენ. ამიტომაც შიშობდნენ, იქნებ უკანასკნელად ვხედავთ შვილებსო. ალიმაც არ იცოდა, რა ჰქონდა ჩაფიქრებული იორუბას, რისთვის ჩამოატანინა ტუალანუს ბაზრობიდან იმდენი ფერადი მძივი და ძაფი, ან რად მოაყვანინა ბიგოელი ბავშვები სასახლეში, ახლა ზუზუნით ეზოში რომ ირეოდნენ.

როცა ყველა მოგროვდა, კარიც გაიღო. დედოფალი თავად გამოვიდა ბავშვებთან და თავადვე გაუძღვა სამეფო სასახლის ყველაზე დიდი და მორთული დარბაზისკენ. გაოგნებული ბავშვები აქეთ-იქით იყურებოდნენ. ფერთა ასეთი სიუხვე არასდროს ენახათ. უეცრად მუსიკის ნაზი ჰანგებიც გაისმა. მსახურებმა ბავშვები ჩამოკიდებული ტოტების ირგვლივ დააყენეს. გამხმარი ტოტების გარშემო ვარდისფერი, თეთრი და ნითელი ტოპრაკები ელაგა. მუსიკა რომ შეწყდა, იორუბა სამეფო ტახტზე ავიდა და ბავშვებს მიმართა:

— ჩემო საყვარელო ბავშვებო! დღეს, ყველა თქვენგანი ჩემს დაბადების დღეზე მოგიპატიჟეთ. ერთ ძველთაძველ წიგნში ამოვიკითხე, თურმე აბარდაგანში ასეთი წესი ყოფილა — დაბადების დღეზე იუბილარს საჩუქრებს აძლევენ, სტუმრები კი მხიარულობენ და ერთობიან. დღეიდან, ბიგოში ყოველ წელს თქვენი მშობლებიც აღნიშნავენ თქვენს დაბადების დღეს. მე და თქვენმა უფროსმა დებმა უამრავი საჩუქარი მოგიმზადეთ. ხომ ხედავთ ჩამოკიდებულ გამხმარი ხის ტოტებს, ეს საჩუქრები მათ გარშემო დავალაგეთ. ვარდისფერი ტოპრაკები გოგონებმა აიღეთ, ბიჭებმა — თეთრი, ხოლო ნითელში რასაც იპოვით, ხის ტოტებზე ჩამოჰკიდეთ.

ბავშვები გაყურსულები უსმენდნენ დედოფალს. პირველი ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავდნენ. მაშინ იორუბამ ხელი ჩასჭიდა ორ ბავშვს, ერთი შერისხული იყო, მეორე — არა, და საჩუქრებთან მიიყვანა. ორივემ ვარდისფერი ტოპრაკი აიღო. ფრთხილად გახსნეს და იქიდან პაწია ფერადი მძივები და დაქარგული ცხვირსახოცები ამოიღეს. იორუბამ ჯერ ერთს ჩამოჰკიდა სამკაული, მერე — მეორეს.

ბავშვებმა ერთმანეთს შეხედეს. მათ შავ გრძელ კაბებზე პრიალა

ნიჟარებით აწყობილი მძივები ვარსკვლავებივით ციმციმებდა.

— მოგწონთ ერთმანეთი? — ჰკითხა იორუბამ პატარებს. ბავშვებმა თავი დაუქნიეს.

— დღეიდან თქვენ საუკეთესო მეგობრები იქნებით და არასდროს იჩხუბებთ. მაძლევთ პირობას? იცოდეთ, ბრაზიანი და მოჩხუბარი ბავშვები არ მიყვარს, მხოლოდ კეთილ და მხიარულ ბავშვებთან ვთამაშობ.

დედოფლის სიტყვებზე პატარებს გულიანად გაეცინათ.

— ეს საწყალი გამხმარი ტოტები არ დაგავიწყდეთ! — შეახსენა მათ იორუბამ. — თუკი ყველა ერთად იქნებით და ერთმანეთი ძალიან გეყვარებათ, მის გალამაზებასაც შეძლებთ. დედოფალმა პატარებს წითელი ტოპრაკებიდან ყუნწშებმული ნიჟარები ამოაღებინა და ტოტებზე ჩამოაკიდებინა.

— ახლა გაიქეცით და თქვენს მეგობრებს აჩვენეთ როგორი ლამაზი გოგონები ხართ! ვინ არის აბა ყოჩაღი? ვის უნდა საჩუქრის მიღება? — შესძახა იორუბამ ბავშვებს.

სულ მალე ყველა გოგონას ყელზე მძივები, მაჯაზე კი ლამაზად მოწნული სამაჯურები ეკეთა, ბიჭებს კი წელს ოქროსფერი ქამრები უმშვენებდათ. ჩამოკიდებული ხის ტოტებიც გალამაზდა, ათასფრად აკიაფდა. ბავშვები აღტაცებით შეჰყურებდნენ საკუთარი ხელით მორთულ ტოტებს.

საღამოს, დედოფლის ბრძანებით, შვილების წასაყვანად მოსული მშობლები სასახლის დიდ ბაღში შეუშვეს, სადაც პატარებს დიდი თამაშობა გაეჩაღებინათ.

გაოგნებული უფროსები გაშეშებულები უყურებდნენ ბავშვებს, რომლებიც ისე თამაშობდნენ ერთმანეთთან, თითქოს მტრების შვილები კი არა, მოსიყვარულე და-ძმანი ყოფილიყვნენ.

მალე სასახლის ხმაური მთელ ბიგოს მოედო. აღტაცებული ბავშვები მკაცრი მშობლების გვერდითაც კი ვერ მალავდნენ სიხარულს, ერთსა და იმავეს ათასჯერ ყვებოდნენ, საჩუქრებით თავს იწონებდნენ — ნახეთ, რა ლამაზი მძივი მაქვს, ხედავთ, როგორ ბრჭყვიალებს ჩემი სამაჯურიო... ისმოდა მთელს ბიგოში და ძალიან გვიან, თითქმის გამთენიისას ძლივს ჩაეძინათ ბედნიერ პატარებს — ზოგს თავის პაწია, ფუმფულა საწოლში, ზოგს დედის კალთაში,

ზოგსაც – მიწაზე გაფენილ დაძენძილ ქვეშაგებზე.

იმ ღამესვე მივარდა ნასარი სასახლეში. მზად იყო საკუთარი ხელით გაეგლიჯა ურჩი დედოფალი, მაგრამ მცველებმა არ შეუშვეს, – დედოფალი ისვენებს და ბრძანა, დილამდე არავინ შემაწუხოსო.

„მიფრთხილდი, იორუბა, უკანასკნელი დილა არ გაგითენდეს", – დაემუქრა გუნებაში დედოფალს ვეზირი, მაგრამ მეორე დილას ცუდი ამბავი ამცნეს – ყველაზე დიდი ოქროს მაღაროს მთავარი შესასვლელი ჩამონგრეულიყო. ნასარმა დედოფალთან შეხვედრა გადადო და სასწრაფოდ მაღაროებისკენ გაეშურა.

თავი მეცხრე

ქალიშვილი ყვავით

მშვიდად მძინარე ომდურმანზე სქლად ჩამოწოლილი ნისლი ჯიუტად ცდილობდა ყოველ კუთხე-კუნჭულში შეღწევას და ქალაქის დაპყრობას, მაგრამ სულ ტყუილად. მისი წამები დათვლილი იყო. როგორც კი მზე ფეხს მოიკიდებდა ცის კაბადონზე, ნისლი თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდებოდა.

უძლეველი არმიისათვის ტარუტოს ხისგან ჯარისკაცების გამოთლის დაწყების შემდეგ, ავდრისა და ნისლისმოყვარულ დედა-დედოფალს მზიანი დღეები შეუყვარდა. სიცხეში კარგად გამომშრალი ქვასავით მკვრივი ხის ნაჭერი ოსტატთა საჭრეთელს უფრო ადვილად ემორჩილებოდა.

ყველაფერი მოსალოდნელზე უკეთ მიდიოდა: ტახტის მემკვიდრე პატარა სულა ჯანმრთელი და ღონიერი ბიჭი იზრდებოდა; ტარუტოს ხისგან გამოჭრილი ჯარისკაცების არმია, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც ივსებოდა; ტისოც მთელი დღეები შეპირებულ სულა I-ის ნიღაბს ჩაჰკირკიტებდა. შერისხულთა ქალაქიდან ხელცარიელი ელჩების დაბრუნებამაც დედა-დედოფალი დიდად არ განარისხა. ნასარზე კი გაბრაზდა ცოტა, პირველად თავად არ შემომთავაზა, სველთვალებიანი ნიღბის ოსტატს გამოგიგზავნი, სამაგიეროდ, სალიტულას ტახტი შუაზე გავიყოთო. ახლა კი უარზე დადგა. ალბათ ტყუოდა შერისხულთა ვეზირიო, — ფიქრობდა დედა-დედოფალი.

ბესანჯიანი მეომრის გამოჩენამ ცოტა კი ააფორიაქა, მაგრამ არც ძალიან. მალე ისეთი უძლეველი არმია მეყოლება, ერთი ბესანჯი კი არა, მთელი ხროვა რომ გამოჩნდეს, ჩემს ჯარისკაცებს ვერაფერს დააკლებსო. რაც გულს უკლავდა დედა-დედოფალს, ორი აუვსებელი თასი იყო. დრო ულმობლად სწრაფად გადიოდა. თასები კი არა და

არა ივსებოდა. მთელი ომდურმანი ცრემლად იღვრებოდა, გრძნეულთა აღარც ერთ ქვეშევრდომს თავზე თმა აღარ შერჩენოდა, მაგრამ ცრემლისა და თმის ფერფლის თასების ავსებას საშველი არ ადგებოდა.

„კიდევ ერთხელ უნდა ვნახო ტისო და დაველაპარაკო", — გაიფიქრა თასების მორიგი შემოწმებით იმედგაცრუებულმა დედა-დედოფალმა. მას პირობა შეესრულებინა, ტისო საპატიმროში აღარ იჯდა, ომდურმანის თავზე კლდეებში გამოკვეთილ აკლდამებში ცხოვრობდა და მუშაობდა.

დედა-დედოფალმა ნიღბების ოსტატი ცებაი დილიდანვე იხმო. დიდი სიამოვნებით მიუგდებდა ასაის და მის ძმას დასაგლეჯად ნადირს, მაგრამ უძლური იყო. პირველი თავის ვაჟს, სულას უყვარდა და ცოლად ესვა, მეორეზე უკეთესი ტარუტოს ხის მცოდნე და ნიღბების ოსტატი მთელს ომდურმანში არ ეგულებოდა. მიზეზს კი მუდმივად ეძებდა, ცებაისთვის შენიშვნა მიეცა ან გაეკიცხა.

— რამდენი ხანია, გელოდები! რაო, ვერ გაგაღვიძეს ჩემმა მსახურებმა?! — შეუღრინა დედა-დედოფალმა ოსტატს.

— როგორც კი თქვენი დანაბარები გადმომცეს, მაშინვე სასახლისკენ გამოვეშურე! — ჩვეული მორჩილებით უპასუხა ცებაიმ.

— მაშინ გზაზე შეივლიდი რომელიმე ფარდულში, უსაუზმოდ ხომ არ იკადრებდი აქ მოსვლას?

ცებაიმ პასუხი აღარ გასცა. რა აზრი ჰქონდა. დედა-დედოფალს საჩხუბრად მიზეზი არ გამოელეოდა და მხოლოდ ეს ჰკითხა:

— რისთვის მიხმეთ დედა-დედოფალო?

— ჩვენიან ტამრიტელებთან უნდა წახვიდე, იტურელებისთვის ტარუტოს რამდენიმე ხე წაურთმევიათ. ნახე, ღირს თუ არა მათი აქ მოთრევა? წინანდელივით გულდამპლები არ შემოგვაჩეჩონ. ისიც იკითხე, ბესანჯიან მეომარზე ხომ არაფერი გაუგიათ, წვრილად გამოჰკითხე, შენებურად ზერელედ კი არა.

— ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც მიბრძანებთ! — კვლავ მორჩილად უპასუხა ოსტატმა.

დედა-დედოფალმა ხელით კარისკენ აჩვენა. ცებაიმ მდაბლად დაუკრა თავი და ოთახიდან გავიდა. რამდენიმე მცველის წაყვანის უფლება ჰქონდა, მაგრამ მარტოობის მოყვარული ოსტატი ამ პრი-

ვილეგიით არასდროს სარგებლობდა. გზაში ნადირი თუ გადაეყ-რებოდა და დაგლეჯდა, იმასაც ეს უნდოდა, — და ტამრიტელებთან ახლაც მარტო გაეშურა.

ტამრიტელები მინათმოქმედებით იყვნენ განთქმულნი. იყო დრო, როცა მათ ვრცელ მინდვრებში მოყვანილი ქერი, ჭვავი და ცერცვი მთელ აბარდაგანს აპურებდა. სულ ახალ-ახალი მიწების ძიებაში ხან იტურელთა ტყეებს ჩეხდნენ, ხან უდაბნოსკენ არხები გაჰყავდათ. რაც არ უნდა ბევრი მიწა ჰქონოდათ, ან რაც არ უნდა დიდი მოსა-ვალი მოეწიათ, მაინც უკმაყოფილონი იყვნენ. სწორედ ამ თვისებით ისარგებლეს გრძნეულებმა და ტამრიტელთა ნახევარი დაპირებე-ბით მონუსხეს. ახლა ერთ მიწაზე ერთმანეთის გვერდით ორად გაყ-ოფილი და მტრადმოკიდებული ხალხი ცხოვრობდა. დასავლეთით მოუნუსხავი მინდვრები, გრძნეულთა წყალობით, მოუსავლიან მი-წებად იქცნენ. დღე და ღამეს ასწორებდნენ აბარდაგანელი ტამ-რიტელები ლუკმაპურის საშოვნელად, მაშინ როცა აღმოსავლეთით ომდურმანის ქვეშევრდომების ყანები თვალისგასახარად ბიბინებდა. კი აავსეს მონუსხულმა ტამრიტელებმა ბეღლები, მაგრამ გულები დაუცარიელდათ. დიდი მშვიდობიანობით ვერც ადრე დაიკვეხნიდნენ, მაგრამ ახლა მუდამ დავასა და ჩხუბში იყვნენ. ვიღას არ მტრობდნენ — მოუნუსხავ ტამრიტელებს, იტურის ტყის ხალხს და მთელ აბარდაგანს თავის მეწამულ დედაქალაქიანად. თვით მეზობლებიც არ ინდობდნენ ერთმანეთს, დღენიადაგ სხვის მიწებსა და ბეღლებზე ეჭირათ თვა-ლი. მათ შემხედვარეს, მოუნუსხავი ტამრიტელების ქცევა უბრალო კინკლაობად მოეჩვენებოდა.

მონუსხულები ტარუტოს მოსაპოვებლად უკვე იტურის სიღრმე-ებში შესვლასაც არ ერიდებოდნენ. ოღონდაც დედა-დედოფლისთვის ეამებინათ, მთელ ტყეს ერთიანად გაჩეხავდნენ, მაგრამ იცოდნენ, ტარუტოს ხე უკვე დიდი იშვიათობა იყო და ტყუილუბრალოდ დროის დაკარგვას ერიდებოდნენ. დედა-დედოფლის ხათრით ცებაის დიდი პატივით ხვდებოდნენ. სასახლის კარზე წარჩინებულ პირად მიაჩნ-დათ, — ისეთ ძვირფას განძს, როგორიც ტარუტოს მერქანია, ისე როგორ ანდობდნენო.

ცებაის ორი უღელტეხილი უნდა გადაევლო ტამრიტელებთან მისასვლელად. ადრე თუ ვიწრო ბილიკის პოვნა ჭირდა, ახლა

გრძნეულთა ქალაქიდან ალაგ-ალაგ მოკირწყლული გზაც კი ეშვებოდა მონუსხულ ტამრიტელთა სავარგულებამდე. ცებაი ორ დღეში ტამრიტში იყო და ტარუტოს ხეებს მთელი გულისყურით ათვალიერებდა. ტარუტოს ხეების მერქანი მართლაც ჩინებული გამოდგა.

— ასეთი საჩუქრით დიდად გაახარებთ დედა-დედოფალს, — დააიმედა ცებაიმ ტამრიტელები.

მათაც მეტი რა უნდოდათ. სასწრაფოდ დაიჭირეს თადარიგი მორების ომდურმანში წასაღებად.

— ბესანჯიანი მეომრის შესახებ ხომ არაფერი გსმენიათ? — სხვათა შორის იკითხა ცებაიმ.

— ტუალანუში გამოჩნდა პირველად, რამდენიმე ჩვენებურმა უკვე დალანდა კიდეც. ბრგე ვაუკაცია, თეთრი პირისახე და წაბლისფერი თმა აქვს. წელზე ლაპლაპა ხმალი და საბრძოლო ცული ჰკიდია. — უპასუხა ერთ-ერთმა ტამრიტელმა.

— მოუნუსხავები ამტკიცებენ, ჩვენთან ერთად იმგზავრაო, მაგრამ ვის სჯერა, ტყუიან ნამდვილად. — დაამატა მეორემ.

— მაგათ სულ ტყუილები აკერიათ პირზე. ახლაც იმასაც ამტკიცებენ, ბესანჯიანი მეომრის საძებნელად წამოსული უცხოელი გვესტუმრა თავისი ყვავითო.

— წავიდეთ, მოვინახულოთ, არ გაგვასწროს! — მხარი აუბა ცებაიმ.

— ჰო, ჰო... გავიქცეთ, ვინ იცის, ფრთოსანი ლომიც კი ჰყავს უკვე შეკაზმული. — ენამოსწრებული ტამრიტელის სიტყვებზე ყველას დასანახად ცებაიმაც გაიცინა.

დამზადებული ხეების წაღება ომდურმანში ცებაიმ ტამრიტელებს მიანდო, თვითონ კი ახალი ხეების მოძებნა მოიმიზეზა და ომდურმანის ნაცვლად, ბესანჯიანი მეომრისა და მისი მაძებარი უცხოელის ამბის გასაგებად გაეშურა.

მეორე მხარეზე გადასასვლელად ცებაის ჯერ მინდორ-მინდორ უნდა ევლო, მერე ხრამი გადაელახა. ოთხი-ხუთი კაცის სიმაღლის ხრამს ცალი ფერდობი დამრეცი ჰქონდა, და მასზე ჩასვლა არ გასჭირვებია; მეორე — ციცაბო და გამოფიტული. მიწაც ისეთი ფხვიერი იყო, ფეხს ვერ მოიკიდებდა კაცი. ალაგ-ალაგ შეფენილი ეკლიანი ძეძვიც დიდ დახმარებას ვერ გაუწევდა. ბედად, კარგად მოშორებით,

სამხრეთით, ციცაბო კედელი თანდათან ფერდდებოდა და, ხვლიკებსა და მორიელებს შორის მთელი საათი სიარულის შემდეგ, ცებაიმ ხრამს ძლივს დააღწია თავი. აქეთა მხარეს ბეღლები სახლებზე მომცრო იყო, სოფლებიც ბევრად უფრო ღარიბულად გამოყურებოდა, მაგრამ კოპწიაობის მოყვარული ტამრიტელები აქაც მყვირალა ფერის ჭრელ-ჭრელი მძივებით იყვნენ მორთულნი.

საღამო ხანი იყო, ცებაი ტამრიტელთა სოფელში რომ შევიდა. მზისგან სახეგარუჯული სოფლელები ყანებიდან ბრუნდებოდნენ. კაცებს მხრებზე სამუშაო იარაღები გაეწყოთ და მოღიღინე ქალებსა და ზურგზე ბავშვებშემომჯდარ ოკაპებს მიუძღოდნენ წინ. მართალია, მშვიდობა იდგა და მტერსა და მოყვარეს მოურიდებლად შეეძლოთ ერთმანეთში სიარული, მაგრამ გრძნეულთა მთავარ ნიღბების ოსტატს დასავლეთით მაინც უნდობლად ხვდებოდნენ. დალაპარაკებას ვინ ჩივის, ერთ-ორ სიტყვასაც სამადლოდ ძლივს უგდებდნენ. ღამის გასათევად სახლში არავინ შეუშვებდა. ცებაიმ პირველსავე სოფელში მკურნალი მოიკითხა. განაპირას მდგარი ქოხი მიასწავლეს, სოფლის მკურნალი იქ ცხოვრობსო. ქოხი წნელით შემორაგულ ეზოში იდგა. ეზო დიდი არ იყო. სამაგიეროდ, ქოხი სოფლის სხვა სახლებზე მოზრდილი ჩანდა. თიხითა და ქვებით მომრგვალებულად ამოყვანილი კედლები, რამდენიმე სარკმელი და განიერი კარი ჰქონდა. სახურავის მაგივრობას წნელზე დაყრილი თივა ასრულებდა. ქოხის გარშემო, ღობის ძირში, ყველგან მარაოსებრ ფოთლებსა და ბრტყელ სიპ ქვებზე გაფენილი ბალახები ეწყო, ათასგვარი მცენარის ერთმანეთში არეული სურნელი მკურნალის ქოხთან მიახლოებისთანავე იგრძნობოდა.

ცებაიმ კარში ფარდად ჩამოკიდებული ხის მძივები შეარხია და განზე დადგა. ქოხიდან ჯოხზე დაყრდნობილი კაფანდარა მოხუცი კაცი გამოვიდა. თავზე ერთი ღერი თმა არა ჰქონდა. ჩაღილული გრძელი ჭრელზოლიანი პერანგი მიწაზე ეთრეოდა. ცებაის ხელის მოჩრდილვით შეხედა. კარგად რომ აათვალ-ჩაათვალიერა, მოურიდებლად ჰკითხა:

— ისეთი რა გაგჭირვებია, ჩემთან ამხელა გზიდან რომ მოსულხარ?

— მე არაფერი. სხვისმა დარდმა და ტკივილმა მომიყვანა შენთან.

— შემოდი! — უბრძანა მკურნალმა, ცებაიც შეჰყვა.

ქოხი წნელის ღობით ორ ნაწილად იყო გაყოფილი. წინა მხარეს, კარის მარჯვნივ იატაკზე ქვეშაგები გაეფინათ, ალბათ ავადმყოფების გასასინჯად; მარცხნივ კი სულ პატარ-პატარა თიხისქილებიანი თაროები ელაგა. მარჯვენა მხარესვე იყო მოთავსებული პატარა სამზარეულოც. ცეცხლზე შემომდგარი ქვაბიდან თუხთუხის ხმა ისმოდა. მკურნალი ქოხის უკანა მხარეს შეუძღვა ცებაის. ქოხს ერთმანეთის მოპირდაპირე ორი სარკმელი ჰქონდა, ორივე ღია იყო. ქოხის ამ ნაწილში გამჭოლი ქარი უბერავდა და ისე არ ცხელოდა. მკურნალმა ძირს გაფენილ ჭილოფზე მოიკალათა და ცებაიც გვერდით მოისვა.

— სახეზე გატყობ, მონუსხული უნდა იყო. — თანაგრძნობით თქვა მკურნალმა.

ცებაიმ თავი მძიმედ დაუქნია.

— თუ ჩემგან შენს ან შენიანის მონუსხვისაგან განთავისუფლებას მთხოვ, ტყუილად გარჯილხარ. ჩემი მკურნალობა გრძნეულთა წინააღმდეგ უძლურია.

— არა, მაგის სათხოვნელად არ მოვსულვარ. თავადაც კარგად ვიცი, რომ ვერ მიშველი. სხვა სათხოვარი მაქვს. გავიგე თქვენს მხარეში ბესანჯიანი მეომრის მოსაძებნად უცხოელი გამოჩენილა. მისი ნახვა მინდა.

— ამასაც ტყუილად მთხოვ. როგორ გგონია, მონუსხულს გეტყვი ის გოგო სად არის?

— მე არც კი ვიცოდი, გოგო რომ იყო. მის ადგილსამყოფელს არცა გთხოვ. თქვენს კვამლის წამკითხველს უთხარი, ტამრიტელებს აცნობოს, რომ მისი ნახვა მწადია. თუ თანხმობა განაცხადა, გინდა თვალებაკრული, გინდა ხელფეხშეკრული, გინდა ტომარაში ჩასმული მიმიყვანეთ მასთან. გულში ცუდი არაფერი მიდევს, როგორც გინდათ და რითაც გინდათ, ისე გამომცადეთ, არაფრის მეშინია.

— კარგი, კარგი! რომელი შერისხულები ან გრძნეულები ჩვენ გვნახე, წამება რომ დაგიწყოთ. სოფელს დაველაპარაკები და ერთად გადავწყვეტთ, შეგისრულოთ თუ არა ეს თხოვნა. მანამდე აქ დარჩი. სადაც გინდა იქ დაწექი და მოისვენე. თუ გშია, საჭმელსაც გაგიხერხებ. მართალია, აქაურები მოსავალს მუდამ ვუჩივით, მაგრამ მშივრები მაინც არ ვკვდებით და სტუმარსაც როგორმე დავაპურებთ.

მკურნალი, ჯოხზე დაყრდნობით, ფეხზე მძიმედ წამოდგა, პერანგის კალთები გაისწორა და ქოხის მეორე მხარეს გავიდა.

— საჭმელს მაგიდაზე გიტოვებ! — მოისმა მისი ხმა, რომელსაც მცირე ხანში კარში ჩამოკიდებული მძივების ფარდის წკრიალის ხმა მოჰყვა.

ცებაის შიოდა, მაგრამ ისეთი დაღლილი იყო, წამოწოლა და ძილი ერჩია. „ხომ არ მითვალთვალებენ", — გაიფიქრა უეცრად. — „იქნებ აინტერესებთ, ვენდობი თუ არა, დატოვებულ საჭმელს პირს თუ ვახლებ". ცებაიმ თავს ძალა დაატანა და წამოდგა. სამფეხა დაბალ მაგიდაზე გოგრისგან გაკეთებული ორი ფიალა იდო. ერთში ცოტაოდენი ცივი ფაფა ესხა, მეორეში ძირტკბილას ფესვები ელაგა. ცებაიმ ფესვი ფაფაში ამოუსვა, გალოკა და ცოტა ძირტკბილაც მიაყოლა. დიდი გემო ვერ ჩააყოლა, მაგრამ ფიალა მაინც დააცარიელა. დანაყრების ნიშნად ფიალები ერთმანეთში ჩაალაგა და მოსასვენებლად გავიდა. „აქ რომ რამდენიმე დღით დარჩენა მომიხდეს, დედა-დედოფალთან თავი რით ვიმართლო", — არ ასვენებდა ეს ფიქრი, მაგრამ ახლა ამაზე დარდის თავი არ ჰქონდა, გზისგან ისე დაქანცულიყო, დაწვა თუ არა, მაშინვე ჩაეძინა. ძილ-ბურანში სოფლელების სევდიანი სიმღერა ჩაესმა. მთელი დღის ჯაფის შემდეგ ტამრიტელები კოცონის გარშემო ზღაპრების მოყოლითა და სიმღერით ირთობდნენ თავს. უძილობას ჩვეული ცებაისთვის ძალების აღსადგენად ჩათვლემაც კი საკმარისი აღმოჩნდა და სრულიად დასვენებულს გამოეღვიძა. ტამრიტელები ისევ მღეროდნენ.

ცებაი წამოდგა. ქოხში მარტო იყო. გარეთ გავიდა და კოცონის გარშემო შემომსხდარ სოფლელებს შეუერთდა. ბავშვებით გარშემორტყმული ქალი ნაღვლიანად მღეროდა.

„მომიყევი, მოხუცო, შორეულ ქვეყნებზე... მომიყევი, მომიყევი!" — ხმას აძლევდნენ ტამრიტელები.

„მხოლოდ შენი ზღაპრებით გადავასწრებ ქარს... ქარს, ქარს!

და ღრუბლებს ზემოდან გადმოვხედავ უცხო მხარეს..."

მოულოდნელად ცებაის მხარზე ყვანჩალა დააჯდა და თავში მსუბუქად ჩაუნისკარტა.

— აქშა! — ხელი აუქნია ცებაიმ.

გაფრენის ნაცვლად ყვანჩალა ახლა მეორე მხარზე დააჯდა და

ყურში ჩასჩურჩულა:

— ვისაც შენ ეძებ, მკურნალის ქოხში გელოდება! — ცებაი შეკრთა, ხომ არ მომესმაო, აქეთ-იქით მსხდომთ გადახედა, ისინი, ვითომც არაფერი, სიმღერას განაგრძობდნენ. უეცრად გვერდით მკურნალი მიუჯდა, მუხლზე ხელი დაჰკრა და ღიღინ-ღიღინით უთხრა:

— მაგ ყვავს ხელს ნუ აუქშევ, გირჩევნია, ქოხში გაჰყვე!

ცებაი წამოდგა და ქოხისკენ გაეშურა. ნიღბების ოსტატს ყვანჩალა მედიდურად თავზე დააჯდა.

ცებაიმ ქოხის შესასვლელში ჩამოკიდებული ფარდა ფრთხილად გადასწია და იქაურობა შეათვალიერა. ქოხი წინანდელთან შედარებით უკეთ იყო განათებული.

— მოვიყვანე! — დაიყრანტალა ყვანჩალამ. — შენ კი ცუდი არაფერი იფიქრო, თორემ სიკვდილი არ აგცდება. — მკაცრად გააფრთხილა ცებაი.

გაოგნებულმა ნიღბების ოსტატმა თავის გაქნევაღა მოახერხა. ამ დროს ტიხრის უკნიდან უცნობი გამოვიდა. მის დანახვაზე ცებაის სუნთქვა შეეკრა. ასეთი მშვენიერი ქალიშვილი არასდროს ენახა, ვერც კი წარმოიდგენდა, ამისთანა უცნაურ და სრულყოფილ სილამაზეს სადმე თუ გადაანყდებოდა. ქალიშვილს ღია ხორბლისფერი კანი ჰქონდა, გაშლილი ოქროსფერი თმა კი სანთლების შუქზე მზესავით უელვარებდა. ტანსაცმელიც უცნაური ეცვა. იქაურების გრძელი ფართხუნა ჭრელი კაბის ნაცვლად, შარვალი და წელში გამოყვანილი მოკლე ყავისფერი ყაბაჩა ემოსა, წელზე განიერი ტყავის ქამარი ერტყა, რომელზეც ჯაყვა ეკიდა.

ქალიშვილმა ცებაის ხელით ანიშნა. ნიღბების ოსტატმა ფეხი ძლივს მოხარა, ქალიშვილის მითითებულ ადგილას რომ დამჯდარიყო. ისიც მის პირდაპირ ხის დაბალ ჯირკზე ჩამოჯდა, ყვანჩალა კი მხარზე დაასკუპდა.

— ვინ ხარ და რად მეძებ?

— ცებაი ვარ, ნიღბების ოსტატი, ომდურმანიდან... იქნებ ტყუილად გიხსნი და არც კი იცი ომდურმანი სად არის.

— ომდურმანიც ვიცი და სალიტულაც, ბიგოზე, ტუალანუს ბაზრობაზეც მსმენია. ომდურმანი გრძნეულთა ქალაქია, როგორ არ ვიცი?

— მართალი ხარ, სწორედ იქიდან ჩამოვედი და თავიდანვე გე-

ტყვი, რომ მონუსხული ვარ, გრძნეულთა წინააღმდეგ ვერაფერს გავაკეთებ. არადა, ძალიან მინდა მათი კლანჭებიდან ერთი ადამიანის დახსნა. გავიგე ბესანჯიანი მეომრის მოსაძებნად ჩამოსულხარ უცხო მხარიდან. ლილე ეროელს მე ვერასდროს შევხვდები, თუ შევხვდი, მონუსხული, ხმის გაცემას ვერ შევბედავ და შველასაც ვერ ვთხოვ. შენ თუ მისი... — ცებაის ნერვიულობისგან ყელში ბურთი გაეჩხირა, და რომ არ დამხრჩვალიყო, გაჩუმება არჩია.

— მე მისი სისხლით შეფიცული და ვარ. — წააშველა სიტყვა ქალიშვილმა.

— მასავით უშიშარი და კეთილშობილი უნდა იყო. იქნებ დახმარების ხელი გაუწვდინო ჩემს დას, ასაის, ომდურმანის დედოფალს, და მის პატარა ბიჭუნას გალი-გალას. მაგრამ, ამას როგორ შეძლებ? აქეთ რომ მოვდიოდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ქალი დამხვდებოდი...

— მე ჯერ მეომარი ვარ და მერე ქალი. მელაპარაკე ისე, როგორც მეომარს! — ამაყად უპასუხა ქალიშვილმა, — მერე კი ყვავს მიმართა, — რუფია, როგორ ფიქრობ, მართალს ამბობს ცებაი.

— ჯერჯერობით ერთი ტყუილიც არ უთქვამს.

— ძალიან კარგი. ცებაი, მოტყუება არც იფიქრო, ხომ ხედავ, ჩემს მეგობარ რუფიას ვერაფერს გამოაპარებ.

— საკუთარი უსუსურობის გამო თავი მძულს. — ამოიოხრა ცებაიმ. — ომდურმანში ჩემი მამობილი ჰყავთ დატყვევებული, მე კი ვერაფრით ვეხმარები.

— ანუ მის შველასაც მთხოვ? — სიცილით ჰკითხა ქალიშვილმა.

ცებაიმ მორცხვად თავი დაუქნია.

— ვხედავ, იოლი დავალებით არ მოსულხარ, მაგრამ მე რომ ჯერ ლილე ეროელი მყავს მოსაძებნი? როგორ მოვიქცე?

— თეკლა, ისე მოიქეცი, როგორც ლილე მოიქცეოდა შენს ადგილას! — დაარიგა ყვანჩალამ ქალიშვილი.

თეკლა რქმევია, გაუელვა თავში ცებაის.

— ჰო, მართლა, მე თეკლა მქვია. — თითქოს ცებაის ფიქრები გაიგოო, გაეცნო ქალიშვილი ნიღბების ოსტატს. — პასუხს ხვალ დილით გეტყვი. ჯერ რუფიას მოველაპარაკები. ჩემი თავი ლილემ მას ჩააბარა, მარტო ვერაფერს გადავწყვეტ.

თეკლას სიტყვები რუფიამ შეიფერა, სიამოვნებისაგან გაიფხორა და ნისკარტით ბუმბული გაისწორა.

თეკლა წამოდგა, – რუფია ისევ მხარზე ეჯდა, – ცებაის დაემშვიდობა და გარეთ გავიდა. ცებაის გული ისე უცემდა, ეგონა, სადაცაა საგულედან ამომივარდებაო. უეცრად თეკლა და რუფია ისევ უკან შემოვიდნენ.

– უკვე გადაწყვიტეთ? – ფეხზე წამოიჭრა ცებაი.

– არა. ჯერ არა. მაგრამ იმის მიუხედავად, რას მოვიფიქრებთ, რუფია ერთ სიკეთეს გაგიკეთებს, თუკი წინააღმდეგი არ იქნები.

– სიკეთეს? – დაიბნა ცებაი.

– ჰო, სიკეთეს, თუ მონუსხვისაგან განთავისუფლებას სიკეთედ თვლი. – უპასუხა რუფიამ.

– ასეთი რამ მთელ აბარდაგანში არავის შეუძლია.

– რაც არ შეუძლია მთელ აბარდაგანს, გესლიანი რუფიასათვის, – ყვანჩალამ თავისი ავსულობის დროინდელი სახელი გაიხსენა, – შესაძლებელია.

ცებაი მუხლებზე დაეცა და ქვითინი აუვარდა. თეკლამ უმალ თვალი მოარიდა და გარეთ გავიდა. ქოხში მხოლოდ ცებაი და რუფია დარჩნენ.

* * *

სამი დღე და ღამე მაღალი სიცხით იწვოდა ომდურმანელი ნიღბების ოსტატი, უაზროდ ბოდავდა, გონზე კი ვერ მოდიოდა.

– ასეთი რა გაუკეთე ამ ბიჭს, ფეხზე რომ ვერ დგება. რამე რომ მოუვიდეს, დედა-დედოფალი მიწასთან გაგვასწორებს. – წუხდა მოხუცი მკურნალი.

– ნუ გეშინია, არ მოკვდება! – ამშვიდებდა რუფია, რომელიც ცებაის გვერდით მობუზული იჯდა და აფრენის თავი არ ჰქონდა.

– ამას ეძახი განკურნებას?! – თავისას აგრძელებდა მოხუცი. – ლამისაა ხელიდან გამოგვეცალოს.

– კარგი რა! მაგაზე ცუდად მე ვარ, მგონი. ფეხები მიკანკალებს, ნისკარტი დამირბილდა და ფრთებს ვეღარ ვშლი. მაგის განკურნებამ

იმდენი ძალა წამართვა, ლამის უბუმბულო ბახალად ვიქცე, თითქმის ათასი წლის ყვავი. — თავისას ჩიოდა რუფია.

მესამე დღის ბოლოს ცებაის სიცხემ უკლო და რუფიასაც ნისკარტი ისე მოუმაგრდა, მოხარშული ხორცის ნაჭერი მოითხოვა.

თეკლა სამი დღის განმავლობაში არც ერთს არ მოშორებია, ორივეს ერთნაირი მონდომებით უვლიდა. რუფიას წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა. სწორედ მან სთხოვა ყვანჩალას, შენ ხომ ერთ დროს ქვესკნელში ყველაზე ძლიერი ჯადოსანი იყავი, იქნებ, რამე გაიხსენო ძველი ხრიკებიდან და ცებაი მონუსხვისგან გაათავისუფლოო. რუფიამაც უარი ვერ უთხრა და კინალამ გადაჰყვა ნიღბების ოსტატის განკურნებას.

ბავშვობიდან მებრძოლად გაზრდილი თეკლა, უშიშარი გულისა და ღონიერი მარჯვენის პატრონი იყო, მაგრამ ახლა ღმერთს მადლობას სწირავდა, რუფია ლილეს რომ არ გაჰყვა და მასთან დარჩა, თორემ ხომ მარტოდმარტო მოუწევდა ლილეს მოძებნა ამ უცნაურ მხარეში, სადაც მიწა მზესავით ცხელი იყო და მტერს კი, თუ ომი არ იყო, ოჯახში მოყვარესავით შეეძლო შემოსვლა.

* * *

გამოჯანმრთელებულმა ცებაიმ თეკლას და რუფიას წვრილად უამბო დედა-დედოფლის გეგმები. ახლა აღარაფერი ბორკავდა ნიღბების ოსტატს და, რუფიას წყალობით თავისუფლებამოპოვებული, გრძნეულთა წინააღმდეგ, რასაც უნდოდა, იმას მოიმოქმედებდა.

თეკლაც და რუფიაც დიდი გულისყურით უსმენდნენ.

— ახლა ვხვდები, რა განსხვავებაა მონუსხულსა და მოუნუსხავს შორის! — წამოიძახა რუფიამ, როცა ცებაიმ თხრობა დაასრულა. — სანამ მონუსხული იყავი, ჩვენი ომდურმანში წაყვანა მხოლოდ საყვარელი ადამიანების გადასარჩენად გინდოდა, ახლა კი — მთელი აბარდაგანის გადარჩენაზე ფიქრობ. მონუსხულ კაცს მხოლოდ თავისი დარდი აწუხებს, მოუნუსხავს — მთელი ქვეყნისა. ნეტავ, მე და შენ, თეკლა, მონუსხულები ვართ თუ მოუნუსხავები?

— რა თქმა უნდა, მოუნუსხავები! — თეკლა რუფიას ქარაგმულ

ნათქვამს მიუხვდა.

— მაშინ...

— მაშინ, ჯერ აბარდაგანი გადავარჩინოთ, მერე კი ლილე მოვძებნოთ. თანაც, ლილეს თურმე, ისეთი ძაღლი დაჰყვება, უბატონოდ შერისხულებიც კი ვერ სცემენ ხმას.

— მაშ, მოდიხართ? — სიხარულით წამოიძახა ცებაიმ.

— რა თქმა უნდა! — ერთდროულად წამოიძახეს თეკლამ და რუფიამ.

— ოღონდ...

— რა ოღონდ?

— ასეთი ოქროსფერი თმით და თეთრი პირისახით ომდურმანში მაშინვე ყურადღებას მიიქცევ.

* * *

მეორე დღეს, უთენია, მკურნალის სახლიდან ორი აბარდაგანელი გამოვიდა, ერთი კაცი იყო, ომდურმანის მთავარი ნიღბების ოსტატი, მეორე თეკლა, ნამდვილი ტამრიტელი ქალი, სპილენძისფერი პირისახით და თავსაფრის ქვეშ რამდენიმე წყებად აკეცილი თმით. ქალს მხარზე გადაკიდებულ აბგაზე ყვანჩალა ეჯდა, აბგაში კი მკურნალის მიერ მომზადებული სახეზე წასასმელი სპილენძისფერი ფერუმარილი ედო.

თავი მეათე

ოცნების ოქროს ჩიტი

გრძნეულთა ქალაქში ომდურმანელები გათენებას შიშით ხვდებოდნენ. ვაი მას, ვისაც რამდენიმე წვეთი ცრემლი მაინც არ ექნებოდა დედა-დედოფალთან გასაგზავნი. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ძნელდებოდა ცრემლის შეგროვება. წვეთწვეთობით არაფერი გამოდიოდა. ჭურჭლიდან ჭურჭელში გადასხმისას ნახევარი კედლებზე რჩებოდა, ნახევარი კი ორთქლდებოდა. ახლა დედა-დედოფალმა კვირაში ერთხელ ბრძანა ცრემლის შეგროვება, მაგრამ ამანაც დიდი შედეგი ვერ გამოიღო. ერთი-ორმა ოჯახმა თავის გამოსაჩენად ფანდი იხმარა და ცრემლს წყალიც მიახმარა. თავდაპირველად დედა-დედოფალი ცას ეწია, იფიქრა, მგონი გვეშველაო. მაგრამ მის უგრძნეულესობას რა გამოეპარებოდა?! დედა-დედოფლის განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა. იმ დღეს მთელი ომდურმანის თავზე სამი ქარბორბალა დანავარდობდა — მატყუარები ჯურღმულებში ვირთხებთან და გველებთან ჩაყარა.

ცრემლის თასზე იმედგაცრუებულ დედა-დედოფალს არც თმის ფერფლის თასი ავიწყდებოდა. ისიც უფსკრულად ქცეულიყო, თმის სამი დიდი ზვინის ფერფლმა ფსკერი სანახევროდ ძლივს დაუფარა. დედა-დედოფალი და მისი ვაჟი, ომდურმანის მთავარი, სულა, იხტიბარს მაინც არ იტეხდნენ. ცრემლისა და ფერფლის შეგროვება გრძნეულებისა და ქაოსის მომღერლების გარდა, მონუსხულ აბარდაგანელებსაც დაავალეს.

ერთხელ, დედა-დედოფალმა ტისოს შესჩივლა, თასები ნელა ივსებაო, რაზედაც ნიღბების ოსტატმა უპასუხა: დასაწყისი ყოველთვის უფრო რთულია, ვიდრე დასასრულიო. თასები სწორად იქცევიან, ავსებას რომ არ იმჩნევენ, მერე ერთბაშად შეივსებიან, რომ უფრო

გაგახარონო. დედა-დედოფალმა გამომცდელად შეხედა ტისოს, ხომ არ დამცინისო, მაგრამ ოსტატს ისეთი სერიოზული სახე ჰქონდა, ირონიის ვერაფერი შეამჩნია. მაშინ უფრო დამშვიდდა, როცა ტისომ სულა I-ის ნიღაბი აჩვენა, მართალია, ჯერ დაუმთავრებელი იყო, მაგრამ ადრე თუ გვიან ხომ დასრულდებოდა.

— ფრთხილად იყავი, დედა-დედოფალო, ცრემლის მაგივრად წყალი არ შემოგაპარონ, ან ადამიანის თმის ნაცვლად, ნადირის ბეწვი არ დაწვან. შრომა სულ მთლად წყალში ჩაგვეყრება შენც და მეც. — წასვლის წინ კიდევ ერთხელ გააფრთხილა დედა-დედოფალი ტისომ.

— მაგის დარდი ნუ გაქვს, ჩემს გრძნეულებს ცრემლის ნაცვლად წყალს ვერავინ შეაპარებს. — მოჩვენებითი გულარხეინობით უპასუხა დედა-დედოფალმა და თან დაამატა, — მალე მნახავ ავსებული თასებით მოსულს. ოღონდ, არ მინდა, მაგ დროისთვის სულას ნიღაბი მზად არ გქონდეს!

— თასების ავსების დროს სულას სველთვალებიანი ნიღაბი უკვე მზად მექნება. მანამდე კი, იქნებ ჩემი შვილი მაჩვენო? — ითხოვა ტისომ.

— შვილს ვერ გაჩვენებ, მის ნახელავს კი მსახურის ხელით გამოგიგზავნი. უნდა დაგტოვო, მეჩქარება. პატარა სულა, აბარდაგანის მომავალი მეფე, გრძნეულებს უნდა შევალოცვინო.

დედა-დედოფალი წამოდგა და კაბის შარიშურითა და მედიდური ნაბიჯებით ოთახიდან გავიდა.

„ავსებული თასებით თავზე დამადგება", — გამოაჯავრა ტისომ, — მაგ თასებს მაშინ აავსებ და შენს სულასაც მაშინ დასვამ აბარდაგანის ტახტზე, როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან. — ჩაიბურტყუნა დედა-დედოფალზე გაბრაზებულმა ტისომ

„მოუნდა შვილის ნახვა", — იქით გამოაჯავრა დედა-დედოფალმა ტისოს, — შვილის ნახვას მაშინ ეღირსება, როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან. — ბოლო სიტყვები განსაკუთრებული ზიზღით წამოიძახა გრძნეულთა შორის უძლიერესმა.

მარტოდ დარჩენილი ტისო სულას ნიღაბს მიუბრუნდა. ნიღაბი თითქმის მზად იყო, რა თქმა უნდა, შავი ებენისგან გამოთლილი თვალის გუგები არ ჰქონდა. თანაც, ჯერ ისეთი სიფრიფანაც არ იყო, როგორც სველთვალებიან ნიღაბს შეეფერებოდა.

უეცრად სარკმელზე კაკუნის ხმა გაისმა.

— მოფრინდი, ჩემო ენაჭიკჭიკა? — გასძახა ტისომ შემოჩვეულ პატარა ჩიტს. ხელისგულზე საჭმლის მარცვლები დაიყარა და ფრინველს ნისკარტთან მიუტანა. ფრინველი ზედ ხელის გულზე დააჯდა. თითქმის მუშტის ტოლა იყო, მოყვითალო ფერისა, გული კი ლურჯი ბუმბულით ჰქონდა შეფერილი.

— აბა, მომიყევი, დაბლა რა ხდება? — ჰკითხა ტისომ. ჩიტმაც თითქოს მის კითხვას ელოდაო, ნისკარტი დააღო და ოთახი საამური ჭიკჭიკით აავსო.

— შენ რომ გკითხო, ყველაფერი კარგად არის. ნეტავ, ერთი დღით მაინც შეგვეძლოს ადგილების გაცვლა, მე ჩიტი ვიყო, შენ კი მოხუცი ტისო. ნუ გეშინია, დიდხანს არ დაგტოვებდი ამ ოთხ კედელში. უსუმბას ამბავს გავიგებდი თუ არა, ისევ დავბრუნდებოდი. მერე კი გეფრინა, რამდენიც გინდა. მართლა, სულ დამავიწყდა, შენც გამოგთალე. ხედავ, თაროზე მიზიხარ. როცა აქ არ მყავხარ, იმას ველაპარაკები.

თაროზე ტარუტოს ოქროსფერი მერქნიდან გამოთლილი პატარა ჩიტი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ნამდვილისაგან. ცოცხალივით იყო, თითქოს გაფრენას ლამობსო.

— ჯერაც არ მობრძანებულან?! — ტისომ მისი ოთახისკენ მომავალი ფეხის ხმა გაიგო. — ძალიან დიდი სტუმრიანობა მაქვს დღეს! — ჩაილაპარაკა მოხუცმა ნიღბების ოსტატმა, ჩიტი რაფაზე ჩამოსვა და საჭრეთელს მიუბრუნდა. ოთახში ომდურმანის მთავარი სულა შემოვიდა.

„ნეტა დედა-შვილმა ხომ არ იჩხუბეს, რა ცალ-ცალკე დადიან" — გაიფიქრა ტისომ.

— როგორ მიდის საქმეები, მოხუცო! — მედიდურად მიმართა სულამ ტისოს.

— უფრო კარგად, ვიდრე ცუდად.

სულა ტისოს ნათქვამის აზრს ვერ ჩასწვდა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— აბა, მაჩვენე შენი ნამუშევარი.

ტისომ სულა I-ის ნიღაბი გაუწოდა. ნიღაბი მართლაც საოცრად ჰგავდა ცხენზე ამხედრებული სულა I-ის პორტრეტს, იგივე კუთხეებდაშვებული ტუჩები, ოდნავ კეხიანი ცხვირი, მაღალი ყვრიმალები, წინ გამოწეული შუბლი და არწივივით ელვარე თვალები. სულამ წუნი

ვერ უპოვა, მსგავსება მართლაც საოცარი იყო.

— ომდურმანის მთავარი პატარა სულას შელოცვებს არ ესწრება? — სხვათა შორის იკითხა ტისომ, მაგრამ გულში სულ სხვა მიზანი ჰქონდა. მთავრის ვაჟის მოკითხვის შემდეგ, თავის შვილზეც უნდოდა სიტყვის ჩამოგდება.

— შელოცვებით გრძნეულები იქცევენ თავს. მე ჩემს შვილს ცხენზე ჯირითი და ხმლის მოქნევა უნდა ვასწავლო. — ამაყად თქვა სულამ.

— ჯერ ხომ სულ მთლად პატარაა?! — გაიკვირვა ტისომ.

— ჰო, ჯერ მართლაც პაწაწინაა. ასაი ფუმფულა წიწილას ამსგავსებს.

სულას სიტყვებზე მოხუც ოსტატს, თავისდა გასაკვირად, გული ისე აუჩუყდა, თაროდან გამოთლილი ჩიტი ჩამოიღო და სულას გაუწოდა.

— ეს რა არის? — ტისოს საქციელით არანაკლებ გაოცებული დარჩა მთავარი.

— ეს ოცნების ოქროს ჩიტია. მე გამოვთალე. შენს ბიჭს ჩემგან საჩუქრად წაუღე.

ნაკეთობა იმდენად ჰგავდა ნამდვილს, სულამ ბუმბულის შეხებაც კი იგრძნო, თითქოს ცოცხალი ჩიტი ეჭირა. ხელი ოდნავ მომუჭა კიდეც, არ გამიფრინდესო. ასეთ საჩუქარზე ომდურმანის მრისხანე მთავარმაც ვერ თქვა უარი და ოსტატს შეპირდა შვილს მივუტანო.

— მართლა, ტისო, ლამის გადაგვიყოლა შენთვის თასების ავსებამ. იმის გაფიქრებაც მზარავს, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ დროის გასაწელად მოიფიქრე. მიფრთხილდი, მოხუცო, თორემ რასაც შენ, შენს შვილსა და აბარდაგანს დავმართავ, მრავალი წლის განმავლობაში ომდურმანს საშვილიშვილოდ სალაპარაკოდ ექნება. ახლა დაგტოვებ. არ მინდა მუშაობაში ხელი შეგიშალო. — სულამ კიდევ ერთხელ დახედა ჩიტს, ჯიბეში ჩაიდო და ოთახიდან გავიდა.

* * *

ასაი იავნანას უმღეროდა პატარა გალი-გალას.

— რა კარგად მღერი, მე კი არ ვიცოდი? — უსაყვედურა ცოლის სიმ-

ღერით მოხიბლულმა სულამ.

— როგორ ჩუმად შემოსულხარ, ვერც კი შეგამჩნიე! — უპასუხა შეცბუნებულმა ასაიმ.

— ჩემი პატარა როგორ არის? — იკითხა მთავარმა და შვილს დიდი მზრუნველი სახით დახედა.

— მთელი ღამე ჭირვეულობდა და შფოთავდა. ახლა ძლივს ჩაიძინა. — შესჩივლა ასაიმ.

— ამას არაფერი ემჩნევა, შენ კი უპეები ჩაგცვენია, დაღლილი ჩანხარ. ძიძას მიეცი ბავშვი, შენ კი მოისვენე.

— დედა-დედოფალი სასახლეში არ ყოფილა, როგორ ფიქრობ, დიდი ხნით დაგვტოვა? — მორიდებით ჰკითხა ასაიმ ქმარს.

— მთებში ავიდა უხუცეს გრძნეულებთან ერთად პატარა სულასთვის შელოცვების სათქმელად.

— ალბათ იმიტომაც ვერ იძინებდა. — ჩაილაპარაკა ასაიმ, თუმცა კარგად იცოდა, სულას მისი სიტყვები არ ესიამოვნებოდა და ქმრის საყვედურის მოსასმენად მოემზადა. სულამ, თითქოს მისი ნათქვამი არ გაუგონიაო, ჯიბიდან ტისოს გამოკვეთილი ჩიტი ამოიღო და ასაის გაუწოდა.

— პატარა სულას საჩუქარი მოვუტანე.

„ოლონდ გრძნეულების შელოცვილი თილისმა არ იყოს,“ — გაიფიქრა ასაიმ და საჩუქარი ხელის კანკალით ჩამოართვა. როცა მუჭში პანაწინა ოქროსფერი ჩიტი შერჩა, ქმარს გაოცებულმა ჰკითხა:

— ეს რა არის?

— ოცნების ოქროს ჩიტი.

— რა ლამაზია, ერთი შეხედვით ნამდვილი გეგონება.

— მეც ეს ვიფიქრე, არ გამიფრინდეს-მეთქი, როცა ტისომ ხელისგულზე დამისვა.

— ტისომ?

— ჰო, ტისოს ნახელავია, გალი-გალასთვის გამომატანა.

ასაიმ ჩიტი ბავშვის საწოლის თავთან დასვა.

— კარგი სახელი დაურქმევია ტისოს — ოცნების ოქროს ჩიტი, მაგრამ მე მაინც იმედის ოქროს ფრინველს დავუძახებ.

ცოლის სიტყვებზე სულას ჩაეცინა, ეს უფრო მწარე ღიმილი იყო.

— რა გაცინებს? — ჰკითხა ასაიმ.

— მართალი ხარ, სასაცილო არც არაფერია — მე და შენ დღემდე განსხვავებული იმედებითა და ოცნებით ვცხოვრობთ.

— შენ ეს თავიდანვე იცოდი, მე არაფერი დამიმალავს. მაგრამ ჩემი თხოვნა ყურად არ იღე და დედოფლად გამხადე. ახლა ნანობ?

— წუთითაც არ იფიქრო, რომ რამეს ვნანობ. მაგრამ რა ვქნა, სრული ბედნიერებისთვის ძალიან მინდა საერთო ოცნებებით რომ ვცხოვრობდეთ. როგორც ყველა სულას, მეც ჩემი ვალი მაქვს აღსასრულებელი.

— რომელ ვალზე ლაპარაკობ, — ათასობით კაცის დახოცვა, ოჯახების დაობლება, ამწვანებული ველ-მინდვრების გადაბუგვა, ქალაქების აოხრება, — ნუთუ ეს არის შენი მოვალეობა?!

— კმარა, გეყოფა! — გააწყვეტინა სულამ.

— ნუთუ შენი შვილი, ჩვენი პატარა ბიჭიც, ამისთვის გინდა გაიმეტო? — არ შეეპუა ასაი ქმარს.

— რომ არ მემეტება, ამიტომაც მინდა ჩემი წინაპრების დაწყებული ბრძოლა გამარჯვებით დავაგვირგვინო. ნუთუ არ გესმის?

— თუ ჩემი გალი-გალა აბარდაგანის ტახტზე ასვლის ღირსია, ომისა და სისხლისღვრის გარეშეც ავა. თუკი არა, როგორც ყველა შენი წინაპარი სულა, ისიც ბრძოლის ველზე დაამთავრებს სიცოცხლეს და ამაში დამნაშავე შენ იქნები!

— გაჩუმდი! — შეუყვირა ცოლს სულამ.

ბავშვს გამოეღვიძა და ტირილი დაიწყო. ასაიმ პატარა ხელში აიყვანა და გულში ჩაიკრა.

— გაჩუმდი! — ახლა უკვე დაბალი ხმით გაუმეორა სულამ და ჩქარი ნაბიჯით ოთახი დატოვა.

მთელი დღე აღრენილი დადიოდა სულა. ცდილობდა ასაის სიტყვებზე არ ეფიქრა. ბრაზი ახრჩობდა, მაგრამ თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რა აბრაზებდა, ცოლის ურჩობა თუ მოულოდნელად გაღივებული ეჭვი, იქნებ დედოფალი მართალს ამბობსო. მაგრამ მრავალი თაობის განმავლობაში გრძნეულთა გულში დაგროვილ და ჩაკირულ-ჩადუღაბებულ სიძულვილთან ასაის ბრძოლა ფარვანას ცეცხლთან თამაშს ჰგავდა, და სულას შეცვლა შეუძლებელი იყო. მთავარი მყარად იდგა წინაპრების მიერ გატკეპნილ გზაზე.

თავი მეთერთმეტე

უკანასკნელი იმედი

ტამრიტელებიდან დაბრუნებულ ცებაის დედა-დედოფალი შელოცვების სათქმელად მთებში დახვდა წასული. მთავარმა ნიღბების ოსტატმა შვებით ამოისუნთქა. მის დაგვიანებას არავინ მიაქცევდა ყურადღებას. თეკლა თავისთან დააბინავა, თავად კი საჩქაროდ დის სანახავად გასწია. ასაი ჩვეულებრივზე მეტად დანაღვლიანებული მოეჩვენა.

— ჩამოუტანე დედა-დედოფალს ტარუტო? — სევდანარევი ხმით ჰკითხა ასაიმ.

ცებაიმ თავი დაუქნია. ომდურმანის ნიღბების მთავარ ოსტატს უჩვეულო გამოცოცხლება ეწერა სახეზე.

— ჩემი გალი-გალა როგორ არის, ხომ არ აბრაზებს დედიკოს? — ცებაიმ პატარა ხელში აიყვანა და ჰაერში შეათამაშა. ბავშვმა სიცილი დაიწყო.

— რამხელა ბიჭი გამხდარა?! ასაი, შენი შვილი დღეებით კი არა, მგონი, საათობით იზრდება.

ბავშვი თავის ასაკთან შედარებით, მართლაც, მოზრდილად გამოიყურებოდა. წინა ორი კიჭიც ამოსვლოდა და ახლა მათ ჩასობას ცებაის ნიკაპზე დიდი მონდომებით ცდილობდა.

— არ შემჭამო, შე ყაჩაღო! — დაუტატანა ცებაიმ ბავშვს და საწოლში ჩასვა.

— გალი-გალა კარგად არის... შენ კი რაღაც უცნაურად გამოიყურები? — გაკვირვებით ჰკითხა ასაიმ ძმას.

— ცუდად?

— არა, პირიქით, ხალისიანად — თვალები გიბრწყინავს.

— ასაი, — ლამის ჩურჩულით უთხრა ცებაიმ, — ახლა რაღაცას

გეტყვი, მხოლოდ არ იკივლო!

— რა მოხდა ასეთი? — ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო დედოფალი.

— მონუსხული აღარ ვარ!

— აჰ! — პირზე ხელი აიფარა ასაიმ. — შეუძლებელია!... დედა-დედოფლის მონუსხულს რა მოარჩენდა.

— რასაც ვერ შეძლებს მთელი აბარდაგანი, ის რუფიასთვის შესაძლებელია. — ყვანჩალას სიტყვები გაიმეორა ცებაიმ.

— ვინ არის რუფია, სად ნახე? დედა-დედოფლის შემოგზავნილი არ იყოს? — შფოთავდა ასაი.

— არავის შემოგზავნილი არ არის. შენც ხომ გაიგე, აბარდაგანში ბესანჯიანი უცხოელი მეომარი ლილე ირიელი რომ გამოჩნდა.

— კი, მოვკარი ყური.

— ტამრიტელებთან ირიელის საძებნელად ჩამოსული მისი შეფიცული და — თეკლა გავიცანი, რუფიაც მას ახლავს. ადამიანი არ გეგონოს, ერთი გაპუტული ყვანჩალაა. როგორც თვითონ თქვა, ოდესღაც უძლიერესი ავსული ყოფილა, მაგრამ იხუმრა, ალბათ. შეუძლებელია ბესანჯს ისეთი პატრონი აერჩია, მეგობრებად ავსულები და ჯადოსნები რომ ჰყოლოდა. თანაც, როცა დედა-დედოფლის გეგმებზე ვუამბე, საშინლად განრისხდა და მთელი აბარადაგნის გადარჩენისთვის გამოიდო თავი.

— ცებაი, ასე მგონია, მაგ რუფიას მონუსხვისაგან კი განუკურნიხარ, მაგრამ ახალი ჯადო დაუდია შენთვის. რაო, რა თქვა, — ტამრიტიდან გადავარჩენთ მთელ აბარდაგანსო?

— რატომ ტამრიტიდან? ორთავე ომდურმანში გამომყვა, ჩემს სახლში არიან. ერთი სული მაქვს, როდის მოგიყვან. მათი დახმარებით შენ და გალი-გალამ იქნებ მართლა შეძლოთ აქედან თავის დაღწევა. მე კი როგორმე ტისოს ვუშველი.

— ძმაო, შენ მართლა განკურნებულხარ! შერისხული ასე ვერ ილაპარაკებდი. — გახარებული ასაი ძმას გადაეხვია.

— ეს საიდან გაქვს? — ცებაიმ უეცრად ტისოს ნაჩუქარ ჩიტს მოჰკრა თვალი.

— ტისომ გამოუგზავნა საჩუქრად სულას ხელით გალი-გალას, ოცნების ოქროს ჩიტიაო.

— ასეც ვიფიქრე. მის ნახელავს ათასში გამოვარჩევ.

ცებაიმ ჩიტი ხელისგულზე დაისვა და ნაზად მიეფერა. მერე გალი-გალასკენ დაიხარა და გვერდით დაუდო.

— ფრი... ფრი... — ატიტინდა პატარა და ჩიტს ხელი წაატანა.

— ამან რა, ენაც ამოიდგა? — გაოცდა ცებაი.

— ჰო, ცდილობს... — მიუგო ასაიმ.

— მშვიდად იყავი პატარავ. ოცნების ოქროს ჩიტი დიდ ბედნიერებას მოგიტანს. — და ისევ მიუალერსა ცებაიმ ბავშვს. — რა თქვი? ოცნების ოქროს ჩიტი? ლამაზ სახელების შერჩევა იცოდა ყოველთვის ტისომ. ჩემი ძმა — უსუმბაც ზუსტად იმავეს დაარქმევდა. ნეტა მანახვა, ახლა სად არის. ნამდვილად მამის საძებნელად იქნება წასული, შინ რა გააჩერებდა. მეშინია, მასაც ხიფათი არ ეწიოს. როგორმე ხმა უნდა მივაწვდინო.

ასაი უსმენდა ძმას და უხაროდა — უსულგულო, უსიყვარულო ცებაის კვალიც აღარსად იყო.

— ცებაი, ძველებურად მოიქეცი, დედა-დედოფალმა არ შეგამჩნიოს ცვლილება. — გააფრთხილა ასაიმ ძმა. — თეკლა კი აქ მომიყვანე, სულას ვთხოვ, ბავშვის გაზრდაში დავიხმარებ-მეთქი. დარწმუნებული ვარ, უარს არ მეტყვის. იქნებ მართლაც ჩემი უკანასკნელი იმედი სწორედ ესენი არიან?

საღამო ხანს ასაი თავად მივიდა სულასთან. მთავარი მიჩვეული არ იყო დედოფლის სტუმრობას. ძალიან გაუხარდა მისი დანახვა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— თავად რატომ შეწუხდი, შემომითვლიდი და მოვიდოდი.

— ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ მართალი ხარ. — უთხრა ასაიმ.

სულას სახეზე გაოცება დაეწყო.

— ძალიან ვიღლები. უძილობამ დამასუსტა. ბავშვის მოვლაში დამხმარე მჭირდება.

— ოღონდ შენ თქვი და ათ ძიძას მოგიყვან.

— არა, ათი არ მინდა. ერთს დავიხმარ მხოლოდ. გრძნეულ ქალს ვერ ვიგუებ. ახალგაზრდა აბარდაგანელი ქალი შევარჩიე და, თუ წინააღმდეგი არ იქნები, იმას ავიყვან.

— გამოცდილი თუ არის! — დაინტერესდა სულა.

— გამოცდილი ზედამხედველები არ მაკლია. მე ისეთი მოახლე მჭირდება, რასაც ვეტყვი, ის გააკეთოს და თავისი გამოცდილებებით

თავი არ მომაბეზროს.

— ჰა, ჰა!.. — გადაიხარხარა სულამ. — ასე დედოფალივით არასდროს გილაპარაკია.

— პატარა ბაღიც მინდა გავაშენო, სადაც ბავშვს ჩემს ნებაზე გავასეირნებ.

— დედოფალი შენ ბრძანდები და ნებაც შენია! — ცოლის გუნების გამოკეთებამ სულა თითქოს მეცხრე ცაზე აიყვანა.

— მაშ, ხვალვე დავიწყებ ბაღის გაშენებას.

— ხომ არ აჯობებს ბაღი ომდურმანის გასასვლელთან გავაშენოთ, ქურციკის ნახტომის ტბის პირას, სადაც ბებიაჩემის პატარა სასახლე დგას. ახლა იქ არავინ ცხოვრობს. სასახლესაც შევაკეთებდი და შენ ბავშვთან ერთად თავისუფლად ისეირნებდი, სხვა თვალისგან მოფარებულად იცხოვრებდით, სანამ შენთან იქნებოდა.

— რას ნიშნავს — სანამ ჩემთან იქნება? — ელდა ეცა ასაის.

— დედა-დედოფალს მისი გრძნეულად გაზრდა სურს.

— თუკი გრძნეულად არ დაბადებულა?

— მგონი, რაღაც ნიშნები შეამჩნია. ზუსტად არ ვიცი.

— ჩემთან რომ იყოს, არ შეიძლება?!

— არა. თავადაც ძალიან კარგად იცი. გრძნეული ბავშვი მხოლოდ გრძნეულებმა უნდა აღზარდონ. ამაზე ნუ იდარდებ. პატარა სულას გრძნეულები ზრუნვას არ მოაკლებენ.

— ზრუნვას — არა, სიყვარულს — კი. — აკანკალებული ხმით უპასუხა ასაიმ.

— დედა-დედოფალმა პირობა მომცა, თუ სულას გასაზრდელად დავუთმობთ, სხვა შვილები სამრგოლიან გრძნეულებადაც რომ დაგვებადონ, ყველას შენ გაგაზრდევინებს. — დაამშვიდა სულამ ცოლი.

— დიდი ხანია არ დაბადებულა სამრგოლიანი გრძნეული ომდურმანში? — ასაის დიდი ძალისხმევა დასჭირდა, ცრემლი რომ არ ჩამოგორებოდა და ქმართან საუბარი მშვიდად განეგრძო.

— დიდი ხანია. მას შემდეგ, რაც სულა I ომდურმანში მოვიდა. სამრგოლიან გრძნეულს ერთი შეხედვით შეუძლია მიწის ადუღება და რკინის დადნობა. რასაც ათი დედაჩემისნაირი ვერ შეძლებს, მისთვის მხოლოდ ერთი გაფიქრებაა.

— კიდევ რამდენ ხანს დამიტოვებენ გალი-გალას? — გულის-

ფანცქალით იკითხა ასაიმ.

— ახლა ზუსტად რა ხნისაა? მეექვსე თვეშია ხომ?

— ჰო, საცაა ექვსისა შესრულდება.

— არადა, ბევრად დიდად გამოიყურება, ძალიან სწრაფად იზრდება. შეიძლება სწორედ ამას მიაქცია ყურადღება დედაჩემმა. ექვსი თვის არის და ლამისაა ფეხი აიდგას.

— როდის მიპირებს დედა-დედოფალი შვილის ნართმევას? — კითხვა გაუმეორა ქმარს ასაიმ.

— სამ თვეში. თუ შუბლზე რგოლები შეამჩნია, უფრო ადრეც.

— მაშინ დღესვე გადავალ ბებიაშენის სასახლეში. რა შეკეთება უნდა?! ბაღის გაშენებაზეც იქვე ვიზრუნებ. ბავშვს რომ წაიყვანენ, გული რამეს ხომ უნდა გადავაყოლო?! ჩვენს მომავალ შვილებს კი უკვე გაშენებულ წალკოტს დავახვედრებ.

— დედოფალი ბრძანდები და ისე მოიქეცი, როგორც გსურს! — კვერი დაუკრა ჭკუაზე მოსულ ცოლს სულამ. ასაის ასეთ სწრაფი შეცვლის მიზეზს ვერ ხვდებოდა, მაგრამ ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

— დედა-დედოფალი წინააღმდეგი ხომ არ იქნება? — იკითხა ასაიმ.

— სანამ დედა-დედოფალი ჩამოვა, შენ უკვე ახალ სასახლეში იქნები. ვინც გინდა მსახურებიდან — წაიყვანე. დაცვას გაგაყოლებ. თავადაც ხშირად გესტუმრები. ჩემს მიღებას ხომ ინებებ, დედოფალო? — გაეხუმრა სულა ცოლს.

— ჩემდა გასაოცრად, ყოველთვის მიხარია შენი ნახვა. — გულწრფელად უპასუხა ასაიმ.

— ვიცი, ასაი. მე კი, ჩემდა გასაოცრად, ყველაფერს ვაკეთებ, შენ რომ ბედნიერი იყო. დამიჯერე!

— მჯერა. ყველაფერს, რისი გაკეთებაც შენს ძალებს არ აღემატება. — ასაის ნათქვამს მადლიერება და სინანული ერთნაირად ემჩნეოდა. — ბოლო თხოვნაც...

— ბრძანე?

— შეიძლება, ჩემი ძმა ცებაი ჩემთან გადმოვიდეს?!

— და ერთად შეკრათ პირი ჩემს წინააღმდეგ? — ხუმრობით უთხრა სულამ.

— ხომ არ გავიწყდება, ცებაი მონუსხულია. უწინ შენთან შევკრავ

პირს, ვიდრე მასთან. – ხუმრობითვე უპასუხა ასაიმ.

– დღეს შენი დღეა. ამ თხოვნასაც შეგისრულებ. მხოლოდ გზის სიშორე არ მოიმიზეზოს და სახელოსნოში არ დაიგვიანოს. დედა-დედოფალს ვერ გადაურჩება.

– მაგის დარდი ნუ გექნება. ჩემს ფეხმარდ ცხენს დავუთმობ და დედა-დედოფალს მასზე გაბრაზების მიზეზს არ მივცემ.

– შენი ფეხმარდი შენ გყავდეს. ცებაის ჩემი თავლიდან ვაჩუქებ ერთ კარგ ცხენს. – კიდევ ერთხელ აამა სულამ ცოლს.

* * *

ასაიმ მთელი ღამე თეთრად გაათენა. ბავშვის საწოლთან იჯდა და სანთლების შუქზე ცრემლიანი თვალებით დაჰყურებდა სავსე მთვარესავით გაბადრულ პატარას. გალი-გალას უშფოთველად ეძინა, პირს პატარა ბაჭიასავით აცმაცუნებდა და დედის დარდი სულ არ აწუხებდა. „რომ გავიქცე, სად დავიმალო“, – ფიქრობდა ქალი. მართლაც, რომ გაქცეულიყო, ჩვილი ბავშვით სალიტულამდე ვერ მიაღწევდა. ჯერ ტამრიტი უნდა გაევლო, მერე უკიდეგანო და უდაბური უდაბნო – ცხელი, სულისშემძვრელი დღეებით და სუსხიანი ღამეებით. ასეთი მგზავრობა კარგი გამყოლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. გამყოლს კი ომდურმანში ვერ იშოვიდა. ტამრიტში ვერ დაიმალებოდა. იქ ვინ გაბედავდა ბავშვიანად მის სახლში შეშვებას. შერისხულების თანადგომაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ისინი ყოველთვის გრძნეულთა მოკავშირეები იყვნენ. ერთადერთ იმედად იტური რჩებოდა. თივის ზვინში ნემსის მოძებნა უფრო ადვილი იყო, ვიდრე იტურის გაუვალ ტყეებში კაცის პოვნა. თანაც იტურელები მთელ აბარდაგანში ყველაზე კეთილი, მხიარული და მშვიდობისმოყვარული ხალხი იყო და მსაჯულის წიგნის კანონებსაც ერთგულად იცავდნენ. ამიტომ მათ მონუსხვაზე გრძნეულები აღარც კი ოცნებობდნენ.

დრო აღარ ითმენდა. დღეს-ხვალ დედა-დედოფალი ბავშვს წაართმევდა, სამი რგოლი პატარას შუბლზე დღითიდღე შესამჩნევი უხდებოდა. გრძნეულები გალი-გალასგან მთელი აბარდაგანის

დამქცევს გაზრდიდნენ. ასაის იმის ფიქრიც კი ზარავდა, რომ მისი შვილი ყველასთვის საძულველი მტარვალი გაიზრდებოდა. ხსნა ერთი იყო გალი-გალასთვისაც და მთელი აბარდაგნისთვისაც: რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ბავშვი გრძნეულების ხელში არ ჩაეგდო. მარტოს ამის განხორციელება ძალიან გაუჭირდებოდა, შეიძლება ორივეს სიცოცხლის ფასადაც. მაგრამ ახლა უკანასკნელი იმედი აჩუქა ცებაიმ. ასაის ერთი სული ჰქონდა, როდის ნახავდა თეკლასა და რუფიას, რომლებიც მისი შვილისა და მთელი აბარდაგანის გადარჩენისთვის თვით ბოროტების სავანეში — ომდურმანში მისვლასაც არ დაერიდნენ და თავი უდიდეს საფრთხეში ჩაიგდეს.

ფიქრებით დაღლილმა დედოფალმა შვილს გადახედა. გალი-გალას ხელში ოქროს ჩიტი ჩაებღუჯა და ტკბილად ეძინა.

თავი მეთორმეტე

სხვისი შვილები

იორუბას ჩინებული მოვლით ლილეს ჭრილობებიც მოუშუშდა, დაბეჟილი მხარი და ფეხიც ისე აღარ სტკიოდა. უკვე დამოუკიდებლად სიარული და ცხენზე ჯდომაც შეეძლო. დედოფლის დაბადების დღიდან წამოსულმა ბავშვებმა ალის სახლთანაც ჩამოიარეს. ისეთი ხმაურით მოდიოდნენ, ბიგოს სიწყნარეს მიჩვეულ ლილეს მტრის შემოსევა ეგონა და ხმალგაშიშვლებული ქუჩაში გავარდა. როცა მომღიმარე, ფერადმძივებიანი და ოქროსფერქამრიანი გოგო-ბიჭები შერჩა ხელში, სახტად დარჩა. თანაც შერისხულთა ბავშვები და ჩვეულებრივ მონათა შვილები ხელიხელჩაკიდებულები მოდიოდნენ.

— რა ხდება? საიდან მოდიან ან საით მიდიან? — ჰკითხა ლილემ გამვლელს.

— დედოფალმა დაბადების დღე გადაიხადა. ეს ბავშვებიც იქიდან მოდიან. — მხრების აჩეჩვით უპასუხა შერისხულმა, რომელიც ლილეზე არანაკლებ გაოგნებული იყო.

გვიან ღამით, როცა ტბა უკვე კარგა ხნის გაღვიძებული იყო, ალი შინ დაბრუნდა და ლილეს ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— ყოჩაღ, იორუბა! — აღტაცებას ვერ მალავდა ლილე. განსაკუთრებით ხმელი ტოტების მორთვა-მოკაზმვა მოეწონა.

— რატომ არ დამპატიჟა, ვერ ვიცეკვებდი, თუ ვერ ვიმღერებდი? რომ სცოდნოდა, რამდენი თამაშობა ვიცი, ამ შეცდომას არ დაუშვებდა. — ვერ იკავებდა სიცილს ლილე.

— მართალს ამბობ? — იკითხა ალიმ.

— აბა, რა! მე და ჩემი ძმები, განსაკუთრებით კი ბუბა, როშკაშში მთელ დღეებს ახალ-ახალ თამაშებს ვიგონებდით, დილიდან დაძინებამდე, თუ მამა არ გვავარჯიშებდა, ანცობასა და ცელქობაში

ვატარებდით. საღამოს დედა ცხელ თაფლაკვერებს დაგვახვედრებდა. ოჰ, რა ოხშივარი ასდიოდათ?! ახლაც მახსოვს მათი სურნელი, — ამოიხვნეშა მშობლიურ ტკბილეულს დანატრებულმა და სასიამოვნო მოგონებებში ჩაძირულმა ლილემ.

— ნეტა, მეც როშკაშში დავბადებულიყავი! — ინატრა ალიმ, ცხოვრებაში არ მიჭამია, — როგორა თქვი, ცხელი თაფლაკვერები?

— კი! — თავი დაუქნია ლილემ.

— ოჰ, არ გინდა ხვალ მამაჩემთან შეხვედრა. — ისევ დღევანდელ დღეს დაუბრუნდა ალი. — ამ საღამოს იორუბამ არ მიიღო, მეც ავარიდე თავი. ხვალ კი არც დედოფალს და არც მე აღარ აგვცდება მისი გაცოფებული ღრიალის მოსმენა, თუმცა ამ ბოლო ხანებში ძველებური შემართებით ვეღარ ჩხუბობს. ვატყობ, გულში შიში შეეპარა. უწინდებურად არხეინი და თავდაჯერებული ვეღარ არის. მამას ერთგული ბიგოელებიც კი თითქმის შემოეცალნენ. ახლა ჩემი კეთილგანწყობის მოპოვებას უფრო ცდილობენ. ალბათ ისინიც გრძნობენ, რომ ნასარის ძლევამოსილებას ნელ-ნელა წყალი შეუდგა. ხომ ნახე, დღესაც, როგორ გაყურსულები მისდევდნენ შვილებს გვერდით. ერთმაც ვერ გაბედა მათთვის საჩუქრის წართმევა.

— რა იცი, იქნებ ბავშვებს სახლში რომ მიიყვანენ, მერე წაართვან?

— მართლა, — უცებ გაახსენდა ალის, — ხვალ მამაჩემის უახლოესი მეგობრის, ფაროს ოჯახში ვართ მიპატიჟებული. უნდა დავაფასოთ. ფარო ხომ ბიგოში ყველაზე მდიდარია, რა თქმა უნდა, მამაჩემის შემდეგ. ოქროსა და ვერცხლის საკუთარი მაღარო, ვრცელი სახნავსათესები და, რაც მთავარია, წყალსაცავი აქვს და ქალაქს სასმელი წყლით ამარაგებს.

— ნეფრიტის ტბის წყალი არ ვარგა სასმელად? — გაიკვირვა ლილემ.

— რას ამბობ? ისეთი მლაშეა, ადამიანი კი არა, საქონელი არ ეკარება.

— ფაროს შვილები თუ იყვნენ იორუბას დაბადების დღეზე? — იკითხა ლილემ.

— როგორ არა. ორივე პატარა გოგონა იქ იყო. უმცროსი ჯერ ჩვილია. საცაა დაგვათენდება. არ დავიძინოთ? — ჩაილაპარაკა

მთქნარებით ალიმ, რომელსაც თანდათან მოერია ძილი.

— დავიძინოთ! — დაუკრა კვერი ლილემ და ბესანჯს გადახედა, რომელსაც მისი საწოლის გვერდით გაფენილ ქვეშაგებზე ალის თანდასწრებით უკვე უშფოთველად ეძინა.

* * *

დილით ლილეს გვიან გაეღვიძა. მსუბუქი საუზმე — ერთი ფიალა ფაფა და პატარა ფინჯნით მუქი ჩაი, საძინებელშივე მიართვეს, თან მოახსენეს, ალი დედოფალმა დილიდანვე სასახლეში დაიბარაო. იორუბას მთავარი მცველის დაბრუნებამდე ლილემ ბიგოში გავლა და ქალაქის იმ ნაწილის დათვალიერება გადაწყვიტა, სადაც მხოლოდ მონათა სახლები იდგა. ლილეს ქალაქის ამ ნაწილის მცხოვრებლების ნახვა და მათთან გასაუბრება სურდა.

გარეთ გამოსულს ბიგო შეცვლილი ეჩვენა. მართალია, დიდი გამოცოცხლება არ იგრძნობოდა, მაგრამ ჩვეული სულისშემძვრელი მდუმარებაც არ სუფევდა. სახლებიდანაც ბავშვების ხმა ისმოდა. ქუჩაში მშობლების გვერდით მომავალი ფერადი მძივებით, სამაჯურებითა და ფოჩიანი ქამრებით დამშვენებული პატარები ლილეს გამყინავი მზერით აღარ უყურებდნენ, ერთმა-ორმა ეშმაკურადაც გაუღიმა, თუმცა მათგან განსხვავებით, უფროსები კვლავაც მგლოვიარე სახეებით დადიოდნენ.

ნესრიგს ბიგოს ქუჩებში ყოველთვის ნასარის ერთგული ქალაქის რაზმი იცავდა. ამჯერად ისინიც აღარსად ჩანდნენ. სამაგიეროდ, დედოფალ იორუბას მომხრე სამეფო რაზმის ჯარისკაცები მწყობრი ნაბიჯით სერავდნენ ბიგოს ქუჩებს. ბევრი მათგანის ხელში ლილემ კალათა შეამჩნია. თუმცა შიგ რა იყო, ვერ დაინახა. ლილე ნელა შეუყვა ტერასიდან ტერასაზე ამავალ აღმართს. რაც უფრო მაღლა ადიოდა, მით უფრო იკვეთებოდა ნეფრიტის ტბის კონტურები — მძინარე ტბას დაბინდული ზურმუხტისფერი ედო, ლილემ რამდენჯერმე გახედა ტბის შუაგულში ამოზრდილ კუნძულს. „ნეტა მართლა რა არის იქ?“ — მერამდენედ გაიფიქრა ლილემ. ფრთოსანი ლომების სულების ლეგენდისა, რატომღაც, არა სჯეროდა. თვითონაც ბავშ-

ვების გასართობ ზღაპრად თვლიდა, ჯუფრას, ალისა და მთელი აბ-არდაგანის მსგავსად. ახლა, როცა ბიგოს ყველაზე მაღალ ადგილას იდგა, თავს სიტყვა მისცა, ამ კუნძულის საიდუმლოს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გავიგებო.

ამ ფიქრებით დაბლა დაეშვა. აქაც მოჰკრა თვალი სამეფო რაზმის წევრებს, აქაც დაინახა კალათიანი ჯარისკაცები. მერე ყველაზე მაღალ ტერასაზე გაშენებულ ქოხებისკენ გასწია. თიხით ნაშენი ხუხულები ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, ყველას თითო სარკმელი ჰქონდა, სახურავად ძეძვი და ჩალა დაეფინათ, ქვით ამოშენებულ ღია აივნებში სამზარეულოები იყო მოწყობილი.

ლილეს დანახვაზე ქალაქის მცხოვრებნი სახლებში უჩინარდებოდნენ. ერთი მოხუცი, რომელსაც მოზრდილი ქვა დაბალი სკამის მაგივრობას უწევდა, ჯოხის დახმარებით ადგომას ცდილობდა, რათა ლილესთან შეხვედრა თავიდან აეცილებინა.

ლილე მოხუცს მიუახლოვდა, მკლავზე მოჰკიდა ხელი და უთხრა:

— დაგეხმარო, მოხუცო?

— მადლობელი ვარ! მე თვითონ! — ცივად მიუგო ბერიკაცმა.

— ესაა შენი სახლი? — კვლავ ჰკითხა ლილემ.

მოხუცმა ამჯერად უსიტყვოდ დაუქნია თავი. ლილემ ბერიკაცი წამოაყენა და ქოხში შეაცილა. ღარიბულ ოთახში საწოლებიც კი არ იდგა, რამდენიმე ქვეშაგი პირდაპირ ჩალით დაწნული ფარდაგის გარშემო ეფინა. მაგიდის მაგივრობას კი, ალბათ, თავად ფარდაგი ასრულებდა, სკამების მაგივრობას — კედლის გასწვრივ დალაგებული ქვები. ერთადერთი ნივთი, ოთახში რომ იდგა, ხის ტოტებისგან შეკონწიწებული სკივრი იყო, რომელშიც, ალბათ, ოჯახის მთელი ავლა-დიდება იყო ჩალაგებული.

ლილეს ოთახში მოტირალი ახალგაზრდა ქალი დახვდა. ქალი უფრო სლუკუნებდა. პირზე ხელს იფარებდა, რომ სლუკუნის ხმა გარეთ არ გასულიყო. ერთი კი ახედა ჩაღამებული თვალებით ქოხში შესულ ლილეს და თავი ისევ მუხლებში ჩარგო. ლილე მოხუცს მიეშველა ქვაზე დაჯდომაში. მერე კი ქალს მიუბრუნდა.

— რა მოხდა, რა გატირებს?..

პასუხის ნაცვლად ქალმა ხმამაღლა ამოიგმინა.

— ჩუმად, ჩუმად! არ გაიგონ ამ შეჩვენებულებმა! — გააფრთხილა

მოხუცმა ქალი.

ლილე მიხვდა, ქალისგან პასუხს ვერ მიიღებდა, ისევ მოხუცს მიუბრუნდა და გვერდით ჩამოუჯდა.

— აღარ მეტყვით, რა მოგივიდათ? — ხმაში სიმკაცრე შეაპარა ლილემ.

— ახლა მოგვივიდა? როგორ უნდა ვიყოთ, შერისხულთა ხელში ხომ სიკვდილი უფრო სანატრელი გვაქვს, ვიდრე სიცოცხლე. როცა შენ გამოჩნდი ბესანჯით, ჯერ გაგვიკვირდა, მერე იმედი მოგვეცა, გვეგონა, შენი გამოჩენა ბიგოში ყველაფერს შეცვლიდა... შენ კი იმ უწმინდურებს დაუმეგობრდი. მათ სახლებში ცხოვრობ, ნასარის ოქროს საბადოებს ათვალიერებ და სანადირო დაც მათთან ერთად დადიხარ. ჩვენი ბედი სულ არ გაწუხებს. ტყუილად გვეიმედებოდი, მართალი ყოფილა ნასარი, რომ გვეუბნებოდა, თავისუფლებას მაშინ დაიბრუნებთ, როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიანო.

ახლა კი მიხვდა ლილე, რატომ გაურბოდნენ და სალმის ღირსადაც არ თვლიდნენ ბიგოელი მონები. მათ თვალში ლილე მოღალატე იყო. უნდოდა ეთქვა, დაჭრილი ვიყავი და არც თქვენი ცხოვრების შესახებ ვიცოდი არაფერიო, მაგრამ თავის მართლებას აზრი არ ჰქონდა.

— გუშინ ერთი სიცოცხლე გავათავეთ, როცა ჩვენი ბავშვები ჯარისკაცებმა სასახლეში წაიყვანეს.

— რა, არ დაბრუნდნენ? — წამოიძახა ლილემ.

— არა, ცოდვას ვერ დავიდებ, გუშინ ისეთი ბედნიერები დაბრუნდნენ ჩვენი პატარები, როგორიც არასდროს ყოფილან. აი, დღეს კი, თავზარი დაგვცეს. თოთო ბავშვები ააგლიჯეს დედებს, კალათებში ჩასვეს და ისე წაიყვანეს. ეს ქალი ჩემი შვილია, მასაც წაართვეს პატარა, იტირებს, აბა, რას იზამს?!

— ეს სულ ნასარის ოინებია. — წამოიძახა დარწმუნებით ლილემ.

— საქმეც ეგაა. ჩვენ კი გვითხრეს, დედოფალ იორუბას ბრძანებაა, — ამოიხვნეშა მოხუცმა და მთელი გულიც ამოაყოლა.

— ახლავე წავალ დედოფალთან და გავიგებ რა ხდება... პირობას გაძლევთ, თავად მოგიტანთ პასუხსაც და... — ლილეს უნდოდა ეთქვა ბავშვსაც მოგიყვანთო, მაგრამ სიტყვა გაუწყდა, — ოთახში სამი ჯარისკაცი შემოვიდა. ერთს ხელში ისევ კალათა ეჭირა. ლილე ფეხზე წამოიჭრა და წინ დაუდგა სამეფო რაზმის წევრებს.

— გამაგებინეთ, რა ხდება! სად წაიყვანეთ ამ ქალის ბავშვი? — შეუყვირა ლილემ.

ერთმა ჯარისკაცმა, ვითომაც არაფერი ხდებაო, კალათიდან პატარა ფურცელი ამოიღო და სვენებ-სვენებით წაიკითხა:

— პატივცემული ფაროს კუთვნილებაში მყოფი ყოფილი ხის მჭრელის ენგას შვილიშვილი სამი წლის ასაკამდე გასაზრდელად გადაეცეს ზემოხსენებული პატივცემული ფაროს ცოლს ნენეს, ხოლო მათი შვილი კი ყოფილი ხის მჭრელის ენგას შვილს მიას.

ჯარისკაცმა კალათა ქალის წინ დადგა. ლილემ კედლიდან ჭრაქი ჩამოხსნა და კალათასთან მიიტანა, რომელშიც ტკბილად ეძინა საფენებში გახვეულ პაწიას.

— ეს რა ხდება? ფარომ და ნენემ თავისი პირმშოს გაზრდა მე მანდეს? — წამოიძახა გაკვირვებულმა მიამ და მუშტით ცრემლები მოიწმინდა.

— რატომ არ განდობდნენ, რას დაუშავებ? შენი შვილი ხომ მათთან უნდა გაიზარდოს? — არხეინად უპასუხა ჯარისკაცმა და მიას წინ პატარა ქისა დადო. — ეს კი იორუბამ გამოგიგზავნა, უფროსი ქალიშვილის დაბადების დღის გადახდა არ დაგავიწყდეთო.

ჯარისკაცებმა ბავშვი კალათიანად დატოვეს და გარეთ გავიდნენ.

— სახელი მაინც მითხარით! — დაადევნა მიამ.

— სუახალი, მოფერებით სუას ეძახიან. — უკვე გარედან მოისმა ხმა.

ლილე და მოხუცი გაოგნებულები უსმენდნენ მიასა და ჯარისკაცების საუბარს.

— ვერა გამიგია რა?! სტუმარო, იქნებ, შენ ამიხსნა, რა ხდება ჩვენს თავს? — მიუბრუნდა ლილეს მოხუცი.

კითხვის პასუხად ლილემ მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— რა ვერ გაგიგიათ? — დამშვიდებული ხმით თქვა მიამ და კალათიდან ფრთხილად ამოიყვანა მგლისთავიანი პაწია. — დედოფალი მტრებს ერთმანეთის შვილებს საკუთარივით გვაყვარებს.

ახლა კი მიხვდა ლილე იორუბას ჩანაფიქრს: ჯერ ბავშვებს შეაყვარა ერთმანეთი, ახლა კი ცდილობდა საკუთარი შვილების კეთილდღეობის სანაცვლოდ, შერისხულებს საძულველი მტრის

ბავშვებზეც ეზრუნათ და საკუთარი შვილებივით შეეყვარებინათ.

— მოდი, ჩემო პატარა მგელუკა, დედაშენს როგორ ვათქმევინებ, ჩემს შვილს ცუდი დედობილი შეხვდაო, ისე მოგივლი და ისე შეგიყვარებ, ვითომ ჩემი ნინია იყო. დარწმუნებული ვარ, დედაშენიც ასე მოიქცევა. მთელი სამი წელი აქ უნდა იყო, დედასაც პირველად მე დამიძახებ... — უკვე თავისთვის ბუტბუტებდა ქალი.

— მია! დღეს ფაროსთან ვარ დაპატიჟებული. თუ მივალ, შენს ნინიას აუცილებლად ვნახავ. — უთხრა ლილემ მიას.

— გმადლობ! ნენეს გადაეცი, რომ მის შვილს გულით შევიყვარებ და საკუთარივით მოვუვლი. მჯერა, თვითონაც ასე მოიქცევა, ჩემს პატარას არავის დააჩაგვრინებს. როცა მისი შვილი დედას მე დამიძახებს, ვეტყვი, რომ ნამდვილი დედაც ჰყავს, რომელსაც იგი მთელს ქვეყანას ურჩევნია.

ლილემ ქოხი დატოვა და ქალაქის დათვალიერება შეწყვიტა. სახლში რომ მივიდა, ალი ახალი მისული დახვდა. დედოფლის მთავარ მცველს მოუსვენრობა ეტყობოდა.

— გაიგებდი, ალბათ, დედოფლის ახალ ბრძანებას. — კარებშივე მიახალა ალიმ ლილეს.

— გავიგე კი არა, შევესწარი კიდევაც, როგორ მიუყვანეს ერთი ხის მჭრელს ოჯახში ფაროს ვაჟი გასაზრდელად.

— გუშინ დაბადების დღე, დღეს ბავშვების გაცვლა! ცეცხლს ეთამაშება იორუბა, — მთელ ბიგოს გადაიმტერებს. მამაჩემსაც მეტი რა უნდა. ყველას აუმხედრებს და თუ ნეფრიტის ტბაში არ ჩაახრჩო, სიცოცხლის ბოლომდე ჯურღმულში გამოკეტავს. მეც თან მიმაყოლებს. აღარაფერი გვიშველის. შენ მაინც გაასწარი. გამყოლს გაგატან, ახლავე წადი აქედან.

— დამშვიდდი ალი. არა მგონია, საქმე ისე ცუდად იყოს, როგორც შენ ამბობ; მეგობრები გაჭირვებაში არასდროს მიმიტოვებია და არც ახლა ვაპირებ ამას. ფაროსაც ისე ვესტუმროთ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. მერწმუნე, ფაროს ოჯახი მიხვდები იორუბას ჩანაფიქრს. საინტერესოა, რომელიმე შერისხულმა ქალმა უარი ხომ არ თქვა სხვისი შვილის გაზრდაზე?

— შენ წარმოიდგინე, არა. თუმცა რამდენიმე დასაბმელიც კი გახდა. მათ შორის ნენეც, ფაროს ცოლი. მაგრამ ბავშვი მაინც დაიტო-

ვა. ბოლოს ჩვილი ხელში აუყვანია და გულშიც კი ჩაუკრავს. უფროსი შვილები კი გაუფრთხილებია, თვალის ჩინივით გაუფრთხილდით პატარასო. კიდევ კარგი, იქ არ ვიყავი. თუმცა, სადაც შევესწარი ბავშვების გაცვლას, ყველგან ვაი-ვიში გაიმართა. მართლა გინდა, ფაროსთან მისვლა? — თვითონ ალის ემჩნეოდა, სტუმრად წასვლა დიდად აღარ ეხალისებოდა.

— ესე იგი, ნენემ გულში ჩაიკრა ბავშვი... — გაიმეორა ალის სიტყვები ლილემ. — ძალიან კარგი! მაშ, აუცილებლად უნდა დავაფასოთ ფარო და მისი ოჯახი.

* * *

საღამოს, როცა ნეფრიტის ტბა ჯერ კიდევ სასიამოვნო სიოთი უმასპინძლდებოდა მთელი დღის მცხუნვარე მზისქვეშ გათანგულ ქალაქს, ლილე და ალი ფაროს სახლს მიადგნენ. კარი ფაროს უფროსმა ქალიშვილმა, ათიოდე წლის კურდღლისთავიანმა გოგონამ გააღო. ბავშვს ყელზე იორუბას ნაჩუქარი მძივი, ხელზე კი — სამაჯური ისევ ეკეთა.

— ალი მოვიდა! — სიხარულით წამოიძახა ბავშვმა, მაგრამ უეცრად ზევით აიხედა და სახე მოეღუშა.

ლილემ თვალი გააყოლა ბავშვის მზერას. დახვეული კიბეების თავზე ოჯახის უფროსი, არწივისთავიანი ფარო იდგა. ლილე მიხვდა, გოგონა მამის მკაცრმა მზერამ შეაცბუნა. ფაროს ბიგოელთა ტრადიციული, გრძელი, შავი სამოსი ეცვა, წელზე შემოკრულ ტყავის განიერ ქამარზე კი იარაღი ეკიდა. არადა, ბიგოელები სახლში იარაღს არ ატარებდნენ.

— ცუდ დროს ხომ არ მოვედით, ფარო? — ჰკითხა ალიმ. — მგონი, სადღაც აპირებდი წასვლას.

— არა, დღეს ადათ-წესებს ვინ უყურებს?! ვერ გაიგებ, სახლში ვინ როდის შემოგეჭრება და რას და ვის წაგართმევს. სულ მზად უნდა იყოს კაცი. — მჭექარე ხმით თქვა მასპინძელმა და სტუმრების შესახვედრად კიბეზე დაეშვა.

ფაროს სიტყვები ალის ცუდად ენიშნა. დედოფლის მიმართ

კეთილგანწყობის მოპოვებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. გულში ინანა, ლილეს რად დავუჯერე და ფაროს რად ვესტუმრეთო. მაგრამ უკანდახევა უკვე გვიანი იყო. ისე უნდა მოქცეულიყო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

— მასპინძელს საკუთარ სახლში ყველა უფლება გაქვს, ჩვენ კი, შენი ნებართვით, იარაღს აქ დავტოვებთ. — მხოლოდ ეს თქვა ალიმ და იარაღი შესასვლელთან ჩამოკიდა. ლილემ მას მიბაძა.

მასპინძელი სტუმრებს მიესალმა და პირდაპირ ტერასაზე გაუძღვა, რომელიც ტბას გადასცქეროდა. მზე ჩადიოდა. წყალს ფერი უკვე შეცვლოდა, მომწვანოს მაგივრად მონარინჯისფრო-მოწითალოდ ლივლივებდა, მაგრამ, თვალსა და ხელს შუა, სულ უფრო და უფრო მუქდებოდა.

ალის უმალ თვალში მოხვდა — სახლში ერთი მსახურიც კი არ იყო. სტუმრების შესახვედრად ტერასაზე ოჯახის დიასახლისი, ნენე, გამოვიდა. ხვლიკისთავიან ტანად ქალს ორი კურდღლისთავა გოგონა გამოჰყვა. უფროსი უკან მოდიოდა, უმცროსი კი ხტუნვა-ხტუნვით დედას წინ უსწრებდა. უხერხული სიჩუმე ნენემ დაარღვია.

— ხომ შესანიშნავი ხედი იშლება ჩვენი ტერასიდან? — მიმართა ლილეს და მისალმების ნიშნად თავი მსუბუქად დაუხარა. საღამოობით მთელი ოჯახი ყოველთვის ამ ტერასაზე ვვახშმობთ ხოლმე და თქვენი მიღებაც სწორედ აქ გადავწყვიტეთ.

— მართალი ბრძანდებით, ქალბატონო! — კვერი დაუკრა ლილემ. — სწორედ რომ ჯადოსნური ფერებით ელვარებს ნეფრიტის ტბა, თითქმის ისევე, როგორც თქვენი ქალიშვილების შესანიშნავი მძივები.

მძივების შექებაზე გოგონებმა დაიმორცხვეს და ხვლიკისთავა ტანად დედას ამოეფარნენ. ქალი ისე მშვიდად საუბრობდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ დილით შვილი მკერდიდან ააგლიჯეს და გასაზრდელად უცხო ქალს, თანაც მონასა და მსახურს, მიუყვანეს.

— შეიძლება შენს ცუგას მოვეფერო? — უეცრად გაისმა უმცროსი გოგონას ხმა.

ამ მოულოდნელმა თხოვნამ ლილე საგონებელში ჩააგდო. არ იცოდა, რა ეპასუხა ბავშვისთვის. ბესანჯი მოფერებას არათუ შერისხულისგან, მისგანაც ვერ იტანდა. დრუნჩიც რომ გაეკრა გო-

გონასთვის, ფარო მაშინვე იარაღს იშიშვლებდა.

— მოდი ჯერ ცუგას ვკითხავ, თუ თანახმა იქნება, მიეფერე! — იპოვა გამოსავალი ლილემ. ჩაიცუცქა და ბესანჯს ვითომ ყურში რაღაც უჩურჩულა. ის-ის იყო უნდა ეთქვა, ცუგა ამბობს, ჯერ კარგად გავიცნობ და მერე მე თვითონ მივეფერებიო, რომ ბესანჯი გოგონას გვერდით აღმოჩნდა. ძაღლის საქციელი ბავშვმა თანხმობად მიიღო და თავზე ხელი გადაუსვა. ბესანჯმა პატარას ხელი აულოკა და მის ფერხთით წამოწვა. გოგონა დაიხარა და ძაღლის მოფერება განაგრძო. ბესანჯმაც ალერსზე რამდენჯერმე ალოკვით უპასუხა. მერე წამოდგა და ისევ პატრონის გვერდით დადგა. ლილემ შვებით ამოისუნთქა. მასპინძლები გაოგნებულები უყურებდნენ ხან ძაღლს, ხან შვილს. ვერასდროს წარმოიდგენდნენ, რომ თითქმის ლეგენდებიდან გამოცხადებული გმირის მცველი ძაღლი, შერისხულთა ოჯახში, შერისხულ ბავშვს მოფერების უფლებას მისცემდა.

— ჩვენ რომ ახალი ძამიკო გვყავს, იცი? — ბესანჯის მოფერებით შეგულიანებული ბავშვი უცბად გაუთამამდა ლილეს. — არ გინდა, გაჩვენო?

ლილემ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. უხერხული სიჩუმე ისევ ნენემ დაარღვია.

— მე პატარას დავხედავ. თუ სურვილი გაქვთ, თქვენც წამობრძანდით. — მიმართა სტუმრებს, — თქვენ კი, ბავშვებო, სუფრის გაშლა დაიწყეთ!

ნენეს მხოლოდ ლილე შეუერთდა. ალიმ და ფარომ ტერასაზე საუბრის გაგრძელება არჩიეს. დიასახლისი ლილეს საბავშვო ოთახში შეუძღვა. ტარუტოს ხისგან გამოჭრილ პატარა საწოლზე მიას შვილი ნინია იწვა და ფუნჩულა ვარდისფერ თითებს ათამაშებდა. ნენემ ჩვილი ხელში აიყვანა და მკერდზე მიიკრა.

— ზუსტად ასე ჩაიკრა გულში მიამ თქვენი სუა. — უთხრა ლილემ ნენეს.

— შენ საიდან იცი? — შეიცხადა ქალმა.

— იქ ვიყავი, როცა შვილზე დარდით გულმოკლულ დედას თქვენი პატარა მიუყვანეს.

— ვერ ვიჯერებ, რომ მე და ჩემი მსახური ერთმანეთის შვილებს ვზრდით. — თავი გააქნია ნენემ.

— მიამ შემოგითვალათ, დარდი არ გქონდეთ, თქვენს სუას ცივ ნიავსაც არ მივაკარებ, საკუთარი შვილივით მეყვარება და თავს შემოვევლებიო. დარწმუნებულია, თქვენს ოჯახში მის შვილსაც ზრუნვა არ მოაკლდება.

ნენეს თვალზე ცრემლი მოადგა.

— იმასაც გეტყვით, — გააგრძელა ლილემ, — რომ სუას თქვენს თავს არასდროს დაავიწყებს.

— განა არ მესმის, ძველი დიდების დასაბრუნებლად რა რთული გზა აირჩია იორუბამ. გუშინ დედოფლის დაბადების დღიდან დაბრუნებული ჩემი გოგონების ბედნიერ სახეებს რომ არ შევსწრებოდი, დღევანდელ დღეს ვერც გადავიტანდი. იორუბას ჩანაფიქრსაც ვერ მივხვდებოდი. დედოფალი სიხარულისა და სიყვარულის განცდას გვასწავლის. ჩვენი მეფეები, ვეზირები და, საერთოდ, ბიგოელი მამაკაცები, რა თქმა უნდა, მათ შორის ჩემი ქმარიც, დღემდე მხოლოდ სიძულვილით, ბოღმითა და ხოცვა-ჟლეტით აპირებდნენ დიდების დაბრუნებას. წლებს წლები მიჰყვებოდა, მაგრამ ძველი დიდება მუდამ ჰორიზონტს მიღმა რჩებოდა. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მიჭირს ამ ბავშვის მოფერება. მსახურებიც გავუშვი, რომ მასზე მხოლოდ მე მეზრუნა, სხვაგვარად ხომ ვერც მივეჩვევი და ვერც შევიყვარებ. ახლა მიას მდგომარეობა წარმოიდგინე. მას ხომ ხელში იმ ოჯახის ბავშვი უჭირავს, რომელიც მუდამ ჩარგავდა, არარაობად თვლიდა, პურსა და წყალს სამადლოდ აძლევდა. ქმარიც ჩვენ მოვუკალით, ჩვენს მაღაროში ჩაიტანა მიწამ. სიძულვილისთვის მას მეტი მიზეზი აქვს. დედოფლის წყალობით და საკუთარი შვილების ბედზე ფიქრით, დღეს ეს სიძულვილი დავძლიეთ. დროთა განმავლობაში იქნებ სიყვარულიც დაიბადოს... მაგრამ ერთი რამის მეშინია... — უეცრად ნენე გაჩუმდა და სიტყვა ვეღარ გააგრძელა.

— რისი გეშინიათ, ნენე? — სიტყვა წააშველა ლილემ.

— ვეყვარებით კი ცხოველისთავიანი შერისხული დედები შვილობილებს? ან როგორ შეგვეგუებიან ლამაზი დედების ხელში გაზრდილი საკუთარი შვილები.

— დარწმუნებული ვარ, ეყვარებით და თანაც ძალიან...

— შენ რა იცი?

— მე ვიცი, თუ ვიცი. არც ჩემი გამზრდელი დედა ყოფილა ჩვეულებ-

რივი ადამიანი, მაგრამ ის ჩემთვის ყველაზე კეთილი და ლამაზი იყო.

— ახლა ბიგოელ ქალებს დიდი სიფრთხილე გვმართებს. თითიც რომ ასტკივდეს ერთ ბავშვს, სულ ერთია, შერისხული იქნება თუ არა, ბიგო შურისმაძიებელთა ქალაქად გადაიქცევა.

— როგორ შეხვდა ფარო ბავშვების შეცვლას? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ ლილემ.

— ეს რომ შენს გამოჩენამდე მომხდარიყო, ფარო სისხლს დაღვრიდა, შვილს კი არ გაატანდა. ქალაქში ხმები დადის, რომ იორუბას დასაცავად და გასაძლიერებლად ხარ ჩამოსული. დედოფალს აქამდე არც ძალაუფლება ჰქონდა და არც ბიგოელთა ნდობა. ნამდვილი მეფე ნასარი იყო, ყველანი მისი წყალობის დამსახურებას ვცდილობდით. მას შემდეგ, რაც ნასარმა დაგეშილი ვეფხვები მოგისია, ჩვენს თვალში პატივისცემა დაკარგა და მის ძალაუფლებასაც წყალი შეუდგა. სამაგიეროდ, იორუბა პატარა ახირებული გოგოდან ღირსეულ დედოფლად გადაიქცა. მაგრამ, ყველა როდი ფიქრობს ასე, ნასარს ბევრი კუდი ჰყავს. ორიოდე კვირის წინ მეც და ჩემი ქმარიც სწორედ მისი კუდები ვიყავით. შენს ჩამოსვლამდე ბიგოში ასე სწრაფად არაფერი იცვლებოდა. საერთოდ, არ იცვლებოდა რამე. უჰ, რამდენს ვლაპარაკობ, ალბათ თავი მოგაბეზრე.

— არა, ძალიან მნიშვნელოვანი სიტყვები მოვისმინე. ნენე, შენთვის საჩუქარი მოვიტანე, მაგრამ ვყოყმანობდი გადმომეცა თუ არა. ახლა ნამდვილად იმსახურებ. — ლილემ ჯიბიდან პაწაწინა ტოპრაკი ამოიღო და ნენეს გაუწოდა. ქალმა ბავშვი საწოლში ჩააწვინა და სტუმარს საჩუქარი ჩამოართვა. ტოპრაკში სისხლივით წითელი თხილისოდენა ლალის ქვა იდო. ნენემ სპეკალი ქვა ხელისგულზე დაიდო.

— რა ლამაზია! — აღტაცება ვერ დამალა ქალმა. — სისხლივით წითელია!

— სწორედ იმ სისხლივით, რომელიც ერთი გვაქვს, შენც, მეც და ამ პატარასაც.

— ახლა კი ნამდვილად დავრწმუნდი, რომ იორუბა შენი მოსწავლეა. — გაეცინა ნენეს.

— არა, ცდები, დედოფალმა ყველაფერი თავად მოიფიქრა. მე აქ ბრალი არ მიმიძღვის.

— მით უკეთესი ჩვენთვის. ძალიან ჭკვიანი დედოფალი გვყოლია.

ახლა დავბრუნდეთ ტერასაზე. გოგოებს სუფრის გაშლაში მივეშველები.

— ერთი რჩევა მინდა მოგცე, ნენე. თუ ნასარი რაიმე მზაკვრობას ჩაიფიქრებს და ბიგოში ყველაფერს არევს, შვილობილს თვალებში კარგად ჩახედე და მანამ უყურე, სანამ საკუთარ თავს არ დაინახავ.

ნენემ გაკვირვებით შეხედა სტუმარს, მაგრამ აღარაფერი ჰკითხა.

სტუმარ-მასპინძელმა საღამო ჩირაღდნებით განათებულ გაშლილ სუფრასთან გააგრძელა. მაგიდაზე მხოლოდ ოქროს ჭურჭელი ელაგა, კერძებიც — უფრო მრავალფეროვანი, ვიდრე ალის სახლში — ხორცეული, თევზეული და მხალეული უხვად იყო, დოქებში ხილის ტკბილი წვენი ესხა. ტბას ელვიძა და ბობოქრობდა, ფაროს სახლამდე კი მხოლოდ ტალღების დგაფუნის ხმა და სასიამოვნო სიგრილე აღწევდა.

თავი მეცამეტე

ნასარის მზაკვრული გეგმები

მაღაროებში ხუთი დღე დარჩა ნასარი. აურაცხელი ოქრო იყო ჩამარხული ჩამონგრეული გვირაბის ლოდებს შორის. დიდი ძალისხმევა იყო საჭირო, მისხალიც რომ არ დაკარგულიყო. დღედაღამ არ წყდებოდა მუშაობა. არც ნასარს მოუხუჭავს სამი დღე და ღამე თვალი. მაღაროელებს თავზე ადგა და ათას განკარგულებას იძლეოდა. „ახლა ამის დრო იყოო"? — ბრაზობდა გულში, როცა იორუბას თავხედობა გაახსენდებოდა. მეხუთე დღის ბოლოს, როგორც იქნა, გზა გაიწმინდა, გვირაბის მოძველებული ბურჯები ახლებით შეიცვალა, ნანგრევებში არეული ოქროს ზოდები დაბინავდა.

ცხენზე ამხედრებული ნასარი პატარა რაზმთან ერთად ჩაფიქრებული მიუყვებოდა ბიგოს ქუჩებს. შერისხულთა სახლებამდე სულ ცოტაღა რჩებოდა. დედოფალთან სათქმელი სიტყვა უკვე მოფიქრებული ჰქონდა. ახლა იმაზე დარდობდა, როგორ შემოებრუნებინა შვილი თავისკენ. უეცრად, ერთ-ერთი ქოხის წინ, ქალს მოჰკრა თვალი, რომელსაც ხელში შერისხული ბავშვი ეჭირა, თავად კი ნამდვილად არ ეკუთვნოდა ბიგოს წარჩინებულთა ფენას. ნასარმა ცხენი უმალ მისკენ გააჭენა.

— შენთან რა უნდა ამ ბავშვს?! — დასჭექა საწყალ ქალს.

— გასაზრდელად მომიყვანეს! — ძლივს ამოილუღლუღა საბრალომ.

— ტყუილსაც ბედავ! ახლავე წაართვით ბავშვი! — გასცა ბრძანება ნასარმა.

— მიშველეთ! ბავშვს მტაცებენ! — განწირული ხმით აყვირდა ქალი.

ქალის ყვირილზე სხვა ქოხებიდანაც გამოიშალნენ დედები, უმე-

ტესობას ხელში შერისხულთა ბავშვები ეჭირა. ამას კი აღარ მოელოდა ნასარი. თვალები ხელით მოიფშვნიტა, ხომ არ მელანდებაო. ქალის ყვირილზე ქალაქში სიმშვიდის დამცველი პატრულიც გამოჩნდა.

— შენ მაინც ამიხსენი, რა ხდება აქ? — დაუღრიალა ჯარისკაცს ნასარმა.

— დიდო ვეზირო! იორუბას ბრძანებით შერისხულთა ბავშვები აქ იზრდებიან. ამათი კი ჩვენს ოჯახებში. ჯერჯერობით ქალაქის ორივე მხარეს სიმშვიდეა. ქალები დედურ მოვალეობას აქეთაც და იქითაც პირნათლად ასრულებენ. — მხედრული სიზუსტით უპასუხა ჯარისკაცმა ნასარს.

— შენ ვის შვილს ზრდი, თუ იცი? — ჰკითხა ქალს ნასარმა.

— ჩემი ბატონების — ფაროსა და ნენეს ვაჟიშვილს, სუას.

— მერე, ფარომ იცის ეს? — ჩაეკითხა ნასარი.

— როგორ არა, ბატონო. გუშინ თავისი ხელით მოგვიტანა წყალი და სანოვაგე, არც თქვენ იშიმშილოთ და ბავშვიც ყოველთვის დაპურებული გყავდეთო.

რაღა უნდა ეთქვა ნასარს?! მის არყოფნაში იორუბას მთელი ბიგო გაეგიჟებინა და წლობით დამყარებული წესრიგი ერთი ხელის მოსმით გაენადგურებინა. ახლა ყვირილისა და ხელების ქნევის დრო აღარ იყო. ნასარმაც გაჩუმება ამჯობინა და ბოღმით გაბერილმა სახლისკენ გასწია.

სახლში სამუშაო ოთახში ჩაიკეტა, საიდანაც დიდხანს ისმოდა გახელებული ვეფხვ-კაცის ღრიალი. ვეზირი გრძნობდა, თამაშს აგებდა. თვით ფაროსაც არ გაუწევია წინააღმდეგობა იორუბასთვის. ეგ კი არა, საწყალ, უბადრუკ ადამიანებს უყადრებდა თავს და საკუთარი ხელით აპურებდა. რა თავში იხლიდა იმდენ ოქროს, გამოქვაბულებში რომ ჰქონდა დამალული. არადა, ამ განძით დიდძალი არმიის დაქირავებას აპირებდა აბარდაგანის დასაპყრობად. ახლა, ბიგო, იორუბას წყალობით, აბარდაგანთან უბრძოლველად მარცხდებოდა.

— გაგანადგურებთ! ჯურღმულებში ამოგალპობთ! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს! — ყვიროდა სასოწარკვეთილი ნასარი და როცა საპასუხო დარტყმად ახალს ვერაფერს იგონებდა, თავში მჯიღებს იცემდა. ბოლოს, დაღლილი ფანჯარას მიაწყდა და ქალაქსა და ტბას თვალი მიმოავლო. ნეფრიტის ტბას მეწამული შერეოდა და შავში

ჩაძირული ქალაქის ფონზე ჩამავალ მზესავით ელვარებდა. ასეთი ტბა არ უყვარდა ნასარს. მას წყლის სტიქია მაშინ მოსწონდა, როცა ერთიანად ჩამუქდებოდა, მოიისფრო-მოშავო საბურველით დაიფარებოდა და აბობოქრებული ნაპირებს უტევდა. ნასარი შავი ფერის მეტს, არც ერთ ფერს არ სწყალობდა. კუნძულის თავზე შეკრებილი ღრუბელი ნელ-ნელა იშლებოდა. სადაცაა ქარბორბალად გადაიქცეოდა.

— შენ სიკვდილის ღირსიც არა ხარ, პატარა ქალბატონო, ამ კუნძულზე მარტოობასა და შიშში უნდა ამოგხდეს სული! მე ნასარი არ ვიყო, თუ ჩემი ხელით არ მოგისროლო. დამაცადე! — იქადნებოდა ვეზირი. — ლილე ირეელო, არც შენ გაგახარებ. ბესანჯის პატრონობაც ვერ გიშველის, ისეთ საქმეს დაგმართებ, ღირსეული მეომრის სახელი ნაცარტუტად გექცეს. — ლილეს მიმართ ალალბედზე წამოსროლილი სიტყვები ძალიან მოეწონა და ჭკუაშიც დაუჯდა. — აი, რა უნდა გავაკეთო, ლილეს სახელს ჩრდილი უნდა მივაყენო, ალის კი იორუბა შევაჯავრო. მხოლოდ ასე თუ გავიმარჯვებ. სანამ სამივე ჩემ წინააღმდეგაა, მათი მორევა გამიჭირდება. ტყუილად კი არ ამბობენ — ციხე შიგნიდან ტყდებაო. ახლა, მთავარია, მაგ ციხეში შეღწევა მოვახერხო.

ორი დღე და ღამე ნასარი სამოქმედო გეგმას მოზაიკასავით აწყობდა. ყოველ სიტყვას, ყოველ ნაბიჯს ათასჯერ წონიდა და თვლიდა. წარმოიდგენდა მის წინ მჯდომ ხან იორუბას, ხან ალის და ლილეს და სათქმელს ბევრჯერ იმეორებდა, მიმიკებს იყენებდა, ღიმილს სწავლობდა. მესამე დღეს კი დედოფალს ეახლა. როცა მსახურმა დედოფალს ვეზირის მისვლა მოახსენა, იორუბას ბავშვობიდან გამოყოლილი ჩვევისამებრ, გული აუჩქარდა. სასწრაფოდ სამეფო ტახტზე დაჯდა და, შეძლებისდაგვარად, გოროზი გამომეტყველება მიიღო.

ვეზირი ორი მცველის თანხლებით შემოვიდა, დედოფალს მიუახლოვდა და პატივისცემის ნიშნად თავი მდაბლად დაუკრა.

„რას უნდა ნიშნავდეს ეს?“ — გაიფიქრა იორუბამ.

— მოგესალმები, დიდო დედოფალო! გაიგებდი, ჩვენს მაღაროებში მიწა ჩამოიქცა. ეს დღეები სულ იქ ვიყავი. მუშებს თავზე ვადექი, მისხალი ოქრო რომ არ დაკარგულიყო. მაპატიე, მარტოს რომ და-

განვა ბიგოს მართვის მთელი სიმძიმე, მაგრამ ალის დიდი იმედი მაქვს. ვიცი, უჩემობას არ გაგრძნობინებს. ეს დღეები ქალაქიდან ამბები მომდიოდა და მივხვდი, რომ ის პატარა შეშინებული გოგონა აღარა ხარ. ნამდვილი დედოფალი გახდი. ბიგოში დიდი სიახლეები კი დამხვდა, მაგრამ ძველებურად წესრიგი სუფევს, რაც ჩვენს ქალაქში ყველაზე მეტად ფასობს.

— დიდ მადლობას მოგახსენებ, ვეზირო, გულშემატკივრობისთვის, სიმართლე გითხრა, არ ველოდი, ასე მშვიდად თუ შეხვდებოდი ჯერ ჩემს დაბადების დღეს, მერე კი ბავშვების გაცვლას.

— დედოფალი შენ ხარ და ამიტომაც უკეთ უწყი, რა არის უკეთესი შენი ხალხისთვის. თანაც ახალგაზრდა ხარ და მეტის გაბედვა შეგიძლია. რაც ჩვენ, ძველ თაობას, სიზმრადაც არ მოგველანდება, თქვენ, ახალგაზრდები, ცხადში აკეთებთ იმას. მაგრამ, ხანდახან, ჩვენც რომ დაგვიგდოთ ყური, ურიგო არ იქნება.

— დარწმუნებული ვარ, შენებურ სასარგებლო რჩევებს ახლაც არ მომაკლებ!

— თუკი ნებას მომცემ, მოგახსენებ!

— აბა, გისმენ!

— ჯერ ერთ კითხვას დაგისვამ — ყველაზე მეტად როდის გსიამოვნებს ნეფრიტის ტბის ცქერა?

— დღისით, როცა მწვანედ ლივლივებს... თუმცა არა... გამოღვიძების წინ, მზის ჩასვლისას, ათასფრად რომ აჭრელდება..

— ასეთი მარტო შენ როდი ხარ. ბიგოელებიც ამ დროს აივნებზე გამოდიან, ტბის სილამაზით რომ დატკბნენ. ჩვენი ქალაქი კი დღისით და ღამითაც შავი ფერისაა. შავია სახლები, ტანსაცმელი, მოკლედ, შავია ყველაფერი. ბიგოს ფერები აკლია. სახლებს თავიდან ვერ ავაშენებთ, მაგრამ იმდენი ოქრო კი გვაქვს, ტუალანუს ბაზრობაზე ნაირ-ნაირი ფერადი ნაჭრები და ფარდაგები ვიყიდოთ და ქალაქი ცოტა გავამხიარულოთ, ბავშვებს ცელქობის უფლება მივცეთ, უფრო მეტიც, სათამაშო მოედნები მოვუწყოთ, სადაც ბიგოს ორივე მხარის პატარები გაერთობიან.

იორუბა უსმენდა ნასარს და ყურს არ უჯერებდა. ნუთუ მის წინ მართლა ნამდვილი მთავარი ვეზირი იდგა, ის საძულველი კაცი, რომელმაც მშობლები დაუხოცა. პატარა გოგონა ტყვესავით ოთხ-

კედელშუა გამოკეტა. დღემდე ნასარისგან ერთი ტკბილი სიტყვა არ გაეგონა. წესრიგის სადარაჯოზე მდგომი მთავარი ვეზირის ულმობელი ხასიათის გამო, ბიგოში დღე არ გავიდოდა, ვინმე სასტიკად არ დასჯილიყო. ბიგოს ორივე მხარეს ნასარი შიშის ზარსა სცემდა. ახლა კი იორუბას საქციელს უწონებდა და სასარგებლო რჩევებსაც აძლევდა.

— მიბრძანე და ალის ტუალანუში გავაგზავნი ფერადი ქსოვილების, მოჩითული ფარდაგების, ჭრელ-ჭრელი ნიღბებისა და, თუკი ინებებ, ტკბილი ფინიკის ჩამოსატანადაც.

— ტკბილი ფინიკის? — გაოცდა იორუბა.

— ჰო, ჰო, სწორედაც ტკბილი ფინიკის. რით არიან ჩვენი ბავშვები აბარდაგანელ ბავშვებზე ნაკლები, მათაც ჩაიკოკლოზინონ ყელი ტკბილეულით.

ფინიკის შესახებ იორუბას ერთხელ ალიმ მოუყვა, მაგრამ მამის შიშით ერთი მუჭაც ვერ ჩამოიტანა. ტკბილეულის დაგემოვნება ბიგოში მომაკვდინებელ დანაშაულად ითვლებოდა.

— დედოფალო, ოქროს მოთხოვნა ნუ მოგერიდება, სამყოფზე მეტი გვაქვს. შენ მხოლოდ მიბრძანე, ხვალვე გავაგზავნი ალის ტუალანუში.

— ყველაფერს ავწონ-დავწონი, მოვიფიქრებ, რა მჭირდება კიდევ და მოგახსენებ! — ესღა უთხრა ნასარის ფერისცვალებით სახტად დარჩენილმა იორუბამ.

მთავარი ვეზირის თანადგომით აღტაცებულმა დედოფალმა იმ დღესვე ყველაფერი წვრილად მოუყვა ალისა და ლილეს.

— მამაჩემის მტრობას დღემდე როგორღაც ვუმკლავდებოდით, გული მიგრძნობს, მისი მოყვრობა ბევრად სახიფათო იქნება, — იორუბას მონათხრობიდან დედოფლისთვის მოულოდნელი დასკვნა გააკეთა ალიმ.

— რას ამბობ, ალი? რატომ ხარ ასეთი უნდობი. სრულიად გულწრფელად ლაპარაკობდა მამაშენი. — ოქროს დღესვე მოგცემთ და ტუალანუდან, რაც გინდათ, ის ჩამოიტანეთო. ხომ იცი, როგორ უყვარს ოქრო, ახლა კი უშურველად გვაძლევს, მეტი რითი უნდა დაამტკიცოს თავისი ერთგულება?! — არ ცხრებოდა ვეზირის ქებით იორუბა. — შენ მაინც დააჯერე ალი მამამისის გულწრფელობაში, —

მუდარით მიმართა დედოფალმა ლილეს.

— რა ვქნა, დედოფალო, მეც ეჭვი რომ მეპარება?.. — მორიდებით უპასუხა ლილემ.

— ხომ ხედავ, ლილეც ჩემი აზრისაა. ნუ ენდობი მამაჩემს, ჯერ-ჯერობით მაინც. დააკვირდი მის ქცევას. რა საჩქაროა ჩემი ტუალანუში გაგზავნა. დრო ყველაფერს გვიჩვენებს.

— კარგი, ორი კვირა მოვიცადოთ. — დანანებით ჩაილაპარაკა იორუბამ.

დღე დღეს მისდევდა. ნასარის გულკეთილობა კი არ ნელდებოდა. ბიგოს უღარიბეს უბნებში, სადაც მხოლოდ მონები და მსახურები ცხოვრობდნენ, ვეზირის ბრძანებით თულუხჩებმა დაიწყეს სიარული და სრულიად უფასოდ ბიგოში ოქროზე ძვირფასის — დასალევი წყლის ჩამორიგება დაიწყეს, ექიმები იგზავნებოდა ავადმყოფებთან, ბავშვებსაც აღარ ეკრძალებოდათ ქუჩაში ერთმანეთთან თამაში, ხმადაბალი სიცილისა კი არა, ხარხარისთვისაც არავის როზგავდნენ, ხოლო დიასახლისებს მოხარშული ხორცისა და ფაფის გარდა, ის შეეძლოთ მოემზადებინათ სადილად, რასაც მოისურვებდნენ. ბიგო თანდათან თავისუფლდებოდა მარწუხებისგან, სამაგიეროდ, ნასარს უფრო და უფრო ეძალებოდა შურისძიების დაუოკებული სურვილი.

— ახლაც არ წახვალთ ტუალანუში? ორი კვირა კი არა, მეოთხეც გადის უკვე! — პირობის შესრულება მოსთხოვა იორუბამ ალის.

— კვამლის წამკითხველებს ახალი ბაზრობის შესახებ არაფერი უცნობებიათ, ტყუილად ჩავიდე? — დარჩენისათვის შემონახული უკანასკნელი მიზეზი დაასახელა ალიმ.

— შენ არა თქვი, ტუალანუ სხვა დღეებშიც სავსეა ვაჭრებითო? — თავისივე სიტყვები შეახსენა ალის იორუბამ. — დიდი გვალვები რომ დაიწყოს, ვინ იცის, მერე რამდენ ხანს არ გაიმართება ბაზრობა.

— კარგი, წავალ! მხოლოდ ერთი პირობით, ლილე აქ დარჩება და შენს სასახლეში იცხოვრებს.

ბიგოში უქმად ყოფნა ლილეს უკვე მობეზრებული ჰქონდა. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, ფანჯრიდან ლამაზი ხედის ცქერა რომ მდომოდა, სახლში დავრჩებოდი, ჩემი როშკაშის მთებზე ლამაზს რას ვნახავდიო. სიამოვნებით გაჰყვებოდა ალის ტუალანუში და იქიდან კი სხვადასხვა მხარეებში გააგრძელებდა მოგზაურობას,

მაგრამ მთავარი მცველის გარეშე დარჩენილ დედოფალს ვეფხვისთავა ავაზაკის ხელში ვერ დატოვებდა. ამიტომ ალის უსიტყვოდ დაეთანხმა. გამგზავრების წინ კი სთხოვა, იქნებ ტუალანუში კვამლის წამკითხველი ჯუფრა, ან მისი ძმა უსინათლო ბაკუბა ენახა და მათთვის დაწვრილებით მოეყოლა, რაც ბიგოში ხდებოდა. თან დაარიგა, თუკი არ დაგიჯერებენ, ტუალანუში, ტისოს შვილის, უსუმბას ფარდულში კედელზე ჩამოკიდებული იორუბას მგლისთავიანი ნიღაბი ნახონ და ყველაფერს მიხვდებიანო.

ალი ლილემ და ბესანჯმა გააცილეს.

— მამაჩემის ერთ სიტყვასაც არ ენდო! — კიდევ ერთხელ გააფრთხილა დედოფლის მთავარმა მცველმა წასვლის წინ ლილე, — ისიც იცოდე, ახლახანს მომახსენეს, რომ ნასარს შენთვის მოთვალთვალე დაუყენებია. შერისხული არ არისო, მაგრამ მამაჩემის სახლში დაუკითხავად შედის, თითქოს უახლოესი მეგობარი იყოს. ფრთხილად იყავი. რა დროს ჩემი წასვლაა! ეჰ!.. — ხელი ჩაიქნია ალიმ და ბორანზე შეხტა.

ბორანმა დილაადრიანად დატოვა ნავსადგური.

თავი მეთოთხმეტე

მოულოდნელი სტუმრობა

ტუალანუს თავზე ღრუბლები თითქოს დამალობანას თამაშობდნენ. ხან უეცრად გამოჩნდებოდნენ, ხან ისე სწრაფად გაუჩინარდებოდნენ, მათ მოსვლა-წასვლას ვერც კი შეამჩნევდი. მესამე თვე იყო ქალაქს წვეთი წვიმა არ დასცემოდა. ტბებშიც წყალი ნელ-ნელა უკან იხევდა. მის კამკამა ფერს სიმწვანე შეჰპარვოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფსკერი სულ ახლოს იყო. ტბებიდან ამოღებულ სასმელ წყალს პაწაწკინტელა წყალმცენარეებიც გარეოდა.

უეცრად, ღამით ქალაქში გრუხუნის ხმა გაისმა და ცაზე ელვა წვიმისმომასწავებლად დაიკლაკნა. ტუალანუელები გარეთ გამოცვივდნენ, თუმცა ამაოდ. გრუხუნებდა, ელავდა, მაგრამ არ წვიმდა.

გრუხუნის ხმა ტუალანუსთან სულ ახლოს დაბანაკებულმა იტურელებმაც გაიგეს. — დაღამებამდე ქალაქს რომ ვერ მიაღწიეს და ტუალანუმდე ნახევარი დღის სავალზე გაშალეს სადგომი. იტურელებს გამყოლი ბაკუბა მოჰყვებოდა, კვამლის წამკითხველად კი ჯუფრა. რაც ის იშვიათი შემთხვევა იყო, როცა ორივე ძმა ერთად ახლდა მგზავრებს.

ძმებს იტურელები, უდაბნოში, გველების მომნუსხველებთან შეხვდნენ. ტყის ხალხს ქვეწარმავლებისგან თავის დასაცავი წამლებისთვის გამოევლოთ ცხელი უდაბნო. ბაკუბა და ჯუფრა რომ ნახეს, ტუალანუში წასვლაც გადაწყვიტეს, თქვენზე კარგ მეგზურებს სადღა ვიშოვითო. ძმები უმტკიცებდნენ ტუალანუში ჯერ კიდევ გვალვაა, თქვენთვის სასურველი ვაჭრები არ დაგხვდებიან და ამხელა გზას ტყუილად გაივლითო. ჯუფრამ ერთი-ორჯერ კოცონიც დაანთო და ტუალანუელებს შეუთვალა, ბაზრობის გამართვას ხომ არ აპირებთო, ორივეჯერ იქაურმა კვამლის წამკითხველმა უარით უპასუხა — რა

დროს ბაზრობაა, ტბებში წყალი ჩვენ აღარ გვყოფნისო. იტურელები კი ამტკიცებდნენ, ალღო გვკარნახობს, მივალთ თუ არა, წვიმაც წამოვა, ტბებიც გაივსება და დიდი ვაჭრობაც გაჩაღდებაო.

იტურელებს თავიანთი ქალაქები ტყეში ჰქონდათ გაშენებული და ხუთი თითივით ცნობდნენ ტყესაც და მის ბინადართაც. თავად ჩია ტანისანი იყვნენ და სიმაღლითა და ტანადობით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდნენ. ბავშვური აღნაგობა ჰქონდათ, და ხასიათითაც ძალიან ჩამოჰგავდნენ ბავშვებს, დროს იხელთებდნენ თუ არა, ცეკვა-თამაშს გააჩაღებდნენ ხოლმე. მთელს აბარდაგანში მათზე მხიარული და მშვიდობისმოყვარე ხალხი არ მოიძებნებოდა. ტყეების მუსრის გამვლებ ტამრიტელებსაც კი არ ეომებოდნენ, მხოლოდ ყვირილითა და ჩხუბით მიუვარდებოდნენ და, გულს რომ იჯერებდნენ, უკან ბრუნდებოდნენ. მათთანაც მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა გასაყოფი — ტყე, რომელსაც მიწათმოქმედი ტამრიტელები ახალი სავარგულების მოსაპოვებლად უმოწყალოდ კაფავდენ. ალბათ, ალალი გული და დაბურული ტყე თუ იცავდა ამ მხიარულ ხალხს გრძნეულთა მონუსხვისაგან, თორემ ტამრიტელთა დიდი ნაწილი დედა-დედოფლის სახელს იფიცებდა.

— ხედავთ, რას ამბობს კვამლი? ტუალანუში იგრუხუნა, მაგრამ წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილაო. — უთხრა კოცონის გარშემო შემომსხდარ იტურელებს ჯუფრამ. — თქვენ კი დაგიჩემებიათ, მივალთ თუ არა წვიმა დასცხებსო.

— დასცხებს, დასცხებს! — ყველამ ერთად დაუქნია თავი კვამლის წამკითხველს.

— ოღონდ მითხარით, ასეთი დარწმუნებულები რატომ ხართ? — ველარ მოითმინა ბაკუბამ, რომელიც ძმას გვერდზე მიჯდომოდა.

— მე ქორმა მითხრა, — უპასუხა ერთმა იტურელმა.

— მე ხოჭოებმა და მორიელებმა!

— მე ქურციკებმა მამცნეს! — აზუზუნდნენ აქეთ-იქიდან.

— კარგი გეყოფათ! ტვინი ნუ ამირიეთ! აბა, შენ მიპასუხე, ქორმა ციდან როგორ გაგანდო წვიმის მოსვლის საიდუმლო?

— სულ ადვილად. მგზავრობის დასაწყისში ქორები ლეშის მოლოდინში სულ თავს დაგვტრიალებდნენ. მერე კი გაუჩინარდნენ და ტუალანუსკენ გაფრინდნენ. რა არის უდაბნოში ქორისთვის ლეშზე უფრო სანატრელი? ამას კითხვა რად უნდა — წყალი. ქორებ-

მა ტუალანუს მიახლოებული წვიმა იგრძნეს და გასაგრილებლადაც იქით გასწიეს.

— მოვყვე ხოჭოებისა და მორიელების ამბავი? — იკითხა მეორე იტურელმა.

— საკმარისია, გიჯერებთ... მართლები ყოფილხართ! — დაეთანხმა ბაკუბა იტურელებს.

კოცონის გარშემო საუბრის შეწყვეტა საკმარისი აღმოჩნდა სიმღერის დასაწყებად. იტურელებმა ტყისადმი მიძღვნილი გალობა წამოიწყეს. ტყეს მინდობილი ხალხი მადლობას სწირავდა თავის მფარველს სახლ-კარისათვის, დაპურებისთვის, დაცვისთვის, ხოტბას ასხამდა მის სიბრძნეს.

იტურელებს შეეძლოთ დილამდე ემღერათ და ძმებმა ნაირნაირი ჰანგების ქვეშ ტკბილად ჩაიძინეს. გამთენიისას, როცა ბანაკი აიშალა, ჯუფრამ ტუალანუს მხრიდან კვამლს მოჰკრა თვალი — ქალაქს წვიმა სტუმრებოდა და ბაზრობისთვის დიდი სამზადისიც დაწყებულიყო.

— ქორებს და ქურციკებს ასწავლით, წვიმა მოვა თუ არა?! — ნიშნის მოგებით ხითხითებდნენ იტურელები და ჯუფრას ქვეშ-ქვეშ გახედავდნენ. აბა რა უნდა ეპასუხა კვამლის ნამკითხველს, მხოლოდ მხრები აიჩეჩა და ძმას უთხრა:

— რომელ მხარეს უნდა წავიდეთ?

— პირდაპირ რომ ვიაროთ, ადრე მივალთ, მაგრამ მცოცავი ქვიშების გადავლა მოგვიწევს, ჯობია მარჯვნიდან მოვუაროთ. — დაარიგა ძმა ოკაპზე ამხედრებულმა ბაკუბამ, თან ხითხითით დააყოლა — შეგიძლია ბრმად მენდო, ჭიანჭველებმა მითხრეს.

თაკარა უდაბნოზე გადმოსვლის შემდეგ შხაპუნა წვიმით გალაღებული იტურელები ტუალანუმდე სულ ღილინ-ღილინით მიდიოდნენ.

— ერთი კვირა მაინც იწვიმებს! — დაასკვნა უსინათლო გამყოლმა.

— მეც ასე მგონია! — კვერი დაუკრა ჯუფრამ.

— თქვენ საიდანღა გაიგეთ, როდემდე უნდა იწვიმოს? — კითხვები დააყარეს იტურელებმა.

— მე მიწის სურნელმა მითხრა. — ჩაიქირქილა ბაკუბამ.

— მე კი ღრუბლებმა! — დაამატა ჯუფრამ და ქვეშ-ქვეშად ჩაეცინა. მიამიტმა იტურელებმა ძმებს უსიტყვოდ დაუჯერეს.

ბაკუბასა და ჯუფრას წლები შეპარვოდათ, მაგრამ ჯერ კიდევ უძლებდნენ ხანგრძლივ მოგზაურობას. ერთადერთი, რასაც ახალგაზრდობიდანვე ვერ ეგუებოდა ნუგბარი სადილის მოყვარული ბაკუბა, მწირი საჭმელი იყო. ამიტომაც შინ დაბრუნებულმა, ჯერ კიდევ სულმთლად გალუმპულმა, მსახურს სასწრაფოდ რამდენიმე თავი კერძის მომზადება უბრძანა.

— შენ რა, სტუმრებს ელი! — გაკვირვებით ჰკითხა ჯუფრამ ძმას.

— ჰო, ჰო! წვიმის წვეთებმა მითხრეს. — იტურელთა კილოთი გამოეპასუხა ბაკუბა.

მოსაღამოებულზე ჯუფრა და ბაკუბა უკვე კარგად იყვნენ დანაყრებულები. მსახურმა პატრონს მისი უსაყვარლესი კერძი — კომშთან ერთად შემწვარი ციკნის ხორცი, წიწაკითა და მარილით შეზავებული გოგრის ფაფა და სანელებლებით შეკმაზული ცერცვის წვნიანი — მოუმზადა, დესერტად კი ტკბილი ფინიკისგან მომზადებული შაქარლამა მიართვა.

ბაკუბა მეტად ნასიამოვნები დარჩა და, უკვე მერამდენედ, ხელი შეუქო ერთგულ მსახურს. ჯუფრამ თავის საყვარელ ბიბლიოთეკას მიაშურა და რამდენიმე ახალი წიგნითაც გაამდიდრა.

მეორე დღესაც გადაუღებლად წვიმდა. ქალაქის ქუჩებში ვეებერთელა გუბურები დადგა და ქალაქელებს კოჭებამდე წყალში გავლა უწევდათ. მიუხედავად ამისა, ტუალანუს ქუჩები ხალხით გაივსო, განსაკუთრებით ბავშვები გამოფენილიყვნენ გარეთ თბილ წვიმაში სათამაშოდ.

* * *

ბაზრობის დაწყებამდე ტუალანუში შერისხულების გამოჩენას ქალაქელები შიშით შეხვდნენ. ალი თავისი ჯარისკაცებით გვიან ღამით მიადგა მთავარ ჭიშკარს. მართალია, რაზმი დიდი არ იყო, მაგრამ ქალაქის მცველებმა სიფრთხილე გამოიჩინეს და უკან რამდენიმე ჯარისკაცი გააყოლეს.

შერისხულები ქალაქის განაპირას პატარა სასტუმროში დაბინავდნენ და დაღლილებმა მაშინვე დაიძინეს. სამაგიეროდ არ ეძინა

ტუალანუს. ბიგოელები ბაზრობის დღეებშიც იშვიათად სტუმრობდნენ აქაურობას. ქალაქელები უსიამოვნო ფიქრებისაგან მხოლოდ ღამით წამოსულმა წვიმამ გამოიყვანა. რაკი წვიმდა, ბაზრობაც გაიმართებოდა, შერისხულების იქ ყოფნა ამ მნიშვნელოვან მოვლენას ემთხვეოდა და ყველაფერი ძველებურად იყო.

დილა დიდ სიურპრიზს უმზადებდა ტუალანუს. შერისხულებმა მქსოველთა უბანს მიაშურეს და იქაური ოსტატებისგან ნაირ-ნაირი ქსოვილები და ფარდაგები იყიდეს. თუმცა ეცოტავათ და ვაჭრებს შეპირდნენ კიდევ გესტუმრებით, როცა საქონელს ჩამოიტანენო.

ახალი ამბავი კოკისპირულ წვიმაშიც ელვის სისწრაფით მოედო ტუალანუს და ჯუფრასა და ბაკუბას ყურამდეც მივიდა.

— რას ამბობენ, ალი მარტო ჩამოვიდა? — იკითხა ჯუფრამ.

— არა, პატარა რაზმთან ერთად ჩამობრძანებულა. — უზუსტებდა მსახური.

— მაგისი რაზმი არ მაინტერესებს, ლილე თუ ჩამოჰყვა თან?

— არა, ლილეზე არაფერს ამბობენ. არავის უნახავს. — მხრებს იჩეჩავდა მსახური.

— ბაკუბა, ახლავე უნდა წავიდე ალისთან და ლილეს ამბავი ვკითხო. მეშინია, არ გამასწროს.

— წასვლას ჯერ არ აპირებს. ფეიქრებისთვის ოქრო დაუტოვებია, რამდენიმე დღეში ისევ მოგაკითხავთო.

— მირჩიე რამე ბაკუბა! მივადგე შერისხულებს თუ მოცდა აჯობებს? — ლილეს გარეშე ალის ჩამოსვლამ ჯუფრა ძალზე ააფორიაქა.

— კარგი იქნებოდა, ბიგოელებს სადმე შემთხვევით გადაყროდი. თუ მაინცდამაინც გეშინია, არ გაგეპარონ, ქალაქის მცველები გააფრთხილე, გაცნობონ, გზას რომ დაადგებიან. — ურჩია ბაკუბამ.

— მართალი ხარ! ახლავე წავალ და გავაფრთხილებ. — ჯუფრა ფეხზე წამოდგა, მოსასხამი მოიგდო და ის იყო გარეთ გასასვლელად მოემზადა, რომ კარზე კაკუნის ხმა გაისმა.

— ვინც არ უნდა იყოს, გაყოლაზე უარს ვეტყვი. — მტკიცედ თქვა ჯუფრამ და კარი გააღო. მის წინ დედოფალ იორუბას მთავარი მცველი, ვეზირ ნასარის ერთადერთი ვაჟიშვილი და ბიგოს არმიის მეთაური, ალი, იდგა.

— შეიძლება შემოვიდე? — იკითხა მორიდებით.

ჯუფრა განზე გადგა და სტუმარს შემოსასვლელად გზა დაუთმო. ალი ოთახში შევიდა.

— რამ შეგაწუხა? გამყოლი გჭირდებათ თუ კვამლის წამკითხველი? — ისე ჰკითხა ჯუფრამ, თითქოს მის ნახვას ორიოდე წუთის წინ თავად არ ნატრობდა.

— ჩემს რაზმში ერთიცა მყავს და მეორეც. მე თქვენთან ლილემ გამომგზავნა.

— მაშინ აქეთ დაგვიჯექი! — ჯუფრამ ალი ბაკუბასთან მიიყვანა და მის გვერდით სკამიც დაუდგა. თავადაც იქვე ახლოს ჩამოჯდა.

— აბა, გისმენთ! რაო ლილემ, რა დაგაბარა ჩვენთან.

— მოსაყოლი ბევრი მაქვს. — დაიწყო ალიმ.

— ჩვენ შენს მოსაყოლზე მეტი დრო გვაქვს, დაიწყე!

ლილეს ბიგოში ჩასვლის დღიდან რაც მოხდა შერისხულთა ქალაქში, ალიმ ყველაფერი წვრილად გადმოალაგა. სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, თითქოს თავადაც არ სჯეროდა, რასაც ამბობდა.

— რაღაც არ მჯერა შენი მონაყოლი! — უთხრა ბაკუბამ ალის, როცა მან თხრობა დაასრულა.

— მართალი ხართ. ყველაფერი ჩემ თვალწინ მოხდა, მაგრამ იმდენად უჩვეულოა, რომ თავადაც არ მჯერა. ამიტომაც ლილემ შემოგითვალათ, ტისოს ვაჟის, უსუმბას ფარდულში იორუბას ნიღაბი ჰკიდია, ის ნახეთ და სიმართლეს გაიგებთო.

— იმ ნიღაბსაც ვნახავთ. ამაზე ადვილი რა არის. ახლა კი მიპასუხე, ლილეს გამოჩენას როგორ შეხვდნენ ბიგოში. რას ფიქრობენ მასზე?

— როგორც ვიცი, მსაჯულის წიგნში წერია, განდევნილი შვილები მაშინ დავბრუნდებით, როცა ისინი გამოჩნდებიან, ვისაც აღარ ელოდებიანო და აბარდანის ტახტზეც მხოლოდ მაშინ დაჯდება ტახტის ღირსეული მფლობელიო. იქნებ სწორედ ლილე არის ტახტის ერთადერთი მემკვიდრე. ჩვენ ხომ მისი და ბესანჯის გამოჩენას ნამდვილად არ ველოდით. აი, ეს კი ზუსტად ვიცი.

— დედოფალი და მამაშენიც ასე ფიქრობენ?

— იორუბა რომ ნამდვილად ასე ფიქრობს, ვიცი. მისთვის ლილე ერთადერთი იმედია, რომელმაც დიდება საბოლოოდ უნდა დაუბრუნოს მასაც და მთელ ბიგოსაც.

— მამაშენი?

— მამაჩემისთვის ლილე მეტოქეა.

— რას ეცილება ლილე ნასარს?

— აბარდაგანის ტახტს.

— მამაშენი მაგ ტახტზე მაშინ ავა, როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან... — ვერ დამალა სიბრაზე ბაკუბამ.

ალიმ პასუხად მხოლოდ ხელები გაშალა.

— თქვენი ნებართვით, დაგტოვებთ, მე მეტი სათქმელი აღარა მაქვს.

— როდის ჩამოვა ლილე აქეთ?

— ახლაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ იორუბა მარტო ვერ დავტოვეთ.

— რა თქმა უნდა! — დაეთანხმა ჯუფრა.

— ბიგოში ჩავალ თუ არა, ლილე აქეთ წამოვა. გამყოლსაც გამოვატან და დაცვასაც.

— კარგი. შევთანხმდით! მეტი კითხვა აღარა მაქვს. — გაათავისუფლა ჯუფრამ ალი.

შერისხულმა უხმოდ დატოვა ბაკუბას სახლი.

— ნეტა უსუმბა აქ არის? — იკითხა ჯუფრამ.

— უსუმბა ერთი თვის წინ ტისოს საძებნელად წავიდა. სახელოსნოს გასაღები კი აქ დატოვა. — უპასუხა ჯუფრას მსახურმა.

— აიღე გასაღები და გამიძეხი. — უბრძანა ჯუფრამ.

— მეც წამოვალ. — უეცრად გადაწყვიტა ბაკუბამ.

— თუ გინდა წამოდი, თუმცა შემიძლია ნიღაბი აქაც მოგიტანო.

— არა, წვიმაში მინდა გავიარო, წვიმის სურნელი მომენატრა.

* * *

მსახურმა კარი გააღო. მოხუცები სახელოსნოში შევიდნენ. ოთახში ბნელოდა. მსახურმა ფარდები გადასწია და ფანჯარა გამოაღო. დაგუდულ ოთახში სასიამოვნო სიგრილე შემოვიდა.

— დაინახე იორუბას ნიღაბი? — ჰკითხა ბაკუბამ ჯუფრას.

— აი, აქვე ჰკიდია მგლისთავიანი ქალბატონი.

— მერე, გეუბნება რამეს? — სიმართლის გაგებას ჩქარობდა ბაკუბა.

ჯუფრა ჯერ ახლოდან დააკვირდა ნიღაბს, საგულისხმო ვერაფერი შეამჩნია, უკან დაიხია და ახლა ხუთიოდე ნაბიჯის დაშორებით დაუწყო ცქერა. საგულდაგულოდ უყურებდა. თანდათან ნიღაბზე ნაკვთები რბილდებოდა და ფორმას იცვლიდა, ბოლოს მწვანე ბრიალათვალება, ძალიან ლამაზი ქალიშვილის სახე მიიღო.

— ვხედავ! — აღმოხდა ჯუფრას. მონუსხული ხომ არა ვარ? როდის იყო, ნიღბები ფორმას იცვლიდა?

ბაკუბამ მოძებნა ჯუფრა, კედლისკენ წავიდა და პირდაპირ იორუბას ნიღბის წინ გაჩერდა. ხელით დაუთვალიერა ყოველი ნაკვთი.

— იორუბა მგლისთავიანია ხომ? — იკითხა ბაკუბამ.

— კი.

— მე იორუბას ნიღაბს ვეხები?

— კი.

— აქ რომ ძალიან ლამაზი ქალიშვილის სახეა გამოჭრილი, რომელსაც დიდი თვალები, სწორი ცხვირი და მშვენიერი ტალღოვანი თმა ამშვენებს.

— მეც სწორედ ასეთს ვხედავ. — წამოიძახა აღტაცებულმა ჯუფრამ. — მაშ, ალი მართალი ყოფილა.

ბაკუბამ მსახურს უხმო, რომელიც სახელოსნოს გარეთ ელოდებოდა ძმებს.

— რა ნიღაბს ვეხები ახლა? — ჰკითხა ბაკუბამ.

— მშვენიერი აბარდაგანელი ქალიშვილის ნიღაბს. ნეტა როდის გამოკვეთა უსუმბამ ეს ნიღაბი, დღემდე არასდროს მინახავს. — მხრები აიჩეჩა მსახურმა.

* * *

წვიმამ გადაიღო თუ არა, შერისხულებმა ტუალანუ დატოვეს, ძმებს კი თავზესაყრელი საფიქრალი დაუტოვეს. აბარდაგანი მართლა არ ელოდა ლილესა და ბესანჯის გამოჩენას. იქნებ სწორედ ლილე იყო აბარდაგანის მმართველად მოვლენილი გმირი.

ჯუფრამ და ბაკუბამ მეწამულ ქალაქში – სალიტულაში – გადაწყვიტეს წასვლა აბარდაგანის ახალგაზრდა მთავრის, რუგოს, სანახავად და მასთან სასაუბროდ.

თავი მეთხუთმეტე

მეწამული ქალაქი და ჭაბუკი მთავარი

თითქოს სწორედ ქალაქის გასაშენებლად ამოზრდილიყო მიწის გულიდან უსწორმასწორო კლდეებით შემოსაზღვრული წითელი გრანიტის უზარმაზარი პლატო. ვრცელი ნაყოფიერი მინდვრებით, ტბებითა და ტყეებით გარშემორტყმული, მართლაც საუცხოო ადგილი იყო დედაქალაქისთვის. მთელი აბარდაგანი ერთად აშენებდა, ტამრიტელები, იტურელები, ლოტები, უდაბნოს ხალხი. საშენი მასალისთვის შორს არ სჭირდებოდათ წასვლა. თავზესაყრელად ჰქონდათ გრანიტი, ნახევარი დღის სავალზე კი თეთრი და ვარდისფერი მარმარილოს მდიდარი კარიერებიც იყო. აბარდაგანის სამეფო ქალაქს სახელად სალიტულა დაარქვეს, რაც მზის მეწამულ სხივს ნიშნავდა. აბარდაგანელებს სწამდათ, სანამ ეს ქალაქი არ დაკარგავდა ბრწყინვალებას, სანამ მტერი ვერ აიღებდა, მანამ შეუძლებელი იქნებოდა მთლიანი აბარდაგანის დამარცხებაც. წითელ ქალაქშივე დააბრძანეს მსაჯულის წიგნი და სატახტო ქალაქად აქციეს.

მნახველს თვალს ჭრიდა სალიტულას მშვენიერება — სულ ერთი იყო, მის ქუჩებში დადიოდა, თუ შორიდან გასცქეროდა. ბევრს ქალაქი სწორედ შორიდან უფრო აჯადოებდა. აბა, წარმოიდგინეთ, ხასხასა სიმწვანეში ამოზრდილი ქალაქის ცეცხლოვანი კონტურები, დაბლიდან მუქი შინდისფერით რომ იწყებოდა, თანდათან ფერმკრთალდებოდა და ღია სიწითლეში გადადიოდა, ბოლოს კი, როგორც ნამდვილი ცეცხლი მონარინჯისფრო სიყვითლით მთავრდებოდა. ასეთი იყო დილა-საღამოს. შუადღისას კი, თაკარა მზეში, ერთიანად ულალი ნარინჯისფერი ხდებოდა. ამ დროს სალიტულა მზეს ჰგავდა თავად, დიდსა და კაშკაშას. მისი ბრწყინვალებით აღტაცებულ აბარდაგანელებს არაერთხელ მოსდგომიათ თვალზე ცრემლი. ასე

იყო ადრე, ახლა კი ქალაქს გარშემო ზურმუხტისფერი ველ-მინდვრების ნაცვლად გვალვისა და მუდმივი ქარებისგან გამოფიტული, უსიცოცხლო, რუხ-ყავისფერ ზოლებად დახრამული ტრამალები ერტყა; ხშირფოთლოვანი ტყისგან კი ალაგ-ალაგ შემორჩენილი და ყველაზე გამძლე ხის დროისგან მერქანდასერილი და მიწაზე საცოდავად გაწოლილი გამხმარი ვარჯიღა დარჩენილიყო, ისიც ისეთი მყიფე, ხელის მიკარებაზე შეიძლება მტვრად ქცეულიყო. მდინარეთა კალაპოტებიც გაესწორებინა დროის ულმობელ მდინარებას და საცალფეხო ბილიკებად ექცია. სიცოცხლის ერთადერთ გამოვლინებად, ხავსმოდებული, წითლად დაწინწკლული ქვები და მათი ჯერ კიდევ ნოტიო ძირიდან კანტი-კუნტად ამოჩრილი ფერდაკარგული ბალახი დარჩენილიყო.

ამ ერთ დროს აყვავებულმა მხარემ, გრძნეულთა და შერისხულთა მუდმივ შემოტევებს ვერ გაუძლო და მთლიანად გავერანდა. განსაკუთრებით — გრძნეულთა უკანასკნელი თავდასხმის შემდეგ, როცა ქალაქის სიმტკიცით გაცოფებულმა გრძნეულებმა ჯავრი ბუნებაზე იყარეს და ირგვლივ ყველაფერი სიკვდილის ულმობელი შელოცვით მონუსხეს, თან პირობა დაუდეს, აქაურობა მანამ იქნება უსიცოცხლო, სანამ აბარდაგანის ტახტზე გრძნეულთა მემკვიდრე არ დაჯდებაო. მტერმა მხოლოდ გალავანშემორტყმულ ქალაქს ვერ მოუხერხა ვერაფერი. ვერც მოუხერხებდნენ. მეწამულ ქალაქს შერისხვისგან მსაჯულის წიგნი იცავდა. ქალაქის ბაღები კვლავაც ყვაოდა, მის ქუჩებს კვლავ აგრილებდა ხანმოკლე, შხაპუნა წვიმა, მაგრამ მარტო ეს წყალი, ან ქალაქის ბაღებში მოწეული ალუბალი ეყოფოდა ამოდენა ქალაქს და მასში მუდმივად გამაგრებულ ჯარს?!

სალიტულა მაინც არ გატყდა. ლამის ცხრა მთის იქიდან მოჰქონდათ წყალი და სურსათი, სულ ცოტას კმარობდნენ, რომ ქალაქი კვლავ ფეხზე მდგარიყო. ქალაქის გასაჭირს მთელი აბარდაგანი იზიარებდა. ტუალანუს ბაზრობიდან ყველა მოვაჭრე უსასყიდლოდ უგზავნიდა დედაქალაქის მამაც დამცველებს ყველაფერს: იარაღი იქნებოდა თუ ოთახის მოსართავი ნიღბები.

* * *

ჯუფრა და ბაკუბა მდინარის ვიწრო კალაპოტს მიუყვებოდნენ. მგზავრობაში გამოცდილმა ძმებმა შესანიშნავად იცოდნენ აბარდაგანისკენ მიმავალი გზები, თუმცა მონუსხული მხარე სახეს მუდმივად იცვლიდა.

— ეს კალაპოტი ორადაც არასოდეს მინახავს გაყოფილი, ახლა კი ოთხად იტოტება.

— მოდი, განაპირა მარჯვენას გავყვეთ, ეს უნდა იყოს მთავარი. — გაეპასუხა ჯუფრას ბაკუბა.

ჯუფრას ეჭვიც არ შეპარვია ძმის ნათქვამის სისწორეში და სწორედ განაპირა მარჯვენა ტოტს დაადგა.

— ასიოდე ნაბიჯში აქ მღვიმე უნდა იყოს. ნესტის სუნსა ვგრძნობ, იქ შევისვენოთ. ცოტაც წავიხემსოთ. — უთხრა ბაკუბამ ჯუფრას.

— ნეტა წახემსებას რითი აპირებ, საგზლიდან აღარაფერი დატოვე. — წყენით უპასუხა ძმას კვამლის წამკითხველმა.

— მაგას ნუ დარდობ. მღვიმიდან ისეთი გემრიელი სოკოს სუნი მოდის... — არხეინად თქვა ბაკუბამ.

— და, ამას აქამდე მიმალავდი?

— არა, გეფიცები! ეს წუთია მომივიდა ნუგბარი სურნელი. ტისოს უყვარდა სოკო. გახსოვს? ბავშვობაში სულ მღვიმეებში დაძვრებოდა და სოკოს ეძებდა.

— როგორ არ მახსოვს. ვერც ბავშვობაში ისვენებდა და ვერც ახლა, სულ სადღაც დაძვრება. რა ხანია ხალხს დავყვებით აღმა-დაღმა, მას კი ერთხელაც არ უთხოვია მეგზურობა. სულ მარტო დაიარება.

— ნეტა ერთი დამანახვა, სად არის ახლა? — ამოიოხრა ჯუფრამ.

— უსუმბაც მაგის ფეხია. ისე წავიდა მამის საძებრად, არაფერი უთქვამს. არც არავინ გაიყოლა.

— გული მიგრძნობს, რაღაც ფათერაკს გადაეყარა ჩვენი უმცროსი ძმა. სადაც მოვხვდებოდი, ყველგან ტისოს ამბავს ვკითხულობდი, მაგრამ თვალი არავის მოეკრა. იქნებ სველთვალებიანი ნიღბითაა წასული და ამიტომაც არავის უნახავს მისი ასავალ-დასავალი.

— ეს კი არ მიფიქრია. მართალი უნდა იყო. ნამდვილად ნიღბით გაეშურებოდა შავი ებენის ხის მოსაძებნად. — მანდეთ არ წახვიდე!

— შეუძახა ბაკუბამ. — ხელმარცხნივ პატარა შესასვლელი რომაა, იქ ჩაუხვიე. მივაღწიეთ უკვე გემრიელ ვახშამს.

— ვახშამს კი არა, საუზმეს! — გაუსწორა ჯუფრამ. — ხომ არ დაგავიწყდა, ღამით რომ მივდივართ, დღისით კი მზეს ვემალებით?

— რა ვიცი!.. ჩემთვის დღე, ღამე, ვახშამი, საუზმე სულ ერთია.

* * *

ძმები ქალაქს შუაღამისას მიადგნენ. წინა დღეს ჯუფრამ კოცონი დაანთო და იქაურ კვამლის წამკითხველს მათი მისვლის ამბავი ამცნო. მეწამულ ქალაქს სავსე მთვარის შუქზე მშვიდად ეძინა. მთავარ კარიბჭეზე ჯუფრას დიდი ბრახუნი არ დასჭირვებია. გუშაგმა მაშინვე შეუშვა ქალაქში. ძმებმა პირდაპირ მთავრის სასახლეს მიაშურეს, რომელიც რანავალონას მეფობის დროინდელი ბრწყინვალების მკრთალი ანარეკლიღა იყო. ძველი მთავრის მსახურებმა ძმები უმალვე იცნეს და სასახლეში ჩვეული პატივით მოასვენეს, დილისთვის კი მმართველთან შეხვედრაც აღუთქვეს.

აბარდაგანს სულ მთლად ახალგაზრდა, თითქმის ჭაბუკი მმართველი უძღვებოდა. წელი არ იყო გასული მამამისის სიკვდილის შემდეგ, რაც საქმეში ერთობ გამოუცდელმა რუგომ ტახტი დაიკავა. მისი უცოდინარობა არც იყო გასაკვირი, რადგან მამას გვერდით არასდროს სდგომია. მართალია, უსაქმოდ არასდროს ყოფილა — ხან მწიგნობრობა აინტერესებდა და მთელ დღეებს სწავლულებთან ატარებდა; ხან სამხედრო საქმემ გაიტაცა, მაგრამ მეომრის მკაცრი ცხოვრების წესს ვერ გაუძლო; ხან ნიღბების ოსტატებს მიებარა ხეზე კვეთის საიდუმლოების ჩასაწვდომად, — მაგრამ ვერც ერთი საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. მამის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ ტახტზე ისე აღმოჩნდა, რა სამხედრო ძალის, ან რა სიმდიდრის მფლობელი იყო აბარდაგანი, აზრზეც არ იყო. ერთი შესანიშნავი თვისება კი ჰქონდა — თავი ისე ეჭირა, თითქოს ყველაფრის მცოდნე გახლდათ და მის დაუკითხავად ჩიტიც ვერ გაფრინდებოდა.

ჯუფრა და ბაკუბა პირველად უნდა შეხვედროდნენ ახალგაზრდა მმართველს. რუგოს თავქარიანობის შესახებ ხმები კი მისდიო-

დათ, მაგრამ ისეთი დიდი სურვილი ჰქონდათ, აბარდაგანს ბრძენი თუ არა, ჭკვიანი მმართველი მაინც ჰყოლოდა, ყველაფერი ენაჭარტალა ავისმსურველების მონაგონად მიაჩნდათ, – თანაც ისეთი მამის შვილს, როგორიც ჩვენი ძველი მმართველი იყო, თავქარიანობასთან რა ხელი ექნებაო.

მიუხედავად შეპირებისა, რუგომ მხოლოდ ორი დღის შემდეგ მიიღო ძმები და სრული სამეფო აღკაზმულობით მთავარ დარბაზში სამეფო ტახტზე დაბრძანებული დახვდა.

– ოჰოჰო... რა გამოწყობილა, ნეტა ამით თავის უპირატესობას გვიჩვენებს, თუ ჩვენდამი განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავს? – გადაუჩურჩულა ჯუფრამ ბაკუბას.

– ამას მალე ვნახავთ! – ასევე ჩურჩულით მიიღო პასუხი.

ძმები მმართველს მიუახლოვდნენ და მდაბლად დაუკრეს თავი. რუგომ მათ მისალმებას მხოლოდ მზერით უპასუხა.

– რაზე შეწუხებულხარ, მოხუცებო, რომ ამხელა გზა გამოგივლიათ ჩემს სანახავად. – ჰკითხა ძმებს რუგომ.

– გაიგებდით, მთავარო, აბარდაგანში ბესანჯიანი მეომარი გამოჩნდა. – დაიწყო ჯუფრამ.

– კი, გავიგე და ძალიანაც გამიხარდა.

რუგოს პასუხი ორივე ძმას ძალიან ეამა.

– გასახარია, აბა რა, მთავარო!

– ახლა მისი გამოჩენის ამბავი შერისხულებმა და გრძნეულებმაც უნდა გაიგონ და ერთხელ და სამუდამოდ ირწმუნონ, რომ ქვეყანა ღირსეული მმართველის ხელშია, ძველი დიდება დაბრუნებულია, – თვით ბესანჯიანი მეომრებიც გამოჩნდნენ აბარდაგანში. – რიხიანად წარმოთქვა რუგომ.

– რომელი დიდების ან ღირსების დაბრუნებაზე ლაპარაკობ? – ხმის აწევით ჰკითხა რუგოს ბაკუბამ, – მე უსინათლო ვარ და შეიძლება ვერ დავინახე დედაქალაქის გარშემო აყვავებული ბალები. იქნებ ჯუფრამ მატარა ისე, რომ ტარუტოს ტყეებს გვერდი ავუარეთ, მდინარეები კი ხელში აყვანილი გადმომატარეს, რომ საწყალი ბერიკაცი არ დავსველებულიყავი.

– ჩემი ძმა მართალია, შვილო. მთელი აბარდაგანი დღე და ღამეს ვასწორებთ, რომ სალიტულა და მისი ჯარი შევინახოთ, ძალას არ

ვიშურებთ, რომ მტრისგან დაცული იყოს. ან კი როგორ ვახერხებთ, გრძნეულებმა ლამის ნახევარი აბარდაგანი მონუსხეს და ერთმანეთს მტრად გადაჰკიდეს. შერისხულებმა ასობით ჩვენიანი მოიტაცეს და მონებად გაიხადეს. შენ კი ამბობ, დიდებადაბრუნებული ქვეყნის ღირსეული მთავარი ვარო. ხვალ რომ გრძნეულები შემოგვესიონ, ნეტა ვის იმედზე ხარ? შენი მცირერიცხოვანი ჯარით გაუმკლავდები? თუ ტაშ-ფანდურის მოყვარული იტურელების ან მონუსხული ტამრიტელების იმედი გაქვს?

— როგორ ბედავთ, ასე თვით მამაჩემიც კი არ მელაპარაკებოდა! — წამოიჭრა ფეხზე რუგო.

— ჩამოდი მაგ ტახტიდან და ისე გველაპარაკე! ხომ არ დაგავიწყდა, შენც ჩვეულებრივი აბარდაგანელი რომ ხარ და თქვენს გვარს ქვეყნის მართვა ჭეშმარიტი მემკვიდრის გამოჩენამდე დროებით აქვს ჩაბარებული. — იქით შეუტია ბაკუბამ.

— თანაც ჩვენზე ბევრად უმცროსი ბრძანდები, ყმაწვილო! — არ დაინდო ჯუფრამაც.

ასეთ შემოტევას უკვე ველარ გაუძლო ჭაბუკმა მთავარმა. პატარა ბავშვივით დაიბნა და ისლა მოახერხა, გადაუდებელი საქმეები მოემიზეზებინა, თუმცა, ძმებს შეხვედრა კიდევ ერთხელ აღუთქვა.

იმედგაცრუებულები დაბრუნდნენ ჯუფრა და ბაკუბა თავის ოთახში. ჭაბუკი მმართველის მარტო ქარაფშუტობას როდი ჩიოდნენ ძმები. რუგო ერთი გულარხეინი, ბაქია ბიჭი გამოდგა, ცა ქუდად რომ არ მიაჩნდა, დედამიწა — ქალამნად.

— ეს ბიჭი კარგ დღეს არ დაგვაყრის! — ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ვაი იმ ხალხს, ვისაც მხცოვანი ბერიკაცი ან უწვერულვაშო ყრმა მართავსო. ელაპარაკე ამას. ბესანჯის გამოჩენასაც საკუთარ დამსახურებად თვლის. ქვა ქვაზე არ დაუდია და მთელი აბარდაგანის მშენებლად მოაქვს თავი, ხმალი ხელში არ აუღია, ერთხელ არ ყოფილა ბრძოლაში მტრის პირისპირ და გრძნეულებს უთვლის ძრწოდეთ ჩემი შიშითო. — აღშფოთებას ვერ მალავდა ჯუფრა. — მე ცოტას გავივლი, გულს გადავაყოლებ, შენც ხომ არ წამოხვალ? — ჰკითხა ბაკუბას.

— არა, მე აქ დავრჩები. შენ წადი, გაიარე!

ჯუფრამ სასახლე დატოვა და ქალაქის მთავარ ქუჩას გაუყვა. ერთი ლამაზი სახლის წინ შეჩერდა, — ბაღში ორ მშვენიერ ქალიშ-

ვილს მოჰკრა თვალი. ერთმანეთზე ლამაზები იყვნენ. ქალიშვილები გაუნძრევლად იდგნენ და, როცა მიუახლოვდა, მიხვდა, ნამდვილები არ იყვნენ. ვარდისფერი ტარუტოს მერქნისაგან ისე ოსტატურად იყვნენ გამოთლილნი, ისეთი მეტყველი სახე და თვალები ჰქონდათ, რომ კაცს ცოცხლები ეგონებოდა. ამ დროს სახლის კარი გაიღო და იქიდან სახლის პატრონი, შუახნის კაცი გამოვიდა.

— ამას ვის ვხედავ? ჯუფრა მსტუმრებია, მე კი არა ვიცოდი რა!

აბარდაგანში კვამლის წამკითხველები თითებზე ჩამოსათვლელნი იყვნენ. მათ შორის, ჯუფრა, თითქმის ყველაზე მხცოვანი იყო, მაგრამ ყველაზე შორსმჭვრეტელიც, — ცაში გაფანტული კვამლითაც კი შეეძლო ზუსტი ამბის გაგება. აბარდაგანში სამივე ძმას კარგად იცნობდნენ, პატივს სცემდნენ და მათ სიტყვას დიდად აფასებდნენ.

ჯუფრა სახლის პატრონს დააკვირდა, მაგრამ ვერ იცნო.

— შესანიშნავი ნახელავია, ერთი შეხედვით ცოცხლები მეგონა.

— რამდენიმე წლის წინ ტუალანუში ვიყიდე უცნობი ვაჭრისაგან, ვინაობა არ მითხრა.

— ხის ფიგურების ჭრის ოსტატები იტურელები არიან, ისინი ხომ არ იყვნენ.

— არა, იტურელები რომ ყოფილიყვნენ, მივხვდებოდი. მაღლები და ტანადები იყვნენ.

— საოცარია, ნახელავი ძველი არ უნდა იყოს. ნეტა სად იშოვეს ტარუტოს ხის ამხელა ნაჭრები?

— აბა, რა გითხრა. ტუალანუში ერთ დღეს ლანდებად გამოჩნდნენ, მეორე დღეს კი აჩრდილებივით გაქრნენ. ეჭვი მაქვს, ომდურმანიდან უნდა ყოფილიყვნენ. სახლში შემობრძანდი, შენი სტუმრობა დიდი პატივი იქნება ჩემი ოჯახისთვის.

— გმადლობ, მეგობარო! მეჩქარება! სხვა დროს იყოს. — იუარა მიპატიჟება ჯუფრამ და სწრაფი ნაბიჯით უკან გაბრუნდა.

— ასე მალე გაიარ-გამოიარე? — ჰკითხა დაბრუნებულს ბაკუბამ.

— ხანდახან, მნიშვნელოვანი ამბის გასაგებად, მარტო გავლაც საკმარისია.

— რა გაიგე ამისთანა.

— ზუსტად ვიცი, რატომ გაქრა აბარდაგანიდან ტარუტოს ხეები და რად სჭირდებოდათ გრძნეულებს.

— მათთან ზამთარი მკაცრია, ალბათ, გასათბობად იყენებენ.

— გეგონოს, ჯარის შესაცვლელად სჭირდებათ.

— ტარუტო?

— დღეს ტარუტოსგან გამოჭრილი ადამიანის სიმაღლის ქალიშვილის ორი ფიგურა ვნახე. ძველ ნაკეთობას არა ჰგავს. დარწმუნებული ვარ, გრძნეულთა ნახელავია. უეცრად წარმოვიდგინე, ასეთივე წარმატებით ხომ ჯარისკაცთა გამოჭრაც შეუძლიათ, მერე კი, თუ გააცოცხლებენ, უძლეველ არმიას შექმნიან, რომელსაც ვერც ხმლით, ვერც ისრით და ვერც ცეცხლით დაამარცხებ.

— მიმიყვანე იმ ფიგურებთან და ზუსტად გეტყვი, ვინ და სად გამოჭრა.

ჯუფრამ ბაკუბა ფიგურებთან წაიყვანა. ბაკუბამ კარგა ხანს უტრიალა მათ და ბოლოს ჯუფრას უთხრა:

— არ შემცდარხარ. ეს ფიგურები ომდურმანშია გამოჭრილი, მაგრამ ოსტატი გრძნეული არ უნდა იყოს, თანაც ძალიან ნაცნობი ადამიანის სურნელი დაჰკრავს... არა, ვერ ვიხსენებ... — თავი გააქნია დანანებით.

— ახალი სადარდებელიც გაგვიჩნდა. — ამოიოხრა ჯუფრამ.

ძმები სასახლეში ერთობ ცუდ გუნებაზე დაბრუნდნენ. დანა პირს არ უხსნიდათ. ან კი, როგორ უნდა ყოფილიყვნენ ხასიათზე? აბარდაგანს სულ მალე დიდი უბედურება დაატყდებოდა თავს, ქვეყანა კი უმაქნისი მმართველის ხელში იყო.

— ნეტა, ტისოც გრძნეულებმა ხომ არ მოიტაცეს?

— შენც ეს გაიფიქრე?

— აბა, სხვა რა უნდა ვიფიქრო?! მათი ოსტატები ტარუტოსგან ჯარს გამოთლიან, დედა-დედოფალი სიცოცხლეს შთაბერავს რომელიმე ავსულის, თუნდაც სულას სველთვალებიანი ნიღბით და ისინიც აბარდაგანის სიძულვილით განისმჭვალებიან. ესეც შენი ტარუტოსა და ტისოს გაუჩინარების საიდუმლოს ამოხსნა. — დაასკვნა ჯუფრამ.

— თუ მართლა ასეა, ჩვენი ძმა დიდ საფრთხეში ყოფილა. ბავშვობიდანვე დაუჯერებელი იყო. ახლაც რამდენი ვეხვეწე, მარტოდ-მარტო ნუ წახვალ შავი ებენის მოსაძებნად-მეთქი. დაგიჯერა? — ცხარობდა ბაკუბა.

— ნეტა თუ მართალია, რომ გრძნეულთა დედოფალი ასაი მოუ-

ნუსხავი ყოფილა. იმ პირობით გაჰყოლია ცოლად სულას, რომ არასდროს მომნუსხავთო. სულა ისე ყოფილა შეყვარებული, თანხმობა მიუცია. ეს ამბავი აქეთ წამოსვლის წინ, ტუალანუში გავიგე.

— იმედისმომცემი ამბავი გაგიგია. საიდუმლო ელჩები ხომ არ გაგვეგზავნა მასთან? უკეთესი იქნება, თუ თავად ვეახლებოდით, მაგრამ იქ გვიცნობენ და დედოფლამდე არ მიგვიშვებენ. — დანანებით თქვა ბაკუბამ.

— აღარ ვიცი, რომელ ერთზე ვიფიქრო. თავგზა ამერია. — დაიჩივლა ჯუფრამ. — წესით, თუ ერთ კვირაში მაინც გავალთ აქედან, ლილე ტუალანუში უნდა დაგვხვდეს.

— შენ გგონია, ერთ კვირაში რუგო გონზე მოვა?

— ცდას რა უდგას წინ. ჩვენ ჩვენი ვცადოთ. ოღონდ, რასაც დღეს მივხვდით, ყველაფერს ნუ მოვუყვებით. არ შეშინდეს, ჯერ სულ მთლად ბავშვია. თანაც, იქნებ ვცდებით კიდეც? — შეიცოდა ჯუფრამ რუგო.

— სამწუხაროდ, არა მგონია, ვცდებოდეთ. თქმით კი, რასაც საჭიროდ ჩათვლი, ის უთხარი. ენა ჩემზე უკეთ გიჭრის. — დაეთანხმა ბაკუბა.

* * *

ჯუფრასთნ და ბაკუბასთან შეხვედრის შემდეგ, რუგო ადგილს ვერ პოულობდა. უკვირდა, რა არ მოსწონდათ ბერიკაცებს — ომს არავინ აპირებდა, ტუალანუში ბაზრობები ძველებურად იმართებოდა, იტურელები და ტამრიტელებიც თითქოს შერიგდნენ, შერისხულებმაც თავდასხმებს უკლეს, თანაც ბესანჯიანი მეომარი გამოჩნდა, — მოკლედ ყველგან სიმშვიდე სუფევდა. ჭაბუკ მთავარს უხასიათობა მისმა უახლოესმა მრჩევლებმა უმალ შეატყვეს. რუგოს ტახტზე ასვლის შემდეგ მამის ვეზირებთან თუ მრჩევლებთან უთანხმოება მოუვიდა, ამიტომაც ყველა დაითხოვა და მათ ნაცვლად თავისი მეგობრები, მასავით ახალგაზრდები და, მისი აზრით, მასავით, სიცოცხლით სავსენი, მოიწვია.

რუგომ სასახლის ბაღს, როგორც თავად ეძახდა, — გართობისა

და თავშექცევის სავანეს, მიაშურა. ყველა იქ დახვდა. ახალი თამაში მოეგონებინათ — ერთი ჯგუფი მოკლე ამბავს იგონებდა, მეორე კი სცენად გაითამაშებდა ხოლმე. რუგო იმ ჯგუფს შეუერთა, რომელსაც დავალება უნდა მოეფიქრებინა. მთავარმა თავად ინება.

— აბა, წარმოადგინეთ, ვითომ სალიტულას გრძნეულები და შერისხულები შემოესივნენ.

რამდენიმე წუთში სპექტაკლი მზად იყო.

მუსიკოსებმა დაკვრა დაიწყეს, მსახიობებმა კი — ცეკვა. მშვენივრად ცეკვავდნენ, გრაციოზულ მიხრა-მოხრას კაცი წუნს ვერ დასდებდა. უეცრად გაისმა ყვირილი — მტერი, მტერი... და მოცეკვავეებს შორის ნიღბებაფარებული ვითომ მეომრები შემოიჭრნენ. მოცეკვავეებმა „მტერს" სათითაოდ ჩასჭიდეს ხელი და მუსიკოსების ადგილას დასვეს. საცეკვაო მელოდიის დაკვრა ახლა უკვე მათ განაგრძეს. ცეკვაც განახლდა. მოცეკვავეები მტრად მოსულ მუსიკოსთა დაკრულზე ძველებურად ნარნარებდნენ.

— შესანიშნავია, შესანიშნავი! ყოჩაღ! — გაისმა სიცილსა და ტაშის ხმაში აქეთ-იქიდან. მხოლოდ რუგოს მოადგა თვალზე სიმწრის ცრემლი. „მეც მათსავით სულელი ვარ!" — გაიფიქრა დანანებით ჭაბუკმა მთავარმა.

* * *

მეორე დღეს, საღამო ხანს, ძმების კარზე მორიდებული კაკუნი გაისმა.

— შემოდით! — გასძახა ბაკუბამ.

ოთახში თავად აბარდაგანის მთავარი შემოვიდა. ძმები ფეხზე წამოუდგნენ.

— ბოდიშს მოგახსენებთ ჩემი გუშინდელი საქციელის გამო. — შემოსვლისთანავე მოუბოდიშა ჭაბუკმა მთავარმა.

— შემოდი, დაჯექი. ვითომ ასე სწრაფად მიხვდი ყველაფერს, რომ ბოდიშსაც იხდი? — ჯუფრამ სკამი გაუჩოჩა რუგოს.

— ძალიან მიმძიმდა აქ მოსვლა, მე ხომ ცხოვრებაში პირველად ვიხდი ბოდიშს.

— სამაგიეროდ, მომავალში მთელი აბარდაგანისთვის აღარ მოგიწევს პატიების თხოვნა.

— გუშინ და დღეს ბევრი ვიფიქრე. ღამეც არ მეძინა. მართლა ისე ცუდად არის საქმე, როგორც ამბობთ? — რუგოს ძველებური რიხი აღარ ემჩნეოდა.

— ჰო, შვილო, არ არის მთლად კარგად ჩვენი საქმე.

— თუ ასეა, ბესანჯის გამოჩენა რაღას უნდა ნიშნავდეს? — იკითხა მოწაფის რიდით.

— თავად არ გენიშნა? ბესანჯი მაშინ გამოჩნდა, როცა ჩვენს ქვეყანას უცხოელი მეომარი მოევლინა. მხოლოდ უცხოელი აირჩია პატრონად და არა ჩვენიანი.

— მამა ხშირად მიყვებოდა ბესანჯებზე და მათ გმირ პატრონებზე. მეც ბევრჯერ მიოცნებია, ბესანჯი მყოლოდა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მეგონა მხოლოდ ლეგენდებში არსებობდნენ.

— არასდროს გიფიქრია, რომ მოვა დრო და თქვენს ოჯახს მოუწევს აბარდაგანის მმართველობის გადაცემა ტახტის ჭეშმარიტი მემკვიდრისთვის.

— არა, ამაზე არასდროს მიფიქრია. — ალალად მიუგო რუგომ, — რაღა მაინცდამაინც მე უნდა მომიწიოს? იქნებ ფიქრობთ, ბესანჯი და უცხო მეომარი ისინი არიან, ვისაც აღარ ელოდებიან? — კითხვა შეუბრუნა სტუმრებს.

— ამას დრო გვიჩვენებს! — რუგოს ლაპარაკის ტონი აღარ ესიამოვნა ჯუფრას.

— გახსოვდეს, ადრე თუ გვიან, შენ თუ შენს შთამომავალს აუცილებლად მოგიწევთ მსაჯულის წიგნისა და მთელი აბარდაგანის მმართველობის გადაცემა ტახტის ჭეშმარიტად ღირსეული მემკვიდრისთვის. სანამ მეფობ, ისე იმეფე, მისთვის თვალებში ჩახედვისა არ შეგრცხვეს. მამაშენს ჭკვიანი ვეზირები ჰყავდა, უხმე მათ, ისინი დაგეხმარებიან ქვეყნის მართვაში, ის გოგო-ბიჭები კი არა, შენი სასახლის ბაღები რომ აუვსიათ და დაჭერობანას თამაშობენ. არ დაგავიწყდეს, ტახტის გადაცემამდე რა დიდი მისია გაკისრიათ შენცა და შენს ოჯახსაც. სინამდვილეს თვალი გაუსწორე, ნუ შეგაშინებს მისი ბასრი წახნაგები.

— რატომ აქამდე არ მასწავლიდნენ ამას? — დანანებით თქვა რუგომ.

— სწავლა თეთრი წვერის შემდეგაცო. მთელი ცხოვრება წინა გაქვს. ხვალ შეიძლება იქით დაგვარიგო ჭკუა — პირველად ჩაერთო ჯუფრასა და რუგოს საუბარში ბაკუბა.

— გმადლობთ, ყველაფრისათვის გმადლობთ. ხომ დარჩებით სასახლეში? გულით გთხოვთ, დარჩით.

— სიმართლე გითხრა, ერთ კვირას კიდევ ვაპირებდით დარჩენას, მაგრამ ამ საუბარმა ისე დამამშვიდა, რომ შეიძლება ხვალვე წავიდეთ.

— ნუთუ დღესაც ვერ მოგექეცით სათანადო პატივით, და ერთი სული გაქვთ, როდის დატოვებთ სალიტულას? — ჯუფრას ქარაგმულ პასუხს ვერ მიუხვდა რუგო.

— პირიქით, ერთი კვირის სათქმელი ჩაატიე ერთ საუბარში. ასეთ წარმატებას ნამდვილად არ ველოდით. არა, ბაკუბა? — გადახედა ჯუფრამ ძმას.

— მე კი ვფიქრობდი, ერთი კვირაც არ იქნებოდა სამყოფი. ჩვენ სხვა საქმეებიც გვაქვს, შვილო. მამაშენის ვეზირებს დაეკითხე და არც შენები დაივიწყო. იცოდე, ცხოვრებაზე უკეთეს მასწავლებელს კი ვერსად იპოვი. მთავარია, ყველაფერი მხოლოდ გულით ან მხოლოდ გონებით კი არა, ორივეთი განსაჯო. ხშირად ერთი უგუნური ისეთ საჭირო რჩევას მოგცემს, ათასი ბრძენი რომ ვერ მოიფიქრებს. — დაარიგა ბაკუბამ.

— თქვენი რჩევა რომ დამჭირდეს, სად მოგძებნოთ? — ჭაბუკ მმართველს გულწრფელად ეძნელებოდა მათი გაშვება.

— აქაურ კვამლის წამკითხველს დაავალე ჩვენი მოძებნა. კოცონი წესიერად გაჩაღებულიც კი არ ექნება, რომ ჩვენს გამოძახილს გაიგებ. ახლა უნდა დაგემშვიდობოთ, წასვლის წინ ღონის მოკრება გვჭირდება. — უთხრა ჯუფრამ.

რუგომ თავი დაუკრა სტუმრებს და ოთახიდან გავიდა.

ძმები დასაძინებლად დაწვნენ. ჯუფრას მაშინვე ჩაეძინა, ბაკუბა კი დიდხანს წრიალებდა. ერთი აკვიატებული ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა: ვისი გამოჭრილი უნდა ყოფილიყო ტარუტოს ხისგან ქალიშვილების ფიგურები. აშკარად ნაცნობი სურნელი დაჰკრავდა, ვილაცას აგონებდა, მაგრამ ვერაფრით გაეხსენებინა.

თავი მეთექვსმეტე

ბავშვის თვალი მაინც სხვაა

ათი დღის სავალს ერთ კვირაში გადიოდნენ. არც თავს ზოგავდნენ და არც ცხოველებს. ან რა გასაკვირი იყო, ალის რაზმს ბიგოსთვის ის სასურველი ძღვენი უნდა ჩაეტანა, რომელიც ქალაქს დაარსების დღიდან აკლდა. ალის სხვა მიზეზიც ჰქონდა, ეშინოდა, მისი ბიგოდან წასვლით არ ესარგებლა მამამისს და დედოფალი ხიფათში არ ჩაეგდო.

ტბის მეორე ნაპირიდან ბიგო ძველებურად მედიდურად იყურებოდა. ნავები და ბორანიც დროულად გამოგზავნეს და, როგორც ყოველთვის, უშფოთველად მიცურდნენ ქალაქთან.

ალის თითქმის მთელი ქალაქი დახვდა. შესახვედრად შვილობილი ჩვილებით ხელში შერისხული ქალებიც კი გამოსულიყვნენ. ფერადი მძივებითა და ქამრებით დამშვენებული ბავშვებიც ბლომად იყვნენ. ასეთი გამოცოცხლებული ქალაქი ალის არასდროს ენახა. მუდამ სევდიანი სახეების ნაცვლად, გარშემო მომღიმარე ბიგოელები ეხვია. გულს მოეშვა. იორუბას გეგმას გაემართლებინა, ქალაქს ნასარის მრისხანე ხელი აღარ ეტყობოდა. მაგრამ დამხვედრთა შორის არც ლილე იყო, არც იორუბა და არც ნასარი. სად არიან? — ეწყინა კიდეც დედოფლის მთავარ მცველს.

ალიმ ფაროს მოჰკრა თვალი, მთელი ოჯახობით იყო მოსული. ხელი დაუქნია ფაროს. ისიც მყისვე მასთან გაჩნდა.

— მშვიდობით დაბრუნებას გილოცავ! მთელი ქალაქი მოუთმენლად გელოდებოდა, როგორც იქნა გამოჩნდით!

— გმადლობ, მეგობარო! — უთხრა ალიმ. — ძალიან უნდოდა ეკითხა იორუბა და ლილე სად არიანო, მაგრამ თავი შეიკავა.

ფაროს ფეხდაფეხ მისი გოგოებიც მოჰყვნენ და ალის მისცვივდნენ.

— ო, რამოდენები გაზრდილხართ? — დედოფლის მთავარმა მცველმა ორივე გოგონა ერთად აიტაცა ხელში.

— ლამაზი კაბა ჩამომიტანე? — ჰკითხა პატარამ.

— ყველაზე ლამაზი სწორედ შენთვის შევარჩიე! — სიცილით უპასუხა ალიმ.

— იცი, როგორ გელოდით, სულ ტბის პირას ვიდექით, შენი და დედოფლის ნავი პირველებს რომ დაგვენახა.

— კარგით, გაანებეთ თავი, მოასვენეთ! — დაუტატანა მამამ.

— შენ ვერ წარმოიდგენ, მართლა რა მოუთმენლად გელოდნენ, ესენი და მეც. ლამის შენს შესახვედრად დედოფალს და ლილეს მეც კი გამოვყევი გუშინ.

— როგორ თუ ჩემს შესახვედრად? — ელდა ეცა ალის. — მე არავინ შემხვედრია.

— როგორ, დედოფალი და ლილე შენთან ერთად არ არიან?

— არა-მეთქი!

— აბა, სად არიან? — ახლა ფაროს ეცა ელდა.

— არაფერი მესმის, კარგად ამიხსენი.

— გუშინ კვამლით გვამცნეს, რომ დღეს უნდა ჩამოსულიყავი. გუშინვე შენს შესახვედრად დედოფალი თავად წამოვიდა. ჩემი თვალით დავინახე, როგორ ავიდა ბორანზე, ლილეც თან ახლდა. მამაშენი აცილებდა. ეს არის და ეს. მეტი არაფერი ვიცი.

— სასწრაფოდ მამაჩემთან უნდა მივიდე. შენ ტვირთს მიხედე.

ნასარი ალის დარაბებდაკეტილ და ჩაბნელებულ ოთახში დახვდა. ვეზირი იატაკზე კუთხეში მუხლებში თავჩარგული იჯდა. შვილის დანახვაზე ოთხით წავიდა მისკენ, მუხლებში ჩაუვარდა და გოდება მორთო.

— გამაგებინე, რა ხდება?! — მხრებში შეანჯღრია ალიმ.

— ჩემი ბრალია შვილო, ვერ მივუხვდი, გულში რა მზაკვრობა ედოთ. ახლა რა პირით შეგხედო, ჯერ შენ და მერე მთელ ბიგოს? შენ ხომ გაგაცურეს და გაგაცურეს. მეც, ამხელა გამოცდილების კაცი, მხარში ამოვუდექი. — მოთქვამდა ნასარი.

— იორუბა და ლილე სად არიან?

ნასარი ფეხზე წამოვარდა, მაგიდიდან რაღაც ფურცელი აიღო და შვილს მიაწოდა, ალი ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადასწია და

ფურცელს დახედა. იორუბას წერილი იყო:

„ალი მაპატიე და გამიგე, — იწერებოდა დედოფალი, — ლილემ ძველი დიდების დაბრუნება შემაძლებინა. სამწუხაროდ, ისეთი ძლიერი არ ვყოფილვარ, როგორც მეგონა. მთელ ბიგოზე მე ვერ ვიზრუნებ. შენ და მამაშენმა ისე მიხედეთ, როგორც საჭიროდ ჩათვლით. მე და ლილეს ნუ გვეძებ. გისურვებ შენც მალე გეპოვოს ბედნიერება. იორუბა".

— არ მჯერა! — დაიღრიალა ალიმ.

— თავდაპირველად მეც გამიჭირდა ამის დაჯერება!.. — გველივით ჩაუსისინა ყურში ნასარმა შვილს.

— შეუძლებელია!

— მთელმა ბიგომ დაინახა, როგორ გადაცურეს ტბა. ჩემი არ გჯერა, ამ წერილის არ გჯერა, მთელი ბიგოსიც არ გჯერა? ვისაც გინდა ჰკითხე. ჩემს სიტყვებს ყველა დაგიმოწმებს. შორს არ იქნებიან წასულები, უშენოდ მდევარი არ დავადევნე, დარწმუნებული ვიყავი, თავად მოგინდებოდა მათი შეპყრობა.

ალი მამამისის ერთ სიტყვასაც არ ენდობოდა, მაგრამ სად გაექცეოდა ფაროს უმცროსი გოგონას ნათქვამ სიტყვებს — შენსა და იორუბას ნავს ველოდებოდიო.

— რა ვქნათ, არ დავადევნოთ მდევარი? — გაუმეორა შვილს ნასარმა.

— არა! მე მათი მსაჯული არა ვარ.

ალიმ მხრიდან მოიშორა ნასარის ხელი და ოთახიდან ბარბაცით გავიდა.

* * *

ალის კი არა, მის მსახურებსაც აერიათ დრო და საათი, იმდენი დღე იყო დედოფლის მთავარი მცველი თავის ოთახში მარტოდმარტო გამოკეტილი. თავდაპირველად საჭმელსაც არ ეკარებოდა. სულ მთლად ჩამოხმა. დარდისგან ლანდს დაემსგავსა. იორუბასა და ლილეს გაუჩინარებამ ფიზიკურადაც და სულიერადაც გატეხა დევივით ვაჟკაცი. გულის სიღრმეში, ქალაქელების მტკიცების მიუხედავად — იორუბა და ლილე თავად ვნახეთ შენს შესახვედრად როგორ

წამოვიდნენო — მათი გაქცევისა მაინც არ სჯეროდა. დარწმუნებული იყო ერთადერთი მიზეზი ნასარი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მის კლანჭებში ჩასაგდებად არც ლილე და არც იორუბა არ ემეტებოდა, ამიტომ ამ მიზეზზე ფიქრს ნამდვილად ერჩია, ისინი მართლა გაქცეულები ყოფილიყვნენ. რაც დრო გადიოდა, ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა ალის. დარდისგან გათანგული და ღონემიხდილი საწოლზე იწვა და ჭერს უაზროდ მისჩერებოდა. ფანჯარაშიც არ იყურებოდა, რა ხდებოდა ბიგოში საერთოდ არ აინტერესებდა.

დედოფლისა და ლილეს გაუჩინარებით არანაკლებ იყო გაოცებული ბიგო. მთელი ქალაქის მცხოვრებლებს ერთი კითხვა აწუხებდათ — რა მოხდა, მაგრამ მათთვის პასუხის გამცემი არავინ ჩანდა.

თავდაპირველად ნასარმა ბიგოელებს იორუბას საქმის ერთგულ გამგრძელებლად მოაჩვენა თავი. ყველას მკაცრად აფრთხილებდა — იორუბასა და ლილეზე აუგი არაფერი ითქვასო, დარწმუნებული ვარ, დედოფალი ჩვენს საკეთილდღეოდ მცირე ხნით გაუჩინარდა, დადგება დრო და უკანვე მოგვევლინებაო. ბიგოელები დედოფლის ძაგებას არც აპირებდნენ. ნასარს სიკვდილი ერჩია ტუალანუდან ჩამოტანილი საქონლის დარიგებას, მაგრამ რა გზა ჰქონდა, მცირე ნაწილი მაინც გაიტანა ქალაქში, რომლითაც დედებმა შვილებს ახალი ტანსაცმელი შეუკერეს. ფერადსამოსიანმა გოგო-ბიჭებმა ქალაქი მხოლოდ გარეგნულად გამოაცოცხლეს, დედოფალდაკარგულ უფროსებს კი სრულიად არ ეხალისებოდათ.

ქალაქის მმართველობა მთლიანად ნასარის ხელში გადავიდა. ალი მამის საქმეებში ჩარევას არც ფიქრობდა, მთელ დღეებს ძველებურად სიმარტოვეში ატარებდა. თავისუფლება იგრძნო თუ არა, ნასარმა თავისი ბასრი კლანჭების გამოჩენა ანუ ძველი წესრიგის აღდგენა განიზრახა. შერისხულებსა და ჩვეულებრივ მცხოვრებლებს შორის ძველი შუღლისა და სიძულვილის აღსადგენად ვეზირს შესანიშნავი დრო დაუდგა. იორუბამ ამისთვის ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა — ქალაქელებს ბავშვები გააცვლევინა.

* * *

დედოფლისა და ლილეს გაუჩინარების შემდეგ ბიგოელთა ოჯახებში სევდამ დაისადგურა. ფაროსა და ნენესაც მხოლოდ ახალი ცხოვრებით გახალისებული ბავშვების ცელქობა თუ მოჰგვრიდათ ღიმილს. პატარები დედას ეხვეწებოდნენ, ჩვენნაირი ლამაზი კაბა შენც შეიკერეო, მაგრამ დედოფლის დაკარგვით დადარდიანებულ ნენეს მორთვა-მოკაზმისკენ გული ნამდვილად არ მიუწევდა. მხოლოდ ლილეს ნაჩუქარი ლალის ყელსაბამი ჩამოიკიდა, ისიც ბავშვების დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ.

ლილესა და იორუბას დაკარგვიდან მეორე თვე იწურებოდა, მაგრამ დრომ არ გაანელა ბიგოელების დარდი, ის კი არა უფრო გაამძაფრა და თანდათან გაბრაზებითაც შეცვალა.

ნენემ საუზმის სუფრა გაშალა. ადრინდელისგან განსხვავებით, მაგიდას ტუალანუდან ჩამოტანილი, ლაჟვარდისფერი ყვავილებდაქარგული სუფრა გადააფარა. ფიქრებში ნასული ფარო და ნენე უგემურად მიირთმევდნენ. მშობლების უხასიათობა პატარებსაც გადაედოთ. ადრე ამას არად ჩააგდებდნენ, მაგრამ ახლა, მოფერებისა და გართობის გემოგაგებული ბავშვები, მშობლების უყურადღებობას ველარ გუობდნენ.

— მამა, როდის დაბრუნდებიან იორუბა და ლილე? — იკითხა პატარა გოგონამ.

— არ ვიცი, შვილო! — მოკლედ მიუგო მამამ.

გოგონებმა საუზმე ისევ გააგრძელეს.

— მამა, ლილემ ბესანჯის მაგივრად სხვა ძაღლი რად წაიყვანა? — დიდხანს ისევ ვერ აიტანა სიჩუმე ბავშვმა.

— შენ რა იცი?

— როგორ არ ვიცი! ხომ გახსოვს, რომ ვაცილებდით, მე ბესანჯთან მივედი. ის კი სულ სხვა იყო. ძველებურად კი არ მომეფერა, დამილრინა. არც ყურები ჰქონდა გრძელი და ლამაზი. ბეწვიც შეღებილი ჰქონდა. ხელი რომ გადავუსვი, დამესვარა. ხელი კაბაზე გავისვი და გავაჭუჭყიანე. — ტიკტიკებდა გოგონა.

ფარომ და ნენემ ერთმანეთს გადახედეს.

— მე ლილეც რაღაც სხვანაირი მომეჩვენა. — მხარი აუბა უმცროს

დას უფროსმა. — ერთხელაც არ გამიღიმა.

— ბავშვებო, დარწმუნებული ხართ, რასაც ამბობ, თუ ახლა მოიგონეთ? — მკაცრად იკითხა ფარომ.

— თუ არ გჯერა, ჩემი ყვითლად დასვრილი კაბა ნახე. — გაცხარდა პატარა.

— კაბა უკვე გარეცხილია. ახლა რას ვნახავთ! — დანანებით თქვა ნენემ.

— მაინც მოძებნე. — უბრძანა ქმარმა.

ნენემ საუზმეს თავი ანება და კაბის მოსატანად გავიდა. ცოტა ხანში დაბრუნდა და ორი შავი ფერის კაბა მოიტანა. ცოლ-ქმარმა ორივე კაბა გულდასმით დაათვალიერა. უმცროსი გოგონას კაბაზე, მარჯვენა ჯიბესთან, ზუსტად შუაწელზე, ოდნავ შესამჩნევი ლაქა, მართლაც იპოვეს.

— ხომ იპოვეთ? — აღტაცებით წამოიძახა ბავშვმა.

— ახლა რა ვქნათ? — ჰკითხა ნენემ ფაროს.

— ახლავე ალისთან მივალ და ყველაფერს მოვუყვები. აქ რაღაც ამბავია. ნამდვილად ნასარის ხელი ურევია. ძალიან ადრე დაყარა ფარ-ხმალი დედოფლის მთავარმა მცველმა. დარწმუნებული ვარ, მისი დაცვა ყველაზე მეტად ახლა სჭირდება იორუბას.

* * *

— ბატონს არავის ნახვა არა სურს! — მოახსენეს ფაროს.

— ალის გადაეცით, აქედან მანამ არ წავალ, სანამ არ მიმიღებს. — მტკიცედ თქვა ფარომ და, როგორც საკუთარ ოჯახში, ისე ჩამოჯდა სკამზე.

— კიდევ ერთხელ მოვახსენებ ალის თქვენი მობრძანების შესახებ! — შეპირდა მსახური ფაროს და ალისკენ გასწია.

— სამწუხაროდ, კვლავ უარზეა! — მალევე მოიტანა პასუხი.

ფარომ მსახურს ყური აღარ ათხოვა. სკამიდან წამოიჭრა და ალის ოთახისკენ გასწია.

მსახურს გაძალიანება არც უფიქრია, პირიქით, გზა არ აერიოსო, თავად უთითებდა, საით გაეხვია. ფარომ კარი მოურიდებლად შეაღო.

— ხომ გითხარი, არავინ შემაწუხოს-მეთქი? — მოესმა სიბნელიდან ალის ხმა.

— ახლა მოსვენების დროს არ არის! — მსახურის ნაცვლად ფარომ გასცა პასუხი.

— ვინ გაბედა აქ შემოსვლა! — ალის ხმას რიხი მაინც დარჩენოდა.

— ფარო ვარ. ველარ მცნობ?

ფარომ ფარდები გადასწია, ოთახში სინათლე შემოიჭრა. სიბნელეს მიჩვეულ ალის თვალები აუჭრელდა. ფარომ სკამი ხმაურით მისწია ალის საწოლთან და კიდეზე ჩამოჯდა.

— არ მეგონა ამხელა ვაჟკაცი ასე იოლად თუ გატყდებოდი! — უსაყვედურა ფარომ.

ალიმ არაფერი უპასუხა.

— განსაკუთრებით ახლა. ვინ იცის იორუბას და ლილეს როგორ სჭირდები?! შენ კი ძილისთვის მიგიცია თავი. — კვლავ შეუტია ფარომ.

— რა აბდაუბდას მელაპარაკები? საქორწილო სუფრის გაშლაში ხომ არ ვჭირდები?

— ჩემი შვილები მიმტკიცებენ, შენს შესახვედრად წამოსულ იორუბას და ლილეს ბესანჯის მაგივრად გადაღებილი ძაღლი ახლდაო. უფროსი კი მიმტკიცებს, ლილე რაღაც სხვანაირი ჩანდაო. — პირდაპირ მიახალა ფარომ.

— მერედა, ახლა მეუბნები მაგას? — ფეხზე წამოიჭრა ალი, მაგრამ რეტი დაესხა და შეტორტმანდა. ფაროს რომ არ დაეჭირა, დავარდებოდა.

— ბავშვები ამ დილით მომიყვნენ ყველაფერს და მაშინვე შენკენ გამოვეშურე. — მიუგო ფარომ.

ქუჩიდან ხმაური შემოისმა. ფარომ ფანჯრიდან გაიხედა. გარეთ ხალხი ჩოჩქოლობდა. ვიღაცეები სადღაც გარბოდნენ.

— ბიგოში რაღაც ხდება! უნდა დაგტოვო! — უთხრა ალის ქალაქის არეულობით შეშფოთებულმა ფარომ.

— მეც გამოგყვები! — მოულოდნელად თქვა ალიმ.

— შეძლებ კი?

— ისეთი რამ მითხარი, შეუძლებელს შევძლებ!

ფარომ სახლთან ხანშიშესული შერისხული ქალი გააჩერა, ჩქარი

ნაბიჯით რომ მიდიოდა მთავარი მოედნისკენ.

— რა მოხდა? საით გარბიან? — ჰკითხა ფარომ ქალს.

— თქვენ რა, არ გაგიგიათ? მსახურებს შერისხულის ბავშვი მოუკლავთ. ნასარმა ყველას ჩამოართვა შვილობილი და უკან გვიბრუნებს.

— აი, ესეც მამაჩემის ნახელავი! — გამწარებით წამოიძახა ალიმ.

— არ მიკვირს. კიდევ დიდხანს იყო გაყუჩებული. სასწრაფოდ მოედანზე წავიდეთ, ვნახოთ, იქ რა ხდება.

ალის სიარული უჭირდა, მაგრამ ცდილობდა არ ჩამორჩენოდა ფაროს, რომელიც გამალებით მიჰქროდა წინ. მოედანზე ზღვა ხალხი ირეოდა, უმეტესად შვილობილიანი შერისხული ქალები იყვნენ. შემაღლებულ ადგილას ნასარი იდგა და ყველას გასაგონად მხეცივით ღრიალებდა.

— აი, სადამდე მიგვიყვანა იორუბას თავქარიანობამ, ჩვენც უსიტყვოდ დავუჯერეთ და სულელი ბავშვებივით უკან გავყევით. ის კი არ ვიფიქრეთ, რომ ადამიანთა ბოროტი გული მზაკვრობის გარეშე დიდხანს ვერ გაძლებდა. აი, შედეგიც: ჩვილიც კი არ დაინდეს. მაშ, არ არიან ღირსნი, საკადრისი პასუხი გავცეთ...

— გავცეთ, გავცეთ! — გაისმა აქეთ-იქიდან.

— მაშ, სამაგალითოდ დავსაჯოთ და სამაგიერო გადავუხადოთ.

— გადავუხადოთ! გადავუხადოთ! — კვლავ გაისმა კანტიკუნტად.

— რა შურისძიებაზე ლაპარაკობთ! ხომ არ გაგიჟდით! — უეცრად გაისმა ქალის გამყინავი ხმა.

ფაროს ხმა ეცნო. კარგად მიაყურადა და მიხვდა, მისი ცოლი, ნენე ყვიროდა. სულ მალე ნენე, პატარა შვილობილით ხელში, ნასარის გვერდით გაჩნდა.

— რომელ შურისძიებაზე ლაპარაკობ! ვერ დავიჯერებ, რომ ქალმა თავის გაზრდილს ავნობს, მით უმეტეს, როცა მისი საკუთარი შვილიც სხვაგან იზრდება. ვეზირო, არ მჯერა შენი. ახლა სამაგიეროს გადახდას კი არ უნდა გვთხოვდე, მოკლული ბავშვის ოჯახში უნდა წახვიდე და ყველაფერი გულდასმით გამოიკვლიო. თანაც, მოკლულ ბავშვზე რომ ლაპარაკობთ, მისი მნახველი არის ვინმე? ნამდვილად ჭორია! არ დაიჯეროთ, დედებო, ავისმსურველთა მონაგონია ყველაფერი, ერთმანეთს რომ დაგვრიონ და ძველებურად სიძულვილით აგვივ-

სონ გულები. ნასარ, მე ჩემს გაზრდილს ცოცხალი თავით შენ კი არა, მთელ ქალაქს არ დავანებებ. მისი მოკვლა თუ გსურთ, ჯერ მე მომკალით! გონს მოდით, დედებო! მერე რა, რომ საკუთარი შვილები სასახლეში გეგულებათ უვნებლად, ესენი რა, ჩვენი გაზრდილები არ არიან? ჩვენი ძუძუ არა აქვთ ნაწოვი? მაშ, ვისები არიან?! — ნენემ ორივე ხელით მაღლა აიტაცა პატარა.

— ჩაათრიეთ ეს დედაკაცი აქედან, თორემ ჩემი ხელით მოვუღებ ბოლოს. ერთი სულელი ქალი არ კმაროდა და ახლა მეორეც მოემატა. — იღრიალა ნასარმა.

ნენეს ჯარისკაცები მისცვივდნენ და ბავშვის წართმევა დაუპირეს. ქალი გააფთრებული გულში იკრავდა პატარას და არ ანებებდა.

— ხელი გაუშვით! — ყვირილით არღვევდა ხალხის ბრბოს ფარო, მაგრამ ნენე ჯერ კიდევ შორს იყო.

ნენემ ჯარისკაცებს დააღწია თავი და ისევ ნასარს დაუდგა გვერდით. ბავშვი კვლავ მაღლა ასწია და იყვირა:

— დედებო! ერთი გაზრდილიც თუ ვერ დავიცავით, ამას ვერასდროს გვაპატიებენ ჩვენი შვილები... — ნენეს თავგანწირვამ ხალხი ერთიანად შეძრა, მის საშველად ათობით ქალი დაიძრა, მაგრამ ორიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდათ გადადგმული, რომ მონუსხულებივით ადგილზე გაქვავდნენ. მოედანზე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

— დაიბრუნა! — იყვირა ვიღაცამ.

— დაიბრუნა, დაიბრუნა! — ექოსავით გაისმა აქეთ-იქიდან.

გზის გასაკვლევად მებრძოლმა ფარომ ცოლს ახედა და ადგილზე გაშეშდა. ნასარის გვერდით ხვლიკისთავიანი შერისხული ნენეს ადგილას, ცისკენ აწვდილი ბავშვით ჩვეულებრივი ქალი იდგა — ნენეს ადამიანის სახე დაებრუნებინა. ეს კი აღარ ჰქონდა გათვლილი ნასარს. ვეზირი მიხვდა, ბრძოლა საბოლოოდ ჰქონდა წაგებული. შემაღლებულიდან ჩამოვიდა და სახლისკენ გაიძურწა. მიხვდა, ამიერიდან ბიგოში აღარ დაედგომებოდა. ქალაქში ერთი ოჯახიც არ შეუშვებდა შინ. ბიგოში დარჩენა შეუძლებელი იყო.

* * *

ბიგო იმ საღამოს კიდევ ერთი საოცრების მომსწრე გახდა. მზის ჩასვლის შემდეგ ნეფრიტის ტბამ აღარ გაიღვიძა. აღარ გაშალა ღრუბლები და აღარ დატრიალდა მის თავზე ქარბორბალა. სამაგიეროდ, კარგად ჩანდა, როგორ გაკაშკაშდა თანდათან კუნძულის გარშემო მკრთალი შარავანდედი, რომელიც სულ მალე მთელ ტბას მოეფინა. კუნძული თითქოს სტუმრად ეპატიჟებოდა ბიგოელებს.

ალიმ ნავის მომზადება ბრძანა და ფაროსთან ერთად კუნძულისკენ გაცურა. როცა მიუახლოვდნენ, დაინახეს, რომ მისი კლდოვანი ნაპირები სადღაც გამქრალიყო, და მათ ადგილას მწვანედ აბიბინებული, ხავერდოვანი ნაპირი გადაშლილიყო. უეცრად კუნძულიდან ხმა მოესმათ:

— აქეთ მოცურდით! აქა ვარ! — ნაპირიდან ნავს იორუბა უქნევდა ხელს.

ბიგოელები გულის ფანცქალით ელოდნენ ალის დაბრუნებას. ყოველი წუთი უსასრულობად ეჩვენებოდათ. ტბა თითქოს ნავის ნავსაყუდელში შესვლას ელოდა, კარიბჭე ჩარაზეს თუ არა, მაშინვე გაიღვიძა და ძველებურად აბობოქრდა.

მთელი ქალაქი სიხარულით შეეგება იორუბას. მამაკაცები მდაბლად უკრავდნენ თავს. ახალგაზრდა ქალები კაბის კალთას უკოცნიდნენ მონატრებულ დედოფალს, ხანშიშესულები კი შვილივით იკრავდნენ გულში.

იმ ღამით ბევრ დაფარულს მოეფინა ნათელი, მაგრამ ყველაფერს — არა. იორუბამ ნასარი დაადანაშაულა მოტაცებაში — კუნძულზეც მისმა ერთგულმა ჯარისკაცებმა დააგდეს ხელფეხშეკრული. ლილესი კი არაფერი იცოდა.

— კუნძულზე ხელფეხშეკრული თუ დაგტოვეს, იქ ვიღამ გაგათავისუფლა? — ჰკითხა ალიმ იორუბას.

— კუნძულმა, მაგრამ იქ რაც ხდება, ვერ გეტყვით, პირობა მაქვს დადებული. შენ რას ჰგავხარ! — უსაყვედურა იორუბამ ალის. — ახლა ავადმყოფობის დრო არ არის. ლილე უნდა მოვძებნოთ. რომელიმე ჯურღმულში ეყოლება ჩაკეტილი ნასარს.

— მართლა, ნასარი იპოვეს? — გაახსენდა მამის გაუჩინარება ალის.

— მთელი ღამე ეძებდნენ, მაგრამ სულ ტყუილად, კვალსაც ვერ მიაგნეს. — მოახსენეს მთავარ მცველს.

თავი მეჩვიდმეტე

გამოცდა

ერთისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ოციოდე ნახტომით ტბის სიგრძე-სიგანეს ქურციკი ნამდვილად დაფარავდა. ამ პატარა, ლაჟვარდისფერ გუბურას ქურციკის ნახტომის ტბა სულას დიდმა ბებიამ დაარქვა. ტბა მაღალი მთების ნაჟურით იკვებებოდა და ყოველთვის ისე კამკამა იყო, მის ფსკერზე ჩაბნეულ მძივს უწვალებლად აკრებდა კაცი. ზედაპირზე ალაგ-ალაგ თეთრი და ვარდისფერი დუმფარები ყვაოდა. იქვე დაედო ბინა მაღალფეხება და გრძელნისკარტა, წყალზე მოსიარულე ფრინველთა ოჯახს, რომლებიც, გრძელზე გრძელი კლანჭების წყალობით, დუმფარების ფოთლებზე ისე დააბიჯებდნენ, თითქოს ხასხასა ბალახზე მინდვრად სეირნობენო და თავს მთელი ტბის ბატონ-პატრონებად გრძნობდნენ. დიდი ხნის გამოკეტილმა სასახლემ და ტბის გარშემო აღმართულმა მაღალმა კედელმა ნამდვილი იდილია შექმნა მათთვის.

სასახლე ოციოდე ნაბიჯის დაშორებით იდგა და ზემოდან გადმოჰყურებდა ტბას. მის გარშემო ხელთუქმნელი ბაღი ყვაოდა. როცა ასაიმ პატარა გალი-გალასთან ერთად პირველად შედგა ფეხი გალავანს შიგნით და ერთმანეთში ჩახლართული ნაირფერებად აყვავებული ბუჩქები და ხეები დაინახა, როცა ტბის კამკამა წყალმა პატარა გალი-გალას სახე აირეკლა, ომდურმანის დედოფალს ტირილი აუვარდა. თეკლამ სასწრაფოდ ჩამოართვა დედოფალს ბავშვი, არ დაუვარდესო. გალი-გალა დედის ცრემლებს აინუნშიც არ აგდებდა, ხელებს პირველად ნანახი დიდი წყლისკენ იშვერდა და ჭყლოპინებდა: „დიდი წალი, მიდა... დიდი წალი მიდა...“ თეკლამ ბავშვს ფუშ-ფუშა ფაჩუჩები გააძრო და ფეხები ტბაში გაულაღლაღა. გალი-გალა აკისკისდა. ჭყუმპალაობა არანაკლებ ესიამოვნა რუფიასაც. იხვის

ჭუჭულივით ლაღლაღებდა და წყალში ყირამალებს გადადიოდა.

მთის მდინარეებსა და ჩანჩქერების ყინულოვან წყლებში ბანაობას მონატრებული თეკლა თავს ძლივს იკავებდა, ტბაში არ გადაშვებულიყო და წყალში მოთამაშე რუფიას შურით უცქერდა.

სასახლეში ასაიმ ცებაი, ოთხი მსახური ქალი, მათ შორის თეკლა, და ორი მებაღე გადაიყვანა. სულამ ცოლს ათი მცველი შესთავაზა, მაგრამ სამზე ძლივს დაიყოლია.

სასახლის ცხოვრება თანდათან კალაპოტში დგებოდა. თავდაპირველად ასაი მაინც უნდობლად უყურებდა თეკლას. რუფიას თანდასწრებითაც გაურბოდა ლაპარაკს, მაგრამ მალე ყინული გალღვა და თეკლა ასაის ერთადერთი მეგობარი გახდა. სულ მალე რუფიასაც კი უტოვებდა მძინარე გალი-გალას, როცა გაიღვიძებს, გამაგებინეო. ომდურმანის პირქუში ქუჩების შემდეგ, ტბის პირას აშენებულ სასახლეში თეკლაც უფრო ლაღად გრძნობდა თავს, მაგრამ უმოქმედობა აწუხებდა. რუფიასთან ბრაზობდა, თუ ბაღებში სასეირნოდ მოგვიყვანეს და ტბაზე მოსეირნე წეროების თვლის მეტი არაფერი უნდა ვაკეთო, სჯობდა ლილეს ძებნა გაგვეგრძელებინაო.

თეკლასგან განსხვავებით, რუფიას საქმე თავზესაყრელად ჰქონდა: ხან გასაქცევ გზებს ზვერავდა, ხანაც მთებში ეძებდა ტისოს. მთელ დღეებს აღმა-დაღმა ფრენაში ატარებდა. ცებაიმ დაწვრილებით აღუწერა მოხუცი ნიღბების ოსტატის გარეგნობა და მიანიშნა კიდეც, სადღაც ომდურმანის ზემოთ კლდეში გამოკვეთილ აკლდამაში ჰყავთ გამოკეტილიო. რუფიაც არ ტოვებდა სულ უმნიშვნელო ნაპრალსაც კი უყურადღებოდ, თუ შეფრენა შესაძლებელი იყო, შეფრინდებოდა, თუ არა, კისერს წაიგრძელებდა, ნისკარტის მოტეხვასაც არ ერიდებოდა, — მაინც შეიჭყიტავდა სილრმეში.

ერთ დღეს, ფრენით დაღლილმა რუფიამ, უკან რომ აპირებდა დაბრუნებას, ომდურმანის ჩრდილოეთით, კლდეებში, რამდენიმე ხელოვნურად შეჭრილ ნიშას მოჰკრა თვალი. დაღლილი იყო და ერთი პირობა იფიქრა, მეორე დღისთვის გადაედო მისი დათვალიერება, მაგრამ გულმა არ მოუთმინა და მაინც მიფრინდა. ერთი ნიშა, ყველაზე დიდი, კლდეში გამოჭრილი აკლდამის სარკმელი აღმოჩნდა. რუფია ქვის რაფაზე ჩამოჯდა და შიგნით ფრთხილად შეიხედა. მაღალჭერიან ოთახში იატაკზე დაგებულ ფარდაგზე მოხუცი კაცი

იჯდა და საჭრეთლით მუშაობდა. ცებაის აღწერის მიხედვით, ეს კაცი ნიღბების ოსტატი ტისო უნდა ყოფილიყო. რუფიას ადგილას, სხვა მაშინვე შეფრინდებოდა და მოხუცს გამოეცნაურებოდა, მაგრამ რუფია ფრთხილი იყო და ჯერ სარკმელზე დააკაკუნა ნისკარტით.

— დღეს ხომ უკვე მინახულე, ჩემი ოცნების ოქროს ჩიტო? — კაკუნის გაგონებაზე ალერსიანად იკითხა მოხუცმა ისე, რომ სამუშაოსთვის თვალი არ მოუცილებია.

— ეს თუ ტისოა, ცუდადაა მისი საქმე, უკვე გაგიჟებულა, კუნაპეტი შავი ყვანჩალა ოქროსფერ ჩიტად თუ ველანდები, — დანანებით გაიფიქრა რუფიამ და კიდევ ერთხელ დაარტყა ნისკარტი სარკმელს.

ახლა კი ასწია თავი ტისომ და შემოჩვეული პატარა ჩიტის ნაცვლად ყვავი რომ დაინახა, ხელი აუქნია.

— აქშა! ყვავის ბახალაღა მაკლია ახლა?!

— სრულ ჭკუაზეა! — გაუხარდა რუფიას. ფრთა ფრთას შემოჰკრა, ოთახში შეფრინდა და ტისოს წინ დაუსკუპდა. — აქშას ძახილს და ხელების ქნევას მოეშვი, შენს ძებნაში ისე დავიღალე, ფრენისა კი არა, დგომის თავიც აღარა მაქვს. — გააფრთხილა რუფიამ ტისო.

ტისოს საჭრეთელი ხელიდან გაუვარდა.

— ეს რა არის? ნუთუ მოჩვენებები დამეწყო?! — მოხუცმა ორივე თვალი მოიფშვნიტა.

— არა, მოჩვენება არა, მოლაპარაკე ყვავი ვარ. ერთი კვირაა გეძებ. ძლივს გიპოვე, კარგად კი დაუმალიხარ დედა-დედოფალს.

— ჩემს მოსაძებნად ვინ გამოგაგზავნა? — კი ჰკითხა ტისომ, მაგრამ მაინც არ სჯეროდა, რომ ცხადში ყვავს ელაპარაკებოდა.

— ცებაიმ.

— ჩემმა შვილობილმა? ცოცხალია? სად არის? ისიც გრძნეულებმა შეიპყრეს? უსუმბასი რა იცი? — კითხვა კითხვაზე დააყარა ტისომ.

— მოდი, ჯერ რაც დამაბარეს, იმას გადმოგცემ, კითხვები მერე დამისვი. — გააწყვეტინა რუფიამ და განაგრძო. — ცებაიმ გამომგზავნა. შემოგითვალა, გრძნეულებს უსუმბა დატყვევებული არა ჰყავთ, სულას ნიღაბი კი ტარუტოს ხისგან გამოჭრილი ჯარისკაცებისთვის სჭირდებათო. ტარუტოს კაცებს თუ ამ ნიღბით გააცოცხლებენ, სულასავით სალიტულას სიძულვილით აღივსებიან და ქალაქს შეუტევენ. ათასზე მეტი მეომარი უკვე გამოაჭრევინა დედა-დედოფალმა

და ახლა ნიღბის დამთავრებას ელოდება.

— თვითონ ცებაი ომდურმანშია?

— ომდურმანშია და ახლა თავს შესანიშნავად გრძნობს.

— ავად იყო?

— უარესიც, — მონუსხული ბრძანდებოდა. ამიტომაც ვერ შეძლო აქამდე შენთვის სიმართლე შეეტყობინებინა.

— რაღაცას მატყუებ. გრძნეულთა მონუსხვის მომხსნელი მთელ აბარდაგანში არავინ მეგულება.

— მე აბარდაგანელი არა ვარ. თანაც, იცოდე, რაც არ შეუძლია მთელ აბარდაგანს, რუფიასთვის შესაძლებელია.

— აა, რუფია შენა ხარ, არა?

— დიახ, ჩემო ბატონო და სანამ აქა ვარ, ერთ ახალ ამბავსაც გეტყვი, ვიცი, გაგიხარდება. თქვენს ქვეყანაში ისევ გამოჩნდა ბესანჯი, უფრო სწორად ბესანჯიანი მეომარი.

— ვინ არის, სადაურია, სალიტულადანაა თუ უდაბნოელი. არ მითხრა, იტურელიაო?

— როშკაშელია.

— არა, როშკაში ნამდვილად არ ვიცი. — მხრები აიჩეჩა ტისომ.

— მოკლედ აქაური არ არის. ერთი მხრიდან ვართ.

— მართლა სულზე მომისწარი, ჩემო რუფია. აბა, წარმოიდგინე, როგორია ოთხ კედელში მარტოდმარტო იყო გამოკეტილი, თან ამ ავსულის ნიღაბს ჩაჰკირკიტებდე. შენი გამოჩენა ცხოვრებას ცოტა გამიადვილებს. გეტყობა, დიდი ჭკუის კოლოფი უნდა ბრძანდებოდე. იქნებ ისეთი რამ მოვიფიქროთ, გრძნეულები რომ გავაცუროთ? იცი, რას ნიშნავს სველთვალებიანი ნიღაბი?

— უკვე კარგად ვიცი. ცებაიმ ყველაფერი დაწვრილებით მომიყვა. ასე მგონია, დაბადებიდან აბარდაგანში ვცხოვრობ. მართლა ასეთი ულმობელი და მოძულე იყო სულა?

— აბა რა ვიცი.

— როგორ, ნუთუ ერთხელ მაინც არ მოისინჯე მისი ნიღაბი?

— ღმერთმა დამიფაროს! — წარბი შეჰკრა ტისომ.

— არადა, კარგი იქნებოდა. ხომ გაგიგონია, ციხე შიგნიდან გატყდებაო. ეგებ, ისეთი რამე აღმოგეჩინა მის თვისებებში, რომლის გამოყენებაც ურიგო არ იქნებოდა.

— მის ნიღაბს სახეზე არასდროს გავიკეთებ!

— რატომ?

— რატომ?.. — დაფიქრდი ტისო. — მეშინია!.. მეც ავსული არ გავხდე.

— მაშინ მე გავიკეთებ. ავსულობის სახადი დიდი ხნის წინ მოვიხადე, სულა კი არა, სამსალამაც ვერ მაჯობა.

— ეგ სამსალა ვინღაა?

— შენ არ იცნობ. იყო და აღარ არის.

— მაშინ, ხვალ მოფრინდი, სველთვალებიანი ნიღაბი მზად მექნება, მხოლოდ არავის უთხრა!

— ცებაისაც?

— ცებაისაც! სველთვალებიანი ნიღბის გამოცდა სახუმარო საქმე არ არის. ნიღბების ოსტატების დაუწერელი კანონია: სველთვალებიანი ნიღბის გამოცდის შესახებ მხოლოდ ოსტატმა და გამომცდელმა უნდა იცოდნენ.

— ამ კანონის შესახებ ცებაის არაფერი უთქვამს.

— ვერც გეტყოდა. ეს საიდუმლო მისთვის არ გამინდვია. მაშ, ხვალ გელოდები. ადრიანად მოფრინდი.

— ოღონდ დაცინვა აღარ იყოს! — გააფრთხილა ყვანჩალამ ტისო.

— რა დაცინვაზე მელაპარაკები? — გაოცდა მოხუცი.

— ოქროს ნისკარტა თუ ფრთაფარფატა ჩიტს რომ მეძახდი! — გაიფხორა რუფია.

— ხა, ხა! — გულიანად გადაიხარხარა ტისომ. — რამდენი ხანია ასე გემრიელად არ გამიცინია. ოქროსნისკარტა, თუ, რა თქვი? ოცნებისფრთიანი! — სიცილს ძლივს იკავებდა მოხუცი. — არ მიწყინო, მეგობარო. ერთი პატარა ჩიტი შემომეჩვია, ნამცეცებს ვუყრი, ის მეგონე. დაცინვა არც მიფიქრია.

— აი, ეს სხვა ამბავია! — ესიამოვნა რუფიას. — მაშ, გავფრინდები ჩემს ორ დედოფალთან.

— ვინ არიან შენი დედოფლები, ძალიან კი მაინტერესებს, თუმცა... არა, ნახვამდის, ხვალ იყოს... დილას მომზადებული უნდა დაგხვდე. — უცბად დაემშვიდობა ტისო რუფიას.

რუფიას გაფრენისთანავე ტისო დაფაცურდა. გულიდან ჭრელი მძივი მოიხსნა და დაშალა, ქვები სათითაოდ დაათვალიერა და ორი

მათგანი, შავი ებენის მერქნისგან გამოთლილი, ცალკე გადადო. მერე ნიღაბი აიღო და კიდევ ერთხელ დაათვალიერა მთელი გულისყურით. წუნი ვერ უნახა. მძივი ისევ აასხა და გულზე დაიკიდა. სულას ნიღაბი სველთვალებიანად რომ გადაქცეულიყო, საკმარისი იყო ოსტატს შავი ებენის მერქნისგან გამოთლილი ქვები თვალის გუგებში ჩაესვა. ტისომ მიაზომა, — ზუსტად ჯდებოდა, ხელის რამდენიმე მოძრაობაც და ნიღაბი მზად იქნებოდა. ტისომ ნიღაბი მოიმარჯვა და მძივები თვალებში ჩაუყენა — სამუშაო დამთავრდა. სულა I-ის სველთვალებიანი ნიღაბი მზად იყო. ტისომ ნიღაბი ფრთხილად დადო თაროზე და ზედ ნაჭერი გადააფარა.

* * *

დაბრუნებულ რუფიას, მისი დიდი ხნის გაუჩინარებით გაბრაზებული თეკლა ჩხუბით შეხვდა.

— სადა ხარ აქამდე? რას დაფრინავ აღმა-დაღმა? ნახე რა სანავარდო ადგილი?

— თეკლა, რა მოხდა დღეს სასახლეში? — დაინტერესდა რუფია ქალიშვილის აფორიაქების ნამდვილი მიზეზით.

— დედა-დედოფალი ბრძანდებოდა პატარა გალი-გალას სანახავად.

— სულ ეგ არის? — არხეინად თქვა ყვანჩალამ.

— არა, სულ ეს არ არის. დედა-დედოფალმა ბავშვს შუბლზე სამი რგოლი შეამჩნია და სიხარულით კინაღამ გაგიჟდა. ასაის მადლობაც კი გადაუხადა, ასეთი შვილიშვილის ჩუქებისათვის.

— ჰო... გადავყევი ტისოს ძებნას და მაგ ბავშვისთვის ველარ მოვიცალე. — დანანებით ჩაილაპარაკა რუფიამ.

— რომ მოგეცალა, ვითომ რას იზამდი? — გაკვირვებით ჰკითხა თეკლამ. — ხომ არ დაგავიწყდა, ცებაის განკურნებას ლამის მკურნალიცა და ავადმყოფიც გადაჰყევით. ბავშვს რამე არ აუტეხო!..

— იმაზე მეტი რა უნდა ავუტეხო, რასაც გრძნეულები დამართავენ?! — შეუტია რუფიამ თეკლას.

— დედა-დედოფალი ბავშვის წაყვანას ორ კვირაში აპირებს. თუ

მანამდე გაქცევა ვერ მოვახერხეთ, გალი-გალას ცოცხალი თავით არავის დავანებებ. – დაიქადნა თეკლამ.

– დამშვიდდი. შენი ერთი ხმალი რას გახდება მთელ ომდურმანთან? გაქცევა აუცილებლად უნდა მოვახერხოთ. გზები უკვე კარგად მაქვს დაზვერილი. როგორც შენ გგონია, უქმად არ დავფრინავდი ალმა-დალმა. ზუსტად ვიცი, იტურის ტყეებამდე უმოკლესი გზა როგორ მიგვიყვანს.

– მაშ, ხვალვე გავიქცეთ! – წამოიძახა თეკლამ.

– ხვალ ჯერ სხვა საქმე მაქვს. შენ ეს მითხარი, გალავნის გარეთ გასასვლელი გვირაბი თუ გათხარე? – დაინტერესდა რუფია.

– სწორედ გუშინ დავამთავრე.

– ძალიან კარგი... ცხენებიც საკმარისად გვყავს?

– სამი ცხენი და ერთიც ოკაპი. მთელი კვირაა, ასაის ბრძანებით, მებაღეს ზუსტად იქ გაჰყავს საბალახოდ, სადაც გვირაბი ამოდის. გაქცევის წინ ასაი მებაღეებს სახლში გაუშვებს. ცხენების შემოყვანას მე ვითავებ. ბანგი ცებაის უკვე მოვატანინე. მცველებსა და მსახურებს საჭმელში გავურევთ და დავაძინებთ. ღამით კი ჩუმად გვირაბით გავიპარებით. იქ ცხენები და ოკაპი დაგვხვდება და იტურისკენ გავიქცევით. დილამდე ვერავინ გაიგებს. როცა გაიგებენ, ჩვენ უკვე შორს ვიქნებით.

– ყოჩაღ, თეკლა, კარგად მოგიფიქრებია! – შეუქო რუფიამ გაქცევის გეგმა.

– შენ ხვალ რა საქმე გაქვს? – ახლა თეკლა დაინტერესდა რუფიას გეგმებით.

– ერთი აკლდამაღა დამრჩა გამოსაკვლევი. ეჭვი მაქვს, ტისო იქ უნდა ჰყავდეთ დამალული. – იცრუა რუფიამ.

* * *

ტისოს სტუმრობა რუფიას ოცნების ოქროს ჩიტმა დაასწრო. ნიღბების ოსტატმა მცველის შემოტანილი საუზმიდან ნაწილი ფრინველს უწილადა. მერე ჩვეულ სამუშაო ადგილას ჩამოჯდა და ნიღაბიც გვერდით მოიდო. მარცხენა ხელი გულზე მიიდო და ღრმად

ჩასუნთქვა სცადა. ორი დღე იყო, ბეჭში, ზუსტად გულის უკან, მუდმივად ყრუ ტკივილს გრძნობდა. ხანდახან კი ისე გაუძლიერდებოდა, ეგონა – სადგისს მირჭობენო.

– აბა, ეგეთები არ იყოს, ყოჩაღად! – შეუძახა ტისომ საკუთარ თავს. უეცრად ჩიტი აფართხალდა და შეშინებული აფრინდა. სარკმელში რუფია გამოჩნდა.

– ცოტაც რომ დაგეგვიანა, ნიღაბს უფსკრულში გადაგდებულს იპოვიდი.

– დაასრულე უკვე? – ჰკითხა რუფიამ და წინ დაუსკუპდა.

– მზად არის! – ტისომ ნიღაბს ნაჭერი მოხსნა.

– აი, როგორი ყოფილა? – წამოიძახა რუფიამ, როცა სულა I-ის სველთვალებიან ნიღაბს დახედა და ტისოს მუდარით სავსე თვალებით შეხედა.

– ტისო, ამის მორგებაში შენ უნდა დამეხმარო!

– რა თქმა უნდა, მეგობარო! შენს ფრთებს სულა I-ის ნიღაბსაც კი ვერ ვანდობ. ბოროტებით სავსე გული ჰქონდა, სიყვარულის ნაცვლად სიძულვილი ასაზრდოებდა მის სულს. კიდევ ერთხელ გაფრთხილებ, მაგრად დაუდექი, არ დაგჯაბნოს!

– ვერ დამჯაბნის! – ისეთი რიხიანი ხმით შესძახა უეცრად რუფიამ, ტისოს რომ არ სცოდნოდა მარტონი იყვნენ, იფიქრებდა, სხვა ვინმემ თქვაო.

ტისომ ნიღაბი აიღო და რუფიას ნისკარტზე მიადო. ნიღაბი ფრინველს თავზე შემოეჭდო. რუფიას მთელ ტანში გამყინავმა ჟრუანტელმა დაუარა. მის გონებასა და არსებაში თანდათან სულა I იჭრებოდა. თავდაპირველად შიში, ბოღმა და სიძულვილი გამოჩნდა. რუფია მედგრად რომ არ დახვედროდა ამ შავ მორევს, ნამდვილად ჩაინთქმებოდა მასში. მაგრამ იმარჯვა და სულას გონებასა და გულს ერთ ბეწო კუნჭულში მიუჩინა ბინა. რუფიას თვალწინ დაუდგა სალიტულა, სადაც პატარა სულა იზრდებოდა, – მზრუნველი მშობლები, მოსიყვარულე ძმა. „ბავშვობაში რა კარგი ბიჭი ყოფილა, გონიერი და კეთილი, ნეტა, რამ შეცვალა“, – გაიფიქრა რუფიამ და სულას ნარსულს ფურცელ-ფურცელ დაუწყო დათვალიერება. უეცრად ძაღლების ყეფა მოესმა, – ძაღლები ათიოდე წლის სულას მისდევდნენ. აი, დაეწივნენ კიდეც და კბილიც წაატანეს. გაავებულ ცხოველებს ძლივს

გამოგლიჯეს ბავშვი. იმ დღიდან სულას გულში ცხოველებისადმი შიშმა ჩაიბუდა, რომელმაც არა და არ გაუარა და დღენიადაგ მოსვენებას არ აძლევდა. ერთხელ შიშით გათანგულმა დაბმულ ძაღლს ცემით ამოხადა სული. ამან ცოტა შვება მოჰგვარა. რომ წამოიზარდა, ნადირობამ გაიტაცა, მაგრამ ცხოველს თავად ვერ გაეკიდებოდა და ვერც პირველი ესროდა, დაჭრილებსა და უძლურებს კი წუთში აუგებდა წესს. შიშსა და სიძულვილს უკვე სისასტიკეც დაემატა, რომელმაც ისე მოიცვა მისი არსება, რომ სიყვარულსა და სიბრალულს ადგილი არ დაუტოვა და ურჩხულად აქცია.

„ყველაფერი გასაგებია! ბავშვობის კოშმარებს დაულუპიხარ!“ — გაიფიქრა რუფიამ.

— რუფია, როგორა ხარ? — შემოესმა ტისოს ხმა.

— კარგად, შე-სა-ნი-შნა-ვად! ახლა ვიცი, რა უნდა გავაკეთო, ნიღაბმა დედა-დედოფლის უძლეველი არმია მშიშარა ჯარისკაცების ხროვად უნდა აქციოს.

— მომხსენი ნიღაბი! — სთხოვა ტისოს, როცა სულას თვისებების დალაგებას მორჩა.

ტისომ ფრთხილად მოხსნა ნიღაბი, გვერდით დაიდო და ისევ ნაჭერი გადააფარა.

— ტისო, ეს ნიღაბი უსაფრთხოა. სულა I-ს ცხოველების შინებია, განსაკუთრებით ძაღლების. მათ დანახვაზე ფეხები ეკვეთებოდა, გონებაც კი ებინდებოდა. ამიტომ ნიღაბს მხოლოდ ბავშვობის დროინდელი შიშები დავუტოვე.

— დანარჩენს რა უყავი? — ჰკითხა ტისომ.

— დანარჩენი ჩემს გონებაში ჩავრაზე საგულდაგულოდ..

— ისევ მაოცებ დაუჯერებელი ამბებით!.. — ხელები გაშალა ტისომ. — არ ვიცი, არ ვიცი... როგორ ვენდო შენს სიტყვებს?!

— შეგიძლია შეამოწმო, თავად მოისინჯო სულას ნიღაბი და მიხვდები, რომ საშიში აღარ არის.

— საფიქრალი გამიჩინე. ადრე ვიცოდი, სულას სველთვალებიან ნიღაბს გრძნეულები არასდროს ეღირსებოდნენ. ახლა კი, მირჩევ, ჩემი ნებით გადავცე? არ ვიცი, რა ვქნა.

— სამწუხაროდ, მე ველარაფრით დაგეხმარები. დღეს-ხვალ ომდურმანი უნდა დავტოვო. რომ იცოდე, რამდენი საქმე მაქვს... ეს

ნილაბი შენთვის მომინდვია. თუ დამიჯერებ, აბარდაგანს დიდ სამ-სახურს გაუწევ. მშვიდობით!

რუფია ტისოს პასუხს აღარც დალოდებია, ფრთა გაშალა და გაფრინდა.

თავი მეთვრამეტე

გაქცევა

სასახლეს ღრმა ძილით ეძინა. მცველებსა და მსახურებს ძილქუში დასწოლოდათ. მებაღეებიც მხოლოდ ორი დღის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყვნენ. ნათელი ღამე იდგა. სავსე მთვარის ანარეკლი თეთრი დუმფარასავით იწონებდა თავს ტბიდან. გასაქცევად ყველაფერი მზად იყო. რუფიამ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, კიდევ ერთხელ შემოუფრინა სასახლეს, საეჭვო რომ ვერაფერი ნახა, გულდამშვიდებულმა თეკლასა და დედოფალს მიაკითხა. ასაი მძინარე გალი-გალას გვერდით იჯდა და თავზე ნაზად უსვამდა ხელს. პატარას სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, შუბლზე კი სამი რგოლი უკვე აშკარად უბრწყინავდა.

— ყველაფერი მზად არის წასასვლელად! — მოახსენა ქალებს რუფიამ.

— მე არ მოვდივარ! — მშვიდად წარმოთქვა ასაიმ.

— ეს როდის გადაიფიქრე! — ელდა ეცა თეკლას.

— უკვე დიდი ხანია!

— მაშ, ის გვირაბი რად მათხრევინე, ან მცველები რატომ დამაძინებინე თუ გაქცევას არ ვაპირებდით?

— ეს ვინ გითხრა?! ოლონდ მხოლოდ თქვენ გაიქცევით, მე კი აქ დავრჩები.

— არა, დედოფალო! მე მარტო ბავშვს ვერ ვინდობ. — ელდა ეცა თეკლას.

— მარტო რად იქნები, ცებაი და რუფიაც ხომ გვერდით გეყოლებიან?

— ცებაის უკვე ელაპარაკე?

— გუშინ ვუთხარი. უარზე იყო, მაგრამ როცა ავუხსენი, დამთანხმდა.

— შეუძლებელია! — გაოცებისგან ხელები გაშალა თეკლამ.

— თეკლა, მე რომ თქვენთან ერთად წამოვიდე, ჩვენს გაქცევას დილითვე შეიტყობენ და მდევარს ფეხდაფეხ გამოგვაყოლებენ. კვამლის წამკითხველები ხვალ დილითვე, ზუსტად იმ დროს, როცა მათი მიწები უნდა გავიაროთ, ჩვენს გაქცევას ამცნობენ მონუსხულ ტამრიტელებს. მე თუ აქ დავრჩი, თქვენს გაქცევას საღამომდე დავმალავ, თქვენ კი მთელი ერთი დღით დაწინაურდებით. ბედი თუ გამიღიმებს, თქვენს წასვლას კიდევ უფრო დიდხანსაც შევინახავ საიდუმლოდ.

— ასაი, სიკვდილი არ აგცდება. — მიუხვდა თეკლა ასაის თავგანწირვის მიზეზს.

— თეკლა, ბავშვს მიმიხედე, სანამ აბარდაგანში გალი-გალას ოჯახს არ უპოვი და კარგ დედას არ ჩააბარებ, შენს ქვეყანაში არ წახვიდე. წაყვანით, არ წაიყვანო. არ მინდა სამშობლო დაეკარგოს. იქნებ რუფიამ გრძნეულებისაგან, ცებაისავით, ესეც განკურნოს... ოჰ, რამდენს ვლაპარაკობ... მოკიდე ხელი და წადით... — ასაი უკვე თავს ველარ იმორჩილებდა, სიტყვები ყელში ეჩხირებოდა და ცრემლები ახრჩობდა. მერე დაიხარა, ბავშვს ფრთხილად აკოცა და განზე დადგა.

— ყველას უთხარი, რომ მოვიტაცეთ, მცველებს საშველად უხმე, ჩვენი გაქცევა შენ ამცნე. — სწრაფად ლაპარაკობდა თეკლა. — როგორც კი გალი-გალას დავაბინავებ, შენს წასაყვანად დაბრუნდები.

— არა თეკლა! ეს შეუძლებელი იქნება. უკან დაბრუნებაზე არც იფიქრო. დროს ნუ კარგავ!

თეკლამ გალი-გალა ხელში აიყვანა, კიდევ ერთხელ შეხედა ლანდს დამსგავსებულ დედოფალს და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

* * *

მხედრები გათენებამდე მიაგელვებდნენ ცხენებს. მხოლოდ მაშინ შეისვენეს, როცა გრძნეულთა მიწები უკან მოიტოვეს და ტამრიტში გადავიდნენ. ტყის პატარა კორომი იპოვეს და თავი შეაფარეს. თეკლამ ბავშვს საჭმელი აჭამა. პატარა ჭირვეულობდა, გზით

დაქანცულს ცივი ფაფა არ მოსწონდა.

— აბა, პირი გამიღე, შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ?! წუნიაობის დრო არ არის. ჩემი პატარა, ჩემი კოხტა და ლამაზი... — ეალერსებოდა თეკლა გალი-გალას.

— მოდი თეკლა, შენ ცოტა თვალს მოატყუე, გალი-გალას მე მივხედავ. — შესთავაზა ცებაიმ თეკლას.

— ორთავემ დაისვენეთ! გალი-გალას მე გავართობ. — თავი გამოიდო რუფიამ და იმის დასამტკიცებლად, გამრთობად რომ გამოდგებოდა, ბავშვის წინ ჰაერში ტრიალი დაიწყო.

— ფრი, ფრი! — ატიტინდა გალი-გალა და რუფიასაკენ ხელები გაიწვდინა.

— რა დროს ძილია! — დატუქსა მზრუნველები თეკლამ, მერე რუფიას მიუბრუნდა. — ის გირჩევნია, არემარე დაზვერო. ნახე, ომდურმანიდან კვამლი ხომ არ ამოდის. შენ კი, ცებაი, იქნებ წყარო მოგეძებნა, ცხენები რომ დაარწყულო. — დაასაქმა ორივე თეკლამ.

რუფია და ცებაი უსიტყვოდ დაემორჩილნენ. ყვანჩალა ჯერ ცაში აიჭრა და კორომს რამდენჯერმე შემოუფრინა, საეჭვო ვერაფერი დაინახა და ცებაის დაეწია წყლის მოსაძებნად.

რუფია ომდურმანშიც ამჩნევდა, ცებაი თეკლას საამებლად ყველაფერს უსიტყვოდ აკეთებდა. მაგრამ თეკლა ვერ ამჩნევდა მის თავგამოდებას და ხშირად უხეშადაც კი ელაპარაკებოდა.

— არ გაგიკვირდეს თეკლას მბრძანებლობისა, — დაამშვიდა ცებაი რუფიამ. — მიჩვეულია.

— მითხრა, მეომარი ვარო, მხედართმთავარი ხომ არ არის?

— ცოტა მეტი... დედოფალია. თანაც ისეთ მხარეში, სადაც ქალები წყვეტენ ყველაფერს, კაცებს კი არ სწყალობენ.

— რა ვიცი, ლილეს მოსაძებნად კი ცხრა მთის იქიდან ჩამოვიდა.

— დაიმახსოვრე, ლილე სისხლით ძმადნაფიცია და მასზე ახლობელი არავინ და არასდროს ეყოლება.

— მართლა დედოფალია? — ახლაღა ჩასწვდა ცებაი ყვანჩალას ნათქვამს.

— დედოფალია! და კარგი იქნება, თუ არ გააგებინებ, რომ იცი.

— რატომ, გაგიბრაზდება?

— მე არა, შენ! — არხეინად უპასუხა რუფიამ და თავში ერთი

გემრიელად ჩაუნისკარტა.

მალე პატარა წყაროც იპოვეს. უკან დასვენებული და წყურვილ-მოკლული ცხენებით დაბრუნებისას, ის-ის იყო კორომისთვის უნდა შეეფარებინათ თავი, რომ ხუთმა მონუსხულმა ტამრიტელმა გზა გადაუღობა.

— საით გაგიწევია, ძმობილო? — ჰკითხა ერთმა.

— შესანიშნავი ცხენები გყავს. — უთხრა მეორემ ისე, რომ პირველის დასმულ კითხვაზე პასუხს არც კი დალოდებია.

ცებაი მიხვდა, ხარბი ტამრიტელები ცხენების წართმევას უპირებდნენ.

— თუ გინდა ცოცხალი დარჩე, დატოვე ეგენი, შენ კი ოთხივ კუთხივ გზა თავისუფალი გაქვს. — დაარიგა ცებაი ტამრიტელმა

ერთი ყაჩაღი, რომელიც სხვებს წინამძღოლობდა, ცებაის ცხენს მიუახლოვდა და თავზე ხელი გადაუსვა.

— ეს ცხენი ჩემია! — უთხრა დანარჩენებს.

მარტო ცებაი ხუთ ტამრიტელს ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომ ისევ მოლაპარაკება არჩია.

— თუ იცით, ვის უპირებთ ცხენების წართმევას? — არხეინად უპასუხა ტამრიტელებს.

— ვინა ხარ ასეთი, ხუთს რომ გვაშინებ? — გადაიხარხარეს ყაჩაღებმა.

— ომდურმანის მთავარი ნიღბების ოსტატი ვარ. დედა-დედოფლის დავალებით ვარ თქვენს მხარეში. ნუთუ ვერ მიცანით?

— მაშინვე არ დაგიჯეროთ?! — ისევ ახარხარდნენ ტამრიტელი ყაჩაღები.

ცებაიმ მიმოიხედა, რუფია არსად ჩანდა. „კარგია, გაფრენილა, თეკლას გააფრთხილებს", გაიფიქრა ცებაიმ და ისევ გააგრძელა ლაპარაკი ტამრიტელებთან.

— მოდით, რომელიმე სოფლამდე მივიდეთ. დარწმუნებული ვარ, ჩემს ვინაობას დაგიდასტურებენ. ორი ცხენისთვის თავი საფრთხეში არ ჩაიგდოთ. ამ ცხენებს ომდურმანში კარგად სცნობენ...

— მაშინ მაგ ცხენებიანად წაგიყვანთ ომდურმანში, ქურდის შეპყრობისთვის და ცხენების დაბრუნებისთვის კარგ ჯილდოს მივიღებთ. — შეუღრინა ცებაის ერთ-ერთმა.

— ხომ გითხარით, ვინცა ვარ... ჯილდოს კი არა, როზგებს დაიმსახურებთ...

— ნიღბების ოსტატო, იქნებ გვითხრა, ორი ცხენი რაში გჭირდება? ერთით შენ მგზავრობ, მეორეთი შენი ნიღაბი? — ენამახვილობდა ყაჩაღების წინამძღოლი, დანარჩენები კი სიცილით მხარს უბამდნენ ხუმარა უფროსს.

ცებაი მიხვდა — ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. ან ცხენები უნდა დაეტოვა, ან თავი შეეკლა. უეცრად კორომის მხრიდან ხმა მოისმა:

— მხოლოდ ერთხელ გაგაფრთხილებთ! მშვიდობიანად გაგვეცალეთ! — ეს თეკლა იყო.

ქალიშვილის ომახიანმა შეძახილმა ცებაი ტამრიტელებზე მეტად გააოცა.

— ეს ვინღაა?! — წამოიძახა იმ ყაჩაღმა, რომელიც ცებაის ცხენს იჩემებდა.

— მე გაგაფრთხილეთ! — გაუმეორა მშვილდმომარჯვებულმა თეკლამ.

— გასწიე ეგ სათამაშო! — დაუღრიალა წინამძღოლმა, ცხენს თავი მიანება და თეკლასკენ დაიძრა.

თეკლამ მშვილდი მოზიდა და ელვის სისწრაფით ისრები ხუთივე ყაჩაღს რიგრიგობით მხრებში გაურჭო, ერთი ისარი წინამძღოლს ბარძაყშიც დაუმატა. ტამრიტელები ძირს გაგორდნენ.

ცებაიმ ცხენები სასწრაფოდ თეკლასთან მიიყვანა. ნიღბების ოსტატმა ახლაღა შეამჩნია, რომ ქალიშვილს ზურგზე ბავშვი ჰყავდა მოგდებული.

— ცხენებზე სწრაფად! — გასცა ბრძანება თეკლამ.

* * *

პატარა სულას გაუჩინარება მცველებმა და მსახურებმა მართლა საღამო ხანს შეამჩნიეს. ორი მცველი სასახლეში დარჩა, ერთი კი სულასთან გაიქცა.

ასაი ბავშვის ოთახში დახვდა ქმარს. დედოფალი ფანჯრის რაფაზე იჯდა, კალთაში ოცნების ოქროს ჩიტი ედო, ეფერებოდა და რა-

ღაცას ებუტბუტებოდა.

— სად დამალე ჩემი შვილი? — მივარდა სულა ცოლს და შეაჯანჯღარა.

— გალი-გალა ომდურმანის გრძნეულებისგან უკვე ძალიან შორს არის. — მშვიდად მიუგო ქალმა.

— შენ რა, გაგიჟდი? ვის გაატანე ბავშვი? ცებაი სად არის? მომიძებნეთ ცებაი! — უღრიალა მცველებს სულამ.

— არც ცებაი ჩანს!... — შებედა ერთმა.

— როგორ, ცებაიმ გაიტაცა ბავშვი? შეუძლებელია. ის ხომ მონუსხულია. — სულა უკვე თავს ვეღარ ფლობდა. — ბავშვი რომ დამიღუპო, ამ ხელებით დაგახრჩობ! — ცოტაც და სულა მართლა დაახრჩობდა ასაის. უეცრად მოლბა და მის წინ ჩაიმუხლა. — ასაი, გონს მოდი, რას აკეთებ? აბა წარმოიდგინე, სად არის ახლა შენი პატარა ბიჭი, ვინ პატრონობს, რა საფრთხე ელოდება. შენ ხომ თავზე მეტად გიყვარს გალი-გალა. თუ ახლავე არ მოვძებნით, შეიძლება ვერასდროს ნახო. მითხარი... მითხარი, ვინ წაიყვანა ბავშვი, ან სად წაიყვანეს. დავაბრუნოთ ჩვენი პატარა, პირობას გაძლევ, დედა-დედოფალი ვერაფერს გაიგებს. უკვე კარგი თვალით გიყურებს, — სამრგოლიანი გრძნეული შვილიშვილი მაჩუქაო. ბავშვის ნახვის უფლებასაც მოგვცემს...

— მშიშარა და უსუსურო! — ზიზღით მიმართა ასაიმ ქმარს. — მირჩევნია გალი-გალა ნადირმა დამიგლიჯოს, ვიდრე დედაშენის ხელში შენზე უარეს ავისმქმნელ სათამაშოდ გაიზარდოს.

სულა ფეხზე წამოდგა და ასაის მთელი ძალით სახეში გაარტყა. ქალმა თავი ვერ შეიკავა და, ოცნების ოქროს ჩიტთან ერთად, ფანჯრიდან ძირს გადაეშვა.

* * *

გზა იტურამდე გრძელი, რთული და სახიფათო აღმოჩნდა. ნაშუადღევს გაქცეულებმა ტამრიტელთა გაშლილი მინდვრები და ტყის პატარ-პატარა კორომები დაღამებამდე ძლივს მოიტოვეს. რამდენიმე ადგილას, მინდვრებში მომუშავე ხალხს გადაანყდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, მათთვის ყურადღება აღარავის მიუქცევია. აქედან

გზა დახლართული ბილიკით მთებში გრძელდებოდა. უღელტეხილზე გადასვლის შემდეგ, ციცაბო ფერდობზე გაკვალული ერთადერთი ბილიკით მდინარისკენ დაეშვნენ. მდინარე წყალუხვი არ იყო. აი, წვიმების სეზონი რომ ყოფილიყო, ცხენით გადასვლა ნამდვილად გაუჭირდებოდათ. გაქცეულებმა მიწიდან ამოხეთქილ ცხელ წყაროებთან შეისვენეს. თეკლამ ბავშვი აბანავა და საფენები გამოუცვალა. გზა მალევე გააგრძელეს და, როგორც იქნა, მოსაღამოებულზე იტურის დაბურულ ტყეს შეაფარეს თავი.

— ახლა საით წავიდეთ? — იკითხა ტყის უდაბურობით შეშფოთებულმა რუფიამ.

— ახლა ღამდება. ვეღარსად წავალთ. ღამის გასათევად უსაფრთხო და მოხერხებული ხე ამოვირჩიოთ. დილით კი ტყე თვითონ გვიკარნახებს, საით წავიდეთ. მე ცხენების დარდი მაქვს. თუ ბილიკი ვერ ვიპოვეთ, ტყეში სიარული გაგვიჭირდება. — ცხოველების ბედზე არანაკლებ წუხდა თეკლა.

— რომ გაგვეშვა? — ჰკითხა ცებაიმ.

— ამ ცხენებს გრძნეულები კარგად სცნობენ. თუ იპოვიან, ჩვენი ადგილსამყოფელის პოვნაც არ გაუჭირდებათ. — მოკლედ გასცა პასუხი თეკლამ.

რუფია ხის კენწეროებისაკენ აფრინდა. თეკლამ დარჩენილი საგზალი ამოიღო. ჯერ ბავშვი დააპურა, მერე ცებაისაც მიაწოდა და თვითონაც ცოტაოდენი შეჭამა. უეცრად გალი-გალა აწრიალდა, თეკლას ხელიდან გასხლტომას ცდილობდა, მერე გულამოსკვნით ატირდა. ჩაბჟირებას არაფერი უკლდა.

— მომეცი, იქნებ მე დავაწყნარო! — ცებაიმ თეკლას ბავშვი გამოართვა, მაგრამ იმანაც ვერაფერი მოუხერხა. ამასობაში რუფიაც მოფრინდა.

— რატომ ტირის? — იკითხა ყვანჩალამ.

— უეცრად, უმიზეზოდ დაიწყო. — მხრები აიჩეჩა თეკლამ.

— იქნებ შია? — დაინტერესდა რუფია.

— არა! — მიუგო თეკლამ.

— სველი ხომ არ არის? — ისევ იკითხა რუფიამ.

— არა! — თეკლამ და ცებაიმ ორივემ ერთად გასცეს პასუხი.

რუფიამ ბავშვის წინ ფრთები ააფართხალა, ერთი-ორი ყირაც

გააკეთა. გალი-გალა თანდათან სლუკუნ-სლუკუნით წყნარდებოდა, თან ნაწყვეტ-ნაწყვეტ იმეორებდა: დედა... ფრი...ფრი... დედა... ფრი... ფრი...

— დაწყნარდი, ჩემო პატარა! ვიცი, დაიღალე და ნანა გინდა! — ეფერებოდა თეკლა გალი-გალას. — ახლა რუფია უსაფრთხო ადგილს გვიპოვის და ტკბილად დაიძინებ.

რუფიას ამორჩეული თავშესაფარი მართლაც მოხერხებული გამოდგა. ხეს იმხელა ვარჯი ჰქონდა — ორი კი არა, ათი კაციც თავისუფლად დაეტეოდა. ცებაის მაშინვე ჩაეძინა. ტოტზე ჩამომჯდარი რუფიაც თვლემდა. გალი-გალას ცერა თითი პირში ჩაედო და ძილში ტუჩებს აცმაცუნებდა.

თეკლას რული არ ეკარებოდა. ბავშვის ტირილი ცუდად ენიშნა. გუმანი კარნახობდა, ზუსტად მაშინ, როცა პატარა „დედა, დედას" გაიძახოდა, ასაიმ სიცოცხლე დაასრულა. მაგრამ თეკლას ფიქრის თავი აღარ ჰქონდა. მასაც სჭირდებოდა დასვენება. ამიტომ მთელი სხეულით მოეშვა და ტყის ღამის სიმღერას მიუგდო ყური. იტურის ტყე მართლა მღეროდა, ბალახისა და ღამის ყვავილების ჯადოსნური არომატით გაჯერებული... ჩიტებისა და მწერების ათასგვარი ხმა ერთმანეთს ერწყმოდა და შორეული ჩანჩქერების გრუხუნისა და ფოთლების შრიალის ფონზე ერთ გალობად ისმოდა. ეს მელოდია თეკლასთვის ნაცნობზე ნაცნობი იყო, ამიტომ მშობლიურ ნანასავით ჩაესმოდა და ტკბილი ძილისპირულივით სიზმრებში ითრევდა.

თავი მეცხრამეტე

შეხვედრა იტურის ტყეში

„ჩემი გული ბედნიერია,
ჩემი გული მღერის, როგორც ჩიტი,
ტყის მაღალი მწვანე ხეების ქვეშ.
ტყე ჩვენი სახლია და ჩვენი დედაა“.

იტურელების ტყისადმი მიძღვნილი ჰიმნი.

შორიდან მოსული კაცი ბოლომდე ვერასდროს სწვდებოდა იტურელების სამყაროს, რომელიც ისევე იდუმალი იყო, როგორც მარტივი და უბრალო. ტყე იტურელებისთვის გული იყო და გულზე უფრო მეტიც, — სული. ტყე აძლევდა მათ სიცოცხლეს და ყველაფერი იყო მათთვის. იტურელებს ტყისა ისე ესმოდათ და უგებდნენ, როგორც უახლოესი ადამიანები — ერთმანეთს. იტურელებს ტყის ენა ესმოდათ და მისგან ბრძნულ რჩევებსაც, როგორც მშობლისგან, ისე იღებდნენ. ტყე არასდროს იტყუებოდა და არ მბრძანებლობდა. მუდამ ზრუნავდა თავის შვილებზე და დედასავით იფარავდა კალთის ქვეშ. იტურელებიც ცდილობდნენ მადლიერნი ყოფილიყვნენ მისი და ნებსით თუ უნებლიეთ არ განერისხებინათ იგი. თორემ ტყემ, მშობელ დედასავით, ხანდახან გაბრაზებაც იცოდა, ატეხავდა ჭექა-ქუხილს, მიამტვრ-მოამტვრევდა ხეებს, დაგლეჯდა და ადიდებულ მდინარეებს გაატანდა სათევზაოდ დაგებულ ბადეებს, ტოტებითა და ფოთლებით ამოავსებდა ცხოველებისთვის მახეებად ამოთხრილ ორმოებს. ხანდახან ამასაც არ იკმარებდა, იტურელებს საცხოვრებელს თავიდან ასაშენებელს გაუხდიდა, თუმცა იტურელები ამაზე ყველაზე ნაკლებად დარდობდნენ, რადგან იტურში სახლის საშვი-

ლიშვილოდ აშენება და მისი ხვავითა და ბარაქით გამოვსება სირცხვილად ითვლებოდა. სახლები კი მართლაც უცნაურზე უცნაური ჰქონდათ — ათასწლოვანი ხეები, უფრო სწორად, მათი ვარჯი. ადგილებს, სადაც იატაკისა და კედლების მაგივრობას ტოტები არ სწევდა, ლიანებით მოქსოვილი ბადით ფარავდნენ. ხშირად იატაკიც კი ხელით ჰქონდათ მოქსოვილი. ძირს ლიანებისაგან გაკეთებული კიბეებით ჩამოდიოდნენ. მინაზეც ედგათ სახლები, ძირითადად მოხუცებისთვის და საერთო ზეიმებისთვის. ზეიმები კი, იცოცხლე, უყვარდათ! — ბავშვის დაბადება, ფეხის ადგმა, წვიმების სეზონის დასაწყისი და დასასრული, ქორწილები, იღბლიანი ნადირობა და თევზაობა, ახალი სიმღერა და თუნდაც ძალიან გემრიელი სადილი. მოკლედ, მიზეზის მოძებნა არ უჭირდათ.

იტურელები ხეზე კვეთის დიდოსტატები იყვნენ. მათი ნახელავი დაწნული სათამაშო ფიგურები ხომ მთელ აბარდაგანში იყო ცნობილი. იტურელები ცალკე ფრინველს ან ცხოველს არასდროს კვეთდნენ, ყოველთვის რამდენიმე იყო ნაწნავივით ერთმანეთში ჩაქსოვილი. ტუალანუს ბაზრობაზე, ნიღბების შემდეგ, მათი ნაკეთობანი ყველაზე მეტად ფასობდა. იტურელებზე მშვიდობისმოყვარე ხალხს მთელ აბარდაგანში ვერ იპოვიდი. ბავშვის დასჯა რა იყო, ისიც კი არ იცოდნენ. პატარას თანდასწრებით მის ცუდ საქციელზე ხმამაღლა რომ ვლაპარაკობთ, ესეც საკმარისია. ამაზე მეტი სასჯელი რაღა უნდა იყოსო, — ამბობდნენ ტამრიტელები.

სწორედ ტყის მცოდნე ხალხთან გადაწყვიტა მამის მოძებნა უსუმბამ. შავი ებენის ხის საპოვნელად სხვაგან სად წავიდოდაო, — ფიქრობდა ტისოს ვაჟი.

იტურელები სიხარულით მხოლოდ მათ ხვდებოდნენ, ვისაც ტყის დამფასებლად თვლიდნენ. უსუმბას ზუსტად ასეთ სტუმრად მიიჩნევდნენ, ამიტომაც დიდი პატივისცემით მიიღეს. მოსვლის მიზეზი რომ გაიგეს, ცოტა დანაღვლიანდნენ, — ნიღბების ოსტატის შესახებ არაფერი იცოდნენ. ტისოს იტურის ტყეებამდე რომ მიეღწია, ტყის ხალხი აუცილებლად გადაეყრებოდა სადმე. ჩვენს მხარეში, ამ ბოლო ხანს, ტარუტის ხის მოსაჭრელად მონუსხული ტამრიტელების მეტს ფეხი არავის დაუდგამსო, ერთხმად ირწმუნებოდა ყველა, მაგრამ უსუმბას უარი მაინც ვერ უთხრეს და ტისოს მოსაძებნად მთელ ტყეს

ნაბიჯ-ნაბიჯ ათვალიერებდნენ.

იმ დღესაც უსუმბა და ათიოდე იტურელი ტამრიტის მოსაზღვრე ადგილებს ათვალიერებდნენ. უშედეგო ძებნის შემდეგ, იტურელებმა ღამის გასათევად ხე შეარჩიეს და ისე მოხერხებულად მოკალათდნენ, თითქოს აფუმფულებულ ლეიბებზე მოიწყვეს საწოლიო. ტყის ხალხი, თუ რამეს არ ზეიმობდა, ტყესთან ერთად მზის ჩასვლისთანავე იძინებდა და ტყესთან ერთად, მზის პირველი სხივების ამოწვერისას, იღვიძებდა. მთელი დღის ამაო ძებნით დაღლილ უსუმბას გამყოლების ღიღინ-ღიღინში რული უმალ მოეკიდა. უეცრად იტურელებმა სიმღერა შეწყვიტეს. უსუმბა მაშინვე გამოფხიზლდა.

— მოგესმათ რამე? — ჩუმად გადაულაპარაკა გვერდით მწოლ იტურელს.

— ბავშვის ტირილია!

უსუმბამ ყურადღება დაძაბა, მაგრამ ფოთლების შრიალისა და მწერების ზუზუნის მეტი არაფერი გაუგონია.

— ვინ უნდა იყვნენ? — აწრიალდნენ იტურელები, — აქ ჩვენებური არავინ დასახლდებოდა. ნამდვილად უცხოები არიან. — დაასკვნეს ერთხმად.

— ოჰო, ჰო, ჰო!!! რას ტირის? — თქვა ერთმა.

— ხომ არ მოგვეძებნა ერთი, ვინ არიან? — შესთავაზა უსუმბამ.

— შენ ტკბილად დაიძინე. ორნი უკვე დაეშვნენ ძირს და ტირილის ხმას მიჰყვებიან. ჩვენ კი ხვალ, გამთენიისას მათ კვალს დავადგებით. — დაამშვიდეს უსუმბა.

— მართლა ნიავზე ჩუმად შეგიძლიათ სიარული. — აღტაცება ვერ დამალა ნიღბების ოსტატმა.

უსუმბა, თავის მეგზურებთან ერთად, ღამით წასული იტურელის კვალს უთენია დაადგა. ტყის ხალხი უშეცდომოდ მიუყვებოდა უსუმბას თვალისთვის შეუმჩნეველ ნაფეხურებს. კარგა ხნის სიარულის შემდეგ, ერთ ხესთან შეჩერდნენ. ერთ-ერთმა იტურელმა ფრინველივით დაიყივლა. რამდენიმე წამში პასუხიც მიიღო. უსუმბას ხელით ანიშნეს — ბუჩქებში ჩაიმალე და ხმა არ ამოიღოო. უსუმბაც დაემორჩილა, თან გაფაციცებით აქეთ-იქით იყურებოდა. ცოტა ხანში ფოთლების შრიალი და ნაბიჯის ხმაც მოისმა. უსუმბასაგან ერთი ხელის განვდენაზე ორმა უცნობმა ჩაიარა. ერთს, მეომარივით ჩაცმულ

ქალს, ზურგზე ბავშვი ჰყავდა მოკიდებული, კაცს კი აღვირით ორი ცხენი მოჰყავდა. ნიღბების ოსტატმა მათი სახეები კარგად ვერ გაარჩია. იტურელებმა უცნობებს ფრთხილად ალყა შემოარტყეს. უეცრად ისინი გაჩერდნენ და გაისმა ქალის ომახიანი შეძახილი:

— ვინ გვითვალთვალებს, — გამოდით!

— მტრად არ მოვსულვართ! — გაისმა კაცის ხმაც.

მშვილდმომარჯვებული იტურელები სამალავებიდან გამოცვივდნენ და უსუმბაც ფეხზე წამოდგა.

— ვინა ხართ და ჩვენს ტყეში რა გინდათ? — შეუძახეს იტურელებმა.

— გრძნეულებს გამოვექეცით, თავშესაფარს ვითხოვთ! — უპასუხა კაცმა.

— ტამრიტელები ხომ არა ხართ? — იჭვნეულად იკითხა ერთმა.

— არა, ტამრიტელებს თავად ძლივს გადავურჩით, ხუთი დაგვესხა ერთად, ცხენების წართმევას გვიპირებდნენ. — იუარა კაცმა.

— ეს როგორღა მოახერხეთ? — იტურელები აშკარად ფრთხილობდნენ უცნობების მიღებას.

— ჩვენმა ფეხმარდმა ცხენებმა გვიხსნეს. — მშვიდად აუხსნა კაცმა.

— ტამრიტელებს კი გაასწრებდით, მაგრამ გრძნეულთა მდევარს როგორღა დააღწიეთ თავი? — ისევ გაისმა კითხვა.

— ჩვენი მიღება თუ არ გინდათ, თქვით! აქ სამტროდ არა ვართ მოსულები, თქვენ თქვენი გზით წადით, ჩვენ — ჩვენი გზით. მარტონიც გადავირჩენთ თავს. — შეუტია იტურელებს ქალმა. — გაგვატარეთ, გირჩევთ ისარი არ გაისროლოთ! ხუთი ტამრიტელი უმალ მივაწყვე ერთიმეორეს, იგივე ბედი გელით თქვენც, თუ გზას გადაგვიღობავთ! უმჯობესი იქნება, თქვენი კვამლის წამკითხველი მაღალ ხეზე თუ აძვრება. მაშინ კარგად დაინახავს, რას ყვებიან გრძნეულები ჩვენს შესახებ. წავიდეთ ცებაი. ამათთან ლაპარაკის დრო არა გვაქვს.

— რომელი ცებაი ხარ? — გასძახა უცნობს უსუმბამ. ამ სიტყვებზე ცებაი მისკენ მიტრიალდა და უსუმბას თვალი თვალში გაუყარა.

— უსუმბა! — შესძახა გახარებულმა ცებაიმ და ძმისკენ გაიწია.

— ცებაი, ძმაო! — უსუმბამაც იცნო წლების წინ დაკარგული ძმა.

უსუმბა და ცებაი ერთმანეთს გადაეხვივნენ. იტურელებსაც მეტი რა უნდოდათ, მათი შეხვედრით გახარებულნი, ხან ერთს გადაეხვე-

ოდნენ და ხან – მეორეს.

ძმებს მოსაყოლი კი ბევრზე ბევრი ჰქონდათ, მაგრამ ცდილობდნენ, კითხვებით არ შეეწუხებინათ ერთმანეთი. წინ დიდი გზა ედოთ, თანაც ერთმანეთთან საუბარი მშვიდად, უცხო თვალის გარეშე ერჩივნათ. ტისოს ამბავი კი მაშინვე უამბო ცებაიმ უსუმბას.

– ეშველება რამე? – უიმედოდ იკითხა უსუმბამ.

– აბა, რა გითხრა! – ყველაფერი ღვთის ხელშია.

– დიდი ხანი არ უნდა იყოს, რაც ცოლი მოგიყვანია. ჩვენებური არ ჩანს! – უთხრა უსუმბამ ცებაის. თეკლას სახიდან საღებავი მოეშორებინა და აბარდაგანელთათვის უჩვეული თეთრი პირისახითა და ოქროსფერი თმით იტურის ტყეში მზესავით ანათებდა.

– არც ჩვენებურია და არც ჩემი ცოლია. – ამოიოხრა ცებაიმ. – აბარდაგანში ძმადნაფიცის მოსაძებნად ჩამოვიდა. შენც გაიგებდი მის შესახებ – ბესანჯის პატრონია.

– ლილე ироელი? – წამოიძახა უსუმბამ.

– ვინ ახსენა აქ ლილეს სახელი? – მსწრაფლ იკითხა თეკლამ.

– მე. – უპასუხა უსუმბამ.

– გაგიგია რამე მის შესახებ? – ჩაეკითხა თეკლა.

– გამიგია კი არა, თავადაც ვიცნობ. ტუალანუს ბაზრობაზე ვნახე, ჩემს ფარდულში შემოვიდა. სხვათა შორის, საჩუქრად ცებაის ბავშვობის დროინდელი ნიღაბი ამოირჩია. – ამაყად უპასუხა უსუმბამ.

– ახლა სად არის? – ჰკითხა რუფიამ, რომელიც აქამდე თეკლას მხარზე იჯდა და ბავშვს ეთამაშებოდა.

– ბაზრობა ახალი დაწყებული იყო, შერისხულებს რომ გაჰყვა ბიგოში. მეც მალე დავტოვე ტუალანუ. ამის შემდეგ მასზე აღარაფერი მსმენია. მისი ამბავი თუ გაინტერესებს, ჩემს ბიძებს – კვამლის წამკითხველ ჯუფრას და უსინათლო ბაკუბას უნდა ჰკითხო. მათ სტუმრობდა.

იტურელები უჩვეულოდ ჩუმად, ბავშვებივით დარცხვენილნი მიჰყვებოდნენ სტუმრებს, განსაკუთრებით თეკლასი ერიდებოდათ, ბავშვიან ქალს ისე ვაწყენინეთ, გაბრაზება ვერ დამალაო და, მის სახეზე შემორიგების ნიშნის მოლოდინში, მალი-მალ ქვევიდან ახედავდნენ ხოლმე სტუმარს.

თეკლას ფიქრები ლილეს დასტრიალებდა. უდაბნოელებმაც და

ტამრიტელებმაც შერისხულებზე მხოლოდ ავი თქვეს. ლილე კი თავისი ფეხით გაყოლია იმათ მათსავე ბუნაგში. უკმაყოფილო იყო ცებაის ბიძებისაც, კარგი მასპინძლობა კი გაუწევიათ ლილესთვის, თუ შერისხულებთან გაუშვესო. ერთი სული ჰქონდა ბავშვი უსაფრთხოდ დაებინავებინა და ლილეს ძებნა გაეგრძელებინა. ახლა თავის თავზეც ბრაზობდა და რუფიაზეც: ლილეს კვალს რატომ ვერ დავადექით, სულ სხვა მხარეში რად აღმოვჩნდითო. არც რუფია იყო არხეინად. ლილეს დარდი მასაც ჰქონდა, მაგრამ ეს პატარა არსება — გალი-გალაც, არანაკლებ ენაღვლებოდა. ბავშვს რუფია აშკარად მოსწონდა, მის დანახვაზე სახიდან ღიმილი არ შორდებოდა. ესეც რომ ლილესავით შემიყვარდეს, ხომ დავიღუპე! — ნუხდა რუფია, — როგორ უნდა დავტოვოო. გალი-გალა ვისი ზურგითაც მოგზაურობდა, იმის მხარზე იჯდა რუფიაც. რამდენჯერმე, როცა აფრენა სცადა, ბავშვის მზერას გადაეყარა და ფრთები თავისით დაეშვა, — ძვრა ვეღარ უყო. რუფია მიხვდა, გალი-გალა თავისდაუნებურად მბრძანებლობდა მასზე.

— უყურე ერთი ამ პატარა ჭინკას! — ჩაიყრანტალა თავისთვის. — ბატონად არ გამიხდა აქ? რუფია არ ვიყო, თუ მაგ ცუდ ჩვევას არ გადაგაჩვიო. — დაემუქრა ყვანჩალა გალი-გალას.

იტურამდე ორი დღის სავალი იყო. ეს დრო სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ ძმებს ერთმანეთისთვის ყველაფერი ეამბნათ. განსაკუთრებით ცებაის ჰქონდა უამრავი რამ სათქმელი. ეტყობოდა, ძალიან ღელავდა და ნერვიულობდა. მაგრამ, მისდა გასაოცრად, უსუმბას ერთი საყვედურიც არ დასცდენია — ყველაფერი გაუგო და შეუნდო.

— ნახე მაინც, როგორაა მოხუცი? — ჰკითხა უსუმბამ ძმას.

— არა, საიდან? ხომ გითხარი, რუფიამ ნახა ბოლოს და მითხრა, მხნედ გამოიყურებოდაო, კარგ პირობებშიც იმყოფებაო.

— ორი თასის ამბავი საიდან მოიგონა?! — ჩაიცინა უსუმბამ. — შენ მართლა არ იცი სველთვალებიანი ნიღბის გაკეთების საიდუმლო?

— არა. გახსოვს, მამამ მისი გამხელა როცა დააპირა, იმ დღეს წაველი სახლიდან შეშინებული, გრძნეულებთან რომ არ წამომცდენოდა ეს საიდუმლო.

— ჩვენ კი ვერ ვხვდებოდით, რად მოისურვე ასე უეცრად ჩვენი დატოვება.

— ახლა რა ვქნათ, ძმაო? — როგორც ბავშვობაში, ისე დაეკითხა ცებაი უსუმბას.

— სალიტულაში გრძნეულთა ჩანაფიქრი უნდა გავაცხადოთ. ხომ არ ფიქრობ, რომ მამა სველთვალებიან ნილაბს გადასცემდა გრძნეულებს?

— აბა, რა გითხრა?!

— იქნებ რუფია კიდევ ერთხელ დაგვხმარებოდა და გაეგო ტისოს ამბავი? — ისე სთხოვა უსუმბამ ცებაის, თითქოს ცებაი უნდა გაფრენილიყო, და არა ყვავი.

— ვთხოვოთ...

— საოცარია, ორი სტუმარი გვეწვია უცხო მხარიდან — ლილე და თეკლა, ერთმა შერისხულებთან ამოჰყო თავი, მეორემ კი გრძნეულებთან...

— ორი რატომ, სამი. რუფია უბრალო ყვავი არ გეგონოს... აქედან ორს მეგობარი დავავიწყეთ, აბარდაგანის საქმეებს გადაჰყვნენ. სტუმარმასპინძლობაც ამას ჰქვია.

შეღამებისას მგზავრებს სიმღერის ხმა მოესმათ. ტყის ხალხი ტყისადმი მიძღვნილ ჰიმნს მღეროდა. იტური უკვე ხელის გაწვდენაზე იყო.

თავი მეოცე

ნასარის ჯურღმულები

ლილეს საკანი სულაც არ ჰგავდა საპატიმროს ჯურღმულებს — არც ჰაერი აკლდა და არც შუქი, სასმელ-საჭმელიც უხვად მოჰქონდათ, ბევრად უფრო მრავალფეროვანი და გემრიელი, ვიდრე ალის სახლში. ლოგინიც ისეთი ფუმფულა ჰქონდა, ბავშვობა გაახსენდა. ორი მცველი მიუჩინეს, ერთი შერისხული — სახელად კაპო, სულ მთლად ახალგაზრდა, ჩოჩრისთავიანი; მეორე სოთა — ჩვეულებრივი ადამიანი, შუახნისა, წელში ოდნავ მოხრილი, გრძელი, უკანშეკრული ჭაღარა თმით. ლილე გრძნობდა, ორივე კეთილად იყო მის მიმართ განწყობილი. თუმცა, მას არც ფუფუნება უნდოდა, არც ზედამხედველთა კარგი დამოკიდებულება. იორუბას დარდი კლავდა, — არ იცოდა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. საკუთარ თავზე ბრაზობდა, ნასარის ფანდს როგორ ვერ მივხვდი, მახეში როგორ გავები და ბესანჯთან ერთად აქ ამოვყავი თავიო. დღე არ გავიდოდა, არ გახსენებოდა ყველაფერი, რაც იმ ავბედით დღეს მოხდა. ან კი რა დაავიწყებდა. ტუალანუში ალის წასვლიდან ორ კვირაზე მეტი იყო გასული, რომ დედოფლის მსახურებმა შუაღამისას გააღვიძეს. ყველაფერი ზედმიწევნით ახსოვდა, ან იმ ღამეს რა დაავიწყებდა. ნეფრიტის ტბამაც ნაადრევად გაიღვიძა და განსაკუთრებული ძალით ბობოქრობდა.

— წაიყვანეს, იორუბა მოიტაცეს! — ყვირილით შეცვივდნენ მსახურები ლილეს საძინებელში. ლილემ სახეზე ვერც ერთი ვერ იცნო.

— ნასარის ჯარისკაცები იყვნენ. მცველები დახოცეს და იორუბა წაიყვანეს. — თავში ხელის ცემით უთხრა ერთმა მსახურმა.

ლილემ სწრაფად ჩაიცვა, იარაღი აიღო და გარეთ გავარდა. ბესანჯიც გაჰყვა.

— სად წაიყვანეს? გზა მაჩვენეთ! — შეჰყვირა ლილემ.

— აქეთ! — უთხრა ერთმა მსახურმა და ჭრაქით ხელში ლილეს წინ გაუძღვა.

მსახურები ლილეს სასახლის სარდაფებში ჩაუძღვნენ და ერთ მომცრო კართან მიიყვანეს.

— ჩვენ აქამდე ვდიეთ, მერე ისევ შენი გაღვიძება გადავწყვიტეთ! — უთხრა ერთმა.

ლილემ კარი შეაღო. ხვეული კიბე სიბნელეში ეშვებოდა. ლილემ მსახურს ჭრაქი ჩამოართვა.

— მე კიბეს ჩავუყვები, თქვენ სასახლის სხვა მცველები მოძებნეთ და წამოიყვანეთ. ფაროსაც გააგებინეთ. მთელი ქალაქი ფეხზე დააყენეთ!

მსახურები გასასვლელისკენ სირბილით გაემართნენ. ლილემ ჭრაქით კიბე გაანათა და კარის ზღურბლს გადააბიჯა. ფეხი ძირს დადგა თუ არა, კიბემ ჭრიალი დაიწყო. ლილემ მოაჯირზე ხელის მოკიდებაც ვერ მოასწრო, რომ საფეხურები ერთიანად ჩაიშალა და ლილე ბესანჯიანად ჩაიყოლა. გრძნობადაკარგული დაბეჟილი სხეულის ტკივილმა მოიყვანა გონზე, — იარაღაყრილი და გაკოჭილი საკანში იყო გამომწყვდეული, ბესანჯიც იქვე ახლოს იწვა. ლილე ძლივს წამოდგა, გარშემო ყველაფერი ტრიალებდა. არეული ნაბიჯით ძაღლამდე ძლივს მივიდა და ხელისკანკალით თოკისგან გაათავისუფლა ცოცხალ-მკვდარი ცხოველი. ბესანჯი ნაცემი იყო, დრუნჩი და ყურები დასისხლიანებული ჰქონდა. მოფერებაზე მხოლოდ პირის გალოკვით უპასუხა. ლილემ თავისი საწოლიდან ქვეშაგები აიღო და ბესანჯს გაუფინა. მაგიდაზე დოქი შენიშნა, წყლიანი აღმოჩნდა. წყალი პეშვით ძაღლს პირთან მიუტანა. ბესანჯმა თავი ასწია და ხარბად დალია. ლილესთვის ყველაფერი ცხადი იყო. ნასარმა იორუბას მსახურები მოისყიდა და ლილე წინასწარდაგებულ ხაფანგში გააბა.

რამდენიმე დღეში თავად ნასარმაც დახედა ტუსაღს. მთავარი ვეზირი გამარჯვებული კაცის ამაყი ნაბიჯებით მიუახლოვდა ლილეს საკანს. მაგრამ შიგ არ შევიდა, გისოსების მიღმა არჩია დარჩენა და იქიდან საუბარი.

— იორუბას რა უყავი, შე ნაძირალა! — შეუყვირა ლილემ ნასარს.

— პატარა თაგვივით დაემართა. იმდენი თხარა, სანამ კატას არ მიადგა. კატამ კი, არც აცია, არც აცხელა, და პირი გრძელ კუდში

სტაცა. ერთი ყლუპი და წრუწუნას საქმე დამთავრდა. არ მითხრა ოღონდ, კატის ბრალიაო. თაგუნა რომ ჭკვიანად ყოფილიყო თავის სოროში, კატის ხახაში არ აღმოჩნდებოდა.

— ის მაინც მითხარი, ცოცხალია?!

— თუ ცოცხალია, ისეთ დღეში იქნება, ალბათ სიკვდილს ნატრობს. — არხეინად მიუგო ნასარმა.

— შენი შვილი რომ ჩამოვა, რა პასუხს გასცემ, თუ შენისთანა ნადირები საკუთარ შვილებსაც არ ინდობენ! — ზიზღით უთხრა ლილემ.

— ალის ისეთ ამბავს დავახვედრებ, გულიდან ერთხელ და სამუდამოდ ამოიგდებს იმ სულელი გოგოს სახეს. აი, შენზე დიდი მტერი კი არ ეყოლება.

— ასეთი რა მზაკვრობა ჩაიფიქრე ნეტა. კარგად დაიმახსოვრე, ნასარ, არაფერს შეგარჩენ. ჩემს იარაღს თვალისჩინივით გაუფრთხილდი, განსაკუთრებით ხალიბური ფოლადის ხმალს, შენს კისერზე მალე დავუშვებ. — დაემუქრა ლილე მთავარ ვეზირს.

— ჰა, ჰა, ჰა! არ შემაშინო! ამ გისოსებს კბილებით დაღრღნი თუ ბესანჯს დააღრღნევინებ? არც იფიქრო. ხომ არ დაგავიწყდა, ზევით ასასვლელი კიბე ფეხქვეშ რომ დაგეშალა, კიბის თავზე კარი ხომ გახსოვს, ისიც ამოვაქოლინე.

— კედლებში სიარული დაგიწყია. თუ ყველაფერი ამოქოლე, თავად როგორღა მოხვედი. — იხტიბარი არ გაიტეხა ლილემ.

— ჩათვალე, რომ გამოიცანი, კედლებში ვისწავლე გასვლა.

— ასეთ პატივში რად მაცხოვრებ. რას ელი ჩემგან? — ჰკითხა ლილემ მომღიმარ ნასარს.

— არ გეწყინოს, ჯერ ვერ გეტყვი. პირობას გაძლევ, მალე გაიგებ. ზუსტად სიკვდილის წინ. — გესლიანად გადაიხარხარა ნასარმა. — ახლა უნდა დაგემშვიდობო. ქვეყანა საქმე მაქვს. დღეს ბიგო მაქვს სამართავი, ხვალ იქნებ სალიტულაც... შენი მეშვეობით.

ლილე ნასარის ბოლო სიტყვებმა საგონებელში ჩააგდო. მიხვდა, მთავარი ვეზირი მთელი აბარდაგანის ხელში ჩაგდებას აპირებდა, თანაც დამხმარედ და მარჯვენა ხელად ლილეს გამოყენება სწადდა. ლილეს ყელში ბოლმა მოებჯინა, ოთხ კედელში გამომწყვდეულს თავს ზევით ძალა არ ჰქონდა, მაგრამ უიმედობა მაინც არ უგრძვნია. თუ

ნასარი ლილეს გამოყენებას აპირებდა, ლილემ მისი მსახურების დახმარებით გადაწყვიტა ციხიდან თავის დაღწევა.

ღამით ირიელს კაკუნის ყრუ ხმა შემოესმა, რომელიც დილამდე არ შეწყვეტილა. ჯერ ოქროს საბადოების ექო ეგონა ლილეს, მაგრამ, კარგად რომ დააკვირდა, მიხვდა, მაღაროში ურის ცემა არ უნდა ყოფილიყო, უფრო პატარა ჩაქუჩის ან საჭრეთლის კაკუნს ჰგავდა. ხმა მონოტონური იყო და მცირე შესვენებებით მეორდებოდა. ლილეს ძილ-ბურანშიც კი ჩაესმოდა გულის გამაწყალებელი რაკარუკი.

დილით მცველები შეიცვალნენ. შერისხული კაპოს მაგივრად სოთა მოვიდა. საუზმეც მან შეაწოდა. ლილემ მცველის ჩაწითლებული თვალები მაშინვე შეამჩნია.

— ღამის კაკუნმა არც შენ დაგაძინა? — ჰკითხა ლილემ.

— კაკუნმა? — შეცბა სოთა.

— ჰო, კაკუნმა. ალბათ, სადღაც ახლოს, გვირაბი გაჰყავთ.

— აჰ, ამ კაკუნმა? — დაბნეულად მიუგო სოთამ და გისოსებს სასწრაფოდ მოშორდა.

ლილემ მსუბუქად ისაუზმა და კვლავ გაქცევაზე განაგრძო ფიქრი, რომელიც ჯურღმულში მოხვედრის პირველი დღიდან არ შორდებოდა. მცველები ძველებურად არ გაურბოდნენ და მათთან დალაპარაკებაც შეიძლებოდა. უკვე დრო იყო, აქედან თავის დაღწევაზე სერიოზულად ეფიქრა. სოთას იმედი უფრო ჰქონდა, მით უმეტეს შერისხულიც არ იყო. ამიტომ მასთან უფრო დაახლოება გადაწყვიტა.

— ოჯახი თუ გყავს, სოთა? — ჰკითხა მცველს.

— არა!

— არც არასდროს გყოლია?

— არასდროს.

— მე კი მეგონა, დიდი ოჯახი გეყოლებოდა.

— ვითომ რატომ? — გაიკვირვა სოთამ.

— უძილობა მონატრებამ და დარდმა იცის, — საყვარელი ხალხის მონატრებამ და მათ გამო დიდმა დარდმა.

— არა, ერთი ახლობელიც არა მყავს. — ამოიოხრა სოთამ.

— შერისხულებთან როგორ მოხვდი, მოგიტაცეს თუ აქ დაიბადე? — ჩაეძია ლილე.

— აქ დავიბადე.

— ნასარის ნდობა რით დაიმსახურე, ჩემს მცველად რომ დაგაყენა.

— რას გაუგებ ნასარს. ერთი ჩვეულებრივი მსახური ვიყავი. უეცრად ხელი დამტაცა და აქ, შენს სადარაჯოდ მომიყვანა.

— ჰო, მართლა, რას გაუგებ ნასარს. ჩემი სიძულვილი კლავს, აქ კი მეფურად მაცხოვრებს. სოთა, დედოფლის შესახებ ხომ არაფერი გაგიგია?

— არა, მცველები აქედან არ გავდივართ. ყველაფერს, რაც გვჭირდება, ზევიდან თოკით გვაწოდებენ.

— ცხელ საუზმესაც?

— არა, აქ გიმზადებთ. საჭმლის მარაგი საკმაოდ გვაქვს. ზევით ცოტა ხნით რომ დავავიწყდეთ, მშივრები არ დავიხოცებით.

— ზევით ბიგოა? — დაინტერესდა ლილე.

— არა, ბიგოდან ძალიან შორს ვართ, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. თუმცა, ნასარის ჯურღმულები ლაბირინთია. შეიძლება ერთი კვირა იარო და ისევ იქ მიხვიდე, საიდანაც მოგზაურობა დაიწყე.

— მაშინ ცუდად ყოფილა თქვენი საქმე!

— ჩვენი საქმე? შენ ოთხ კედელში ხარ გამომწყვდეული და ჩვენ გვაქვს საქმე ცუდად?

— აბა, რა?! ხომ შეიძლება ნასარს აღარ დასჭირდეთ და უბრალოდ დაგივიწყოთ. უკანდასაბრუნებელი გზა არა გაქვთ, არც შენ და არც კაპოს.

— კაპოსი რა მოგახსენო, მე კი ნასარი არ დამივიწყებს... — უეცრად წამოსცდა სოთას.

ლილეს ყურში მოხვდა სოთას უნებლიე აღიარება, მაგრამ მცველი რომ არ დაეფრთხო, ყურადღება არ გაამახვილა, ვითომ ვერც გაიგონა.

ახალი თავსატეხი გაუჩნდა ლილეს. ვინ უნდა ყოფილიყო სოთა და ნასარი რატომ ვერ დაივიწყებდა? ეს ახალი კითხვაც პასუხს მოითხოვდა და რაც შეიძლება სწრაფად. იქნებ სწორედ ეს პასუხი გამოსდგომოდა გასაღებად, როცა საქმე გაქცევაზე მიდგებოდა.

მთელი დღე ფიქრობდა. ნათესაობა გამორიცხა. ბიგოს მთავარ ვეზირს საიდან უნდა ჰყოლოდა ნათესავად ჩვეულებრივი ადამიანი, ეს შეუძლებელი იყო. ლილეს ჯუფრას სიტყვები გაახსენდა, აბარდაგანში ყველაზე პატივსაცემი ხალხი კვამლის წამკითხველები,

გამყოლები და ნიღბების ოსტატები არიანო. ლილემ ბიგოში კვამლის წამკითხველებიც ნახა და გამყოლებიც. აი, ნიღბების ოსტატი კი არასდროს უნახავს. თუმცა ერთხელ ალიმ უთხრა, ტუალანუში გამოტანილი დედოფლის ნიღაბი ჩვენებური ოსტატის ნახელავიაო. თუ სოთა ნიღბების ოსტატი იყო, ნასარს დარაჯად რად უნდა დაეყენებინა. ლილეს დასკვნების გაკეთება უჭირდა.

რაც დრო გადიოდა, ლილეს დღეების სათვალავი სულ უფრო ერეოდა და მხოლოდ მცველების შეცვლით იგებდა, დღე იყო თუ ღამე. სოთას წასვლიდან ცოტა ხანში ლილეს კვლავ ჩაესმა კაკუნის ხმა. თუმცა, ამჯერად, ბევრად უფრო შორიდან ისმოდა, უფრო ყრუდაც, სამაგიეროდ ბევრად სწრაფი დარტყმებით. ხმა ქვის ტეხვას არ ჰგავდა, ქვას ასეთი სისწრაფით ურეს ან წერაქვს ვერავინ დაარტყამდა. ნამდვილად საჭრეთლითა და პატარა ჩაქუჩით მუშაობენ, — ახლა ამაში სავსებით დარწმუნებული იყო ლილე. რამდენიმე დღეს კიდევ აკვირდებოდა. ხმა სწორედ მაშინ მოდიოდა, როცა სოთას მორიგეობის დრო არ იყო. ლილე სოთას ხელებს დააკვირდა. მის მარჯვენა ხელს საჩვენებელ და ცერა თითებზე შეწითლება შეამჩნია. ახლა ლილესთვის ცხადზე ცხადი გახდა: სოთა ნიღბების ოსტატი იყო, და როცა ტუსაღს არ დარაჯობდა, ნიღაბს ჭრიდა. თანაც მის ნიღაბს. ლილეს უბრალო ნიღაბს მთავარი ვეზირი ვერაფერში გამოიყენებდა. მას მხოლოდ ლილეს სველთვალებიანი ნიღაბი სჭირდებოდა. სოთა კი ის ოსტატი იყო, ვისაც ასეთი ნიღბის გამოჭრა ხელეწიფებოდა. ახლა გასაგები იყო სოთას თავდაჯერება, ნასარი არ დამივიწყებსო. ბიგოს მთავარი ვეზირი სველთვალებიანი ნიღბების ოსტატს მართლაც არ დაივიწყებდა. ლილესთვის ისიც ცხადი იყო, რატომ აცხოვრებდა ნასარი ასეთ კარგ პირობებში და რა უნდოდა მისგან.

* * *

დღეები დღეებს მიჰყვებოდა. ლილეს ირგვლივ არაფერი იცვლებოდა. მხოლოდ ბესანჯი გრძნობდა თავს უკეთესად და ფეხზე წამოდგომაც სცადა.

— სოთა, როდის დაამთავრებ ჩემს სველთვალებიან ნიღაბს? —

მცველისთვის ლილეს შეკითხვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ტუსაღისთვის გამზადებული სადილი ხელიდან გაუვარდა.

— რა ნიღაბზე მელაპარაკები, მე რა ნიღბების ოსტატი მნახე? — მხრები უმწეოდ აიჩეჩა სოთამ.

— უბრალო ოსტატი კი არა, სველთვალებიანი ნიღბების ოსტატიც ხარ. გეყოფა თავის მოკატუნება. მთელი ღამე ყურში მიკაკუნებ, შენ რა გგონია, ვერ ვხვდები, რას აკეთებ?!

— ნასარს არაფერი უთხრა, თორემ სიცოცხლეს გამომასალმებს. — უეცრად გისოსების წინ მუხლებზე დაეცა სოთა.

— სიცოცხლეს ისედაც გამოგასალმებს. ნასარი ჩემი ნიღბით აბარდაგანის მთავრობას აპირებს. მისი საიდუმლოს მცოდნე ერთადერთი შენ იქნები. როგორ გგონია, ცოცხალს დაგტოვებს?!

— მარტო მე რად მეცოდინება, კაპომაც ყველაფერი მშვენივრად იცის... — აბუტბუტდა სოთა.

— შენც ნახე რა ხელშეუხებელი არსება. არც მას დაინდობს. ორივეს ამ ჯურღმულებში დაგტოვებთ სამუდამოდ.

— ამაზე არ მიფიქრია... არა, ნასარი ამას არ იზამს.

— აბა წარმოიდგინე, შენ რომ ჩემი ნიღბით მთელი აბარდაგანის მმართველი გახდე, დაუშვებ ქვეშევრდომებში ისეთი კაცი გყავდეს, შენთვის ნიღბის ჩამოხსნა რომ შეეძლოს? თანაც ეს კაცი შენი არც ნათესავია და არც ახლობელი. გაუშვებდი ცოცხალს?!

— არა! — დაიღრიალა სოთამ და თავში ხელები წაიშინა. — მართალი ხარ, როგორც კი შენს ნიღაბს დავამთავრებ, ნასარი თვალებს დამიბნელებს.

— ჰოდა, გავიპაროთ! სანამ დროა, აქაურობას დავაღწიოთ თავი.

— შეუძლებელია! ასასვლელ კიბეს მხოლოდ ზევიდან უშვებენ. ნასარმა წინასწარ იზრუნა, რომ არ გავპარულიყავით.

— ნიღაბი დაასრულე? — ჰკითხა ლილემ სოთას.

— ჯერ არა. მხოლოდ გარედან მაქვს დამუშავებული ნაწილი.

— აი, რა გავაკეთოთ. ნასარს დაუსრულებელი ნიღაბი მიეცი. მხოლოდ, მან არაფერი უნდა იცოდეს. თუ ცოცხალს დაგტოვებს, ხომ გამოასწორებ ხარვეზს. თუ არა — შურს მაინც იძიებ მასზე.

— მართალი ხარ. თავად როგორ ვერ მივხვდი? — შეფუცხუნდა სოთა. — ნიღაბს მხოლოდ ცალ თვალს გავუკეთებ სველს, იმასაც

უმნიშვნელოდ. — დაიქადნა მან. — დაკვირვებული თვალი მიხვდება, რომ შენს ნიღაბს სხვაა ამოფარებული. სახით ერთნი იქნებით, ქცევით სხვადასხვა.

მთელი მორიგეობა სოთა საკუთარ თავს ხმამაღლა ეჩხუბებოდა. ლილემ ისიც კი იფიქრა, ხომ არ გაგიჟდაო. სოთასთვის რომ გეკითხათ, ასეთ საღ გონებაზე პირველად იყო. ლილემ თვალები აუხილა და ნასარის მზაკვრობას მიახვედრა. მთავარ ვეზირზე გაბრაზებულმა ლილესთვის საკნის კარის გაღება და იარაღის მიცემა დააპირა, მაგრამ დროებით თავი შეიკავა. ვაითუ, ლილეს ვარაუდი ტყუილი გამოდგეს და ნასარი სულაც არ ფიქრობს ჩემს თავიდან მოშორებასო. სოთამ მტკიცედ გადაწყვიტა, ლილე საკნიდან მაშინ გაეთავისუფლებინა და იარაღი მაშინ მიეცა, თუ მთავარ ვეზირს ღალატს თვალნათლივ შეამჩნევდა. მანამდე კი ყველაფერი ძველებურად უნდა დარჩენილიყო.

თავი ოცდამეერთე

ღია კარში ჩაკეტილნი

ერთი თვე უსასრულოდ გაიწელა. ლილეს დღე და ღამე მთლად აერია. დროის გასაყვანად სულ ვარჯიშობდა. ბესანჯიც გამოჯანმრთელდა, ჭრილობები შეუხორცდა, ბეწვმა ძველებური ბრნყინვალება დაიბრუნა.

ერთ მორიგეობაზე სოთამ ნაჭერში სათუთად შეხვეული ნივთი შემოიტანა და ფრთხილად მაგიდაზე დადო.

— იცი, ეს რა არის? — ჰკითხა დაბალი ხმით ლილეს.

— ვხვდები, ჩემი სველთვალებიანი ნიღაბია. დაასრულე?

— არა, ჯერ ბოლომდე მზად არაა, მხოლოდ ნასარისთვის არის მზად.

— არ მაჩვენებ? — სხვათა შორის ჰკითხა ლილემ.

— როგორ არა?! — სოთამ ნიღაბს ნაჭერი მოხსნა და დაანახვა. ლილეს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს საკუთარ თავს შეხვდა.

— მოგწონს? — შექებას დაელოდა სოთა.

— შესანიშნავია! — აღტაცებით წამოიძახა ლილემ, — მაგრამ სამწუხაროა, ნასარი რომ გაიკეთებს და ჩემი სახელით ათას ბოროტებას ჩაიდენს. — დაამატა დანანებით. — იქნებ სულაც არ მიგეცა, გეთქვა, ლილეს ნიღაბი არ გამომდის-თქო.

— თავგზას ნუ მიბნევ. ეს რომ ვუთხრა, იქვე გამაფრთხობინებს სულს. — შეიცხადა სოთამ და ნიღაბი სასწრაფოდ ისევ ნაჭერში გაახვია.

— დღესვე გადასცემ?

— რა თქმა უნდა. ვწუხვარ, ნასარი თუ არ მიღალატებს, ვერაფრით დაგეხმარები. — მოიბოდიშა ნიღბების ოსტატმა.

— ამას მალე შევიტყობთ. — უპასუხა ლილემ.

სოთამ ნიღაბი ასასვლელთან მიიტანა და წვრილი ზონარი ჩამოქაჩა. მალე ზემოდან ხმა მოისმა:

— რა გინდათ?

— ნასარის ნახვა მინდა. სოთა ვარ. საჩუქარი მაქვს მთავარი ვეზირისთვის გადასაცემი. — შეჰყვირა სოთამ.

— შენ მაგაზე როგორ შეგაწუხებთ, კალათას ჩამოვუშვებთ და შიგ ჩადე, ჩვენ თვითონ გადავცემთ. — იყო ზემოდან პასუხი.

— არა, თქვენ ვერ განდობთ. თავად უნდა გადავცე.

— კარგი, კიბეს ახლავე ჩამოვუშვებთ!

სოთამ შვებით ამოისუნთქა. ნასარი მის ჯურღმულებში ჩატოვებას არ აპირებდა. თოკის კიბეს სოთა ნელ-ნელა აუყვა. ორმოდან განათებულ ოთახში ამოჰყო თავი, თვალი მოეჭრა, რამდენიმე ნაბიჯი ძლივს გადადგა და წაბარბაცდა.

— ფრთხილად, უკან არ ჩავარდე! — ჩაიცინა ვიღაცამ და ხელიდან ნიღაბი ჩამოართვა.

მზერადაბინდულ სოთას გვერდში ორი შერისხული ამოუდგა, ზევით ასწიეს და ისე წაიყვანეს. ნასარის ჯარისკაცებისაგან ასეთი ზრუნვა კეთილად ენიშნა ნიღბების ოსტატს, მაგრამ სიხარული დიდხანს არ დასცალდა. უეცრად ჯარისკაცებმა ხელი გაუშვეს და სოთამ თავისუფალი ფრენის შემზარავი სიმსუბუქე იგრძნო. შერისხულებმა იგი ისევ ორმოში ჩააგდეს. კიდევ კარგი, ორმოს ძირში მდგარმა კაპომ გვერდით სწრაფად გაათრია, თორემ ზემოდან ჩამოყრილი ლოდები ჩაქოლავდა. ნასარის ბრძანებით შერისხულებმა ამოსასვლელი საგულდაგულოდ ამოქოლეს.

— ვაი, ვაი! მოგვატყუეს! — ხრიალებდა ტკივილისა და ღალატისგან გამწარებული სოთა.

მისმა ღრიალმა ლილემდეც მიაღწია. გულგახეთქილი კაპო ლილესთან მივარდა.

— ჩაგვკეტეს! რაღა გვეშველება! ასასვლელი ამოქოლეს! — ყვიროდა და თან ხელებს აქეთ-იქით აქნევდა.

— ყვირილს გირჩევნია, დაწყნარდე და აქედან გამომიშვა! — მკაცრად მიმართა ლილემ.

კაპომ აკანკალებული ხელით გასაღები ძლივს მოარგო კლიტეს. ლილემ ღია კარს შეხედა და ჩაეცინა — თუ ჯურღმულს გასასვლელი

არა აქვს, კარი ღია იქნებოდა თუ დაკეტილი, ერთი ფასი ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ლილე მაინც იმედიანად იყო.

— აქეთ წამოდი, აქეთ! — კაპომ ლილე დამტვრეულ სოთასთან მიიყვანა.

— ფეხზე წამოდგომა შეგიძლია? — შეეკითხა ლილე.

— არა, ფეხებს ვერ ვგრძნობ, თავის გატოკებაც არ შემიძლია! — ძლივს ამოილულღლულა სოთამ, — მგონი, ვკვდები.

— კაპო, მომეხმარე, ერთად ავწიოთ და საწოლზე დავაწვინოთ. — საშველად მოუხმო შერისხულს ლილემ, მაგრამ სოთას განძრევა სცადეს თუ არა, ნიღბების ოსტატს ტკივილისაგან სახე დაეღრიჯა და გონი დაკარგა.

— მგონი, კვდება! — თქვა შეშინებულმა კაპომ.

ლილემ მკერდზე ყური დაადო. სოთას შენელებული გულის ფეთქვა ოდნავღა ისმოდა, ბოლოს სულაც შეწყდა.

— ახლა რა ვქნათ? — პატარა ბავშვივით იკითხა კაპომ.

— ახლა აქედან უნდა გავიდეთ, მაგრამ ჯერ ამ უბედურს ქვები მაინც მივაყაროთ. ასე ხომ არ დავტოვებთ?!

— ესეც ასე! — ხელები დაიფერთხა კაპომ, როცა საქმე დაასრულა. — წამოდი, რა მოგცე! — კაპო ლილეს ერთ პატარა საკანში შეუძღვა. ოთახში მაგიდაზე ლილეს იარაღი იდო — ცეცხლოვან მიწებზე გამოჭედილი ხმალი.

— მიკვირს, ჩემი იარაღი როგორ არ წაიღო ნასარმა. — ლილე ვერც კი წარმოიდგენდა, მისი ხმალი მთელი ამ ხნის განმავლობაში თუ გვერდით საკანში იყო შენახული.

— არ წაიღო კი არა, ვერ წაიღო. რამდენჯერაც მისი აღება სცადა, იმდენჯერ ცუდად გახდა. კანკალმა აიტანა და გონი დაკარგა. ამიტომაც, შენს სხვა ნივთებთან, ერთად აქ დატოვა. — აუხსნა მიზეზი კაპომ.

აქამდე თუ ბესანჯი ლილეს გვერდიდან არ შორდებოდა, ახლა ხან ერთ მხარეს გაიქცეოდა, ხან — მეორეს. ირგვლივ ყველაფერს ყნოსავდა. ერთ ადგილას შეჩერდა და ნკავწკავი მორთო, თითქოს ლილეს თავისთან უხმობდა.

— რა მოგივიდა?! — თავზე ხელი გადაუსვა ლილემ ძაღლს.

ბესანჯი დრუნჩით კედელს შეეხო. ლილემაც მიბაძა. ძაღლმა

რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა, მერე მთელი ძალით გაქანდა და კედელს შეეჯახა. ლილე ძაღლს მიუხვდა — ბესანჯი კედლის განგრევას ცდილობდა. ზევიდან ჩამოცვენილი ლოდებიდან ლილემ ერთი მოზრდილი ქვა აიღო და კედელს მთელი ძალით მიარტყა. კედელი ჯერ შეზანზარდა, მერე კი ზრიალით ჩამოიქცა. ნანგრევების მიღმა სიბნელეში ჩაკარგული გვირაბი გამოჩნდა.

ლილემ და კაპომ რამდენიმე დღის საგზალი, წყალი და ჭრაქისთვის საჭირო ზეთი ზურგზე აიკიდეს და გვირაბს გაუყვნენ.

— მეშინია! — რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ გამოუტყდა კაპო ლილეს.

— თუ გინდა, უკან დაბრუნდი! — შესთავაზა ლილემ.

— არა, რას ამბობ?! ძალით რომ გამაგდო, მაინც არ წავალ! — შეიცხადა ლილეს წინადადება კაპომ. — საგზალი და წყალი რომ გაგვითავდება, მერე რა ვქნათ?

— ერთმანეთი შევჭამოთ! — გაეცინა ლილეს.

— შენს ადგილას მეც არხეინად ვიქნებოდი. — შენატრა კაპომ ლილეს.

— ხომ არ გავიწყდება, კაპო, რომ ორივენი აქა ვართ. სხვაგან ხომ არ გეგულები?

— არა, სულ სხვა რამ ვიგულისხმე, შენ ისეთი გულადი ხარ, შიში არ გეცოდინება, მე კი მთელი გულ-მუცელი მიცახცახებს.

— კაპო, პირობას გაძლევ, აქედან გაგიყვან. დაიწყნარე გულ-მუცელი. ახლა შენი წუწუნის მოსმენა არ მინდა. ისე კი იცოდე, არ არსებობს ადამიანი, რაიმესი მაინც რომ არ ეშინოდეს.

— შენც გეშინია?! — გაოცება ვერ დამალა კაპომ. — ბესანჯის პატრონსაც თუ ეცოდინებოდა, რა არის შიში, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი...

— ჰა, ჰა, ჰა! — გულიანად გაეცინა ლილეს.

— მატყუებ ხომ, ასეც ვიცოდი! მატყუებ!

ბესანჯი ლილეს და კაპოს წინ მიუძღოდა. გზადაგზა გვირაბი ორად იყოფოდა. გზაჯვარედინებზე ძაღლი დიდხანს წრიალებდა, ყველაფერს ყნოსავდა და ლოკავდა. სწორი გზის არჩევა იოლი არ იყო. როცა არჩევანში დარწმუნდებოდა, მხოლოდ მაშინ აგრძელებდა გზას. ლილე და კაპო დიდი მოთმინებით ელოდებოდნენ ბე-

სანჯის გადაწყვეტილებას. ორივეს ბედი ახლა მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული. იშვიათად ისვენებდნენ. დასაძინებლადაც მხოლოდ მაშინ წვებოდნენ, როდესაც ფეხზე დგომის თავი აღარ ჰქონდათ. წყალი გაუთავდათ, სადაცაა ჭრაქიც ჩაუქრებოდათ. ისევ გზაჯვარედინს მიადგნენ. ლილემ კაპო თოკით გადაიბა. ბესანჯს კისერზე ქამარი შეაბა და მეორე ბოლო ხელში დაიჭირა. ბესანჯმა გვირაბის მარცხენა განაყოფი აირჩია. მბჟუტავი ჭრაქი ოდნავღა ანათებდა. უეცრად გვირაბი ქვის ურდულით ჩარაზული ორფრთიანი კარით დამთავრდა. ლილემ და კაპომ რკინის ურდული ძლივს ასწიეს. კარი მძიმედ გაიღო და გვირაბი უშველებელ ბუნებრივ მღვიმეში გავიდა. ლილეს წყლის წვეთების წკაპუნი მოესმა. საწრაფოდ ხმას მიჰყვა. მღვიმის მარჯვენა მხარეს, კედელს წყალი წანწკარით მიუყვებოდა და ძირს პატარა ჩაღრმავებაში გროვდებოდა. კაპო ძირს დავარდა და წყლის ამოხვრეპა დაიწყო.

— ახლა ამის დრო არ არის! — წამოაყენა ფეხზე ლილემ, — ხედავ იმ ყუთებს, სასწრაფოდ ვნახოთ, ჭრაქების ზეთი ხომ არ არის?

ორი მომცრო ყუთი მათგან ათიოდე ნაბიჯში იდო, უფრო დიდი კი ოდნავ მოშორებით. პირველში ოქრო და ძვირფასეულობა იპოვეს, მეორეში — გამხმარი ორცხობილები და გამომშრალი ხილი. აი, მესამეში ჩაიხედეს თუ არა, ჭრაქიც ჩაუქრათ. ლილემ უკვე სრულ სიბნელეში ამოიღო ყუთიდან პატარა ბიდონი, თავი მოხადა და ჩასუნა.

— ნახე რამე? — სასოწარკვეთილი ხმით ჰკითხა კაპომ.

— ვნახე! — მიუგო ლილემ, ხელის ფათურით მოხსნა ჭრაქს ხრახნი და ბიდონიდან ზეთი ჩაასხა. აბგიდან კვეს-აბედი ამოიღო და ჭრაქი აანთო.

— როგორც იქნა! — შვებით ამოისუნთქა კაპომ და სიხარულისგან ლილეს გადაეხვია.

— ამას გადაეხვიე! — ლილემ კაპოს ბესანჯზე მიუთითა. — ამან გამოგვიყვანა წყალთან და საგზალთან. ახლა ვხვდები ამ გვირაბების დანიშნულებას. ბიგოდან გასაპარავი საიდუმლო მიწისქვეშა გზებია.

— ნასარმა გაიყვანა ალბათ! — დაასკვნა კაპომ.

— არა მგონია, ამ გვირაბების გათხრა ერთი კაცის სიცოცხლეში ვერ მოესწრებოდა. მაგრამ ნასარს აქაურობის შესახებ რომ ყველაფერი ეცოდინება, ამაში დარწმუნებული ვარ. ამ ყუთებსაც

მისი ბრძანებით დაალაგებდნენ. ყველაზე მეტად ის მაფიქრებს, კარის ჩამოკიდება და მისი ჩაკეტვა ასე საგულდაგულოდ რაში დასჭირდათ. ვის უფრთხოდნენ გვირაბის მეორე მხრიდან. ახლა გზაში მეტი ყურადღება გვმართებს. — გააფრთხილა ლილემ კაპო.

— აქ რომ ვინმე ცხოვრობდეს, ამ ყუთებს ხელუხლებელს არ დატოვებდა! — არ გაიზიარა კაპომ ლილეს აზრი.

— იქნებ აქ ისეთები ცხოვრობენ, რომელთაც ზეთი, ოქრო და გამხმარი ორცხობილა არ აინტერესებთ და ხორცს უფრო ეტანებიან?!

— ნადირს გულისხმობ?! — ჰკითხა კაპომ.

— აბა რა გითხრა, ამას გზაში ვნახავთ. მანამდე კი დავისვენოთ. ფეხზე ველარ ვდგები. წამოწექი და დაიძინე შენც.

ლილემ კაპოს დასვენების უფლება მისცა, ზეთის დაზოგვის მიზნით ჭრაქში ცეცხლს ჩაუწიეს. პირველმა კაპომ დაიძინა, მერე ლილემ. როცა ლილეს გამოელვიძა, უკვე წასაღებ წყალს ამზადებდა. ლილემ მიმოიხედა, ბესანჯი ვერსად დაინახა.

— დიდი ხანია, რაც ბესანჯი არ ჩანს? — ჰკითხა კაპოს.

— არც ისე. ახლახანს აქ იყო. მე უკვე ყველაფერი გავამზადე. აი, ბოლო მათარასაც ავავსებ და გზის გაგრძელებაც შეგვეძლება. ბესანჯის დაბრუნებამდე კი ვისაუზმოთ. გამხმარი ხილი მოვხარშე. ჯერ კიდევ თბილია.

— ბესანჯსაც აჭამე? — იკითხა ლილემ.

— არა, დაგავიწყდა, მტრის ხელიდან საჭმელს არ იღებს? მე კი ჯერ კიდევ მტრად მთვლის. — შეახსენა კაპომ ლილეს.

— არც ასეა საქმე. მტრად რომ გთვლიდეს, მძინარეს შენთან მარტოს არ დამტოვებდა.

— მართლა, დაუჯერებელია!... ბესანჯი უკვე მეგობრად მთვლის?!

— მეგობრობისა რა მოგახსენო, მაგრამ მტრად რომ აღარ ეგულები, ამას ვამჩნევ. ისე აღარ გიღრენს. აბა, ჩემი საუზმე სად არის? — ხელების ფშვნეტით მიუახლოვდა ლილე კაპოს. კაპომ თბილი თასი და გამხმარი ორცხობილა გაუწოდა. ლილემ მშრალი ხილის ნახარში მოსვა. ესიამოვნა. ნაყენს მოტკბო-მომჟავო გემო დაჰკრავდა. ლილემ ორცხობილა ნახარშში ჩაალბო და ისე შეჭამა.

— შემიძლია კიდევ დაგიმატო. — შესთავაზა კაპომ და ერთი

ორცხობილა გაუწოდა. ლილემ იუარა. ამასობაში ბესანჯიც გამოჩნდა და კუთვნილი ულუფა წყალში ჩამბალი პური მიიღო.

— ახლა კი გზა გავაგრძელოთ, მაგრამ მანამდე კარი ისევ ჩავკეტოთ. — ამჯერად კარი ბევრად უფრო ადვილად დაიმორჩილეს.

— აბა, საით წავიდეთ? — დაეკითხა ლილე ბესანჯს და უზარმაზარი ზურგჩანთა ზურგზე მოიგდო.

პატრონის შეკითხვაზე ბესანჯმა გრძელი ყურები უმალ ცქვიტა და უკვე შერჩეულ გზას დაადგა. ამჯერად გვირაბს კაცის ხელი აღარ ემჩნეოდა, ბუნების ნახელავი იყო — ბევრად ფართო, სამაგიეროდ, ოღროჩოღრო, უამრავი გასაძრომით.

ლილე დაძაბული მიდიოდა. ყურადღებით უსმენდა და აკვირდებოდა უმნიშვნელო ფაჩიფუჩს. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს დროდადრო უთვალთვალებდნენ. ბესანჯსაც ეტყობოდა მოუსვენრობა და ლილეს გვერდიდან არ შორდებოდა.

— წყნარად, წყნარად! — დაუყვავა ლილემ ძაღლს.

ბესანჯმა ლილე და კაპო მრავალიარუსიან მღვიმეში გაიყვანა. ლილემ ძირამდე თვალიც ვერ ჩააწვდინა. ახლა საცალფეხო ბილიკებზეც უხდებოდათ სიარული და ციცაბო კლდეებზე ჩასვლაც სჭირდებოდათ. რამდენჯერმე გზა მტკავლის სიგრძის პატარა არსებებმა გადაუჭრეს.

ბესანჯმა ვიწრო გვირაბი ამოირჩია და იქით წავიდნენ, ლილე და კაპო ახალ მღვიმეში გავიდნენ.

— ხომ არ დაგვესვენა? — მორიდებით სთხოვა ლილეს კაპომ.

— დავისვენოთ!

მღვიმეში სწორი ადგილი ამოირჩიეს და მბჟუტავ ჭრაქს აქეთ-იქით შემოუსხდნენ. კაპომ ლილეს წინ ნუშის ათიოდე გული, შებოლილი ხორცის პატარა ნაჭერი და ერთი ორცხობილა დადო, თვითონაც ასეთივე ულუფა გაიმზადა, ბესანჯისთვის კი ხორცის ორი ნაჭერი გაიმეტა.

— ერთი ამათ შეხედე! — მიანიშნა ჭრაქის ახლოს მოკალათებულ უცნაურ არსებებზე ლილეს კაპომ.

ლილე მათ კარგად დააკვირდა. ტანით ნამდვილი ხვლიკები იყვნენ, მხოლოდ თვალების ზემოთ, თითქმის თავის სიგრძის ნახევარი, დატოტვილი რქები ჰქონდათ.

— რქოსანი ხვლიკების შესახებ გაგიგონია რამე? — ჰკითხა ლილემ კაპოს.

— არა, მეც პირველად ვხედავ. აბა, კარგად შეხედე, მარტო რქები კი არა, თითქოს დაკეცილი ფრთებიც აქვთ.

ლილემ ერთი ხელში აიყვანა, მტკაველზე ოდნავ პატარა იქნებოდა. ხვლიკს გაქცევა არც უფიქრია. ლილემ სულ ახლოდან დახედა უცნაურ არსებას და ზურგზე ფრთხილად გადაუსვა თითი. ხვლიკმა აპკის ორი ფრთა მარაოსავით გაშალა და შეეცადა ლილეს ცერა თითში სწვდომოდა. ლილემ სწრაფად დაიქნია ხელი და ხვლიკი ძირს დააგდო.

— ფრთხილად, შხამიანი არ იყოს? — კაპომ ფეხი ჰკრა ხვლიკს და მოშორებით გადააგდო. ხვლიკმა თაგვივით წრიპინი მორთო და გაიქცა. — შენ ისა თქვი, თუ ახლა დედასთან საჩივლელად გაიქცა, მიშველე, ორმა ცუდმა ძიამ სულ ნიხლები მირტყესო. — გაიხუმრა კაპომ, მაგრამ ლილეს სულ არ ეხუმრებოდა. გაფაციცებით უსმენდა შორიდან მომავალ ფეხის მძიმე ხმას, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. ბესანჯსაც ყურები დაეცქვიტა და ჰაერს აქეთ-იქით ყნოსავდა. მოზრდილი მღვიმის ვრცელი დარბაზის შუაგულში იყვნენ გაჩერებული. ლილე ფეხზე წამოდგა და ხმალი იძრო. ხმალმა მღვიმე ჭრაქზე უკეთესად გაანათა. ლილემ მადლიერებით დახედა ცეცხლოვან მიწებზე გამოჭედილ ხმალს, რომელსაც წყვდიადის განკვეთის უნარი აქაც არ დაეკარგა.

— ეს რაა, მგონი, ვიღაც გვიახლოვდება. — უცნაური ხმა კაპომაც გაიგონა. იმანაც იარაღი იშიშვლა და ლილეს გვერდში ამოუდგა, თან ლილეს მანათობელ ხმალს თვალს ვერ აშორებდა.

უეცრად ფეხის ხმა ფრთების ტყლაშუნის ხმამ შეცვალა და მათ წინ ნამდვილი ურჩხული აღიმართა.

— ესეც ჩვენი პატარა ხვლიკის დედიკო!.. — ჩაულაპარაკა ლილემ კაპოს.

კაპო გაოცებული შესცქეროდა ვეებერთელა რქოსან ხვლიკს, რომელიც მათკენ პირდაფჩენილი მოემართებოდა. პირველი ბესანჯი გადაუხტა ურჩხულს. თავგამოდებული უყეფდა, თან ერთ ადგილას ხტოდა. ხვლიკმა მთელი ყურადღება მასზე გადაიტანა, ამიტომ ვერც კი შეამჩნია, აქეთ-იქიდან როგორ მიუახლოვდნენ კაპო და ლილე.

შერისხულმა მთელი ხმით ისე დაიყვირა, რომ ბესანჯის ყეფის ხმაც კი გადაფარა. ხვლიკმა ახლა მისკენ იბრუნა პირი და ლილეს ზურგი მიუშვირა. ლილეც ამას ელოდა, როგორც პატარა გორაკზე, ხვლიკის ტანზე ისე აირბინა და მთელი ძალით მოქნეული ხმალი მის კისერზე დაუშვა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ თავი მსწრაფლ ძირს გაგორდა. კაპომ შვებით ამოისუნთქა, – წამი და ხვლიკი უკვე პირს სტაცებდა, ან სულაც რქებზე წამოაგებდა.

– ვშიშობ, ეს ხვლიკი აქ მარტო არ უნდა ცხოვრობდეს. უმჯობესი იქნება, თუ ამ ადგილს სასწრაფოდ გავშორდებით. – კაპო მაშინვე დაეთანხმა ლილეს და ბარგი სასწრაფოდ მოკრიბა.

– საით წავიდეთ? – ჰკითხა ლილემ ბენსაჯს.

ბესანჯმა გზის დასაზუსტებლად ჰაერი აქეთ-იქით რამდენჯერმე დაყნოსა, სწორი გეზი იპოვა თუ არა, კუდის ქნევით გზას გაუდგა. დროდადრო უკან იხედებოდა, თითქოს ამოწმებდა, ხომ არავინ მოგვდევსო. მისი სიფრთხილე ლილესაც გადაედო და უკან გახედვას უხშირა. ორი დღის სიარულის შემდეგ არაქათგამოცლილები პატარა ტბას მიადგნენ. ტბის ზედაპირს მზის სხივის ათინათები დასთამაშებდა. ლილემ მაღლა აიხედა. მზის სხივი გარეთ გასასვლელის უტყუარი ნიშანი იყო. მღვიმე ასასვლელად რთული ჩანდა, კაპო ფეხზე ძლივს იდგა. ბევრად შემსუბუქებული ტვირთითაც კი უჭირდა სიარული, ყოველ ორ ნაბიჯში ისვენებდა. დაქანცულებმა და მოშიებულებმა დასვენება გადაწყვიტეს.

ბესანჯი ტბაში შევიდა და თითქმის მეორე ნაპირამდე გაცურა. ერთი-ორჯერ ჩაყვინთა კიდეც. ცოტა ხანში პირში თევზგაჩრილი გამოვიდა წყლიდან.

– შენ გაიხარე! – საჭმლის დანახვით გახარებულ კაპოს დაღლა მყისვე გადაავიწყდა და ფეხზე წამოიჭრა. ძაღლს თევზი ჩამოართვა და მომზადებას შეუდგა. სულ მალე ბესანჯმა მეორეც მიუტანა, უფრო დიდი და მსუქანი.

– კაპო, აბა, ზევით აიხედე! – მიანიშნა ძაფივით მქრქალ ნაპრალზე ლილემ.

– რა ხდება ზევით, შენ გირჩევნია, აქეთ, დაბლა დაიხედო. სადაცაა თევზი შეიწვება. – ახლა კაპოს საჭმლის მეტი არაფერი ანაღვლებდა.

– ზევით გასასვლელს ვხედავ! – მიუგო ლილემ.

— მართლა? — ინება კაპომ ზევით ახედვა.

— აუჰ! რა მაღალზეა, იქამდე როგორ უნდა ავძვრეთ?! — იკითხა გასასვლელის მიუვალობით შეშფოთებულმა კაპომ.

— ის მფრინავი ხვლიკი არ უნდა მომეკლა, შემოვასხდებოდით და ავფრინდებოდით, — გაიხუმრა ლილემ.

კაპოს უნდოდა ეთქვა, ნუ გეშინია, აქ სხვა მფრინავი ხვლიკებიც ბლომად იქნებიან და ისინი აგვაფრენენო, მაგრამ ენაზე იკბინა, შეეშინდა, ადრინდელივით ხუმრობა ცხადად არ ქცეოდათ.

— რაღაცის თქმა გინდოდა, მგონი. — ჰკითხა მღვიმის გასანათებლად ხმალმომარჯვებულმა ლილემ.

— არაფერი ისეთი... მეფური სადილი გამოგვივიდა, თევზი უკვე მზად არის. — კაპომ ორი თევზი სამ თანაბარ ულუფად გაანაწილა, მხოლოდ ორივეს თავი ბესანჯს ერგო.

— დაისვენე? — დანაყრებისთანავე ჰკითხა ლილემ კაპოს, — ავიშალოთ, არა?

— ჰო, წასვლის დროა.

— რაც სწრაფად გავემზადებით, უკეთესია. თანაც, პატარა რქოსანი ხვლიკები ისევ გამოჩნდნენ.

— მერე აქამდე რად არ მითხარი? — იწყინა კაპომ.

— შენთვის მადის გაფუჭება არ მინდოდა, ისე გემრიელად ილუკმებოდი.

— უკვე მზადა ვარ! თან წასაღები აღარაფერი დაგვრჩა. ზეთიც, რაც იყო, სულ ჭრაქში ჩავასხი. მალე მხოლოდ შენი ხმლის ნათების იმედზეღა დავრჩებით.

ბესანჯი გასასვლელისკენ ამავალ ვიწრო ბილიკს დაადგა. ფრთხილად უნდა ევლოთ. გზა ციცაბო იყო და რაც უფრო ზევით ადიოდა, მით უფრო საშიშიც ხდებოდა. გადასავარდნად ფეხის ერთი დაცდენაც კმაროდა. ბესანჯი წინ მიდიოდა, შემდეგ კაპო, ლილე უკან მიჰყვებოდა მათ. გზის ნახევარზე მეტი ჰქონდათ გავლილი და უკვე საკმაოდ მაღლა იყვნენ. უეცრად ბესანჯი შეჩერდა და ყურები ცქვიტა.

— ბესანჯმა რაღაც იყნოსა! — შეშფოთებით უთხრა კაპომ ლილეს.

— სასწრაფოდ შვერილს ჩაეჭიდე. ეცადე, რაც შეიძლება მყარად დადგე! — გააფრთხილა ლილემ კაპო, თავად კი ხმალი მაღლა ასწია. ხალიბური ხმალი თითქოს ხელდახელ იკრებდა ძალებს და სულ

უფრო და უფრო კარგად ანათებდა იქაურობას. ლილეს ფრთების ტლაშუნი მოესმა. მათკენ ორი მოზრდილი რქოსანი ხვლიკი მოფრინავდა. ერთი ლილეს ეძგერა, მეორე კი კაპოს. ლილემ მაშინვე იარაღი დაახვედრა ხვლიკს და ისიც პირდაპირ ყელით შეასკდა. დაჭრილ ურჩხულს შემზარავი ხრიალი აღმოხდა. ლილეს ხმალზე წამოგებული ხვლიკი თავს აქეთ-იქით იქნევდა, ცდილობდა რქებით მაინც მისწვდომოდა მსხვერპლს, მაგრამ ლილეს ნაცვლად მეორე ხვლიკს გაუყარა კარგა ღრმად გვერდში. მეგობარმა ეს შეცდომა არ აპატია, კაპოს თავი ანება და მთელი ძალით მას დაეჯახა. ხმალგაჩრილი ხვლიკი დარტყმისგან მაღლა ავარდა და იარაღისგან გათავისუფლდა. ხვლიკებს ლილეცა და კაპოც გადაავიწყდათ და, ერთმანეთზე გამწარებულები, კბენა-რქენით ძირს დაეშვნენ.

— სასწრაფოდ ზევით ავიდეთ! — დაუყვირა ლილემ კაპოს, თან ბესანჯს დაუწყო თვალებით ძებნა. ძაღლი არ ჩანდა. ლილე გაჩერდა, ახლა ძირს დაიწყო ყურება.

— რაღას უცდი! — შეუძახა კაპომ.

— ბესანჯს ვეღარ ვხედავ!.. ძირს ხომ არ ჩავარდა.

— არა, ზევითაა. — ბესანჯს უკვე კარგა გვარიანად გაესწრო მათთვის.

დამრეცი ბილიკი საცაა გასასვლელს მიაღწევდა. ლილე და კაპო ბესანჯს მალე დაეწივნენ და თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვნენ. უეცრად ყურისწამღები წრიპინი მოისმა. ხმა დაბლიდან ამოდიოდა და თანდათან ძლიერდებოდა.

— ხედავ რამეს? — შესძახა კაპომ ლილეს.

— პატარები მოგვდევენ!

— აუ, რამდენნი არიან?! — შეჰყვირა კაპომ.

— ვიჩქაროთ! იქნებ ავასწროთ. ცოტაღა დაგვრჩა! — რიხიანად შეუძახა ლილემ შერისხულს. ბესანჯი უკვე ზევითაა. ძირს არ ჩაიხედო!

გასასვლელამდე რამდენიმე ნაბიჯიღა რჩებოდა, როცა მფრინავი ხვლიკები ლილეს გაუსწორდნენ, ლილე და კაპო იარაღის ქნევით იგერიებდნენ, მაგრამ იმდენი იყვნენ, თავის დაცვა შეუძლებელი ხდებოდა. ხვლიკები გუნდ-გუნდად ესხმოდნენ თავს და დაკბენას ცდილობდნენ.

ბესანჯი გახელებული ყეფდა, მაგრამ მისი ხმა ხვლიკების

ფრთების ტყლაშუნსა და წრიპინში იკარგებოდა. მიუხედავად წინააღმდეგობისა, ლილე და კაპო მაინც წინ მიიწევდნენ. მზის სინათლეზე პირველი კაპო გავიდა. შერისხულმა მაშინვე წელზე რამდენიმე წყებად შემოხვეული ქამარი მოიხსნა და ლილესკენ ჩაუშვა, ქამარმა თითქმის სულზე მიუსწრო იროელს. ლილემ სასწრაფოდ ჩასჭიდა ხელი. ხელის მოკიდება იყო და გარშემო იმდენმა ხვლიკმა მოიყარა თავი, უკვე ველარაფერს ხედავდა და ასასვლელისკენ ბრმად მიუყვებოდა ქამარს, რომელსაც კაპო ზევით ეწეოდა. კაპომ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ქამარი თავისკენ მოქაჩა. ამჯერად ქამარს ლილეც ამოჰყვა, როცა მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა, ლილეს თვალებიდან კაპოს საკუთარი თავის ნაცვლად სრულიად უცხო ადამიანის სახემ შემოანათა. ალბათ, მომელანდაო, — იფიქრა შერისხულმა და ახლა ქამრის მაგივრად უკვე ხელი გაუწოდა ლილეს. მაღლა ასულ ლილეს ბესანჯიც ფეხდაფეხ მიჰყვა. მღვიმიდან ერთი ხვლიკიც არ გამოფრენილა გარეთ. საბედნიეროდ, მცხუნვარე მზესა და სინათლეს ფრთოსანი ხვლიკები არ სწყალობდნენ.

თავი ოცდამეორე

უდაბნო

მზის გულზე გასულ ლილესა და კაპოს თვალთ დაუბნელდათ. ამაოდ ცდილობდნენ დაენახათ რამე, ანდა გაეგოთ, სად ამოყვეს თავი. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, როცა სინათლეს თვალი შეაჩვიეს და მზეც დასავლეთისკენ გადაიწვერა, მათ წინ ქვიშის გრიგალებისგან უცნაურ ფორმებგამოკვეთილი კლდოვანი სვეტებით მიმოფანტული უდაბნო გადაიშალა. მღვიმიდან ამოსასვლელი ნაპრალიც უზარმაზარი სოკოს ფორმის ქვის ძირში ამოდიოდა.

— იცი, სად ვართ? — ჰკითხა ლილემ კაპოს.

— უდაბნოში. — მოკლე პასუხი გასცა შერისხულმა.

— ამას მეც ვხედავ.

— მეტს ვერაფერს გეტყვი, მე ხომ ბიგოს არც გავცილებულვარ. — მხრები აიჩეჩა კაპომ. — ეტყობა, ფრთოსანი ხვლიკები მზის სინათლეს გაურბიან. ჩვენდა ბედად, ერთიც არ გამოფრენილა გარეთ.

— ჩემი აზრით, ბიგოში დასაბრუნებლად სამხრეთით ან აღმოსავლეთით უნდა ვიაროთ. — გამოთქვა ვარაუდი ლილემ და თავადვე მწარედ ჩაეცინა, — ეჰ, რა ზუსტი გზა დავასახელე?

— ბიგოში რა გინდა. კიდევ ნასარს უნდა ჩაუვარდე ხელში? იქ რა დაგრჩენია. სალიტულაში წადი და აბარდაგანის ტახტი მოითხოვე. უარს ვერავინ გეტყვის. ოღონდ, როცა მთავარი გახდები, ნება დამრთე, მეც სალიტულაში ვიცხოვრო. ბიგოში ველარასდროს დავბრუნდები. შენ მინდა გემსახურო. იჩქარე! ვაითუ ნასარმა უკვე დაგასწრო, ვინ იცის, შენი სახელით, შენს ნიღაბს ამოფარებული, რამდენი ხანია მართავს აბარდაგანს?! — კაპოს გულწრფელობაში ლილეს ეჭვი არ შეეპარვია.

— თუ ასეა, ნახევარი აბარდაგანი, ალბათ, წყევლა-კრულვით

ავსებს ჩემს სახელს. — ამოიოხრა ლილემ და სიტყვებს გულიც ამოაყოლა.

— მაინცდამაინც პირდაპირ ბიგოში ნუ მივალთ, ჯერ უდაბნოელები ან ლოტები ვიპოვოთ და სიმართლე გავიგოთ. თუ ნასარი ტახტზე კიდევ არ დაბრძანებულა, სალიტულასკენ ავიღოთ გეზი და იქ მისვლა დავასწროთ.

ლილემ ბესანჯს გადახედა. მომცრო სვეტის ჩრდილს შეფარებული ძაღლი რამდენიმე ნაბიჯში თვალებმინაბული იწვა და მძიმედ სუნთქავდა. ლილემ პეშვით წყალი მიუტანა. ბესანჯი ხარბად დაეწაფა.

— გატყობ, აქედან გზის გაგნება არ შეგიძლია. რაც შენ მარტომ ჩემთვის გააკეთე, ამას ბარემ ათი კაცი ვერ შეძლებდა. — ლილემ ბესანჯს თავზე ხელი გადაუსვა. ძაღლმა კუდი ააქიცინა. ლილემ კიდევ დაალევინა პეშვით წყალი ერთგულ მეგობარს.

— წყალს უნდა გავუფრთხილდეთ. ახლა ყოველი წვეთი ძვირფასია. რა მოუვიდა შენს ძაღლს. მღვიმეში ჩვენზე ყოჩაღად იყო. ახლა, რაღაც არ მომწონს.

ლილე ბესანჯს ყურადღებით დააკვირდა. თვალდახუჭული ძაღლი ყურებს ამოძრავებდა. აშკარა იყო, რაღაცას უსმენდა. ლილეს კვამლის წამკითხველი ჯუფრას ძმის, უსინათლო გამყოლი ბაკუბას სიტყვები გაახსენდა: გზას სუნით, მიწისქვეშა წყლების დინების შეგრძნებითა და ბუნების იმ ხმებით ვიმახსოვრებ, რომელიც სხვებისთვის მიუწვდომელია. თუ მიწისქვეშა დინებებს მიჰყვები, უდაბნოში არ დაიკარგებიო. ლილე ბესანჯს მიუწვა გვერდით და კაპოს ხელით ანიშნა, ჩუმად იყავიო. ბესანჯივით, მანაც თვალები დახუჭა და მიწას ყური დაადო. სამარისებური სიჩუმე ქვიშის მონოტონურმა შიშინმა შეცვალა. თანდათან, ამ შიშინში, რამდენიმე განსხვავებული ხმაც გამოიკვეთა — ერთი ქვეწარმავლის სრიალს ჰგავდა, რამდენჯერმე ჩაესმა, ხან სულ ახლოდან, ხან უფრო სუსტად შორიდან; მეორე ნაჭუჭის მტვრევა იყო, სამ-ოთხ ყრუ კაკუნს რომ მოჰყვა, თითქოს კვერცხიდან წინილა იჩეკებაო, ფრთების ხმასაც მოჰკრა ყური, მაგრამ ზევიდან კი არა, დაბლიდან. ზუსტად ისეთს, როგორსაც მღვიმეში მფრინავი ხვლიკები გამოსცემდნენ; თხრის ხმაც ისმოდა, ნამდვილად რომელიღაც ცხოველი ქვიშის სიღრმეში გრილ

სოროს იწყობდა. დიდხანს უსმენდა უდაბნოს ლილე, სულ უფრო მეტ ხმას ასხვავებდა ერთმანეთისაგან. ცხადზე ცხადი იყო, დაბლა, ცხელ ქვიშის ქვეშ, სიცოცხლე ჩქეფდა. უეცრად ლილეს წანწკარის ხმა ჩაესმა. შეეცადა სხვა ხმებისთვის ყურადღება არ მიექცია და თავისდა გასაკვირად ძალიან ადვილად შეძლო მინისქვეშა წყლის ხმა გამოერჩია. წყარო ზუსტად მის ქვეშ მიედინებოდა, მაგრამ ძალიან ღრმად. კიდევ ერთი წყაროს ხმაც გაიგონა, ის ბევრად მოშორებით იყო, სამაგიეროდ უფრო დიდი და წყალუხვი იქნებოდა. ახლა ლილეს უკვე ზუსტად შეეძლო ეთქვა, საით მინანწკარებდა ქვიშის სიღრმეში პატარა წყარო, თავადაც იქით უნდა აეღო გეზი და მინისქვეშა დინებებს გაჰყოლოდა. უდაბნოს ხმების მოსმენით გართულ ლილეს ბესანჯმა დრუნჩი გაჰკრა.

— წავიდეთ? — ჰკითხა ლილემ ბესანჯს. — მოიცა, არ მიჩვენო საით, მაინტერესებს თავად თუ მივხვდი სწორად.

ლილემ იმ მხარეს გასწია, საითაც მინისქვეშა წყალი მიედინებოდა, ოციოდე ნაბიჯის მერე გაჩერდა და ბესანჯს გასძახა:

— სწორად მივდივარ? ძაღლი კუდის ქნევა-ქნევით გაიქცა პატრონისაკენ. როცა გაუსწორდა, ხელი აულოკა და ლილემ არჩეული მიმართულებით გააგრძელა გზა. ლილეს გაფრთხილების შემდეგ, კაპო ერთხანს სიტყვაამოუღებლად იდგა, მერე კი შესძახა:

— მე რაღა ვქნა?

ლილემ ხელი დაუქნია. კაპომ სასწრაფოდ აკრიბა ბარგი და ძუნძულით დაეწია.

— საით მივდივართ? — ჰკითხა ლილეს.

— სადაც წყალი მიგვიყვანს. — უპასუხა მან. — როგორც კი ცეცხლისთვის ძეძვს ვიპოვით, კოცონსაც დავანთებ, იქნებ კვამლით ხმა მივაწვდინოთ ვინმეს.

— ლილე, უდაბნომ მოლანდებები იცის, — უეცრად გააფრთხილა შერისხულმა ლილე.

— მგონი ვხვდები, რატომ მეუბნები ამას. შენ ფიქრობ, მდინარე მელანდება და მოჩვენება-წყალს მივდევ?

— მართალი ხარ! — დამნაშავესავით მიუგო კაპომ. — მაშ, რა წყალზე ლაპარაკობდი?

— მინისქვეშა წყლებზე. მე მათ დინებას ვგრძნობ.

— როგორც გამყოლები?

— ალბათ. სიმართლე გითხრა, ასე პირველად ვიკვლევ გზას, ამბის გასაგებად კოცონიც არასდროს ამინთია, მაგრამ მჯერა, თუ დამჭირდება, კვამლის წამკითხველადაც გამოვდგები. ოჰ... ძალიან ცხელა!... — ლილემ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— კარგია, თორემ შემეშინდა, ჩემსავით მოლანდებები ხომ არ დაეწყო-მეთქი. — ჩაიბურტყუნა კაპომ.

— შენ რაღა მოგელანდა?

— მღვიმიდან ამოსული არ ვიყავი, მოჩვენებები დამეწყო. ამოსვლაში რომ გშველოდი, შენს თვალებში უცხო ვაჟი დავინახე.

ლილეს ხმამაღლა გაეცინა. გადაწყვიტა გაემხილა სიმართლე, თუ ვინ უყურებდა მისი თვალებიდან შერისხულს.

— კაპო, არაფერი მოგლანდებია. ჩემს თვალებში შენ საკუთარი სახე დაინახე. — ეცადა დაემშვიდებინა შერისხული.

— შენ რა, დამცინი? — იწყინა კაპომ.

— რას ამბობ! დასაცინი რა გჭირს. განა რამდენი შერისხული დაიკვეხნის ჭეშმარიტი სახის დანახვას?!

— მართლა?! ლილე?! — იყვირა შეცბუნებულმა კაპომ. — ნუთუ მე ვიყავი? — მერე სახეზე ხელი მოისვა და ადამიანის სახის მაგივრად ისევ ცხოველისა რომ შერჩა, სახტად დარჩენილმა ლილეს აკანკალებული ხმით უთხრა:

— ახლა ვხვდები, რატომ გმტრობდა ნასარი. ეშინოდა, მთელი ბიგოსთვის ძველი დიდება არ დაგებრუნებინა და მისი ძალაუფლებისათვის ბოლო არ მოგეღო. ეჰ, რამდენი წელი გვატყუებდნენ ნასარი და მისნაირები, ჩვენ კი ყურმოჭრილი მონებივით მივყვებოდით უკან.

— ძალა დაზოგე, ბევრს ნუ ლაპარაკობ! — გააფრთხილა ლილემ.

მეორე დღეს, გამთენიისას, ქვიშიანი დიუნები ალაგ-ალაგ ხრიოკმა მიწამ შეცვალა. აქა-იქ ძეძვიც გამოჩნდა. ლილემ კოცონი დაანთო, მაგრამ მის კვამლს არავინ გამოეხმაურა. წყალი თავდებოდა, საჭმელადაც მხოლოდ ბესანჯის ნაპოვნი რამდენიმე კვერცხი შემორჩენოდათ. უდაბნოში სიარული სულ უფრო და უფრო უძნელდებოდათ. ფეხები ქვიშაში ეფლობოდათ, სულის მოსათქმელად ხშირ-ხშირად ჩერდებოდნენ. დღის განმავლობაში ქვიშა ისე ხურ-

დებოდა, შუაღამემდე ინარჩუნებდა სიცხოველეს. მზის მცხუნვარე სხივებისგან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. უდაბნო გავარვარებულ ღუმელს მიაგავდა. დღე სიარულიც აუტანელი იყო და დასვენებაც. ლილე და კაპო მხოლოდ ღამით, მთვარის შუქზე, ახერხებდნენ გზის გაგრძელებას. დღეს დღე მიჰყვებოდა, მაგრამ არაფერი იცვლებოდა: წყურვილი, მტანჯველი უძილობა და აუტანელი სიცხე. როგორც კი საკმარის ძეძვს მოაგროვებდა, ლილე მაშინვე ცეცხლს ანთებდა, მაგრამ პასუხი არსაიდან იყო.

ბოლოს წყალიც გაუთავდათ. წყურვილი ყელს უწვავდათ, ენა გაუსივდათ, ქვიშიანი ქარებისგან თვალები ერთიანად ჩაუწითლდათ. განსაკუთრებით კაპოს უჭირდა, ლილეს დაუხმარებლად ნაბიჯის გადადგმაც აღარ შეეძლო. ლილემ ძეძვი შეაგროვა, ცეცხლი დაანთო და გრძნობადაკარგული კაპოს გვერდით ჩამოჯდა. თან აქეთ-იქით იყურებოდა, იქნებ კვამლის პასუხს თვალი სადმე მოვკრაო. ბესანჯს დაუძახა, მაგრამ ძაღლი არ გამოეხმაურა, ძალა მოიკრიბა და ფეხზე წამოდგა, სიცხისგან გათანგული მიწისქვეშა წყლების დინებას უკვე ველარ გრძნობდა. ამ დროს ბესანჯის ყეფა მოესმა. ხმას მიჰყვა. ძაღლი ქვიშაში ორმოს თხრიდა.

— წყარო იპოვე? — შესძახა გახარებულმა. დაიხარა და ძაღლს ორმოს თხრაში მიეხმარა. თითქმის კაცის სიმაღლეზე ჩავიდნენ, მაგრამ წყალი არ ჩანდა. ბესანჯი კი კვლავ გულმოდგინედ აგრძელებდა თხრას. უეცრად ლილეს ხელში გაბერილი ტიკი შერჩა. თავი სწრაფად გაუხსნა. ტიკი წყლიანი აღმოჩნდა. ლილე ხარბად დაეწაფა მაცოცხლებელ წყალს, ძალა დაუბრუნდა, ყელი, ენა და ტუჩებიც დაუამდა. ბესანჯიც დაარწყულა და სასწრაფოდ კაპოსკენ გაეშურა. შერისხული პირქვე ეგდო და მძიმედ სუნთქავდა. ლილემ ჯერ ტუჩებზე მოუსვა წყალი, მერე ფრთხილად ერთი ყლუპი დაალევინა. კაპომ ენით ტუჩები მოიწმინდა, თვალები მძიმედ გაახილა და ტიკიდან ათიოდე ყლუპი მოსვა. ლილემ პეშვში ჩაიგუბა ცოტაოდენი წყალი და კაპოს სახეზე აპკურა.

— გაუფრთხილდი! — ამოილუღლუღა კაპომ.

— ნუ გეშინია, რამდენიმე დღის სამყოფია, მანამდე კი აქედან გავალთ. — დააიმედა ლილემ შერისხული.

— საიდან, წყალი? — კაპოს ლაპარაკი უჭირდა.

— ბესანჯმა იპოვა, ქვიშაში ჩაფლული — მიუგო ლილემ და კაპოს საჭმელად ორი ძირხვენაც გაუწოდა.

— ეს რა არის? — ხელი გაიშვირა კაპომ.

ლილემ უკან მიიხედა. ძალიან შორს ცაში აჭრილი კვამლის ზოლი დაინახა.

— გადავრჩით! — შვებით ამოისუნთქა ლილემ.

წყალმა კაპო მოასულიერა. ტუჩები უკვე აღარ ეწვოდა და ერთმანეთს თაფლწასმული კვერებივით არ ეწებებოდა. ძირხვენები ისეთი ტკბილი და გემრიელი ეჩვენა, დაიფიცებდა, ასეთი ნუგბარი საჭმელი ჯერ არ მიგემიაო. მუხლები უკანკალებდა, მაგრამ ცდილობდა ლილეს არ ჩამორჩენოდა. კვამლის გამოჩენით ძალამიცემულები დაღამებას არ დალოდებიან და ჯერ კიდევ თაკარა მზეში გეზი გადარჩენის უკანასკნელი იმედისაკენ აიღეს. გზადაგზა ფეხი ეკვეთებოდათ, სიცხისგან ენაგადმოგდებული ბესანჯი ხან ერთს გაჰკრავდა დრუნჩს და ხან — მეორეს.

— აღარ შემიძლია!.. — აღმოხდა ბოლოს ქვიშაზე დამხობილ კაპოს და ძაღლის მოშორებას ხელის უაზრო მოძრაობით შეეცადა.

მას რომ ვერაფერი შეასმინა, ბესანჯი ახლა ლილეს მიუბრუნდა, რომელიც მუხლებში თავჩარგული შერისხულისგან ათიოდე ნაბიჯში იჯდა და ტიკს სახურავს ხსნიდა. ლილემ ძაღლს პეშვით წყალი დაალევინა. ბესანჯი ისევ კაპოსკენ გაიქცა და თავთან დაუდგა. ლილემ რამდენიმე ყლუპი მოსვა, ფეხზე ძლივს წამოდგა და შერისხულისკენ გასწია.

— კაპო, ახლა წოლის დრო არ არის. წამოიწიე, წყალი მოსვი.

კაპო ხარბად დაეწაფა თბილსა და უგემურ წყალს.

— სულ ცოტა დავისვენოთ... სულ ცოტა... — ლილესაც აღარ ჰქონდა გზის გაგრძელების თავი და შერისხულს გვერდით მიუჯდა. რამდენიმე წამით ჩათვლიმა. თვალი რომ გაახილა, ბესანჯი ვერ დაინახა.

— კაპო, ადექი, მივდივართ! — ლილემ შერისხულს მუჯლუგუნი გაჰკრა და ფეხზე წამოდგა. ბესანჯი კვლავაც არ ჩანდა. — სად წავიდა?! ადე, ადე, კაპო! ბესანჯი დაიკარგა!

კაპომ ძლივს წამოსწია თავი.

— წყალი კიდევ დარჩა?

— ორიოდე ყლუპი იქნება. აჰა, მოსვი! — გაუწოდა ტიკი ლილემ.

— მერე შენ?

— დალიე, დალიე! გასაყოფი აღარ არის!

ამ დროს ლილემ ქვიშაზე ბესანჯს ნაფეხურების მოჰკრა თვალი. კვალი კვამლისკენ მიდიოდა.

— წავედით! — ლილე კაპოს წამოდგომაში შეეშველა.

— ბესანჯი? — გაოცებით ჰკითხა შერისხულმა.

— ბესანჯმა გაგვასწრო.

ორიოდე საათის შემდეგ ლილემ მათკენ მომავალ რამდენიმე კაცს მოჰკრა თვალი. კაცებს წინ ბესანჯი მოუძღოდა.

თავი ოცდამესამე

ხმამაღალი განაცხადი

გადატანილი მღელვარებების შემდეგ, ბიგო გონს ნელ-ნელა მოდიოდა. ხალხი დამშვიდდა. სამაგიეროდ ახმაურდა და აფერადდა ქუჩები. გულზე აღარავის ეკიდა სამარცხვინო წარწერა — მონა, რადგან იორუბამ ყველა გაათავისუფლა. დედოფალმა ოქროს მაღაროებიც დროებით დაკეტა — მონათა დასახლებაში ახალი სახლების ასაშენებლად მუშახელი ჭირდა. ოქრო თავზესაყრელი გვაქვს, ხალხს კი ღია ცისქვეშ სძინავსო, — ბრძანა დედოფალმა. მუშაობა შერისხულებმაც მოისურვეს. ქალებმა დიდი ხნის წინ მივიწყებული ხელსაქმე გაიხსენეს, — რთავდნენ, ქსოვდნენ, კერავდნენ, ქარგავდნენ, მრუმე ფერებით თავმობეზრებულები ფანტაზიას ვეღარ იოკებდნენ. ბიგოში შიშის, სიძულვილისა და სასოწარკვეთილების მრავალწლიანი ბურუსიდან მქრქალი ნისლიც კი აღარ დარჩენილიყო. ქალაქი იმედს მოეცვა, ახლა უკვე სჯეროდათ, დიდების დაბრუნებას მხოლოდ სიყვარულითა და სიკეთით სავსე გულით თუ შეძლებდნენ. ერთადერთი, რაც ყველაზე დიდ დარდად აწვა ბიგოს, გაუჩინარებული ლილე ეროელი იყო. მთელი ქალაქი ეძებდა სტუმარს. დახურული მაღაროებიც კი გახსნეს, ყოველი კუთხე-კუნჭული დაათვალიერეს, მაგრამ ვერც ბესანჯის და ვერც ლილეს კვალს ვერსად მიაგნეს. ნასარს ორივე საგულდაგულოდ გადაემალა. ბიგო იმედს მაინც არ კარგავდა და ძებნას აგრძელებდა. შერისხულთა ძიებას წერტილი თავად ლილემ დაუსვა. ერთ დილით ლილე ეროელი საკუთარი ფეხით მიადგა დედოფლის სასახლეს. მთელი ბიგო ფეხზე დადგა. სასიხარულო ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ქალაქს. ლილეს მხიარული შეძახილებით ხვდებოდნენ და ხელის ქნევით აცილებდნენ, ახალგაზრდები სასახლემდეც კი მიჰყვნენ. იორუბა და ალი სიხარულით ცას ეწიენ.

თვალებს არ უჯერებდნენ, – ლილე, უვნებელი და ჯანმრთელი, კვლავ მათ გვერდით იყო. ბესანჯი არ ახლდა მხოლოდ.

ლილემ დაღლილობა მოიმიზეზა, ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვსო. ის კი თქვა, მის გაუჩინარებაში ნასარი რომ იყო დამნაშავე და ბესანჯიც მთავარმა ვეზირმა საკუთარი ხელის გამოასალმა სიცოცხლესო; მაღაროებში ჩაკეტილმა სრულიად შემთხვევით დაიხსნა თავი მინისქვეშა ლაბირინთებიდან. ქალაქის გალავანი რომ დავინახე, მაშინღა ამოვისუნთქე მშვიდადო. – დაასრულა თხრობა ლილემ.

იორუბამ და ალიმ ზედმეტი კითხვებით არ დაქანცეს ლილე, მოასვენეს და დააპურეს. ნაირ-ნაირი და ნუგბარი საჭმელი მიართვეს. ლილე მადიანად ილუკმებოდა, ირწმუნებოდა, ასე გემრიელად საკუთარ სახლშიც არ მისადილიაო. ერთი უცნაურობა შეამჩნია იორუბამ ლილეს, სტუმარი მათთან დიდხანს ყოფნას გაურბოდა და ქალაქში გასვლასაც ერიდებოდა. ალიმ დედოფალი დაამშვიდა, ნასარის ჯურღმულებში გამომწყვდევა იოლი ხომ არ გგონია, ახლა მას მოსვენება და ძალების მოკრება სჭირდებაო. თანაც ბესანჯი მოუკლეს. ამასაც ხომ გადატანა უნდაო. იორუბამ ალის სიტყვები ყურად იღო, მაგრამ აფორიაქება მაინც არ ასვენებდა.

– გახსოვს, ალი, ლილეს რომ მოვუყევით, ფაროს შვილმა ნასარის მზაკვრობა როგორ გამოააშკარავა? – ჰკითხა ერთხელ იორუბამ მთავარ მცველს.

– მახსოვს, მაშინ ნასარის ვერაგობით გაბრაზებულმა ლილემ, მაგიდას მუშტი დაჰკრა...

– სწორედ იმ ბავშვის ნახვა ლილემ ერთხელაც არ ისურვა და ფაროც და მისი გოგონებიც ორჯერ უკან გაისტუმრა.

– რა მოგივიდა, იორუბა?! ასეთი ეჭვიანი ნასარის მიმართაც არ ყოფილხარ. იქნებ ̆ ლილე შეუძლოდ იყო და ბავშვების ტიტინის მოსმენის თავი არ ჰქონდა. იქნებ ლილე ბესანჯს გლოვობს და, თავისი ხალხის წესების მიხედვით, არც სტუმრად წასვლა შეუძლია და არც სტუმრების მიღება. – ისევ დაამშვიდა ალიმ დედოფალი.

– ნეტა მართლა ასე იყოს, თორემ ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ლილემ ნასარზე კი არა, ფაროს შვილზე გაბრაზებულმა დაჰკრა მუშტი მაგიდას. რას ვლაპარაკობ, თავადაც არ ვიცი. – ამოიოხრა იორუბამ. – სანამ ნასარის ასავალ-დასავალი არ გვეცოდინება, მშვიდად ვერ ვიქნები.

— მშვიდად ნეტა როდის ყოფილხარ? — ჩაეცინა ალის.

— მაპოვნინეთ ნასარი და დავმშვიდდები!

— თითქოს მე არ მინდოდეს მისი მოძებნა. დღესაც ორი რაზმი გავგზავნე: ერთი — ტყეებისკენ, მეორე — მთებში. დროა ჩვენს მთავარ საქმეს მივხედოთ. ლილე დაბრუნდა, ახლა ხელს აღარაფერი გვიშლის, ელჩები გავაგზავნოთ სალიტულაში. — ალი უკვე მთავარი ვეზირის მოვალეობებსაც ასრულებდა.

— მეც ვიფიქრე ამაზე. ორი მათგანი უკვე შევარჩიე.

— მაინც ვისზე იფიქრე?

— შენზე და ფაროზე.

— უკაცრავად, მაგრამ მე ბიგოს დამტოვებელი არა ვარ.

— აბა, ფაროს ხომ არ გავუშვებ მარტოს, უფრო სანდო არავინ მეგულება. — დანანებით თქვა იორუბამ.

— ფაროზე სანდო, მისი ცოლი ნენეა. რა, არ მიიღებენ სალიტულაში ქალ ელჩს? — იპოვა გამოსავალი ალიმ.

— დიდებულია! — გაუხარდა იორუბას. — გმადლობ, ვეზირო, შესანიშნავი რჩევისთვის. ისე, ლილესაც რომ გაეწია ელჩობა, ძალიან კარგი იქნებოდა. მაგრამ... — ყოყმანი დაეტყო იორუბას.

— მაგრამ რა?

— მერიდება. იქნებ არც აპირებს სალიტულაში წასვლას, იქნებ აქ უნდა დარჩენა.

— ლილეს მე დაველაპარაკები. დარწმუნებული ვარ, ელჩობაზე უარს არ იტყვის. — შეპირდა ვეზირი დედოფალს.

* * *

ირელმა თავის ოთახში მსუბუქად ივახშმა და`მსახურები გაისტუმრა თუ არა, კარი მაგრად ჩარაზა. რამდენჯერმე საგულდაგულოდ შეამოწმა და მაგიდაც მიადგა. მერე სარკმელი ბოლომდე გამოაღო და ახალგაღვიძებულ ნეფრიტის ტბას გადახედა. ტბიდან მონაბერ ნოტიო ქარს მკლავები ფართოდ გადაუშალა და ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს.მთელი ქარის გადაყლაპვას აპირებსო. კუნძულს დააკვირდა, ჩაშავებულ და აბობოქრებულ ტბაში ოდნავ რომ ილანდებოდა.

— დაუბერე ქარო, ისეთ გრიგალად იქეცი, მთელი ქვეყნიერება რომ დაანგრიო და გაანადგურო! არც ეს საძულველი კუნძული და ქალაქი დაგავიწყდეს, ჩანთქე და დააქციე. — ამოსკდა გულიდან. ოთახში შემობრუნდა, სახეზე ხელები მოისვა და წაისისინა, — ო, როგორ მეზიზღებით, შენცა და შენი სახეც. კიდევ კარგი, დაღამდა და ღამის წყვდიადში ადვილად შემიძლია სიძულვილში გამოგიტყდე ლილე ეროელო. ეს სარკეები მაინც არ ეკიდოს სასახლეში, ვცოფდები შენი ანარეკლის დანახვისას. ახლა ნახვამდის ხვალ დილამდე. სველთ-ვალებიან ნიღაბსაც ხომ სჭირდება მოსვენება. ვაითუ გაცვდეს და მთელი გეგმები წყალში გადამეყაროს. — უეცრად სახიდან ლილე ეროე-ლის ნიღაბი მოიხსნა და სკამზე დადო. ოთახში ლილეს ტანსაცმელში გამოწყობილი ვეფხვისთავა ნასარი იდგა. — შენ რა, გეგონა, ნასარი საბოლოოდ დამარცხდა, გატყდა, დავარდა და შერცხვენილი უგზო-უკვლოდ გადაიხვეწა? ვერ მოგართვი! — ნასარი, როგორც ცოცხალ ადამიანს, ლილეს ნიღაბს ისე ელაპარაკებოდა. მთავარ ვეზირს მხ-ოლოდ მასთან შეეძლო მოურიდებლად და შიშის გარეშე გულიდან მთელი ღვარძლის გადმონთხევა. — ჯერ სადა ხარ, რომ იცოდე, წინ რა გეგმები მაქვს, გული გაგისკდება. იმ დღეს დასწყევლი, როცა აბ-არდაგანში პირველად ფეხი შემოდგი. არა, სწორად არ ვთქვი, მთელი აბარდაგანი დასწყევლის შენი აქ მოსვლის დღეს. ჰა-ჰა-ჰა! — გადაიხ-არხარა საზარელი ხმით ნასარმა, ნიღაბს ქსოვილი მიაფარა, თავად კი ტანსაცმლიანად ლოგინზე მიწვა და ორ წუთში ხვრინვაც ამოუშვა.

* * *

მთელი ღამე არ სძინებია იორუბას. ჩასთვლემდა თუ არა, ბავშ-ვობის დროინდელი კოშმარები ესიზმრებოდა და გულგახეთქილი იღვიძებდა. მძინარეს ავი სიზმრები არ ასვენებდა, მღვიძარეს კი — აბეზარი ფიქრები. უცნაური გრძნობა დაუფლებოდა დედოფალს — გონებამ სიხარულით მიიღო ლილე, გული კი ჯიუტობდა და საერთო სიხარულს არ იზიარებდა. სწორედ ეს სიცივე ვერ გაეგო იორუბას. ნეტა ვინმეს აეხსნა, რატომ იყო ასე გაორებული, რატომ ვეღარ გრძნობდა ლილეს გვერდით თავს მშვიდად, რატომ ეუფლებოდა

შიში და სასოწარკვეთა. როგორ უნდოდა ფაროს უმცროს ქალიშვილს შეხვედროდა ლილე, იქნებ ბავშვის მახვილ თვალსა და უმანკო გულს ეგრძნო ის, რასაც იორუბა ვერ ხვდებოდა. დედოფალს ლილესთვის კუნძულზე ერთი საიდუმლოს გამხელა დაავალეს, მაგრამ სანამ გული ძველებურად ვერ მიიღებდა სტუმარს, იორუბა კრინტის დაძვრასაც არ აპირებდა. თავად ლილეც რამდენჯერმე ჩაეძია, ნასარმა კუნძულზე ხელფეხშეკრული თუ დაგაგდო, როგორღა გადარჩიო, მაგრამ იორუბა ყოველთვის ორაზროვან პასუხებს აძლევდა. სიმართლის თქმა ვერ გადაეწყვიტა. ერთხელ, ისიც კი იფიქრა, ისევ მათ ხომ არ მივაკითხოო, მაგრამ ეს აზრი სწრაფადვე უკუაგდო, ან როგორ დაივიწყებდა კუნძულელთა მკაცრ გაფრთხილებას, ლილეს გარდა ყველას, თავად შენც, აბობოქრებულ ტბაში ჩაგძირავთო.

დედოფალი იორუბა ახალჩაძინებულ ტბას გადაჰყურებდა. მსახურებმა ფაროს უმცროსი ქალიშვილი შემოუყვანეს. გოგონას ნენეს შეკერილი წითელყვავილებამოქარგული თეთრი, ფარფალა კაბა ეცვა, გულზე იორუბას ნაჩუქარი მძივი ეკიდა.

— როგორა ხარ, პატარა ქალბატონო? — ტკბილად მიესალმა დედოფალი.

— კარგად! — დაირცხვინა ბავშვმა.

— ძამიკო ხომ არ გაბრაზებს? — ისევ ჰკითხა იორუბამ, ხელი ჩაჰკიდა და მოგრძო მერხთან მიიყვანა, დაჯდა და ბავშვიც გვერდით მოისვა.

— რომელი, ძველი თუ ახალი? — დაზუსტება მოითხოვა გოგონამ.

— რას ნიშნავს ძველი და ახალი, ერთი ძამიკო არა გყავს?

— ერთი მყავდა, მერე მეორე მომიყვანეს, ჩვენნაირი არ არის მხოლოდ, მერე ისიც წაიყვანეს და პირველი ძამიკო დამიბრუნდა. — წვრილად ახსნა ბავშვმა.

— თუ ასეა, ორივეზე გეკითხები?

— არც ერთი არ მაბრაზებს, ჩემზე პატარები არიან. აი, დაიკო, სულ მეუფროსება და ჭკუას მასწავლის. როცა ვთამაშობთ, ის ყოველთვის დედიკოა, მე კი — შვილი, — დაიჩივლა პატარამ.

— ლილე თუ გახსოვს? — გულისფანცქალით ჰკითხა იორუბამ.

— მახსოვს. კარგი ცუგა ჰყავს. მხოლოდ პირველი, მეორე — არა, მეორე ღრენიაა.

— ლილეს ნახვა გინდა?

— ცუგა თან ეყოლება?

— არა, ცუგა არ ეყოლება. მარტო ლილე იქნება. ოღონდ, პირველი თუ მეორე, არ გეტყვი. შენ უნდა გამოიცნო, მაგრამ ლილემ არ უნდა გაიგოს, გამოცნობანას რომ ვთამაშობთ, თორემ...

— ვიცი, ვიცი... — შეაწყვეტინა ბავშვმა იორუბას, — თორემ თამაში ჩაგვეშლება.

— სწორედ ასეა. — დაეთანხმა იორუბა. — ახლა წავიდეთ და ლილეს ვესტუმროთ.

მსახურებმა ლილეს დილაადრიანად მოახსენეს, დედოფალი გიხმობს, იჩქარეო! ნასარი იორუბასთან შეხვედრას გეგმავდა, მაგრამ ასე ადრიანად — არა. ამიტომ მსახურს უკან უკმაყოფილო გაჰყვა. ნასარი სასახლის ერთ მომცრო, კარგად განათებულ ოთახში შეიყვანეს. ოთახს წინ პატარა აივანი ჰქონდა. ნასარი ჰაერზე გავიდა. ტბაზე ამოზრდილი კუნძულის დანახვაზე, გაბრაზებით ჩაილაპარაკა:

— როცა სალიტულას ტახტზე დავჯდები, ნახევარ აბარდაგანს გრძნეულებს ვაჩუქებ, ოღონდ ეს ტბა ჩამიძირონ!

უეცრად ხელზე შეხება იგრძნო. ვერც კი შეამჩნია, როგორ ამოსდგომოდა გვერდში ფაროს უმცროსი ქალიშვილი. როცა იცნო, თავისდაუნებურად ხელი გამოსტაცა და კალთაზე გაისვა.

— ეს შენა ხარ? — თქვა ნასარმა და ძლივს შეიკავა თავი, ბავშვი აივნიდან რომ არ გადაეგდო.

— მე ვარ!

— აქ რას აკეთებ?! — ჰკითხა ისევ და ოთახში შეიხედა. იქ არავინ იყო.

— ვთამაშობ. მარტო რადა ხარ. შენი ცუგა სად არის? — ჩვეული უშუალობით ატიტინდა გოგონა.

— დავკარგე.

— სად დაკარგე?

— ტყეში! — თითქმის იყვირა კითხვებით შეწუხებულმა ნასარმა.

— გახსოვს, შენი ცუგა პირველად როგორ შემხვდა?

გოგონა ნასარისგან ისე სულსწრაფად ითხოვდა, თითქოსდა უმნიშვნელო და უინტერესო კითხვებზე პასუხს, რომ მთავარმა

ვეზირმა საჭიროდ არ ჩათვალა ლილეს ნიღბიდან მიღებული ცოდნის გამოყენება.

— შეგიღრინა?

— რაო, რა თქვი? — შეუბრუნა კითხვა ლილეს გულმავიწყობით გაკვირვებულმა ბავშვმა.

— ჰო, დაგიღრინა თუ გიკბინა? — ნასარმა არ იცოდა, წარმოდგენით კი ვერასდროს წარმოიდგენდა, ბესანჯი თუ შერისხულ ბავშვს მოფერების უფლებას მისცემდა, მაგრამ გოგონას ნათქვამის კილომ მიახვედრა, შეცდომა რომ დაუშვა და გამოსწორება სცადა. — იქნებ არც გიკბინა?

პასუხი არ მიუღია, მოულოდნელად ოთახში ფაროს ხმა გაისმა. — ეს აქ ყოფილა, მე კი მთელ სასახლეში ვეძებ!

— მე წავედი! — გამოაცხადა ბავშვმა და საკოცნელად ყელი მაღლა ასწია. ნასარმა არ იცოდა, როგორ დამშვიდობებოდა გოგონას. ჯერ იფიქრა ლოყაზე ვაკოცებო, მაგრამ მხოლოდ თავზე მსუბუქად ხელის გადასმა მოახერხა.

— შენც აქა ხარ, ფარო?! — შვებით ამოისუნთქა ნასარმა. — დედოფალმა დამიბარა, აქ კი შენი შვილი დამადგა თავზე და კითხვა-პასუხობანას მეთამაშება.

— ალბათ, თავიც კი მოგაბეზრა. — შეწუხდა ფარო.

— დროზე მოგვისწარი. — უთხრა ნასარმა, გულში კი დააყოლა, აივნიდან რომ არ მოვიძახეო.

— ლილე, დედოფალმა მეც დამიბარა, მაგრამ ამ დილით ველარ მიგვიღებს. მთხოვა, შენთვის გადმომეცა, რომ მოგვიანებით გვიხმობს. მანამდე კი სახლში რომ მეწვიო, ნენეს ძალიან გაუხარდება შენი ნახვა. — სთხოვა გულწრფელად ფარომ.

— არა, სხვა დროს იყოს. — იუარა ნასარმა.

იორუბას ერთი სული ჰქონდა, როდის დაჰკითხავდა პატარა გოგონას. ფაროს აკვირვებდა ბავშვისადმი გამოჩენილი ყურადღება, მაგრამ ვერ გაბედა იორუბასთვის ეკითხა, ჩემი შვილისგან რა გინდაო. იმედი ჰქონდა, პატარა თავად მოყვებოდა, რაზე ესაუბრა დედოფალს.

— შეხვდი ლილეს? — ჰკითხა ბავშვს იორუბამ.

— შევხვდი და გამოცნობანაც ვითამაშე. — მოზრდილი ადამიანივით მიუგო გოგონამ.

— პირველია თუ მეორე? — მოუთმენლობას ვერ მალავდა იორუბა.

— მგონი მეორეა, მაგრამ...

— რა მაგრამ, პატარავ, ნუ მოგერიდება, ყველაფერი თქვი, რასაც ფიქრობ.

— პირველსაც ჰგავს, თუმცა ხანდახან... ცუდად ვითამაშე არა?! — აიჩეჩა მხრები ბავშვმა.

— პირიქით, ძალიან კარგად. ძალზედ ჭკვიანი და დაკვირვებული გოგონა ხარ. შენი მადლობელი ვარ. ამიტომ შენს დაიკოს ვუბრძანებ, დედაშვილობანას თამაშისას ხანდახან შენც რომ იყო დედა. — მისცა პირობა ბავშვს იორუბამ. — ახლა კი წადი, მამიკო გელოდება. — დედოფალმა ბავშვი გულში ჩაიხუტა და ოთახიდან გაუშვა.

იორუბამ გოგონას შთაბეჭდილებები ალის სასწრაფოდ გადასცა. მან ყურადღებით მოუსმინა, მაგრამ ამ ამბავში საგანგაშო ვერაფერი დაინახა. დიდი ამბავი, თუ ბავშვმა თქვა, ლილე ცოტა სხვანაირიაო.

— ჩვენ რა, სულ ერთნაირები ვართ, იორუბა? ჩვენ თვალწინ მთელი ქალაქი შეიცვალა, შენ კი ჯურღმულებგამოვლილი და ბესანჯდაკარგული ლილეს ხასიათში მომხდარი ცვლილებები გაკვირვებს. მე ვერაფერს ვამჩნევ, ვერც — სხვა. მხოლოდ შენ.

— კარგი, კარგი... მართალი ხარ! თავადაც არ ვიცი, რა მემართება. — უსიამოვნოდ დაეთანხმა იორუბა.

— დილით დაგიბარებია, მაგრამ უკან გაგიბრუნებია.

— ახლა შევხვდები. სად არის?

— ბაღში სეირნობს.

— ჩვენც გავისეირნოთ. გახსოვს, როგორ ვნატრობდით ბაღში დაჭერობანას თამაშს. — გაიხსენა ბავშვობა იორუბამ.

— სამწუხაროდ, მაშინ უფროსები არ გვაძლევდნენ ამის უფლებას, ახლა კი...

— ჩემო ალი, პირობას გაძლევ, როცა დიდებას დავიბრუნებთ და ერთმანეთის თვალებში ჩვენს ადამიანურ სახეს დავინახავთ, მარტო დაჭერობანას კი არა, დამალობანასაც გეთამაშები. ახლა კი წავიდეთ, და ლილე ვნახოთ.

ნასარი მოუთმენლად ელოდა იორუბასთან შეხვედრას. ფაროს კუდიანმა შვილმა ჩემი საიდუმლო რომ ამოხსნას, ხომ დავიღუპეო, — არ ასვენებდა ვეზირს ფიქრი. ამ დროს ხეებს შორის მისკენ მომა-

ვალი დედოფალი და ალი დაინახა. მოულოდნელად გულმა ბაგაბუ-
გი დაუწყო. ცხოვრებაში პირველად ააფორიაქა იორუბას დანახვამ,
მაგრამ არ შეიმჩნია, ვითომ არაფერიაო, შორიდან გაუღიმა და მათ
შესახვედრად გაეშურა. ბიგოში მომხდარი ცვლილებები ბაღსაც
დასტყობოდა, ქვებსა და დაბალ ბუჩქებს შორის ყვავილნარი გაეშე-
ნებინათ, იქვე ფერად ქვებშემოწყობილ კამკამა აუზში თევზები გა-
ეშვათ, ბაღის შუაგულში დაწნული ფანჩატური ჩაედგათ. დედოფალ-
მა ლილესთან საუბარი სწორედ იქ ინება.

— მთელი ბიგოს სახელით, დედოფალსა და მე სათხოვარი გვაქვს
შენთან! — წარმოთქვა ალიმ.

— გისმენთ, მიმსახურეთ, როგორც გინდათ! — არ დააყოვნა პა-
სუხმა.

— სალიტულაში ფაროსა და ნენეს ელჩებად ვაგზავნით. იქნებ
შენც შეგვაწიო სიტყვა. იკისრე ელჩობა, მთელმა აბარდაგანმა უნდა
გაიგოს, რომ შერისხულები აღარავისთან აპირებენ მტრობას, აღარც
ტახტზე ვაცხადებთ პრეტენზიას და მზად ვართ, აბარდაგანის მთა-
ვარს ვემსახუროთ. როგორც კი გვიხმობენ, შერისხულთა მთელი
არმია სალიტულას კედლების დასაცავად დადგება. — ლაპარაკობდა
იორუბა და დაჟინებით ჩასცქეროდა ლილეს თვალებში, აინტერე-
სებდა, კიდევ მოჰკრავდა თუ არა თვალს თავის ადამიანურ სახეს.
მაგრამ ამაოდ, ლილეს თვალებიდან მხოლოდ მგლისთავიანი შე-
რისხული უცქერდა. — ერთი შიში მაქვს, ირწმუნებენ კი სალიტულაში
ჩვენს გულწრფელობას?

— მე თუ ვიკისრებ ელჩობას, ირწმუნებენ! — თავდაჯერებულად
მიუგო ნასარმა.

— მაშ, თანახმა ხარ?! — სიხარულით წამოიძახა ალიმ.

— რა თქმა უნდა! მინდა, ერთი საიდუმლოც გაგანდოთ! — თქვა
ლილეს ნიღაბს ამოფარებულმა ნასარმა. — მალე ჩემი ქვეშევრდო-
მობა მოგიწევთ, რადგან მე ის ვარ, ვის დაბრუნებასაც აღარ ელიან.

— აბარდაგანის ჭეშმარიტი მმართველი?! — გაოცებით წამოიძახა
იორუბამ.

— ჭეშმარიტი და ღირსეული! — შეუსწორა ნასარმა. ვეზირი, სანამ
იტყოდა, ყოველ სიტყვას, ათჯერ წონიდა, თავი ბეწვის ხიდზე მდგომი
ეგონა, ერთი მცდარი მოქმედება და უფსკრულში გადაიჩეხებოდა.

— ჩვენზე ერთგული ქალაქი მთელს აბარდაგანში არ გეყოლება! — წამოიძახა ამ აღიარებით გახარებულმა ალიმ.

— იქნებ თქვენი ელჩების გამოგზავნა არც იყოს საჭირო. მომავალმა მთავარმა ხომ უკვე ყველაფერი იცის?

— იორუბა, მგონი ლილე მართალია. — მაშინვე წამოიძახა ალიმ.

— მე ელჩებს მთელ აბარდაგანს ვუგზავნი და არა მარტო მთავარს. ვერც ერთი მმართველი მთელი აბარდაგანის ტოლი ვერ იქნება, თვით შენც, ლილე. ელჩების გაგზავნა გადაწყვეტილია. — იორუბას ხმაში ისეთი თავდაჯერება იგრძნობოდა, ნასარს ტანში გააჟრჟოლა. მის წინ პატარა გოგო კი არა, ნამდვილი დედოფალი და ღირსეული მეტოქე იდგა — ჭკვიანი და ამაყი.

— ალი, ახლა მარტო დაგვტოვე. ლილესთან პირისპირ საუბარი მსურს. — სთხოვა დედოფალმა ერთგულ მცველს. ისიც მაშინვე დაემორჩილა თავის დედოფალს და ფანჩატურიდან გავიდა.

იორუბასთან მარტოდ დარჩენილი ნასარი დაიძაბა. ხელს არაფერი უშლიდა, წუთში ისე მიახრჩობდა, დაკვნესებასაც ვერ მოასწრებდა, მაგრამ ნებისყოფა დაძაბა და თავი აიძულა, ისევ ლილედ დარჩენილიყო.

— რაც დაბრუნდი, ლილე, შეცვლილი მეჩვენები. თითქოს ძველი სილაღე სადღაც გაგიქრა. მითხარი, რა გაწუხებს, იქნებ რითიმე გიშველო. — მზრუნველად უთხრა იორუბამ.

„ახლა კი ფრთხილად!“ — გაიფიქრა ნასარმა და აცახცახებული ხელები ზურგს უკან დამალა. მისი მოძრაობა იორუბას არ გამოჰპარვია.

— ძალიან ძნელია, როცა ბესანჯს გიკლავენ, თვალებში შემოგცქერის, შველას გთხოვს, შენ კი, თავად ხელფეხგაკოჭილი და იარაღჩამორთმეული, ვერაფრით ეხმარები. მის სიკვდილში მე ვარ დამნაშავე. უფრო ფხიზლად რომ ვყოფილიყავი, ნასარის ხაფანგში არ გავებმებოდი, ახლა ჩემი ბესანჯიც ცოცხალი იქნებოდა. — ისე გულწრფელად ლაპარაკობდა ნასარი, იორუბას ეჭვები თანდათან ეფანტებოდა, — რატომაც არა, ალი მართალს ამბობდა, ეროელი საკუთარ თავზე იყო გაბრაზებული, ამიტომაც არ ჰგავდა ძველ ლილეს.

დრო არ ითმენდა, ლილე ბიგოდან წასვლას აპირებდა. იორუბას კუნძულის საიდუმლო ახლავე უნდა გაენდო მისთვის.

— ლილე, იმ კარზე რას მეტყვი, საიდანაც აქ მოხვედი? — იორუბამ მაინც სიფრთხილე გამოიჩინა და ის კითხვა დაუსვა, რომლის პასუხი სტუმარს, თუ ნამდვილად ლილე იყო, აუცილებლად უნდა სცოდნოდა.

— ბაღის კარი შეცვალეთ? არც კი შემიმჩნევია, — არხეინად მიუგო ნასარმა, რადგან ლილეს ცოდნასა და მეხსიერებაში ვერც ერთი მნიშვნელოვანი კარი ვერ შენიშნა.

— მე იმ კარზე გელაპარაკები, საიდანაც ჩვენს ქვეყანაში მოხვედი! — დაუზუსტა კითხვა დედოფალმა.

ნასარი ჩაფიქრდა, ნიღაბს დაეკითხა, მაგრამ ის პასუხს არ იძლეოდა. ახლა კი მიხვდა ნასარი, ლილეს სველთვალებიანმა ნიღაბმა მხოლოდ ის იცოდა, რაც აბარდაგანში ნახა, ლილეს წინანდელი ცხოვრება კი მისთვის სრულიად დაფარული იყო. ნასარი შეკრთა, არ იცოდა, რა ეპასუხა.

— იმ კარის შესახებ ჯერ ვერაფერს გეტყვი! — მოისაზრა ბოლოს და დიპლომატიური პასუხით შეეცადა თავის დაძვრენას. — მოვა დრო და ყველაფერს აგიხსნი.

— კარგი, ლილე. მაშინ მეც მაგ დროს დაველოდები. — ნასარის ბუნდოვანმა პასუხმა დედოფალი არ დააკმაყოფილა. და საბოლოოდ ირწმუნა საკუთარი გადაწყვეტილების სისწორე — სანამ ლილე ისეთი არ გახდება, როგორიც პირველად ვნახე, კუნძულის საიდუმლოს არ გავუმხელო.

თავი ოცდამეოთხე

ახალი მთავარი

ნენე ორი დღე დიდ სამზადისში იყო. მთელი ცხოვრების განმავლობაში ნეფრიტის ტბას ერთხელაც კი არ გასცდენოდა, უცხო მხარე რა მოსატანია, ბიგოს კედლებს მიღმაც არასდროს დაედგა ფეხი. ახლა კი დედოფალი იორუბა სალიტულაში შერისხულთა ელჩებთან ერთად აგზავნიდა. ნენე შეშინდა. ასეთი შეშფოთებული მაშინაც კი არ იყო, მთავარ მოედანზე შვილობილს რომ იცავდა. დედოფლის ნდობის დიდი მადლიერი იყო. კარგად ხვდებოდა, მთელი ბიგოს გულისწადილი სწორედ მას უნდა მიეტანა აბარდაგანელებთან. მასზე უკეთ ვინ იტყოდა, რა გადაიტანეს ბიგომ და მისმა მცხოვრებლებმა, განსაკუთრებით შერისხულმა დედებმა. დედოფალმა რამდენჯერმე იხმო თავისთან ნენე და ერთად, მისხალ-მისხალ აწონეს სალიტულაში სათქმელი ყოველი სიტყვა. ქმარი გვერდით ეყოლებოდა და თავად ლილეს უნდა დაედასტურებინა მისგან თქმული, მაგრამ ნენე მაინც ნერვიულობდა. ცალკე შვილები აფიქრებდა. მისი არყოფნის დროს ბავშვებს არაფერი მოაკლდებოდათ, მაგრამ მარტო კარგი მოვლა საკმარისად არ მიაჩნდა. დედის სითბოსა და ალერსს, ან მამის მფარველ ხელს პატარებს ვერავინ შეუცვლიდა. თუმცა, ახლა უკანდახევის დრო არ იყო. ბიგომ ახალი ცხოვრება დაიწყო და ეს სალიტულას კიდეც უნდა გაეგო და კიდეც უნდა დაეჯერებინა.

არც ფარო იყო გულარხეინად, თუმცა არც ის იმჩნევდა. ერთ დროს ნასარის ერთგულს, თავადაც ბევრჯერ მიეღო მონაწილეობა აბარდაგანის წინააღმდეგ ბრძოლაში, ახლა ამას ნანობდა და რცხვენოდა მათთვის თვალებში ჩახედვისა. ისევ ნენე ამშვიდებდა: ერთხელ და საბოლოოდ ხომ უნდა მოეღოს ბოლო ჩვენ შორის შუღლსო,

მეგობრობის სანაცვლოდ არაფერს ვითხოვთ, აუცილებლად დაგვიჯერებენო.

* * *

ნასარმა მთელი ღამე თვალი ვეღარ მოხუჭა. ღია აივნიდან გადასცქეროდა აბობოქრებულ ნეფრიტის ტბას, ადრე თუ აზვირთებული სტიქია გულს სალბუნად ედებოდა, ახლა ერთი სული ჰქონდა ენახა, როდის დაწყნარდებოდა და დაიძინებდა ტკბილი და ღრმა ძილით, მათ ნავებს ბიგოს დატოვება რომ შესძლებოდათ. ნასარს სიამოვნებისაგან წარბი უტოკავდა, სალიტულას ტახტი ერთი ხელის გაწვდენაზე ეგულებოდა. ერთი ნაბიჯიღა და აბარდაგანის მთავარი გახდებოდა. მერედა, რამდენი გეგმა ჰქონდა, რამდენი დიადი საქმე ჰქონდა აღსასრულებელი. წინააღმდეგობის გამწევი კი არავინ ეყოლებოდა. გრძნეულები და მათი ტარუტოს ჯარისკაცები აფიქრებდა მცირედ, მაგრამ ახლა მათზე ფიქრით გულს არ ინაღვლიანებდა. ერთი მზაკვრული ხრიკიც კი მოიგონა დედა-დედოფლის გულის მოსაგებად. ეჰ, ალი რომ გვერდში ჰყოლოდა, უფრო ძლიერი იქნებოდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ მარტო ყოფნა უფრო ხელსაყრელიც გამოდგეს, ტახტის გამყოფი არ მეყოლებაო, — ფიქრობდა ნასარი.

როგორც იქნა გათენდა. ძლივს დაიოკა ტბამ აზვირთებული ტალღები, ძლივს ჩააწვინა აკვანში, და ძილს მისცა თავი. მთელი ბიგო გამოვიდა სალიტულაში ელჩების გასაცილებლად. ყველა იმედიანად იყო. ფაროსა და ნენეს გოგოებს ვეღარ გაეგოთ, მწუხარების ცრემლები სდიოდათ, თუ სიხარულის. მშობლებთან განშორებას მტკივნეულად განიცდიდნენ, მაგრამ გული სიამაყით ევსებოდათ, როცა მთელი ქალაქი მათ დედიკოსა და მამიკოს ყვავილებს წინ უფენდა და თავს პატივით უხრიდა, თავად დედოფალი იორუბა აცილებდა, გვერდით კი ლილე ეროელი მიჰყვებოდათ.

წასვლის წინ, ორი დღით ადრე, ნასარს ამცნეს, რომ ტუალანუში უნდა ჩასულიყვნენ და სალიტულაში კვამლის წამკითხველი ჯუფრაც უნდა გაეყოლებინათ. ვეზირის დალაგებულ გეგმებს გვარიანი

საფრთხე დაემუქრა. თუ ჯუფრასთან ერთად უსინათლო გამყოლი ბაკუბაც დახვდებოდათ, მისი საქმე წასული იყო. ბაკუბა ლილეს ნიღბის ქვეშ სუნით უცხოს მაშინვე ამოიცნობდა. ნასარს ბაკუბას მოსაშორებლად ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. სასწრაფოდ სანდო მსახურებს შეხვდა და ბაკუბას მოსაშორებლად ტუალანუში გაგზავნა. მთავარი ვეზირის ბრძანებას ისინი დღემდე უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ და მისი დავალების შესასრულებლად სიცოცხლესაც არ დაიშურებდნენ. ნასარის ერთადერთი მტერი დრო იყო. დრო სწრაფად გადიოდა. მსახურებს ტუალანუში ჩასვლა და ბაკუბას უდაბნოში გატყუება სულ რამდენიმე დღეში უნდა მოესწროთ.

* * *

მიუხედავად შინაგანი ფორიაქისა, გზაში სამივე ელჩს თავი მშვიდად ეჭირა. ისევ ნენე თუ ვერ დაფარავდა ხოლმე ემოციებს. ირგვლივ ყველაფერი უკიდეგანოდ დიდი და უსასრულო ეჩვენებოდა. რამხელა ყოფილა ეს ქვეყნიერება, ამოდენა მიწებზე ყველა ერთად რატომ ვერ ვეტევითო, — უკვირდა ქალს.

ელჩებმა ტუალანუს მშვიდობიანად ჩააღწიეს. ქალაქში, მართალია ბაზრობის სეზონი ჯერ არ დამდგარიყო, მაგრამ ნენეს სავაჭრო ფარდულების მრავალფეროვნებამ თავბრუ დაახვია. ტუალანუ ჩვეულებრივ დღეებშიც სადღესასწაულოდ გამოწყობილ ბიგოზე მრავალჯერ უფრო მორთულ-მოკაზმულად ჩანდა. ხალხი ერთმანეთს თავაზიანად ესალმებოდა და უღიმოდა. თვით შერისხულებსაც კი არ უყურებდნენ ბღვერითა და სიძულვილით.

ქალაქში შესვლისთანავე ნასარმა ფაროს შესჩივლა, ასეთ სიჭრელეში ბაკუბას სახლისკენ მიმავალი გზა დამავიწყდაო. ელჩებმა კითხვა-კითხვით მიაგნეს უსინათლო გამყოლის სახლს. სტუმრებს პირველი წითლად დახუნძლული ბროწეულის ხე შეეგება.

ნასარმა გულისფანცქალით ჩამოჰკრა ხელი ზარს. კარი თითქმის მაშინვე გაიღო.

— თქვენი ჩამოსვლის ამბავი ჩიტმა მომიტანა, რომ იცოდეთ, როგორ გელოდით?! — ჯუფრა ხელგაშლილი შეხვდა სტუმრებს,

ლილეს დანახვით გახარებული, შერისხულებს არ მორიდებია, გულში შვილივით ჩაიკრა.

— ბაკუბა სადღა არის? — ნასარმა მოკითხვის მაგივრად, რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა, ის ჰკითხა მოხუც კვამლის წამკითხველს.

— გუშინდლამდე აქ იყო, მერე, როგორც იცის, უეცრად გაუჩინარდა. ისე კი მიკვირს ძალიან, როგორ წავიდა, როცა შენი ჩამოსვლის ამბავი იცოდა. ეჰ, რას გაგვიგებთ მოხუცებს. მთავარია, შენ ხარ აქ, ჯანმრთელი და უვნებელი. თანაც რა სტუმრები ჩამომიყვანე?! შემობრძანდით, შემობრძანდით. ამ ბიჭის დანახვამ თავგზა ამირია, სტუმარმასპინძლობა დამავიწყა. — ჯუფრამ სტუმრები ოთახში შეიპატიჟა, კარი კი ისევ ღია დატოვა. — ლილე, ბესანჯი სად არის? — მოისაკლისა ჯუფრამ ძაღლი.

ნასარი ამ კითხვას ელოდა. პასუხიც დიდი ხნის წინ ჰქონდა მოფიქრებული. სხაპასხუპით მოყვა, როგორ მოკლა შერისხულთა მთავარმა ვეზირმა მისი უერთგულესი ძაღლი, როგორ განიცადა ოთხფეხა მეგობრის დაკარგვა და რამდენ ხანს გლოვობდა.

— ეს ძალიან ცუდი ამბავი დაგვმართნია მთელ აბარდაგანს. — ამოიოხრა ჯუფრამ და მთელი გული თან ამოაყოლა. — ბესანჯის მოკვლა?! ასეთი რამ ჯერ არ მსმენია, ნასარის ავკაცობა არ გამიკვირდება, მაგრამ იმას კი ვერ ვხვდები, ბესანჯზე ხელი როგორ აღმართა. როგორ დაავიწყდა, ბესანჯის სიცოცხლის ხელყოფა არავის ეპატიება, დაწყევლილს მარტოობაში ელის სიკვდილი. ახლა რაც მოუვა, თავის თავს დააბრალოს... როგორც ვხედავ, პირდაპირ აქ მოხვედით, სასტუმროზე ჯერ არ გიზრუნიათ. — ჯუფრამ სტუმრების ბარგს გადახედა.

— ჯერ არა, მაგრამ აქვე ახლოს ერთი კოხტა სასტუმრო შევიგულეთ, „გრილი ღამეები“ ჰქვია. იქ ვაპირებთ დაბინავებას. — უპასუხა ფარომ მოხუც კვამლის წამკითხველს.

— რას ამბობთ, სასტუმროში როგორ გაგიშვებთ, თქვენი საკადრისი ადგილი ამ სახლშიც მოიძებნება. თანაც საღამოს სიგრილეში უფრო გულახდილადაც მოვისაუბრებთ.

— არა, ჯუფრა, შენი შეწუხება ნამდვილად არ მინდა. — იუარა კვამლის წამკითხველის პატიჟი ნასარმა. შერისხულს ერთი სული

ჰქონდა, როდის დააღწევდა თავს ამ სახლს. აქამდე ლილეს ნიღბით ყოფნა ასე ძალიან არ გასჭირვებია. შიშობდა, ერთი არასწორი გამოხედვა, ერთი უადგილო ამოსუნთქვა და მის სიცრუეს ფარდას აეხდებოდა.

— არ გახსოვს, ლილე, ჩემმა ძმამ რომ გითხრა, ამ სახლში თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარშიო? ტყუილად ცდილობ, აქედან არ გაგიშვებ. არც თქვენ, ჩემო სტუმრებო. — ჯუფრამ შერისხულებს განსაკუთრებული თავაზიანობით გადახედა.

ფარომ ცოლს შეხედა. მოხუცის შეწუხება არც მას უნდოდა, მაგრამ გულთბილმა დახვედრამ საუბრისა და გულის გადაშლისთვის განაწყო. ნენეს თვალებშიც იგივე ამოიკითხა.

ყოველი წუთი ძვირფასი იყო. ცოლსაც და ქმარსაც სჯეროდათ, მათ მიერ თქმულ ყოველ სიტყვას მოხუცი კვამლის წამკითხველი დაიჯერებდა და ბიგოელი ელჩების გულწრფელობას იწამებდა. ცოტა არ იყოს, უკვირდათ ჯუფრას მიპატიჟებაზე ლილეს თავგადაკლული უარი.

— მოდი, ქალს ვკითხოთ, როგორც იტყვის, ისე მოვიქცეთ. სად გირჩევნია ღამის გათენება? — მოულოდნელად მიმართა ჯუფრამ ნენეს.

— თქვენთან! — მიიღო მოკლე პასუხი. — მხოლოდ, საოჯახო საქმეები მე მომანდეთ. თავად რომ არ შეწუხდეთ.

ნასარს სხვა გზა არ ჰქონდა, ჯუფრასთან უნდა დარჩენილიყო. სანუგეშო ისლა ჰქონდა, რომ ბაკუბა სახლში არ იყო.

ვახშამმა სწრაფად ჩაიარა. მსახურმა ნენესთვის სრულიად უცნობი კერძები შემოიტანა. „ნეტავ რისგან აკეთებენ ასეთ გემრიელ საჭმელს, წასვლის წინ მზარეულს აუცილებლად დავეკითხები“, — გადაწყვიტა ნენემ.

ვახშმის შემდეგ, მოზრდილ, დაბალ ტახტზე, ბალიშებზე მოსვენებული სტუმრები თითქმის გათენებამდე ყვებოდნენ ბიგოსა და ბიგოელებზე, ყველაფერზე, რამაც ბოლო ხანებში ხან გააოცა და ხან შეძრა შერისხულთა ქალაქი. ნასარი ხმას არ იღებდა, მხოლოდ უსმენდა და თავს უკრავდა ცოლ-ქმარს, თუ ისინი დასტურისათვის მიმართავდნენ.

— მე მჯერა თქვენი! — ჯუფრას ეს სიტყვები განაჩენივით გაისმა.

ნენეს ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა. — შენ კი ლილე, მთელი აბარდაგანისგან დიდი მადლობა გეკუთვნის, დაკარგული შვილები დაგვიბრუნე. ვინ იცის, იქნებ სწორედ დღეიდან დაიწყოს ჩვენი დაქცეული და დაქსაქსული სამშობლოს გაერთიანება და აყვავება.

— მე უბედნიერესი ვიქნები, თუ ამ დიად საქმეს სათავეში ჩავუდგები. — ძლივს ამოღერღა ნასარმა.

— სათავეში ჩაუდგები? რას გულისხმობ? — ჰკითხა გაკვირვებით ჯუფრამ.

— მე აბარდაგანში სწორედ ქვეყნის გაერთიანებისთვის ვარ მოვლენილი. მაგრამ საქმე რომ ბოლომდე მივიყვანო, სალიტულას სამეფო ტახტზე უნდა ვიჯდე. მოსვლისთანავე ამის განცხადება არ შეიძლებოდა, ქედმაღლობად ჩამითვლიდით და არც დამიჯერებდით. ბესანჯის პატრონობაც არ მიშველიდა. ახლა ჩემი გამოჩენის პირველ ნაყოფს ხედავთ, შერისხულებს აბარდაგანის სამსახურში უნდათ ჩადგომა. დანარჩენს კი ჩემი გამეფების შემდეგ ვაჩვენებ მთელ აბარდაგანს. დრო არ ითმენს, გრძნეულებისგან დიდი საშიშროება გელით. დღე-დღეზე გრძნეულები ტარუტოს ხისგან გამოთლილ ჯარისკაცებს გააცოცხლებენ, რომელთა დამარცხებას მხოლოდ ჩემი მეფობით შეძლებთ. — ამ სიტყვების თქმას ნასარი არ აპირებდა, უეცრად მოადგა პირზე.

— რაო, რა თქვი? მეც ვეჭვობდი, მაგრამ სიმართლე ვერ გავიგე. შენ საიდანღა იცი? — სახე ეცვალა ჯუფრას.

— ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, აბარდაგანის დამარცხების უფლებას არ მივცემ და ქვეყანას ძველებურ დიდებას დავუბრუნებ. — ეს სიტყვები ისე მტკიცედ წარმოთქვა ნასარმა, რომ მათ ჭეშმარიტებაში ჯუფრას იოტისოდენა ეჭვიც არ შეჰპარვია. აბარდაგანის მხსნელის გამოჩენით აღფრთოვანებულ მოხუცს თვალზე ცრემლი მოადგა.

— დიდება შენ, გამჩენო! — ხელები მაღლა აღაპყრო ჯუფრამ. — ნეტა ბაკუბაც აქ ყოფილიყო, ამდენი ბედნიერება მარტომ როგორ ავიტანო?! — დაიჩივლა მოხუცმა, — ხვალვე სალიტულასკენ გავეშურებით.

— არ გეგონოთ, თქვენი სტუმრობით უკმაყოფილო ვარ, სწორედაც რომ ძალიან გამიხარდა, ძალიან... მაგრამ ერთი ვერ გამიგია, დედოფალი ამხელა გზაზე ელჩებს რად აგზავნიდა, თუ მაინც შენთან

უნდა მოსულიყვნენ? — მხრები აიჩეჩა მოხუცმა გამყოლმა და პასუხის მოლოდინში ლილეს თვალი თვალში გაუყარა.

ნასარი შეცბა. ფარო და ნენე რომ არ ხლებოდნენ, იცოცხლე, ტყუილს ადვილად მოიფიქრებდა, მაგრამ ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა. ვაითუ, შერისხულებს დედოფლის პასუხი სცოდნოდათ. ამიტომაც, სხვა გზა არ ჰქონდა, სიმართლე უნდა ეთქვა.

— იორუბამ ელჩები მთელს აბარდაგანს გამოუგზავნა, მხოლოდ მთავარს კი არა. თვით შენც მთელი აბარდაგანის ტოლი არასდროს იქნებიო. ასე მითხრა. — ნაძალადევი ღიმილითა და სიმშვიდით უპასუხა ნასარმა, თან დააყოლა — აი, როგორი ჭკვიანი დედოფალი ჰყავს ბიგოს.

— ვხედავ, მართლაც ჭკვიანი ყოფილა, მაგრამ...

— რა მაგრამ? — ჩაეძია ნენე.

— ცოტა ეჭვიანიც ყოფილა. — მიუგო ჯუფრამ.

ნასარს მოხუცი კვამლის წამკითხველის ბოლო სიტყვები გულზე ისარივით მოხვდა. რა შორს იყო იორუბა და მაინც ეკალ-ნარივით ელობებოდა წინ.

* * *

აბარდაგანის ახალგაზრდა მთავარი მსაჯულის წიგნს ჩაფიქრებული დასცქეროდა. ძალიან უნდოდა გადაეშალა და წაეკითხა, მაგრამ ხელის ყოველ გაწვდენაზე ისეთი უცნაური შიში და მოკრძალება ეუფლებოდა, ჩანაფიქრზე უმალ უარს ამბობდა და თეთრატლასგადაფარებულ მაგიდას დაბმული ცხოველივით გარს უვლიდა, რომელზეც მსაჯულის წიგნს მრავალი თაობის განმავლობაში დაედო ბინა. ჯუფრასა და ბაკუბას სტუმრობის შემდეგ, დღე არ გავიდოდა, ამ ოთახს არ სტუმრებოდა. ლამის რიტუალად ექცა ძილის წინ მსაჯულის წიგნთან გამოლაპარაკება. უცნაური გრძნობა ეუფლებოდა, ეგონა, წიგნს კი არა, მამას ველაპარაკებიო. ახლაღა ხვდებოდა, როგორ აკლდა მისი ვაჟკაცური სიტყვა და გულითადი რჩევა. თანაც სწორედ დღეს, როცა ლილე ირელის გამოჩენას წუთი წუთზე ელოდა. კვამლის წამკითხველმა მოახსენა, საღამოს უკვე აქ იქნებაო, მზე

კი უკვე კარგა ხნის გადასული იყო. რუგოს დრო ძალზე ცოტა რჩებოდა. ან ახლა უნდა დახმარებოდა წიგნი კითხვებზე პასუხის მისაღებად, ან მარტოდმარტოს მიეღო ყველა გადაწყვეტილება.

— ეჰ, მაინც ვერ შევძლებ შენს წაკითხვას! — ამოიოხრა რუგომ და ის-ის იყო ოთახიდან გასვლა დააპირა, რომ წიგნი შეირხა. რუგო ადგილზე გაშეშდა. ვერ მიხვდა, მოეჩვენა თუ არა. მიაშტერდა. წიგნი ნიშანს არ იძლეოდა. მთავარმა ხელი ჩაიქნია და წიგნისთვის თვალმოუცილებლად კარისკენ დაიხია. რუგომ ახლა კი ნათლად დაინახა, წიგნი თავისით როგორ გადაიშალა. რუგომ გამბედაობა მოიკრიბა და მსაჯულის წიგნს ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა. ხელში აღება კვლავაც ვერ გაბედა, ისე ჩახედა. ვერაფერი დაინახა — ქათქათა ფურცლებმა შემოანათა, მათზე ერთი სიტყვაც არ ეწერა. რუგო სახტად დარჩა.

— აქ რომ არაფერი წერია? — ჰკითხა წიგნს მორიდებით. — ვიცი, შენი წაკითხვის ღირსი არა ვარ, მაგრამ, გულით და სულით გთხოვ, დამეხმარო, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღო. — რუგომ ერთი ფურცელი ფრთხილად გადაშალა. მასზე კი სრულიად ნათლად, შავით თეთრზე ეწერა:

„ადვილად ნუ მიიღებ ყველა რჩევას, არამედ ერთი ყურით ისმინე, მეორეთი კი საკუთარ გონებასა და გულს დაეკითხე.

მობარებული საქონელი მხოლოდ პატრონს დაუბრუნე. რადგან ნათქვამია — ცუდი შემნახველი ქურდზე უარესიაო.

ქვეყნის ჭეშმარიტი მმართველი დედა ფუტკარს უნდა ჰგავდეს და შხამი არ უნდა ჰქონდეს. შხამი მრისხანებას იწვევს. თუ მმართველი თავდავიწყებამდე მიეცემა მრისხანებას, შეიძლება ყველა ურჩი შვილი დაღუპოს. დედა კი მხოლოდ შვილების გადარჩენაზე უნდა ზრუნავდეს.“

— ისევ ქარაგმები, მე კიდევ გამოცანები მინდა?! — დაიჩივლა რუგომ და წიგნი შემდეგ გვერდზე უნდა გადაეშალა, რომ კარზე კაკუნი მოესმა. რუგომ წიგნი სასწრაფოდ დახურა, მადლიერების ნიშნად ხელი გადაუსვა და ოთახიდან გავიდა. კარს მიღმა მსახური დახვდა, ახალი ამბავი მოახსენა, ლილე ირელი ჯუფრასთან და ორ შერისხულთან ერთად აბარდაგანის ახალგაზრდა მთავარს უკვე სასახლეში ელოდებოდნენ.

რუგოს, ლილესთან შეხვედრაზე მეტად, ბესანჯის ნახვა აინტერესებდა. ბავშვობისას ძალიან უყვარდა, როცა მამა ბესანჯზე ლეგენდებსა და ზღაპრებს უყვებოდა ხოლმე. გაფაციცებით ისმენდა ყოველ სიტყვას და მუდამ ოცნებობდა, ბესანჯს პატრონად ოდესმე სწორედ ის ამოერჩია. ერთხელ მამასაც გაანდო თავისი ნატვრა. კარგად ახსოვდა, როგორ ჩაიკრა მთავარმა გულში სულ პატარა ბიჭი და უთხრა, ეს რომ მოხდეს, ჩემზე ბედნიერი კაცი არავინ იქნება და მკვდარიც რომ ვიყო, გავცოცხლდებიო.

რუგო ისე ჩქარა მიდიოდა, მსახური ძლივს ეწეოდა. შერისხულების მოსვლამ ძლიერ გააოცა. მათ გამოჩენას ნამდვილად არ ელოდა. აქამდე ერთი ნადირისთავიანი კაციც არ ჰყავდა ნანახი. დარბაზში შესვლისთანავე, მისი მზერა არწივისთავიანმა კაცმა და ხვლიკისთავიანმა ქალმა მიიტაცა. მათ გვერდით ჯუფრა იდგა.

— ეს ლილე ეროელი იქნება, — გაიფიქრა რუგომ და არწივისთავიანი შერისხულის გვერდით მდგომი, ასაკით კი თითქმის მისი თანატოლი ვაჟი ყურადღებით შეათვალიერა. დარბაზში მთავრის რამდენიმე მრჩეველი სტუმრებისგან მოშორებით იდგა და დაბალი ხმით მუსაიფობდა.

რუგო სტუმრებისკენ გაემართა, თან თვალით ბესანჯს ეძებდა. რომ ვერსად დალანდა, ერთი პირობა გაბრაზდა კიდეც, ბესანჯი გარეთ როგორ დატოვესო. მთავარს ჯუფრა თავის მდაბალი დაკვრით მიესალმა. შერისხულებიც ასევე მოიქცნენ. ნასარმა კი თავის დაკვრა არ ინება და ჯიქურ შეხედა რუგოს. სტუმრის ასეთი შეხვედრით მთავარს უსიამო გრძნობა დაეუფლა, რაღაცით საკუთარი თავიც გაახსენა, თანაც სულ ცოტა ხნის წინანდელი, და ეს უფრო არ ესიამოვნა. მრჩევლებიც გვერდში ამოუდგნენ მთავარს.

ჯუფრამ სალიტულელებს სტუმრები წარუდგინა: — შერისხულების მისამართით კეთილი სიტყვები არ დაიშურა, ლილეზე კი ორიოდ სიტყვით შემოიფარგლა — ლილე ეროელი, ბესანჯის პატრონი.

— ბესანჯის? მერედა რად არ ახლავს პატრონს გვერდით? — იკითხა რუგომ.

— ბესანჯი ბიგოს მთავარმა ვეზირმა მომიკლა! — ცივად მიუგო ლილეს სველთვალებიან ნიღაბს ამოფარებულმა ნასარმა.

რუგო სახტად დარჩა. არ იცოდა რა ეპასუხა. ბესანჯები თავისით

მოდიოდნენ და მიდიოდნენ, მათი სიკვდილის შემსწრე და არც მათი მკვლელი აბარდაგანში დღემდე არ დაბადებულიყო.

— როგორ მოახერხა ნასარმა ეს? — წამოიძახა რუგომ. — ჯუფრა, ხომ არ ვცდები, დღემდე ხომ არსად თქმულა ბესანჯის სიკვდილი?!

— რა გითხრა, მთავარო, ასე კია და?.. — მხრები აიჩეჩა ჯუფრამ.

ბესანჯის სიკვდილმა რუგოს გუნება გაუფუჭა. რატომღაც ნასარზე მეტად ლილე იროელზე გაბრაზდა, ძაღლი რომ ვერ დაიცვა შერისხულის მახვილისაგან. უნდოდა მიეხალა — მისი მოვლისა და დაცვის თავი თუ არ გქონდა, რაღას მიგყავდა შერისხულებთანო, მაგრამ თავი შეიკავა და დანანებით მხოლოდ ეს თქვა:

— სამწუხაროა, ამ დღეს რომ სწორედ ჩვენი თაობა შეესწრო. არ ვყოფილვართ ბესანჯის გამოჩენის ღირსი.

ნასარი ხმაამოუღებლად შეხვდა რუგოს საყვედურნარევ პასუხს, ან რა უნდა ეთქვა, თავის მართლებას ხომ არ დაიწყებდა, თუნდაც ლილეს ნიღბით, ამ ცხვირმოუხოცავ თვითმარქვია ბიჭთან, ქვეყნის მართვა ლანგარით რომ ჰქონდა მირთმეული.

— სწორედ მისთვის მოვსულვართ, აბარდაგანი ბესანჯების დაბრუნების ღირსი რომ გახდეს. — გაწელილი სიჩუმე ისევ ჯუფრამ დაარღვია.

* * *

რუგომ და მისმა მრჩევლებმა ბჭობასა და კამათში ვერც კი შეამჩნიეს, როგორ დაათენდათ თავზე. ჯუფრაც მათთან ერთად იყო. ერთ აზრზე ყველანი შეთანხმდნენ, — თუ გრძნეულთა ტარუტოს ჯარი მართლა არსებობდა, სალიტულა და მთელი აბარდაგანი განწირული იყო. რუგომ თავად აღიარა, მე ის მთავარი არა ვარ, ვინც გრძნეულებს გაუმკლავდებაო. ცხადზე ცხადი იყო, ქვეყანას ახალი, ღირსეული მმართველი სჭირდებოდა. მრჩეველთა უმრავლესობა ასეთად სწორედ ლილე იროელს მიიჩნევდა, — ჯერ მთავარი არ არის და ბიგო უკვე შემოგვიერთაო. ლილეს მომხრეებს რუგო არ ეწინააღმდეგებოდა, თანაც ამ აზრის მომხრეთა რიცხვი მატულობდა. დილით საბოლოო გადაწყვეტილებაც მიიღეს — ლილე იროელი

აბარდაგანის გადასარჩენად სალიტულას ტახტზე უნდა დაბრძანებულიყო, სწორედ ეს უცხოელი მეომარი იყო ის, ვისაც არ ელოდნენ. რუგომ მადლობა გადაუხადა მრჩევლებს და დაითხოვა, მხოლოდ ჯუფრას სთხოვა დარჩენა.

— ჯუფრა, გუშინ მსაჯულის წიგნში ამოვიკითხე, მობარებული საქონელი მხოლოდ პატრონს დაუბრუნე. რადგან ნათქვამია — ცუდი შემნახველი ქურდზე უარესიაო.

— ტახტის გადაცემის წინააღმდეგი თუ იყავი, მთელი ღამე რატომ ერთი სიტყვა არ დასძარი? — გაკვირვებით ჰკითხა ჯუფრამ.

— არა, სწორად ვერ გამიგე. თანახმა ვარ, რაც ჩვენს გვარს მოგვაბარეს, ჭეშმარიტ პატრონს დავუბრუნო.

— აბა, რაშია საქმე, შვილო?

— აბარდაგანში არის ის, რაც არავის ეკუთვნის.

— ეჰ, დავბერდი მგონი. ვერ მიგიხვდი, რას გულისხმობ.

— ლილეს ბესანჯი რომ ხლებოდა თან, ეს აზრი არ დამებადებოდა. მსაჯულის წიგნის გადაცემას არ ვაპირებ. მისი არ არის. მსაჯულის წიგნს მხოლოდ გამარჯვებულ და გაერთიანებულ აბარდაგანს დავუბრუნებ.

— უყურე შენ?! ეს რა მოგიფიქრებია?! — წამოიძახა გაოცებულმა ჯუფრამ.

— ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა! — არ შეეპუა რუგო. — წიგნის დაკარგვისა თუ გეშინია, ერთად შევინახოთ. მისი ადგილსამყოფელი მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცოდეთ. ორი სხვადასხვა გასაღებით ჩავკეტოთ, ერთი მე მექნება, მეორე — შენ. მსაჯულის წიგნის ნაცვლად კი სხვა წიგნს გადავცემ ლილეს. ზუსტად ისეთივეს, მხოლოდ ყალბს, ცარიელი ფურცლებით. ვისურვებდი, რომ დროებით.

— ჰო... უნდა დავფიქრდე, — თქვა ჯუფრამ, თავი დახარა და შუბლზე ხელი მძიმედ მოისვა.

რუგო თვალს არ აშორებდა მოხუც კვამლის წამკითხველს.

— შენი სიფრთხილე გადამდებია. თანახმა ვარ! — ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ განაჩენივით წარმოთქვა ჯუფრამ.

თავი ოცდამეხუთე

დედა-შვილი

დედა-დედოფალი დარბაზში ბოლთას სცემდა. ნერვიულობისაგან ხელები უკანკალებდა. ყველასა და ყველაფერზე გაბრაზებული, საკუთარ თავსაც არ ინდობდა. „რაღა ახლა მომინდა გრძნეულებთან ერთად შელოცვების სათქმელად წასვლაო“, — ვერ აპატიებდა თავის თავს. რას წარმოიდგენდა, თუ სულა, მისი შვილი, ომდურმანის მთავარი, ცოლს ცალკე სასახლეში ცხოვრების უფლებას მისცემდა, ანდა ცებაი, მისგან მონუსხული და გრძნეულთა ერთგული ყმა, ომდურმანის წინააღმდეგ ამდენს გაბედავდა, და ბოლოს, ასაი, ომდურმანის დედოფალი და მოსიყვარულე დედა, საკუთარი ხელით მოიგლეჯდა მკერდიდან უსაყვარლეს პირმშოს. სულას ასაიზე დაქორწინებას თავიდანვე დიდ შეცდომად თვლიდა, მაგრამ მისი ვაჟი ისე იყო შეყვარებული, ისე იყო ასაის მშვენიერებით მოხიბლული, რომ პირველად გაბედა დედის წინააღმდეგ ხმის ამაღლება და შეუყვირა კიდეც. დედა-დედოფალმა, შვილზე ძალაუფლება სულ რომ არ დაეკარგა, საკუთარი ნებით დაყარა ფარ-ხმალი და ახალშეუღლებულები დალოცა. თავიდანვე ამოიკითხა ასაიში მისი დაუმორჩილებელი ხასიათი, — ძალად გადედოფლებული და სურვილებგათელილი მაინც ამაყად გამოიყურებოდა და გამოჩენის დღიდან უხილავ კედლად ჩადგა მასა და სულას შორის. სულაც ხან ერთისკენ გადაიხრებოდა, ხან — მეორისკენ. შვილიშვილის, პატარა სულას, შუბლზე სამი რგოლი — გრძნეულობის უმაღლესი ნიშანი — რომ შეამჩნია, უსაზღვროდ გაიხარა, მაგრამ ასაიზე მაინც განრისხდა. როგორ, მე, გრძნეულმა ქალმა, ერთრგოლიანი გრძნეულიც ვერ გავაჩინე, ამას კი, უბრალო აბარდაგანელს, სამრგოლიანი ბავშვი შეეძინაო. სანუგეშოდ ისღა რჩებოდა, რომ სამრგოლიანი გრძნეული მისი შვილიშვილი იყო.

აკი არ წამოაძახა ახლახანს სულამ, შენ შვილიშვილის კი არა, მომავალი გრძნეულის დაკარგვას დარდობო. კი უმტკიცა, რას ლაპარაკობ, პატარა სულა თავიდანვე ძალიან მიყვარდაო, მაგრამ საკუთარ თავს ხომ ვერ მოატყუებდა. სულა მართალი იყო. ბავშვი გრძნეული რომ არ ყოფილიყო, მის მოსაძებნად მდევარს მდევარზე არ გააგზავნიდა და შვილისთვის ახალი ცოლის შერჩევას შეუდგებოდა.

ცოლ-შვილის დაკარგვით დარდისგან გათანგული სულა ფეხზე ძლივს იდგა. ცოლი ტბის პირასვე დაკრძალა, ულამაზესი ყვავილებით მოურთო საფლავი. ამიერიდან აღარც საყვარელი ასაი ჰყავდა და არც პატარა გალი-გალა. ორივესგან სახსოვრად მხოლოდ ტისოს ნაჩუქარი ოცნების ოქროს ჩიტი დარჩა, რომელსაც მუდმივად გულთან ატარებდა, ცოტა სალბუნად მაინც რომ დასდებოდა მის მტკივან სულს. დღეები გადიოდა, მდევარს კი სანუგეშო არაფერი მოჰქონდა. კაცი ვერ იპოვეს, ტამრიტში გაქცეულებისთვის თვალი მაინც რომ მოეკრა. სულა დედასთან შეხვედრას გაურბოდა. სულ რაღაცას იმიზეზებდა, მდევრებთან ერთად თავადაც ათვალიერებდა მიწის ყოველ გოჯს. თუ სასახლეში იყო, ავადმყოფობას ან მოუცლელობას იმიზეზებდა, დედა-დედოფალს კი არ ხვდებოდა.

დიდი წინაპრის სულა I-ის სველთვალებიანი ნიღბისთვის ორი თასი ასავსები რომ ჰქონდა, საერთოდ აღარ ახსოვდა. არც ტისო, არც სალიტულა და არც მთელი აბარდაგანი ცოლშვილდაკარგულ მთავარს აღარ ანაღვლებდა.

დედა-დედოფალს შვილის მიმართ გრძნეულის ნიჭი არასოდეს გამოეყენებინა. ახლა სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა მოენუსხა. სულა თუ ასე გააგრძელებდა შვილის საძებნელად აღმა-დაღმა ხეტიალს და ომდურმანის მართვაზე ხელს აიღებდა, რა თავში იხლიდა დედა-დედოფალი ტარუტოს ხისგან გამოკვეთილ არმიას. დედა-დედოფალი იმ შვილის დაბრუნებას ნატრობდა, რომელიც მხოლოდ სალიტულას დაქცევასა და აბარდაგანის დაპყრობაზე რომ ფიქრობდა. დედა-დედოფალმა აღარ დაახანა, მოახსენეს თუ არა, სულა სასახლეში დაბრუნდაო, მსახურების წინააღმდეგობის მიუხედავად, შვილს კარი ჯიქურ შეუღო.

— კიდევ კარგი, მოგისწარი! ახალი ხომ არაფერი გაგიგია? — შეწუხებული ხმით ჰკითხა დედა-დედოფალმა შვილს.

— არაფერი! — მოკლედ მიუგო სულამ.

— გავიგე, იტურში აპირებ ელჩების გაგზავნას, მართალია?!

— სწორად გაგიგია. — ისევ უგულოდ უპასუხა სულამ.

— გგონია, თუ ბავშვი იქ ჰყავთ დამალული, შენს ელჩებს მაშინვე გამოატანენ?

— აბა, რას მიბრძანებ, მთელი ჯარით მივუვარდე? თუ გეგულება ისეთი გამყოლი, იტურის ტყეში გზას რომ გაიკვლევს? იქნებ გირჩევნია, მთელ ტყეს ცეცხლი წავუკიდო, გადავწვა და გალი-გალაც მივაყოლო?!

— პატარა სულას გამო შენზე არანაკლებ ვწუხვარ! — დედა-დედოფალს ყურში ცუდად მოხვდა ბავშვისთვის ასაის დარქმეული სახელის გაგონება. რძლის უხილავი აჩრდილი ახლაც არ ასვენებდა და შვილის გულისკენ მიმავალ გზებს უღობავდა.

— მარტო აქეთ-იქით სირბილით ბავშვს ვერ იპოვი. ხმები მომივიდა, ცოტა ხნის წინ, ტამრიტს ბესანჯის პატრონის მოსაძებნად, უცხო მეომარი ქალი სწვევია. ცებაი შეხვედრია, სწორედ მაშინ, ტარუტოს ხის შესამოწმებლად რომ გავგზავნე.

— მერე? — დაინტერესდა სულა.

— ასაიმ ბავშვის ძიძად ახალი მსახური ქალი რომ აიყვანა, სწორედ ის მეომარი ქალი უნდა იყოს. ტამრიტში ამბობენ, ქალს ყვავიც ახლდა თანო. ის ყვავი ომდურმანშიც შეუმჩნევიათ. შენი შვილის საწოლთან ხშირად იჯდა თურმე. მსაჯულის წიგნში ყოფილა ჩაწერილი, სალიტულას ტახტის ჭეშმარიტი მემკვიდრე ის იქნება, ვისაც აღარავინ ელოდებაო. ბესანჯის გამოჩენამ მთელი აბარდაგანი აალაპარაკა. შენც დამერწმუნები, ამ ძაღლის გამოჩენას აღარავინ ელოდა. სწორედ ლილე იროელი აპირებს სალიტულას ტახტზე დაბრძანებას, შენი შვილიც ნამდვილად მან მოატაცებინა, სამრგოლიანი გრძნეული რომ არ შესცილებოდა.

— მე ამაზე არასდროს მიფიქრია... — დედის წინაშე ბავშვივით გაიმართლა თავი სულამ. — ახლა რაღა ვქნა? — იკითხა სასოწარკვეთილმა მთავარმა.

— მთლიანად მე დამენდე, შვილო! ჩვენი ბიჭი ცოცხალია და თავსაც კარგად გრძნობს, თვალისჩინივით უფრთხილდებიან.

— შენ რა იცი, დედა!

— მე ყველაფერი ვიცი, ყველაფერი!

დედა-დედოფალმა შვებით ამოისუნთქა. შვილი ნელ-ნელა უბრუნდებოდა. სულას მალე, რასაც მოისურვებდა, იმას გააკეთებინებდა.

* * *

ტისო ამაოდ ელოდა რუფიას დაბრუნებას. დღე დღეს მიყვებოდა, ყვანჩალა კი არ ჩანდა. გრძნეულებს ადრე თუ გვიან მობეზრდებოდათ ორი თასის გავსება და ტყუილს მიუხვდებოდნენ. დედა-დედოფალმა სულ ბოლო სტუმრობისას სულა I-ის ნიღაბი რომ ნახა, ერთ კვირაში სავსე თასების მოტანას დაპირდა. საცაა დედა-დედოფალიც გამოეცხადებოდა. ტისოს ძალიან ცოტა დრო რჩებოდა გადაწყვეტილების მისაღებად. როგორმე უნდა გაებედა და თავად შეემოწმებინა თავისი ნახელავი. სამუშაო ფარდაგზე ჩამოჯდა და ნიღაბი წინ დაიდო. კარგა ხანს უყურა, თითქოს პირველად ხედავდა, მერე ფრთხილად ხელში აიღო, ერთი ღრმად ამოისუნთქა და ძალიან ნელა სახეზე აიფარა. ტისოს თავში წამიერად ყველაფერი აერია, ალბათ, ათასზე მეტმა უცხო სურათმა გაუელვა თვალწინ. თანდათან ყველაფერი დაწყნარდა. ტისოს ფიქრები და გრძნობები დიდი შებრძოლების გარეშე ადგილს უთმობდა ახალს — სულა I-ის განცდებსა და შეგრძნებებს. ტისო მიხვდა, თუ ამ დინებას არ შეეწინააღმდეგებოდა, თავისი აღარაფერი დარჩებოდა და სულა I-ის ანარეკლი გახდებოდა. ტისომ ძალა მოიკრიბა და მასში შემოჭრილ სიახლეს, როგორც სურათებს, ისე დაუწყო დათვალიერება. აი, სულა, პატარა ძმასთან ერთად დარბის სასახლის ბაღში, ბრაზობს, როცა ეწევიან და იჭერენ; მისი დაბადების დღე — სულა საჩუქრებს ათვალიერებს... აი, სულა ისევ თამაშობს, უეცრად ძაღლები გამოეკიდებიან, შეშინებული მთელი ძალით გარბის, ძაღლები მაინც ეწევიან. უეცრად ტისოს მთელი გონება შიშის ეკლიან ბურუსში გაეხვა, ბასრი წვეტები მთელ სხეულში ერჭობოდნენ... ტისომ სახეზე ხელები აიფარა, ეგონა, დაემალებოდა. ნურას უკაცრავად, შიშის მარწუხები საგულდაგულად ჰქონდა შემოჭდობილი. გამიშვი! — უხილავ მტერს ეხვეწებოდა

ნიღბების ოსტატი, მაგრამ მის თხოვნას ყურთ არავინ იღებდა. ტისო ნიღაბს ორივე ხელით ჩაებღაუჭა და სახიდან რის ვაივაგლახით მოიშორა. ტისო მიხვდა, რუფია მართალი იყო, ნიღაბს მხოლოდ სულას ბავშვობის დროინდელი კოშმარები ახსოვდა. ახლა მთავარი იყო, დედა-დედოფლისთვის ნიღბის გადაცემა ისე მოეხერხებინა, გრძნეულებს ეს საიდუმლო არ შეეტყოთ.

მეორე დილით, დაპირებისამებრ, დედა-დედოფალი და ომდურმანის მმართველი ტისოს მიადგნენ. დედა-დედოფალს ხელში ორი თასი ეჭირა. გრძნეულმა ქალმა ორივე, გაბრაზებით, ნიღბების ოსტატს წინ დაუწყო. ტისომ ორივეს ჩახედა. ერთსაც და მეორესაც ძირი ძლივს ჰქონდათ დაფარული.

— ამაზე რას გვეტყვი, ოსტატო?! მთელმა ომდურმანმა და მონუსხულებმა სანახევროდაც ვერ ავავსეთ! მოგვატყუე არა?! — სულამ მუშტი დაარტყა მაგიდას.

— გრძნეულებს ამაზე დიდი თასები არ გქონდათ?! — ჩაიხითხითა ტისომ.

— შენ გინდა თქვა, რომ... — დედა-დედოფლის სათქმელს წინასწარ მიუხვდა ტისო.

— დიახ, სწორედ მაგისი თქმა მინდოდა! — არხეინად მიუგო ნიღბების ოსტატმა. თაროდან სათითის ზომის ხისგან გამოჭრილი ორი თასი ჩამოიღო და მათ მოტანილ თასებს გვერდით მიუდგა.

დედა-დედოფალმა დიდი თასები ძალიან ფრთხილად პატარებში გადასცალა. ორივე აივსო.

— ესეც ასე! ორი სავსე თასიც გვაქვს. — ნიშნის მოგებით თქვა ტისომ. — ეს კი სულას სველთვალებიანი ნიღაბი! — ოსტატმა თაროდან ნაჭერში გახვეული ნივთი ჩამოიღო და დედა-შვილის თვალწინ გახსნა. მათ წინ სულა I-ის ნიღაბი იდო. ტისომ ნეკა თითი ჯერ ერთ თასში ჩაჰყო, მერე მეორეში. სველი თითი ნიღაბს თვალზე მოუსვა. როცა სისველე შეუშრა, ტისომ ნიღაბი დედა-შვილს გაუწოდა.

— სულა I-ის ნიღაბი მზად არის!

— ხომ არ გვატყუებ, ბებერო?! — შეეკითხა დედა-დედოფალი.

— შეგიძლია შეამოწმო. — არხეინად უპასუხა ტისომ.

დედა-დედოფალმა ნიღაბი აიღო და ის-ის იყო სახეზე უნდა მიედო, რომ ტისომ ხელით ანიშნა, მოიცადეო.

— ცრემლის და ფერფლის თასები საუკუნეების განმავლობაში ივსებოდა და როგორც უძვირფასესი განძი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ამიტომ არც არის გასაკვირი, ასეთი პაწაწინა თასების ავსება რომ შესძელით მხოლოდ. ნიღაბი უნაკლოა, იგი სულა I-ის სულისა და გონების ანარეკლია, მისი დაბადებიდან გარდაცვალებამდე. მაგრამ მისი სახეზე მორგება დიდი ხნის განმავლობაში არ შეიძლება. ჩემი ბრალი არ არის. ძალიან პატარა ზომის თასები შეივსო ცრემლითა და ფერფლით. დედა-დედოფალო, შენი გონება ძლიერია და შეიძლება ნიღბის სველი თვალების უნარი გაანადგუროს. როგორც კი დარწმუნდები, რომ ნიღაბი ნამდვილად სველთვალებიანია, მოიხსენი. და კიდევ ერთი, ერთმა ადამიანმა მხოლოდ ერთხელ უნდა გაიკეთოს სველთვალებიანი ნიღაბი, თორემ ძალას დაკარგავს. მე გაგაფრთხილეთ. ახლა თქვენ იცით!

დედა-დედოფალმა ნიღაბი სახეზე ისე აიფარა, მისთვის ხელი არ გაუშვია. ტისო გულისფანცქალით ითვლიდა წამებს, თუ დედა-დედოფალი დროზე არ მოიხსნიდა ნიღაბს, ტისოს ხაფანგის დაგებას მიუხვდებოდნენ. რამდენიმე წამი უსასრულოდ გაიწელა. დრო ულმობლად ნელა გადიოდა. სულასაც შეშფოთება დაეტყო. უეცრად დედა-დედოფალმა ნიღაბი მოიხსნა და გახარებულმა შეჰყვირა:

— ნამდვილია, შვილო ნამდვილი! სულა I-ის ბავშვობა დავინახე, კინაღამ ძაღლმაც კი უკბინა... ნამდვილია! ნამდვილი!

ტისომ შვებით ამოისუნთქა. დედა-დედოფალს ზუსტად დროულად მოეხსნა ნიღაბი.

— ყოჩაღ, ბერიკაცო! სიტყვა შეასრულე! — მხარზე ხელი დაჰკრა სულამ.

— ჩემს შვილს როდის მაჩვენებთ? — მეტი დამაჯერებლობისთვის იკითხა ტისომ.

— ხვალ... ზეგ... ანდა სულაც სახლში გავუშვებთ... — უპასუხა ტისოს კითხვით შეცბუნებულმა დედა-დედოფალმა. ნიღაბი საჩქაროდ ისევ ნაჭერში შეახვია და გასასვლელისკენ გაეშურა. სულაც გაჰყვა.

ტისოს ისევ ჩაუკეტეს კარი. კვლავაც ოთხკედელშუა უნდა ყოფილიყო გამოკეტილი. მოხუც ნიღბების ოსტატს სიმარტოვის ისეთი მძაფრი გრძნობა დაეუფლა, როგორიც არასდროს.

— ნუთუ რუფიას ლოდინში უნდა ამომხდეს სული? — გულ-

დაწყვეტით ჩაილაპარაკა გრძნეულთაგანაც მიტოვებულმა ტისომ. მოხუცს გარე სამყაროსთან დაკავშირების უკანასკნელ იმედად რუფიაღა რჩებოდა.

* * *

დედა-დედოფალი გამარჯვებას ზეიმობდა. სულა I-ის სველთვალებიანი ნიღაბი მის ხელში იყო. სულ მალე უკანასკნელი ჯარისკაციც გამოიჭრებოდა. მათ გასაცოცხლებლად მთელი ომდურმანის უძლიერეს გრძნეულებს შეკრებდა, და ტარუტოს უძლეველი არმიაც მზად იქნებოდა. კვამლის წამკითხველებს სასწრაფოდ უბრძანა, ისეთი კოცონი დაენთოთ, კვამლი ცას მისწვდომოდა და ყველასთვის ემცნოთ, რომ ერთი გრძნეულიც არ დარჩენილიყო სახლში, ყველა სასახლეში გამოცხადებულიყო.

ახლა მთავარი იყო ჯარისკაცთა მონუსხვისთვის საჭირო პირობები მოეფიქრებინა. გრძნეულებს მონუსხვა მხოლოდ რაღაცა პირობის დადებით შეეძლოთ. სალიტულას გარშემო გრძნეულთა მონუსხული მიწებიც მანამ დარჩებოდა ხრიოკი, სანამ აბარდაგანის ტახტს სულა I-ის შთამომავალი არ დაეპატრონებოდა. ახლა ისეთი პირობა უნდა მოეფიქრებინა დედა-დედოფალს, ტარუტოს არმია მისი შთამომავლობის სამუდამო სამსახურში ყოფილიყო, რათა არასდროს შერყეულიყო მიწა გრძნეულთა ტახტის ქვეშ. დედა-დედოფალი დროს ტყუილად არ კარგავდა. სულასაც ახალი საცოლე შეურჩია, სამეფო კარზე მორიგი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, რა თქმა უნდა, გრძნეული ქალი. შერისხულთა დედოფალ იორუბაზეც იფიქრა, — კარგი იქნებოდა, ჩემს შვილს ცოლად მოეყვანაო, მაშინ ბიგოს მმართველებიც ჩვენ გავხდებოდითო. მაგრამ გაახსენდა თუ არა, შერისხულთა ახალგაზრდა დედოფლის მგლის თავი, ეს ფიქრი მაშინვე უკუაგდო, შვილი არ დასთანხმდებოდა. სულასთან კი ჩხუბი ნამდვილად არ უნდოდა. მით უმეტეს ახლა, როცა ომდურმანის მთავარი სალიტულაზე გასალაშქრებლად გრძნეულთა და მონუსხულთა არმიას კრებდა. მართალია, მთავარს ტარუტოს ჯარისკაცები ეიმედებოდა, მაგრამ მარტო მათ იმედზე ყოფნა არ უნდოდა.

დღე და ღამე არ წყდებოდა ომდურმანის სამჭედლოებში იარაღის ჭედვის ხმა. მჭედლები დღე და ღამეს ასწორებდნენ. ტარუტოს ჯარისკაცების იარაღი ორჯერ უფრო მძიმე და მტკიცე უნდა ყოფილიყო. სულამ სრული სამხედრო მზადყოფნა გამოაცხადა. ყველა ომდურმანელი, გრძნეული თუ სალიტულადან გადმოხვეწილი და ქაოსის მომღერალთა შთამომავალი, ყველა მონუსხული, ვისაც კი ხელში იარაღის აღება შეეძლო, აბარდაგანის მთავარი ქალაქის — სალიტულას — წინააღმდეგ ომში იყო გაწვეული. ცოლზე გაბრაზებულმა გრძნეულთა და ქაოსის მომღერალთა მთავარმა, საბრძოლველად ქალებიც იხმო. ომდურმანი გადამწყვეტი ბრძოლისთვის მთელი ძალებით ემზადებოდა.

სულა მრჩევლებს ყურადღებით უსმენდა. სამივე უდაბნოში ღრმად შესვლის წინააღმდეგი იყო, თუმცა სალიტულასკენ უმოკლესი გზა სწორედ უდაბნოზე გადიოდა. ტარუტოს ჯარისკაცებს კი არ გაუჭირდებოდათ ქვიშიანი დიუნების გადალახვა, მაგრამ ქაოსის მომღერალთა და გრძნეულთა დანარჩენი ლაშქარი განახევრდებოდა, სიცხისგან დაღლილ-გათანგულებს გაუჭირდებოდათ მთავარ ქალაქამდე მიღწევა.

— ჯარი ნაწილ-ნაწილ ხომ არ გავუშვათ? — იკითხა სულამ.

არც ამის მომხრენი იყვნენ მრჩევლები. ტარუტოს ჯარი ჯერ გამოცდილი არ ჰყავდათ და გრძნეულთა ზედამხედველობის გარეშე მათი გაშვება სახიფათოდ მიაჩნდათ. თათბირი დედა-დედოფლის შემოსვლამ შეწყვიტა. ყველა ფეხზე წამოდგა.

— სალიტულაში ტახტზე სულ მალე ახალი მმართველი დაჯდება!... ლილე იროელი. ხედავ, სულა, ჩემი სიტყვები გამართლდა. ახლა ხომ დარწმუნდი, ვინ მოიტაცა შენი შვილი!

— მერე, რას მიკეთებთ გრძნეულები! — შეჰყვირა სულამ. — რა გაგიხდათ ჯარისკაცების გაცოცხლება?!

— ძალ-ღონეს არ ვიშურებთ... — ძლივს მოისაზრა პასუხი შვილის მოულოდნელი დატუქსვით შეცბუნებულმა დედა-დედოფალმა.

— მაინც რა დრო გჭირდებათ?! — ომდურმანის მმართველს ოდნავადაც არ შეუცვლია ტონი.

— ერთი თვე მაინც.

— ერთი თვის თავზე ლაშქარი მზად უნდა მყავდეს. კარგად დაი-

მახსოვრეთ ყველამ! — სულამ მთელი ძალ-ღონით დასცხო მუშტი მაგიდაზე.

ასეთი გაშმაგებული დედა-დედოფალს შვილი არასდროს ენახა.

თავი ოცდამეექვსე

დედა-ტარუტო

თეკლა გალი-გალას დაბინავებისთანავე აპირებდა შერისხულებთან ბიგოში წასვლას, სადაც ლილე ეგულებოდა. არც ცებაი და უსუმბა აპირებდნენ იტურში დიდხანს დარჩენას. აბარდაგანს რაც შეიძლება მალე უნდა გაეგო გრძნეულთა მიერ ტარუტოს ხისგან გამოკვეთილი ჯარის შესახებ და მათ დასახვედრად მომზადებულიყო. თუმცა, ტარუტოს მერქნის კარგად მცოდნე ნიღბების ოსტატ ძმებს ეს შეუძლებლად მიაჩნდათ. ერთადერთი რუფია იყო, რომელსაც გული იტურში ბავშვთან დარჩენას კარნახობდა. რუფია კარგად გრძნობდა, რა დიდი და იდუმალი ძალა იყო ბავშვში დაბუდებული. ჭკვიანი და დაკვირვებული აღმზრდელის გარეშე შეიძლება ვულკანივით ამოფრქვეულიყო და მთელი აბარდაგანი ქვეშ მოეყოლა. ამ ძალის მართვა რუფიამ რამდენჯერმე სცადა. გალი-გალა ჯერ სულ პატარა იყო და მიმნდობი, ამიტომაც ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე უშვებდა თავის გონებაში ყვანჩალას. რუფია ცდილობდა, რაც შეიძლება ფრთხილად მოქცეოდა ბავშვს, ჯერ მხოლოდ შორიდან აკვირდებოდა და სიღრმეში შეჭრას არ ჩქარობდა. დრო სჭირდებოდა საამისოდ, მაგრამ დრო არ ითმენდა, თანაც ყველას ეჩქარებოდა — თეკლას, ცებაის, უსუმბას.

ტარუტოს მერქნისაგან ჯარისკაცების გამოჭრამ თვით მუდამ გაწონასწორებული და მშვიდი იტურელებიც კი ისე აღაშფოთა და გააბრაზა, რომ გრძნეულებს შურისძიებითაც კი დაემუქრნენ, მაგრამ უსიამოვნო ამბების მოტანის მიუხედავად, სტუმრებს ჩვეული სიხარულით შეხვდნენ და მოსასვენებლად საუკეთესო სახლები დაუთმეს.

იმ დღეს გათენებამდე ისმოდა იტურელების ნაღვლიანი სიმ-

ღერა, ტყის ხალხი მეგობრების — ტარუტოს ხეების — დაღუპვას გლოვობდა.

დილით თეკლა და რუფია გალი-გალას ჭყლოპინმა გააღვიძა. გარედან ტყის სასიამოვნო შრიალის მეტი არაფერი ისმოდა. ორივე თავს შესანიშნავად გრძნობდა. პატარაც კარგ ხასიათზე იყო. რუფია რომ დაინახა, ხელები მისკენ გაიწვდინა, თითქოს ისიც გაფრენას ლამობდა.

— ფრი... ფრი! — დაიძახა გალი-გალამ.

— ფრი-ფრი კი არა, რუფია! — გაუსწორა ყვანჩალამ.

— რუფია! — გაიმეორა ბავშვმა.

— შენ რა, ლაპარაკი დაიწყე? — გაუხარდა თეკლას. — აბა თქვი, თეკლა...

— თეეეკლა... — ბეჯითად გაიმეორა პატარამ.

თეკლამ გალი-გალა ხელში აიყვანა და ჰაერში რამდენჯერმე შეათამაშა. ბავშვი ახითხითდა. მისი გულიანი სიცილი თეკლასა და რუფიასაც გადაედოთ.

— შეიძლება?! — მოისმა გარედან.

— შემოდი, ცებაი! — გასძახა თეკლამ.

ცებაის უსუმბაც შემოჰყვა. რუფიას მათი სახის გამომეტყველება არ მოეწონა. თითქოს რაღაცის თქმა უნდოდათ, თავს ვერ აბამდნენ და შეცბუნებულები მხოლოდ ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე.

— ვხედავ, დილაადრიან უკვე რაღაცას შეუწუხებიხართ? — უთხრა ძმებს თეკლამ.

— ბავშვის თაობაზე მოვედით. იტურში მისი დატოვებისა ეშინიათ.

— აბა, რა ვქნათ, სად წავიყვანოთ! — აჩხავლდა რუფია.

— არა, წაყვანას არ გვთხოვენ.

— რაღაც ვერ გავიგე! დატოვება არ უნდათ, თან არ წაიყვანოთო! მოკლედ, ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები! — აღშფოთებას ვერ მალავდა რუფია.

— გამაგებინეთ, რა მოიფიქრეს იტურელებმა, ბავშვს იტოვებენ თუ არა? — იკითხა თეკლამ და გალი-გალა საწოლზე დასვა.

— ბავშვს შეიფარებენ, თუკი მის გაზრდას რომელიმე ჩვენთაგანი ითავებს. გრძნეული ბავშვის დედობილობაზე ყველა იტურელმა ქალმა უარი თქვა. — აუხსნა თეკლას ცებაიმ.

— ამ თითისტოლა ბარტყმა მთელი იტური როგორ შეაშინა? სამი დღეა ზურგით მომყავს და არაფერი მომსვლია. თუ სხვისი შვილი არ უნდათ, პირდაპირ თქვან... — ცხარობდა თეკლა.

— დაწყნარდი, თეკლა! ისინი მართლები არიან. — უეცრად ცეცხლზე ნავთი მიასხა რუფიამ. — ამ ბავშვის ნდობა მართლა ძნელია და, რაც დრო გავა, უფრო გართულდება. უკეთესი იქნება, თუ მოვილაპარაკებთ, ვინ წავა და ვინ დარჩება.

— მე ბავშვს ვერ მივატოვებ! — გადაჭრით თქვა ცებაიმ.

— მე სასწრაფოდ სალიტულაში უნდა წავიდე, აბარდაგანელებს ყველაფერი უნდა შევატყობინო. — ასევე გადაჭრით წარმოთქვა უსუმბამ.

ძმებმა თეკლას შეხედეს. ახლა მისი გადაწყვეტილების გახმიანების დრო იყო. მის მაგივრად რუფიამ თქვა:

— თეკლა უსუმბას გაჰყვება, ის მეომარია და მეომარი ძმადნაფიცის მოსაძებნადაა ჩამოსული. მისი ადგილი აქ არ არის. ყოველ საღამოს იტურელების სიმღერის მოსმენით შეიძლება გამიგიჟდეს. აი, ჩემი ადგილი კი აქაა, გალი-გალას გვერდით. ისე, ძმებო, ხომ არ დაგავიწყდათ, ომდურმანში მამათქვენიც რომ მისახედი მყავს... აბა, როგორ მივატოვო აქაურობა?

თეკლამ უსაზღვრო მადლიერებით შეხედა რუფიას. თავადაც ასე ფიქრობდა, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმა ნამდვილად გაუჭირდებოდა.

— მაშ, ყველაფერი გადაწყვეტილია! — სიხარულით წამოიძახა უსუმბამ. — ჩვენ ქვევით დაგელოდებით, დღეს დედა-ტარუტოს დღეობა ყოფილა, იქ გვეპატიჟებიან...

— რა დროს დღეობებია? — წამოიძახა თეკლამ.

— ძალიან გვთხოვეს, ეს მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია. უკვე გველოდებიან! ნუ ეტყვი უარს! — ლამის მუდარით უთხრა ცებაიმ.

— კარგი, ქვევით დაგველოდეთ. ახლავე ჩამოვალთ. — უგულოდ დაეთანხმა თეკლა.

— რა მეშველებოდა, შენ რომ არ მყავდე, რუფი! — ალერსიანად უთხრა თეკლამ ყვანჩლას, როცა ძმები გარეთ გავიდნენ.

— რუფი!.. ჩემთან ტკბილი სიტყვების ფანტვას, გირჩევნია, ერთი ალერსიანი სიტყვა იმ ბიჭს გადაუგდო, ბავშვს გასაზრდელად რომ უტოვებ აქ! — ჩაუყრანტალა თეკლას რუფიამ.

თეკლამ ბავშვს ჩააცვა და ხელში აიყვანა.

— ტაში? — იკითხა ბავშვმა.

— ჰო, ტაში მივდივართ! — უპასუხა თეკლამ.

— აჩუა ტაში? — კვლავ იკითხა ბავშვმა.

— არა, აჩუთი არ წავალ, აპა-აპათი აგიყვან და ისე წავალთ! — აუხსნა თეკლა.

— თეკლა აჩუა, თეკლა აჩუა? — ისევ ატიტინდა პატარა.

— ენა გუშინ აიდგი და უკვე რამდენ კითხვებს იძლევი?! ბიჭებს ბევრი ლაქლაქი არ უხდებათ! — დატუქსა გალი-გალა თეკლამ.

* * *

დედა-ტარუტო იტურის ყველაზე მხცოვანი და დიდი ხე იყო. ხის ვარჯს აქეთ-იქით ორი მომცრო ტარუტო შეზრდოდა. ვარჯის თავში, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ხეს ტოტები სტუმრის შესახვედრად გამოსული იტურელის ხელებივით გადაეშალა, ვეებერთელა კოჟრი გამოზრდილიყო, რომელიც ერთი თვალის შევლებითაც კი ფაფარაშლილ ლომის თავს ჰგავდა. ამიტომაც, იტურელები ხეს დედა ლომსაც ეძახდნენ. სწამდათ რომ მთელი აბარდაგანის გული დედა ლომის მკერდში ძგერდა, განსაკუთრებით უყვარდათ და დიდ პატივსაც სცემდნენ.

იტურელები თეკლას სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმულები დახვდნენ. ქალებს თავი ყვავილებისგან დაწნული გვირგვინებით შეემკოთ, გულზე კი ფერად მძივებთან ერთად ყვავილების ასხმულები ეკეთათ. ტამრიტელებს აბარდაგანელთა გრძელი კაბებისგან განსხვავებით, გვერდებში ოდნავ შეჭრილი, მუხლამდე სიგრძის ხის რბილი ქერქისგან შეკერილი კაბები ეცვათ. დღეს კაბებიც საგულდაგულოდ ჰქონდათ მოხატული. კაცებსაც გვირგვინებით დაემშვენებინათ თავები, მაგრამ მათი თავსამკაულები მხოლოდ ფოთლებისგან იყო დაწნული. თეკლას ყოველი მხრიდან უღიმოდნენ. ძალიან ლამაზი, წითელი, სურნელოვანი და თეთრი მათრობელა სუნის ყვავილების გვირგვინი და მძივები მასაც უწილადეს. ყვავილებით მორთული თეკლას დანახვამ გალი-გალა ძალიან გაახარა. პატარა

ყვავილებს ეპოტინებოდა და თეკლას ფერად მძივებში თავის გაყოფას ცდილობდა. ქალებს ფოთლებგადაფარებული დაწნული კალათები ეჭირათ, საიდანაც მადისაღმძვრელი სურნელი ამოდიოდა. იტურელებმა სიმღერით გასწიეს დედა-ტარუტოსკენ. ერთი საათის სიარულის შემდეგ ტყე გამეჩხერდა და ბილიკი ღია მინდორში გავიდა. მინდვრის შუაგულში კი უზარმაზარი, მარტოდმარტო მდგომი, ცაში ტოტებატყორცნილი და ფესვებდაგრეხილი დედა-ტარუტო ანუ დედა ლომი იდგა. მის დანახვაზე თეკლას სუნთქვა შეეკრა. ასეთი უზარმაზარი ხე, რომლის ძირში მთელი სოფელიც კი გაშენდებოდა, თეკლას არასდროს ენახა.

— აი, მესმის ხე?! — წამოიძახა რუფიამაც, როცა იტურის ტყეების ცაში ამაყად აზიდული დედა-ტარუტო დაინახა. დედა ლომის სიდიადით არანაკლებ გაოცებულები იყვნენ ცებაი და უსუმბა, რომლებსაც აქამდე ეს ხე არასდროს ენახათ, მხოლოდ ყურმოკვრით იცოდნენ და მისი არსებობა დღემდე არც კი სჯეროდათ.

— მართლა ლომს არა ჰგავს?! — გადაულაპარაკა უსუმბამ ცებაის.

იტურელებმა ყვავილებით შეამკეს ხის ფესვები. რამდენიმე სიმღერაც უმღერეს, პირველი სევდიანი, ცრემლისმომგვრელი. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, ტყის ხალხი დედა-ტარუტოს შვილების დაკარგვის გამო სიმღერით სამძიმარს ეუბნებოდა. შემდეგი სიმღერები კი ერთიმეორეზე მხიარული იყო. ქალები თან მღეროდნენ, თან ხის გარშემო სუფრას შლიდნენ. კალათებიდან ნაირ-ნაირი საჭმელი ამოალაგეს და ფართო ფოთლებზე დაალაგეს. ყველა მოშიებული იყო, საჭმელი კი — გემრიელზე გემრიელი, განსაკუთრებით, გარეული ცხოველების შებოლილი ხორცი და სოკო ჭარბობდა. როგორც კი იტურელები ცოტას დანაყრდნენ, ისევ სიმღერა დაიწყეს, მაგრამ ამჯერად ცეკვა-თამაშის თანხლებით. გალი-გალა თეკლასა და ცებაის შუაში იჯდა და თავისი პაწია კბილებით ხორცის ნაჭერს ებრძოდა. თეკლა მოცეკვავე ახალგაზრდებს გასცქეროდა. მეომრად გაზრდილი ქალიშვილისთვის, გოგო-ბიჭების ასეთი გართობა სრულიად უცხო იყო და ვერ გაეგო, მოსწონდა თუ არა.

— ხომ არ გვეცეკვა? — სრულიად მოულოდნელად ჰკითხა ცებაიმ თეკლას და ხელიც გაუწოდა.

— მე ცეკვა არ ვიცი! — ცივად უპასუხა თეკლამ.

— ადე ზეზე! — ასძახა თეკლას გალი-გალამ.

თეკლამ ბავშვს დახედა, პატარამ თვალი თვალში გაუყარა და კიდევ ერთხელ გაუმეორა: ადე! თეკლა თავისდაუნებურად დაემორჩილა გალი-გალას ბრძანებას და ცებაის საცეკვაოდ გაჰყვა.

— იცოდე, ცეკვა არ ვიცი! — კიდევ ერთხელ გაუმეორა ცებაის.

— ეგ არაფერია, მე გასწავლი, ჩემო დედოფალო! — ალერსიანად უთხრა ცებაიმ.

— ჩემო დედოფალო? — ყურში მოხვდა თეკლას, — ჩემი დედოფლობის შესახებ რა უნდა იცოდეს, რუფიამ ხომ არ გამცა?! — გაუელვა გულში თეკლას, მაგრამ გაცხარება არ დასცალდა, ცებაიმ ცეკვა-ცეკვით ფერხულის შუაგულში მოაქცია. საერთო მხიარულება მალე თეკლასაც გადაედო. რუფია გალი-გალას გვერდით მიუსკუპდა, აბა, უყურადღებოდ ხომ არ დატოვებდა პატარას. ბავშვს მოცეკვავეების მიმართ ინტერესი დაეკარგა და ახლა დედა-ტარუტოს გაშტერებული უყურებდა. რუფიას გალი-გალას დაჟინებული მზერა არ გამოჰპარვია. მანაც ახედა ხეს, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი შეამჩნია.

— მოგწონს დედა-ტარუტო? — ჰკითხა რუფიამ.

— ეს დედა არაა! — უპასუხა ნაღვლიანად ბავშვმა.

— მაპატიე, ასე არ უნდა მეთქვა, მოგწონს ეს ხე? — შეცვალა კითხვა ყვანჩალამ.

— ეს ხე არაა! — მოულოდნელი პასუხი გასცა ბავშვმა.

— აბა, რა არის? — ჩაეძია რუფია.

— ეს ფრი-ფრი ლომია! — მიუგო ბავშვმა და ხელები ხისკენ გაშალა. — მე და შენ ფრი-ფრი...

რუფიამ კიდევ ერთხელ ახედა დედა-ტარუტოს. ხემ თანდათან ლივლივი დაიწყო, ფორმა შეიცვალა, კოჟრი ნამდვილი ლომის თავად გადაიქცა, ორი შეზრდილი ტარუტო — ფრთებად, ფესვები კი ვეებერთელა თათებად. რაც უფრო მეტი დაჟინებით უცქერდა რუფია, ხე მით უფრო ემსგავსებოდა ლომს, თანაც უბრალოდ მხეცს კი არა, ფრთოსან ლომს. ახლა კი მიხვდა რუფია, რას ხედავდა გალი-გალა. ბავშვიც, ხის ნაცვლად, ფრთოსან ლომს უყურებდა.

— შენ რა, მომნუსხე? — ხისგან თვალმოუშორებლად ჰკითხა რუფიამ ბავშვს.

— არა! — მოესმა პასუხი.

გალი-გალა მართალი იყო, რუფია მონუსხული არ იყო, როცა ყვანჩალამ თავის გონებაში და გულში ჩაიხედა, თავადაც დარწმუნდა ამაში, ბავშვს ჰკითხა:

— შეგიძლია ყველას დაანახვო ფრი-ფრი ლომი?

გალი-გალამ თავი დაუქნია. რუფიამ მიმოიხედა, ყველა ძველებურად ერთობოდა და განსაკუთრებულს ვერაფერს ამჩნევდა. ტოტებგადაშლილი დედა-ტარუტო კვლავ ამაყად გადმოჰყურებდა იტურის ტყეს და იტურელებს. რუფიამ ისევ აიხედა ზევით, ამჯერად ხის მეტი ვერაფერი დაინახა.

— რას იზამ, ჯერ პატარა ხარ? — დანანებით თქვა რუფიამ. კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ლომის თავზარდამცემმა ღრიალმა ყველაფერი გადაავიწყა. მოზეიმე იტურელები ადგილზე გაშეშდნენ. ირგვლივ მყისიერად სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. იტურელებმა თვალი ხისკენ ნელ-ნელა გააპარეს, გაოცებულებმა დედა-ტარუტოს ახედეს, რადგან გამძვინვარებული ნადირის ხმას სწორედ ის გამოსცემდა, მაგრამ მათ წინ ხის მაგივრად ვეებერთელა ფრთოსანი ლომი იდგა, რომელსაც ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი. ლომმა კიდევ ერთხელ დაიღრიალა და ისევ ხედ გადაიქცა, მაგრამ გამხმარ, მგლოვიარე, ტოტებჩამოყრილ ხედ. ლომის თავის მსგავსი კოჟრიდან კი კვლავაც ცრემლები ცვიოდა — დედა-ტარუტო თავის დაკარგულ შვილებს დასტიროდა. ამ უცნაური სანახაობით გაოცებული ხალხი სიტყვის დაძვრასაც ვერ ბედავდა.

საღამოს იტურში დიდი თავყრილობა გაიმართა. ნანახს ათასგვარად ხსნიდნენ, ვერ მიმხვდარიყვნენ, რას ითხოვდა მათგან დედა-ტარუტო. რუფია დიდი გულისყურით ისმენდა იტურელების სჯა-ბაასს. ელოდა, იქნებ ტყის ხალხი თავად მიმხვდარიყო ხის სურვილს, მაგრამ იტურელებს აზრადაც არ მოსდიოდათ ის, რაც რუფიამ უკვე დანამდვილებით იცოდა. ყვანჩალა თეკლას მხარზე დააჯდა და ყურში ჩასჩურჩულა:

— იტურელებს უთხარი, რომ მე ვიცი, რას ითხოვს დედა-ტარუტო.

თეკლამ ხელი ასწია და სიტყვა მოითხოვა. ყველა გაჩუმდა.

— ჩემო კეთილო მასპინძლებო, ჩემს მეგობარ რუფიას თქვენთან საუბარი სურს, გთხოვთ, ყურადღებით მოუსმინოთ, ერთს კი

გეტყვით, მისმა ჭკვიანურმა რჩევამ თვით ბესანჯის პატრონი, ლილე ეროელი ბევრჯერ სიკვდილს გადაარჩინა. ახლა არ ვიცი, რას იტყვის, მაგრამ გულით მჯერა, მისი რჩევა სასიკეთო იქნება არა მარტო თქვენთვის, არამედ მთელი აბარდაგანისთვის.

— ილაპარაკოს... ილაპარაკოს... — გაისმა აქეთ-იქიდან.

რუფიამ ნისკარტი თეკლას მხარზე გაისუფთავა, ფრთები შეისწორა და რაც შეეძლო ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი:

— დედა-ტარუტოს სურვილია მისგან ფრთოსანი ლომი გამოჭრათ. გრძნეულთა ხის ჯარისკაცებისგან შემდგარი არმიის შეჩერებას აპირებს. ტარუტოს მეომრები ხომ მისი შვილები არიან და დედას აუცილებლად დაემორჩილებიან.

— საიდან მიხვდი, ვინ გითხრა, როგორ გაიგე? — კითხვა კითხვაზე დააყარეს რუფიას.

— დედა-ტარუტოს ფიქრები პატარა გალი-გალამ წაიკითხა და მისივე თხოვნით, თქვენც დაგანახვათ დედა ლომის გულის დარდი. ახლა აბარდაგანის გადარჩენა თქვენს ხელშია.

— აქ გამოჭრილი ფრთოსანი ლომი სალიტულას დარბევისგან როგორ იხსნის? რას ამბობს ამაზე გალი-გალა? — სრულიად სერიოზულად ჰკითხა რუფიას იტურელთა მთავარმა — უხუცესმა ტიუმ.

— ამაზე კი ვერაფერს მოგახსენებთ. ეს ჯერ მხოლოდ გალი-გალამ იცის.

— მერე მოვიყვანოთ და ვკითხოთ! — ბრძანა ტიუმ.

— რას ამბობთ? იმ თითისტოლა ბავშვმა რა უნდა გვიპასუხოს. ორ სიტყვას ვერ აბამს ერთმანეთს! — ჩაერია საუბარში კიდევ ერთი უხუცესი.

— მე მოვითხოვ ბავშვის მოყვანას! — დაიჩემა ტიუმ.

— კარგი, კარგი! — დაამშვიდა ორივე რუფიამ. — თეკლა, მოიყვანე ბავშვი.

— ახლა ეძინება, ხვალ დილით ვკითხოთ. — თეკლას ბავშვის მოყვანა არ უნდოდა, ეშინოდა რაიმე ხიფათს არ გადაყროდა პატარა გალი-გალა.

— ნუ გეშინია, თეკლა! ბავშვს არაფერი მოუვა! — რუფია მიუხვდა ორჭოფობის მიზეზს.

ცოტა ხანში ჩირაღდნებით განათებული და მაღალი ხეებით

გარშემორტყმული მოედნის შუაგულში ცებაიმ ბავშვი მოიყვანა. თეკლაც მათ გვერდით მცველად დაუდგა.

— აბა, ახლა ჰკითხე ჩვენს გასაგონად! — მიმართეს უხუცესებმა რუფიას.

ყვანჩალა იმ კალათის სახელურზე ჩამოჯდა, რომელშიც გალი-გალას უშფოთველად ეძინა. რუფიამ ბავშვს ფრთხილად შეუღიტინა სახეზე ფრთით.

— გალი-გალა! გაიღვიძე, პატარა! — რაც შეიძლება ნაზად დასჩხავლა ბავშვს რუფიამ. პატარამაც არ დააყოვნა, ერთი გაიღიმა და თვალები ჭყიტა.

— გალი-გალა, აბა კარგად დამიგდე ყური, დედა-ტარუტოსგან ფრთოსანი ლომის გამოჭრის მერე რა მოხდება?

გალი-გალა წამოჯდა, მომზირალი უამრავი თვალი რომ დაინახა, ტუჩები მოპრუწა, სატირლად მოემზადა. რუფიამ ფრთა ფრთას შემოჰკრა. ბავშვს სახეზე ღიმილი აუთამაშდა. მერე თვალებზე ორივე ხელი აიფარა. რუფია მიხვდა, ბავშვი ეთამაშებოდა. ყვანჩალამ მხოლოდ მის გასაგონად ნახევრად ყელში ჩაიყრანტალა — ბუუ! — გალი-გალამ ხელები სახიდან მოიშორა და რუფიას ეშმაკურად შეუძახა: — ჭიტა.

— რაო, რა თქვა? — დაინტერესდნენ უხუცესები.

— ჯერ არაფერი! — მოკლედ უპასუხა რუფიამ და ბავშვს კითხვა კიდევ ერთხელ გაუმეორა. ახლა კი გალი-გალამ სერიოზული სახე მიიღო, ჯერ ორივე ხელი მაღლა ასწია და მერე სწორედ ის სიტყვა წარმოთქვა, რომლის გაგონებასაც რუფია გულისფანცქალით ელოდა.

— ფრი... ფრი... — ატიტინდა ბავშვი. — გალი-გალა ფრი-ფრი, გალი-გალა ფრი... — აღარ ჩერდებოდა პატარა.

რუფიამ ამაყად ასწია თავი და იტურელებს ბავშვის სიტყვები აუხსნა:

— გალი-გალა დედა ტარუტოსგან გამოჭრილ ლომს ფრენას ასწავლის.

— ხის ლომს რა გააცოცხლებს? — ჩაიხითხითეს უხუცესებმა.

— რა კი არა, ვინ! — გამოექომაგა რუფიას თეკლა. — თქვენ ხომ არ გავიწყდებათ, ვისი შვილიშვილია გალი-გალა. თუ ორრგოლიანი

დედა-დედოფალი მთელი არმიის გაცოცხლებას აპირებს, ნუთუ სამრგოლიან გრძნეულს, თუნდაც სულ მთლად პატარას, ერთი ლომის გაცოცხლება არ შეუძლია?

— თქვენ რას ფიქრობთ?! — მიმართეს იტურელმა უხუცესებმა ცებაის და უსუმბას.

— მამაჩემისგან გამიგონია, ხანდახან ტარუტოს ხე ოსტატისგან კი არ ითხოვს, მოითხოვს მისგან რა უნდა გამოიჭრას. ასე არ არის, ცებაი? — დაიმოწმა უსუმბამ ძმა.

— მართალია უსუმბა. ზუსტად ასე გვარიგებდა ტისო. — მხარი აუბა ძმას ცებაიმ. — მე ისიც მახსოვს, მამა ამბობდა, ამ დროს, როგორც არ უნდა ეცადოს ოსტატი, ტარუტოსგან სხვას ვერაფერს გამოჭრისო.

— ეს კარგად გაიხსენე! — გაუხარდა უსუმბას, — კარგი იქნება, თუ ხვალამდე მოვიცდით. ხეზე კვეთის ოსტატები თქვენ არ გაკლიათ, — მიუბრუნდა იტურელებს. — გათენდება თუ არა, მივაკითხოთ დედა-ტარუტოს, ვნახოთ, რისი გამოჭრის უფლებას მოგვცემს.

ეს გადაწყვეტილება ყველას მოეწონა. უკმაყოფილო მხოლოდ თეკლა დარჩა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. ან რას შეიმჩნევდა, როცა თავადაც კარგად ესმოდა, შესაძლოა, იტურში ახლა მთელი აბარდაგანის ბედი წყდებოდა. მას შემდეგ, რაც შეიტყო ლილე შერისხულებს სტუმრობდა, მოსვენება მთლად დაკარგა. ვინ იცის საფრთხეშია, მე კი აქ, იტურის ტყეებში ვნებივრობ და სიმღერებს ვუსმენო. — არ ასვენებდა ფიქრები თეკლას. — ერთ დღესაც მოვიცდი, მაგრამ უსუმბა თუ კიდევ დიდი ხნით დარჩენას გადაწყვეტს, მდაბლად დავუკრავ თავს მასპინძლებს და ლილეს მოსაძებნად მარტო წავალო.

გათენებას მთელი იტური გულისფანცქალით ელოდა. ყველა გრძნობდა, გალი-გალა სიმართლეს რომ ამბობდა, მაგრამ ამის აღიარება ძალიან ძნელი იყო. თითოეულ იტურელს ეჭვები უღრღნიდა გულს, გრძნეულთა შთამომავალი, რომლის გამეფებისათვის ომდურმანი ძალას არ იშურებდა, აბარდაგანელებს გადარჩენის შანსს აძლევდა, თანაც აბარდაგანის აუხდენელი ოცნებების — ფრთოსანი ლომის დახმარებით. იქნებ სულაც გალი-გალა დედა-დედოფლის შემოგზავნილი იყო, მაშინ ხომ მთელი იტური გრძნეულთა წისქვილზე დაასხამდა წყალს. არც შუამავალი იმსახურებდა მათ დიდ ნდობას. გუშინ მოფრენილი მოლაპარაკე ყვანჩალა ასწავლიდა ტყის მე-

საიდუმლე ხალხს, რა სურდა აბარდაგანის გულს – დედა-ტარუტოს.

დილით თეკლა და გალი-გალა შინ დარჩნენ. იტურელები კი, დიდიან-პატარიანად, ხეზე სამუშაო იარაღებით შეიარაღებულნი დედა-ტარუტოსკენ გაეშურნენ. მთელი გზა ისე იარეს, ერთხელაც არ უმღერიათ. ეს მათ ცხოვრებაში პირველი ჩუმი მსვლელობა იყო.

დედა-ტარუტო ისევ ფოთოლგაცვენილი და ტოტებჩამოყრილი იდგა. ხესთან პირველი უსუმბა მივიდა, გარს შემოუარა, მოეფერა, სადამდეც შესწვდა. ხელით მოსინჯა ყოველი მტკაველი, მერე ზურგზე გადაკიდებული ჩანთიდან საყვარელი საჭრეთელი და ჩაქუჩი ამოიღო, ხეს ხელები მოხვია და მის გულის ფეთქვას ყური დაუგდო. უეცრად იგრძნო მის ფეხებთან რაღაც შეინძრა, ძირს დაიხედა, ტარუტოს მიწის ზემოთ ამოჩრილი ვეებერთელა ფესვი ტოკავდა. უსუმბა დაიხარა და საჭრეთელი მოარგო, მერე ჩაქუჩი დაარტყა. მერქანი უცნაურად დაემორჩილა, უსუმბა დააკვირდა, ჩაქუჩის ყოველი აწევის წინ, ხე თავად აჩვენებდა, საით უნდა მიემართა საჭრეთელი. უსუმბას გარშემო უხუცესები მოგროვდნენ, ორმა – ტიუმ და ასანამაც იმარჯვეს საჭრეთლები და ხის მეორე, ისეთსავე დიდ ფესვთან ჩაიმუხლეს. ცებაი კი უსუმბას ამოუდგა გვერდით. ყველა ისე იყო მუშაობაში ჩაფლული, რომ ერთმანეთს ვერც კი ამჩნევდნენ, ორი საათი თავაუღებელი შრომის შემდეგ, ხემ ისევ ლომივით დაიღრიალა. ოსტატებმა ჭრა შეწყვიტეს და ერთმანეთის ნამუშევარს შეხედეს. ორივე ფესვი წყლის წვეთებივით ჰგავდა ერთმანეთს – ეს იყო ლომის ორი თათი ბასრი კლანჭებით. ყველაფერი ცხადი იყო. ტარუტო მათგან მართლა ფრთოსანი ლომის გამოჭრას მოითხოვდა.

* * *

რუფია სარკმელზე შემოჯდა, ოთახში ფრთხილად შეიხედა. გალი-გალას ეძინა. თეკლა კი, ისედაც ლაპლაპა იარაღს უფრო აპრიალებდა. ყვანჩალა ზედ მარჯვენაზე დაუსკუპდა და, თითქოს პირველად ნახაო, მის ხმალს დაუწყო კირკიტი.

– შესანიშნავი ხმალი გაქვს! – მოუწონა რუფიამ იარაღი.

– შენ რის გასაგებადაც გაფრინდი, ის მომიყევი. ჩემი ხმალი რომ

კარგია, თავადაც შესანიშნავად ვიცი. — თეკლამ გაბრაზების ნიშნად მაგიდაზე დასვა რუფია.

— კარგი. იტურელები დარწმუნდნენ გალი-გალას სიმართლეში. ძალიან მადლიერნიც არიან ამ ციცქნა ყაჩაღით. ეს პატარა ბავშვი რომ არა, დედა-ტარუტოს გულისნადებს ვერასდროს გავიგებდითო.

— ეჰ, გამკვირვებია ამ იტურელების, ქვეყანა თავზე ექცევათ, ესენი კი ყოველ დღე ზეიმებს აწყობენ. დაკარგული შვილების დასაბრუნებლად ხეც კი აღინთო ბრძოლის ჟინით, ამათ კი თავიანთი ტყის მეტი არაფერი ადარდებთ. იმას კი ვერ ხვდებიან, აბარდაგანი თუ დაეცა, მათი საქმეც წასული იქნება...

— არც ეგრეა საქმე... — რუფიამ სიტყვა გააწყვეტინა იტურელებზე გაცხარებულ თეკლას. — სულ გულზე ხელების ბრახუნით ბრუნდებოდნენ უკან. უხუცესები იქადნებოდნენ, ერთი სოფელიც არ დარჩება, ყველაზე მიყრუებულ უღრან ადგილებამდეც მივაწვდენთ ხმას და, როგორც ერთი, ისე დავდგებით აბარდაგანის დასაცავადო. დღესვე აპირებენ იტურის ჯარის შექმნისთვის მზადების დაწყებას.

— გალი-გალა, ტყუილად არ მოგვიყვანიხარ აქ! — თეკლამ თავზე ხელი ნაზად გადაუსვა ბავშვს.

— თეკლა... იტურელებს დიდი თხოვნა აქვთ შენთან... — დარჩენას გთხოვენ... — ძლივს ამოიყრანტალა რუფიამ.

— რაო? — ფეხზე წამოიჭრა თეკლა.

— ნადირობაში კი ვართ გაწაფულები, მაგრამ საბრძოლო ხელოვნებისა არაფერი გაგვეგებაო! — კი ვუთხარი, ვერ შეგპირდებით, თეკლას აქ დარჩენას-მეთქი, მაგრამ მათი დაჟინებით, მაინც გადმოგეცი ეს თხოვნა. — რუფია აიბუზა და თავი ბუმბულებში ჩარგო.

— რუფია, რა ვქნათ? მითხარი, ლილემ ჩემი თავი, როგორც ჭკვიანსა და გამოცდილს, ისე ჩაგაბარა, ჰოდა, მიპასუხე, რა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ?! მე უნდა გირჩიო — წადი-მეთქი, შენ კი ქვა უნდა ააგდო და თავი შეუშვირო და მიმტკიცო, ახლა იტურში უფრო საჭირო ვარო. არც მე ვიქნები მართალი და არც შენ.

— ქარაგმები, ისევ ქარაგმები... რუფი, ახლა ამის დრო არ არის. გული მიგრძნობს, ლილე საფრთხეშია.

— მართლა?

— ჰო! დახედე ამ თითს! — თეკლამ ცერა თითი გაუშვირა, მასზე

კარგად ჩანდა შეუხორცებელი წითელი ზოლი.

— ხედავ, ჭრილობამ პირი დააღო. ჩვენი ძმადნაფიცობის ნიშანი მატყობინებს ამას. მწიწკნის და არ მასვენებს.

— ეს სხვა ამბავია! მოდი, თეკლა, ლილეს მოსაძებნად მე გავფრინდები შერისხულებთან.

— მოიცა, მოიცა! გალი-გალას ვის უტოვებ?! შენ, მგონი, მისი გრძნეულება დაგავიწყდა, უშენოდ დედა-ტარუტოსგან გამოთლილ ფრთოსან ლომსაც გალი-გალა როგორ გააცოცხლებს? — რუფიას წინადადებამ სულ მთლად დააბნია თეკლა. — არც გზები იცი, შერისხულებამდე როგორ მიაღწევ?!

— ამდენ კითხვას ერთად ნუ მაყრი. ერთად მოვიფიქროთ თითოეულის პასუხი. მოდი, სულ თავიდან დავიწყოთ: გალი-გალას შენ და ცებაის გიტოვებთ, გრძნეული კი არის, მაგრამ დიდი სისულელეების ჩასადენად ძალიან პატარაა. არ დაგავიწყდეს, დიდ შეცდომებს უფროსები სჩადიან და არა — ბავშვები. სანამ იმხელა ხისგან ფრთოსანი ლომი გამოიჭრება, უკან დაბრუნებასაც მოვასწრებ. რაც შეეხება გზას, დროს ტყუილად არ ვკარგავდი, იტურის ტყეში რამდენიმე მეგობარი გავიჩინე, ჩემნაირი შავები და ყრანტალები. მათ, ჩემგან განსხვავებით, შერისხულებამდე გზა შესანიშნავად იციან. შენზეც ვიფიქრე, კვამლის წამკითხველებმა მთელ აბარდაგანს აცნობონ, იტურელებს მხედართმთავარი რომ სჭირდებათ, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად გამოეხმაურებიან. იტურის ჯარიც მას გადააბარე.

— რომ არავინ მოვიდეს? — იკითხა თეკლამ.

— ხომ არ დაგავიწყდა უსუმბა, დღესვე აპირებს წასვლას, გრძნეულთა ტარუტოს ხის ჯარისკაცების არსებობა მალე მთელ აბარდაგანს ეცოდინება.

— ისე ლამაზად გადააბი ყოველი რგოლი ერთმანეთს, ისე ოსტატურად აასხი ჯაჭვად, რომ არ დაგეთანხმო, არ შემიძლია, მაგრამ...

— რა მაგრამ, თეკლა!

— ერთი რგოლიც რომ სუსტი აღმოჩნდეს და გაწყდეს, ეგ ჯაჭვი გინდა გვქონია და გინდა არა.

— სხვა გზას მე ვერ ვხედავ... — ამოიოხრა რუფიამ.

— სამწუხაროდ, ვერც მე! — დაეთანხმა თეკლა თავის მრავლისმნახველ და ჭკვიან მეგზურს.

საუბარში გართულ თეკლასა და რუფიას ისე წამოადგათ ცებაი თავს, რომ ვერც კი გაიგეს.

— რას ბჭობთ? — ჰკითხა მოსაუბრეებს.

— ვინ სად უნდა წავიდეთ! — უპასუხა თეკლამ.

— ისე, ორივემ რომ იცოდეთ, სალიტულაში გვეპატიჟებიან. — ცებაის სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

— შენ დღეს რაღაც განსაკუთრებულად კარგ ხასიათზე ხარ! რა-შია საქმე? — რუფია მხარზე დააჯდა ცებაის.

— ჰო, თქვენ ახალი ამბავი არ იცით...

— ნუ გვაწვალებ, თქვი მალე... — რუფია მოუთმენლობამ შეიპყრო.

— აბარდაგანს ახალი მთავარი ეყოლება... სალიტულა დიდი ზეიმისთვის ემზადება.

— ესენი გამაგიჟებენ!.. — თავი გააქნია თეკლამ, — რა ზეიმი და ტაშ-ფანდურა აუტყდა მთელ აბარდაგანს?

— რომ გაიგო, ვინ უნდა იყოს ჩვენი ახალი მთავარი, შენც ზეიმის ხასიათზე დადგები... — ნიშნის მოგებით უპასუხა ცებაიმ.

— ვინ? — წამოიძახეს თეკლამ და რუფიამ ერთდროულად.

— ლილე ირელი!

— შენ რა იცი? — ჰკითხა ახალი ამბით გაოცებულმა თეკლამ.

— მთელი აბარდაგანი ამაზე ლაპარაკობს. უკვე სხვადასხვა მხრიდან ამოსულმა სამმა კვამლმა გვამცნო.

— ლილე ირელი — აბარდაგანის მთავარი?! ეს ლილეს არ ჰგავს. — მხრები აიჩეჩა თეკლამ.

— მოიცა, თეკლა, იქნებ ლილემ გრძნეულთა გეგმები უკვე იცის და ამიტომაც აბარდაგანის გადასარჩენად მოინდომა სალიტულას ტახტზე დაბრძანება. — სცადა მეგობრის გამართლება რუფიამ.

— მით უმეტეს მიკვირს მისი საქციელი, თუ ყველაფერი იცის, რა დღესასწაულები აუტყდა. — თავისას არ იშლიდა თეკლა. — მორჩა, ყველაფერი გადაწყვეტილია, მე და უსუმბა ერთად მივდივართ სალიტულაში. შენ აქ რჩები.

— კარგი, კარგი! ასე იყოს. მხოლოდ დამშვიდდი! — სცადა მისი დაწყნარება რუფიამ.

თეკლას წასასვლელად დიდი ფაციფუცი არ დასჭირვებია. რამდენიმე წუთში უკვე მზად იყო. პატარა გალი-გალას თავზე ხელი

გადაუსვა და შუბლზე აკოცა.

— ბავშვს კარგად მიმიხედეთ! — დაარიგა რუფია და ცებაი, კიდევ ერთხელ აკოცა პატარას და გარეთ გავიდა.

— მართალს ამბობენ... კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა! — ამოიოხრა რუფიამ და გალი-გალას საწოლის თავთან ჩამოჯდა.

თავი ოცდამეშვიდე

დედა-ტარუტოს ჩანაფიქრი

სწორედ გალი-გალას მსგავს ბავშვზე იქნებოდა ნათქვამი — ნლობით კი არა, საათობით იზრდებაო. მის ასაკში თუ სხვები დედას ძლივს ამბობდნენ, გრძნეული ბავშვი უკვე კარგად ტიტინებდა და რუფიას ფიქრებით ისედაც დამძიმებულ თავს ათასგვარი კითხვებით მოსვენებას არ აძლევდა. სადარდებელი კი მართლაც ყელამდე ჰქონდა ყვანჩალას. იქით ლილეს დარდი კლავდა, აქეთ — ომდურმანში გამოკეტილი ტისოსი, გალი-გალას გრძნეულობა ხომ მუდმივად მოსვენებას არ აძლევდა. ბავშვის შუბლზე მანათობელი რგოლები დღითიდღე მკვეთრი ხდებოდა და, რაც დრო გადიოდა, რუფიასაც სულ უფრო უჭირდა მისი სურვილებისთვის წინააღმდეგობის გაწევა. აღარ იცოდა, როგორ დაემორჩილებინა პატარა. ხანდახან, უნდოდა თუ არა, ფრთების ტლაშუნით გალი-გალას გარშემო დაფრინავდა და ხმამაღლა უაზროდ ყრანტალებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვს მასთან თამაში უნდოდა. რუფია კი მის სურვილს, ძალიანაც რომ მოეწადინებინა, წინ ვერ უდგებოდა. გალი-გალა არათუ სიტყვით, ფიქრითაც კი იმორჩილებდა მას. ყვანჩალა ძალზე შეშფოთებული იყო. არ ეგონა, ბავშვში გრძნეულება ასე სწრაფად თუ მოიკრებდა ძალებს და მის ნიჭს ბევრად გადააჭარბებდა.

— აბა, დაწყნარდი, ჩემო პატარა, ნუ ცელქობ! შენ ხომ უკვე დიდი ბიჭი ხარ, ფრი-ფრი მერე ვითამაშოთ. ახლა კი ლაპარაკი ვისწავლოთ. — სიყვარულით დაუტატანებდა რუფია ბავშვს.

გალი-გალაც წყნარდებოდა და რუფიას ნასწავლ სიტყვებსა და წინადადებებს ბეჯითად იმეორებდა. თუმცა, ბოლო ხანებში რუფიამ შეამჩნია, დედა-ტარუტოს გვერდით გალი-გალა ჩვეულებრივი ბიჭივით იქცეოდა და აღარც რგოლები უბრწყინავდა შუბლზე.

გალი-გალას გრძნეულებით შეშინებული იტურელი დედები ბავშვთან შეხვედრას გაურბოდნენ. შვილებს ხომ საერთოდ არ უშვებდნენ მასთან სათამაშოდ. ცებაის ბავშვი ყოველდღე დედა-ტარუტოსთან მიჰყავდა და სანამ მუშაობას დაამთავრებდა, ხის გვერდით რუფიას მეთვალყურეობის ქვეშ მიუჩენდა ხოლმე ადგილს. დედა-ტარუტოს გვერდით გალი-გალა თვინიერი და დამჯერი ხდებოდა. პატარა ხეს ისევე ეტიტინებოდა, როგორც რუფიას, მის შრიალს კი ისევე ყურადღებით უსმენდა, როგორც ყვანჩალას მოყოლილ ამბებს. ბავშვი ტარუტოს დედა ლომს ეძახდა და, თითქოს მის გვერდით, იტურის ულრან ტყეში პოულობდა ჩვილობიდანვე დაკარგულ დედის სითბოსა და ალერსს.

დედა-ტარუტო კი ძველებურად ამაყად იდგა ცაში აწვდილი ტოტებით და მოთმინებით ელოდა — ცებაი და ხეზე კვეთის იტურელი ოსტატები როდის გამოჭრიდნენ მისი სალი კლდესავით მყარი მერქნისაგან ფრთოსან ლომს. თვლა აღარ ჰქონდა დაბლაგვებულ და გადამტყდარ საჭრეთლებს. მთელი ღამე არ წყდებოდა სალესი ქვების ხმა, ოსტატებს დილისთვის ისევ მჭრელი იარაღი რომ დახვედროდათ. იტურელები ცებაის არ ასვენებდნენ, გალი-გალას ჰკითხე, დედა-ტარუტო ჩვენი შრომით კმაყოფილია თუ არაო. ამაზე ცებაის პასუხი ყოველთვის მზად ჰქონდა: — დედა-ტარუტოს შეწუხება ჩვენი კითხვებით არ ღირს, თუ მოისურვებს, თავად შეგვეხმიანება. კმაყოფილი რომ არ იყოს, მისი ქვასავით მაგარი მერქნისგან ფრთოსან ლომს კი არა, უბრალო მორსაც ვერ გამოვთლიდითო.

რუფიასაც აინტერესებდა დედა-ტარუტოს აზრი, მაგრამ სულ სხვა მიზეზის გამო. ხან საიდან შემოუფრენდა, ხან — საიდან. რამდენჯერ ტოტზე ჩამოუჯდა, ნისკარტი ჩაუკაკუნა კიდეც, მაგრამ ამაოდ. დედა-ტარუტო მასთან საუბარს არ აპირებდა. მაშინ რუფიამ პატარა გალი-გალას სთხოვა, დედა ლომთან დამალაპარაკეო. მას შემდეგ თითქმის ორი კვირა იყო გასული, დედა-ტარუტო კი ძველებურად დუმდა. რუფია მოუთმენლად ელოდა, დარწმუნებული იყო, მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანი საუბარი უნდა გამართულიყო.

სისხამ დილით, როგორც ყოველთვის, პირველმა გალი-გალამ გაიღვიძა. თითქმის ბნელოდა, ახლადამოწვერილ მზის სხივებს ჯერ კიდევ მოლონიერება სჭირდებოდათ იტურის ტყეში ჩასაღწევად.

გალი-გალამაც, როგორც ყველა ბავშვმა, თვალის გახელისთანავე ხმაური ატეხა, ჯერ საწოლის თავზე ჩამომჯდარ, სიზმრებში ჩაფლულ რუფიას გასძახა, მერე არც ცებაი დაივიწყა, მასაც შეუძახა, უკვე გავიღვიძე და მომხედეო. ცებაი თითქმის თვალდახუჭული წამოდგა საწოლიდან, ანგარიშმიუცემლად ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა და ხელ-პირის დასაბანად გარეთ გავიდა.

— რუფია! ფრი-ფრი! — ფრთაზე ხელით მოქაჩა მუხლებზე წამომდგარმა ბავშვმა ყვანჩალას.

— მესმის, მესმის! — გაიფხორა ყვავი და, როგორც იქნა, თვალები გაახილა. — ეს რა იცი, მზის ამოსვლამდე გაღვიძება. ერთხელ მაინც დამამთავრებინე სიზმარი. — აბურტყუნდა რუფია, მაგრამ, როცა გარედან დოლის ბრახუნის ხმა შემოესმა, საყვედურები შეწყვიტა. — რას გერჩი, გათენებულა და ადგომის დროც მოსულა.

— ჩქარა წავიდეთ! — ისევ მოქაჩა გალი-გალამ ფრთაზე.

— ნეტა, შენ სადღა გეჩქარება? აქაც უნდა ითამაშო და იქაც, უფრო სწორად, აქაც უნდა მაწვალო და იქაც. პირობა მომეცი, დღეს ჭკვიანად მოიქცევი. — დილიდან დაუწყო დამოძღვრა რუფიამ ბავშვს.

— არა, დღეს თამაში, არა! — იუარა გალი-გალამ.

— აბა, დღეს რას აპირებ? — სავსებით სერიოზულად ჰკითხა ყვანჩალამ.

— დედა ლომთან ვილაპარაკებთ. — მოულოდნელად განაცხადა ბავშვმა.

— დედა ლომს ჩემთან ლაპარაკი სურს? — სიხარულით ფრთები შემოჰკრა რუფიამ.

— დიახ! დედა ლომს ლაპარაკი უნდა, მე კი — ფია, მშია! — გალი-გალამ დიდი კაცივით მუშტი დაარტყა ქვეშაგებს, ბრახუნის ხმა რომ ვერ გაიგო, საწოლის თავსაც ერთი მისცხო.

— რა ბრახუნია აქ? — იკითხა ამ დროს შემოსულმა ცებაიმ.

— შია და მუშტებს გვიბრახუნებს, არ იცი შენი დისშვილის ხასიათი, ყოველ დილას ჩხუბით იწყებს, ჩქარა მაჭამეთო? — ნიღბების ოსტატს გალი-გალას ნაცვლად რუფიამ გასცა პასუხი.

— შია და ვაჭამოთ! — რიხიანად შეუძახა ცებაიმ.

— თქვენ აქ ისაუზმეთ, მე კი ჩემს საუზმეს იტურის ტყეში თავად მოვნახავ. დედა ტარუტოსთან შევხვდებით. — რუფიას ერთი სული

ჰქონდა, მარტო როდის მოიხელთებდა ტარუტოს და გაესაუბრებოდა.

ცებაიმ საუზმე სწრაფად მოამზადა. რამდენიმე ათქვეფილ კვერცხს თხის ცოტაოდენი რძე დაუმატა, შიგ ორცხობილას ორი ნაჭერი ჩაალბო, ცხელ ტაფაზე დაალაგა, ცალი მხარე რომ შეებრაწა, გადაატრიალა და ზედ დარჩენილი ათქვეფილი კვერცხიც მოასხა.

— მოგეწონა? — ჰკითხა ცებაიმ ბავშვს, რომელიც ბოლო მოზრდილი ლუკმით პირგამოტენილი, ყბას ძლივს ანძრევდა. გალი-გალამ თავი დაუქნია.

— რამდენჯერ გითხარი, დიდ ლუკმებს ნუ იდებ, არ შეიძლება! ვინ წაგართმევს, ნელა ჭამე. — დაარიგა გალი-გალა ცებაიმ. — აბა, შენი სათამაშოები სად არის? — იკითხა ოსტატმა.

გალი-გალამ ხელით პატარა ტოპრაკზე მიუთითა. ცებაიმ ბავშვი თავის სათამაშოებიანად ზურგზე მოისვა და დედა-ტარუტოსკენ გაემართა.

რუფია იქ დახვდათ. ცებაიმ უხასიათობა მაშინვე შეამჩნია, გაფხორილი ყვანჩალა ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, აქეთ-იქით ხტოდა.

— რა მოგივიდა, ამ დილაუთენია ნეტა რამ გაგაბრაზა? — შეეკითხა ცებაი, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, ყურადღება აღარ მიაქცია. ბავშვს ძირს საფენი გაუშალა და ზედ დასვა, სათამაშოებიც იქვე დაუყარა, თავად კი იტურელებთან ერთად დედა-ტარუტოსგან ფრთოსანი ლომის გამოჭრა გააგრძელა. ლომის ტანი და ფრთები უკვე გამოჭრილი იყო, ახლა, მაღალ კიბეებზე ასული ხეზე კვეთის ოსტატები თავსა და ფაფარზე მუშაობდნენ და ხეს ტოტებს აჭრიდნენ. სამუშაო ჯერ კიდევ თავზესაყრელად იყო. მართალია, ხემ ნებაზე მიუშვა იტურელები, მერქანიც ჩვეული სიმტკიცით არ ეწინააღმდეგებოდა საჭრეთელს, მაგრამ აბარდაგანში ყველაზე დიდი ტარუტოს ხისგან ფრთოსანი ლომის გამოჭრა სახუმარო საქმე არ იყო.

გალი-გალას მარტო თამაში მობეზრდა. სათამაშოები მიყარ-მოყარა და ყვანჩალას გასძახა:

— რუფია!

— აკი დედა-ტარუტოს შენთან ლაპარაკი უნდაო, ერთი სიტყვაც კი არ მითხრა, — გულნატკენად უთხრა რუფიამ ბავშვს.

— უნდა, უნდა! — უპასუხა გალი-გალამ.

— რა ვიცი, არაფერი მითხრა კია. დაველოდები, სხვა რა გზა მაქვს. მანამდე იქნებ უმაგისოდაც მოგაშორო ეგ რგოლები შენი პატარა შუბლიდან.

— ჯერ არა! — შუბლზე ხელები აიფარა გალი-გალამ.

— ვითომ რატომ? — გრძნეულები მანამ არ მოგეშვებიან, სანამ ნიშანი გასვია. დედა-დედოფალმა და მამაშენმა თუ ჩაგიგდეს ხელში, ჩემი კარგი გალი-გალა შეიძლება ძალიან ცუდ ბიჭად იქცეს. მერე უკვე ვერაფრით გიშველი. მოდი, ვცადოთ, იქნებ ჩვეულებრივ ბიჭად გაქციო.

რუფია ბავშვს ცხვირწინ დაუჯდა და თვალი თვალში გაუყარა. შეეცადა მის გონებაში ჩაეხედა. უეცრად მის გვერდით ორი მტკავლის სიმაღლის ქარბორბალა გაჩნდა, რუფია ზევით აიტაცა და ტარუტოს კენწეროზე მოაქცია. ყვანჩალა მიხვდა, ხე მასთან საუბარს აპირებდა.

— გეთქვა და ჩემით ამოვფრინდებოდი, რა საჭირო იყო ქარბორბალას ატეხვა. — უსაყვედურა რეტდასხმულმა რუფიამ დედა-ტარუტოს.

— მაპატიე, შემეშინდა ბავშვისთვის გრძნეულების ნიჭი არ წაგერთმია. — ჩაიბუბუნა დედა-ტარუტომ.

— მე კი მიპატიებია, მაგრამ იცი კი, რა დიდი საშიშროება ემუქრება პატარას გრძნეულების ნიჭის გამო? მასზე მთელი ომდურმანი ნადირობს.

— ვიცი, ჩრდილოეთის ქარები მუდმივად მიყვებიან გრძნეულთა ქალაქის ამბებს. ტარუტოს ჯარისკაცებისგან არმიის შექმნაც მათ გამაგებინეს.

— ძალიან კარგი, თუ ყველაფერი იცი. ტისოს ამბავიც ხომ არ გიამბეს ქარებმა, როგორაა, ხომ ცოცხალია? — საჩქაროდ შეეკითხა რუფია.

ომდურმანში გამოკეტილ ნიღბების ოსტატთან გაფრენას რუფია ყოველდღე აპირებდა, მაგრამ გალი-გალას მარტო ვერ ტოვებდა. ასე ეგონა, მის გარეშე ბავშვს დიდი ხიფათი ელოდა.

— ცოცხალია, მაგრამ ძალზე მოწყენილი და ერთ ყვანჩალაზე საშინლად გაბრაზებული. — პასუხი არ დააყოვნა ტარუტომ.

— იქნება, აბა რა? სულ დავივიწყე საწყალი. მაგრამ რა ვქნა, ამ

ბავშვის მიტოვებაც რომ არ შეიძლება. — თავი იმართლა რუფიამ.

— კარგია, ბავშვი რომ ახსენე. ახლა მთავარი სწორედ ეს ბავშვია. მისი გრძნეულება მე მჭირდება.

— ფრთოსანი და თანაც გრძნეული ლომი გინდა გახდე? — ჩაეკითხა რუფია.

— არა, გრძნეულებისგან ღმერთმა დამიფაროს, მე ერთი ჩვეულებრივი ხე ვარ და ბოლოს ისევ ხედ დავრჩები. მე ჩემგან გამოჭრილი ფრთოსანი ლომის გასაცოცხლებლად მჭირდება გალი-გალას ძალა. მხოლოდ მას შეუძლია გამაშლევინოს ფრთები და ფრენაც შემაძლებინოს. შენ ბოლომდე კიდევ ვერ ხვდები, რა დიდი ძალაა მასში დავანებული, მაგრამ ჯერ პატარაა და მისი გამოყენება თავად არ შეუძლია.

— გეგონოს! თუ მოინდომა, მაიძულებს სულ თავდაყირა ვიფრინო. — შეეპასუხა რუფია.

— ჩემს გაცოცხლებას იმდენი ძალა სჭირდება, გალი-გალა ერთიანად დაცლის თავის ნიჭსა და შესაძლებლობებს, მერე კი ერთ ჩვეულებრივ ბიჭად იქცევა. — აუხსნა დედა-ტარუტომ რუფიას.

— ერთი ეს მითხარი, ფრთოსანი ლომობა რამ მოგანდომა? — როგორც იქნა, რუფიამ ის კითხვა დასვა, რომელიც უკვე დიდი ხანია აწუხებდა.

— აბარდაგანის დალაგება გადავწყვიტე. — დედა-ტარუტოს პასუხი ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა რუფიასთვის. — ახლა ომდურმანში გაფრინდი, ჩრდილოეთის ქარების სეზონი ჯერ შორსაა, გრძნეულებიდან ამბის მომტანი კი სხვა არავინ მყავს. ნახე, იქ რა ხდება. ტარუტოს ჯარისკაცები უკვე გააცოცხლეს თუ არა. ტისოც მოინახულე. ყველაფერი მოუყევი. დაამშვიდე მოხუცი. შენს დაბრუნებამდე გალი-გალას მე მივაქცევ ყურადღებას. ჩემ გვერდით ჭკვიანად იქნება. მოწყვიტე ჩემი რამდენიმე ფოთოლი და ბავშვს სათამაშოების ტოპრაკში ჩაუყარე. ასე სულ გვერდით ვეყოლები.

— დღესვე გავფრინდე? — ჰკითხა რუფიამ.

— ახლავე!

— მართლა... გალი-გალა მთელ თავის გრძნეულების ნიჭს ჩემს გაცოცხლებაზე დახარჯავსო რომ თქვი, თვითონ ბავშვს ხომ არ ემუქრება რაიმე საფრთხე?

— იმედი მაქვს, არა!

— რა, ზუსტად არ იცი? — შეიცხადა რუფიამ.

— კარგი, დაწყნარდი. დრო გვიჩვენებს. ახლა, რაც გითხარი, ის გააკეთე.

— დედა-ტარუტო ხარ, თუ ფრთოსანი ლომი, იცოდე, მიფრთხილდი, ბავშვს არაფერი ავნო, თორემ... — მუქარა ბოლომდე აღარ დაამთავრა რუფიამ. ფრთა ფრთას შემოჰკრა და ომდურმანისკენ გაფრინდა.

* * *

მხოლოდ ორი დღის შემდეგ დაბრუნდა რუფია. გალი-გალას ძალიან მოესაკლისა ყვანჩალა, მოწყენილი იყო და სულ ეძებდა. მეგობრის დაბრუნებით გახარებული ბავშვი, ყვანჩალას ისე იხუტებდა და ეფერებოდა, რუფიამ აჩვილებული გული ვეღარ დაიოკა და რამდენიმე ცრემლი გადმოუვარდა.

ომდურმანიდან რუფიამ ცებაის სასიხარულო ამბავი მოუტანა. ტისო, მართალია, გრძნეულებს კვლავ აკლდამებში ჰყავდათ გამომწყვდეული, მაგრამ კვლავ ჯანმრთელად გრძნობდა თავს. გრძნეულებს ნიღბის დამზადების შემდეგ მისი დამსახურება არ დაევიწყებინათ, მოხუცს უკეთეს პირობებში ამყოფებდნენ. რაც მთავარი იყო, მუშაობის უფლებასაც აძლევდნენ.

— ტარუტოს ჯარისკაცებიც ნახე? — ჰკითხა ცებაიმ რუფიას.

— ვნახე რომელია. ერთი-ორის მხარზეც ვიჯექი. იმხელები არიან, მათი ტორი რომ მომხვედროდა, სულს გავაფრთხობდი. ცოტაღა დარჩათ გასაცოცხლებელი. ფრთოსანი ლომის დასრულება უნდა იჩქაროთ. ისინი თუ სალიტულას შეესევიან, გადაუვლიან კიდევაც.

— სხვა ჯარსაც აგროვებენ? — დაინტერესდა ცებაი.

— მოგროვილიცა ჰყავთ, ძალიან ბევრნი არიან, მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირე ზოლანები და ლოტები ჯერ არ შეერთებიან. მათ შემომატებას გზაში ელოდებიან.

თავი ოცდამერვე

უდაბნოს ხალხი

უდაბნოს ხალხი პატარ-პატარა სოფლებად ცხოვრობდა, სულ რამდენიმე ოჯახი ერთად. უფრო ძეძვიან და ეკალ-ბარდიან ადგილებში, სადაც ქვიშას ჯერ ბოლომდე არ დაეფარა გამომშრალი მიწა. რამდენიმე თხა და ზურგზე მოსაკიდებელი ბარგი იყო მათი მთელი ავლადიდება. სადაც წყალს იპოვიდნენ, იქვე დასახლდებოდნენ. ქარბუქების დაწყების წინ კი კლდეების მხარეს მიაკითხავდნენ და ქვიშის ქარბორბალების ჩაწყნარებამდე გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ. ადრე წვიმა ხშირად მოდიოდა, წყალს ადვილად პოულობდნენ, საქონელი ბევრი ჰყავდათ და სოფელიც უფრო დიდი იყო. ყველა სოფელს თავისი კვამლის წამკითხველი, ნიღბების ოსტატი და გამყოლი ჰყავდა და უდაბნოელთა ახლანდელ გალეულ დასახლებებს სულაც არ ჰგავდა.

უდაბნოელები თვალებს არ უჯერებდნენ, როცა ერთ ჩვეულებრივ თაკარა მზიან დღეს, ქარბუქების სეზონის დაწყების წინ, უკვე აყრილ სოფელში, გამოქვაბულებისკენ წასასვლელად უკვე ბარგი-ბარხანა აკიდებულებს ბესანჯი გამოეცხადათ. მოჩვენებასავით ჩაიარა მათ შორის. ერთი ჭარმაგი კაცი ამოირჩია, დრუნჩი გაჰკრა და ისევ იქით გაეშურა, საიდანაც გამოჩნდა.

მოულოდნელი სტუმრის გამოჩენით გაოცებული სოფლელები გაოგნებული შესცქეროდნენ უკვე ლეგენდად ქცეულ ცხოველს. როცა ბესანჯი მიხვდა, უკან არავინ მომყვებაო, ისევ სოფელში დაბრუნდა და ყეფა დაუწყო ერთ ადგილას გაქვავებულ ადამიანებს. ახლა კი ინებეს უდაბნოელებმა ადგილიდან დაძვრა და ბესანჯს უკან გაჰყვნენ. ძაღლი ჩქარობდა, კი არ მიდიოდა, მირბოდა. უდაბნოელები ძლივს მიჰყვებოდნენ ფეხდაფეხ. ცოტა ხანში მათკენ მომავალი ორი

მგზავრი შენიშნეს, როცა მიუახლოვდნენ, ბესანჯის დანახვაზე ნაკლებ არ გაკვირვებიათ იმ უცნაური წყვილის ხილვა.

* * *

სოფლელების გამოჩენამ მართლაც რომ სულზე მიუსწრო ლილესა და კაპოს. უკვე თვალთ უბნელდებოდათ და მუხლები ეკეცებოდათ. შემოთავაზებულ წყალს ხარბად დაეწაფნენ და ცოტა მოსულიერდნენ.

— ეს ხომ ბესანჯია? — მორიდებით იკითხა ძაღლზე ერთმა.

— ბესანჯია, — დაუქნია თავი ლილემ.

— პატრონი ვინ არის?

— ვინ იქნება, ეს არის! — მიუთითა ლილეზე კაპომ. — აბა, ჩემი ძაღლი ხომ არ იქნება?

— დამშვიდდი, კაპო! — დაუყვავა ლილემ. — ძაღლი ჩემია. მე ლილე ირეელი ვარ.

— ლილე ირეელი?! — წამოიყვირა ყველამ გაკვირვებით.

— ჰო, ირეელი ვარ. რა მოხდა, მერე?

— შეუძლებელია! — აღმოხდა ერთს.

— ვითომ რატომ? — ჩაეძია კაპო და უეცრად თავზე ხელები შემოირტყა.

— შენ რაღა მოგივიდა? — მხარში ხელი გაჰკრა ლილემ. — ამიხსენით, რად გაგიკვირდათ ჩემი დანახვა? — მიუბრუნდა ლილე სოფლელებს.

— რამდენიმე კვირის წინ ამბავი მოგვივიდა, აბარდაგანის მთავრად ლილე ირეელი დადგაო, სალიტულას ტახტი ახლა მას ეკუთვნის... — ლუღლუღით ამოღერღა ყველაზე ჭარმაგმა უდაბნოელმა.

— შენ კი გაგიკვირდა, რატომ წავიშინე თავში ხელი! — მიუბრუნდა კაპო ლილეს, — ნასარმა დაგასწრო!..

— ლილე ირეელი მე ვარ. დასტურად ჩემი ბესანჯიც კმარა. სალიტულას ტახტზე კი ჩემს სველთვალებიან ნილაბს ამოფარებული, შერისხულთა მთავარი ვეზირი ნასარი დაბრძანებულა.

— რას ამბობ, რას? — აჩოჩქოლდნენ უდაბნოელები. — სალიტულას

ტახტზე ნასარს რა უნდა, დავიღუპეთ და ესაა...

— სასწრაფოდ სალიტულაში უნდა წავიდე, გამყოლი მჭირდება! — ისე რიხიანად თქვა ლილემ, თითქოს დაღლისგან გათანგული არც კი ყოფილიყო.

— ახლა სალიტულაში წასვლა შეუძლებელია, სადაცაა ქარბუქები დაიწყება. დროებით კლდეებს უნდა შევაფაროთ თავი. მერე, კი ბატონო, თუ გინდა, მეწამულ ქალაქში მთელი სოფელი წამოგყვებით — ურჩიეს ლილეს.

— დიდხანს გრძელდება ეს ქარბუქები? — დაინტერესდა ეროელი.

— მანამ, სანამ ქვიშა არ დაიღლება.

სხვა რა გზა ჰქონდა ლილეს, უნდა დაეჯერებინა და დამორჩილებოდა უდაბნოელთა რჩევას.

კლდეებისკენ გამგზავრება რამდენიმე საათით გადაიდო. სტუმრებს დანაყრებისა და მოსვენების საშუალება მისცეს. მათ თხის ახლად მოწველილი რძითა და ძირხვენების შეჭამანდით გაუმასპინძლდნენ. რძე წყალწყალა იყო და უცხიმო, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა. კაპომ გულიანად დაცალა რძით სავსე, გოგრის ქერქისგან გაკეთებული თასი; ლილეს რძე ბავშვობიდან არ უყვარდა, მაგრამ ახლა თავს ძალა დაატანა და სვენებ-სვენებით ბოლომდე დალია.

— გატყობ, რძე ძალიანაც არ გიყვარს. — შეიცოდა კაპომ ლილე.

— ჰო, არც ძალიან. რომ იცოდე, ბავშვობაში რამდენჯერ დავსჯილვარ საუზმობისას რძეზე უარის თქმის გამო... — გაიხსენა როშკაში გატარებული წლები ლილემ.

— რას წარმოვიდგენდი, ბესანჯის პატრონსაც თუ ბავშვობაში ჩემსავით უბათქუნებდნენ. — ჩაიხითხითა კაპომ და ვირის მოგრძო ყურები აქეთ-იქით შეათამაშა.

— აბა, აბა! მიბათქუნებდნენ არა! — გული მოუვიდა ლილეს.

სოფლელებმა სტუმრებს ქვეშაგები ძეძვით გადახურულ სახელდახელოდ გაკეთებულ ფანჩატურში დაუგეს. მათაც თავი მისდეს თუ არა, მაშინვე ჩაეძინათ. ორიოდ საათში მასპინძლებმა, დიდი მობოდიშებით, გააღვიძეს, — მეტის მოცდა აღარ შეიძლება, უდაბნოს ქარბუქი სოფელს სადაცაა ესტუმრებოდა.

გამოღვიძებულ ლილეს და კაპოს მთელი სოფელი უკვე აბარგებული დახვდა, პატარა ბავშვებსაც კი ზურგზე მცირე ზომის წყლით

სავსე ტიკები ჰქონდათ მოგდებული.

სოფლის თავმა, შუახნის მაღალმა სახენაიარევმა კაცმა, აზულად რომ გაეცნო სტუმრებს, ორი შეკვრა მათთვისაც მოიტანა.

— ხედავთ, ჰორიზონტზე შავი წერტილი რომ ჩანს? უდაბნოს გრიგალია, გეზი ჩვენკენ უჭირავს, უნდა ვიჩქაროთ.

ლილემ და კაპომ უსიტყვოდ აიკიდეს მათთვის განკუთვნილი ბარგი და სოფლელებს გაჰყვნენ. წინ სოფლის თავი, აზულა, მიდიოდა — შუა ხნის ბრგე კაცი. ზურგზე უშველებელი გუდა ჰქონდა მოგდებული. დროდადრო ჩერდებოდა და ყოველ წუთში მზარდ შავ ლაქას გახედავდა. ლილე თავად ვერ ხვდებოდა, რა მანძილზე იყო მათგან ქარბუქი, ან რა დროს სჭირდებოდა მათ დასაწევად, მაგრამ აზულას სახეზე ისეთ შეშფოთებას კითხულობდა, კითხვა საჭირო არ იყო — უდაბნოელებს ხიფათი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ქვიშაში სიარულის ხმას უკვე უცნაური შიშინი დაერთო, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.

— ეს რა ხმაა? — იკითხა კაპომ.

— უდაბნოს ქარბუქის სიმღერაა. — უპასუხა აზულამ, თან თანასოფლელებს გასძახა, — აუჩქარეთ ფეხი, რას ზოზინობთ?

ლილემ ორ ყველაზე პატარა ბავშვს დასტაცა ხელი, ერთი კისერზე შემოისვა, მეორე კი ხელში აიყვანა. კაპომაც მას მიბაძა, მაგრამ აზულამ ისე დაუბღვირა, ბავშვებს ცივად გაუშვა ხელი.

— აზულა, კაპოს ჩოჩრის თავს ყურადღებას ნუ აქცევ, გული ჩვენნაირი აქვს. — გამოექომაგა შერისხულს ლილე.

აზულამ არაფერი უპასუხა ლილეს. თავად აიყვანა ის პატარა, რომლის მიშველებასაც კაპო აპირებდა, შერისხულს გადასცა და უთხრა:

— ჩემი შვილიშვილია. შენ გაბარებ! თუ გრიგალი დაგვეწია, უნდა დაიფარო!

— თვალის ჩინივით გავუფრთხილდები! — დააიმედა კაპომ და ბავშვი კისერზე შემოისვა. პატარამ ერთი კი დაირცხვინა, მაგრამ ორიოდ წუთში აღვირივით ჩასჭიდა ხელები კაპოს გრძელ ყურებს.

— ყურები არ დამაგლიჯო, შე ეშმაკო! — შეუძახა ბავშვს კაპომ.

— რომ დაგაგლიჯოს, ძალიანაც არ ინერვიულო. შენც ეგ არ გინდა? — გაეხუმრა ლილე შერისხულს.

— აზულა, ერთი იქით გაიხედე. მგონი ვიღაცეები არიან. — აღმოსავლეთისკენ გაიშვირა ხელი ერთმა სოფლელმა.

კარგა მოშორებით, თითქმის წერტილებივით ორი კაცის ლანდი მოჩანდა. გრიგალსაც აღმოსავლეთით ებრუნებინა პირი და ზუსტად მათკენ მიემართებოდა.

— თუ ვერ დაგვეწევიან, რა მოუვათ? — მიამიტად იკითხა კაპომ.

— თუ მხოლოდ კუდი გაჰკრა გრიგალმა, იქნებ გადარჩნენ კიდეც. მაგრამ, ვერ ხედავ, სიარულის თავი აღარა აქვთ, ვერ მოძრაობენ. ვეჭვობ, გამოასწრონ. — ხელი უიმედოდ ჩაიქნია აზულამ.

უეცრად ლილემ მარჯვენა ცერა თითზე აუტანელი ტკივილი იგრძნო, ბავშვობის იარა აწუხებდა. დახედა, ჭრილობა პირდაღებული იყო და წვრილ ზოლად სისხლსაც გამოეჟონა. ლილეს გუშინდელივით ახსოვდა — ბავშვობაში მისმა უერთგულესმა მეგობარმა თეკლამ და მან როგორ გაიჭრეს თითები და შეეფიცნენ ერთმანეთს. სწორედ იმ იარას გაეხსნა პირი და ცეცხლმოკიდებულივით ეწვოდა. ლილეს გულმა რეჩხი უყო. აბარდაგანში მოხვედრამდე თეკლა რუფიას ჩააბარა და მკაცრად გააფრთხილა, ჩემს საძებნელად არ გამოუშვაო. დღემდე დარწმუნებული იყო, რუფია მიცემულ პირობას ასრულებდა. მაგრამ ახლა, ქარბუქთან პირისპირ მდგომ უცნობებს რომ გასცქეროდა, გულმა მათკენ გაუწია, თითქოს იქ ძალიან ახლობელი ადამიანი ეგულებაო.

— აზულა, დიდი მადლობა შეფარებისთვის, მაგრამ ახლა უნდა დაგტოვოთ! — უთხრა ლილემ სოფლის თავს და ბავშვები ძირს ჩამოსვა.

— როგორ თუ, დაგვტოვო? — გაიოცა აზულამ.

— იმ ორ კაცს უნდა მივეხმარო. თუ გადარჩენა გვიწერია, ხომ დაგეწევით, თუ არა... განსაცდელში მარტოებს ვერ მივატოვებ.

— გონს მოეგე, რას სჩადი?! უდაბნოსთან თამაში როგორ შეიძლება. ბესანჯის პატრონი თავს ხიფათში რისთვის იგდებ?! — არ ცხრებოდა აზულა.

— კაპო, შენ ამათ გაჰყევი! — უბრძანა ლილემ შერისხულს.

კაპოს არაფერი უთქვამს, ისე გადასცა ბავშვი აზულას, ზურგიდან ბარგი მოიხსნა და ლილეს არც კი დაელოდა, განსაცდელში ჩავარდნილებისკენ გაეშურა. ლილე სწრაფად დაეწია და მხარზე

ხელი მეგობრულად დაჰკრა. ორიოდე წუთში აზულაც მათ შეუერთდა და რბილი ტყავისგან შეკერილი ნაჭრები დაურიგა.

— ქარბუქმა თუ მოგვისწრო, დაწექით და ზედ გადაიფარეთ, თორემ ქვიშა გაგგუდავთ. — დაარიგა უდაბნოს ქარიშხლებთან ბრძოლაში გამოცდილმა უდაბნოელმა.

მშველელის გამოჩენით იმედმიცემულმა უცნობებმა გზის გაგრძელება კი შეძლეს, მაგრამ ხანდახან ქვიშის ისეთ კორიანტელში გაეხვეოდნენ, მათი დანახვა შეუძლებელი ხდებოდა. ქარის ხმა სწრაფად ძლიერდებოდა, შავი ღრუბელიც შეუპოვრად შლიდა მხრებს უდაბნოს თავზე. ბესანჯი გვერდიდან არ შორდებოდა ლილეს, ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. უცნობებამდე რამდენიმე ნაბიჯი რჩებოდა. სახის გარჩევას ვინ ჩიოდა, სილუეტებიც ძლივსღა მოჩანდა. უეცრად ჩამობნელდა.

— გადაიფარეთ! — დაიყვირა აზულამ.

ლილე ერთ უცნობს ნახტომით მისწვდა და ძირს დააგდო. ბესანჯის მოძებნა არ გასჭირვებია, იქვე იყო. სასწრაფოდ ნაჭერი გაშალა, ორივეს გადააფარა და თვითონაც შიგ შეძვრა. ლილე მთელი ძალით ებღაუჭებოდა ტყავს, ქარს რომ ხელიდან არ წაეგლიჯა. უცნობიც ეხმარებოდა. სუნთქვა ჭირდა. კიდევ დიდხანს რომ გაგრძელებულიყო ქვიშის კორიანტელის შემოტევა, გაგუდვას ვერ გადაურჩებოდნენ. უეცრად ტყავის ნაჭერი მათ ნებას დაჰყვა, ქარის სისინმაც იკლო. ქარბუქი უკან იხევდა. ახლა სხვა მხარეების ასაფორიაქებლად მიქროდა.

ლილემ სწრაფად მოიშორა ნაჭერი, ზედმიყრილი ქვიშა გადაყარა და უცნობსაც მიეხმარა წამოდგომაში. ბესანჯი ქვიშიდან გამომძვრალიყო და თათებით ცხვირს იწმენდდა.

— რა იყო ეს?! ვერაფერს ვხედავ! — ძლივს წარმოთქვა უცნობმა, თან სახიდან და პირიდან ქვიშის ნამცეცებს იცილებდა.

— დანარჩენები სადღა არიან? — გაუელვა ლილეს და მათ ძებნას შეუდგა. შორიახლოს აზულას მოჰკრა თვალი. მუხლზე დაჩოქილი ქვიშას აქეთ-იქით ყრიდა. ლილემ მასთან მიირბინა, ბესანჯიც მიჰყვა.

— აქ არიან, აქ! — ბურტყუნებდა აზულა.

ლილე კაპოს მხარს წააწყდა. ხელი ჩასჭიდა და მთელი ძალით მოიზიდა. შერისხულს მეორე უცნობიც მოჰყვა, რომელიც კაპოს

პატარა ბავშვივით ჰყავდა გულში ჩაკრული.

— ცოცხალი ხარ? — შესძახა შერისხულს ლილემ.

— ჰო... მგონი... ამას მიხედეთ... არ გაიგუდოს...

მეორე უცნობს თავზე აზულა დასტრიალებდა.

— ცოცხალია... მაგრამ უგონოდაა.

ლილემ ქამრიდან პატარა მათარა მოიხსნა და უცნობს პირთან მიუტანა, სახეზე რომ დახედა, სახტად დარჩა — მის წინ თეკლა იწვა. უდაბნოს მზისგან სახე ისე გარუჯოდა, ნამდვილ აბარდაგანელს ჰგავდა.

— იროელო, შენ გადამარჩინე? — მოესმა ლილეს ნაცნობი ხმა.

— უსუმბა, შენ? — თეკლას დანახვით გაოცებული ლილე გონს ვერ მოსულიყო, ტუალანუელი ნიღბების ოსტატიც გამოეცხადა.

— ჰო, მე ვარ! თეკლა როგორ არის? — ჩაიჩოქა უსუმბამ და ქალიშვილს დახედა.

ლილემ თეკლას სახე მობანა. აზულას რჩევით, წყალი არ დაალევინა, მარტო ტუჩები დაუსველა. თეკლამ თვალები გაახილა და ლილეს ამოხედა. ლილემ შვებით ამოისუნთქა და თავზე ხელი გადაუსვა მზრუნველად. თეკლამ დამძიმებული ქუთუთოები ისევ დახარა.

— გესმის ჩემი?! — შეეკითხა ლილე.

— ლილე?! — ამოიკვნესა თეკლამ.

— ჰო, მე ვარ, მე... — უთხრა ლილემ და შეფიცული მეგობარი გულში ჩაიკრა.

* * *

კლდეებთან მისვლამდე იმხელა გზა იყო, თეკლამ და უსუმბამ ლილესთვის ყველაფრის წვრილად მოყოლა მოასწრეს. არც ლილე დარჩენიათ ვალში. წყლის მარაგი არ ჰქონდათ, თორემ პირდაპირ სალიტულასკენ აიღებდნენ გეზს. არც გრიგალს დაერიდებოდნენ, არც აზულას გაფრთხილებას, — გამყოლის გარეშე უდაბნოს ვერ გახვალთო.

— გაგიკვირდა ჩემი აბარდაგანში ყოფნა? ხომ შეგპირდი, აუცილებლად გამოგყვები და მოგძებნი-მეთქი? ყვანჩალაც კი დამი-

ტოვე, ჩემს ზურგს უკან სიტყვა ჩამოართვი, აქ მოსახვედრი გზა არ ასწავლო, თავი ხიფათში არ ჩაიგდოსო. არ გამოგივიდა! — ნიშნის მოგებით უთხრა თეკლამ ლილეს.

— ჰოდა, რომ არ დამიჯერე, იმიტომაც ლამის ქარიშხალმა წაგიღო! — ჩაეცინა ლილეს.

— ერთხელ მე გადაგარჩინე, ერთხელაც — შენ. ბარი-ბარში ვართ.

— მე კი არა, კაპომ გადაგარჩინა. მადლობა იმას უთხარი.

— ნუ გეშინია, უკვე ვუთხარი. ჩვენს საშველად რომ წამოხვედით, გულმა მიგრძნო, შენ უნდა ყოფილიყავი.

— ვითომ რატომ?

— ამას შეხედე! — თეკლამ ცერა თითი აჩვენა ლილეს. — ხომ გახსოვს ის დღე, ერთმანეთს ფიცი რომ მივეცით?

პასუხად ლილემ საკუთარი გაწითლებული ცერი გაუშვირა, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოსცილებოდა შემხმარი სისხლი.

— გული იმასაც მიგრძნობს, ლილე, რომ დიდი ბრძოლა გველოდება წინ. ლილე აბარდაგანის მთავარი გახდაო, როცა მითხრეს, მაშინვე ვიეჭვე, შენს სახელს უცხო იქნებოდა ამოფარებული. — გაუზიარა თეკლამ თავისი ვარაუდი ლილეს.

— მაინც რატომ იფიქრე ასე? — ჩაეძია ლილე.

— მშობლიურ მხარეს შენ სამუდამოდ არ მიატოვებ, გავლით კი მეფეები არ ხდებიან.

— აი, მესმის, დედოფლის ღირსეული პასუხია. — შეაქო ირეელმა თეკლა და კაპოს გადახედა, არაქათგამოცლილი რომ მიწუწუნებდა.

— აღარ მთავრდება ეს უდაბნო? კლდეებს ვერსად ვხედავ, კიდევ რამდენი ხანი უნდა ვიაროთ?

— ამ ქვიშის გორასაც გადავივლით და შენი თვალით იხილავ. — დააიმედა აზულამ.

— დამცინი თუ მართალს მეუბნები?

— მართალს გეუბნები. — შეუბღვირა უდაბნოელმა.

მართლაც, ავიდნენ ქვიშის მოზრდილ გორაკზე თუ არა, წინ უდაბნოს ნაცვლად ძეძვით დაფარული ხრიოკი მიწები გადაეშალათ, რომელიც მთელ გაყოლებაზე ემიჯნებოდა კლდოვან მხარეს.

გამოქვაბულებში სხვა სოფლებიდანაც შეეფერებინათ თავი უდაბნოს ხალხს. მალე ყველამ გაიგო სალიტულას ტახტზე ცრუ-

ლილეს დაბრძანების ამბავი. აღშფოთებას ვერ მალავდნენ. სასწრაფოდ ცეცხლის ანთებას და კვამლით სიმართლის თქმას აპირებდნენ. მაგრამ ლილემ გადააფიქრებინა, — უმჯობესია ნასარს თავს მოულოდნელად დავადგე, მომზადება რომ ვერ მოასწროსო. ბესანჯის პატრონს ვინ არ დაუჯერებდა. ყველა დაეთანხმა, — ნება შენიაო.

გამოქვაბულებში უდაბნოს სხვადასხვა მხარიდან მოსულ ხალხთა რიცხვი საათობით მატულობდა. ჩრდილოეთის სოფლებიდან მოსულებმა ძალიან ცუდი ამბავი მოიტანეს — ტამრიტელ კვამლის წამკითხველებს ეცნობებინათ, გრძნეულებს სალიტულასკენ ჯარი გამოეგზავნათ. ტარუტოს ჯარისკაცები უკვე უდაბნოზე გადმოდიოდნენ.

უდაბნოელებს დიდი ხნის ბჭობა არ დასჭირვებიათ. აბარდაგანს მტერი უტევდა. სალიტულას დაცვა სჭირდებოდა. ქუდზე კაცი გამოვიდა. ყველამ, ვისაც ხელში იარაღის ჭერა შეეძლო, როგორც ერთმა, სალიტულას დასაცავად წასვლა გადაწყვიტა.

თავი ოცდამეცხრე

შეხვედრა უდაბნოში

ომდურმანი ომისთვის მზად იყო. დღე-დღეზე უძლეველი არმიით შეუტევდა აბარდაგნის სულსა და გულს, მის მთავარ ქალაქს — მეწამულ სალიტულას. ტარუტოს ხისგან გამოკვეთილი ყველა ჯარისკაცი უკვე გაცოცხლებული იყო. დედა-დედოფლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ჯარისკაცები არნახული ძალის პატრონები აღმოჩნდნენ, მათი მომრევი მთელ ომდურმანში ვერ მონახეს. ერთს კი არა, ათობით მეომარს ერთდროულად უმკლავდებოდნენ, და რაც მთავარი იყო, დედა-დედოფლისა და სულას ყოველ ბრძანებას უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. აბარდაგანის დაქცევის ჟინით შეპყრობილები სალიტულას დასალაშქრად ყოველ წამს მზად იყვნენ. ერთი ბრძანების გაცემა იყო საკმარისი და ყველა, როგორც ერთი, შეესეოდნენ საძულველ ქალაქს.

სულამ არმია ორად გაყო. გრძნეულთა და მოკავშირეთა რაზმები, ჯერ კიდევ ტარუტოს ყველა ჯარისკაცის გაცოცხლებამდე, სალიტულასკენ, უდაბნოს შემოვლით გაუშვა. ტარუტოს ჯარს კი უდაბნო უნდა გაევლო. გრძნეულთა ლაშქარი ტუალანუსთან გაერთიანდებოდა.

გამყოლები არ ურჩევდნენ სულას უდაბნოზე გადავლას. ქარბუქების სეზონი უკვე დაწყებულიყო, მაგრამ სულა ჩქარობდა და ქვიშის კორიანტელის გამო გეგმების შეცვლას არ აპირებდა.

ქვიშიან ქარბუქს უდაბნოს გამოცდილი მკვიდრნიც კი უფრთხოდნენ და დიდ წყევლას ეძახდნენ. გრიგალი უეცრად იწყებოდა. საიდან დააცხრებოდა კაცს, არავინ უწყოდა. ხშირად ვერც კი შეამჩნევდი, რომელი მხრიდან მოგეპარებოდა. მოწმენდილი კრიალა ცა წამში ბნელში გაეხვეოდა. ირგვლივ თითქოს ყველაფერი, ქვიშის

პაწია ნამცეციც კი, ერთ ვეებერთელა ქარბორბალად იქცეოდა და თავის გზაზე ყველასა და ყველაფერს – ქვის უზარმაზარ ლოდებსა და კლდოვან შვერილებს, ძეძვსა და ეკალ-ბარდებს, – კაწრავდა, ფხაჭნიდა, შლიდა და ანადგურებდა. მხოლოდ გამყოლები გრძნობდნენ ქარბუქის მოახლოებას უდაბნოს იდუმალი სურნელით. მხოლოდ მათ შეეძლოთ უსაფრთხო ადგილას გაეყვანათ ქარავანი და ეხსნათ უცილობელი დაღუპვისგან.

სულას არმია კი დიდი იყო. ვერც ერთი გამყოლი ვერ ითავებდა ამდენი მეომრის სამშვიდობოზე გაყვანას. გამყოლთა დაჟინებული მოთხოვნით, სულამ ტარუტოს ჯარი ორ ნაწილად დაყო. პირველს თავად გაჰყვა, დედა-დედოფალს კი მეორესთან ერთად უბრძანა წამოსვლა ორიოდე დღის შემდეგ. ისიც უსიტყვოდ დაემორჩილა თავის შვილს – გრძნეულთა მთავარსა და ყველა დროის უძლიერესი არმიის მეთაურს.

შავი, ლაპლაპაბეწვიანი ცხენიდან ამაყად მომზირალ სულას ომდურმანის მთავარი გამყოლი გვერდიდან არ სცილდებოდა და ერთთავად თვალებში შესციცინებდა. ერთი-ორჯერ სულამ ხუმრობით შეუძახა, სულ მე რას მომჩერებიხარ, გირჩევნია გზას უყურო.

– მთავარო, უსინათლო გამყოლები გზას კი არა, საკუთარ ხელებსაც ვერ ხედავენ, მაგრამ კვალი არასდროს ეკარგებათ. თვალები... რა დიდი ბედენაა თვალები... ხანდახან ცხვირწინ რაც გვიდევს, იმას ვერ ვამჩნევთ, აქ კი საითაც გაიხედავ, ყველგან ქვიშაა, გზა არსად ჩანს.

– რაო, რა თქვი?! ცხვირწინ გვიდევს და იმას ვერ ვხედავთო? ამით რისი თქმა გინდა? – გამყოლის სიტყვები ცუდად მოხვდა სულას გულში.

– არაფრის, მთავარო. ხანდახან ქვიშის გორაკის დაბლა წყაროა, თვალით ვერავინ ხედავს. ჩვენ კი, გამყოლები, ნოტიო ქვიშის სურნელით ვპოულობთ. მხოლოდ ამის თქმა მინდოდა და მეტი არაფრის! – გამყოლმა კარგად იცოდა, ახლა სულასთვის შეუცვლელი რომ იყო, მაგრამ მისმა გაცეცხლებულმა თვალებმა ისე შეაშინა, რომ უმწეო წრუწუნასავით აცახცახდა.

– ა, ამას გულისხმობდი? – ისე უპასუხა მთავარმა გამყოლს, აღარც კი გაუხედავს მისკენ.

— ამას... ზუსტად ამას... — ძლივს ამოიკნავლა გამყოლმა.

სულამ ჯარს გახედა. ომდურმანის იმედი და სიამაყე — ტარუტოს არმიის იარაღასხმული ჯარისკაცები, ერთნაირად გოროზი სახეებით ამაყად მოაბიჯებდნენ უდაბნოს მცხუნვარე მზის ქვეშ — დასვენებას ისინი არ ითხოვდნენ და ცივი წყლით მოსულიერებას.

— კიდევ კარგი, არ დაგიჯერეთ, სამი დღეა მოვდივართ და თავზე მოკრიალებული ცა დაგვყურებს. ბედი გვქონია, არა? — გასძახა გამყოლს სულამ. გამყოლმა პასუხი არ გასცა.

— არ გესმის, რას გელაპარაკები? — შეუღრინა სულამ.

გამყოლს თვალები დახუჭული ჰქონდა და მთავრის ერთი სიტყვა არ ესმოდა.

— ჩაგეძინა, სალახანავ! — ფეხი გაჰკრა სულამ.

— რაო, რა ბრძანეთ? — მოეგო გონს გამყოლი.

— არ გესმის, რომ გელაპარაკები, ხომ არ გძინავს-მეთქი? — შეუბღვირა კვლავ სულამ.

— არა მთავარო, გრიგალის სურნელმა მოაღწია ჩვენამდე. მას ვაკვირდებოდი. ქარიშხალი გვიახლოვდება...

— რას ამბობ? რა დროს ქარიშხალია, ვერ ხედავ ირგვლივ რა სიწყნარეა?

— არა, არა! გვიახლოვდება. დასავლეთით თუ არ გადავუხვიეთ, ერთბაშად თავს დაგვატყდება.

სულამ თავი უკმაყოფილოდ გააქნია, გამყოლის სიტყვები ბოლომდე არ ირწმუნა, მაგრამ ჯარს მაინც უბრძანა გეზის შეცვლა, თუმცა სულ მალე იმაშიც დარწმუნდა, რომ გამყოლი მართალი იყო — გრიგალი ზუსტად მათ ზურგს უკან ბობოქრობდა. სულამ ჯარს აჩქარება უბრძანა. გრიგალს ყოველ წუთს შეეძლო პირი ებრუნებინა და მათკენ წამოსულიყო. სალიტულას დასაცავად წამოსული უდაბნოელებიც გაურბოდნენ გრიგალს, მათაც კუდში მიჰყვებოდა ქვიშის ქარბორბალები. გრიგალს კი დაემალნენ, მაგრამ ერთმანეთს გვერდი ვერ აუქციეს.

უდაბნოელთა მცირერიცხოვანი რაზმის დანახვაზე სულას სიხარულის ხარხარი აუტყდა. ახლა კი გამოცდიდა ტარუტოს ჯარისკაცებს. ნახავდა, როგორი მებრძოლები იყვნენ. იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულმა სულამ, მეწინავე ჯარს უდაბნოელთა რაზ-

მის დარბევა უბრძანა. ჯარისკაცები ყიჟინით გაემართნენ მტრისკენ. ტარუტოს ჯარისკაცებისთვის მათი განადგურება რამდენიმე წუთის საქმე იყო.

— ახლა, ვნახავ, რას მოკურცხლავთ! — ჩაიქირქილა სულამ, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. უდაბნოს ხალხი ადგილიდან არ იძვროდა. მტრის მოახლოებას იარაღმომარჯვებული ელოდა. მათ შორის სულ ცოტა მანძილი რჩებოდა, უეცრად ტარუტოს ჯარისკაცები შედგნენ, გზის გაგრძელების მაგივრად, უკან ნელ-ნელა დაიხიეს, მერე კი, საერთოდ, იბრუნეს პირი და თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ. სულა სახტად დარჩა. ცხენს დეზი ჰკრა და ჯარის შესაჩერებლად გაქუსლა, მაგრამ ჯარისკაცები არ დაემორჩილნენ, ცხენიდან ჩამოაგდეს და ლამის გადათელეს კიდეც. ჯარის უკანა ნაწილებიც აიყოლიეს და პირდაპირ ქარბუქის მიმართულებით გაქანდნენ. სულა გაოგნებული უყურებდა პანიკაში ჩავარდნილ ჯარისკაცებს, მიზეზი კი ვერ აეხსნა. როცა უკანასკნელმა ჯარისკაცმაც ჩაუქროლა, მაშინღა მოჰკრა თვალი ბესანჯს. ძაღლი თავგანწირული ყეფით მისდევდა უკან სალიტულას დასამარცხებლად შექმნილ ძლევამოსილ არმიას, რომელსაც სადაცაა მთლიანად შთანთქავდა უდაბნოს საშინელი გრიგალი.

ტარუტოს ჯარის უეცარი უკუქცევა უდაბნოს ხალხს სულაზე ნაკლებად არ გაკვირვებია. უკვე სიკვდილს ჩასცქეროდნენ თვალებში და ერთი ნუგეშიღა რჩებოდათ, აბარდაგანისათვის გმირულად დაცემულიყვნენ ბრძოლის ველზე. ის-ის იყო ბევრად ძლიერი და მრავალრიცხოვანი მტრის პირისპირ აღმოჩნდენ, რომ უეცრად ბესანჯი წინ გავარდა და ყეფით შეუტია ტარუტოს ჯარს. ლილე და თეკლა გაოგნებულნი გასცქეროდნენ ბესანჯის ყეფისგან კნუტებივით შეშინებულ იარაღმომარჯვებულ ზორბა ჯარისკაცებს, ერთმანეთის გადასწრებას რომ ლამობდნენ, ბესანჯმა ფეხზე კბილი არ გაგვკრასო.

სულა მუხლებზე ჩაჩოქილიყო, ხელებს უაზროდ ასავსავებდა და შეშლილი თვალებით გასცქეროდა ჩაბნელებულ ჰორიზონტს. ვერც კი შენიშნა უდაბნოელები თავზე როგორ დაადგნენ.

— თავად გრძნეულთა მთავარი ბრძანებულა აქ! — გადაულაპარაკა თეკლამ ლილეს.

ლილემ და უსუმბამ სულას იარაღი ისე აჰყარეს, ტყვეს წინა-

აღმდეგობა არ გაუწევია. თითქოს ვერც კი ამჩნევდა, რა ხდებოდა მის თავს.

— ასაი როგორ არის? — ჰკითხა დედოფლის დარდით შეწუხებულმა თეკლამ.

— ასაი, გაფრინდა ჩემი ასაი, აი, იქ არის... — ცისკენ გაიშვირა ხელი სულამ.

— როგორ თუ გაფრინდა? — ჩაეძია თეკლა.

— თავის ოქროს ჩიტთან ერთად გაფრინდა გალი-გალას მოსაძებნად...

— გალი-გალა ცოცხალია და კარგადაც არის... — მაინც შეებრალა თეკლას ცოლ-შვილ დაკარგული სულა.

— ჩემი შვილი ცოცხალია? — სულას სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— კი...

— მაშინ კარგად დამალეთ, რომ დედა-დედოფალმა ისიც ჩემსავით არ გააუბედუროს. მე ასაისთან უნდა გავფრინდე... — ბოლო სიტყვები ძლივს ამოთქვა გრძნეულთა მთავარმა და სული განუტევა.

თავი ოცდამეათე

შეცდომა

სალიტულას ტახტზე ასვლისთანავე, ნასარმა ქალაქის კედლების გამაგრება ბრძანა. აბარდაგანის ყველა კუთხიდან იხმო მშენებლები — მეწამული ქალაქისთვის კიდევ ერთი გალავნის შემოვლება დიდ-ძალ მუშა-ხელს მოითხოვდა. მშენებლობა წუთითაც არ წყდებოდა. მთვარის შუქზეც არ ჩერდებოდნენ ქვის მთლელები და კირით ხურონი. კედელი იმხელა უნდა ყოფილიყო, სალიტულას ყველაზე მაღ-ალი მთავრის სასახლის გუმბათიც დაეფარა, განითაც ისეთი ფართო უნდა ყოფილიყო, რომ მასზე ერთდროულად ხუთ ცხენოსანს გაევ-ლო.

ქალაქი დიდი სიხარულით შეხვდა მთავრის გადაწყვეტილებას. ვის არ გაუხარდებოდა სალიტულას თავდაცვის გაძლიერება, მით უმეტეს, თუ გრძნეულები ტარუტოს უძლიერესი არმიით აპირებდ-ნენ მის დარბევას. იტურელები, ტამრიტელები, ლოტები, უდაბნოს ხალხი, მთელი აბარდაგანი ერთად ამარაგებდა სალიტულას. ახალი მთავრის ბრძანებით ქალაქი ერთ ციხესიმაგრედ უნდა ქცეულიყო.

თავად რუგო ხელმძღვანელობდა მშენებლობას. დღედაღამ ხარაჩოებზე იდგა, საკუთარი ზურგითაც ეზიდებოდა ქვებსა და ლოდებს. არც ჯუფრამ დატოვა დიდი ხნით სალიტულა. მხოლოდ რამ-დენიმე დღით გაემგზავრა ტუალანუში და მალე ისევ უკან დაბრუნდა. რუგოს სიფრთხილე გადამდები აღმოჩნდა. მოხუც გამყოლს ლილეს მარტო დატოვება არ უნდოდა, ცდილობდა მუდმივად თვალთახედვის არეში ჰყოლოდა. მის ყოველ სიტყვას, ყოველ ქცევასა თუ ბრძანებას განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა. ლილეს ნიღაბს ამო-ფარებული ნასარი კი პირიქით, ჯუფრასა და რუგოს, ორივეს გაურ-ბოდა. ფარო და ნენეც სასწრაფოდ ბიგოში გაისტუმრა, თავი რომ

უფრო თავისუფლად ეგრძნო. რას წარმოიდგენდა, სალიტულას ტახტზე დაბრძანებისთანავე ამხელა სადარდებელი თუ გაუჩნდებოდა. ცნობამ ტარუტოს ჯარისკაცებზე საგონებელში ჩააგდო. რაღაც უნდა ემოქმედა, ძლივს მოპოვებული ტახტი თავზე რომ არ დამხობოდა. თუ მართლა ისეთი ძლიერები იყვნენ ხის კაცები, როგორც მათზე ლაპარაკობდნენ, მთელი აბარდაგანის არმია ვერას გახდებოდა. ნასარს ძალით კი არა, ჭკუით უნდა ეჯობნა გრძნეულებისთვის. მთელ დღეებს ფიქრში ატარებდა, მაგრამ ხელჩასაჭიდი აზრი არა და არ მოსდიოდა. ღამღამობით, ნასარი საძინებელი ოთახის კარს რომ საგულდაგულოდ ჩარაზავდა და ლილეს ნიღაბს მოიხსნიდა, აუცილებლად სარკეში ჩაიხედავდა. უკვირდა, დიდებადაბრუნებულს — აბარდაგანის მთავარს და მსაჯულის წიგნის პატრონს, რად არ უბრუნდებოდა ადამიანის სახე, ისევ ვეფხვის თავი რად უმზერდა სარკიდან. მსაჯულის წიგნის წაკითხვაც გადაწყვიტა, იქნებ იქ ამოვიკითხო პასუხიო, მაგრამ ამაოდ, დაწერილს ვერაფერი გაუგო.

ნასარი თანდათან სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. ვერასდროს წარმოიდგენდა, მთელი თავისი ცხოვრების უმთავრესი ნატვრისა და სურვილის ასრულების შემდეგაც, ასე უბედურად თუ იგრძნობდა თავს, უსაზღვრო ძალაუფლებით ნეტარების ნაცვლად, შიშით დათრგუნულს ოთხკედელშუა თუ მოუწევდა გამოკეტვა, ზუსტად ისე, როგორც თვითონ გამოკეტა თითისტოლა გოგო, იორუბა, მშობლების დახოცვის შემდეგ. სწორედ ამაზე ჩაფიქრებულს წაადგა თავს ჯუფრა.

— რა ხანია აღარ მინახიხარ. სულ შენს ოთახში ხარ ჩაკეტილი. ერთხელ გარეთაც გამოდი, გალავნის მშენებლობას დახედე. ნახე, შენს ბრძანებას როგორ ასრულებენ აბარდაგანელები.

— რუგოს სავსებით ვენდობი. ვიცი, არ მიღალატებს. — მიუგო ნასარმა. — ერთი ეს მითხარი, ჯუფრა, ამდენ შემოტევებს როგორ გაუძლო სალიტულამ, ერთხელაც რომ არ დაცემულა?

— მართალი ხარ. ქალაქის კედლებს ბევრჯერ მოსდგომია მტერი, მაგრამ შიგნით ვერასდროს შემოულწევია. მსაჯულის წიგნი ამას არ დაუშვებს.

— მაშ, სალიტულას არაფერი ემუქრება? აბა, ასე რატომ ვუფრთხით გრძნეულებს? — გულიდან თითქოს ლოდი მოეხსნა ნასარს.

— სალიტულა აბარდაგანის გულია, მაგრამ მთელი აბარდაგანი არ არის. ეს მუდამ უნდა გახსოვდეს, ლილე. სწორედ იმიტომაც დაგსვით მთავრად, მარტო ქალაქი კი არა, მთელი ქვეყანა დაიცვა მტრისგან. თორემ მსაჯულის წიგნი აქამდე სალიტულას დაცვას უშენოდაც ართმევდა თავს. — ჯუფრას ხმაში დაფარული ბრაზი იგრძნობოდა.

ნასარმა ენაზე იკბინა. მიხვდა, პირველი შეცდომა რომ დაუშვა, მაგრამ არ შეიმჩნია. ახლა კი მეტი დაფიქრება მართებდა, ეს შეცდომა უკანასკნელი გამხდარიყო.

— ძალიან კარგად მესმის მეც. რა თქმა უნდა... ასეა... — დაბნეულად უპასუხა ჯუფრას.

ჯუფრა პასუხმა არ დააკმაყოფილა და მთავართან საუბრის გაგრძელება სწადდა, მაგრამ მთავარმა სთხოვა, დამტოვე, ბევრი საფიქრალი მაქვსო.

სასახლიდან ჯუფრა პირდაპირ რუგოსთან, გალავნის მშენებლობაზე წავიდა. ჯერ კედლის მესამედიც არ იყო ამოყვანილი. გალავნის ყოველი გოჯი აუტანელი წვალებისა და დიდი შრომის ფასად იმატებდა. მარტო მშენებლები არ იყვნენ ამ გაწამაწიაში. აურაცხელ ხალხს სასმელი და საკვები სჭირდებოდა. ხრიოკ მიწებს შორის ეულად დარჩენილი სალიტულა ყველას ვერ სწვდებოდა. სასმელი წყალიც კი რამდენიმე დღის სავალი მანძილიდან მოჰქონდათ. კვირაზე მეტი იყო, გალავანს თითქმის ნახევრად მშიერ-მწყურვალი ხალხი აშენებდა. რუგომ რამდენჯერმე სცადა, ლილეს გალავნის მშენებელთა გასაჭირზე დალაპარაკებოდა, მაგრამ მთავარი მუდამ გადაუდებელ საქმეებს იმიზეზებდა.

რუგო სურსათის მცირე მარაგს ათვალიერებდა, ორიოდე დღის სამყოფი მარცვალი და რამდენიმე კასრი სასმელი წყალიღა იყო დარჩენილი. ამ დროს მოესმა მოხუცი გამყოლის ხმა.

— რუგო, აქა ხარ?

— აქ ვარ, ჯუფრა! — გასძახა რუგომ.

— ეს კასრები წყლითაა სავსე?

— სავსე რომ იყოს, რა გვიჭირდა. ცარიელია. დილიდან სალიტულას თავზე ღრუბლებმა პირი შეკრეს. იქნებ წვიმა წამოვიდეს...

— ეჰ... წვიმის იმედზე როგორ უნდა იყოს ამდენი ხალხი?.. მაშ, სულ ეს არის ჩვენი ავლადიდება? — ჯუფრა გაკვირვებული ათვალიერებდა

მწირ სანოვაგეს.

— სულ ეს არის! თავიდან გამიხარდა, მაგრამ ახლა აღარ ვიცი, ღირდა კია ამ მშენებლობის დაწყება. სანამ დავამთავრებთ, აბარდაგანელთა ნახევარი შიმშილითა და წყურვილით გაწყდება. ხვალ რომ მტერი მოგვადგეს, ჯაფისგან წელში გაწყვეტილი ხალხი იარაღის ხელში აღებას ვერ შეძლებს. — მთავარი სალიტულას რომ გვამაგრებინებს, დანარჩენ აბარდაგანს რას უპირებს, თუ უნდა გრძნეულებს დაუგდოს საჯიჯგნად? ახლა ჯარს უნდა ვაგროვებდეთ, ქვებს კი არ უნდა ვუკაკუნებდეთ. — უკმაყოფილებას არ მალავდა რუგო. — ლილე ჩემთან შეხვედრას გაურბის, იქნებ შენ გითხრას, რა აქვს ჩაფიქრებული?

ჯუფრამ სიტყვა ვერ მოძებნა რუგოს კითხვებზე პასუხის გასაცემად. მხოლოდ უმწეოდ აიჩეჩა მხრები.

— მსაჯულის წიგნი ხომ საიმედოდაა გადამალული? — ჰკითხა რუგომ ჯუფრას.

— საიმედოდ! მერამდენედ მეკითხები, ერთად არ დავმალეთ? ჩემი არ იყოს, გულმავიწყობა შენც ხომ არ დაგჩემდა?

— არა.. არა... გულმავიწყობა არა, მაგრამ ძალიან აფორიაქებული კი ვარ... სარისკო საქმე ჩავიდინეთ, მსაჯულის წიგნი სალიტულადან რომ გავიტანეთ და ტუალანუში გადავმალეთ. დიდი რისკი გავწიეთ, დიდი. ვერც კი წარმოვიდგენდი, ამხელა გამოცდილების კაცი ასე თუ ამიბამდი მხარს. ჩვენი პირველი შეხვედრა და შენი და ბაკუბას დატუქსვა დღესაც კარგად მახსოვს. თქვენთან შეხვედრამ მთელი ცხოვრება შემიცვალა. გახსენებაც არ მინდა, ერთი უდარდელი ბიჭი ვიყავი... ქვეყანა ჩემი მეგონა...

— ახლა რა, შენი არ არის?

— ახლა?.. არა. — ჩაფიქრდა რუგო.

— ჰოდა, როცა შენს საკუთრებად აღარ თვლი, ვინ ხარ ახლა?

— ...პატრონი ვარ მისი! — მცირე ხნის დაყოვნებით უპასუხა რუგომ.

— შენ კი მეუბნები, ჩემს ჭკუას როგორ აყევიო. — სიცილით მიუგო ჯუფრამ და მხარზე ხელი მეგობრულად წამოარტყა.

— წავალ, მშენებლებს დავხედავ! — დაეთხოვა რუგო მოხუც კვამლის წამკითხველს.

— ჯუფრა, რუგო! აქა ხართ?! — მოისმა ხმა.

— აქეთ, აქეთ! — გასძახა ჯუფრამ. — რა ხდება, რატომ დაგვეძებთ? — ჰკითხა ჯუფრამ მათკენ მომავალთ.

— რამდენიმე კვამლი ერთად გამოჩნდა, რაღაცას გვატყობინებენ! — მოახსენა ერთმა ქალაქელმა.

— ოღონდ გრძნეულები არ იყვნენ! — ჩაილაპარაკა თავისთვის რუგომ.

ჯუფრა ქალაქის გალავანზე ქოშინით ავიდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ჰორიზონტზე სამ ადგილას მოჩანდა კვამლი და სამივე ერთსა და იმავეს იტყობინებოდა: გრძნეულთა არმია სალიტულასკენ მოემართებოდა.

— სასწრაფოდ მთავარს მოვახსენოთ!

— რისი გეშინიათ, ხომ არ დაგავიწყდათ, ვინ არის აბარდაგანის მთავარი?!

— რისი გეშინიათ, ლილე ირელი მტერს კუდით ქვას ასროლინებს! — გაისმოდა აქეთ-იქიდან.

შიშისა და შეშფოთების ნაცვლად, აბარდაგანელებს მტრის გამოჩენა თითქოს უხაროდათ კიდეც. ლილე ირელის უძლეველობისა იმდენად სჯეროდათ, რომ იოლ გამარჯვებაში ეჭვიც არ ეპარებოდათ. ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა ესწავლებინათ ჭკუა გრძნეულებისთვის. მთელ სალიტულას ახალი მთავრის იმედი ჰქონდა. თავად ლილე ირელი კი არსად ჩანდა.

ნასარი ყოველდღე ელოდა გრძნეულების გამოჩენას, მაგრამ ჯუფრას სიტყვები — მტერი მალე სალიტულას მოადგებაო, მაინც ელდად ეცა.

— ტარუტოს ჯარით მოდიან? — იკითხა მთავარმა.

— უდაბნოზე გადმოჰყავთ ხის ჯარისკაცები, თავად კი შემოვლით მობრძანდებიან, ტუალანუსკენ უჭირავთ გეზი. — მიუგო მთავარმა მრჩეველმა, რომელსაც ნასარი მეორედ თუ ხედავდა.

— ტუალანუ მხოლოდ ქალებისა და ბავშვების ამარაა — კაცები სალიტულას გალავნის მშენებლობაზე მუშაობენ. — ჩაერთო ლაპარაკში რუგო.

— ახლა მთავარი სალიტულაა! — უკმეხად გააწყვეტინა მთავარმა. — სალიტულას თუ ვერ აიღებენ, მთელ აბარდაგანსაც ეშველება. მე ვიცი, რასაც ვაკეთებ!

— ძალიან კარგი, თუ იცი, მაგრამ იქნებ ჩვენც გაგვაგებინო? — ჯუფრამ თავს ძალა დაატანა, რომ ხმა მთავრის წინაშე არ აემაღლებინა.

— რა, არ ენდობით ბესანჯის პატრონს? — მრისხანებას ვეღარ მალავდა ნასარი. — როგორ ბედავთ ურჩობას? ხომ არ დაგავიწყდათ, ვის ელაპარაკებით? მშენებლობა არ შეაჩეროთ ერთი წუთითაც კი! — დუუმორეული ყვიროდა აბარდაგანის მთავარი.

— სალიტულას გარეთ დარჩენილ ხალხს რა ვუყოთ? ტარუტოს ჯარისკაცებს გადავათელინოთ? — არ ცხრებოდა რუგო.

ნასარმა პირის გაღება ვერ მოასწრო, რომ დარბაზში მსახური ყვირილით შემოვარდა.

— კვამლი გამოჩნდა... — უდაბნოს ხალხმა ჯარი გამოგზავნა, აქეთ მოდიან!

— ხომ ხედავ, რუგო, ტუალანუს სწორედ ისინი დაიცავენ. შენც მათთან წადი, სარდლად გნიშნავ! — ნასარმა შვებით ამოისუნთქა. — ახლა დამტოვეთ!

— ქვეყნის ჭეშმარიტი მმართველი დედა ფუტკარს უნდა ჰგავდეს. როგორც დედა ფუტკარს, მასაც შხამი არ უნდა ჰქონდეს. შხამი მრისხანებას იწვევს. თუ მმართველი თავდავიწყებამდე მიეცემა მრისხანებას, შეიძლება ყველა ურჩი შვილი დაღუპოს. დედა კი მხოლოდ შვილების გადარჩენაზე უნდა ზრუნავდეს. — მსაჯულის წიგნიდან ამოკითხული სიტყვებით მიმართა რუგომ მთავარს და დარბაზი დატოვა.

— ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, — უთხრა რუგომ გამგზავრების წინ მოხუც გამყოლს, — კვამლის წამკითხველებმა შერისხულებს გააგებინონ, ტუალანუს დასაცავად იქნებ ჯარით დაგვეხმარონ.

ჯუფრაც აპირებდა ტუალანუში წასვლას, მაგრამ რუგოს დაჟინებული თხოვნის შემდეგ აბარდაგანის მთავარი მარტო არ დატოვა.

თავი ოცდამეთერთმეტე

სამზადისი

ლილეს აბარდაგანის ტახტზე აბრძანების მიუხედავად, შერისხულთათვის არაფერი იცვლებოდა. სალიტულას გალავნის მშენებლობაზეც კი არ იხმეს ბიგოელები. იორუბას გული დასწყდა. ძალიან უნდოდა, ბიგოელებსაც შეეტანათ წვლილი საერთო საქმეში. აბა, როდემდე უნდა ყოფილიყვნენ გარიყულები? დედოფალი ყოველდღე ელოდა ცაში ავარდნილ კვამლს, რომელიც აბარდაგანელებსა და ბიგოელებს შორის აღმართული მრავალწლიანი კედლის დანგრევას ამცნობდა, მაგრამ ამაოდ. სალიტულა იოტისოდენა ნიშანსაც არ იძლეოდა.

— ნუთუ ლილემ დაგვივიწყა? — შესჩივლა ერთ დილას დედოფალმა ალის.

— შეუძლებელია... ეს რამ გაფიქრებინა?.. ლილეს ახლა თავსაყრელად ექნება საქმე. ჩვენი დროც მოვა. მოთმინებაა საჭირო. — დაუფიქრებლად უპასუხა ალიმ.

— მოთმინება... კიდევ რამდენი თაობა უნდა ვითმინოთ? — არ ცხრებოდა იორუბა.

— სანამ სალიტულაში არ გიხმობენ!

— ცუდად გცნობივარ, თუ გგონია, სალიტულაში სტუმრობის მეტი არაფერი მაღელვებს. ასე არასდროს მყვარებია ბიგო, როგორც ახლა. ჩემს ქალაქს არასდროს მივატოვებ. მხოლოდ ის მინდა, მეც და ჩემმა ქვეშევრდომებმაც თავი ნამდვილ აბარდაგანელებად ვიგრძნოთ. ჩვენც ისევე ვზრუნავდეთ სალიტულაზე, როგორც სხვები.

— კარგი, ნუ მიბრაზდები... შენი დაწყნარება მინდოდა მხოლოდ...

— იქნებ აბარდაგანელები აქეთ მოგვეწვია? — უეცრად ფიქრიანად წარმოთქვა იორუბამ.

— აქეთ... ბიგოში? — გაკვირვებით იკითხა ალიმ.

— ჰო, ბიგოში. ვერ დავხვდებით სტუმრებს თუ რა? თავად ნახონ, როგორ მშვიდობიანად ვცხოვრობთ — შერისხულები და ჩვეულებრივი ადამიანები.

— რა თქმა უნდა, შეიძლება... დარწმუნებული ვარ, უკვე მოფიქრებულიც გექნება, როგორ გაუმასპინძლდე სტუმრებს. — ჩაეცინა ალის.

— ეს რა კვამლია? — იორუბამ უცებ თვალი მოიჩრდილა და სასახლის აივნიდან ნეფრიტის ტბის მიღმა ცაში ავარდნილ შავ ბოლს დააკვირდა.

— ახლავე გავიგებ! — წასასვლელად მოემზადა ალი.

— დედოფალო, აბარდაგანიდან შეტყობინებაა! — მოახსენა მსახურმა დედოფალს.

— ძლივს... — ჩაილაპარაკა იორუბამ და ალის გადახედა.

— გრძნეულთა არმია სალიტულასკენ მიემართება.

— ომი? — წამოიყვირა იორუბამ.

— ასე გამოდის... — მიუგო ალიმ და მსახურს მიუბრუნდა. — კიდევ რას ამბობენ?

— გვთხოვენ, მტრის დასახვედრად ჯარი ტუალანუსკენ გავგზავნოთ, თანაც სასწრაფოდ.

— რა დრო დაგჭირდება ჯარის შესაგროვებლად? — ჰკითხა დედოფალმა მთავარ მცველსა და შერისხულთა მთავარსარდალს.

— ხვალ დილით უკვე ტუალანუსკენ ავიღებთ გეზს.

— კარგი, მაშინ მეც ამ ღამითვე მოვაგვარებ ყველა საქმეს. ბიგოს მართვას დროებით ნენეს გადავაბარებ. დილისთვის მეც მზად ვიქნები.

— დედოფალო, შენც აპირებ ჯართან ერთად წამოსვლას? — ელდა ეცა ალის.

— ამას რა კითხვა უნდა?! — წარბი შემართა იორუბამ. — აბა, სად უნდა იყოს ასეთ დროს დედოფალი, თუ არა თავისი ჯარის გვერდით.

— შენ უფლება არა გაქვს, თავი საფრთხეში ჩაიგდო. ომი კაცების საქმეა. შენ კი...

— მე კი დედოფალი ვარ და როგორც ჩავთვლი საჭიროდ, ისე მოვიქცევი! როგორც კი ნეფრიტის ტბა მიიძინებს, შერისხულთა

ჯარი მზად უნდა იყოს. საქმეს მიხედე, მთავარსარდალო! — ისე თავდაჯერებულად წარმოთქვა იორუბამ, ალი ვეღარ შეეპასუხა. მდაბლად დაუკრა თავი და გავიდა.

* * *

რუგო და მისი საუკეთესო მეგობარი აკა გამყოლთან ერთად ტუალანუს გამთენიისას მიადგნენ. მეციხოვნეებმა მთავარი კარიბჭე მაშინვე გაუღეს. ქალაქს ომის მოლოდინის არაფერი ემჩნეოდა, მშვიდი ძილით ეძინა, თითქოს გრძნეულთა არმიის თავდასხმას კი არა, მოხეტიალე მუსიკოსების გამოჩენას ელოდებიანო.

რუგომ მეციხოვნეს ქალაქის დაცვის უფროსთან მიყვანა სთხოვა. სტუმრის დაჟინებულ თხოვნაზე მეციხოვნემ გულიანად გაიცინა.

— რა დაცვის უფროსი, სად გვყავს? ყველა, ვისაც მკლავში ძალა ჰქონდა, სალიტულაშია, ოცი ჯარისკაცის იმედზეა ქალაქი. აქედან ნახევარს პირზე რძე არ შეშრობია.

— მერე რა გაცინებს? — გულს შემოეყარა რუგოს. — თუ, არ გაგიგიათ, გრძნეულთა არმია რომ გიახლოვდებათ?

— გაგვიგია, როგორ არ გაგვიგია. მოვიდნენ, ერთხელ და სამუდამოდ მოვიშორებთ მაგ აბეზარებს?

— როგორ, რითი? ნუთუ ოცკაციანი რაზმით აპირებ მათ გამკლავებას? — გაკვირვება ვერ დამალა აკამ.

— როგორ და რითი? თქვენ რა, ამ ქვეყნიდან არ ხართ? მთავარი რუგო ლილე ირელმა შეცვალა, ახლა ის ზის სალიტულას ტახტზე. ჩემი თვალით მყავს ნანახი. გუშინდელივით მახსოვს, ტუალანუს რომ მოადგა თავისი ბესანჯით, მაშინაც მე ვიცავდი მთავარ კარიბჭეს.

— ვინც გინდა იჯდეს! მტერი რომ მოგადგება, ლილე ირელი სალიტულადან ნეტავ რას გიშველის? — არ ცხრებოდა აკა.

— ლილე ჩვენი გადარჩენაა, ნუთუ არ გესმით? ლილე გააერთიანებს და ააყვავებს აბარდაგანს. თქვენ რა, ეჭვი ხომ არ გეპარებათ? — ჯარისკაცს თანდათან გაბრაზება დაეტყო.

— არა, რას ამბობ?! ჩვენც ზუსტად ასე ვფიქრობთ. სწორად ვერ გაუგე ჩემს მეგობარს. — დაამშვიდა ქალაქის მცველი რუგომ. — ერთი

ეს მითხარი, გამყოლი ბაკუბა ხომ არ დაბრუნებულა?

— კარგა ხანია მის შესახებ არაფერი ვიცით. ან საით წავიდა, ან ვის გაჰყვა, — მხრები აიჩეჩა მცველმა.

რუგომ თავი დანანებით გაიქნია.

— შეხედე, კვამლი! — გაახედა ჩრდილოეთით აკამ მეგობარს.

— ლილეს ნიშანი იქნება! — რიხით წარმოთქვა ტუალანუელმა და სალიტულას მხარეს გაიხედა.

— მანდედან არა, უდაბნოს მხრიდანაა!.. — მოაბრუნა აკამ მცველი.

— მე მთავრის ნიშანი მეგონა... — დანანებით თქვა ნირწამხდარმა ჯარისკაცმა.

— სასწრაფოდ კვამლის წამკითხველი მოიყვანე! — უბრძანა რუგომ მცველს და ისიც ძუნძულით გაიქცა.

კვამლის წამკითხველი უმალ გამოჩნდა.

— რაო, რას ამბობენ? — შეაგება კითხვა რუგომ.

— გრძნეულები ამ საღამოს უკვე აქ იქნებიან... — იყო პასუხი. — გადავცე სალიტულას?

— არ არის საჭირო! იქიდან არავინ დაგვეხმარება. — მიუგო რუგომ. — ლილე იროელმა სარდლობა მე მომანდო და თქვენს დასაცავად გამომგზავნა. — რუგომ უბიდან სარდლობის რწმუნების სიგელი ამოიღო.

— მერე ჯარი სად გყავს?! — გაიკვირვა ქალაქის მცველმა. — ნუთუ მთავარმა მარტოდმარტო გამოგიშვა?

— ჯერჯერობით ჩემს ანაბარა ხართ. თუ ბედი გვაქვს, უდაბნოელები და შერისხულები მოგვისწრებენ.

— არა, არ მჯერა! ლილე იროელმა თავად არ იხმო მთელი აბარდაგანი სალიტულას კედლების გასამაგრებლად? ნუთუ არ იცის, ტუალანუსა და მის მიმდებარე სოფლებში მხოლოდ ქალები, მოხუცები და ბავშვები რომ არიან დარჩენილნი? — უმწეოდ შლიდა ხელებს ქალაქის მცველი.

* * *

რამდენიმე საათში ქალაქს ახლომახლო სოფლებიდან თავის შესაფარებლად დიდძალი ხალხი მიაწყდა. ტუალანუ ყველას უღებდა ჭიშკარს და თანდათან ივსებოდა. რუგო უყურებდა ბარგმოკიდებულ ქალებს, ხელში ბავშვები რომ აეტატებინათ და დაუცველ ტუალანუს ციხესიმაგრესავით აფარებდნენ თავს. რუგოს იმის გაფიქრებაც კი ზარავდა, რა მოხდებოდა, გრძნეულთა გამოჩენამდე მაშველს რომ ვერ მოესწრო, თუმცა გადარჩენის უცილობელი შანსი არც მაშინ იყო.

რუგოს საომარ საქმეებში დიდი გამოცდილება არ ჰქონდა, მთავრად დადგომის დღიდან ერთი ომი არ ჰქონდა გადახდილი. ასე უსუსურად არასდროს უგრძვნია თავი, მაშინაც კი, როცა ჯუფრამ და ბაკუბამ ბავშვივით დატუქსეს. მოქმედება იყო საჭირო, მაგრამ რა უნდა გაეკეთებინა, არ იცოდა. ისღა მოიფიქრა, ტუალანუელებს წყლის მომარაგება უბრძანა, თავად იარაღის საცავების დათვალიერება ითხოვა. იარაღი კი მართლაც თავზესაყრელი დახვდა — ერთ კარგ არმიას ეყოფოდა. რას არ ნახავდა კაცი — ხმლებს და მოკლე ბასრ ხანჯლებს, მშვილდებს და ნაირ-ნაირ ისრებს, რკინის მოჭედილი ფარებს და ჯაჭვის პერანგებს — ყველაფერი უხვად იყო. ამდენი იარაღის შემხედვარემ, რუგომ სახელდახელო რაზმების შექმნა გადაწყვიტა. ქალაქის თავს სთხოვა, ყველა ახალგაზრდა ქალისთვის, ვისაც ჩვილი ბავშვი არ ჰყავდა, იარაღი დაერიგებინათ და ტუალანუს მთავარ მოედანზე გამოეყვანათ. შუადღისას მოედანი უკვე სავსე იყო. ქალებთან ერთად რუგომ ბევრ ყმაწვილ-ბიჭსა და ჭარმაგ მოხუცსაც მოჰკრა თვალი. რუგოს გული სიამაყით აევსო. ასეთ სიახლოვეს და პასუხისმგებლობას ამ ხალხთან მაშინაც კი არ გრძნობდა, როცა მთელი აბარდაგანის მთავარი ბრძანდებოდა და მათ ბედს განაგებდა. ბედის ირონიით, ახლა სწორედ მათთვის უნდა გაეწია მთავარსარდლობა. რუგოს სხვა დარდიც ჰქონდა, ბაკუბას სახლის სარდაფში მსაჯულის წიგნი იყო დამალული. დაუშვებელი იყო, რომ ეს წიგნი მტერს ხელში ჩავარდნოდა.

— შეხედე, რა ჯარი შეგროვდა! ერთ გამოცდილ მეომარს, სანთლითაც რომ ეძებო, ვერ იპოვი. — შესჩივლა რუგომ აკას. — არ

ვიცი, იქნებ არც კი მაქვს უფლება, ეს უდანაშაულო ხალხი ბრძოლაში ჩავითრიო. ნეტავ თავად რას ფიქრობენ, იქნებ დანებება და გრძნეულებთან მოლაპარაკება ურჩევნიათ?

— მერე, რაღას უცდი, ჰკითხე და რასაც გიპასუხებენ, ის გააკეთე. — ურჩია თავის მხრივ აკამ.

რუგოს მეგობრის რჩევა ჭკუაში დაუჯდა. შემაღლებულ ადგილას ავიდა და ტუალანუს მომავალ დამცველებს მიმართა.

— ჩემო დებო და ძმებო! ძლიერი მტერი სადაცაა კარს მოგვადგება. ლილე ირიელმა მე გამომგზავნა მთავარსარდლად, მაგრამ ჯარი არ გამომაყოლა. უდაბნოს ხალხი და შერისხულები უკვე მოდიან ჩვენ დასახმარებლად, მაგრამ მოასწრებენ თუ არა მტერს, არ ვიცი. ახლა ქალაქის დაცვა მხოლოდ ჩვენს ხელშია, ან მახვილით დავხვდებით ან მტერს შეწყალებას ვთხოვთ და კარებს თავად გავუღებთ. არჩევანი თქვენზეა. აქ რომ ჯარისკაცები იდგეთ, ამ კითხვას არ დავსვამდი, მაგრამ ქალებს... — რუგომ სიტყვა ვერ დაამთავრა, ყელში გაჩხერილი ბოღმისაგან ხმა ჩაუწყდა. მოედანზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. რუგო განაჩენივით ელოდა ტუალანუელების პასუხს, მაგრამ ხალხი დუმდა. რუგო მიხვდა, ქალაქელები ლილე ირიელის უძლეველობის იმედით, ბრმად დამორჩილებოდნენ მის ბრძანებას. ახლა კი, როცა სიმართლეს თვალებში ჩახედეს, მათ გულში შიშსა და სასოწარკვეთას დაედო ბინა. და რუგომ თქვა ის, რის გამჟღავნებასაც ვერასდროს წარმოიდგენდა. — ... მაგრამ ჩვენ განწირულები არ ვართ — ტუალანუს დღეს გრძნეულებისაგან მსაჯულის წიგნი იცავს — იგი აქ ინახება, და სანამ მისი ერთგულნი ვიქნებით, მტრის ფეხი არ იქნება ჩვენს ქალაქში!

სამარისებური სიჩუმე კიდევ რამდენიმე წამს გაგრძელდა. უეცრად ერთმა ქალმა ფარი და მახვილი ზევით ასწია და ერთმანეთს შემოჰკრა. მალე მთელი მოედანი აჰყვა. იარაღის ჟღრიალში რუგომ ძლივს გაიგო, რას უყვიროდა აკა. რუგო ძირს ჩამოვიდა, მეგობარს ჰკითხა:

— რა ამბავია?

— ქალაქის კარიბჭეს შერისხულთა მალემსრბოლები მოადგნენ, შემოშვებას თხოულობენ.

რუგო თავად გაეშურა მათ შესახვედრად. შერისხულებმა მოახ-

სენეს: ბიგოელები სადაცაა ტუალანუს მოადგებიან; ჯარს თავად დედოფალი იორუბა მოუძღვება, სარდლად კი მთავარი მცველი, ალი, მოჰყვებაო. რუგომ შვებით ამოისუნთქა. მალემსრბოლელები უკან გაგზავნა — ტუალანუ მზად იყო შერისხულთა მისაღებად.

ცოტა ხანში ქალაქს მცირე ამალით თავად დედოფალი იორუბა ეწვია. რუგომ შერისხულებს მოკლედ მოუყვა, რაც სალიტულაში მოხდა — როგორ ჩააბარა ლილემ მთავარსარდლობა და მარტოდ-მარტო გამოუშვა ტუალანუში შერისხულთა და უდაბნოს ხალხის იმედად. თვით ალიმაც კი, რომელიც ამ ბოლო ხანებში მუდამ პოულობდა ლილესთვის გასამართლებელ მიზეზებს, გრძნეულთა არმიის წინაშე ტუალანუს ბედის ანაბარად მიტოვებას ახსნა ვერ მოუძებნა. თუმცა, ახლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო, მტრის გამოჩენამდე რამდენიმე საათიღა რჩებოდა.

შერისხულთა ჯარის გამოცხადებაზე არანაკლებ, რუგოს ბრძოლებში გამოცდილი მეომრის — ალის გამოჩენა გაუხარდა. აბარდაგანის მთავარსარდლობის რწმუნების სიგელი მას გადაულოცა. ალიმ ჯერ იუარა, მაგრამ, როცა რუგო ალალად გამოუტყდა, ომის არაფერი გამეგებაო, დათანხმდა.

— რას ამბობენ კვამლის წამკითხველები, დიდი ჯარით მოდიან გრძნეულებიო? — იკითხა იორუბამ.

— გრძნეულთა საკმაოდ დიდი არმია საღამოს უკვე აქ იქნება, რაც შეეხება ტარუტოს ჯარს, უდაბნოზე გადმოდიოდნენ, მაგრამ ჯერ არ ჩანან. — უპასუხა რუგომ.

— პირისპირ შებრძოლებით გვძლევენ, ჭკუით უნდა ვაჯობოთ. — თქვა ალიმ.

— რას აპირებ? — ჰკითხა ფარომ.

— გრძნეულებს ჩვენც მათი მოკავშირეები უნდა ვეგონოთ!

— არა, ეს შეუძლებელია! — წამოიძახა იორუბამ.

— მოიცა, დედოფალო, ალი მართალს ამბობს! — გააწყვეტინა სიტყვა ფარომ.

— სამეგობროდ ელჩი გავუგზავნოთ. მეც ასი ნარჩევი მეომრით ფეხდაფეხ მივყვები. მოყვარედ რომ გვიგულებენ, ყურადღებას მოადუნებენ. როგორც კი მათ სარდლობას მივაღწევთ, შიგნიდან დავერევით. დარწმუნებული ვარ, დიდი პანიკა ატყდება. ამ დროს

შენც გამოჩნდები, ფარო, ჩვენი მთავარი ძალებით.

— თუ უდაბნოს ხალხიც მოგვისწრებს, კარგი იქნება! — ინატრა რუგომ. — ტუალანუელებს კი მე თავად გავუძღვები. მხედართმთავრობა არ ვიცი, თორემ ხმალსა და შუბს ურიგოდ არ ვხმარობ.

— ძალიან კარგი! — კვერი დაუკრა ალიმ.

— ალი, დაგავიწყდა, რომ ქალაქში მხოლოდ ბრძოლაში გამოუცდელი ქალები, ბავშვები და მოხუცები არიან? — შეახსენა იორუბამ ალის. — ისინი გინდა რომ შეაკლა გრძნეულთა გამოცდილ არმიას?

— ეს მათი ქალაქია და მის დაცვას ვერავინ აუკრძალავს.

— კარგი, რადგან ასეა... მხოლოდ ბრძოლაში მაშინ ჩაებან, თუ მათი დახმარება გადამწყვეტი იქნება. — შესთავაზა დედოფალმა ალის.

— კარგი, ასე იყოს. რუგო, თუ დაინახავ, რომ გრძნეულებს ვეღარ ვუმკლავდებით, იმ შემთხვევაში დაგვახმარე აქაურები. — მიმართა რუგოს შერისხულთა ყოფილმა და ახლა უკვე მთელი აბარდაგანის მხედართმთავარმა.

— ამით რისი თქმა გინდა, მე ქალაქიდან ვუცქირო, გრძნეულებს როგორ ებრძვით? სადაც შენ, იქაც მე! — ლაპარაკობდა გაცხარებული რუგო.

— დამშვიდდი! — გაულიმა იორუბამ რუგოს. — ქალებს თავად მე გავუძღვები, თუ კი ამის საჭიროება დადგება! — ნახა გამოსავალი იორუბამ.

— ალი, გრძნეულებთან მიდიხარ. რომ მოგნუსხონ, იცოდე, ყველა დავიღუპებით. — გააფრთხილა იორუბამ.

— მსაჯულის წიგნი დაიფარავს! — ამაყად თქვა რუგომ, მაგრამ იორუბას გაოცებულ თვალებსა და ალისა და ფაროს მრისხანე სახეებს რომ გადააწყდა, მიხვდა, შერისხულებმა მისი სიტყვები დაცინვად მიიღეს. — არა, არ მიხუმრია... — გამოასწორა შეცდომა რუგომ. — მსაჯულის წიგნი ტუალანუშია და ალის ფიცის მიცემა შეუძლია.

— ტუალანუშია? — ერთად წამოიძახეს შერისხულებმა.

— ჰო, აქ არის. მე წამოვიღე და აქ დავმალე.

— ალი, სასწრაფოდ დადე ფიცი, გრძნეულებმა რომ ვერაფერი გავნონ. — შეევედრა დედოფალი მთავარ მცველს.

— არა... — გააქნია თავი ალიმ.

— ვითომ, რატომ? — ვერ მიუხვდა რუგო ალის.

— მეშინია...

— გრძნეულებთან მისვლის არ გეშინია და მსაჯულის წიგნისთვის ფიცის მიცემისა გეშინია? — გაიკვირვა რუგომ.

— არა... ალის სულ სხვა ადარდებს. ეშინია, ფიცის მიცემის შემდეგ ადამიანის სახე არ დაუბრუნდეს... — ხმის კანკალით წარმოთქვა ცრემლმომდგარმა იორუბამ. — ახლა აბარდაგანს ალი შერისხული, მგლისთავიანი სჭირდება.

— დედოფალო, თხოვნა მაქვს შენთან. — უთხრა რუგომ იორუბას. — მსაჯულის წიგნის სამალავი მინდა გიჩვენო. მე არ ვიცი, ბრძოლიდან ცოცხალი დავბრუნდები თუ არა, ამიტომაც შენ მინდა გადმოგცე. წიგნის სალიტულაში დაბრუნება შენთვის მომინდვია.

თავი ოცდამეთორმეტე

ბრძოლა ტუალანუსთვის

მზეს უკანასკნელი სხივებიც უნდა აელაგებინა, როცა გრძნეულთა არმია ტუალანუსა და მის გარშემო განლაგებულ შერისხულთა ჯარს მიადგა. გრძნეულებს ბიგოელთა დანახვა ძალზე გაუკვირდათ. ელჩებისგაგზავნაციკიუნდოდათ,მაგრამსულასადადედა-დედოფლის გარეშე ვერ გაბედეს. დედა-დედოფლისგან მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულნი, ტუალანუს ჭიშკარი ღიაც რომ დახვედროდათ, სულას ბრძანების გარეშე იარაღისთვის ხელი არ მოეკიდათ და ქალაქში არ შესულიყვნენ. მათი ვარაუდით, მთავარი ტარუტოს ჯარისკაცებთან ერთად სადაცაა შემოუერთდებოდა გრძნეულთა ჯარს. ამიტომაც მოცდა ამჯობინეს და ქალაქის ჩრდილოეთით, შერისხულთა მახლობლად ბანაკი დასცეს.

შერისხულთა ელჩები გათენებამდე დაადგნენ თავს გრძნეულებს და ამცნეს, ბიგოს მხედართმთავარს მცირე რაზმით სტუმრობა რომ სურდა. ჯარის უფროსმა ჯერ უარი უთხრა, ამ შუაღამისას რა საჩქაროა, ხვალ ნაშუადღევს თავად ვაახლებთ ელჩებსო. მაგრამ, როცა გაიგეს, შერისხულები დიდხანს ლოდინს აღარ აპირებდნენ და გამთენიისას ტუალანუზე აპირებდნენ დაცემას, უმალ აზრი შეიცვალეს და გუშაგებს უბრძანეს შერისხულები დაუბრკოლებლად შემოეშვათ.

გრძელი გზისგან დაქანცულ ჯარს ჯერ კიდევ ეძინა. გრძნეულებმა — სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, შერისხულთა მოლოდინში გუშაგი გააძლიერეს, მაგრამ ჯარის უმთავრესი ნაწილი უშფოთველად ისვენებდა. ელჩებს შერისხულთა რაზმი ლამის ფეხდაფეხ მიჰყვა და გამთენიისას ბიგოს მთავარსარდალი ალი თავისი ჯარისკაცებით უკვე ომდურმანის მთავარ გრძნეულთა კარვებს შორის იდგა. მთავარი გრძნეულები გარეთ გამოსულიყვნენ შერისხულთა

შესახვედრად. შუბლზე რგოლები უბრწყინავდათ. ამდენი ცხენოსნის დანახვას არ ელოდნენ, მაგრამ, როცა შერისხულებმა ერთი საზარლად შეჰყვირეს, ხმლები იშიშვლეს და მოკავშირეებს დაერივნენ, სახტად დარჩნენ. შერისხულთა შეტევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გრძნეულები გონს კარგა ხანს ვერ მოვიდნენ, განგაშის ატეხაც კი ვერ მოახერხეს, ყველა მხოლოდ თავის შველაზე ფიქრობდა. ფარომ ალის ნიშანი მიიღო თუ არა, შერისხულთა ჯარი მასზე ბევრად მრავალრიცხოვან გრძნეულთა ბანაკისკენ დაძრა.

* * *

მოულოდნელმა შეტევამ დროებითი შედეგი გამოიღო, მაგრამ გრძნეულთა მონუსხვის ნიჭმა და მრავალრიცხოვნებამ მაინც თავისი ქნა. შერისხულებმა ნაშუადღევს უკან დახევა დაიწყეს და საღამოს უკვე ტუალანუს კედლების სიახლოვეს მიდიოდა ხელჩართული ბრძოლა. იორუბა გალავნიდან გადასცქეროდა ბრძოლის ველს. ქალაქელთა ჯარი ყოველ წუთს ელოდა დედოფლის ბრძანებას — ტუალანუ დაეცვათ მტრისგან.

იორუბამ უდაბნოს მხრიდან ცაში ავარდნილ კვამლს მოჰკრა თვალი. კარგად რომ დააკვირდა, ქალაქისკენ მომავალი რაზმებიც დალანდა.

— დედოფალო, უდაბნოელები მოდიან! — სიხარულით ამცნო კვამლის წამკითხველმა. — მაგრამ ბევრნიც არ არიან! ჩვენ რაღას ვუცდით, კიდევ დიდხანს მოგვიწევს ლოდინი? ახალგაზრდა აღარა ვარ, მაგრამ ჩემი ქალაქის დასაცავად ხელი არ ამიკანკალდება!

იორუბამ გადახედა ტუალანუელთა ჯარს, თითქმის სულ ქალები იყვნენ, ალაგ-ალაგ გამოერეოდა კაცი, ისიც ჭარმაგი. პატარა ბავშვები იარაღასხმული დედებისა და უფროსი დების შორიახლოს უზრუნველად თამაშობდნენ, ცოტა მოზრდილები კი საომრად გამზადებულ ქალებს თავს დასტრიალებდნენ. მათ შემხედვარე იორუბას გული მოუკვდა.

— ცოტა კიდევ მოიცადე, მოხუცო! სულ ცოტა. ჩვენი დროც დადგება. — ესღა უთხრა დედოფალმა კვამლის წამკითხველს.

უდაბნოელთა შეტევამ გრძნეულთა ჯარი შუაზე გაყო. ბრძოლის ველმა ქალაქის კედლებიდან თანდათან უკან დაიხია. იორუბამ შვებით ამოისუნთქა. დროდადრო სალიტულასკენ იხედებოდა, დამხმარე ჯარს თუ არა, ერთ გასამხნევებელ კვამლს მაინც არ გაიმეტებს ლილე ჩვენთვისო, ფიქრობდა დედოფალი. მაგრამ სალიტულა დუმდა. უეცრად გრძნეულთა მოზრდილმა რაზმმა შერისხულთა რკალი გაარღვია და გეზი პირდაპირ ტუალანუსკენ აიღო.

— ახლა კი ჩვენი დროც მოვიდა! — შესძახა იორუბამ და მეცხოვნეებს მზადყოფნა უბრძანა. — ახლოს მოუშვით, ისარი რომ მისწვდეს! — აფრთხილებდა დედოფალი ქალებს.

იორუბა გაკვირვებული იყო ტუალანუელ მშვილდოსან ქალთა ოსტატობით, მათმა ნასროლმა ისრებმა გრძნეულთა რამდენიმე რიგი დააწვინა. ძალიანაც ცდილობდნენ მთავარი გრძნეულები ტუალანუელ მეისრეთა მონუსხვას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მაშინ კარის შემტვრევა სცადეს. რაც კი გარშემო ქვა და ლოდი იყო, ქალაქის კარიბჭის წინ მოგროვდა, მერე ქარბორბალასავით ჰაერში დატრიალდა და ტუალანუს მთავარ კარს ეკვეთა. ჭიშკარი შეზანზარდა. ქარბორბალა კიდევ რამდენჯერმე ეძგერა კარს, სანამ ცალი ფრთა ანჯამებს არ მოსწყდა და ზრიალით ძირს არ დავარდა.

ქარბორბალა ქალაქში რომ შევარდნილიყო, კარიბჭის წინ მდგომ ქალებს ერთიანად წაიღებდა, მაგრამ ზუსტად შემოსასვლელთან დაიშალა — მსაჯულის წიგნი ქალაქს გრძნეულთა მონუსხვისგან იცავდა.

— არ შეუტიოთ, ჭიშკართან გამაგრდით! — ყვიროდა იორუბა.

გრძნეულები ტუალანუს ჭიშკარს მისცვივდნენ, მაგრამ ქალები თავს მედგრად იცავდნენ და მტერი შემოსასვლელ მოედანს იქით არ შეუშვეს. ყველას შუბლზე რგოლი უბრწყინავდა, მაგრამ ტუალანუში, ისევე როგორც ბრძოლის ველზე, აბარდაგანელებზე ძალას ვერ ფლობდნენ და მხოლოდ უბრალო ჯარისკაცები იყვნენ. მაშინაც დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, როცა ჭიშკრის შესანგრევად ქარბორბალა ატეხეს.

ტუალანუელებმა გრძნეულთა რაზმი მალე სრულიად გაანადგურეს. იორუბაც მათთან ერთად იბრძოდა, თავადაც უკვირდა, ისე ოსტატურად ხმარობდა იარაღს.

* * *

გრძნეულთა ტარუტოს არმიის მეორე ნაწილმა, რომელსაც დედა-დედოფალი მოჰყვებოდა, მშვიდობიანად გადაიარა ცხელი უდაბნო. რამდენჯერმე ქვიშის გრიგალმაც გადაუღობა გზა, მაგრამ გამყოლების მოხერხებულობით, თავიდან აიცილეს და უსაფრთხოდ მიადგნენ ტუალანუს. დედა-დედოფალს ელდა ეცა, როცა იქ გააფთრებული ბრძოლა დახვდა, თანაც სულა და ტარუტოს ჯარისკაცები არსად ჩანდნენ.

დედა-დედოფალი დაბნეული იყო, არ იცოდა, რა გაეკეთებინა, უკან დაბრუნებულიყო შვილის მოსაძებნად, ბრძოლაში ჩაბმულიყო, თუ პირდაპირ სალიტულაზე გაელაშქრა. დრო არ ითმენდა, გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მიეღო და მიიღო კიდეც: სალიტულაზე გალაშქრება ამჯობინა. როგორ არ ეხვეწებოდნენ გრძნეულები, ტარუტოს ჯარისკაცების ნაწილი მაინც დაგვიტოვე, ბრძოლა არ წავაგოთო. იმასაც კი უმტკიცებდნენ, თავად ლილე იროელია აქ თავის ბესანჯთან ერთად, ნუთუ შურისძიება არ გინდაო, მაგრამ ამაოდ, დედა-დედოფალი შეუვალი იყო.

— ნუთუ არ გესმით, სალიტულამ მთელი ძალები ტუალანუს დასაცავად გადმოისროლა და თავად აბარდაგანის მთავარიც — ლილე იროელიც აქ არის, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა დავლაშქროთ დაცვის გარეშე დარჩენილი მთავარი ქალაქი. — უმტკიცებდა გრძნეულებს დედა-დედოფალი. — თქვენ კი, — დაამშვიდა გრძნეულები, — სულა რომ გამოჩნდება, ის დაგეხმარებათ ტარუტოს არმიით.

გრძნეულებს რაღა დარჩენოდათ, უნდა დამორჩილებოდნენ დედა-დედოფალს.

* * *

უდაბნოელებთან ერთად ლილეს გამოჩენამ მტერიცა და მოყვარეც საგონებელში ჩააგდო. რუგომ სანამ საკუთარი თვალით არ დაინახა გრძნეულებთან გაშმაგებული ლომივით მებრძოლი იროელი, მისი გამოჩენის ამბავი მტრის შესაშინებლად შერისხულთა მონაგონი ეგონა.

შუა ბრძოლაში რუგოს გახელებული ყეფის ხმა მოესმა — აბარდაგანის მთავრის გვერდით ბესანჯი იდგა და მედგრად უტევდა მტერს. მათ დანახვაზე რუგომ სინდისის ქენჯნა იგრძნო: თურმე რა ტყუილად ბრაზობდა ლილეზე, რა არ დასწამა გუნებაში, მსაჯულის წიგნიც კი არ ანდო. ლილეს დანახვით აფორიაქებულმა რუგომ მოწინააღმდეგეზე წამიერად კონტროლი დაკარგა, იმანაც ისარგებლა მისი დაბნეულობით და დაუცველ მხარეს მძლავრად მოუქნია ხმალი. რუგომ ფარის დახვედრება ვერ მოასწრო და ბესანჯი რომ გრძნეულს ნახტომით მკლავში არ სწვდომოდა, მარცხენა ხელის გარეშე დარჩებოდა.

ლილე და რუგო ერთმანეთთან ზურგშექცევით აღმოჩნდნენ. მათ გვერდითვე იბრძოდა თეკლაც, მეომარი ქალი ვაუკაცებს ტოლს არაფრით უდებდა. გრძნეულები რკალად შემოერტყნენ სამივეს, თითოზე სამი-ოთხი მაინც მოდიოდა. ბესანჯი ხან ერთს იცავდა, ხან მეორეს, ხან — მესამეს.

— აკი ბესანჯი ნასარმა მომიკლაო? — შეუძახა რუგომ ლილეს.

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ! — უპასუხა ხმლის ქნევით ლილემ და გრძნეულთა რკალი გაარღვია.

მთელი დღის გაშმაგებული ბრძოლის შემდეგ გრძნეულთა ჯარი დაიქსაქსა. უკან დახევა დაიწყო და ძალიან მალე თავქუდმოგლეჯილი გაქცევით დამთავრდა. მაგრამ მოწინააღმდეგეს შორს ვერ გაექცნენ. გზად სალიტულასკენ მომავალ იტურელების ჯარს გადააწყდა.

* * *

მთელი ღამე ქალაქელები დაჭრილებს თუ ტუალანუში ათავსებდნენ, ბრძოლის ველზე დაღუპულებს მიწას აბარებდნენ. ბრძოლაში დაცემულ ბიგოელთა ამოცნობა ძალზე ძნელი იყო. იორუბაც ამაოდ ცდილობდა მათ შორის ალის მოძებნას. ადამიანის სახედაბრუნებული შერისხულები უსახელო გმირებად დაეცნენ ბრძოლის ველზე აბარდაგანის თავისუფლებისათვის. იორუბა ხან ერთ დაჭრილს ეკითხებოდა ვინაობას და ხან მეორეს. ბევრი ნაცნობიც ნახა, ფაროც კი იპოვა გადაჩეხილი მხარით, მაგრამ ბიგოს მთავარი მცველი არსად ჩანდა.

ლილესაც გაუჭირდა მთვარის შუქზე იორუბას ცნობა. დედოფალი უბრალო ტუალანუელი მეომარივით დასტრიალებდა თავს გადარჩენილ თანამებრძოლებს.

— იორუბა! — მოესმა დედოფალს ძახილი.

— მე ვარ, მე! ვინ მეძებს? — სასწრაფოდ გასცა პასუხი.

— ცოცხალი ხარ! — გულში ჩაიკრა ლილემ იორუბა.

— ლილე, შენ? შენ ხომ სალიტულაში ჩაიკეტე და ჩვენ ღვთის ანაბარა დაგვტოვე, აქ საიდან გაჩნდი? — დედოფლის ხმაში ერთდროულად წყენაც იგრძნობოდა და სიხარულიც.

— არა, ჩემო დედოფალო! მე თქვენ როგორ მიგატოვებდით... სალიტულაში ჩემი სველთვალებიანი ნიღბით ნასარია ჩაკეტილი და ბესანჯის პატრონის სახელით მართავს აბარდაგანს.

— ნასარი? ეგ ვერაგი კიდევ ცოცხალია და თან შენს სახელს ამოფარებული?! — წამოიძახა გამწარებულმა იორუბამ.

— ახლა მისი საქმე წასულია. მალე დავადგები თავზე და გამოვააშკარავებ მის ვერაგობას. — დაექადნა ლილე ნასარს.

— სანამ შენ მიხვალ სალიტულაში, ვშიშობ ტარუტოს ჯარით მიადგებიან მეწამულ ქალაქს გრძნეულები. შუა ბრძოლაში იყავით, რომ ჰორიზონტზე, გრძნეულთა მხრიდან, რაღაც ჯარი გამოჩნდა, მაგრამ ბრძოლას თავი აარიდეს და სალიტულასკენ აიღო გეზი. ახლა სალიტულას სჭირდება დაცვა. ლილე, ალი ხომ არ გინახავს, ვერსად ვპოულობ, ვერც ცოცხალსა და ვერც მკვდარს! — შესჩივლა იორუბამ.

— არა, არ მინახავს... — მე კი ბესანჯი ვერ მიპოვია...

— სანამ ალი გამოჩნდება, შერისხულთა სარდლად შენ გნიშნავ. დრო არ ითმენს, სალიტულასკენ უნდა წავიყვანოთ დარჩენილი ჯარი. თუ კი დარჩა ვინმე... — ჩააბარა სარდლობა იორუბამ ლილე ირელს.

* * *

ალი გონზე მოვიდა. პირქვე ეგდო. სხეულს ვერ იმორჩილებდა, შეგუბებულმა ფილტვებმა, ჰაერის უკმარისობამ და უკუნმა სიბნელემ მასზე დახორიალებული სიმძიმე კარგად აგრძნობინა. ღრმად

ჩასუნთქვა სცადა, მაგრამ ამაოდ, მხოლოდ მიწის მომწარო გემო დარჩა წყურვილისგან გამომშრალ პირში. უკანასკნელი წამები გაიხსენა, სანამ გონს დაკარგავდა — გრძნეულები თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ, ტუალანუს თავზე მტერზე გამარჯვების ნიშნად დროშა ფრიალებდა. შვებით ამოისუნთქა. ჰო, კიდევ რაღაც აინტერესებდა. კიდევ რაღაცის გაგება უნდოდა, ძლივს მიხვდა რა აწუხებდა — ნეტა დავიბრუნე ადამიანის სახე თუ არა — გაუელვა უეცრად. გრძნობდა ძალები ეცლებოდა, ფიქრის თავი აღარ ჰქონდა, თანდათან აუტანელი წყურვილი ყველაფერს ჯაბნიდა. — აჰ, ნეტა როგორი ვარ? — ისევ დაუბრუნდა გაწყვეტილ ფიქრებს. ერთიღა მოიფიქრა — ტუჩები, რაც შეეძლო, მოკუმა და გახევებული ენა ჯერ ნიკაპისკენ ჩააცურა, მერე, სადამდეც შესწვდა ლოყებზეც მოისვა. მგლის ბალნიანი დრუნჩის ნაცვლად, მისთვის უჩვეულოდ პრიალა კანი დახვდა. ცრემლები გადმოსცვივდა. სახეზე სისველე იგრძნო, მაგრამ არა მარტო სახეზე. მარჯვენა ხელის გულიც დაუსველდა. რაღაც ნოტიო ეხებოდა და ნაზად ლოკავდა. ყური მიუგდო. წკმუტუნის ხმა მოესმა. სიმძიმის ქვეშ მისკენ რაღაც მოძვრებოდა. დაწოლილი ტვირთიც თანდათან ასატანი ხდებოდა. ჰაერის გულიანად შესუნთქვაც კი შეძლო. მალე სიბნელეში სხივიც შემოიჭრა. ვიღაც თუ რაღაც ცდილობდა მის გათავისუფლებას. — ნეტა გონი მანამ არ დავკარგო, სანამ ჩემს მშველელს არ დავინახავ. — გაიფიქრა ალიმ. თავს ძალა დაატანა და მხრებით სიმძიმის აწევას შეეცადა. მისი თითქოსდა უსუსური მცდელობა საკმარისი აღმოჩნდა მშველელისთვის მისი სხეული გულაღმა რომ გადმოებრუნებინა. მკვეთრმა მოძრაობამ აუტანელი ტკივილი მოჰგვარა და წამიერად გონი დაკარგა. სასიამოვნო შეხებამ გრძნობა ისევ დაუბრუნა. თვალი გაახილა. დასისხლიანებული ბესანჯი სახეს ულოკავდა. — რას მოვესწარი? — გააჟრჟოლა სიმწარენარევი აღტაცებით.

აქეთ-იქით მიმოიხედა, იქნებ ცოცხალი ვინმე დავინახოო, კარგად ახსოვდა ვინ იბრძოდა მის მხარდამხარ, მისი ერთგული რაზმელები, შერისხულთა შორის ყველაზე გამოცდილი მეომრები. მაგრამ ახლა ბრძოლაში დაცემული ადამიანისსახიანი ჯარისკაცების მეტს ვერავის მოჰკრა თვალი. მხოლოდ ტანსაცმლით თუ მიხვდებოდა კაცი, ვინ ვინ იყო — შერისხული, უდაბნოელი თუ გრძნეული. — ესეც

ჩემი დიდებადაბრუნებული ბიგოელები – ადამიანის სახეებით, მაგრამ ჩემსავით ყველასთვის უცნობები. – სიმწრით ტუჩი მოიკვნიტა შერისხულთა მთავარსარდალმა. საკუთარი სახის დანახვაც მოუნდა, თავს ძალა დაატანა და თავზე დამდგარ ძაღლს თვალი თვალში გაუყარა. ცხოველიც თითქოს მიუხვდა სურვილს, ერთ ადგილას გაშეშდა, მზერა რომ არ დაკარგვოდა დაჭრილ მეომარს, მხოლოდ მაშინ მიუწვა გვერდით, როცა ალიმ ყურადღება უსასრულოდ ლურჯ სივრცეში გამოკვეთილ იორუბას მქრქალ გამოსახულებაზე გადაიტანა, რომელიც კეთილი მოჩვენებასავით დასდგომოდა თავზე. – ასეთიც რა ლამაზი ხარ, ჩემო დედოფალო?! – ამოიოხრა ალიმ. ბესანჯი წკმუტუნით გამოეპასუხა. – შენ რაღას უცდი, ნეტა? წადი, ლილეს უფრო სჭირდები! – ძლივსღა ამოილუღლუღა ალიმ. ბესანჯმა თავადაც კარგად იცოდა, რომ ახლა სწორედ ლილეს გვერდით უნდა ყოფილიყო, მაგრამ ორი დიდი მიზეზის გამო ვერ ასრულებდა თავის უმთავრეს მოვალეობას. თუმცა რომელი მიზეზი რომელს სჯაბნიდა, ამას კი ვერ ხვდებოდა. სულ ცოტა დრო მასაც სჭირდებოდა ძალების მოსაკრებად, მაგრამ არც დიდებადაბრუნებული გმირი ემეტებოდა მარტო დასატოვებლად. როგორც კი წამოდგომა შესძლო, ალის უკანასკნელად აულოკა სახე, ცას მიპყრობილი თვალები დაუხუჭა და სალიტულასკენ ლილეს მოსაძებნად გაიქცა.

თავი ოცდამეცამეტე

გალი-გალა

სამხრეთის ქარების მონაყოლით გულდამძიმებული იტურის ტყე გამოსამშვიდობებელ სიმღერას უმღეროდა ფრთოსან ლომად გამოკვეთილ დედა-ტარუტოს. ტყემ ზუსტად იცოდა, ძალიან მალე ისევე უნდა დაშორებოდა თავის საამაყო და საყვარელ პირმშოს, როგორც სალიტულაში საომრად წასულ იტურელებს. ტყე შფოთავდა, არც თვითონ ისვენებდა და არც სხვას აძლევდა მოსვენების უფლებას. მის ყოველ ამოსუნთქვას მიყურადებულ რუფიას ძილი არ ეკარებოდა, მით უმეტეს ამ ღამით, მოუთმენლად ელოდა გათენებას. წინა საღამოს ჯერ ცებაიმ უთხრა, დღეს ლომის გამოჭრა დასრულდაო, მერე გალი-გალამ ძილის წინ ჩაიტიტინა, დედა ლომმა მთხოვა, ფრენა მასწავლეო. ღამეგატეხილ რუფიას გამთენიისას ძილმა თავი მაინც წაართვა, მაგრამ სიზმრადაც დედა ლომის ფაფარს ჩაჭიდებული ცაში აჭრილი გალი-გალა ესიზმრებოდა.

დილით, ჩვეულებისამებრ, გალი-გალამ გაღვიძება ყველას დაასწრო. თვალი დააჭყიტა თუ არა, მაშინვე წამოჯდა და რუფიას კუდზე მოქაჩა. ყვანჩალამ საწყლად დაიყრანტალა.

— სულ არ გამპუტო, შე ყაჩაღო?

— ადე, ადე! — ახლა ბიძას გასძახა ბავშვმა.

ცებაიმ თვალები მოიფშვნიტა და დაბალ საწოლზე წამოჯდა.

— ადე! — გაუმეორა გალი-გალამ. — მშია!

— ვიცი, ვიცი! — გადაუსვა თავზე ხელი ნამძინარევმა ცებაიმ. — ახლავე მოგიმზადებ საუზმეს! რა გინდა, რას მიირთმევ?

— ფაფას, ფაფა მინდა! — დიდი კაცის სერიოზულობით უპასუხა ბავშვმა.

ცებაის მომზადებული ფაფა გალი-გალამ საკუთარი ხელით

მიირთვა. ერთი-ორი კოვზი რუფიასაც უწილადა, სულ ძალით დაასხა ნისკარტზე, ისიც დასვარა და თვითონაც ერთიანად ამოიგანგლა. ცებაიმ ბავშვს ხელახლა დაბანა ხელ-პირი და პერანგიც გამოუცვალა. რუფიამაც იჭყუმპალავა პატარა ჯამში, ბუმბულიც საგულდაგულოდ ნისკარტით დაივარცხნა.

— ახლა წამიყვანეთ დედა ლომთან! — მოითხოვა გალი-გალამ.

მათი გაცილება ყველამ მოინდომა, ვინც კი სოფელში იყო დარჩენილი, მაგრამ გალი-გალამ ტირილი დაიწყო, ესენი აქ დარჩენო. ყველა უსიტყვოდ დაემორჩილა. ცებაიმ ბავშვი კისერზე შეისვა და დედა-ტარუტოსკენ გასწია.

დედა-ტარუტოს ადგილას ხისგან გამოკვეთილი უზარმაზარი ლომი იჯდა, უკან გადაწეული ოქროსფერი ფრთებითა და აჩეჩილი ფაფარით, თვალები ცისკენ მიეპყრო, თითქოს ასაფრენად სივრცეს ზვერავსო.

— ჩამომსვი! — უთხრა ბავშვმა ცებაის.

ბიძამ ბავშვი ლომის თათთან ფრთხილად ჩამოსვა.

— ახლა წადი! — ხელი გაუქნია გალი-გალამ. ცებაი უსიტყვოდ დაემორჩილა.

— შენ რჩები? — ჰკითხა ცებაიმ რუფიას.

— აბა, ბავშვს სულ მარტოს ხომ არ დავტოვებთ? — გაიფხორა ყვანჩალა.

— ეს დარჩეს! — მხარი აუბა ყვანჩალას გალი-გალამ.

ცებაის ფეხები უკან რჩებოდა, ბავშვის მარტო დატოვება მასაც არ უნდოდა, მაგრამ გალი-გალა აიძულებდა უკანმოუხედავად მოშორებოდა დედა-ტარუტოს. ცებაი თვალს მოეფარა თუ არა, დედა-ტარუტოსგან გამოჭრილმა დედა ლომმა ქალის ხმით მიმართა გალი-გალას.

— პატარა, გინდა გავფრინდეთ?

— სად? — ჰკითხა ბავშვმა.

— მე შენ ძალიან ლამაზ ქალაქს გაჩვენებ. იცი რა ლამაზია, არ გინდა?

— ქალაქი?.. არა, არ მინდა... აქ კარგია, ტყეში.. — აიწურა ბავშვი, დე-და ლომის მიმართ ინტერესი დაკარგა და ხის ძირში დაყრილი ბურბუშელით დაიწყო თამაში. რუფია წინ დაუჯდა და მკაცრად უთხრა:

— უფროსები რომ გელაპარაკებიან, ყური უგდე. მოუსმინე დედა ლომს!

— კარგი! — მოულოდნელად დაეთანხმა გალი-გალა.

— გალი-გალა, დედა ლომს ფრენა უნდა ასწავლო, გაიგე პატარა? — დაუყვავა რუფიამ.

— ქალაქში რა უნდა, აქ კარგია... — მოიბუზა ბავშვი.

— დედა ლომს თავისი შვილების ნახვა უნდა... ძალიან ენატრებიან... — შეაცოდა რუფიამ.

— მეც მინდა დედას ნახვა!.. ჩემი დედაც იქ იქნება? — უცაბედად გამოცოცხლდა გალი-გალა.

— შენ თუ ფრენას მასწავლი, თან წაგიყვან და დედასაც გიპოვი. — უთხრა დედა ლომმა.

ამ შეპირებამ რუფია ძალიან გააბრაზა. დედა ლომს ზედ ცხვირზე დააჯდა და განაწყენებულმა ჩაუყრანტალა:

— რად ატყუებ? დავიჯერო ჩრდილოეთის ქარებს ასაის სიკვდილის ამბავი არ მოუტანიათ შენთვის? შენს ფრთოსან ლომობას კი არ შევუშინდები, ბავშვი არ დამიჩაგრო, თორემ თვალებს ამოგკორტნი! — დაემუქრა ყვანჩალა.

— თუ გინდა, რომ გალი-გალა კარგად გყავდეს, უთხარი, ფრენა მასწავლოს. ახლა ყოველ წუთს ოქროს ფასი აქვს.

— კარგი.... კარგი. ვეცდები!.. — შეპირდა რუფია დედა-ტარუტოს და გალი-გალასთან ჩაფრინდა.

— გალი-გალა, თეკლა ხომ გიყვარს? — ჰკითხა რუფიამ ბავშვს.

— ძალიან! მალე მოვა?

— არა, მალე ვერ მოვა. შორს არის და დახმარება სჭირდება. დედა ლომს თუ ფრენას ასწავლი, გაფრინდება და თეკლას მიეხმარება.

— რა კარგია! — ტაში შემოჰკრა ბავშვმა. — რუფია ჩვენც გავფრინდეთ, არა?! — გალი-გალამ ფრთით თავისკენ მოქაჩა ყვავი და გულში ჩაიკრა. — რუფი, შენც გესმის? — მოულოდნელად ჰკითხა ბავშვმა.

— რა უნდა მესმოდეს? — სმენა გაამახვილა ყვანჩალამ.

— ჩემი გული დუგდუგებს!

— ძალიანაც კარგი, რომ დუგდუგებს... — გაეცინა რუფიას და ბავშვს ნისკარტით შეუღუტუნა. — გალი-გალა ახითხითდა.

— პატარა, ხომ ასწავლი დედა ლომს ფრენას? — ისევ თხოვნას

დაუბრუნდა რუფია.

— კარგი, ვასწავლი... მაგრამ როგორ? — მხრები აიჩეჩა ბავშვმა.

რუფია სასწრაფოდ აფრინდა და დედა ლომს ისევ ცხვირზე დააჯდა.

— ხომ გაიგე, რა თქვა, ვასწავლიო!

— მაშინ უთხარი, რომ მიბრძანოს გავფრინდე!

— კარგი! — დაეთანხმა ყვანჩალა და ფაცხაფუცხით ძირს დაეშვა.

— გალი-გალა, მოდი, დედა ლომს უთხარი, რომ გაფრინდეს. აი ისე, მე რომ მეუბნები-ხოლმე — ფრი-ფრიო.

— მართლა მაპოვნინებ დედას? — ჰკითხა ბავშვმა დედა ლომს.

— კი.

გალი-გალა ფეხზე წამოდგა, თავიდან ბურბუშელა ჩამოუცვივდა და ერთი ცალი ცხვირზე ჩამოეკიდა და შეულუტუნა. ბავშვმა დაააცემინა.

— გაზრდა! — შემოუძახა დედა ლომმა.

— ფრი-ფრი! — შეუძახა გალი-გალამ.

გალი-გალამ კიდევ რამდენჯერმე გაუმეორა ბრძანება ხეს, მაგრამ დედა ლომი არც კი შეტოკებულა. ბავშვს გაბრაზება დაეტყო. შუბლზე სამი რგოლი სულ უფრო კაშკაშა უხდებოდა. გალი-გალამ გაშალა ხელები და ხეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუყვირა: ფრი-ფრი! ამ დროს რგოლები მანათობელ ვარსკვლავებს დაემსგავსნენ, მათგან წამოსულმა სხივებმა დედა ლომი მთლიანად შთანთქა. ირგვლივ თვალისმომჭრელი სინათლე იღვრებოდა. რუფიამ ველარ გაუძლო და თვალები დახუჭა. უეცრად მიწა შეინძრა და გრუხუნის ხმა გაისმა, თითქოს რამდენიმე მეხი ერთად დაეცაო. რუფიამ თვალი გაახილა. მის გვერდით გალი-გალა ეგდო, რომელსაც თავდახრილი დედა ლომი ლოკავდა. რუფია ბავშვს მივარდა.

— როგორა ხარ? — ჰკითხა.

— კარგად! — გაუღიმა ბავშვმა, დედა ლომის ფაფარს ჩაებღაუჭა და ფეხზე წამოდგა. შუბლზე მანათობელი რგოლების კვალიც კი არ ემჩნეოდა.

— შენ ნამდვილ ლომად იქეცი! — რუფიამ მხოლოდ მაშინ მიაქცია ყურადღება დედა ლომს, როცა გალი-გალას უვნებლობაში დარწმუნდა.

— ცოტა უკან დაიხიეთ!.. — ითხოვა დედა ლომმა, რომლის ოქროსფერი ფაფარი პურის ყანასავით უღელავდა.

ლომი ასაფრენად ემზადებოდა. ჯერ ფრთები მოსინჯა, მხოლოდ შეარხია, რომ მიხვდა, ემორჩილებოდნენ, მთელ სიგანეზე გაშალა. დედა ლომის ირგვლივ მიწა ამოიზნიქა, მიწას ვეებერთელა სისქის ფესვები ამოჰყვა. ლომმა ფრთები ერთმანეთს შემოჰკრა და ცაში აიჭრა. გამხმარი ფესვები ძირს ზრიალით ჩამოცვივდა. გალი-გალასა და რუფიას ვეებერთელა ჩრდილმა გადაუფრინა.

— მიფრინავს, მართლა მიფრინავს! — აჩხავლდა რუფია.

— მე?!... — ხელები ცისკენ გაიშვირა გალი-გალამ.

დედა ლომი ძირს დაეშვა. მათ გვერდით დაჯდა. გალი-გალა ფაფარზე ააფოფხდა და თავზე მოექცა.

— სად მიძვრები, ჩამოდი! — დაუტატანა რუფიამ, მაგრამ გალი-გალამ ყურიც არ ათხოვა ყვანჩალას.

თავი ოცდამეთოთხმეტე

სალიტულა

დედა-დედოფალი სახელდახელოდ გაკეთებული შემაღლებიდან გადაჰყურებდა ბრძოლის ველს. ტარუტოს ჯარისკაცებს აქამდეც აღებული ექნებოდათ სალიტულა, მოულოდნელად ზურგიდან ტუალანისათვის ბრძოლაგადატანილ ჯარს რომ არ შეეტია.

დედა-დედოფალი უმალ მიხვდა, გრძნეულებს ტუალანუსთან მარცხი ეწვნიათ. შვილის ამბავსაც მალი-მალ კითხულობდა, მაგრამ სანუგეშოს არავინ ეუბნებოდა. ის კი უთხრეს, ტუალანუდან ჯარს ბესანჯის პატრონი მოუძღვებაო. დედა-დედოფალმა სალიტულას გახედა, რა ახლოს იყო სანუკვარ ოცნებასთან და რა უდროო დროს გამოჩნდა ლილე ირიელი. დედა-დედოფალმა ტარუტოს ჯარის ნაწილს, შეტევაზე გადმოსულ მტერთან შესახვედრად, უკან დახევა უბრძანა.

ხის გოლიათები აბარდაგანელებზე რაოდენობით ნაკლებნი კი იყვნენ, მაგრამ ძალით აშკარად ჯაბნიდნენ. თითო ტარუტოს ჯარისკაცს ათი ძლივს უმკლავდებოდა. ტარუტოს ჯარისკაცებს ერთადერთი ლილეს ხალიბური ხმალი კვეთდა ერთი დარტყმით. დანარჩენთა იარაღი კი პატარა ნაჭერს თუ ჩამოათლიდა ხისგან ნაკვეთ მტერს. მაგრამ აბარდაგანელები მაინც არ ეპუებოდნენ გრძნეულთა არმიას და თავდაუზოგავად იბრძოდნენ მომხდურთა წინააღმდეგ. ლილეს გვერდში კაპო ედგა, ვირისთავიანი შერისხულის მაგივრად, თმაქოჩორა ყმაწვილ-კაცი. ორივე, მტრის მოგერიებასთან ერთად, თვალით ტუალანუს მისადგომებთან დაკარგულ ბესანჯს დაეძებდა, მაგრამ ძაღლი არსად ჩანდა. არც სალიტულას დამცველები იყვნენ კარგ დღეში. გაშმაგებით იცავდნენ ქალაქს, მაგრამ ტარუტოს ჯარის ძლევა შეუძლებელი იყო.

სალიტულამაც ინება ჯარების გამოყვანა და მტერი რკალში მოექცა, მაგრამ მის დასამარცხებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ტარუტოს ჯარისკაცებმა ალყა ძალიან სწრაფად გაარღვიეს, სალიტულას მთავარი ჭიშკარი შეანგრიეს და ქალაქში შეცვივდნენ. აბარდაგანი დიდხანს ვეღარ გაუძლებდა მტრის შემოსევას.

ბრძოლის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, როცა ბესანჯი ბრძოლის ველზე შევარდა. ტარუტოს ჯარისკაცები უკვე ქალაქს არბევდნენ, გრძნეულები კი ქალაქის დამცველებს პატარ-პატარა ჯგუფებად უმკლავდებოდნენ. დედა-დედოფალს უმალ მოახსენეს ბესანჯის გამოჩენა.

— ცოცხლად დაიჭირეთ და აქ მომიყვანეთ! — ღრიალებდა დედა-დედოფალი. — ჩემი ხელით უნდა ჩამოვკიდო კუდით ხეზე.

ბესანჯმა ლილეს მოჰკრა თვალი, მაგრამ მისვლა კი ვერ მოახერხა, გრძნეულებმა რკალში მოაქციეს და ხიშტებით ცდილობდნენ მისთვის გზა გადაეღობათ. ბესანჯი თავდაუზოგავად უტევდა მტერს — ხან ერთს მივარდებოდა, ხან მეორეს. მაგრამ რკალი სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა. როცა მიხვდა, მის გარღვევას ვერ შეძლებდა, ერთ ადგილას მოიკუნტა, თითქმის ბურთივით დამრგვალდა, მერე უეცრად წელში გაიზნიქა, შეიღრინა და ადგილიდან იმ სიმაღლეზე ახტა, რომ რკალს ზევიდან გადაევლო, დაცემისას რამდენჯერმე ამოკოტრიალდა. გრძნეულები მხოლოდ წამიერად დაიბნენ, მაგრამ მალევე შემოუტრიალდნენ და კვალში ჩაუდგნენ ბესანჯს. ბესანჯმა ლილე ველარსად დალანდა. გეზი ისევ ქალაქისკენ აიღო. გაცოფებული ცხოველი აღარავის ინდობდა და გრძნეულთა კბენა-გლეჯით მიიკვლევდა გზას. ამის შემხედვარე გრძნეულებმა აღარად ჩააგდეს დედა-დედოფლის ბრძანება — ბესანჯი ცოცხლად მომიყვანეთო და შორიდანვე დაუწყეს ხიშტების სროლა.

უეცრად მთელი ბრძოლის ველი ლომის ისეთმა საშინელმა ღრიალმა მოიცვა, რომ იარაღის ჟღარუნი, ჯარისკაცთა შეძახილები და დაჭრილთა კვნესა მთლიანად გადაფარა. ხმა ზევიდან მოდიოდა. ყველამ მაღლა აიხედა და ხელში იარაღი გაუშეშდათ. რამდენიმე წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ბრძოლის ველს თავს დასტრიალებდა უზარმაზარი ფრთოსანი ლომი. მის დანახვაზე დედა-დედოფალს კინაღამ გული წაუვიდა.

დედა ლომი სალიტულას კედლების შორიახლოს, შიგ შუა ბრძოლის ველზე დაფრინდა. ტარუტოს ჯარისკაცები უკვე ქალაქის ქუჩებში დარბოდნენ, რაც გზაზე ხვდებოდათ, ყველაფერს ანგრევდნენ და ხალხს აწიოკებდნენ.

* * *

— ქალაქის მთავარი კარიბჭე მტერმა შემოანგრია! — მოესმა ოთახში ჩაკეტილ ნასარს მსახურის ყვირილი. მას შემდეგ, რაც ქალაქში ხმა გავარდა სალიტულას დასაცავად აბარდაგანელთა ჯარს ლილე ეროელი მოუძღვებაო, ნასარს ოთახიდან გარეთ არ გამოეხედა.

გრძნეულთა შურისძიების შიშით ნასარმა, ერთი პირობა, ლილეს ნიღბის ჩამოხსნა გადაწყვიტა, მაგრამ გაახსენდა, ვეფხვის თავით სასახლიდან ვერ გაიპარებოდა, თანაც იმედის ნაპერწკალი მაინც უღივოდა, იქნებ ნამდვილ ლილეს სადმე გადაჰყროდა და მასზე შური ეძია. სასწრაფოდ მსაჯულის წიგნი აიღო, უბეში საგულდაგულოდ შეინახა და მოსასხამში გახვეულმა სასახლე დატოვა.

გარეთ საშინელი სურათი დახვდა. ქალაქში ტარუტოს ჯარისკაცები დარბოდნენ და რაც შეხვდებოდათ, ყველაფერს ანადგურებდნენ. ბიგოს მთავარი ვეზირი ურიგო მებრძოლი არ იყო, სხვა გზაც არ ჰქონდა, ხმალი იშიშვლა და მტრის მოგერიება დაიწყო, თან ცდილობდა, როგორმე ქალაქიდან გაეღწია. ნასარმა თითქმის კარიბჭემდე მიაღწია, რომ ლომის ღრიალი მოესმა. გაოგნებულმა მიმოიხედა, მაგრამ ცხოველის ნასახიც არ ჩანდა. ალბათ, მომეჩვენაო, — გაიფიქრა შერისხულმა. რამდენიმე წუთში ქალაქს დიდმა შავმა ჩრდილმა გადაუფრინა, ნასარმა ზევით აიხედა. გაოცებისგან ლამის ხმალიც კი გაუვარდა ხელიდან — ქალაქს თავზე უზარმაზარმა ფრთოსანმა ლომმა გადაუფრინა. სულ მალე კვლავ გაისმა გამძვინვარებული ლომის გამაყრუებელი ღრიალი, მაგრამ ამჯერად ისეთი ძლიერი, რომ მოსმენა შეუძლებელი იყო და ნასარმა სხვათა მსგავსად ყურებზე ხელები მიიფარა.

ფრთოსანი ლომი პირდაპირ მთავარი კარიბჭის წინ დაჯდა. — ნუთუ ესენი ჩემი შვილები არიან? — გამწარებით ამოიკვნესა დედა

ტარუტომ და დამნაშავესავით თავი მინაში ჩარგო, თითქოს ყველა შვილის მაგივრად ბოდიშს იხდისო. არაფრის დანახვა აღარ სურდა, უნდოდა სულაც გამხმარიყო, ან ფერფლად ქცეულიყო და სიკვდილისა და ნგრევის მთესველი შვილები აღარასდროს დაენახა.

ფაფარზე ჩაფრენილმა გალი-გალამ თავი ძლივს შეიკავა – ძირს რომ არ გადმოვარდნილიყო. ლომს ყურში ჩააფრინდა და მთელი ძალით ჩაჰყვირა: ადე ზეზე, აკი დედას გაპოვნინებო? ბავშვი ცოდოა, უშველე... ვახ! პირობის შეხსენებაზე დედა-ტარუტო მძიმედ წამოიმართა, ფრთები შეისწორა, ფაფარი შეარხია და დაკარგულ შვილებს შეუძახა – თავისკენ იხმო ტარუტოს ჯარისკაცები. დედის გულისშემძვრელ ძახილზე ქალაქში შევარდნილი ხის ჯარისკაცები ჯერ ადგილზე გაშეშდნენ, ხმას ყური მიუგდეს, ძალიან ნაცნობი და მშობლიური ეჩვენათ, როცა მიხვდნენ დედა-ტარუტოს ხმა იყო, დატუქსული ბავშვის მორჩილებით იწყეს ქალაქის დატოვება.

დედა-დედოფალმა მყისვე შეამჩნია, რომ მისმა ძლევამოსილმა ჯარისკაცებმა ბრძოლა შეწყვიტეს. მაშინვე შეეცადა მათ უკან დაბრუნებას. ჯარისკაცები მონუსხულები იყვნენ და გრძნეული ქალის ბრძანებას თავისდაუნებურად დაემორჩილნენ და იარაღი ისევ შემართეს აბარდაგანელთა წინააღმდეგ. ისევ დასჭექა დედა ლომმა. კვლავ წინ აღუდგა დედა-დედოფალი.

– რა ხდება, არ გემორჩილებიან? – ჰკითხა ფრთოსან ლომს შეშფოთებულმა რუფიამ.

– წყეული გრძნეული მიშლის ხელს! დიდი ძალა ჰქონია მის მონუსხვას! – შესჩივლა დედა-ტარუტომ.

– გალი-გალა! – მიუბრუნდა ყვანჩალა დედა ლომის თათებთან მჯდომ ბავშვს. – ხის კაცებს უთხარი დედა ლომს დაუჯერონ.

გალი-გალამ კენჭებით თამაშს თავი მიანება. ის-ის იყო გრძნეულ ქალს დედა-ტარუტოზე გამარჯვება უნდა ეზეიმა, რომ მასზე ბევრად ძლიერმა სამრგოლიანმა გრძნეულმა შებოჭა. დედა-დედოფალი მაშინვე მიხვდა, მისი მოწინააღმდეგე საკუთარი შვილიშვილი – სამი რგოლის ერთადერთი მფლობელი გრძნეული იყო. ამისთვის კი აღარ იყო მზად. სხვა გრძნეულებთან ერთად კი შეძლებდა ჯერ კიდევ ბავშვი ჯადოსნის დამარცხებას, მაგრამ სანამ მას დაიმორჩილებდნენ, ტარუტოს ჯარისკაცების მართვას ვეღარ შეძლებდა.

— რა ვქნათ, ჯარისკაცებს ვეღარ ვიმორჩილებთ! — მივარდნენ დედა-დედოფალს სხვა გრძნეულები.

დედა-დედოფალს სხვა გზა არ რჩებოდა, ტარუტოს ჯარისკაცებისთვის თავი უნდა დაენებებინათ და თითისტოლა გრძნეული ბავშვისთვის საერთო ძალისხმევით მონუსხვის ნიჭი წაერთმიათ.

— ახლა კი ვიცი, რასაც ვიზამ! — შეჰყვირა ფრთოსანმა ლომმა და ჯარისკაცებს დასჭექა. მეხის გავარდნას ჰგავდა მისი ძახილი. — გაიხსენეთ რანი ხართ! კვლავაც ხეებად იქეცით. — თავად კი გულისშემძვრელი ღრიალით უკანა თათებზე წამოიმართა, ფრთები გაშალა და ჰაერში აიწია. მხოლოდ რამდენიმე წამი დაყოვნდა. კიდევ ერთხელ დასჭექა და ძირს ისეთი სიძლიერით დაეხეთქა, რომ სალიტულას გალავანმა ზანზარი დაიწყო. ლომის სიმძიმეს მიწამაც ვერ გაუძლო და გასკდა.

— დამიბრუნდით, შვილებო! — ისევ შესძახა დაკარგულ შვილებს. გახეთქილ მიწაში თათები ძველებურად, როგორც იტურის ტყეში, ერთმანეთში ჩაგრეხილ ფესვებად ექცა, ტანი ტარუტოს მძლავრ ვარჯად, ზევით აშვერილი ფრთები კი ცაში ატყორცნილ ტოტებად. ფრთოსანი ლომი კვლავ დედა-ტარუტოდ იქცა.

დედა-ტარუტოს ძახილმა დაბნეული ჯარისკაცები გონზე მოიყვანა და გაიხსენეს, თუ რანი იყვნენ სულ ცოტა ხნის წინ, სანამ გრძნეულები სისხლისმღვრელ ჯარისკაცებად აქცევდნენ. მშობლის სითბოს მონატრებულებმა დედას მიბაძეს და მეწამული ქალაქის გარშემო გრძნეულთა მიერ ხრიოკ მიწებად ქცეულ უდაბნოში, ისევ ხეებად ყოფნა მოინადინეს — ფეხებიდან ღრმად გამოუშვეს ფესვები. აბობოქრდა მიწა, აიზვირთა და ბრძოლის ველს ტალღებად გადაუარა. ფესვგადგმულმა მეომრებმა, როგორც კი მოსაკლავად მომარჯვებულ მკლავებზე ლორთქო ყლორტები გამოუშვეს, მაშინვე იარაღი ძირს დაყარეს და კვლავ ხეებად ქცეულები, ამაყად აიტოტნენ დედა-ტარუტოს გულის გასახარად.

როცა დედა-დედოფალი პატარა გალი-გალას გრძნეულ ძალას გაუსწორდა, მტრის ალყაში მოქცეული სალიტულა უკვე ტარუტოს ტყით გარშემორტყმული აღმოჩნდა.

სალიტულას დამცველები ფრთოსანი ლომის გამოჩენაზე მეტად იარაღშემართული და გავეშებული ხის ჯარისკაცების გაფოთ-

ლილ ხეებად ქცევამ განაცვიფრა. მაგრამ ახლა ფრთოსანი ლომის დაბრუნების შემდეგ გასაკვირი აღარაფერი იყო — ქალაქის მთავარი კარიბჭის წინ ფრთოსან ლომად ქცეული დედა-ტარუტო ზემოდან გადასცქეროდა ბრძოლის ველს.

თეკლამ ლომი დაინახა თუ არა, მაშინვე მისკენ აიღო გეზი. გული უგრძნობდა, პატარა გალი-გალა და რუფია მასთან უნდა ყოფილიყვნენ. ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაიკრავდა ბავშვს გულში. ოციოდე ნაბიჯში, დედა-ტარუტოს ძირში ლილესაც მოჰკრა თვალი. ხელში გალი-გალა ეჭირა, ხოლო რუფია ფრენით გარს უვლიდა.

— მომასწარი? — უთხრა ლილეს აქოშინებულმა თეკლამ.

— თეკლა! — წამოიძახა გახარებულმა ბავშვმა და მისკენ გაინია.

— როგორა ხარ, ჩემო პატარა?! — ჩაიხუტა გულში ბავშვი.

— ეს ბავშვი ვისია? — იკითხა ლილემ.

— დედა-დედოფლის შვილიშვილია — გალი-გალა, სულას ვაჟი, აკი გიყვებოდი?! — გაიკვირვა ლილეს კითხვა თეკლამ.

— სასწრაფოდ სასახლეს შევაფაროთ თავი! ბავშვს არაფერი აუტეხონ. — ლილემ თეკლას მკლავში მძლავრად ჩასჭიდა ხელი და ქალაქისკენ წაიყვანა.

— რუფია! — გასძახა თეკლამ ყვავს.

— მოვფრინავ, მაგრამ რაღაც ვერ მამჩნევენ... — ჩაიყრანტალა ლილეს უყურადღებობით განაწყენებულმა რუფიამ.

ლილესნილბიანმა ნასარმა ახლაღა შეამჩნია შავი ფრინველი, რომელიც თეკლას მხარზე ჩამოჯდა. მეტი სიფრთხილე მართებდა, შეცდომა რომ არ დაეშვა და ლილეს ძველი ნაცნობები უყურადღებოდ არ დაეტოვა.

— რუფია შენც აქა ხარ? — ნაძალადევი ღიმილით მიმართა რუფიას, ვერ შეგამჩნიე.

— ხდება ხოლმე, რომ გენახა, რა ბრძოლა გადავიტანეთ?! იმხელები იყვნენ, ისეთი ძლიერები... — გამოექომაგა მეგობარს თეკლა.

— რასაც მოვუსწარი, ეგეც საკმარისი იყო... — დაეთანხმა რუფია თეკლას, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც უკმაყოფილო იყო.

— ლილე, სულზე მოგვისწრო ფრთოსანმა ლომმა, ჩვენ მათი დამმარცხებლები არ ვიყავით!

— ჰო... ჰო! — ანგარიშმიუცემლად უპასუხა ნასარმა, ერთი სული

ჰქონდა სასახლეს როდის მიაღწევდა და კვლავ სალიტულას ტახტზე დაბრძანდებოდა.

გამარჯვებული აბარდაგანის მთავარს გზად ყველა მდაბლად უხრიდა თავს.

— ლილე, ფრთხილად იყავი, ხომ არ დაგავიწყდა, ორეული რომ გყავს! — შეახსენა თეკლამ მეგობარს.

— სწორედ მას უნდა დავასწრო, ტახტი რომ არ წამართვას.

* * *

ლილემ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და მინაში ჩარჭობილ ხმლის ვადას დაეყრდნო. ბრძოლის ტრიალი ველი გაფოთლილ ტყედ გადაქცეულიყო. სალიტულას დამცველები მათ თვალწინ მომხდარ სასწაულს ვერ იჯერებდნენ და ჯერ კიდევ იარაღით გაუბედავად მიიწევდნენ ხეებისთვის ხელის შესავლებად. ლილემ ისევ მოისაკ-ლისა ბესანჯი, რომელიც ტუალანუს ბრძოლის შემდეგ აღარ ენახა.

— ლილე! ბრძოლა დამთავრდა. დროა სასახლეს მივაშუროთ და შენს ორეულს შევუშალოთ ხელი, რამე უბედურება არ დაატრიალოს. — დაუძახა უსუმბამ.

— თეკლა სად არის? თეკლა?! არ დაგინახავს?

— ფრთოსანი ლომისკენ გაიქცა.

— მაშინ, ჩვენც იქით წავიდეთ!

ლილეს სხვა მებრძოლებიც შეუერთდნენ და ყველამ სწრაფი ნაბიჯით გასწია სასახლისკენ.

* * *

ნასარის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და მკერდიდან გადმოხტომას ლამობდა. უკვე ახლოს იყო მიზანთან. მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯი-ღა აშორებდა სანუკვარ ტახტს, მაგრამ კიდევ რამდენიმე ბრძანება ჰქონდა გასაცემი.

— ჰეი, შენ! — დაუძახა დარბაზის კარებთან მდგარ მცველს. —

შეატყობინე ყველას, რომ თუ სადმე ჩემს ორეულს შენიშნავენ, იქვე გაათავონ!

მცველი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა ნასარის ბრძანების შესასრულებლად.

— ყმაწვილო, ჩემკენ როდის გამოიხედავ? არ მორჩი ბრძანებების გაცემას? — აქამდე რუფია ჩუმად ადევნებდა თვალს ლილეს.

ნასარი შეცბუნდა, მართალია, მიხვდა რომ ეს ყვავი ლილესთვის უბრალო ყვავი არ იყო, მაგრამ რა კავშირი ჰქონდა მასთან, ზუსტად არ იცოდა.

— შენთვისაც მოვიცლი, ცოტაც დამაცადე!

რუფია გაყუჩდა და ცალი თვალით თეკლას გადახედა. თეკლა ვერაფერს ამჩნევდა, გალი-გალას თავს დასტრიალებდა.

მალე დარბაზში ჩოჩქოლის ხმა მოისმა. ნასარი დაიძაბა, გაფითრებული ტახტის სახელურებს მთელი ძალით მოეჭიდა.

კარი გაიღო და ზღურბლზე ხმალამოწვდილი ლილე, უსუმბა და უდაბნოელთა რაზმი გამოჩნდა, მათ სასახლის მცველებიც შემოჰყვნენ.

ნასარს ნერვები ლარივით დაეჭიმა. უნებურად ხელი ხმლის ვადას წაავლო და ამოსწია. ლილემ თვალი თვალში გაუყარა და თავი გააქნია. ნასარმა ხმალს ხელი გაუშვა და ტახტიდან წამოიწია. ლილემ ხმალი ქარქაშში ჩააგო და ტახტს სამიოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა. ნასარმა საფეხურები ჩამოიარა და ლილეს წინ დაუდგა. გარშემომყოფნი მონუსხულებივით შესცქეროდნენ ორ ლილეს. ორივეს ერთი სახე ჰქონდა, ორივეს ბრძოლაში დაფლეთილი სამოსი და საჭურველი ეკაზმა. მშობელი დედაც კი ვერ გაარჩევდა — რომელი იყო თვითმარქვია და რომელი — ნამდვილი.

— რად არ მოკალით? — დაარღვია სიჩუმე ნასარმა, მაგრამ კითხვა უპასუხოდ დარჩა.

ლილე თვალებში უმზერდა ნასარს.

რუფია და თეკლა გაოგნებულნი იყვნენ. სხვებიც ყოყმანობდნენ, არ იცოდენენ რომელი მიეჩნიათ ნამდვილ ლილედ.

ამ დროს დარბაზის კართან ჩოჩქოლი შეიქნა, ხალხი ორად გაიყო... და ტორტმანით მომავალი ბესანჯი გამოჩნდა. უკან აბარდაგანის ყოფილი მთავარი, რუგო მოჰყვებოდა. ძაღლს მძიმე ნაიარევი

სიარულში ხელს უშლიდა.

ბესანჯი ორივეს მიუახლოვდა და შუაში გაჩერდა. ლილემ მხოლოდ ახლა მოწყვიტა თვალი ნასარს და ბესანჯისკენ დაიხარა. ნასარმა წამით დააყოვნა, მერე ისიც ლილეს მიჰყვა. ბესანჯმა უკან დაიხია, ისევ რუგოსკენ წავიდა.

ლილეს გულმა რეჩხი უყო, ნასარმა კი შვებით ამოისუნთქა. ბესანჯმა ლილეს შეხედა და ლილე ახლაღა მიხვდა, რომ ბესანჯი გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას მისგან ელოდა.

ნასარს რაღაცა ფაჩი-ფუჩი მოესმა, შეშინებულმა, ღალატიაო, უკან მიიხედა და ხმალი ამოიღო. პატარა გალი-გალა თეკლას ხელიდან გასხლტომოდა, აბარდაგანის მთავრის ტახტზე წამოსკუპებული სახელურის თავზე გამოკვეთილ ლომს ეთამაშებოდა.

ლილეს პირკატა ეცა, იფიქრა, ემანდ ნასარმა ბავშვს არა დაუშავოს რაო და თვითონაც ხმალი მოიმარჯვა. ნასარი ლილესკენ მოტრიალდა.

გალი-გალას თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, ტაში შემოკრა და წკრიალა ხმით დაიძახა:

— ფრი-ფრი!

გალი-გალას შეძახილზე ორივე მებრძოლს ხმლები ხელიდან წაერთვათ, ჯერ ჰაერში შეთამაშდნენ, მერე კი ერთმანეთს ეკვეთნენ და ბრძოლაც გააჩაღეს. ხან ერთი უტევდა და ხან მეორე, შემდეგ ერთმა მეორე დაჯაბნა და ისეთი ძალით დაარტყა, რომ შუაზე გადატეხა, ნამსხვრევები ნასარის ფეხებთან დაცვივდა, გამარჯვებულმა წრე დაარტყა და ლილეს დაუბრუნდა.

— აი, მე რა მაქვს! — წამოიძახა ნასარმა და უბიდან მსაჯულის წიგნი ამოიღო.

— ეგ წიგნი შენსავით ყალბია. შეგიძლია ცეცხლში შეუკეთო! — უპასუხა რუგომ. — ნამდვილი მე მაქვს გადამალული.

— არა! — დაიღრიალა ნასარმა და შეშლილი სახით თვალების აქეთ-იქით ცეცება დაიწყო. უეცრად მომღიმარ გალი-გალას გადააწყდა.

— შენ მაინც მოგერევი! — გაიფიქრა და მისკენ გაიწია. ხმალამოწვდილი ლილე გამოედევნა, მაგრამ ბესანჯმა პატრონს აჯობა, რამდენიმე ნახტომით ნასარს თავს დააცხრა, ძირს დააგდო, ყელში სწვდა და სახიდან ლილეს ნიღაბი მოგლიჯა. ვეფხვისთავიანი ნასარი

ბესანჯის ქვეშ სულს ღაფავდა.

რუფიას დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა, გალი-გალამ კიდევ ერთხელ გამოაჩინა გრძნეულების ნიჭი. ყვანჩალა ტახტის სახელურზე ჩამოჯდა და შუბლზე დააკვირდა — ბავშვს მანათობელი რგოლების მქრქალი კვალიც აღარ ემჩნეოდა.

* * *

მეწამული ქალაქის გარშემო ბუნება თვალდათვალ იცვლებოდა — ძველებურად აჩუხჩუხდა წყაროები; მდინარეთა დამშრალი კალაპოტები კამკამა წყლით შეივსო; მინდვრებზე აბიბინებული ლორთქო ბალახი ნიავის წამობერვაზე ძველებურად ლივლივებდა.

სალიტულა თანდათან წყნარდებოდა და გონზე მოდიოდა. ქალაქში საქმე ყველას თავზესაყრელად ჰქონდა, განსაკუთრებით მკურნალებს. დანგრეული აღსადგენი იყო, დაჭრილები — საპატრონო. მძიმე იარებისგან გონწასული მოხუცი ჯუფრა რუგომ იპოვა და ბავშვივით ხელში ატატებული მიუყვანა მკურნალს. კვამლის წამკითხველი გონს რამდენიმე წამით მოეგო, მადლიერების ნიშნად რუგოს მკლავზე ხელი ოდნავ მოუჭირა და ამოიხრიალა:

— რა მოხდა?

— ფრთოსანი ლომები დაბრუნდნენ... გავიმარჯვეთ, მოხუცო!

მეორე დღეს ტარუტოს ტყით გარშემორტყმულ მეწამულ ქალაქს დედოფალი იორუბა მოადგა. მთავარი კარიბჭის ზღურბლზე ფეხი რომ დაადგა, მუხლებზე დაემხო და ცრემლი ღვარად წამოუვიდა. დედოფალი ერთდროულად წინაპრების შეცდომებსაც ინანიებდა და მადლობასაც სწირავდა ქალაქს უკან მიღებისათვის. სასახლეში მიმავალს გზად, რუგო შეხვდა. ყოფილი მთავრის დანახვაზე დედოფალმა შვებით ამოისუნთქა და სასწრაფოდ დააპირა მსაჯულის წიგნის დაბრუნება.

— ჯერ შენთან იყოს! აბარდაგანის მომავალ მთავარს თავად გადაეცი! — სთხოვა რუგომ, სასახლემდე მიაცილა და უკან გაბრუნდა.

სასახლის ბრწყინვალებამ ბიგოს დედოფალს თვალი მოსწყვიტა. თავი სიზმარში ეგონა. ასეთი სილამაზე ვერც კი წარმოედგინა.

სასახლეში იორუბას რამდენიმე მსახური დახვდა, მათ ყურადღება არ მიუქცევიათ შემოსულისთვის. იორუბა დარბაზიდან დარბაზში ისე გადიოდა, ერთი მცველიც კი არ გადასდგომია წინ.

— შენც ჩემსავით გზაარეული დადიხარ, ვერც მე მივაგენი ერთ დარბაზს. — მოესმა იორუბას, მიმოიხედა, მაგრამ ვერავინ შენიშნა.

— აქ ვარ! — ახლა ფრენის ხმაც გაისმა და იორუბას წინ უეცრად ყვანჩალა დასკუპდა. — თეკლას ვეძებ, პატარა ბავშვიც ახლავს. თვალი ხომ არ მოგიკრავს?

— თეკლას, ლილეს მეგობარს? — იორუბას ნაცნობის სახელის გაგონება ესიამოვნა.

— კი, იცნობ?

— როგორ არა, ტუალანუში გავიცანი!

— ტუალანუელი ხარ? — იკითხა რუფიამ

— არა. მე შერისხულთა დედოფალი...! არა! ბიგოს დედოფალი ვარ!...

— რაღაც შერისხულს არ გავხარ, როგორც მსმენია...

— ეს ადრე იყო. ტუალანუს ბრძოლის შემდეგ ადამიანური სახე დაგვიბრუნდა. — ამაყად წარმოთქვა იორუბამ. — თავად ვინ ბრძანდები? აბარდაგანელი მოლაპარაკე ყვავების შესახებ არაფერი მსმენია.

— ვერც გაიგებდი. აქაური არა ვარ. ლილეს საძებნელად თეკლასთან ერთად ჩამოვედი.

— მაშინ, შენც მისი მეგობარი ყოფილხარ! — გაუხარდა იორუბას.

— რუფი! — მოისმა ამ დროს ბავშვის წკრიალა ხმა.

დარბაზში გალი-გალა შემოვარდა, უკან თეკლა მოსდევდა. ბავშვი იორუბას კალთას ამოეფარა და მდევარს დაემალა.

— გამარჯობა, იორუბა! — მიესალმა თეკლა.

იორუბამ გაუღიმა, თან კალთაზე ჩამოკონწიალებულ გალი-გალას იჭერდა.

— გამოძვერი, გხედავ! — დაუტატანა ბავშვს თეკლამ.

იორუბამ გალი-გალა ხელში აიყვანა. ბავშვმა მხოლოდ ახლა შეხედა პირისპირ ბიგოს დედოფალს. პატარა ფუმფულა ხელი ჯერ სახეზე მოუსვა, მერე თმაზე.

— ლამაზია... — წამოიძახა გალი-გალამ. — რუფი, აქ მოდი! — ჩასძახა ყვავს.

რუფია იორუბას მხარზე დააჯდა.

— აბა, რა გინდა? — ჰკითხა ბავშვს.

— აი, ვიპოვე ჩემი დედიკო... ხომ ლამაზია? — წარმოთქვა კვლავ გალი-გალამ.

ბავშვის სიტყვებზე ყველა დაიბნა. ვერც ერთი პასუხს ვერ პოულობდა. თეკლა იორუბას მიუბრუნდა.

— ეს გალი-გალაა! სალიტულაში ფრთოსან ლომს დედის მოსაძებნად ჩამოჰყვა. — აუხსნა იორუბას.

ბავშვი კი იორუბას სახეზე ნაზად ეფერებოდა, გულში ეკვროდა. ბიგოს დედოფალს ენა არ უბრუნდებოდა, რომ ბავშვისთვის ეთქვა, დედაშენი არა ვარო.

რუფია კიდევ ერთხელ დააკვირდა ბავშვს. მის შუბლზე რგოლები რომ ისევ ვერ შენიშნა, შვებით ამოისუნთქა.

* * *

ერთ საათში მთავრის სასახლეში ვეზირები და მრჩევლები შეიკრიბნენ. ლილეც მოვიდა ბესანჯთან ერთად, თავყრილობას რუგო, თეკლა, იორუბა და რუფია ესწრებოდნენ. პატარა გალი-გალაც თან ჰყავდათ. ბავშვი იორუბას არ შორდებოდა.

— მთავარო, რა ვუყოთ ტყვედ აყვანილ გრძნეულებს? — ჰკითხა ერთმა მრჩეველმა ლილეს.

— მე აბარდაგანის მთავარი არა ვარ! — წარბი შეკრა ლილემ.

მრჩევლებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მაშ, ვინ არის აბარდაგანის მთავარი? — იკითხა მეორემ.

— მთავარი ის იქნება, ვის მოსვლასაც არ ელოდით. — მიუგო ლილემ.

— შენს გამოჩენასაც არ ველოდით.

— ამას მსაჯულის წიგნი გვეტყვის! იორუბა, ამოიღე წიგნი. — მიმართა რუგომ ბიგოს დედოფალს.

იორუბამ გალი-გალა ძირს დასვა და მხარზე ჩამოკიდებული აბგიდან წიგნი ამოიღო. ბავშვი ისევ მთავრის ტახტზე აძვრა და იქ მოკალათდა.

— რა არ ხდება! — ამოიოხრა მთავარმა ვეზირმა, — მსაჯულის

წიგნი გუშინდელ შერისხულს აბარია. – რუგომ თვალები დაუბრიალა და ვეზირიც მყისვე გაყუჩდა.

იორუბამ წიგნი რუგოს გაუწოდა. რუგომ ჩამოართვა და ლილეს გადასცა.

– ერთი სიკეთეც გვიყავი!

ლილემ წიგნი ჩამოართვა და გადაშალა. თეთრი ფურცელი დახვდა. კიდევ გადაშალა, იქაც არაფერი ეწერა.

– აქ მხოლოდ ცარიელი ფურცლებია. წიგნში არაფერი წერია. დგება დრო, როცა ხალხმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი ბედი.

– აბარდაგანის ტახტი და მსაჯულის წიგნი მრავალი წლის განმავლობაში ჩემს გვარს ებარა. სულ ცოტა ხნის წინ მსაჯულის წიგნში ამოვიკითხე – მობარებული საქონელი მხოლოდ პატრონს დაუბრუნე. რადგან ნათქვამია – ცუდი შემნახველი ქურდზე უარესიაო. ახლა დარბაზში ამ ტახტის ორი მემკვიდრეა: იორუბა და გალი-გალა. ტახტიც მათ ეკუთვნით და მსაჯულის წიგნის შენახვასაც მხოლოდ მათ ვანდობ. – მიმართა დარბაზს რუგომ.

დარბაზში ჩამოვარდნილი სიჩუმე გალი-გალას ხმამ დაარღვია:

– დედა, აქ მოდი რა?!

იორუბა გაშეშდა. რუგომ ხელი მოჰკიდა მას, ტახტისკენ წაიყვანა და მთავრის სკამზე დასვა. გალი-გალამ ახლა მის კალთაში გადაინაცვლა და მკერდზე თავი მიადო.

– დედოფალს გაუმარჯოს! – შესძახა ლილემ.

– გაუმარჯოს! გაუმარჯოს! – აჰყვა მთელი დარბაზი.

აბარდაგანის კანონიერმა მთავარმა, დედოფალმა იორუბამ, გალი-გალა ხელში აიყვანა, ტახტიდან წამოდგა და პირველი ბრძანება გასცა:

– ომდურმანელი ტყვეები გაათავისუფლეთ! ისინიც ჩვენი ქვეშევრდომები არიან. ამიერიდან აბარდაგანის მთავარი ყველა თავის ქვეშევრდომზე ერთნაირად იზრუნებს.

– მგონი, ჩვენი წასვლის დროც მოვიდა! გალი-გალა უკვე დედას ჩავაბარე. – გადაულაპარაკა თეკლამ ლილეს.

– მართალი ხარ! – დაეთანხმა ისიც.

* * *

აბარდაგანი გამარჯვებას ზეიმობდა. სალიტულას უამრავი სტუმარი მოაწყდა. ყველას უნდოდა ახალი მთავრისთვის შეევლო თვალი. მხოლოდ რუფია ჩანდა უხასიათოდ. თავს შერცხვენილად გრძნობდა. ეს რა მომივიდა, როგორ ვერ მივხვდი, რომელი იყო ნამდვილი ლილეო. გამომჯობინებულ ჯუფრასაც შესჩივლა, რას წარმოვიდგენდი, ეს თუ დამემართებოდაო. ლილე ამშვიდებდა, ისე მგავდა, მეგონა საკუთარ თავს ვუყურებდიო. ხასიათზე მაშინ მოვიდა, როცა ლილემ უთხრა, ხვალ დილით სახლში დასაბრუნებელი გზის საძებნელად უნდა წავიდეთო.

— მაშ უკვე სახლში ბრუნდები? — ჰკითხა კვამლის წამკითხველმა მის სანახავად მისულ ლილეს.

— უკვე დროა. აქ ჩემი გასაკეთებელი აღარაფერია. — უპასუხა ირელმა.

— აღარც ჩემი. — მხარი აუბა რუფიამაც. — ტისოს ადგილსამყოფელი მის შვილს უკვე მოვახსენე და ამ დილით გაეშურა კიდეც მამის მოსაძებნად.

— მარტო ხომ არ წავიდა? — შეშფოთდა ჯუფრა.

— არა, რას ამბობ, რუგომ მოზრდილი რაზმი გააყოლა. მეორე რაზმი კი ლოტების მხარეში გაგზავნა, კვამლის წამკითხველებმა გვამცნეს, ბაკუბა უპოვიათ. ნასარის ხალხს წაუყვანია მოტყუებით, ისიც დაჭრილია, მაგრამ ახლა არაფერი უშავს, ძალაზე მოდისო.

— ეს რა კარგი ამბები მომიტანეთ, მაგათი დარდით აღარ ვიყავი! — შვებით ამოისუნთქა ჯუფრამ. — რომ შემპირდი, გეტყვი ვინ ვარ და საიდან ვარო, ხომ არ დაგავიწყდა? — ბავშვური ცნობისმოყვარეობით იკითხა მოხუცმა კვამლის წამკითხველმა.

— არ დამვიწყნია რასაც შეგპირდი... მაგრამ ისიც კარგად მახსოვს, რომ თქვი — მთავარია აქ რისთვის მოხვედიო. — ჩაიღიმა ლილემ.

— ჰო, რა მნიშვნელობა აქვს საიდან მოხვედი... მართალი ხარ. ახლაც ასე ვფიქრობ, მაგრამ მაშინდლისგან განსხვავებით, ამჯერად პასუხი ვიცი — რწმენა მოგვეცი, რათა იმედები არ დაგვესამარებინა. შენ ჩვენი იმედი გადაარჩინე.

— თქვენი იმედები თქვენმა ერთგულებამ გადაარჩინა.

— შენ?! მაშ, შენ რაღა გააკეთე?

— მე მხოლოდ იქ ვიდექი, სადაც გულმა და გონებამ მიკარნახა, ანუ სადაც საჭიროდ ჩავთვალე. ეს იყო და ეს.

ლილეს სიტყვებზე ჯუფრას ჩაეცინა. თვალი თვალში გაუყარა უმცროს მეგობარს და მთელი აბარდაგანის სამადლობელი ცრემლით დაასაჩუქრა.

— ბესანჯიც მოგყვება? — სხვათა შორის იკითხა ჯუფრამ.

— არა, უკვე დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ბესანჯმა ახალი პატრონი აირჩია — აბარდაგანელი.

— ნეტა ის იყოს, ვისზეც ვფიქრობ... — ინატრა მოხუცმა.

— ის არის — რუგოს არ სცილდება გვერდიდან. — ახარა ლილემ.

— კარგი, ჩემო ლილე. დავიღალე, ლაპარაკი მიჭირს. გემშვიდობები. ყველას ძალიან მოგვენატრები... დღეიდან აბარდაგანში ფრთოსანი ლომებისა და ბესანჯების ლეგენდებთან ერთად, კიდევ ერთი ლეგენდა დაიბადება — ამბავი ლილე იროელისა.

ჯუფრას მოსასვენებლიდან ლილე დედოფალ იორუბასთან გამოსამშვიდობებლად გაეშურა. თეკლაც თან გაიყოლა. თალხ კაბაში ჩაცმული დედოფალი გალი-გალას აძინებდა. პატარას საყვარელი დედიკოს გარეშე თვალის მოხუჭვა არ უნდოდა. რუფიამ ვეღარ მოითმინა და საძინებელში შეფრინდა.

— მე დავაძინებ! — უთხრა იორუბას. — შენ კი დარბაზში გადი, ლილე და თეკლა გელოდებიან.

იორუბას თავადაც სურდა ლილესთან საუბარი და ნეფრიტის ტბის საიდუმლოს გამხელა.

— ალის შესახებ ახალი ხომ არაფერია? — შესვლისთანავე ჰკითხა იორუბამ ლილეს.

— არაფერი, დედოფალო. დაჭრილებში ნამდვილად არ არის.

— ჰო... დიდებადაბრუნებულ ბიგოელთა ამოცნობა შეუძლებელია... — გადმოუგორდა ცრემლი იორუბას. — ეჰ! ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიცხოვრო მის გარეშე. კიდევ კარგი, პატარა გალი-გალამ დედად მიმიღო, მისი ტიტინი ცოტათი მაინც გამიქარვებს დარდს. ალბათ, მალე სულ მარტო დავრჩები, როცა თქვენც წახვალთ აქედან.

— სწორედ მაგის სათქმელად მოვედით. უკვე დროა შინ დავბრუნდეთ.

— მერე იცით, სად არის ის კარი, რომლის მიღმაც თქვენი სახლია?

— უდაბნოში მეგულება. როცა ჩემს სამშობლოში ქვესკნელში დამალული საიდუმლო კარი შევაღე, გზამ აქ, აბარდაგანში მომიყვანა. ახლაც იქით ვაპირებთ წასვლას, სადაც პირველად მოვხვდით. იმედი მაქვს ვიპოვით. თეკლა და რუფია მოგვიანებით გამომყვნენ, მაგრამ კარმა ისინიც აქ მოიყვანა.

— ბედი გვქონია, ჩვენთან რომ ამოყავით თავი. — ჩაეღიმა იორუბას. — უდაბნოში წასვლა არ არის საჭირო. მე ვიცი, სადაც არის ის კარი, რომელიც სახლში წაგიყვანთ.

— მართლა? — ლამის შეჰყვირა ლილემ.

— მართლა. ნასარმა, როცა შენ ჯურღმულში ჩაგაგდო, მე ხელფეხშეკოჭილი ნეფრიტის ტბის კუნძულზე დამტოვა. უნდოდა, ტანჯვაში ამომხდომოდა სული, მაგრამ მწარედ შეცდა. კუნძულზე კარიბჭეების მცველი ფრთოსანი ლომების სულები ცხოვრობენ. მათ მიპატრონეს და გადამარჩინეს სიკვდილს. მათვე მთხოვეს გადმომეცა, რომ შენს სახლში დასაბრუნებელი კარიბჭეც იქ არის.

— კარიბჭეები ახსენე. იქ რა, ერთ კარზე მეტია?

— თავად არ მინახავს რამდენია, მაგრამ ჩავთვალე, რომ რამდენიმე უნდა იყოს. აკი ფრთოსან ლომთა სულებმა მითხრეს, კარიბჭეს კი არა, კარიბჭეებს ვიცავთო და მათი დანახვა და საიდუმლოს ამოცნობა კი მხოლოდ რჩეულთა ხვედრიაო. შენ კი ასეთად გთვლიან. ერთი სული მქონდა, როდის გაგიმხელდი მათ დანაბარებს. კიდევ კარგი, თავს ვიკავებდი და შენს ნიღაბამოფარებულ ნასარს არ მოვუყევი ყველაფერი.

— შენ და რუგოს კარგი ალღო გქონიათ. — მოუწონა ლილემ ნასართან გამოჩენილი სიფრთხილე იორუბას.

— როდის აპირებთ შინ დაბრუნებას? — ხმა აუკანკალდა იორუბას.

— დაყოვნების მიზეზს ვერ ვხედავ. აბარდაგანს ღირსეული დედოფლის ხელში ვტოვებთ. ბიგოს ფარო და ნენეც ჩინებულად უპატრონებენ.

— არა, დედოფალს ნუ მეძახი. მე მხოლოდ მომავალი მეფის დედა ვარ და მის გაზრდამდე ვემსახურები აბარდაგანს, მხოლოდ სულ მარტო — ჩემი ერთგული მფარველის, ალის გარეშე. რომ იცოდეთ,

როგორ მეშინია? — ნაღვლიანად დაიჩივლა იორუბამ.

— მარტო რად იქნები. მთელი აბარდაგანი გვერდით გეყოლება. რუგოც დაგეხმარება. — გაამხნევა თეკლამ. — მერე გალი-გალაც ამოგიდგება მხარში.

— მართალი ხარ, ჩემო თეკლა, მაგრამ მე სულ სხვა მარტოობას ვგულისხმობდი.

თეკლა მიუხვდა — იორუბა ალის დასტიროდა; მიუახლოვდა და გულში დასავით ჩაიკრა. თვალცრემლიან იორუბას ლილემ თავზე ნაზად აკოცა.

— მხოლოდ ეს მითხარით, მართლა აპირებთ სახლში დაბრუნებას თუ... სხვა, უცხო მხარეები უნდა მოიაროთ? ნეტა მეც შემეძლოს თქვენთან ერთად წამოსვლა...

— შენი ადგილი აქაა. აქ ხარ საჭირო. ჩვენ კი გზა იქით წაგვიყვანს, სადაც უფრო საჭიროები ვიქნებით. — ლილემ და თეკლამ დიდებადაბრუნებულ დედოფალს თავი მდაბლად დაუკრეს და დარბაზიდან გავიდნენ.

* * *

ტარუტოს ხის ძირში ტანსაცმელჩამოფლეთილი მოხუცი ქალი იჯდა და რაღაცას ბუტბუტებდა. შორიახლოს პატარა გოგო-ბიჭებს მოეყარათ თავი, გულიანად იცინოდნენ და ქალს ხან რას შეუძახებდნენ, ხან — რას.

— რატომ დასცინით?! — დაუტატანა ბავშვებს მხედარმა, ონავრებს ბესანჯმაც შეუყეფა. ლილეს წასვლის შემდეგ სხვა ღირსეული პატრონი რომ აერჩია.

აბარდაგანის მთავრის, გალი-გალას უფროსი ვეზირის რუგოს დანახვაზე ბავშვები უმალ გაისუსნენ.

— ხეებს და ბალახებს ეჩხუბება, რატომ ამოხვედითო. — ძლივს შეუბედა ყველაზე თამამმა.

— მე კი დავინახე, მდინარეში ხელებგაშლილი როგორ იდგა და წყალს ეუბნებოდა, ისევ მიწაში ჩაიკარგეო. — დაამატა მეორემ.

— აღარ დასცინოთ, ხომ ხედავთ, სრულ ჭკუაზე არ არის საწყალი.

— დაარიგა ბავშვები მხედარმა და ცხენი სალიტულასკენ გააჭენა.

— სადაცაა ჩემი შვილი სულა მოვა. ნახავთ, რა დღესაც დაგაყრით!

— ბუტბუტებდა დედა-დედოფალი და ბავშვებს მალიმალ გადახედავდა, თან ჟანგიანი დანით ტარუტოს ქერქს ფხაჭნიდა.